# Современная экономика

«Издательство Университетское»

# ՈՒԿՈ
# ՀՆՁՈՒՈ



ՄՅՈՒՐՈՒՈ 1968

9(C)27
355.48(47) „1941:1945"
№ 157

51-ე გვარდიული დივიზიის ყოფილი მეთაური, თადარიგის გენერალ-მაიორი ნ. თავართქილაძე წიგნში „იყო ასეთი დღეები" მოგვითხრობს ამ შენაერთის სახელოვან საბრძოლო გზაზე. 51-ე დივიზიის შემადგენლობაში სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებულად იბრძოდნენ რუსები, სომხები, ქართველები და აზერბაიჯანელები, დიდი საბჭოთა ქვეყნის მრავალი წარმომადგენელი.

ეს გმირული დივიზია პირველი საბჭოთა შენაერთი იყო, რომლის ხელიშითაც დაიწყო საბჭოთა ჯარების გენერალური შეტევა სტალინგრადის რაიონში ალყაშემორტყმულ გერმანელ-ფაშისტთა ჯარების განადგურებლად.

წიგნში ასახულია ამ სახელოვანი დივიზიის დიდებითა და გმირობით მოსილი საბრძოლო გზა.

7—3—2
149—68 ადგ.

## ომის პირველი დღეები

ცხრაასორმოცდაერთი წლის ზაფხული იყო. უკრაინის ველებზე უხვი მოსავალი მწიფდებოდა. სიხარულს მოჰგვრიდა ადამიანს თვალუწვდენელი ოქროს ხალიჩა და სიამაყის გრძნობით აღავსებდა მას. როგორ უნდა ჩაევლო კაცს ამ იშვიათი სანახაობის გვერდით, რომ არ ეთქვა: პატიოსანო მშრომელო, დაილოცოს შენი მარჯვენაო. ეს სიმდიდრე ხომ ადამიანის ხელებმა შექმნეს, მისმა შრომამ, უნარმა. კიდევ, კიდევ დაილოცოს ის ქვეყანა, რომელსაც უკრაინა ჰქვია — ჩვენი ქვეყნის ბეღელი — ოქროს ხალიჩებით დაფენილი.

და სწორედ ამ დროს, 23 ივნისს, როდესაც სალაშქრო წესით დაწყობილი ჩვენი სამხედრო შენაერთები ლუცკის მიმართულებით მიდიოდნენ პირველი საბრძოლო ბრძანების შესასრულებლად, ცეცხლი და კვამლი გველეშაპებივით ეხვეოდა უკრაინის მინდვრებს. ეს გულშემზარავი სანახაობა თითოეულ მებრძოლში შურისძიებისა და მტრის სიძულვილის გრძნობას აღვიძებდა, მტერთან შებმის სურვილს აძლიერებდა.

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო, პარტიზანებო და პარტიზანო ქალებო! თქვენ შე-

მოგყურებთ მთელი მსოფლიო, როგორც ისეთ ძალას, რომელსაც ძალუძს მოსპოს გერმანელ დამპყრობთა მძარცველური ურდოები. თქვენ შემოგყურებენ, როგორც თავის განმათავისუფლებლებს, ევროპის დამონებული ხალხები, რომლებიც გერმანელ დამპყრობთა უღელქვეშ მოექცნენ. თქვენ წილად გხვდათ დიადი განმათავისუფლებელი მისია. მაშ იყავით ამ მისიის ღირსნი! ომი, რომელსაც თქვენ ეწევით, არის განმათავისუფლებელი ომი, სამართლიანი ომი. დაე, ამ ომში თქვენ აღგაფრთოვანებდეთ ჩვენი დიდი წინაპრების — ალექსანდრე ნეველის, დიმიტრი დონსკოის, კუზმა მინინის, დიმიტრი პოჟარსკის, ალექსანდრე სუვოროვის, მიხეილ კუტუზოვის მამაცური სახე! დაე, გფარავდეთ თქვენ დიდი ლენინის ძლევამოსილი დროშა!

**ი. სტალინი**

**სიტყვა წითელი არმიის პარადზე**
**1941 წლის 7 ნოემბერს**
**წითელ მოედანზე მოსკოვში.**

მტერთან შეხვედრას ლუცკის დასაელეთით ველოდებოდით. დილის ორ საათზე მზვერავთა ნაწილები შეხვდნენ ერთმანეთს. იმავე დილის ოთხ საათზე მზვერავთა შენაერთის უფროსმა კაპიტანმა სტეფანოვმა მომახსენა, რომ მტრის მთავარი ძალები ლუცკის გზატკეცილით მიემართებიან, ფრთებზე გამოყოფილი ჰყავთ დაცვა, გაძლიერებული არტილერიითა და ტანკებითო. მიღებული ცნობების საფუძველზე საჭირო იყო სათანადო საბრძოლო გადაწყვეტილების მიღება. მეც ასე მოვიქეცი.

პირველი შეტაკება მტრის მთავარ ძალებთან დილის 6 საათზე მოგვიხდა. ეს ბრძოლა დღენახევარს გაგრძელდა. ჩვენმა არტილერიამ თავისი საბრძოლო პოზიციები დაიკავა და მტრის ტანკებს გამანადგურებელი ცეცხლი გაუხსნა. არტილერისტებს ხელმძღვანელობდნენ პოდპოლკოვნიკები ირაკლი ერისთავი და არტემ არუთინიანი. მტერი არ ერიდებოდა ქვემეხებით მიყენებულ ზარალს და მაინც წინ მოიწევდა. მტრის ტანკებს უკან მოჰყვებოდნენ მექანიზებული ქვეითი ნაწილები — თავიანთი მხეცობით ცნობილი ესესელები; მტრის თვითმფრინავები შემოიჭრნენ ჩვენს ზურგში და ყუმბარებს აყრიდნენ მშვიდობიან მოსახლეობას.

ამას გარდა, მტერმა ზურგში გადმოსხა პარაშუტისტთა ნაწილები, რომლებმაც დაიკავეს გზები, ძირითადი კომუნიკაციები, რაიონული

ცენტრები და ქალაქები; გერმანელები მიზნად ისახავდნენ ჩვენი ნაწილისათვის ალყა შემოერტყათ. იძულებული ვიყავით ბრძოლით უკან დაგვეხია, მაგრამ ისე, რომ თანაც მტრისათვის დიდი ზიანი მიგვეყენებინა. ეს იყო ერთადერთი სწორი გზა. ამ ტაქტიკის სისწორე მთელი გულით სწამდა და კარგად ესმოდა ყოველ საბჭოთა მებრძოლსა და მეთაურს. ისინი თავგანწირვით და დაუნდობლად ებრძოდნენ გამძვინვარებულ მტერს, რომელსაც ივნის-ივლისის თვეებში ჩვენს ზურგში უკვე ხელში ჩაეგდო ქალაქები: ჟიტომირი, ვლადიმირსკი და ოროშილოვგრადი. ამასთან მტრის იმ ნაწილებს, რომლებსაც ჩვენი ჯარები ანადგურებდნენ, ახალი შევსება სცვლიდა. მტერი ცდილობდა მოკლე ვადაში გაენადგურებინა საბჭოთა ქვეყანა. ის გათამამებული იყო თავისი წინსვლით, იოლი გამარჯვებებით ევროპაში და ანგარიშს არ უწევდა იმ დიდ ზარალს, რომელსაც მას ჩვენი ნაწილები აყენებდნენ. შენაერთს, რომელიც ჩვენი ნაწილების წინააღმდეგ იბრძოდა, ხელმძღვანელობდა თავისი ჯალათობით განთქმული გენერალ-პოლკოვნიკი გეიცი, რომელმაც „თავი ისახელა“ გაუგონარი მხეცობით საფრანგეთში, რითაც დაიმსახურა ჰიტლერისაგან პირადი საჩუქარი— ავტომანქანა, რევოლვერი და რკინის ჯვარი. იგი ჰიტლერის საყვარელი ნაგაზი იყო. ის ახლა კვალდაკვალ მოგვდევდა და რადიოთი მოგვმართავდა, ტყვედ ჩავბარებოდით; ამასთან ბაქიობდა, საბჭოთა არმია განადგურებულია და აზრი აღარა აქვს თქვენს წინააღმდეგობასო. დაუმატეთ ამას ისიც, რომ ჩემს უშუალო უფროსებთან კავშირი გაწყვეტილი მქონდა და იძულებული ვიყავი დამოუკიდებლად მემოქმედა. ერთი სიტყვით, მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდით. მტერი მეტად ჭარბი ძალებით გვაწყდებოდა. თითქმის გარშემორტყმული ვიყავით. გერმანელები ჩვენს ზურგშიც შემოიჭრნენ და ხელთ იგდეს ქალაქები. მძიმე ბრძოლებით ისევ უკან ვიხევდით და ვეძებდით ადგილს, სადაც შევძლებდით გავმაგრებულიყავით ან კავშირი აღგვედგინა რომელიმე საბჭოთა შენაერთთან. ყოველ ნაბიჯზე გვხვდებოდა საშინელი სურათები: ხეებსა და ბოძებზე ჩამომხრჩვალი საბჭოთა მოქალაქეები და მებრძოლები, ქალების, მოხუცებისა და ბავშვების ნაწამები გვამები, გადამწვარი და დანგრეული სახლები, გაძარცული და დანგრეული კულტურის ძეგლები, ჯგუფურად დახვრეტილი მშვიდობიანი მცხოვრებნი, ეს საშინელი სანახაობა ყოველ მებრძოლსა და მეთაურში საშინელ აღშფოთებას იწვევდა, შურისძიების გრძნობით იესებოდა

მათი გულები, ფიცს სდებდნენ, რომ იბრძოლებდნენ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე.

ბოლოს ჩვენ სუმის ოლქის (უკრაინა) ტყეებში გავმაგრდით და სანაპირო დაცვა მოვაწყეთ. გერმანელები ტყეში შემოსვლას ერიდებოდნენ, სამაგიეროდ ხშირად გვესტუმრებოდნენ ხოლმე მათი ბომბდამშენები. ჩვენ უკვე ალყაში ვიმყოფებოდით. გენერალმა გეიცმა კვლავ მოგვმართა წინადადებით: დაგვნებდითო. ეს თავხედური ულტიმატუმი კიდევ უფრო აღიზიანებდა და მტრისადმი სიძულვილით აღაგზნებდა თვითეულ ჩვენგანს.

მალე შემოგველია სურსათ-სანოვაგე, არც საბრძოლო საჭურველი გვქონდა გულუხვად. ამიტომ იძულებული გავხდით გამოგვეყო მებრძოლთა ჯგუფი და გაგვეგზავნა მახლობელ სოფლებში სურსათის საშოვნელად; ისინი ხანდახან მტრის ნაწილებს გადაეყრებოდნენ ხოლმე და ბრძოლით უხდებოდათ გზის გაკაფვა.

იმ ხანებში ჩვენ, ასე ვთქვათ, იძულებითი შესვენება მოგვიხდა, ვინაიდან გზა არსად იყო და მტერი გარს გვერტყა. საფიქრალი და საზრუნავი ბევრი გვქონდა. მე შევამოწმე მებრძოლთა რაოდენობა, იარაღისა და ტყვია-წამლის მარაგი, მზვერავთა საშუალებით დავაზუსტე, რომ ვიმყოფებოდით მტრის ღრმა ზურგში — ფრონტიდან თითქმის 150—220 კილომეტრის დაშორებით. საჭირო იყო გეგმის შემუშავება, რათა უფრო ეფექტურად გამოგვეყენებინა ჩვენი საბრძოლო შესაძლებლობა. როგორც ვთქვი, არასახარბიელო მდგომარეობა გვქონდა ტყვია-წამლის მარაგისა და სურსათ-სანოვაგის მხრივ. ამ მძიმე მდგომარეობამ უფრო დაგვაახლოვა ერთმანეთთან მებრძოლები. ლუცკიდან სუმის ოლქამდე გადახდილმა ბრძოლებმა გამოაწრთეს და საბრძოლო გამოცდილება შესძინეს ჩვენს მეომრებს. გავიხსენეთ ცალკეული მებრძოლები, რომლებიც მაგალითის მიმცემნი იყვნენ, მადლობა გამოვუცხადეთ მათ. ასეთი მამაცი მებრძოლები განსაკუთრებით ბევრი გვყავდა იმ ნაწილებში, რომლებსაც მეთაურობდნენ პოდპოლკოვნიკი იგნატიევი, პოდპოლკოვნიკი ერისთავი, პოლკოვნიკი არუთინიანი, პოლკოვნიკი ახმეტოვი და კრილენკო. ჩვენ შენაერთში იყვნენ რუსები, ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, უკრაინელები, ყაზახები, თითქმის ყველა მოძმე საბჭოთა ხალხის წარმომადგენლები. და იგი ნამდვილ ინტერნაციონალურ ოჯახს წარმოადგენდა, სადაც ყველა ერთი აზრითა და გრძნობით იყო გამსჭვალული. ეს იყო გრძნობა ერთ-

მანეთის უსაზღვრო სიყვარულისა და მტრისადმი უსაზღვრო სიძულვილისა.

ყველაზე მთავარი ახლა ის იყო, რომ კავშირი დაგვემყარებინა რომელიმე საბჭოთა შენაერთთან. ჩავრთეთ რადიო; ლაპარაკობდა ჩვენი სამშობლოს გული — მოსკოვი; მოვისმინეთ უმაღლესი მთავარსარდლის ხმა, რომელიც უსაზღვროდ გვამხნევებდა, იგი მოუწოდებდა მთელ საბჭოთა ხალხს, არ დაეშურებინათ ძალ-ღონე გამძვინვარებული მტრის განადგურებისათვის, გაეჩაღებინათ პარტიზანული ბრძოლები.

მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, ჩვენს ქუჩაზეც იქნება დღესასწაული. ეს რომ მოვისმინეთ, მთელი შენაერთის შემადგენლობამ ფიცი დასდო და სიტყვა მისცა კომუნისტურ პარტიას, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდა მტრის განადგურებისათვის და ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის, შურს იძიებდა მტრის მიერ უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლისათვის, ჩვენი დედების, მამებისა და შვილებისათვის, ჩვენი ქალაქებისა და სოფლებისათვის.

დავიწყეთ ცდა და ნიადაგის მოსინჯვა იმისათვის, რომ თავი დაგვეღწია გარემოცვისაგან და შევერთებოდით საბჭოთა ნაწილებს. გენერალ გეიცის შენაერთი კვლავ თვალყურს გვადევნებდა, ტყეში შემოსვლას კი მაინც ვერ ბედავდა. მხოლოდ საავიაციო თავდასხმებისაგან მოსვენება არ გვქონდა. გვაყრიდნენ ცეცხლგამჩენ და გამანათებელ ბომბებს. შემდეგ ქვემეხები და ნაღმტყორცნები ამოქმედდებოდნენ ხოლმე. მაინც ვერ გასტეხა მტერმა ჩვენი მებრძოლების ნებისყოფა.

ბოლოს ჩვენ მახლობელ სოფელში მზვერავები გავგზავნეთ, რომელთაც დავავალეთ კავშირი გაებათ პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებთან, მოეძებნათ ადამიანები, რომლებიც კარგად იცნობდნენ ამ რაიონს. და აი, მართლაც, მოვძებნეთ იქაური კომუნისტები, იატაკქვეშ მომუშავე ამხანაგები — შევჩენკო, ტიტოვი, გაერილენკო, ძელნიკოვი და სხვები, სულ თოთხმეტი კაცი. ისინი გამოცხადდნენ ჩემთან, გავაცანით მათ ჩვენი მოქმედების მთავარი გეგმა.

ამას გარდა, საჭირო იყო ეს მდგომარეობა მეცნობებინა ჩვენი შენაერთის ნაწილების მეთაურებისათვის და ამ მიზნით ნაწილების დათვალიერება ჩავატარე.

და აი, დაედივარ ჩუმად, შეუმჩნევლად და ვათვალიერებ ჩვენს ბი-

წას, ბევრ ადგილას თავი შეუყრიათ ჯარისკაცებს და ვინ მოგონებას მისცემია, ვინ კიდევ სხვადასხვა სასაცილო ამბებით ცდილობს გაართოს ამხანაგები. ზოგნი კიდევ განმარტოებულან და ფიქრს მისცემიან. ან კი იქნებოდა მაშინ ადამიანი, რომელსაც საფიქრებელი არაფერი ჰქონოდა? განა იყო ისეთი მებრძოლი, რომელსაც არ აგონდებოდა თავისი სახლი, ნათესავები, ახლობლები? აქ ხომ ბევრი იყვნენ ისეთები, რომელთაც მტერმა სახლ-კარი დაუნგრია და გადაუწვა. ისინი არსაიდან არ ღებულობდნენ წერილებს, მოკლებული იყვნენ ყოველივე ცნობებს, გაზეთებს, არ იცოდნენ, რა ხდებოდა ქვეყნად, მხოლოდ ერთმანეთში ხედავდნენ ნათესავსაც და მეგობარსაც, მეზობელსაც და ამხანაგსაც.

ღამის პირველ საათზე, წინასწარ დასახული გეგმის მიხედვით, გზის მაჩვენებლებისა და გამყოლების თანხლებით დავიწყეთ საბრძოლო მოქმედება, ალყიდან გამოსვლა. ეს ხდებოდა სრულ სიბნელეში; იბძროდნენ მხოლოდ ის დანაყოფები, რომლებიც შემუშავებული გეგმის მიხედვით წინასწარ იყვნენ გამოყოფილი, რათა დაეწყოთ მოქმედება, გაემართათ ბრძოლა, რომ გერმანელთა ყურადღება სხვა მიმართულებით გადაეტანათ. ამით ჩვენ მოგვეცა საშუალება, გამოგვეყვანა ნაწილები სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებით.

ჩვენი ჩანაფიქრი განხორციელდა. გენერალ გეიცის შენაერთები დარწმუნდნენ, რომ შეტევის დაწყებას ვაპირებდით იმ მიმართულებით, სადაც ჩვენი დანაყოფები აწარმოებდნენ თითქოსდა შეტევით მოქმედებას. მაგრამ ეს იყო მხოლოდ მანევრი, მტრის მოტყუება და გენერალი გეიცი ამ ანკესზე წამოეგო. რამდენიმე დღის სიარულის შემდეგ აღვადგინეთ კავშირი უახლოეს საბჭოთა მებრძოლ ნაწილებთან, რომლებიც პოლტავის ოლქში მოგერიებით ბრძოლებს აწარმოებდნენ. ჩვენც ჩავებით ამ ბრძოლაში და გერმანელთა ნაწილებს დიდი ზიანი მივაყენეთ; ასე შევუერთდით ჩვენს ნაწილებს. მათ გაგვიყვანეს ზურგში, მივიღეთ ახალი შეკაზმულობა და ერთი თვის დასვენება. ძლივს ვეღირსეთ ნორმალურ კვებას, ნორმალური ცხოვრების პირობებს.

საველე საფოსტო განყოფილება უცებ გადაიტვირთა. ყველა შეუდგა წერილების წერას, რათა ეცნობებინათ თავიანთი ადგილსამყოფელის შესახებ და გაეგოთ შინაურების ამბებიც. სადღესასწაულო ელფერი მიეცა ყველაფერს, მეომრები ულოცავდნენ ერთმანეთს შშვიდობით გადარჩენას და ოპერაციის ბრწყინვალედ განხორციელე-

ბას. ისინი გაზეთებს ერთმანეთს სტაცებდნენ, ყველაფერი ახალი იყო მათთვის.

ამავე დროს მიმდინარეობდა სრული შევსება ჩვენი შენაერთისა. ჩვენ, მეთაურები, ანალიზს ვუკეთებდით ჩატარებულ ბრძოლებს. ეს ერთი თვის დასვენება თითქმის სატანჯველად გადაგვექცა, რადგანაც ბრძოლაში ჩაბმის დიდი სურვილი გვქონდა.

იმ დროს ჩვენ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის რეზერვში ვიმყოფებოდით.

### 1941 წლის ოქტომბერ-ნოემბერი

ჩვენს მოლოდინს ბოლო მოეღო. მივიღეთ ბრძანება ფრონტის სარდლისა, რომელმაც ახალი საბრძოლო ამოცანის შესრულება დაგვაკისრა. ჩვენთვის გამოყვეს რკინიგზის ცალკე ეშელონები, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ჩვენი შენაერთი ადგილს იცვლიდა, უნდა წავსულიყავით სადგურ სტარი ოსკოლისა და ნოვი ოსკოლის მიმართულებით. მთელი მგზავრობის დროს მოსვენება არ გვქონდა მტრის თვითმფრინავებისაგან, რომლებიც ხშირად ესხმებოდნენ თავს ჩვენს ეშელონებს. სტარი ოსკოლში მივიღე არმიის სარდლის ბრძანება, რომ წავსულიყავით ლესკის მიმართულებით, ლაშქრობა უნდა გეწარმოებინა მხოლოდ ღამით, რომ მტერს არ შეეტყო. ლესკი წარმოადგენდა მეტად სერიოზულ სტრატეგიულ პუნქტს, რომელსაც გერმანელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ამიტომაც ისინი იმ მიდამოებში კარგად იყვნენ გამაგრებულნი. ეს გახლდათ ხარკოვის მისადგომების გასაღები. მივიღეთ სათანადო საბრძოლო გადაწყვეტილებანი, დავაზუსტეთ მზვერავებისაგან მიღებული ცნობები. ჩვენი შენაერთი გამოვიდა საბრძოლო პოზიციებზე და დავიწყეთ შეტევა.

ამ ბრძოლების დროს გერმანელებს დიდი ზარალი მივაყენეთ; მტერი სულ ახალ-ახალ შევსებას ღებულობდა, ამ ადგილებში გადმოჰყავდა არტილერიის, სატანკო ჯარებისა და ავიაციის ახალ-ახალი პოლკები. ეს გააფთრებული, სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობდა ერთი კვირის განმავლობაში. მტერმა იგრძნო ჩვენი შეტევის ძალა და იძულებული გახდა მთელი ყურადღება ამ მიმართულებით გადმოეტანა. იძულებული გავხდით მოგერიებაზე გადავსულიყავით, რათა დროც

მოგვეგო და მტრის ცოცხალი ძალისათვისაც მეტი ზიანი მიგვეყენებინა, მისი ტექნიკაც მწყობრიდან გამოგვეყვანა. მხოლოდ შემდეგ უნდა გადავსულიყავით გამანადგურებელ შეტევაზე. ჩვენი შენაერთის ნაწილები აწარმოებდნენ აქტიურ მოგერიებას, დაზვერვას, ამასთან მივმართავდით ცალკეულ ოპერაციებს ჩვენი პოზიციების გაუმჯობესებისათვის.

**1942 წლის ივლისი**

ჩვენს არმიაში შედიოდა N სომხური დივიზია, რომელიც აწარმოებდა მოგერიებით ბრძოლას კლეცკის ჩრდილო-დასავლეთით, დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით, დონის მარცხენა ნაპირებზე; დივიზიას ნაბრძანები ჰქონდა შეენარჩუნებინა ეს პლაცდარმი მომავალი შეტევისათვის სტალინგრადის მხრიდან; ერთი სიტყვით, დივიზიას უშუალო დახმარება უნდა გაეწია სტალინგრადის მიმართულებით მებრძოლი ნაწილებისათვის. საუბედუროდ ამ ამოცანას თავი ვერ გაართვა N შენაერთის მეთაურმა პოლკოვნიკმა უსენკომ. მან ვერ შესძლო ხელმძღვანელობა გაეწია შენაერთისათვის, მას არ აღმოაჩნდა ნებისყოფა და პრინციპულობა, ვერ გაუძღვა საქმეს და ყოველივე ამის შედეგად შესუსტდა შენაერთის ბრძოლისუნარიანობა. ცალკეული ნაწილები მოქმედებდნენ დამოუკიდებლად და არაორგანიზებულად. დივიზიის სარდლობის ეს სისუსტე კარგად გამოიყენა მტერმა და შენაერთს დიდი ზარალი მიაყენა: მტერმა დაიკავა სერიოზული პუნქტი კლეცკი. N შენაერთი არაორგანიზებულად იხევდა უკან და მტერს უთმობდა იმ ადგილებს, რომელზედაც ჩვენი ნაწილები უნდა გამაგრებულიყვნენ. შენაერთი თითქმის პარალიზებული იყო, ასე გადმოდიოდნენ ნაწილები დონის მარჯვენა ნაპირზე. თვითონ დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი უსენკო, იმედდაკარგული და სელჩაქნეული, დონის მარჯვენა ნაპირიდან გაჰყურებდა, თუ როგორ უწესრიგოდ, გაჭირვებით გადმოდიოდნენ ჯარისკაცები დონზე. დონის გადმოლახვა ხშირად იმასაც კი უჭირდა, ვინც ცურვა იცოდა. ზემდგომ უფროსებს ათი დღის განმავლობაში მოჰყავდათ წესრიგში ეს პარალიზებული დივიზია. პოლკოვნიკი უსენკო ამ უთაურობისათვის განთავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან.

ორიოდე სიტყვა ამ დივიზიის შესახებ. ეს ის ისტორიული სომხური

დივიზიაა, რომელმაც თავი ისახელა ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დროს; შედიოდა რა მე-11 არმიის შემადგენლობაში, დივიზიამ აქტიური დახმარება გაუწია სომხეთისა და საქართველოს აჯანყებულ მშრომელებს, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის იბრძოდნენ. ამ სახელოვანი ბრძოლებისათვის დივიზია დაჯილდოებული იყო წითელი დროშის საბრძოლო ორდენით.

სამამულო ომის წლებში ხსენებულ დივიზიაში იბრძოდნენ სომხეთის საუკეთესო შვილები — კაპიტანი პეტროსიანი, კაპიტანი ჩითახიანი, უფროსი ლეიტენანტები სარქისიანი, მინასიანი, მოსესიანი, ლეიტენანტი ანტონიანი, რიგითი მებრძოლები ხანჯიანი, გრიგორიანი, აინადიანი, კაპიტანი ქოჩარი, სამხედრო ექიმი, მაიორი სუმბათიანი და სხვები. აქვე იყვნენ აზერბაიჯანელები — პოლიტმუშაკი ალიკბეროვი, კაპიტანი ჯუმაევი, სერჟანტები: მიქაელ კაბრიბოვი, ჰუსეინ ტაგიევი, იუსუფ გამოდოვი, აბდულ ახუნდოვი, ჰამზა სადუხოვი და სხვა მრავალი. ქართველებიდან დივიზიაში შედიოდნენ — სერჟანტი-არტილერისტები ხოფერია, კაპიტანი შ. ი. ბერიძე, პოლკოვნიკები ლ. ერისთავი და მიქაბერიძე, უფროსი ლეიტენანტები სვანიძე, ღამბაშიძე, ლეიტენანტი სეხნიაშვილი, მზვერავი ტრაპაიძე, მაიორი ლომთათიძე, მაიორი კლარა ხოჭოლავა, კაპიტანი მაჭავარიანი, კაპიტანი ლოლაძე, მეკავშირე რადისტი კობა ივანიძე, ვერულავა, შ. იოსელიანი, ლ. ჯავახიშვილი, გ. აბაშიძე, ნ. მგელაძე და სხვ. დივიზიაში მრავლად იყვნენ რუსებიც, მათ შორის დივიზიის კომისარი პოლკოვნიკი პიჩერსკი, პოლიტმუშაკი მაიორი მოროზოვი, კაპიტანი კოვალიოვი, კაპიტანი დემენტიევი, პოლკოვნიკი ოვჩინიკოვი, პოდპოლკოვნიკი სუშკოვი, პოდპოლკოვნიკი ბელოვი, პოლკოვნიკი გოროხოვი და სხვა მრავალი. აქვე იყვნენ უკრაინელები, ყაზახები და თითქმის ყველა მოძმე ხალხის შვილები. N სომხური დივიზიის ეს ოფიცრები და ჯარისკაცები დიდად აფასებდნენ ამ სახელგანთქმული დივიზიის ტრადიციებს და ბუნებრივია, რომ ვერ ურიგდებოდნენ დივიზიის წარუმატებლობას. როგორც აღვნიშნეთ, მთავარი მიზეზი დივიზიის წარუმატებლობისა იყო დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი უსენკო, რომელმაც თავისი უსუსურობით და უთაურობით ლაჟა მოსცხო ამ ძველ, საუკეთესო შენაერთს; ეს ამბავი დიდად აწუხებდა დივიზიის შესანიშნავ მებრძოლებს, რომელთაც სახელები ნაწილობრივ ჩვენ ზემოთ ჩამოვთვალეთ.

შენაერთი, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, N სომხურ დივიზიასთან ერთად, შედიოდა N არმიაში, რომელსაც გენერალი ივანე ჩიხეილის ძე ჩისტიაკოვი მეთაურობდა. არმიის შტაბი იმყოფებოდა ქალაქ მიხაილოვში (სტალინგრადის ოლქი). პირველ აგვისტოს მივიღე არმიის სარდლის დეპეშა — დაუყოვნებლივ უნდა გამოვცხადებულიყავი არმიის შტაბის სამხედრო საბჭოში.

ამ დეპეშამ ძალიან შემაფიქრიანა, მთელი ღამის განმავლობაში ვცდილობდი მივხვედრილიყავი, თუ რა უნდა ყოფილიყო მიზეზი ჩემი ასეთი სასწრაფო გამოძახებისა; დილის ხუთ საათზე გამოვცხადდი შტაბში. მის დერეფნებში სრული სიჩუმე სუფევდა. ფხიზლობდნენ მორიგეები. რამდენიმე წუთის შემდეგ გენერალი რიბკო შეხვიდა. იგი ღიმილით შემეგება და ორივე ხელი გამომიწოდა.

— ამხანაგო გენერალო! — მივმართე მას, — რაშია საქმე, რისთვის ვარ გამოძახებული?

— თქვენი აქ ჩამოსვლის შესახებ მოვახსენებ სარდალს, მანამდე კი გთხოვთ, გაჰყვეთ ჩემს ადიუტანტს სასადილოში სასაუზმოდ.

საუზმის შემდეგ ისევ შტაბში დავბრუნდი; იქ არმიის სარდალი გენერალი ჩისტიაკოვი შემეგება და მკითხა:

— აბა, მითხარით როგორია თქვენი შენაერთის საერთო მდგომარეობა?

მე დაწვრილებით მოვახსენე ყველაფერი. შემდეგ მან მითხრა:

— თქვენ კარგად იცნობთ იმ ბრძოლებს, რომლებიც ჩაატარეთ. ამ ბრძოლებში თავი გამოიჩინეთ როგორც მარჯვე და საზრიანმა ხელმძღვანელმა; ამიტომ დიდ იმედს ვამყარებთ თქვენზე. უნდა მიიღოთ ახალი დანიშნულება მძიმე უბანზე, სადაც საჭიროა მაგარი ხელი და კარგი ხელმძღვანელი. როგორც მოგეხსენებათ, N შენაერთი, აქ, ფრონტზეც, თქვენი მეზობელია და იქაური მებრძოლებიც ერთი მხრის ხალხი ხართ, კავკასიელები. ამ დივიზიის ყოფილმა მეთაურმა ვერ გაამართლა ჩვენი იმედები. მან სირცხვილი გვაჭამა ჩვენცა და იმ სახელოვან შენაერთს. გეევალებათ, მიიღოთ შენაერთის ხელმძღვანელობა. უნდა აღვადგინოთ მისი ძველი სახელი და ღირსება. აბა, თქვენ იცით. გისურვებთ წარმატებებს; ამის შემდეგ მე პირდაპირ N შენაერთის შტაბში გავემგზავრე, რომელიც სოფელ პოდპეშინსკოეში იმყოფე-

ბოდა. ადგილზე მისვლისთანავე შემეგება დივიზიის კომისარი პოლკოვნიკი გიორგი ნიკოლოზის ძე პიჩერსკი, დივიზიის შტაბის უფროსი პოდპოლკოვნიკი შევჩენკო და არტილერიის უფროსი ბობროვნიკოვი, კავშირგაბმულობის უფროსი ლაზარევი. დავიწყეთ გულახდილი საუბარი — გავარჩიეთ შენაერთის ცალკეული ოპერაციები, შემდეგ მე და პიჩერსკი გავემგზავრეთ ნაწილებში, წინა ხაზზე; იქ გავეცანით ნაწილების მეთაურებს, რიგით მებრძოლებს და საერთოდ მთელი დივიზიის შემადგენლობას. მე მიყვარდა ეს დივიზია და ძალიან გამეხარდა, როცა აქაური მეთაურებიც და ჯარისკაცებიც გულთბილად შემხვდნენ. დივიზიას საუკეთესო კადრები ჰყავდა, აქ მუშაობდა კარგად მომზადებული პოლიტშემადგენლობა და ბრძოლისუნარიანი პარტიული ორგანიზაცია. ერთი სიტყვით, დივიზიას ჰქონდა ყველა პირობა, ყველა მონაცემი იმისათვის, რომ ერთ-ერთი ნოწინავე შენაერთი ყოფილიყო. ჩვენ ყველამ მიზნად დავისახეთ ეს შენაერთი მოწინავე გვარდიულ დივიზიად გადაგვექცია. ვიბარებდი რა ამ დივიზიას, მახსენდებოდა, რომ საუკუნეთა მანძილზე ქართველები და სომხები ერთად, მხარდამხარ ვებრძოლით შემოსეულ მტერს. კავკასიელი ხალხების ძმობა ხომ სისხლით იყო განმტკიცებული. წინაპრების ეს ტრადიცია ბევრს გვავალებდა. ჩვენც გულდაგულ შევუდექით მუშაობას, რათა გაგვემართლებინა სამშობლოს დიდი ნდობა.

ჩვენი დივიზიის ნაწილები ამ დროს განლაგებული იყო მდინარე დონის მარჯვენა სანაპიროზე და აწარმოებდნენ აქტიურ მოგერიებით ბრძოლებს, ამაგრებდნენ საინჟინერო ნაგებობებს და ეწეოდნენ მტრის დაზვერვას. ჩვენი ნაწილები იყენებდნენ ძიების ყოველგვარ საშუალებებს; უნდა შეგვესწავლა მტრის ცოცხალი ძალა, იარაღი, ტექნიკა. ამ ამოცანის შესასრულებლად ჩამოყალიბებული იყო სპეციალური დანაყოფები, რომლებშიც შედიოდნენ მოწინავე მებრძოლები და მეთაურები, პარტიულები და კომკავშირლები. მათ რიცხვს ეკუთვნოდა კომკავშირელი ქალიშვილი ელენე სტემპკოვსკაია, რომელიც მოწინავე მებრძოლი მეკავშირე იყო; მას არ ეშინოდა მტრისა, არაერთხელ შეუსრულებია საბრძოლო ამოცანა. ჯარისკაცთა შორის იგი სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით. ელენე ჯარში მოხალისედ იყო წამოსული. იგი პირნათლად ასრულებდა კომკავშირულ ფიცს და ყოველთვის მზად იყო თავი შეეწირა სამშობლოსათვის. ეს იყო საშუალო ტანის,

ფერმკრთალი, ლამაზი შესახედაობის გოგონა, მაგრამ ვაქკაცური იერით, უბრალო, თავმდაბალი, მეგობრების მოყვარული.

დაზვერვის შედეგად ნაწილს მიღებული ჰქონდა ცნობა, რომ მტერი ახდენდა გადაჯგუფებას და, ალბათ, შეტევაზე აპირებდა გადასვლას. შტრის ამ მოსალოდნელი განზრახვის დასაზუსტებლად საჭირო იყო ტექნიკური ძიების ჩატარებაც, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ უნდა აღმოგვეჩინა მტრის სატელეფონო ხაზები, ჩაგვერთო მასში ჩვენი აპარატი და ამ გზით მტრის ლაპარაკი მოგვესმინა. ამით ჩვენ საშუალება გვეძლეოდა გამოგვერკვია მტრის განლაგება, რაოდენობა და საცეცხლე პოზიციები. ამ ამოცანის შესასრულებლად გაიგზავნა ელენე სტემპკოვსკაია. ის მიდიოდა ფრთხილად, ყურადღებით. გაიარა რა საკმაო მანძილი, შეამჩნია გერმანელთა რამდენიმე ათეული ჯარისკაცი. ელენემ იმ წუთშივე ავტომატიდან გახსნა ცეცხლი, რის შედეგადაც რამდენიმე გერმანელი სიცოცხლეს გამოასალმა, მაგრამ მალე გამოელია ვაზნები, ხოლო გერმანელები სულ უფრო და უფრო ავიწროვებენ რკალს. ელენემ უკანასკნელად აიღო თოფი და მის წინ წამომდგარ გერმანელს უკანასკნელი ტყვია დაახალა, თვითონ კი, მძიმედ დაჭრილი, იქვე დაეცა. გერმანელებმა იგი ხელში ჩაიგდეს, მათ სურდათ მიეღოთ ცნობები ჩვენი ნაწილების შესახებ, მაგრამ ამაოდ, ელენეს, მიუხედავად აუტანელი წამებისა, ვერაფერი ვერ ათქმევინეს. არაადამიანური წვალების შემდეგ იგი მოკლეს. ასე პირნათლად, მტკიცედ და გმირულად შეასრულა მებრძოლმა კომკავშირელმა გოგონამ საბრძოლო დავალება. მას ამისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. დივიზიაში მისი გმირობისა და მამაცობის შესახებ შეიქმნა საბრძოლო სიმღერები, დაიწერა ლექსები.

ამავე წელს ჩვენ ნაწილში მსახურობდა მოსწავლე-მებრძოლი კომკავშირელი ალექსი პიჩერსკიც, რომელიც ასევე მოხალისედ იყო ჯარში წასული. იგი დაბალი ტანის, კუნთმაგარი ახალგაზრდა იყო. გამომეტყველება ჰქონდა უბრალო, პირველი შეხედვისთანავე იპყრობდა ადამიანის ყურადღებას მისი მოსიყვარულე თვალები. ნაწილში იგი სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით, ითვლებოდა მოწინავე მებრძოლად და უფროსების ყველა დავალებას ზუსტად ასრულებდა; ამიტომაც იყო, რომ მას ყოველთვის რთულ და მძიმე ამოცანებს ავალებდნენ. როგორც კარგი მებრძოლი, იგი მიღებულ იქნა პარტიის რიგებში.

პარტიაში შესვლიდან ერთი თვის შემდეგ სწორედ მას დაევალა მეტად რთული ამოცანის შესრულება.

გერმანელთა განლაგებაში იყო ერთი რთული ნაგებობა — ძელმიწური, იგი მოთავსებული იყო მაღალ ადგილას, საიდანაც ხელისგულივით ჩანდა ჩვენი ნაწილების განლაგება. ძელმიწურში ჩასაფრებული გერმანელები ტყვიამფრქვევის ცეცხლით საშუალებას არ იძლეოდნენ მოქმედებისათვის და დიდ ზიანს გვაყენებდნენ. საჭირო იყო მისი მოსპობა. ვერც საარტილერიო ცეცხლმა, ვერც ნაღმმტყორცნებმა და ვერც ავიაციამ ვერ მოახერხა მისი განადგურება. ნაწილის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა როგორმე ხელში ჩაეგდო ეს ნაგებობა.

ამისათვის გამოყენებულ იქნა სპეციალური დანაყოფი, რომელსაც დაევალა ამ ძელმიწურის განადგურება. აი, ამ დანაყოფში იმყოფებოდა ალექსიც. დაიწყო შეტევა. ცოტა მანძილის გავლის შემდეგ უცბად დანაყოფიდან გამოცალკევდა ალექსი, სწრაფად, მტრის ძლიერი ცეცხლის მიუხედავად, იგი წინ გაიჭრა და მთელი ტანით დაფარა ძელმიწურის ამბრაზურა. სიკვდილის წინ მის უკან მიმავალ თავისი დანაყოფის მებრძოლებს შესძახა:

— ვკვდები სამშობლოსათვის, წინ, ამხანაგებო!

ალექსის ამ გმირული მოქმედების შედეგად დანაყოფმა შესძლო ხელთ ეგდო ეს სიმაგრე და ამით გზა გაუხსნა ნაწილებს შეტევისათვის.

ალექსი პიჩერსკის ამ გმირული მოქმედებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

### 1942 წლის სექტემბერ-ოქტომბერი

როგორც უკვე აღვნიშნე, N დივიზია შედიოდა N არმიაში, ხოლო N არმია თავის მხრივ შედიოდა დონის ფრონტის შემადგენლობაში, რომლის სარდალი იყო სახელგანთქმული მხედართმთავარი, საბჭოთა კავშირის მარშალი კ. კ. როკოსოვსკი. N არმია მოქმედებდა დონის ფრონტის მარჯვენა ფრთაზე; მან შემდგომში გადამწყვეტი როლი ითამაშა სტალინგრადთან მტრის დაჯგუფების განადგურებაში. N წითელდროშოვანი კ. ე. ვოროშილოვის სახელობის სომხური დივიზია განლაგებული იყო დონის მარჯვენა სანაპიროზე და აწარმოებდა აქ-

ტიურ მოგერიებით ბრძოლებს, ამაგრებდა საინჟინრო ნაგებობებით თავის პოზიციებს, აწარმოებდა მტრის დაზვერვას. ახლა საჭირო იყო ხელთ გვეგდო მოენე, ტყვე და ისიც არა ერთი; უამისოდ ძნელი იყო ზუსტი წარმოდგენა გვქონოდა მტრის ძალების შესახებ.

მოენეთა ხელში ჩაგდების მიზნით ყველა ნაწილში მაძიებელ-მზვერავთა ჯგუფები შევქმენით, რომლებიც ძირითადად დაკომპლექტებული იყო მოწინავე მებრძოლებითა და მეთაურებით. დავიწყეთ ამ ჯგუფების მომზადება. მათ შორის დიდი მუშაობა ჩაატარა პოლიტმეთაურთა შემადგენლობამ, პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციამ.

და აი, მაძიებელ-მზვერავთა ჯგუფებმა დაიწყეს მოქმედება. პირველმა ღამემ იმედი გაგვიცრუა, უშედეგოდ დამთავრდა; მეორე ღამეს კი ჩვენმა მზვერავებმა ხელთ იგდეს ხუთი ტყვე სხვადასხვა ნაწილიდან; მათგან მეტად საჭირო ცნობები მივიღეთ, გავიგეთ, რომ ჩვენი შენაერთის წინააღმდეგ მოქმედებდნენ რუმინეთის მეორე და მესამე ქვეითი დივიზიები. ეს დივიზიები შედიოდნენ მესამე კორპუსში და მათ დაკავებული ჰქონდათ ყველა სამეთვალყურო და სტრატეგიული პუნქტები დონის მარცხენა ნაპირზე. ყველა ამ ადგილის ცენტრს წარმოადგენდა კლეცკი, რომელიც გამაგრებული იყო საინჟინრო ნაგებობებით. ეს ის კლეცკია, რომელიც დატოვა N დივიზიამ უსენკოს უთაურობის გამო. ტყვეები ახლა უფრო ხშირად გვივარდებოდნენ ხელში, ამ გზით ნათელი წარმოდგენა მივიღეთ მტრის განლაგების შესახებ. ამის გარდა, ვაკვირდებოდით რა ტყვეებს, აშკარად ვხედავდით, რომ ისინი იძულებით წამოეყვანათ რუსეთში საბრძოლველად. გამარჯვების რწმენა მათ არა ჰქონდათ და საცოდავად გამოიყურებოდნენ. მათმა გარეგნობამ თავისებური გავლენა მოახდინა ჩვენს მებრძოლებზე. ისინი დარწმუნდნენ, რომ სირცხვილი იყო ამ საცოდავებთან ბრძოლის წაგება. გარდა ამისა, კლეცკი N დივიზიისათვის იყო შავი ლაქა და ამ სირცხვილის ჩამორეცხვას თვითეული მებრძოლი მოუთმენლად ელოდა. დივიზია სრულ საბრძოლო მდგომარეობაში იყო და შეგვეძლო მეტად სერიოზული ოპერაციების ჩატარება. ზუსტად შევისწავლეთ ადგილმდებარეობა, შტაბში დავაზუსტეთ მზვერავთა ცნობები და იმ დასკვნამდე მივედით, რომ საჭირო იყო დონის მარცხენა ნაპირზე პლაცდარმების დაკავება, რაც დღეს თუ ხვალ ძლიერ გამოგვადგებოდა სტალინგრადთან გერმანელების დაჯგუფების სრული

განადგურებისათვის. საჭიროდ ვცანით, არმიის სარდლისათვის გვეცნობებინა ჩვენი გადაწყვეტილება, რომელიც შემუშავებული გვქონდა პოლკების მეთაურებისა და დივიზიის კომისრის პიჩერსკის მონაწილეობით. 20 ოქტომბერს მე და პიჩერსკი გავემგზავრეთ არმიის სარდალ ჩისტიაკოვთან. საღამოს 7 საათზე მან მოისმინა ჩვენი ოპერატიული გეგმა კლეცკისა და სიმაღლე 186-ის აღების შესახებ.

გეგმა რომ გავაცანი, ჩისტიაკოვი ერთ ხანს დაფიქრდა, გაიღიმა და თქვა: მეტად სერიოზული ოპერაცია დაგისახავთ, დამოუკიდებლად, მარტო თქვენი ძალებით მაგის განხორციელებას ვერ შეძლებთ და შესაძლებელია სირცხვილი ჭამოთ. ვაწარმოოთ ჯერჯერობით მოგერიებითი ბრძოლები, რომ მტერს დონის გადმოლახვის საშუალება არ მივცეთ; შემდგომ კი ვნახოთ... დაგახმართ სხვა ნაწილებსაც და ვცადოთ თქვენი ამოცანის განხორციელებაო. მე დაბეჯითებით ვთხოვე სარდალს ნება დაერთო ამ ოპერაციისა, ამასთან ისიც ვუთხარი, რომ დივიზია სავსებით ბრძოლისუნარიანია, თვითეული მებრძოლი, მეთაური და პოლიტმუშაკი დაინტერესებული იყო ამ საქმით. ჩემი დაბეჯითებით თხოვნის შემდეგ არმიის სარდალმა აიღო ყურმილი და მოახსენა ფრონტის სარდალს კ. როკოსოვსკის ჩვენი გადაწყვეტილების შესახებ. რამდენიმე წუთის შემდეგ ჩისტიაკოვმა ნება დაგვრთო და ისიც მითხრა, რომ ფრონტის სარდალი უშუალო მონაწილეობას მიიღებს ამ ოპერაციის ჩატარებაშიო. შემდეგ დაუმატა: მოამზადეთ ყველაფერი პოლკებში და დანაყოფებში ამ ოპერაციის ჩატარებისათვის, ოპერაციის დაწყების ვადას გაცნობებთ, როდესაც გავსინჯავთ თქვენი ნაწილების მზადყოფნასო. ამასთან ისიც მიბრძანა, მომემზადებინა ფრონტის სარდლისათვის და მისთვისაც სამეთვალყურო პუნქტები, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა თვალის დევნება ოპერაციის მსვლელობისათვის.

დიდად აღფრთოვანებული დავბრუნდით შენაერთში. ჩვენ ღრმად ვიყავით დარწმუნებული ამ სერიოზული ოპერაციის წარმატებაში. 21 ოქტომბერს შევკრიბეთ ნაწილების მეთაურები, პოლიტმუშაკები და პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელები, ვაცნობეთ მათ ფრონტისა და არმიის სარდლობის გადაწყვეტილების შესახებ. დიდი სიხარული გამოიწვია ამ ცნობამ, მათ კვლავ იგრძნეს უდიდესი პასუხისმგებლობა ოპერაციის შესრულებისათვის.

დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. შევუდექით ნაწილებისა და დანაყოფების მომზადებას ამ ოპერაციის ჩასატარებლად. გამოვყავით

სამოსწავლო ნაწილი, რომელსაც მეთაურობდა მაიორი ზაიცევი და უფროსი ლეიტენანტი გიორგი სვანიძე, პოლიტდარგში მათი თანაშემწე იყო კაპიტანი მასლოვი. ამას გარდა, გამოვყავით N მსროლელი პოლკი, რომელსაც მეთაურობდა პოლკოვნიკი სუშკოვი, პოლიტდარგში მას თანაშემწედ ჰყავდა კაპიტანი მოროზოვი. ეს ნაწილები გავაძლიერეთ არტილერიით და ნაღმტყორცნებით, რომელსაც მეთაურობდა მაიორი მოროზოვი. ოპერაციაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღოთ დანაყოფებს, რომლებსაც მეთაურობდნენ ქოჩარიანი, გალუსტიანი, მოვსესიანი, ოგანესიანი, ამბარცუმიანი, ნაზარეთიანი, გევორქიანი, ჰამზა სადიზოვი, ახუნდოვი, მამედოვი, ალიბეგოვი, ასლანოვი, მიქაბერიძე, ხოფერია, სვანიძე, კერესელიძე, კაპიტანი შ. ი. ბერიძე, შენგელია, ლომთათიძე, დემენტიევი, ჩითახიანი, ხანჯიანი, ჯუმაევი და სხვები.

დაიწყო საჩვენებელი მეცადინეობები. პოლიტმუშაკებმა, პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ჩაატარეს საუბრები და თვითეულ კომუნისტსა და კომკავშირელს დაუსახეს საბრძოლო ამოცანა.

მეთაურთა შემადგენლობა დღედაღამ სწავლობდა ოპერაციის გეგმას, ადგილმდებარეობას, გასასვლელებს, წინასწარ ითვალისწინებდა, თუ ვის როგორ და სად უნდა ემოქმედნა. დანაყოფები შეესებული იქნა საბრძოლო საჭურველით. დივიზიაში ჩამოყალიბებული იყო ჯაზ-ორკესტრი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ერევნის ფილარმონიის წამყვანი მუსიკოსი აკოფ ხანჯიანი. მან დაამუშავა საუკეთესო საბრძოლო სიმღერები და გამართა მრავალი კონცერტი. ყოველივე ამან გამოცოცხლება შეიტანა მებრძოლებში, აამაღლა მათი საბრძოლო სულისკვეთება. დაუღალავად მუშაობდა კაპიტანი ჰრაჩია ქრჩარი, რომელიც ომის პირველი დღიდან მოხალისედ იყო წამოსული; ის მიდიოდა წინა ხაზზე, მებრძოლებთან, ეწეოდა საბრძოლო-სააგიტაციო მუშაობას, აქვეყნებდა მრავალ წერილს პრესის ორგანოებში მოწინავე მებრძოლებისა და მეთაურების ამა თუ იმ საგმირო საქმეების შესახებ. ყოველივე ეს უდავოდ დიდ მორალურ ზეგავლენას ახდენდა მებრძოლებსა და მეთაურებზე.

8 ოქტომბერს არმიის სარდალს მოვახსენე ჩვენი სრული მზადყოფნის შესახებ. ოპერაციის დაწყების ვადად 24 ოქტომბერი დაგვინიშნეს; თანაც ჩისტიაკოვმა დაუმატა — მანდ ვიქნებით მე და ფრონ-

ტის სარდალი, იმოქმედეთ ფრთხილად და გონიერულად, ეს მეტად სერიოზული ოპერაციაა. ბრძოლის დაწყების შემდეგ, დილით, დამხმარე ძალებს გამოგიგზავნითო.

ჩვენს წინ გაწოლილიყო მდინარე დონი. უკვე საკმაოდ ციოდა, ხეებს ფოთლები გასცვენოდა. დონის გაღმა აქა-იქ მოჩანდნენ მტრის ჯარისკაცები, გადამწვარი და გაძარცული სახლები, აოხრებული და გაპარტახებული კარ-მიდამოები და ეზოები. მტრის გარნიზონი არ მოელოდა ჩვენს შეტევას და არხეინად გრძნობდა თავს.

და აი, 24 ოქტომბერიც დადგა. ღამის ორი საათია. ნაწილებმა და დანაყოფებმა დაიკავეს შეტევის საწყისი ადგილები. მეთაურები თავიანთ სამეთვალყურეო პუნქტებზე არიან, იერიში დანიშნული იყო ღამის ორი საათისათვის. სამ საათსა და 30 წუთზე შემახსენეს, რომ ფრონტისა და არმიის სარდლები იმყოფებიან თავის სამეთვალყურეო პუნქტზე. მოვახსენე არმიის სარდალს, რომ ნაწილები და დანაყოფები მზად არიან იერიშის დასაწყებად. წარმატებას გისურვებთო, — გადმოგვცა ფრონტის სარდალმა. სრულ ოთხ საათზე დაიძრნენ ჩვენი ნაწილები, ჩუმად გადავლახეთ დონი. ეს მტრისათვის სრულიად მოულოდნელი იყო. მთავარი დარტყმა მოვახდინეთ მარჯვენა მხრიდან, სადაც ხელს გვიწყობდა ადგილმდებარეობა; აქედან ადვილი იყო მტრის ზურგში შეჭრა და სიმაღლე 186-ის აღება. შეუმჩნევლად გავედით სოფელ ფატკინის ახლოს მდებარე ხევში, რომელიც მთლიანად დანაღმული იყო. დღისით ეს ხევი არტილერიისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლის ქვეშ იყო მოქცეული, ღამით კი მას გაძლიერებული პატრულები იცავდნენ. უნდა გავსულიყავით უხმოდ, თოფის გაუსროლელად და ასე მიგვეღწია სიმაღლემდე. ეს სიმაღლე იყო კლეცკაიას გასაღები. აქ დარტყმა მხოლოდ ზურგიდან შეიძლებოდა.

და აი, როდესაც მტერი კლეცკაიას მხრიდან გველოდა, მათთვის სრულიად მოულოდნელად ჩვენ ზურგიდან დავარტყით. დაბნეულმა მტერმა გახსნა საარტილერიო ცეცხლი ზემოხსენებული სიმაღლიდან და კლეცკაიას მიმართულებით თავის ნაწილებს დაუშინა. ამ არეულობითა და პანიკით ვისარგებლეთ, ხევიდან გამანადგურებელი იერიში მივიტანეთ და სიმაღლე 186 ავიღეთ. გავმაგრდით ამ სიმაღლეზე და გამოვყავით ცალკეული დანაყოფები კლეცკაიას გასანთავისუფლებლად. იმ ღამით ტყვედ ჩაგვივარდა მე-18 ქვეითი დივიზიის მთელი შტაბი, ამას გარდა, 1800-ზე მეტი გერმანელი დავატყვევეთ.

ამის შემდეგ უფრო გავმაგრდით სიმაღლეზე და გავანთავისუფლეთ კლეცკაია. მესანგრეთა ნაწილებმა დაუყოვნებლივ ააგეს გადასასვლელი ხიდები და პონტონები დონზე, რის შედეგად საშუალება მოგვეცა გადაგვეყვანა არტილერია და ნაღმტყორცნთა ჯგუფი მდინარის გაღმა; ამით დიდად გავაძლიერეთ მომგერიებელი ნაწილები, რადგან მოსალოდნელი იყო მტრის იერიში.

ფრონტის სარდალმა არმიის სარდლის მეშვეობით მთელ ჩვენს შენაერთს მადლობა გამოუცხადა საბრძოლო ამოცანის ბრწყინვალედ ჩატარებისათვის და მიბრძანა წარმედგინა ჯილდოზე ისინი, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ამ ბრძოლაში. ამასთანავე მიბრძანა, გავმაგრებულიყავით და მტრისათვის არ დაგვეთმო ეს მონაპოვარი. ფრონტის სარდალი შეგვპირდა, რომ დასახმარებლად სხვა ნაწილებს მოგვაშველებდა.

იმ ხანებში ხელთ ჩაგვივარდა მეტად საინტერესო ცნობა. ფელდმარშალი პაულიუსი რადიოს საშუალებით ბრძანებას აძლევდა მე-3 არმიის კორპუსს, რათა მიეღო ყოველივე ღონისძიება, არ დაეზოგა არაფერი იმისათვის, რომ დაებრუნებინა დაკარგული პოზიციები, დაებრუნებინა კლეცკაია და გაენადგურებინა საბჭოთა ნაწილები. წინააღმდეგ შემთხვევაში პაულიუსი საველე ტრიბუნალით იმუქრებოდა. ამ ბრძანების შესასრულებლად გერმანელებმა დილის ცხრა საათიდან დაიწყეს ფსიქიური იერიში, მთელი დღის განმავლობაში გადმოდიოდნენ კონტრიერიშზე. გააფთრებით გვიტევდნენ.

მაგრამ N დივიზია, როგორც რკინის აუღებელი კედელი, არ თმობდა არც ერთ მტკაველს. ის იგერიებდა მტრის ყოველ შემოტევას. რუსები, ქართველები, სომხები, უკრაინელები, აზერბაიჯანელები, ბელორუსები, ყაზახები გმირულად იდგნენ წითელდროშოვანი სომხური დივიზიის ღირსების დასაცავად. საბრძოლო ამოცანის ბრწყინვალედ შესრულებისათვის დივიზიას მიენიჭა N გვარდიის დივიზიის წოდება, ბევრი მეთაური და რიგითი ჯარისკაცი დაჯილდოებულ იქნა საბჭოთა ორდენებითა და მედლებით.

ამ ოპერაციების ჩატარების შედეგად ხელთ გვქონდა აუცილებელი პლაცდარმები, რომლებიც საშუალებას აძლევდნენ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარებს შემდგომში დაეწყოთ გადამწყვეტი შეტევითი ბრძოლები სტალინგრადთან გერმანელების დაჯგუფების განადგურე-

ლ. დ. ერისთავი

კ. კ. ქარჩავა

გრ. ფ. სვანიძე

კ. მ. ხოჭოლავა

ბისათვის. სწორედ ეს ოპერაცია ცნობილია ისტორიაში როგორც გერმანიის ჯარების განადგურების დასაწყისი.

**1942 წლის 25 თებერვალი**

გავიდა ცხრა თვე დიდი სამამულო ომის დაწყებიდან. ჰიტლერულმა არმიამ გამასადგურებელი დარტყმები იგემა ჩრდილოეთ კავკასიაში, დონის ველებზე, ვორონეჟთან, ცენტრალურ ფრონტზე, ლენინგრადთან. მტერმა უდიდესი ზარალი ნახა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

* * *

ცივი დღეები დაიჭირა. ზამთარი დგებოდა. დონი თანდათან იყინებოდა. იწყებოდა ჩვენი გენერალური შეტევა გერმანელთა ჯარების იმ დაჯგუფების წინააღმდეგ, რომელიც სტალინგრადთან იყო დაბანაკებული.

ამ გრანდიოზულ ოპერაციაში უშუალო მონაწილეობას ღებულობდნენ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი (სარდალი — გენერალი ვატუტინი), დონის ფრონტი (სარდალი—გენერალი როკოსოვსკი), სტალინგრადის ფრონტი (სარდალი—გენერალი ერიომენკო); აქვე იყვნენ უმაღლესი მთავარსარდლობის წარმომადგენლები—გენერალი ვასილევსკი და გენერალი ვორონოვი.

გენერალური შეტევა დაიწყო 19 ნოემბერს. ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს შეტევის საწყისი ადგილები, არტილერიამ — თავისი პოზიციები, მეთაურთა შემადგენლობამ — თავიანთი სამეთვალყურეო პუნქტები.

დადგა დრო მტერზე შურისძიებისა, იწყებოდა მტრის არმიის განადგურება. მთელი საბჭოთა ხალხი, მთელი მსოფლიო დაძაბული ყურადღებით ადევნებდა თვალს ამ ისტორიულ ბრძოლებს.

19 ნოემბერს, დილის ოთხ საათზე, ტელეფონზე გამომიძახეს. არმიის სარდალმა გენერალმა ჩისტიაკოვმა გადმომცა დრო იერიშის დაწყებისა, დაგვისახა მოქმედების გეგმა, საბრძოლო ამოცანა და წარმატება უსურვა ჩვენს შენაერთს. პირადად ჩემი წინადადებით, ფრონტის წინა ხაზზე, სანგრებში გადავიყვანეთ მთელი სასულე ორკესტრი

კაპიტან ფილატოვის ხელმძღვანელობით და ჯაზ-ორკესტრი ლეიტენანტ აკოფ ხანჯიანის ხელმძღვანელობით.

დილის შვიდ საათზე სამეთვალყურეო პუნქტიდან შუშხუნის გასროლით ვამცნე შენაერთს გენერალური იერიშის დაწყება. ორკესტრებმა დასცხეს სამხედრო მარში. დაიწყო იერიში. ჰქუხდა ბრძოლის ხმა, გუგუნებდა მუსიკა, ეს იყო ჰანგები გამარჯვებისა; გაისმოდა ძლევამოსილი ვაშა და წმიდათა წმიდა მოწოდება: „სამშობლოსათვის, სტალინისათვის!“ — ჩვენი ნაწილები დაუცხრომლად მიიწევენ წინ.

ბრძოლის ველზე ბინდი ჩამოწვა, სიბნელემ მოიცვა დონის არემარე, მაგრამ საარტილერიო ცეცხლი ჯერ კიდევ გრძელდებოდა. ნიავს ყრუდ მოჰქონდა გუგუნის ხმა, გეგონებოდათ დაჭრილი მხეცები ღმუიანო. მიწაც კი გმინავდა მძიმე და უჩვეულო დარტყმებისაგან. გვარდიის ნაღმტყორცნების ხანგრძლივი ქუხილი ყველა ხმას ჩრდილავდა. ვარდისფერ ალში გახვეული უზარმაზარი ისრების კონები მოექანებოდნენ ძირს და მუსრს ავლებდნენ მტერს. გერმანელები ღამის სიბნელეში პარაშუტებზე მიმაგრებულ რაკეტებს უშვებდნენ თვითმფრინავებიდან, იმ დამაბრმავებელ სინათლეზე წამიერად გამოჩნდებოდნენ მიწაზე გაწოლილი მებრძოლები, ისინი ცოცვით მიიწევდნენ მტრისაკენ, უახლოვდებოდნენ მას, რათა დარტყმა უფრო მკვეთრი და ეფექტური ყოფილიყო.

ეს უაღრესად მძიმე ბრძოლა იყო, რომელიც ჯერ კიდევ დილა ადრიან დაიწყო. აგერ სალამო დგებოდა და ჯერაც არ შეწყვეტილიყო. აი, კიდევ იგრიალეს ზარბაზნებმა, ხანგრძლივად და უფრო ძლიერად, შემდეგ უცებ დადუმდნენ. ახლა ქვეითი ჯარი მიდიოდა შეტევაზე. მებრძოლთა სახეებზე მრისხანება აღბეჭდილიყო. ყინვასა და ქარს მათი სახეები შავად შეეტრუსა.

საბჭოთა მეომრები ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ. მალე ქვეითი ჯარი სოფელში შეიჭრა. ერთი საათის შემდეგ ყველაფერი თითქოს მიწყუნარდა და დამშვიდდა.

ზარბაზნებმა იცვალეს თავიანთი საცეცხლე ადგილები და ნელა წაიწიეს წინ. მეკავშირეებმა სანგრებიდან მოხსნეს სატელეფონო ქსელი, მთელი მოწყობილობა ზურგზე წამოიკიდეს და ახლად განთავისუფლებული სოფლებისაკენ გასწიეს.

ადგილიდან დაიძრნენ საველე სამზარეულოებიც.

შუაღამისას ახლად აღებულ სოფელში თხრილში შენიღბულ სა-

ბარგო ავტომანქანას მივუახლოვდი; აქ იყო ჩვენი საველე შტაბი. მებრძოლებმა, რომლებიც „შტაბის“ მისასვლელთან შეჯგუფებულიყვნენ, მიცნეს სიბნელეში და გზა დამითმეს.

— მანქანაში თბილა? — ვიკითხე მე.

— დიახ, ღუმელი ანთია...

ავედი მანქანაზე, ქუდი ლურსმანზე ჩამოვკიდე, ფარაჯა გავიხადე და რევოლვერი იქვე დავდე.

გამოვიძახე არტილერიის უფროსი. იგი რამდენიმე წუთის შემდეგ გამოცხადდა. მე ვუთხარი:

— მომეცით ზუსტი ცნობები: პირველი — რამდენი საომარი მასალაა დარჩენილი ხვალინდელი ბრძოლისათვის. მეორე — პირადად შეამოწმეთ, როგორ მოეწყვნენ ჯარისკაცები ახალ სანგრებში და მესამე — დღევანდელი გმირები წარადგინეთ ჯილდოზე, გამოუცხადეთ მათ და მთელ შემადგენლობას ჩემი მადლობა. გათენებისას ჩვენ ისევ ერთად ვიქნებით.

— არის!

— აბა, ახლა საქმეს მიხედეთ.

არტილერიის უფროსის წასვლის შემდეგ მოვითხოვე ცნობები ყველა ქვეგანაყოფიდან მტრის დანაკარგისა და ზარალის შესახებ. თუმცა ეს მშრალი ციფრები იყო, მაგრამ ისინი ნათლად მეტყველებდნენ გარდახდილი ბრძოლის მასშტაბზე—მტერს რამდენიმე ათასი ჯარისკაცი დაჰკარგვოდა ერთი დღის განმავლობაში, განადგურებული იყო ორი საარტილერიო დივიზიონი და ნაღმმტყორცნელთა ათობით შენაერთი. ყველა ისინი მოსპო ჩვენი არტილერიის ცეცხლმა. ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზნებმა გაანადგურეს მტრის რამდენიმე ათეული ტანკი. ამავე დროს ჩვენი თვითმფრინავები ელვის სისწრაფით თავს დასხმოდნენ აეროდრომს და მტრისათვის საშუალება არ მიეცათ გადაერჩინა საომარი მასალები. ჩვენებმა იქ ხელთ იგდეს რამდენიმე ათეული თვითმფრინავი, რომლებიც გამზადებული იყო ასაფრენად. ტყვეების რიცხვი რამდენიმე ასეულს აღემატებოდა.

ეს ცნობები კარგი ამბების მაუწყებელი იყო.

— კარგი შედეგებია!—ვუთხარი შტაბის უფროსს პოლკოვნიკ ოვჩინიკოვს; იქვე იყვნენ დივიზიის კომისარი პოლკოვნიკი პიჩერსკი და კაპიტანი ქოჩარი. და, მართლაც, კარგად იბრძოლეს ჩვენმა არწივებმა. ძნელი იყო რიცხობრივად ჭარბ ძალასთან შებმა, მაგრამ მტერს ფრთე-

ბი შევუკვეცეთ და წელში გავტეხეთ. ახლა უკვე ნათლად დავრწმუნდით, რომ ყოველი შეტევის ბედი ფლანგებზე წყდება. უზრუნველჰყავი საკუთარი ფლანგები და შეუპოვრად წადი წინ, დაარტყი მტერს ფლანგებიდან, რკალში მოამწყვდიე და მოსპე. ისე უნდა მოახერხო ყველაფერი ეს, რომ მტერი განზრახვას ვერ მიგიხვდეს. მაშინ გამარჯვება შენს მხარეზეა.

დაზვერვამ გვაცნობა, რომ დაახლოებით ორი ათასეული ტანკით და დიდძალი ქვეითი ჯარით მტერი საპასუხო დარტყმისათვის ემზადებოდა. მდგომარეობა მძიმე და სერიოზული იყო.

გათენებისას ველოდით მტრის შემოტევას; მე დავიარე ყველა ქვეგანაყოფი, უველასთან მივედი, ვცდილობდი გამემხნევებინა მებრძოლები, გამარჯვების რწმენა გამემტკიცებინა მათთვის.

ახლა საჭირო იყო ერთი რამ—მტრისათვის უნდა გვეჩვენებინა, ვითომ ჩვენ პირდაპირ მივდიოდით შეტევაზე. ასეც მოხდა. დაიწყო შეტევა. ჰიტლერელმა „სტრატეგებმა“ მთელ ძალებს ერთ ადგილზე მოუყარეს თავი, ბრძოლაში გამოუშვეს ტანკებიც და ამ დროს ჩვენმა ტანკსაწინააღმდეგო არტილერიამ გრიგალისებური სროლა ასტეხა. მტრის ტანკები შუა ცეცხლში მოექცნენ. კვამლი და ცეცხლის ალი ამოდიოდა ტანკებიდან, ისინი იძულებულნი გახდნენ, შეჩერებულიყვნენ. მოდიოდნენ ახლები, და ისინიც ასევე ერთ წერტილზე იყინებოდნენ. მათთვის უკანდახევა იმას ნიშნავდა, რომ მოპირდაპირესთვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტი დაეთმოთ. არადა, წინ წასვლა უკვე შეუძლებელი იყო. ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა, საქმე იქამდე მივიდა, რომ ბრძოლის ველი მთლიანად დაიფარა კვამლში გახვეული ტანკებით.

საღამო ჟამს გერმანელებმა უკანდახევა დაიწყეს. ჩვენმა ქვეითმა ჯარმა ამ დროს დაიწყო ძლიერი შეტევა მტრის განლაგებაზე, მოწყვიტა ფლანგები, მოიმწყვდია შუაში და შეუდგა მის განადგურებას. მტრის ჯარებში დაიწყო პანიკა, გერმანელები იარაღს ჰყრიდნენ და გარბოდნენ მეზობელი სოფლისაკენ. ჩვენმა ჯარებმა სწრაფად დაიკავეს აეროდრომი, რომელიც ამ სოფლის მისასვლელებში იყო. ამრიგად, მტერს უკანასკნელი დასაყრდენიც მოუსპეთ.

გათენებისას კვლავ მძიმე ბრძოლაში ჩავებით. მტრის მეტისმეტად ჭარბ ძალასთან გვქონდა საქმე. ირგვლივ მოწინააღმდეგის ნაღმები სკდებოდა, ნამსხვრევები ზუილით იფანტებოდა ცაში. ერთი ნაწილი-

დან მეორეში გადავდიოდი, ვგრძნობდი, რომ თანაშემწეები და მებრძოლები მიფრთხილდებოდნენ, მაგრამ ამაზე ფიქრის დრო არ იყო, არ უნდა გადაგვედგა არც ერთი მოუფიქრებელი ნაბიჯი, უნდა გვემოქმედნა საზრიანად. ცეცხლი კი ცვიოდა და ცვიოდა ციდან. შუაღამისას ბრძოლა ჩვენი გამარჯვებით დაგვირგვინდა. დაღლილ-დაქანცული ავედი მანქანაზე დასასვენებლად, მაგრამ ბრძოლის შთაბეჭდილებებით გაოგნებულს ძილი არ მეკარებოდა. ხვალინდელი დღის მოქმედების ოპერატიული გეგმის გადასინჯვას და დაზუსტებას შევუდექი. შემდეგ კი შტაბის უფროსს დავავალე, რომ გეგმა ყველა ნაწილისათვის გადაეცათ.

მარტო დავრჩი. ღრმა ფიქრებმა წამიღო. კანტი-კუნტად ისმოდა სროლა. უზომოდ დაღლილი ვიყავი, მაგრამ ძილი არ მეკარებოდა, ვფიქრობდი ხვალინდელ დღეზე, ვითვალისწინებდი ჩვენს პოზიციებსაც და მტრისასაც, მინდოდა გონების თვალით წარმომედგინა თუ რა საშუალებას მივმართავდი, მოწინააღმდეგის ადგილზე რომ ვყოფილიყავი, როგორ მოვიქცეოდი. შესაძლოა მტერმაც ასე იფიქროს და მაშინ... გამომქონდა დასკვნები. ფიქრებმა უფრო გამიტაცა... ჩემი ლამაზი სოფელი მომაგონდა, ჩემი ბავშვობა. გამახსენდა თუ როგორ ვიანატრე ვყოფილიყავი ოფიცერი, როდესაც ჩემს სოფელში ცხენოსანი რაზმი დავინახე. ამ ფიქრებში წასულმა გათენებისას ჩავთვლიმე.

* * *

მივიღეთ ოპერატიული ცნობა ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ. გამოვიძახე ქვედანაყოფების უფროსები და მდგომარეობა გავაცანი.

ქალაქი მთელი თავისი მიდამოებით ჩვენი ჯარების მიერ იყო გარშემორტყმული. ახლა ამოცანა ის იყო, რომ ალყაში მოქცეული მტერი მოგვესპო. მეთაურები რუკასთან მივიხმე და ვუთხარი:

— ამ ამოცანის სწორად გადაჭრა ყველა ჩვენგანის ღირსების საქმეა. მაშ, აბა, ვეცადოთ ამხანაგებო! ჩვენ ქალაქ სტალინგრადში კვლავ შევიკრიბებით და მაშინ შევაფასოთ თვითეულის ღვაწლი და შრომა.

...დაიწყო ბრძოლა; მეთაურებმა ზუსტად შეასრულეს დასახული ამოცანა. შეღამებამდე ჩვენი რამდენიმე ქვეგანაყოფი ცდილობდა პირდაპირი შეტევა ეწარმოებინა დასახლებულ პუნქტებზე, თანაც მტრი-

სათვის ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს ბრძოლა გვიძნელდებოდა და ჩვენს ძალას აღემატებოდა. ნამდვილად კი ეელოდით კარგად დაღამებას, რათა ძირითადი დამრტყმელი ძალებით სოფელში შევჭრილიყავით და მტერს ზურგში მოვქცეოდით. ჩვენს ძირითად ძალას ავტომატებითა და ხელყუმბარებით შეიარაღებული რჩეული პოლკები შეადგენდნენ. როდესაც დადგა დრო, ისინი ჯგუფებად დანაწილებულნი ტანკებზე დასხდნენ და ისე შეიჭრნენ სოფელში. ქვეგანაყოფებმაც დაიწყეს გადამწყვეტი შეტევა. მტერმა სცადა ძლიერი ცეცხლით შეეჩერებინათ ისინი. ერთ-ერთი ქვეგანაყოფი ნელა მოქმედებდა, მისმა მეთაურმა ტელეფონით მომახსენა — მტერი ორგანიზებული ცეცხლით გვაიძულებს შევჩერდეთ, წინ წაწევის საშუალება არ არისო. ტელეფონის მილი დავაგდე და იქითკენ გავექანე. სწრაფად გადავაჯგუფეთ საცეცხლე წერტები, რომელთაც მალე მტრის ცეცხლის ძლიერება დაჩრდილეს და უპირატესობა მოიპოვეს.

ფაშისტებს შეეშინდათ რკალში მომწყვდევისა, პანიკას მიეცნენ და სასწრაფოდ გაიქცნენ. ეს იყო გერმანელთა განადგურებული დივიზიის ნარჩენები.

— ჩვენ მათ სტალინგრადში დავიჭერთ, პირველად არ ვხვდებით მაგ დივიზიას პირისპირ, მათთან ბევრჯერ გვიბრძოლია; კარგად ვიცნობთ ერთმანეთს, — ამბობდნენ მებრძოლები.

რკალი თანდათან ვიწროვდებოდა, ვუახლოვდებოდით ქალაქს, მაგრამ ბრძანება მტერზე ერთიანი თავდასხმის შესახებ ჯერ არ იყო. თავისუფალ დროს თავს ვუყრიდი მეკავშირეებს, სნაიპერებს, მზვერავებს, ნაღმმტყორცნელებს, უფროს და უმცროს ოფიცრებს და მათთან ერთად ვიხილავდით ჩატარებულ ბრძოლებს.

### 1942 წლის ნოემბერ-დეკემბერი

კლეცკაიას აღების შემდეგ გეზი სტალინგრადის მიმართულებით ავიღეთ. სტალინგრადთან გერმანელთა ძლიერ დიდი სამხედრო დაჯგუფება იყო დაბანაკებული. მტერმა იცოდა, რომ საბჭოთა შეიარაღებული ძალები იერიშს მიიტანდნენ ამ დაჯგუფებაზე, და სწორედ ამ მოსაზრებით მოაწყეს გამაგრებული პუნქტები, რათა არ დაეშვათ საბჭოთა ნაწილების წინსვლა. ასეთი გამაგრებული პუნქტი იყო: კლეც-

კაია, ზემო ბუზინოვკა, პესკოვატკა, კალაჩი დონზე, დიმიტროვკა და სხვ.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების მიზანი იყო, სტალინგრადთან გაენადგურებინა მტერი. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, მას საქმე ექნებოდა გერმანელების მიერ გამაგრებულ პუნქტებთან. კლეცკაიას აღების შემდეგ ზემო ბუზინოვკასა და პესკოვატკასთან ბრძოლებით მივადექით დონს.

**ზემო ბუზინოვკა**

გრძელდება ჩვენი გადამწყვეტი შეტევა.

სტალინგრადი სახელოვნად განაგრძობს თავის საბრძოლო ტრადიციებს.

ვის არ ახსოვს ცარიცინი, ვის არ ახსოვს იმპერიალისტური არმიების გააფთრებული შეტევები, მათ სურდათ სისხლში ჩაეხშოთ ახლადშობილი საბჭოთა სახელმწიფო.

ამ ურდოების მესაფლავედ გამოვიდა გმირული წითელი არმია.

მისი ყველაზე ბასრი საბრძოლო იარაღი სიმართლე იყო, მისი ძალა — ისტორიული აუცილებლობა.

გაშლილი ფრონტით დაწყებული შეტევის რკალი თანდათან ვიწროვდება.

სტალინგრადთან მყოფი ჰიტლერელთა ჯარები ფელდმარშალ პაულიუსის მეთაურობით რკინის სალტეში არიან მოქცეულნი და დგება არა მარტო მათი აღსასრულის ჟამი, არამედ იწყება ფაშისტური გერმანიის ნგრევის დასაწყისიც.

პაულიუსს ყოველდღე მოსდის ჰიტლერის ნერვიული დეპეშები:

„კაპიტულაცია არ მოახდინო. მალე გაიმარჯვებ".

სასიკვდილოდ დაჭრილი მტერი გააფთრებით იბრძვის.

მაგრამ რა შეაჩერებს კაცობრიობის გადასარჩენად მოწოდებულ საბჭოთა არმიას!

სტალინგრადის ფრონტის სარდლობა ზუსტად ანხორციელებს მტრის განადგურების გეგმას.

სტალინგრადთან უნდა დაიწყოს ომის ახალი ეტაპი — საბჭოთა ჯარების გმირულმა შეტევამ აქ უნდა ჩაუყაროს საფუძველი კაცობრიობის გადარჩენას.

გვარდიის N დივიზია საბრძოლველად მზად არის; ჩვენი ამოცანა ნა-

თელი და ცხადია. სხვა საბრძოლო შენაერთებთან ერთად ჩვენ უნდა გავტეხოთ მტრის წინააღმდეგობა.

ახლა კი ჩვენი კონკრეტული ამოცანა ასეთია—რადაც არ უნდა დაჯდეს, უნდა გავათავისუფლოთ და ჩვენ მშობლიურ ქვეყანას დავუბრუნოთ სტანიცა ზემო ბუზინოვკა.

* * *

სტანიცა ზემო ბუზინოვკა...

მე მინახავს ეს კუთხე ომამდე. იგი სტალინგრადის ოლქის ერთ-ერთი ლამაზი, დიდი სოფელი იყო. მდინარე დონის ტოტებს იგი ნახევრად შემოერკალათ, ხოლო ფართო გზატკეცილი მას ოსტროვთან, სტალინგრადთან და კრასნოდართან აკავშირებდა.

ეს, მართლაც, ლამაზი და წარმტაცი მხარეა.

თუ მეფის რეჟიმის დროს მსხვილი კულაკები და ჩარჩვაჭრები ჩაგრავდნენ ბუზინოვკელ კაზაკებს, ახლა დოვლათით სავსე იყო კოლმეურნის ბეღელი. მართლაც, გულს გაგილაღებდათ, ისე ცხოვრობდა სტანიცა ზემო ბუზინოვკა.

* * *

დეკემბრის ღამეა, ცივი და სუსხიანი. მზვერავთა ჯგუფი, რომელსაც მარტო სტეფანოვი ხელმძღვანელობს, დაბრუნდა საბრძოლო დავალებიდან და გვაცნობა, რომ ზემო ბუზინოვკა ფაშისტ დამპყრობლებს კარგად გაუმაგრებიათ, რომ აქ მტრის დიდი შენაერთია თავმოყრილი, აღჭურვილი დიდი საბრძოლო ტექნიკით.

დივიზიის კომისარმა პოლკოვნიკმა პიჩერსკიმ ჩამოუარა საიერიშოდ გამზადებულ ნაწილებს:

— აბა, თქვენ იცით, შევარდნებო, იმედი მაქვს ასახელებთ საბჭოთა იარაღს. ან სიკვდილი, ან გამარჯვება. ხვალ ბუზინოვკა ჩვენი უნდა იყოს!

— ასეც იქნება, ამხანაგო კომისარო! — უპასუხეს მებრძოლებმა. კომისრის საბრძოლო მოწოდებამ კიდევ უფრო გაამხნევა ჯარისკაცები.

ფრონტის მყუდროებას ნაღმმტყორცნთა სროლის ხმა არღვევს. ბოლოს ისიც მიწყდა.

ზემო ბუზინოვკის მისადგომებზე ცრიდა და სუსხავდა.

არე-მარე მეხის გავარდნის მოლოდინში გარინდებულიყო. ამ ღამეს საათი კი ჩვენს ჯინაზე თითქოს დაღლილიყო და ნელა მიტაატებდა...

* * *

ზემო ბუზინოვკის მისადგომებზე ჩვენი ნაწილები შემდეგნაირად იყო განლაგებული: მარჯვენა ფრთის შენაერთს მეთაურობდა გენერალი კოზინი, მარცხენა ფრთას—გენერალი ჯახუა, ხოლო ცენტრს — ამ სტრიქონების ავტორი.

უკვე ახლოვდებოდა დათქმული დრო.

ვემზადებით შეტევისათვის. ქვეითი ნაწილები იჭერენ მიჩენილ ადგილებს. ქვემეხები და ნაღმმტყორცნები განლაგდნენ წინასწარ დასახული გეგმის მიხედვით, ტანკები გამოვიდნენ გამოსავალ პოზიციებზე. „კატუშებიც" მზად არიან. მეკავშირეებმა მაიორ ასატურიანის მეთაურობით საათიევით ააწყვეს ნაწილებსა და დანაყოფებს შორის კავშირგაბმულობა.

ნაწილი რეზერვებისა სანგრებში ისვენებს, რომ ახალი ენერგიით, საჭიროების მიხედვით, ბრძოლაში ჩაებას.

ჯარისკაცებს მივეცით მთელი დღის სამყოფი მშრალი ულუფა და საკმაო საჭურველი.

გენერლებმა ჯახუამ და კოზინმა ნაწილებსა და დანაყოფებს გააცნეს, თუ რა სახის ნიშნის მიცემის შემდეგ უნდა გახსნან ცეცხლი.

მეთაურებმა დაიკავეს სათვალთვალო პუნქტები.

დილის ექვსი საათია.

შეტევა დაიწყო. ძნელია სიტყვით აღწერო, თუ არ გინახავს თავგანწირული შეტევა ასევე თავგანწირულ მტერთან.

ჩვენმა ქვემეხებმა და ნაღმმტყორცნელებმა ნიშანში ამოიღეს მტრის კავშირგაბმულობისა და რეზერვების განლაგება. მტრის კავშირგაბმულობისა და რეზერვების მოშლა მათი წინა პოზიციების დარღვევას გამოიწვევს.

ბნელი გარემო ნაღმებით გადაშუქდა; ყოველ ტყვიას, ყოველ ნაღმს სიკვდილი მოაქვს, სიკვდილი მოაქვს ადამიანისათვის და ნეტავ რად

ვ. თ. ლომთათიძე

ლ. ღ. ჯაფარიძე

რ. ა. ლოლაძე



გ. ე. მაჭავარიანი.

ვ. ნ. თავართქილაძე

გვაიძულებენ ამას? რად უნდათ ეს? ჩვენ ეს არ გვჭირდებოდა. ჩვენ არავის თავს არ დავსხმივართ.

N გვარდიის შენაერთის მებრძოლებს, მზიური სომხეთის შვილებს, განა უნდოდათ ეს ომი და ამდენი სისხლისღვრა?!

ისინი ყოველდღიური მშვიდობიანი შრომით აგურს აგურზე ადებდნენ და აშენებდნენ ახალ ცხოვრებას. ისინი ზრდიდნენ შვილებს, უვლიდნენ ოჯახს, ზეიმობდნენ, ლხინობდნენ და ზოგი მათგანი კი ოჯახის შექმნაზე ოცნებობდა.

ახლა კი, ამ ზამთრის დილას, ზემო ბუზინოვკის მისადგომებთან დგანან ისინი, პატიოსნების, ადამიანური ღირსების, თავისუფლების, სიმართლისა და თავიანთი იდეების დასაცავად. ვერაგი მტრის ბანაკში ისინი სიკვდილს დასთესენ. ზოგი გმირულად დაიღუპება, მაგრამ წარბს არ შეიხრის, რადგან იცის შეგნებული ბრძოლის მიზანი.

თავისუფლებისათვის იბრძვიან ჩვენი ნაწილები. ვერაგ მტერს კი მონობა მოაქვს. ეს კარგად იცის ყოველმა ჯარისკაცმა.

საარტილერიო ცეცხლის დამთავრებამდე, ხუთი წუთით ადრე, ჩვენმა ტანკებმა შეტევა დაიწყეს; ტანკებს, როგორც მოძრავ საფარს, უკან გაჰყვა ქვეითი ნაწილები.

მიუახლოვდნენ თუ არა მტრის სანგრებს, გაიცა ბრძანება:

— ხიშტებით!

— სამშობლოსათვის! ვაშაა,—იგრიალა ათასმა ხმამ და მებრძოლები იერიშზე გადავიდნენ. საათნახევრიანი ბრძოლის შემდეგ მტრის პოზიციის წინა ხაზი აღებულ იქნა.

* * *

მტერი ვერაგია. არ ცხრება.

ახლა მოგერიების მეორე ზონა იბრძვის თავგანწირულად. ბრძოლაში ჩაებნენ რეზერვები, დაიწყეს კონტრშეტევა. მარჯვენა ფრთაზე ბრძოლაში ჩაებნენ ვეება ტანკები, მოძრავი ქვემეხები და სხვა საბრძოლო ტექნიკა. ამ შეტაკებაში გერმანელებს ბედმა ისევ უმტყუნა. ჩვენმა შენაერთებმა კომბინირებული ცეცხლით გატეხეს მტრის თავდაცვის მეორე ზონაც.

ახლა ბრძოლა გრძელდება მტრის თავდაცვის სიღრმეში. შემოაკლდათ რა ცოცხალი ძალა, ფაშისტებმა ახლა ბრძოლაში ჩააბეს ზურ-

გის სამსახურის ნაწილები. მეკავშირეები, შოფრები, საინტენდანტო სამსახურის პირები, ექიმები და მსუბუქად დაჭრილი ჯარისკაცებიც კი.

ხელჩართული ბრძოლებია ქუჩებში. ყოველი სახლი საცეცხლე სიმაგრედ უქცევიათ.

შტურმი გრძელდება. მტრის ჯარისკაცები და მეთაურები ელიან სამართლიან შურისძიებას, ცოცხალნი არ გვნებდებიან. შურისძიებით გააფთრებული ჩვენი ჯარისკაცებიც სამართლიანად უმასპინძლდებიან მათ.

ქუჩები სისხლიანი გვამებითაა სავსე.

დაუნდობელი და მედგარი ბრძოლით გატეხილ იქნა მტრის წინააღმდეგობა და საღამოს 6 საათზე ზემო ბუზინოვკა განთავისუფლდა. საბჭოს შენობაზე კვლავ წითელი დროშა აფრიალდა.

* * *

მტრის გარნიზონის გენერალი ჰეინეცი თავისი შტაბით ტყვედ ჩაეიგდეთ. იგი გაქცევას ლამობდა, მაგრამ მაიორ სტეფანოვის მზვერავთა ჯგუფმა გზა გადაუჭრა.

იგი მეორე დღეს ჩვენი შენაერთის უფროსთან მოიყვანეს შტაბში. შემოსვლისთანავე ხელი ასწია და წამოიძახა: „ჰაილ ჰიტლერ!“ — ჩვენ ხარხარი დავიწყეთ.

იგი გაოცდა ჩვენს სიცილზე, მოიღუშა, გაბრაზდა და იკითხა, თუ რა გვაცინებდა.

— იცით, თქვენ ვინა ხართ? — ჰკითხა ჩვენი შენაერთის უფროსმა.

— როგორ არა, — უპასუხა მან, — გენერალი ჰეინეცი, უძლეველი არმიის გენერალი. მოვითხოვ პატივისცემას. თქვენი გამარჯვება ხომ დროებითია, მაშ თქვენც წესიერად მომეპყარით.

ჩვენმა გენერალმა არაფერი უპასუხა, წყნარად წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და სთხოვა მას გაეხედა ფანჯარაში...

ჰეინეცი არც თუ ისე ხანში შესული გენერალი იყო. იგი სწრაფი ნაბიჯით მივიდა ფანჯარასთან და ჩვენი გენერლის გვერდით დადგა.

— ხედავ? — უთხრა გენერალმა მას და მიუთითა საბჭოს შენობის წინ აღმართულ სახრჩობელაზე, — ვინ არიან ისინი? რა დააშავეს ამ მართალმა ადამიანებმა, გარდა იმისა, რომ იბრძოდნენ სამშობლოს დასაცავად და თავიანთ ღირსეულ ვალს იხდიდნენ. ვინ ჩამოახრჩო ისინი?

ჰეინეცი სდუმდა. რაღაც არ მოსწონდა თავისი ნამოქმედარი, მაგ-

რამ ძალა მოიკრიბა, თავხედურად გადაიხარხარა და ჩვენს გენერალს უპასუხა:

— ეს ფანატიკოსი პარტიზანებია, მათ ეს დაიმსახურეს. მათ სურდათ ჩვენი კომუნიკაციების აფეთქება. ისინი შევიპყარით. დაკითხვაზე არაფერი გვითხრეს, დამუნჯდნენ, სიკვდილი არჩიეს და ჩვენც შევუსრულეთ, აქ არაფერია გასაკვირი, ასეთია ომის ლოღიკა.

შენაერთის კომისარმა ეეღარ მოითმინა ჰეინეცის ესოდენი თავხედობა.

— საკმარისია! — დაიყვირა მან. სურდა იქვე გასწორებოდა, მაგრამ გენერალმა შეაჩერა.

— მაქსიმ, რას ცხარობ? განა ეს გიკვირს? ესენი ხომ ადამიანები არ არიან?

შემდეგ ჰეინეცს მიუბრუნდა და უთხრა:

— ხედავთ, სად შევხვდით პირისპირ!.. მე დიდი ხანია მჭონდა ეს სურვილი, ვიცოდი შენი მხეცობის ამბავი. ვიცოდი, რომ არც ერთი ტყვე ცოცხალი არ დასტოვე, ისიც ვიცოდი, არც ერთი მშვიდობიანი მოქალაქე არ დაინდე იმ საბაბით, რომ პარტიზანების ხელისშემწყობი იყვნენ. ტყვეებზე კი სამარცხვინო ცდებს აწარმოებდა ჰოსპიტლის უფროსი, მედიცინის სამსახურის მაიორი ფონ ჰელდფელდი.

— მხეცებო! — წამოიძახა კომისარმა. მის თვალებში შურისძიების ცეცხლმა დაჰკვესა, — დაიჩოქე! თორემ აქვე გაგაჭრობ! — შესძახა მან უეცრად.

ჰეინეცმა იგრძნო, რომ ცუდად იყო საქმე. მასში გაიღვიძა სიცოცხლის ინსტინქტმა, წელში მოიხარა და გენერლის წინ უსიტყვოდ დაიჩოქა.

სამარისებური სიჩუმე შემოსულმა ჯარისკაცმა დაარღვია.

— ამხანაგო გენერალო, ჰოსპიტალში წამობრძანდით, ჯარისკაცებმა დამაბარეს, გენერალმა გვნახოსო.

— გაიყვანეთ! — უბრძანა გენერალმა მცველებს ჰეინეცზე. შერცხვენად ესეც ეყოფა. დანარჩენს საბჭოთა ტრიბუნალი გაარჩევს. ჩვენ არ შეგვფერის შური ვიძიოთ ტყვეებზე.

ამ სიტყვებით გენერალმა შტაბი დატოვა.

* * *

1942 წელს პირსისხლიანი ჰიტლერი, თავბრუდახვეული თავისი ჯარების დროებითი წარმატებით, ზეიმობდა, ხოლო მისი ერთგული მსა-

ხური გებელსი ქაქანით ყველაფერს აყრუებდა გერმანული იარაღის უძლეველობის შესახებ.

როცა საბჭოთა არმიის გმირულმა თავდაცვამ გერმანელები მოსკოვის მისადგომებთან შეაჩერა და წინსვლის საშუალება არ მისცა, ჰიტლერელები მაინც იხტიბარს არ იტეხდნენ. ჰიტლერი მაშინ რადიოში გამოვიდა სიტყვით და განაცხადა, რომ მოსკოვი ჩვენ ფერხთ წინაა გართხმული, ვემზადებით გადამწყვეტი შტურმისათვისო.

ჰიტლერის ამ მოწოდების შემდეგ ბევრი კაპიტალისტისა და ბანკირის შვილი მოხალისედ წავიდა ფაშისტურ არმიაში, მოსკოვზე შტურმში მონაწილეობისათვის. ერთ-ერთი მათგანი, ბანკირის შვილი, სამედიცინო სამსახურის მაიორი ფონ ჰელდფელდი იყო. ამ ორფეხა მხეცმა „თავი ისახელა“ იმით, რომ ზემო ბუზინოვკაში დაიწყო ცდების წარმოება ტყვედ ჩავარდნილ პარტიზანებზე და ჩვენს დაჭრილ ჯარისკაცებზე, თითქოსდა მედიცინაში ახალი რამის აღმოსაჩენად. ამ ცდების შედეგად ბევრი ტყვე დაიღუპა, მაგრამ ფაშისტი სისხლით ვერ ძღებოდა. რა იცოდა მან, თუ ზემო ბუზინოვკაში სამართალი მიაგნებდა და ანგარიშს მოსთხოვდა.

თავისი ჰოსპიტალი მას მიწისქვეშ ჰქონდა მოწყობილი. ჰოსპიტალი მოცულობით დიდი იყო, რამდენიმე ასეულ დაჭრილს იტევდა. აქ, თავისებური, ნაცისტებისათვის ცნობილი და ჩვეული წესი იყო დანერგილი. ნაცისტი ჯარისკაცები ამაყობდნენ რა თავისი თითქოსდა განსაკუთრებული რასით, თავი მუდამ ამაყად ეჭირათ. რუმინელებს, უნგრელებს და სხვებს აქ თითქმის მონებად თვლიდნენ და მათზე ბრძანებლობდნენ.

დაჭრილები აქაც ამ წესით იყვნენ განლაგებულნი. ერთ განყოფილებაში გერმანელები მოეთავსებინათ, ხოლო მეორეში—ჩეხები, რუმინელები და სხვები.

ფონ ჰელდფელდი უკვე ჰოსპიტალში მოეყვანათ. შევიდნენ თუ არა გენერალი და კომისარი ჰოსპიტალში, ფონ ჰელდფელდმა მათ ხელი აუღო და მიესალმა, თითქოს მის ცხოვრებაში არაფერი შეცვლილიყოს. გენერალს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

გენერალმა გერმანელებზე მიუთითა და თქვა: თვითეულ მათგანს, ალბათ, მრავალი მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქის სისხლი მარ-

თებს, მაგრამ ჩვენ მაინც სულგრძელობა გამოვიჩინოთ და ტყვეებს, როგორც საერთაშორისო კანონი ითხოვს, ისე მოვექცეთო.

შემდეგ ბრძანა, ტყვეებისათვის საკვები და ტანსაცმელი მიეცათ. საბჭოთა ექიმს კი დაავალა, მოევლო მათთვის.

— ეს კი მაიორ სტეფანოვს ჩააბარეთ, გამოიძიოს მისი საქმენი საგმირონი და როგორც საბჭოთა სამართალი გასჭრის, ისე მოვექცეთ,— მიუთითა გენერალმა მაიორ ფონ ჰელდფელდზე და ჰოსპიტლიდან ბუზინოვკის დასათვალიერებლად წავიდა.

ზემო ბუზინოვკა ნაცარ-ტუტად ქცეულიყო. აქ ვერ ნახავდით ვერც ძაღლებს, ვერც კატებს, იგი ფაშისტებს შიმშილობის დროს შეეჭამათ. ადგილობრივ მცხოვრებთა უმეტესობამ თავის დროზე დატოვა აქაურობა, მაგრამ ნაწილს ვერ მოესწრო და ფაშისტურ ჯოჯოხეთში მოხვედრილიყო.

ველარ იცნობდით ზემო ბუზინოვკას, ნაღმებს სახლების უმეტესობა დაენგრია, ქუჩები და ეზოები ღრმა ორმოებს დაეღარა, იგი ნასოფლარსა ჰგავდა, რომელიც მიწის ძლიერი ძვრის შედეგად დაიქცა.

რამდენი შრომით, რამდენი ოფლით შექმნილი დოვლათი დაიკარგა, რამდენი მშვიდობიანი მოსახლის სიცოცხლე შთაინთქა. გული აგიტირდება ადამიანს და როცა იკითხავ რით იყო ყოველივე ეს გამოწვეული, იმ წამსვე თვალწინ დაგიდგება ჰიტლერის ბარბაროსული სახე. სიტყვებს ვერ პოულობ უსაზღვრო აღშფოთების გამოსათქმელად, კაცი დამუნჯდები ამ სიავის ნახვით.

— გიორგი, — მიუბრუნდა გენერალი კომისარს, — ვისია ეს მანქანები, ვინაა ეს ხალხი მაიორ სტეფანოვს რომ მიჰყვება?

სტეფანოვი ნადავლს ამრავლებს, ალბათ. ეს მანქანები ჩვენ მანქანებს არა ჰგავს!

წუთიერი სიჩუმე ჩამოვარდა და ყველანი მომავალ მანქანებს მივაჩერდით.

რამდენიმე წუთის შემდეგ ყველაფერი გაირკვა: მაიორმა სტეფანოვმა მანქანების კოლონა გენერლის წინ შეაჩერა, მანქანიდან გადმოიყვანა ორი უცხო ეროვნების ოფიცერი, შემდეგ გენერალს მიუახლოვდა და მოახსენა:

— ამხანაგო გენერალო, უნგრელები არიან, ჩვენს მხარეზე გადმოვიდნენ; თან მოიტანეს საბრძოლო საჭურველით სავსე ხუთი ავტომანქანა.

და მერე ოფიცრები — შანდორი და გერგეი წარუდგინე. ოფიცრებმა ხელი აუღეს გენერალს და მიესალმნენ.

გენერალმა გადაკოცნა ისინი და შტაბში მიიწვია.

შანდორმა და გერგეიმ ბევრი რამ უამბეს გენერალს. მათი სამშობლო ჰიტლერმა ცეცხლითა და მახვილით დათრგუნა და ისინი სასაკლაოზე გაიწვია. მათ ნამდვილად არ სურდათ ომი. მაგრამ ძნელი იყო ფაშისტური რეჟიმიდან თავის დაღწევა. როცა ამის საშუალება მიეცათ, მათ შეგნებულად გაწყვიტეს კავშირი თავიანთ ნამდვილ მტერთან და საბჭოთა არმიის მხარეზე გადმოვიდნენ. ამის მაგალითები ბევრი გვქონდა; ჩეხები, რუმინელები, ბულგარელები და ავსტრიელები ხშირად გადმოდიოდნენ ჩვენს მხარეზე. ისინი მზად იყვნენ, წითელი არმიის რიგებში ებრძოლათ.

გერგეიმ და შანდორმა დაწერილებითი ცნობები მიაწოდეს გენერალს მტრის განლაგებისა და მათი საბრძოლო უნარიანობის შესახებ. მომავალმა ბრძოლებმა დაამტკიცა ამ ცნობების უტყუარობა.

გენერალმა მოიხმო სასულე ორკესტრის უფროსი კაპიტანი აკოფ ხანჯიანი. კოლმეურნეობის კლუბი, რომელიც შემთხვევით გადარჩენოდა დანგრევას, მეთაურებით და ჯარისკაცებით აივსო.

იქ იყვნენ მამაცი სომეხი ჯარისკაცები — მკირტიჩიანი, ავეტიკიანი, პეტროსიანი, ხაჩატურიანი და სხვები, რომლებმაც თავიანთი ვაჟკაცობით ასახელეს სამშობლო და ახლა სამხიარულოდ მომზადებულიყვნენ, აქვე იყო სომხეთის სახელოვანი პოეტი ჰრაჩია ქოჩარი. ომის გამოცხადებისთანავე იგი სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა და ეს სიტყვის ნიჭიერი ოსტატი თავის მოძმე სომეხ ჯარისკაცებს მტრისადმი შურისძიების გრძნობას უნერგავდა გულში.

აქვე იყვნენ ჩვენი სახელოვანი ექიმები: კლარა ხოჭოლავა, სუმბათიანი, ლადო ლომთათიძე, გიორგი მაჭავარიანი, გიორგი სვანიძე, ხოფერია, რევაზ ლოლაძე და სხვები. ვინ მოსთვლის რამდენი დაჭრილი გადაურჩენიათ მათ.

— სმენა! — მოისმა ხანჯიანის მკვეთრი ხმა და მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა.

გენერალი და კომისარი მტკიცე ნაბიჯით მიუახლოვდნენ წითელ მაგიდას.

— გმირო ჯარისკაცებო! მოგილოცავთ ბრწყინვალე გამარჯვებას!— გაისმა გენერლის მჭუხარე ხმა.

ტაშის გრიალი დიდხანს არ შეწყვეტილა.

ორკესტრმაც დაიგრიალა, მუსიკის საამო ჰანგებმა ჯარისკაცები და მეთაურები ცეკვა-თამაშის ხალისზე მოიყვანა. დარბაზში მყოფნი კლუბის მოედანთან შეგროვდნენ და ზეიმობდნენ ვერაგ მტერზე გამარჯვებას.

როცა ხელში თოფი გიჭირავს, ცხადია, ლხინსაც თავისი დასასრული აქვს. ხანმოკლე შესვენების შემდეგ ახალი ბრძოლებისათვის მოვემზადეთ. ახლა ამოცანა იყო, მტრის ხელიდან გამოგვეგლიჯა და გაგვეთავისუფლებინა სოფელი პესკოვატკა, რომელიც მდინარე დონის მიდამოებში მდებარეობს.

### დონის ფორსირება და პესკოვატკას სიმაგრის აღება

პესკოვატკა გერმანელების მიერ განსაკუთრებით იყო გამაგრებული. სიმაღლეებზე საცეცხლე წერტები მოეწყოთ, რომლებიც მოქმედების საშუალებას არ გვაძლევდა. გარდა ამისა, მდინარის მეორე ნაპირზე, საცეცხლე წერტებს შორის გერმანელებს ჰქონდათ სპეციალურად გამაგრებული ზოლი. ტანკები ჩაფლული იყო მიწაში და ძლიერ ჯავშნიან ზღუდეს ქმნიდა.

ჩვენი საბრძოლო ამოცანა გარკვეულია — უნდა ავიღოთ პესკოვატკა. შევადგინეთ საბრძოლო-სამოქმედო გეგმა. დონის ფორსირება გარდუვალი იყო. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მდინარის გადალახვა ყველაზე რთული სამხედრო ოპერაციაა. მზვერავების საშუალებით შევისწავლეთ მტრის სიმაგრეების მდგომარეობა. მალე დავრწმუნდით, რომ ჩვენი საბრძოლო ამოცანის განხორციელება არც ისე ადვილი საქმე იყო. მდგომარეობა ზუსტ და სწრაფ მოქმედებას მოითხოვდა. ყველაზე უფრო ხელს გვიშლიდა დონის გაღმა, მარჯვენა ფრთიდან მტრის საცეცხლე წერტი. მტერი ტყვიის წვიმას გვაყრიდა ამ საცეცხლე წერტიდან. სანამ ჩვენ მივიღებდით ბრძანებას პესკოვატკას აღების შესახებ, საბჭოთა შენაერთებმა ბევრჯერ სცადეს დონის ფორსირებით პესკოვატკას აღება, მაგრამ ყოველი ცდა უშედეგოდ დამთავრდა. ახლა ჯერი ჩვენზე იდგა. აი, ასეთი საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი საბრძოლო ამოცანის შესრულება დაეკისრა

N გვარდიულ დივიზიას. მრავალჯერ გავსინჯეთ სამოქმედო გეგმა და მივიღეთ საბოლოო გადაწყვეტილება. გამრეყავით მზვერავთა ჯგუფი, რომელიც ჩუმად და შეუმჩნევლად უნდა მიპარულიყო მტრის მარჯვენა ფლანგის საცეცხლე წერტებთან და აეფეთქებინა იგი. ამით საშუალება მიეცემოდა ჩვენს ნაწილებს, დაეწყოთ ფორსირება, სწრაფად გადასულიყვნენ მდინარის მეორე ნაპირზე და მიეტანათ იერიში მტერზე.

ამოცანა მეტად რთული იყო, რადგან მტერი ფხიზლობდა; რამდენიმე დღე შევისვენეთ. ამით ორი საქმე გავაკეთეთ; ერთი ის, რომ ძალ-ღონე მოვიკრიბეთ და მეორეც — მტრის ყურადღება მოვადუნეთ; მას ეგონა, თითქოს ჩვენ აღარ ვაპირებდით მდინარის ფორსირებას. რამდენიმე დღის შემდეგ, საღამოს, მოვიწვიე ნაწილების მეთაურები და მზვერავთა ჯგუფი, რომელთაც დავალებული ჰქონდათ აეფეთქებინათ მტრის მარჯვენა ფლანგზე მდებარე საცეცხლე წერტები, გავაცანი მათ ჩვენი გადაწყვეტილება, განეუმარტე თუ რა დიდი მნიშვნელობის პუნქტია ჩვენთვის პესკოვატკა. მზვერავთა ჯგუფი დაკომპლექტებული იყო მოხალისე მებრძოლებისა და მეთაურებისაგან. ამ მზვერავებს მოქმედება ღამით უნდა დაეწყოთ და დილის ხუთ საათზე მიეღწიათ საცეცხლე წერტებთან, აეფეთქებინათ ისინი. სწორედ იმ დროს ჩვენი ნაწილები დაიწყებდნენ დონზე გადასვლას. მზვერავებს გამოვემშვიდობე და წარმატება ვუსურვე. ამის შემდეგ დაძაბული ვადევნებდით თვალს მათ მოქმედებას, ველოდებოდით დილის ხუთ საათს.

და აი, მზვერავები ღამის სიბნელეში გაუჩინარდნენ. ირგვლივ ჩამოდგა გულშემზარავი სიჩუმე, რომელიც ბრძოლის წინ მეტად არასასიამოვნო გრძნობებს აღძრავს. დილის ოთხი საათია. ჩვენი ნაწილები განაბული არიან დონის ნაპირებთან და ელოდებიან ნიშანს ჩვენი მზვერავებისგან, რათა მდინარეზე გადასვლა დაიწყონ. ძალზე დაძაბული წუთები იყო. ამ მძიმე სიჩუმეს ხანდახან კანტი-კუნტად გასროლილი ტყვიის ზუზუნი არღვევდა. იმ ტყვიებსაც გუშაგები ისროდნენ, ალბათ, შიშის გასაფანტავად. საათის ისარი ხუთს უახლოვდება. მოუთმენლად ველოდებით ნიშანს. ამ დროს გაისმა ტყვიამფრქვევის კაკანი. მას აჰყვა მეორე, მესამე, ახმაურდნენ ნაღმმტყორცნები, არტილერია. რაღაც უსისტემო სროლა ატყდა. სწორედ ამ დროს გაისმა ჩვენი მზვერავის ნიშანი. სროლის ხმა შეწყდა. ჩვენმა ნაწილებმა იმ წამსვე დაიწყეს სწრაფად და შეუჩერებლივ მოძრაობა, თვალის დახამხამებაში გადადი-

ოდნენ მდინარეზე და გადაჰქონდათ საბრძოლო საჭურველი. ამ დროს ისევ გაისმა მტრის მარჯვენა ფრთიდან სროლის ხმა ჩვენი მიმართულებით, მაგრამ უცებ მიჩუმდა. ნეტავ რაშია საქმე? რა მოხდა ისეთი, რომ მტერმა სროლა შეწყვიტა, ჩვენ კი შესაძლებლობა მოგვეცა უმსხვერპლოდ გადაგველახა მდინარე?!

სულ მალე ელვისებური იერიში მივიტანეთ მტერზე, რომელიც ჩასაფრებული იყო მიწაში ჩაფლული ტანკებით გამაგრებულ დოტებსა და ძელმიწურებში. გერმანელებისათვის სრულიად მოულოდნელი იყო ჩვენი გამოჩენა; როცა მათ თავზე წავადექით, ისინი უცებ წამოიშალნენ, მაგრამ გაიზუზუნეს ჩვენმა ხელყუმბარებმა მათ სიმაგრეებში და გერმანელები იძულებული გახდნენ, იარაღი დაეყარათ.

ახლა ჩვენ გავემართეთ მარჯვენა ფრთის საცეცხლე წერტებისაკენ, სადაც ჩვენმა მზვერაეებმა ჩააჩუმეს მტრის გაძლიერებული ცეცხლი, და ეს შესძლეს წერტების აუფეთქებლად. ყველას აინტერესებდა, რა მოხდა იქ. როდესაც მივედით, უცებ შევჩერდით. ყველას ცრემლი მოგვადგა თვალებზე. ზოგს ხმამაღალი ქვითინიც აღმოხდა. თურმე ჩვენს მზვერავებს ატეთქება რომ ვერ მოუხერხებიათ, მკერდით გადაჰფარებოდნენ მტრის ტყვიამფრქვევებს და მწყობრიდან გამოუყვანიათ ისინი. ასეთი სანახაობით განცვიფრებულ და თავზარდაცემულ გერმანელებს მიუტოვებიათ თავიანთი საცეცხლე წერტები. დიახ, მამაცმა მებრძოლებმა უყოყმანოდ შეწირეს თავი სამშობლოს. ასე ჩაახშეს მათ მტრის ცეცხლი, რომელიც ჩვენ მოქმედების საშუალებას არ გვაძლევდა და დიდ ზარალს გვაყენებდა. ჩვენს გულში მუდამ დარჩება სამშობლოსათვის ამ თავგანწირული გმირების სახელები. ჩვენ საბჭოთა კავშირის გმირის წოდებაზე წარვადგინეთ ეს შეუდრეკელი მებრძოლნი, რომელთაც საკუთარი სიცოცხლე გასწირეს საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად, მათ გაუხსნეს გზა ჩვენს ნაწილებს. ესენი იყვნენ:

1. ათეულის მეთაური შალვა ივანეს ძე კიკალეიშვილი.
2. რიგითი მებრძოლი არამაზ ასატურის ძე სარქისოვი.
3. მზვერავი ოვანეს მარტიროსის ძე ოვანესიანი.
4. რიგითი მებრძოლი ვიქტორ სიმონის ძე სამხარაძე.
5. რიგითი მებრძოლი ახმედ ალის ძე ბაბაევი.
6. ათეულის მეთაური ახმედ ალის ძე გამბიბედოვი.

ამ ადამიანთა წყალობით მოიპოვა გამარჯვება ჩვენმა შენაერთმა.

მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი ჩვენს ხელთ იყო. ახლა კი წინ, სტალინგრადისაკენ!..

**ხუთი ყორღანი**

1942 წლის დეკემბერი. გერმანელთა დიდი დაჯგუფება 1500 კვ. კმ-ის ფართობზე სტალინგრადის მიდამოებში რკინის რკალში მოექცა. 22 რჩეული დივიზია, აღჭურვილი თანამედროვე სამხედრო ტექნიკით, სულ ცოტა 330 000 კაცს ითვლიდა. ჩვენი ამოცანა ამ რკინის რკალში მოქცეულ გერმანელთა სამხედრო დაჯგუფების განადგურება იყო. ფაშისტებს კი იმედი ჰქონდათ, რომ გარემოცვის რკალს გაარღვევდნენ, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მანამდე გაძლებდნენ, სანამ მაშველი ძალები არ მიიტანდნენ საბჭოთა ჯარებზე იერიშს ამ დიდი რკალის გარღვევის მიზნით. გერმანელთა რკალის გარღვევის რამდენიმე ცდა უშედეგოდ დამთავრდა. ისინი იძულებული გახდნენ, ბედს დამორჩილებოდნენ, ე. ი. რკალში გამაგრებულიყვნენ. გერმანელებთან ერთად ამ რკალშივე იყვნენ მოქცეული საბჭოთა მოსახლეობის ის ნაწილი, რომელთა ევაკუაცია ვერ მოხერხდა. ჩვენი უმაღლესი სარდლობა ანგარიშს უწევდა ასეთ მდგომარეობას და რკალის ყველა მხრიდან გამანადგურებელ დარტყმებს ერიდებოდა. ამ მიზნით შესთავაზეს გერმანელებს დანებებულიყვნენ, გერმანელთა დაჯგუფების სარდლობამ, რომელსაც ფელდმარშალი პაულიუსი ხელმძღვანელობდა, ეს წინადადება უარყო.

ამ დიდი რკალის მთავარი გასაღები იყო ხუთი ყორღანი, რომელიც გერმანელებს ეკავათ და მათი მთავარსარდლობა ამყარებდა იმედებს. ეს ხუთი ყორღანი წარმოადგენდა ხუთ ამაღლებულ ადგილსა და ხუთ გაძლიერებულ წერტს. ასე რომ, გერმანელებს საშუალება ჰქონდათ თავისუფლად ედევნებინათ თვალყური ჩვენი ნაწილების მოქმედებისათვის დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთისა და სამხრეთის მიმართულებით, რადგან ის ხუთი ყორღანი დასავლეთისაკენ სოლივით შემოჭრილიყო. სამხედრო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით იყო აღჭურვილი მათი მეწინავე პოზიციები და მოხერხებულ ადგილებზე ჰქონდათ განლაგებული საცეცხლე წერტები, რომელთაც ყოველი მიმართულებით შეეძლოთ მოქმედება. გერმანელებს თავდაცვის ხაზის რამდენიმე რიგი რკინა-ბეტონის სქელი სახურავებითა და

საყრდენი კედლებით გაემაგრებინათ. ეს ხაზი ზიგზაგისებურად იყო ნაგები, რომ საავიაციო დაბომბვებს საგრძნობი ზიანი ვერ მიეყენებინა მათთვის. ამ ხუთ ყორღანს გერმანელთა დაჯგუფების სარდლობა დიდ ყურადღებას უთმობდა.

აქვე იყო თავმოყრილი რჩეული დივიზიები, რომელთაც სს-ელთა სასიკვდილო დივიზიებს ეძახდნენ. ჩვენი გულისყურიც ამ ხუთი ყორღანისაკენ იყო მიმართული. არმიის სარდლობის მიერ შემუშავებული გეგმის შემდეგ მივიღე საბრძოლო ამოცანა. უნდა მემოქმედნა განაპირა მარცხენა ყორღანზე, რომელიც საერთო ამოცანის მთავარ მიმართულებას წარმოადგენდა. მოპირდაპირე მარჯვენა ფრთიდან, ე. ი. მეხუთე ყორღანის მიმართულებით უნდა ემოქმედნა ნაწილს, რომელსაც მეთაურობდა გენერალი კ. ჯახუა. შუა სამი ყორღანის მიმართულებით უნდა ემოქმედნათ ნაწილებს, რომელთაც მეთაურობდნენ გენერალი კრავჩენკო, გენერალი ისაკოვი და გენერალი ანისიმოვი.

საბრძოლო ამოცანა შემდეგში მდგომარეობდა: მთავარი იერიში უნდა მიგვეტანა მარჯვენა და მარცხენა ფრთებიდან, შეერთებულიყავით და შემდეგ მთავარი ძალებით გვეწარმოებინა შეტევა პიტომნიკი—გუმრაკი—სტალინგრადის მიმართულებით. ამასთან ცალკეული ნაწილებით უნდა გვემოქმედნა მცირე რკალში მოქცეულ გერმანელთა ნაწილების ლიკვიდაციისათვის, ე. ი. ზურგიდან დაგვერტყა წინა სამი ყორღანის მიმართულებით.

ეს იყო ერთადერთი სწორი გეგმა. ამ ყორღანების, ესე იგი, გამაგრებული წერტილების ლიკვიდაციის შემდეგ სრული საშუალება გვექნებოდა გაშლილი ფრონტით დიდი რკალის ყველა მიმართულებით გვემოქმედნა, რადგან რელიეფი საკმაებით მოსახერხებელი იყო ჩვენთვის, და აქ გერმანელებს რაიმე სერიოზული სიმაგრეები არ ჰქონდათ.

ამოცანა რამდენადაც აუცილებელი, იმდენად ძნელი გადასაწყვეტი იყო. მტერს ყორღანიდან ყველა მიმართულებით ჰქონდა მოქმედების საშუალება. ვიცოდით, რომ მტერთან პირისპირ იერიში ძვირად დაგვიჯდებოდა და შეიძლება უშედეგოდაც დამთავრებულიყო, ამიტომ ვეძებდით სხვადასხვა ხერხებსა და საშუალებებს, რათა მცირე მსხვერპლით მიზნისათვის მიგვეღწია. პირველ რიგში უნდა ზუსტად შეგვესწავლა მტრის მდგომარეობა და განლაგება ყორღანზე და მის ზურგში; უნდა შეგვესწავლა მათი მორალური მდგომარეობა და დაგვეჭყარებინა

კავშირი საბჭოთა მოსახლეობასთან, რომელიც მტრის ზურგში იმყოფებოდა.

შევუდექით ამ ამოცანის განხორციელებას. გამოვყავით მზვერავთა რაზმი, რომელსაც მეთაურობდა უფროსი ლეიტენანტი სვანიძე. რაზმის ამოცანას შეადგენდა შეჭრილიყო მტრის ზურგში ყორღანის მოვლით და გასულიყვნენ სოფელ კასპოვკამდე. იქ შეესწავლა ჩვენი მოსახლეობისა და მტრის ნაწილების მდგომარეობა.

მზვერავთა რაზმს რომ დაეწყო თავიანთი მოქმედება, საჭირო იყო სწორედ იმ ადგილას მტრის ყურადღების შესუსტება. და სწორედ ღამით მივიტანეთ მოჩვენებითი იერიში ყორღანის მარჯვენა ფრთიდან, ავტეხეთ ხმაური და გამაყრუებელი სროლა, სწორედ იმ დროს, როდესაც ყორღანის თავდაცვამ თავისი ძალების ძირითადი ნაწილი მარჯვენა ფრთისკენ გადმოისროლა, ჩვენმა მზვერავებმა მარცხენა ფრთიდან დაიწყეს მოქმედება. როდესაც მზვერავთა რაზმი უკვე საგრძნობლად ღრმად იყო შეჭრილი მტრის ზურგში, ჩვენ შევაჩერეთ მოჩვენებითი შეტევა და ისევ საწყისი საბრძოლო პოზიციები დავიჭირეთ. ველოდით დაზვერვიდან ამბებს. ვიცოდით, რომ მათ მეტისმეტად ძნელ პირობებში მოუხდებოდათ მოქმედება. მათი სიცოცხლე ყოველ წუთს ბეწვზე ეკიდა. მათი უკან დაბრუნების ვადა, უკიდურეს შემთხვევაში, ორ დღეს შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. მოგვიხდა იძულებითი შესვენება. შევუდექი ნაწილების დათვალიერებას. ყოველ ბლინდაჟში ჩემი გამოჩენისთანავე ქვეგანაყოფის უფროსი მომახსენებდა საერთო მდგომარეობას. მე თავისუფლად ყოფნას ვუბრძანებდი და ვაძლევდი განკარგულებას, კარგად დაესვენათ, რადგან ძეტისმეტად მნიშვნელოვანი შეტევა გველოდა. თითქმის ერთი და იგივე მდგომარეობა იყო ყველა ბლინდაჟში. ჯარისკაცები ცდილობდნენ რაიმე გასართობი გამოეგონათ. რამდენჯერ მომწყურებია მათთან ერთად ყოფნა, საუბარი, ხუმრობა და გართობა, მაგრამ ისიც კარგად ვიცოდი, რომ ნაწილის უფროსთან ჯარისკაცები თავისუფლად ვერ გრძნობდნენ თავს. ის კი ავიწყდებოდათ, რომ მეც ვიყავი ერთ დროს ჯარისკაცი. ეჰ, ჯარისკაცო, რა კარგია მოგონება იმ ტკბილი მეგობრობისა, რომელიც გამოჭედილია მწარე დღეებში, ბრძოლის ველსა და ბლინდაჟებში. რამდენჯერ მწარედ გამომიტირია მეგობარი, რომელიც ჩემს გვერდით მოუკლავთ. როგორ მძაფრად და შურისძიების გრძნობით შევებრძოლებივარ მტერს მისი გულისათვის. რამდენჯერ ამ შურისძიების გრძნობას

წონასწორობის დაკარგვამდე მივუყვანივარ და იქ შევვარდნილვარ, სადაც მტერი ჯგროდ გვესეოდა, ხოლო ტყვიები წვიმასავით დიოდა. არ ვიცი რატომ, მაგრამ ფაქტია. ასეთ დროს ტყვია არ მომკარებია.

შევედი შტაბში და ქოჩარს გამოვუძახე. ქოჩარი მალე გამოცხადდა.

— უნდა გამოგიტყდე, ვღელავ ქოჩარ, რომ ჩვენს მზვერავებს ძალიან მძიმე პირობებში უხდებათ მოქმედება. ხვალ საღამოსათვის, როგორც შევთანხმდით, თუ არ გამოჩნდნენ, მაშინ დამატებითი დანაყოფი უნდა გავგზავნოთ მათი ამბის გასაგებად.

— ამხანაგო გენერალო, მეც ჩამრიცხეთ იმ დანაყოფში!

— ვნახოთ, ქოჩარ, მე სულაც არ მინდა ახალი დანაყოფის გაგზავნა დაგჭირდეს. ხვალინდელი დღე გვიჩვენებს, თუ როგორ მოვიქცეთ!

— ამხანაგო გენერალო, — მომახსენა მაიორმა სტეფანოვმა, — რადიოგრამა მივიღე ჩვენი მზვერავებისაგან: „ვიმყოფებით მძიმე მდგომარეობაში. მტერმა შეგვამჩნია. ჯარის ნაწილებთან ერთად გესტაპოს ნაწილებიც მოქმედებს. ვღებულობთ ყოველივე ზომებს. მოგვყავს მოენე, გამოვდივართ. უზრუნველყავით ჩვენი გამოსვლა — სვანიძე".

— ამხანაგო სტეფანოვ, გადაეცით ნაწილების მეთაურებს, დაამყარონ მზვერავებთან კავშირი, თანახმად ჩვენი ნიშნებისა და მიიღონ ყოველივე ზომა მათი მიღების უზრუნველსაყოფად. თქვენ კი, ამხანაგო სტეფანოვ, გაემგზავრეთ სუშკოვის ნაწილში, სადაც მოხდება მათი მიღება და ჩემთან განუწყვეტელი კავშირი იქონიეთ. მათი მიღების უზრუნველყოფა შეამოწმეთ და მომახსენეთ მდგომარეობა. არც ერთი წუთით არ დააყოვნოთ ტყვე, რომელიც მზვერავებს მოჰყავთ და პირდაპირ ჩემს სამეთვალყურეო პუნქტზე მომიყვანეთ.

— მესმის, ამხანაგო გენერალო, — მომახსენა სტეფანოვმა და გასწია თავისი მოვალეობის შესასრულებლად.

* * *

ტელეფონის ხმამ ფიქრიდან გამომიყვანა.

— მოგახსენებთ პოლკოვნიკი სუშკოვი. კავშირი დავამყარეთ მზვერავებთან. გამოდიან ბრძოლით. ტყვე მოჰყავთ. დასახმარებლად დანაყოფი გავგზავნე. ყველაფერი მზად არის გამოსვლის უზრუნველსაყოფად.

— მიღებისთანავე გამომიგზავნეთ დაუყოვნებლივ. მომახსენეთ მიღება...

* * *

შუაღამეა. სარკმელთან მივედი და ღამის წყვდიადს გავყურებ; მხოლოდ ხანდახან ანათებს ყორღანის მახლობელ მიდამოებს ნათურა-პარაშუტები, რომლის შუქზე თოვლის ფიფქები ვერცხლისა და სადაფისფრად ბზინავენ. სასიამოვნოდ თოვს. კარგია ასეთ ამინდში სეირნობა, მალე, სულ მალე მშვიდობა დამყარდება. იქნება ისეთი საღამოც, ვისეირნებთ თოვლის ფანტელში და მხოლოდ მოგონებად დაგვრჩება ეს საღამო, ასეთი მწარე დღეები, ამოვიოხრებთ და გულიდან ამოგვხვდება — იყო ასეთი დღეებიც. ვისაც საკუთარი თვალით უნახავს და გამოუვლია ეს დღეები, მისი მეხსიერებიდან იგი არასოდეს არ წაიშლება. ეს იყო დღეები სისხლის წვიმებისა, ადამიანის მიერ ადამიანის მოსპობისა, ნგრევისა და უბედურებისა. რამდენს მოუტანა ობლობა და მწარე ცრემლები ამ დღეებმა. დიახ, ვისაც გამოუვლია ეს დღეები, მას არასდროს მოუვა ფიქრად მისი განმეორება. ტირილი და გოდება იყო მთელ ქვეყანაზე. მიწა იწვოდა, მიწა იყინებოდა და მასთან ერთად იწვოდა და იყინებოდა ადამიანიც. ფიქრიდან ისევ ტელეფონმა გამომიყვანა.

— მოგახსენებთ პოლკოვნიკი სუშკოვი. მივიღეთ და გამოვგზავნეთ მზვერავები და ტყვე. მათ წამოჰყვა სტეფანოვი.

— ყურადღება არ შეასუსტოთ არც ერთ უბანზე, იყავით ფხიზლად. ადეკვატური მტრის მოქმედებას!

— ამხანაგო გენერალო, ამოცანა შესრულებულია, მოქმედება გვიხდებოდა მძიმე მდგომარეობაში. ყოველი ქუჩა და კუთხე შეკრულია ჯარისა და გესტაპოს ნაწილებით. მოსახლეობა მძიმე მდგომარეობაშია, გესტაპოს ნაწილებს თითოეული სულდგმული აღრიცხვაზე ჰყავთ აყვანილი.

— მოითმინეთ, მოითმინეთ, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო; ჯერ დაბრძანდით, დამშვიდდით, შემდეგ კი ყველაფერი დაწვრილებით მომახსენეთ.

— ჩვენი შენაერთის წინააღმდეგ მოქმედებს თქვენთვის ცნობილი სს-ელთა მე-8 კორპუსი, რომელიც გაძლიერებულია სატანკო ნაწილებითა და არტილერიით, მას ხელმძღვანელობს გენერალ-პოლკოვნიკი გეიც-ვალტერი, გარდა ამისა, პიტომნიკში არის აეროდრომი, რომელზედაც ასაფრენად გამზადებულია 150—160 თვითმფრინავი.

ჩვენს მიერ წამოყვანილი ტყვეს ჩვენებით მე-8 კორპუსს ჩვენი ნაწილების მიერ დიდი ზიანი აქვს მიყენებული. თითქმის ყველა დანაყოფში დაახლოებით 25—30 პროცენტს შეადგენს ზარალი ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. სურსათ-სანოვაგე და საბრძოლო საჭურველი გამოსაზოგი გაუხდათ. დღიური ულუფა სურსათისა სალდათზე შემცირებულია. პირად შემადგენლობაში სულიერად დაცემას განიცდიან, მიუხედავად იმისა, რომ არიან სს-ელები. ოფიცრები სალდათებს ამხნევებდნენ იმით, რომ თითქოს ჰიტლერმა გამოგზავნა დიდი შენაერთი მათ დასახმარებლად. ადგილობრივ მოსახლეობას უმწეო მდგომარეობაში აყენებენ ჯარისა და განსაკუთრებით გესტაპოს ნაწილები, რომელსაც ხელმძღვანელობს პოდპოლკოვნიკი გეიტფელდი. ჰოსპიტლები გადატვირთულია და ძალიან დიდი რაოდენობით არიან სულიერად და ფსიქიურად დაავადებულნი. ჩვენ ვნახეთ აგრეთვე საბჭოთა მოქალაქეების დასახიჩრებული გვამები და ჩამოხრჩობილნი, რომელთა წამების შესახებ გვიამბო პიტომნიკის განაპირა სოფლის მცხოვრებმა ღრმად მოხუცებულმა ტიმოთე პეტრენკომ. გავიგეთ ისიც, რომ გერმანელები აპირებენ საბჭოთა მოსახლეობის — ქალების, ბავშვებისა და მოხუცების საფრად გამოყენებას და ჩვენი იერიშის ასე მოგერიებას. ეს ტყვე N დივიზიის მაიორია, რომელსაც კორპუსის შტაბიდან თავის დივიზიაში საბუთები მიჰქონდა. კორპუსის შტაბი კარპოვსკის ხევში იმყოფება.

— ამხანაგო სვანიძე, მომახსენეთ თქვენი დანაყოფის შემადგენლობის შესახებ.

— პირველ დღესვე მომიხდა ბრძოლა მტრის გაცილებით ჭარბ ძალებთან, რის შედეგადაც ორი დაიღუპა, ერთი დაიჭრა, მხოლოდ ერთი კი, მძიმედ დაჭრილი, ხელთ ჩაუვარდათ გერმანელებს. ათეულის მეთაური ლავრენიევი უგზოუკვლოდ დაიკარგა.

— ვინ ჩაიგდეს ტყვედ?

— ტიხომიროვი, ვასილ ნიკოლოზის ძე.

— ვიცი, ის ჩვენი კომკავშირელია. ლავრენიევი როგორღა დაიკარგა?

— ჩვენ ბრძოლებით უკან ვიხევდით, გვინდოდა ტყეში თავის შეფარება. ლავრენიევს ისეთი ადგილი ჰქონდა შერჩეული, მისი შემჩნევა ძნელი იყო. ის იქიდან ისროდა და საიქიოს გზავნიდა ფრიცებს. ჩვენ,

როგორც მოგახსენეთ, უკან ვიხევდით და ის კი ფეხს არ იცვლიდა ადგილიდან. როდესაც გერმანელები მას გაუსწორდნენ, იქიდან სროლა აღარ ისმოდა, ის კი დავინახეთ, რომ იმ ადგილას ხელყუმბარებმა იგრიალეს. ჩვენ უკვე ტყეს შევაფარეთ თავი.

გერმანელები ერთად შეჯგუფდნენ და უნდოდათ ჩვენთვის შემოეტიათ. მაგრამ სწორედ ამ დროს სამი ხელყუმბარა ვესროლეთ მათ; სინათლის შუქზე კარგად გამოჩნდა გერმანელთა ჰაერში ატყორცნილი გვამები. ბოლოს კიდევ იფეთქა ერთმა ხელყუმბარამ და დანარჩენებსაც მოუღო ბოლო; მხოლოდ არ ვიცით, ვინ ისროლა ის ხელყუმბარა. ჩვენთვის ეს საიდუმლოდ დარჩა. არ გაუელია რამდენიმე წუთს, რომ მოვარდა გესტაპოს რაზმი ძაღლებით, იქვე იტრიალეს, ხან მარჯვნივ ეცნენ, ხან მარცხნივ, ტყეში შემოსვლა ვერ გაბედეს. ჩვენც აღარ გავეცი ჩვენი ადგილსამყოფელი და ჩუმად ყოფნა ვამჯობინეთ. როდესაც გერმანელები წავიდნენ, განვაგრძეთ გზა. შემდეგ კი ყოველ მოსახვევში, ყოველ სახლში და ყოველ ქუჩაში ჯგუფებად დადიოდნენ გერმანელები. ჩვენს შესახებ მათ უკვე იცოდნენ.

ჩემი განკარგულების შემდეგ შემოიყვანეს ტყვე და თარჯიმანი.

— თქვენი გვარი, ოფიცერო?

— ბრეიგაუბტ, ქალაქ დრეზდენის მცხოვრები.

— პროფესია?

— ავტოინჟინერი.

— რა სამხედრო განათლება გაქვთ?

— 1941 წლის მაისში დავამთავრე ბერლინის სამხედრო სასწავლებელი.

— რომელ პარტიას ეკუთვნით?

— ვარ ჰიტლერული პარტიის წევრი 1940 წლიდან.

— მშობლები გყავთ?

— დიახ, ორივე.

— რა პროფესიის არიან?

— მამა ვაჭარია, დედა კი მას ეხმარება.

— რა აზრისა ხართ დღევანდელი ომის მდგომარეობის შესახებ, როგორ აფასებთ იმ ფაქტს, რომ სტალინგრადის დაჯგუფებასთან რკალში იმყოფებით?

— ბატონო გენერალო, ჩემის აზრით, ომი ჩვეულებრივი მოვლენაა. ეს რკალი კი დროებითია და იგი ჩვენთვის არავითარ საშიშროებას არ

წარმოადგენს. ჩვენ ჰიტლერის იმედი გვაქვს. იგი უყურადღებოდ არ დაგვტოვებს. ჩვენმა გენერალმა გვითხრა, რომ ფიურერს დასახმარებლად გამოყოფილი ჰყავს დიდძალი შენაერთი. შემდეგ თქვენ უფრო დიდ საფრთხეში აღმოჩნდებით, ვიდრე დღეს ჩვენა ვართ.

— რომელი გენერლისაგან გაიგეთ ეს სასიხარულო ამბავი?

— გენერალ ფონ გეიც-ვალტერისგან.

— სულ მოკლე ხანში აქ რომ შეგახვედროთ თქვენი შთამაგონებელი გენერალი და იგივე სიტყვები გითხრათ, დაუჯერებთ თუ არა?

— ეს შეუძლებელია. ჰიტლერი თავის სიტყვას არ გასტეხს. ჰაილ ჰიტლერ! — დაიძახა ოფიცერმა და ხელი წინ გაიშვირა.

— ნუ სულელობთ, ოფიცერო, ხელი დაუშვით. თქვენ მისი ხელქვეითობა უკვე დაკარგეთ. მასთან შეხვედრა აღარასდროს მოგიხდებათ და გირჩევთ აზრი შეიცვალოთ, მისი იმედით ნუღარ აპირებთ ცხოვრებას.

— იგი არ უმტყუნებს თავის დაპირებას.

— მან უკვე უმტყუნა. დაივიწყეთ ერთი წუთით, რომ თქვენ ნაცისტურ პარტიას ეკუთვნით, და გონების თვალი გადაავლეთ დღევანდელ მდგომარეობას. თუ თქვენ ამას ვერ შეძლებთ, მე გეტყვით, ჰიტლერმა მთელ გერმანელ ხალხს მოახვია თავზე უბედურება. დაანგრია და დაღუპა თავისი ქვეყანა. თქვენ კიდევ მის დიდებაზე გაჰყვირით. გერმანელი ხალხი ზიზღითა და წყევლა-კრულვით მოიგონებს მას.

— მე ვიცი, რომ მასთან შეხვედრა არ მომიწევს. თქვენ გნებავთ, ჩემგან მიიღოთ საჭირო ცნობები და მე კი იმ ქვეყნად გამისტუმროთ!

— თქვენგან უკვე ყველა საჭირო ცნობა მიღებული გვაქვს, მხოლოდ რაც შეეხება იმ ქვეყნად გასტუმრებას, მე გეტყოდით რომ თქვენ ბედი გქონიათ, თქვენი სიცოცხლე აქ გაცილებით უფრო უზრუნველყოფილია, ვიდრე იქ, საიდანაც წამოგიყვანეს.

— როგორ, მე ხომ ტყვე ვარ?

— ამაში სავსებით დარწმუნებული ბრძანდებოდეთ.

— მერე თქვენ ტყვეებს ცოცხლებს ტოვებთ?

სახტად დავრჩი, აღარ ვიცოდი, რა პასუხი გამეცა ასეთ სულელურ კითხვაზე. სტეფანოვს გადავულაპარაკე:

— ხედავთ, რა ხეპრეა, ტყვეა და ოდნავი მორიდებაც კი არა აქვს. წარმოგიდგენიათ, რა დღეს დააყრიდა ეს ვაჟბატონი ჩვენს მოსახლეობას? ვინ იცის, რამდენი ჩამოუხრჩვია კიდეც ამ ნაცისტს. ახლა კი კარ-

გად იცის, რაც მოელის და ვაქაცურად აპირებს სიკვდილს. ნეტავი თუ ჰგონია, რომ ამ არამზადის სიკვდილი ვინმეს რამეში სჭირდება. ისე კი, უარესის ღირსიც არის. — შემდეგ გერმანელს მივუბრუნდი:

— როგორა თქვით, ოფიცერო, ჩვენ ტყვეებს არ ვტოვებთ ცოცხლებს?

— დიახ, არ ტოვებთ. ამაზე თვით ჰებელსი ლაპარაკობს.

— ახლა დავრწმუნდი, რომ თქვენ საკუთარი აზროვნება არ გაგაჩნიათ. თქვენთვის ბრმა კანონია ჰიტლერის დაპირება და ჰებელსის სიტყვები. ბოლოს და ბოლოს თქვენ ხომ ადამიანწი ხართ და არა მექანიზმი, რომელსაც რასაც უნდა, იმას აკეთებინებენ. მე თქვენ იმ საიქიოში გაგაგზავნით, სადაც ძალიან ბევრია თქვენისთანები, მაგრამ ისინი უფრო გონიერები არიან. ჰკითხეთ მათ, თუ რამდენი ტყვე დავხოცეთ. ახლა კი დამიდასტურეთ ზოგიერთი ჩვენთვის ცნობილი ფაქტი! რა ნაწილები მოქმედებს ჩვენს წინააღმდეგ?

— ორი ქვეითი დივიზია, გამაგრებული ტანკებითა და ზარბაზნებით და ერთი მექანიზებული დივიზია.

— მე-8 კორპუსში შემავალი, არა?

— დიახ, ბატონო გენერალო.

— ცალკეულ ნაწილებში დიდი ზარალი გაქვთ?

— 25—30 პროცენტი. მორალური მდგომარეობა მაღალია.

— სამაგიეროდ, სურსათის ულუფა შეგიმცირდათ, არა?

— ეს დროებითი მოვლენაა.

— რაში მდგომარეობს თქვენი ნაწილების ამოცანა?

— ვიბრძოლოთ საბოლოო გამარჯვებამდე, ან სისხლის უკანასკნელ წვეთამდე.

— სტყუით, ოფიცერო, მართალს არ ამბობთ. თქვენთან მორალური მდგომარეობაც ცუდია და განა ყველა გერმანელი თქვენსავით უგუნურია, რომ სისულელეს თავი შეაკლას. თქვენ კი წაცისტობა გაჯიუტებთ, და კიდევ ის, რომ დარწმუნებული ხართ, ჩვენ სიცოცხლეს წაგართმევთ. აქედან ტყვეთა ბანაკში გაიგზავნებით. იქ ძალიან ბევრ ნაცნობს ნახავთ და თქვენი თვალით დარწმუნდებით ჩემს სიტყვებში. სად არის განლაგებული კორპუსისა და დივიზიების შტაბები?

— კორპუსის შტაბი განლაგებულია კარპოვკის აღმოსავლეთით, ხევში—მარინოვკაში, ე. ი. მექანიზებული დივიზია კარპოვკის დასავლეთ ნაწილში და ნოვო-ალექსეევსკის დასავლეთით.

— სხვას ხომ ვერაფერს გვეტყვით, ოფიცერო?

— ყველაფერი მოგახსენეთ.

— პირობას გაძლევთ, რომ საშუალება გექნებათ შეხვდეთ გენერალ ფონ გეიც-ვალტერს და თქვენი დივიზიის მეთაურს გენერალ-ლეიტენანტ ფონ როდენბურგს, და მაშინ უფრო დარწმუნდებით თქვენს „სიძლიერეში", ჰიტლერისა და ჰებელსის დაპირებებში. დაფიქრდით, ჯერ თქვენ ახალგაზრდა ხართ, გირჩევთ აზრი შეიცვალოთ. ამხანაგო სტეფანოვ, დამატებით კიდევ დაჰკითხეთ და არმიის შტაბში გაგზავნეთ. ყველაფერი გააცანით ნაწილთა მეთაურებს და მიიღეთ ზომები უგზოუკელოდ დაკარგული მზვერავის ლავრენიევის აღმოსაჩენად.

* * *

შტაბის უფროსს პოლკოვნიკ ოვჩინიკოვს გამოვუძახე. დიდხანს ვისაუბრეთ შექმნილი მდგომარეობისა და ჩვენი მოქმედების გეგმაზე.

— ამხანაგო ოვჩინიკოვ, მართალია, რკალში მომწყვდეული მტერი დემორალიზებულია, მაგრამ არ დაგავიწყდეთ ადამიანის ფსიქოლოგიაც. ხომ ხედავთ, თუ როგორ იყო დარწმუნებული ის გენერალ-მაიორი, რომ ჩვენ მას დავხვრეტდით...

— მაინც, როგორ ფიქრობთ ამხანაგო გენერალო, როდემდე ფიქრობენ ასეთ მდგომარეობაში ყოფნას?

— სანამ არ მიეშველებათ სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით მომქმედი მანშტეინის დიდი შენაერთი.

— აი, სწორედ ამაზე ამყარებენ ახლა მთელ იმედებს რკალში მომწყვდეულნი.

— ჩვენ კი მათსავით ლოდინი არ გვაწყობს, ამხანაგო გენერალო. ჩვენ ხასიათი უნდა გავუფუჭოთ მანშტეინსაც და პაულიუსსაც.

— აი, სწორედ ამაში მდგომარეობს ჩვენი ამოცანა. მალე დავიწყებთ რკალზე შეტევას ხუთი ყორღანის მიმართულებით. ყველაზე უფრო ის მაფიქრებს, რომ ვაითუ მართლა გამოიყვანონ ჩვენი მოსახლეობა საფრად.

ეს ჩვენს მებრძოლებს გასტეხს. მათ სწყურიათ მოსახლეობის განთავისუფლება და ცეცხლს ხომ ვერ გაუხსნიან?! ახლა, ჩემი აზრით, საკმარისი ცნობები გვაქვს მტრის განლაგებისა და მდგომარეობის შესახებ

და საბრძოლო ამოცანის შესათანხმებლად არმიის სარდალს დავუკავშირდები.

— ეს ნამდვილად მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში ჩაგვაყენებს და მეშინია სალდათები არ დაიბნენ. რაღაც გამოსავალი უნდა მოინახოს.

— რა თქმა უნდა, გამოსავალი ყოველ საქმეში მოიძებნება, და აქაც რაღაცას მოვახერხებთ. მე, მაგალითად, ასე ვფიქრობ: დააპირებენ თუ არა გერმანელები ამის გაკეთებას, ჩემი აზრით, სჯობს, მოჩვენებითი შეტევა დავიწყოთ შუა სამი ყორღანის მიმართულებით, რომ თავის ძალები გერმანელებმა იქით გადააჯგუფონ და მხოლოდ ამ უბანზე ისაფრონ საბჭოთა ადამიანები. როდესაც დარწმუნდებიან, რომ ჩვენი ამოცანაა იერიშის დაწყება შუა ყორღანების მიმართულებით, ფრთებზე შეასუსტებენ ყურადღებას. სწორედ მაშინ შუა ყორღანებზე მოქმედი ნაწილები ისევ გამაგრდებიან თავიანთ პირვანდელ მდგომარეობაში, ჩვენ კი ფრთებიდან დავიწყებთ შეუჩერებელ შეტევას. ისინი ვერც კი მოასწრებენ შუა ყორღანებიდან ჩვენი ხალხის გადმოსროლას, რომ ფრთები შეიკვრება და დიდ რკალს გამოეცლება ხუთი ყორღანის ნაწილი და მცირე რკალში მოექცევა. ამის შემდეგ თვით გერმანელებიც დარწმუნდებიან, რომ სამუდამოდ ემშვიდობებიან თავიანთ ძლევამოსილებას.

— მე სავსებით ვეთანხმები თქვენს აზრს და მიმაჩნია ერთადერთ სწორ გეგმად. საინტერესოა, როგორ გადაწყვეტენ არმიის შტაბში. მე დავუკავშირდი არმიის სარდალს და მოვახსენე, რომ შეტევისათვის მოსამზადებელი ოპერაციები ჩატარებულია, მიღებული გვაქვს ზუსტი ცნობები მტრის განლაგების მდგომარეობის შესახებ და საჭიროა თქვენთან გამოვცხადდე, რომ საბოლოო გადაწყვეტილება მივიღო მეთქი. ამხანაგო ოჩჩინიკოვ, თქვენ კი შეამოწმეთ ნაწილები. მე ცოტა წესრიგში უნდა მოვიყვანო თავი.

— მაშ ხვალამდის, ამხანაგო გენერალო.

— ხვალამდის.

დალაქს გამოეუძახე. თავისი სადალაქო მოწყობილობით გამოცხადდა ოხუნჯი და სიტყვამახვილი არამა.

— აბა, არამ, ერთი შენებურად გამალამაზე.

არამა შეუდგა თავის საქმეს და მიკვირდა, რომ დღეს რაღაც ნაკლებად ოხუნჯობდა.

— რა მოგივიდა, არამ, გუნებაზე რომ არა ხარ?

— ეჰ, ამხანაგო გენერალო, ერთი კარგი სამართებელი მქონდა „ნემეცკი“, რამდენი ხანია პირი დავუჩლუნგე, რომ ის ფრიც ფონ გეიცი მოვნათლო, იმ სამართებელს მისთვის ვინახავ.

არამას ოხუნჯობამ კარგ ხასიათზე დამაყენა.

— ნუ გეშინია, არამ, არ დაგიჟანგდება. რაო, როგორა თქვი, პირი დაუჩლუნგე?

— მაშ, აბა, პირს ხომ არ ავუწყობდი. იმ „ნემენცური“ სამართებლით დიდი „ნემენცი“ უნდა გავპარსო.

— გეტყობა ძალიან გულმოდგინედ ემზადები კლიენტის მისაღებად. წარმომიდგენია, როგორ გაპარსავ.

— ისე გავპარსავ, ამხანაგო გენერალო, ისე, რომ ერთ კვირას მგონი ვაი დედა იძახოს.

გულიანად გამეცინა.

— არა, არამ, როგორ შეიძლება, უხერხულია, რას იტყვის, ეს რა დალაქი ყოფილაო.

— თქვენი არ მიკვირს, ამხანაგო გენერალო, არა, სულ „პაჟალუსტობით“ მივიღებ, მამა უცხონდა. ჩვენებს ხომ სულ ნოხებს უგებენ სწორედ. ერთი მაგათი...

— არამ, ახლა იმათზე გაბრაზებულმა, თუ კაცი ხარ, მეც არ მომნათლო. დაიცა, ეგ რა არის, ესეც გერმანული სამართებელია?

— ესეც გერმანულია, მაგრამ ნახეთ როგორი პირი აქვს, — ერთი ღერი თმა მოიძრო, სამართებლის პირს დაადო და შეუბერა. თმა მაშინვე გადაიჭრა.

— არამ, კარგი ყოფილა გერმანელების ნახელავი, ხომ ხედავ.

— ამხანაგო გენერალო, რაც მართალი მართალია, სამართებლები კარგი აქვთ მაგ ოხრებს.

— ეჰ, არამ, სამართებელი კი არა, ბევრი რამ აქვთ კარგი, მაგრამ ჰიტლერმა ხომ ხედავ, როგორ დაანგრია და დაღუპა გერმანელი ხალხის შექმნილი და გაკეთებული.

— ომის გახსენებაზე კი ცუდად ვხდები. ერთი ჰიტლერი მომცა ხელში და მერე მე ვიცი, რასაც ვუზამდი.

— მაინც, რას უზამდი? იმასაც დაჩლუნგებული სამართებლით გაპარსავდი?

— არა, იმას ხელს როგორ ვახლებდი სახეზე. აი, თბილისში რომ

ფუნიკულიორია და იმის ტრამვაის ლიანდაგი რომ სამართებლად აქცია, ზედ დავაცურებდი. არა, არა, არ ვარგა. რა ვიცი, რას ვუზამდი, ამხანაგო გენერალო!

— შენ ყველას სამართებლით უნდა გამოუტანო განაჩენი?

— არა, იმისათვის მართლა არ ვიცი, რას მოვიგონებდი. დაეუძახებდი ათას კაცს, ყველას თავის აზრს ვათქმევინებდი და რომელიც ყველაზე საშინელი იქნებოდა, იმას გაეუკეთებდი, მერე კი სამართებელზე დავაცურებდი დამატებით.

ახლა კი გულიანად გამეცინა, ამ კაცმა მაინც რომ ვერ მოახერხა უსამართებლოდ განაჩენის გამოტანა.

* * *

არმიის შტაბიდან დავბრუნდი. შეტევის ისეთივე გეგმა იქნა შემუშავებული, როგორსაც თავიდან ვფიქრობდი. სუშკოვმა მომახსენა მზვერავ ლავრენევის გამოჩენის შესახებ. მალე ლავრენევი ჩემთან გამოცხადდა.

— აბა, ახლა აქ დაჯექი და მომიყევი ყველაფერი, რაც ნახე და რაც გადაგხდა თავს. — შემდეგ ადიუტანტს მივმართე, — გამოუძახეთ ამხანაგ ოვჩინიკოვს! — ისევ ლავრენევს მივუბრუნდი, — მომახსენეთ იქიდან, როდესაც დანაყოფს დაშორდით.

აი, რა მომახსენა მზვერავმა ლავრენევმა:

— მე ჩასაფრებული ვიყავი შეუმჩნეველ ადგილზე და იქიდან ვისროდი. არც ერთი ტყვია არ ამიცდენია, მოხერხებულ ადგილზე გახლდით და არ მინდოდა იმ ადგილის დატოვება. გერმანელების დიდი ჯგუფი მოგვაწყდა და ავტომატებიდან განუწყვეტლივ გვესროდნენ. მოულოდნელად ჩვენებისაგან მოწყვეტილი აღმოვჩნდი, რადგან მათ ტყისაკენ გადაისაცვლეს. ჩემთან კი იქვე ახლოს გერმანელები იყვნენ. ჩვენები ნელ-ნელა მშორდებოდნენ და ტყეს აფარებდნენ თავს. ჩემს მახლობლად გერმანელებმა ნაღმმტყორცნი გამართეს და ის იყო, ჩვენებისაკენ უნდა მიემართათ ცეცხლი, რომ იმ წამსვე მივაწვინე ორივე ნაღმმტყორცნელი და მუცელზე ხოხვით უცებ გადავინაცვლე ადგილი. ეს გერმანელებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ და ჩემს პირვანდელ საფარს ხელყუმბარა ესროლეს, მე მკვდრად ჩამთვალეს. შემდეგ კი ჩვენებს დაეედევნე. ნაღმმტყორცნთან მიეცოცდი

და უკვე ზურგიდან ვუყურებ გერმანელებს. ჩვენები ამ დროს ტყეს შეეფარნენ. ვტყორცნე ხელყუმბარები, მერე დარჩენილ ფაშისტებს გავუმასპინძლდი მათივე ნაღმმტყორცნით. მთელი მათი რაზმი განადგურდა. შემდეგ ხოხვით ვაპირებდი ტყემდე მისვლას, მაგრამ ამ დროს ძაღლების ყეფა შემომესმა. მათ გესტაპოელები მოჰყვებოდნენ. მივიდნენ იმ ადგილას, სადაც გერმანელთა გვამები ეყარა. მე იძულებული გავხდი, თავი მომემკვდარუნებინა. ცოტა ხანს იტრიალეს გერმანელებმა და რა ნახეს, იქ აღარავინ იყო, წავიდნენ. ვიფიქრე, ნაღმით ან ხელყუმბარით გავმასპინძლებოდი, მაგრამ ისინი ბევრნი იყვნენ, თანაც დაფანტულნი, ჩემს მოქმედებას დიდი შედეგი არ ექნებოდა და შეიძლება თავი გამეცა. ცოტა ხნის შემდეგ გერმანელები წავიდნენ. თითქოს სიმშვიდე ჩამოვარდა. არც სროლა და არც ძაღლების ყეფა აღარ ისმოდა. ვათვალიერებდი ირგვლივ მიდამოს. მინდოდა როგორმე მოსახლეობამდე მიმეღწია. შორიახლო სახლების სილუეტები მოჩანდა და თოვლით დაფარულ ზოგიერთი სახურავიდან კვამლი ამოდიოდა. ფეხზე ადგომას მაინც ვერ ვბედავდი, მიუხედავად იმისა, რომ ირგვლივ სიჩუმე სუფევდა. ცოცვით ვუახლოვდებოდი სახლებს. მივხოხდი ერთ სახლთან და სმენად ვიქეცი. არ ვიცოდი, ვინ ცხოვრობდა იქ. მიუხედავად იმისა, რომ გარეთ გერმანელი ჯარისკაცები არ იდგნენ, მაინც ვერიდებოდი თავისუფლად მოქმედებას. მივცოცდი ფანჯარასთან და შევიჭვრიტე დარაბის პატარა ხვრელში, საიდანაც ოდნავ სინათლის შუქი გამოდიოდა, მაგიდაზე ჭრაქი ბჟუტავდა და იქვე საწოლზე ორ ბავშვს ეძინა. ჩვენები შევიცანი და გამიხარდა. მეორე საწოლზე ქალს ეძინა. ჩუმად დავაკაკუნე ფანჯარაზე. ქალი უცებ წამოვარდა საწოლიდან და გულშემზარავად დაიღრიალა: „რა გინდათ! მომშორდით! არაფერი არა მაქვს! დაგვხოცეთ და გაგვათავეთ. რაღას უდგეხართ, რატომ არ ამტვრევთ კარებს?!“

— თქვენიანი ვარ, ჩემო დაო. ნუ გეშინია.

— რომელი ჩვენიანი. მე არაფერი ვიცი, არაფერი მაქვს, მომშორდით!

— ნუ, გეშინია, ჩემო დაო, საბჭოთა მეომარი ვარ, გამიღე კარები.

შეშინებულ ქალს ადამიანის გამომეტყველება დაჰკარგოდა. სახე შეშლილს უგავდა.

— სახლს ირგვლივ შემოუარე ჩუმად, მე ჭრაქს ჩავაქრობ და ისე გაგიღებ კარებს. არაფრის მეშინია. რაცა გეჭირს, ამაზე უარესს ვერაფერს გამიკეთებ და სიკვდილი კი ჩვენთვის სანატრელია.

სახლს ირგვლივ შემოვუარე, დავინახე კარი ღია იყო და პირდაპირ შევედი. ქალმა უხმოდ მიხურა კარი, შემდეგ შიგნიდან ჩაჰკეტა და ოთახში შევიდა. ისევ აანთო ჭრაქი და ჩემკენ დაიწყო ყურება. მე ოთახში შევედი.

— გამარჯობათ.

— გაგიმარჯოთ.

ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ მივედი იმ ფანჯრის რაფასთან, რომელსაც პირველად მოვადექი და ხვრელი, რომელშიც შუქი გადიოდა, ქაღალდით ამოვტენე.

— დამშვიდდი, ნუ გეშინია.

— მე არაფრის არ მეშინია. ყველანაირი შიში გამომიცდია. ნეტავ რა უნდა იყოს ისეთი, რომ შემეშინდეს.

— ეს ბავშვები თქვენია?

— ჩემია.

— რა მაგრად სძინავთ.

— შიმშილისაგან არიან დასუსტებულნი და სულ ძილად არიან მივარდნილი.

რუგზაკში სურსათის ნაწილი მქონდა დარჩენილი. ამოვალაგე რაც კი იყო. ერთი კონსერვი, ცოტაოდენი ორცხობილა და შაქარი.

— აი, ეს ჭამეთ. მე არაფერი მინდა, მშიერი არა ვარ, მხოლოდ წყალს თუ აადუღებ, არ იქნება ურიგო. ცოტა სიცივემ შემაწუხა. — ქალი სადღაც გავიდა, ალბათ, წყლის ასადუღებლად. რომ შემოვიდა, საჭმელს დაუწყო ყურება.

— ამ ორცხობილას ორთქლით დავალბობ და ახალგამომცხვარი პურივით იქნება. წელან სროლა იყო, ძაღლებიც ყეფდნენ და მე კი ეს ხმაური იაფანასაეით მესმოდა, ისე შევეჩვიე ამ ამბავს.

— რა გქვიათ? მე მიშა დამიძახე.

— ტანია.

— ტანია, ჩემო დაო, რამდენიმე დღეში თქვენ გაგანთავისუფლებთ და დაიწყებთ ადამიანურ ცხოვრებას. ჩვენი ჯარის ნაწილები აქედან შორს არ არიან.

— როგორ, ჩვენები მოახლოვდნენ?

— სულ დიდი, ხუთი-ექვსი დღე და...

— ღმერთო ჩემო, ეს რა მახარობელი გამომიგზავნე. მიშა, ძმაო,

ხომ არ მატყუებ, სირცხვილია, ბიჭო, მე ჩემი გაჭირვებაც მეყოფა, და შენ თუ ტყუილ იმედებს მაძლევ, იცოდე, ღმერთი გიწყენს.

— ახლა მითხარი, რა მდგომარეობაში ხართ, სურსათის საქმე როგორა გაქვთ. რამდენი მცხოვრებია აქ?

— სურსათი კი არა, ნეტავი ჩვენც არ შეგვჭამდნენ გერმანელები. კატები და ძაღლებიც კი გაწყვიტეს. ბევრი ჩვენიანი დახვრიტეს და ჩამოახრჩვეს, წამებაში სული ამოჰხადეს ხალხს. დღეს სულ ორასიოდე სული თუ ვიქნებით ამ სოფელში, ისიც ბავშვები, ქალები და დავრდომილი მოხუცები. მხოლოდ ჩვენი მეზობელი მარია ზაიცევა გერმანელებთან მსახურობს გესტაპოს კანცელარიაში და ის თუ გვიწყალობებს ხანდახან თითო ლუკმა პურს.

— მარია ზაიცევა გერმანელების მხარეზეა?

— არა, ჩვენს მხარეზეა, მხოლოდ მან იცის გერმანული და ლამაზი გოგონაც არის. იმის საშუალებით ვგებულობთ ცოტა რამეს. ამას წინათ კი გვითხრა, გერმანელები ჩვენთან ერთად რკალში არიან მომწყვდეულნი და ჩვენი ჯარის ნაწილები გვიახლოვდებაო, მაგრამ არ დავუჯერეთ, ვიფიქრეთ, ალბათ, გვამშვიდებსო; მაგრამ რახან შენც იგივეს მეუბნები, ახლა სხვა ხასიათზე ვარ. იმედი მომეცა შველისა. ერთი ეს მითხარი, შენ საიდან მოხვდი აქ?

— მე მზვერავი ვარ. თქვენთან გამომგზავნეს, თქვენი ამბის გასაგებად. უნდა გავიგო თუ რა დღეშია აქ საბჭოთა მოსახლეობა. თქვენს გარდა ამ სახლში არავინ ცხოვრობს?

— ახლა მხოლოდ ჩვენ დავრჩით. ქმარი ომის პირველი დღიდანვე ჯარშია, ძმა პარტიზანებს გაჰყვა, დედ-მამა შიმშილით დაიხოცნენ. მგონი გუშინ ჩვენი მებრძოლები იყვნენ აქ. სროლის შემდეგ ხმა გავარდა, თითქოს წითელარმიელები არიანო.

— აქ ხშირად არის სროლა?

— სულ გაგვაყრუეს. რაღაც მოელანდებათ, ამ უღმერთოებს, ყვირიან, პარტიზანებიო და მთელ სოფელს აქოთებენ.

— პარტიზანები ხშირად მოდიან ხოლმე?

— მე თვალით არ მინახავს, მხოლოდ ტანიამ თქვა, გერმანელების ხშირი სტუმრები არიანო. ასე ამბობს, ეს სურსათი პარტიზანებმა დაგვიტოვესო. და ყველას ცოტ-ცოტას გვირიგებს ხოლმე.

— გუშინდელ წითელარმიელზე რა იცი?

— ვიცი, რომ ერთი დაჭრილი ჩაუგდიათ ტყეედ. ესეც ტანიამ გვითხრა.

— სად ცხოვრობს ტანია?

— აი აქვე, ჩემგან მეხუთე მოსახლეა.

— სახლში ვინა ჰყავს?

— მოხუცებული დედა და გესტაპოს კაპიტანი.

— იმ დაჭრილ წითელარმიელზე ხომ არაფერი იცი, რა ბედი ეწია, ან ვინ იყო?

— ამბობენ, ვერაფერი დააცდენინეს, მხოლოდ ეს უთქვამს: ჩემი სიცოცხლე ერთი ასად დაგიჯდებათ სულ მალეო. თქვენ სიკვდილი ცხვირწინა გაქვთო, თვალები კარგად გაახილეთ და დაინახეთო. ამაზე გამხეცებულან ისედაც მხეცები და წამებით მოუკლავთ საწყალი.

ვასია ტიხონოვის ამბის გაგებაზე ცრემლები ვერ შეეიმაგრე. ჩემი მეგობარი იყო. არასოდეს დამავიწყდება მისი ვაჟკაცობა.

— ახლა უნდა გამოგემშვიდობო, ტანია, და იცოდე, მალე გნახავ. დანაპირებს ავასრულებ. მარტო მე კი არა, მთელი ჩვენი ჯარი გნახავთ.

ტანიას გამოვემშვიდობე და ჩუმად განვაგრძე გზა. ადუღებული წყლის დალევა ორივეს დაგვავიწყდა.

ტყისკენ ვიბრუნე პირი. უცებ ხმაური მომესმა და იქვე დანგრეული სახლის კედელს ამოვეფარე. ცოტა ხნის შემდეგ გერმანელებმა საბჭოთა მოსახლეების კოლონა გამოატარეს. სად მიჰყავდათ, არ ვიცი. მგონი ყორღანისაკენ მიემართებოდნენ. კოლონაში დაახლოებით ორასამდე ქალი, ბავშვი და მოხუცი იყო. შემდეგ ჩუმად ტყეში გავიპარე ტყიდან რომ გადმოვედი, რკალთან, აქამდე რომ მომეღწია, ორმა ფრიცმა ორი ტყვია გამომტყუა.

— ყველაფერი გასაგებია, — ვთქვი მე და ოვჩიანიკოვს ვუბრძანე: — ლავრენევი წარადგინეთ ჯილდოზე სხვა მზვერავებთან ერთად, განსაკუთრებით აღნიშნეთ ტიხონოვის გმირული მოქმედება და გააცანით მთელი ნაწილის შემადგენლობას, შეკრიბეთ ნაწილის მეთაურები და ჩემი მოადგილეები, რომ საბრძოლო ამოცანები პირადად მივცე. მოამზადეთ შტაბი მოქმედების უზრუნველსაყოფად!

* * *

ნაწილის მეთაურებმა, რომლებიც საბრძოლო ამოცანების მისაღებად გამოცხადდნენ, მომახსენეს, რომ მტრის მოწინავე ხაზიდან მოის-

მის ქალებისა და ბავშვების ტირილი და ყვირილი—გაიძახიან გვიშველეთ, გვხოცავენო.

ყველაფერი გასაგები იყო. ნაწილის მეთაურებმა მიიღეს საბრძოლო ამოცანები. მე დავუკავშირდი არმიის სარდალს და მოვახსენე, რომ საბჭოთა მოსახლეობა წინა ხაზზე ჰყავთ გამოყვანილი. საჭიროა მოჩვენებითი იერიშის დაუყოვნებლივ დაწყება შუა ყორღანების მიმართულებით.

არ გაუვლია ერთ საათსაც, რომ შუა ყორღანების მიმართულებით გაისმა გამაყრუებელი გრუხუნი და მტრის ზურგში დაიწყო გერმანელთა პოზიციების დაბომბვა. გერმანელებს ეგონათ, რომ დაიწყო იერიში შუა ყორღანებს მიმართულებით, და საბჭოთა ცოცხალი ადამიანებისაგან გაკეთებული საფარი 3 საათის განმავლობაში გადაისროლეს მარცხენა განაპირა ყორღანიდან. ახლა ჩვენს წინ მხოლოდ მტერი იდგა და ისიც შესუსტებული ყურადღებით. სწორედ ამ დროს გავეცი განკარგულება, მთელი შენაერთი გადავსულიყავით შეუჩერებელ იერიშზე. ყველა სახის ცეცხლმსროლელი იარაღი ერთდროულად ალაპარაკდა და დაიძრა ლაშქარი. ზუსტად ამავე დროს მარჯვენა განაპირა ყორღანის მიმართულებით დაიწყო იერიში შენაერთმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბრძოლებში ნაცადი სახელმოხვეჭილი გენერალი, ჩემი თანამემამულე, კირილე ჯახუა, რომელიც ატარებდა სამხედრო საიდუმლო ფსევდონიმს „კნიაზ № 2“, (აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ მე მერქვა „კნიაზ № 1“).

ნამდვილად შეუჩერებელი და გამანადგურებელი იერიში იყო. მებრძოლები წინ მიიწევდნენ. გერმანელები გამოფხიზლებასაც ვერ ასწრებდნენ. ახლაღა დაინახეს, რომ შუა ყორღანების მიმართულებით შეჩერდა შეტევა. მიხვდნენ რაშიც იყო საქმე, მაგრამ გვიანღა იყო. დაბნეული გერმანელები ჯგუფებად ტყვედ გვნებდებოდნენ. ოთხი საათის შეტევის შემდეგ კარპოვკაში ჩემი და ჯახუას შენაერთის პირველი ნაწილები ერთმანეთს შეეხვდით; შევერთდით და მთავარი ძალებით განვაგრძეთ შეტევა პიტომნიკის მიმართულებით. ჩვენი შეერთება ვაცნობეთ შუა ყორღანებზე მოქმედ შენაერთებს და იქიდანაც დაიწყო უკვე არა მოჩვენებითი, არამედ ნამდვილი შეტევა.

ხუთიოდე ყორღანი ალყაში მოექცა, ჩვენ ცალკეული ნაწილებით შევუტიეთ ყორღანებს ზურგიდან. რამდენიმე საათის ბრძოლის შემდეგ მტერმა იარაღი დაჰყარა. დიდძალი ტყვე, სამხედრო საჭურველი და

ტექნიკაც ჩვენს ხელთ იყო. ჩვენს ხელშივე იყო ხუთივე ყორღანი. საბჭოთა მოსახლეობა განთავისუფლდა. მიშა ლავრენევმა შეუსრულა დაპირება ტანიას. ახლა განვაგრძობთ შეტევებს პიტომნიკის მიმართულებით, ვუახლოვდებით სტალინგრადს...

შეხვედრა ამერიკელ გენერალ
პატრიკ ჯ. ჰერლისთან
(ა. შ. შ. ყოფილი თავდაცვის მინისტრი)

„სტალინგრდთან წყდება ბედი მთელი კაცობრიობისა“, წერდნენ გაზეთები მსოფლიოს ყველა კუთხეში, ყველა ხალხის ენაზე; იგივე ისმოდა ეთერში და არ იყო ქვეყნად ქალაქი თუ სოფელი, სადაც გაფაციცებით, მოუთმენლად, თვალი არ ედევნებინათ ვოლგის პირას წარმოებული უდიდესი ბრძოლებისათვის.

და აი, უცებ მთელ მსოფლიოს ელვის სისწრაფით მოედო ამბავი საბჭოთა ჯარების უმაგალითო გამარჯვებისა სტალინგრადთან გერმანელთა რჩეული დივიზიების განადგურებისა და კაპიტულაციის შესახებ. მსოფლიო პრესა უფრო ხმამაღლა ალაპარაკდა ამ ამბის შესახებ. მართალია, ბევრმა რეაქციულმა გაზეთმა სცადა დაემცირებინა ისტორიული მნიშვნელობა საბჭოთა არმიის ამ გამარჯვებისა, მაგრამ თვით ისინიც კი ვერ ახერხებდნენ სინამდვილის მიჩქმალვას. საინტერესო და საგულისხმო ის იყო, რომ ამ რეაქციული გაზეთების ცნობები ჰიტლერელთა ჯარების განადგურებაზე სამძიმარს უფრო ჰგავდა.

სამაგიეროდ ხალხის აღტაცებას მსოფლიოს ყველა კუთხეში საზღვარი არ ჰქონდა, აუარებელი დეპეშა და შეკითხვა მოდიოდა ბოქმედ არმიაში სხვადასხვა ქვეყნებიდან. ეკითხებოდნენ ჩვენს სარდლობას, აინტერესებდათ ყოველი დეტალი, პერსპექტივა საომარი მოქმედებისა და ჩვენი სარდლობის პასუხიც ერთი იყო—რაც შეიძლება ჩქარა უნდა გავათავისუფლოთ საბჭოთა მიწა-წყლის ის ნაწილი, რომელიც გერმანელებმა ხელთ იგდეს და გამარჯვების დროშა ბერლინში ავაფრიალოთ.

ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს საომარ მოქმედებას და ფრონტებზე საერთო მდგომარეობას. როგორც ცნობილია, ისინი ხომ ჩვენს მოკავშირეებად

ითვლებოდნენ. საბჭოთა არმიის ასეთი არნახული გამარჯვებების შემდეგ, განსაკუთრებით სტალინგრადის ოპერაციის შემდეგ, ამერიკის სამხედრო და პოლიტიკურმა წარმომადგენლებმა ყურები ცქვიტეს. მათ ხომ მანამდე ეჭვი ეპარებოდათ ჩვენს ძლიერებაში.

იმ ხანებში მე ვმეთაურობდი N დივიზიას, რომელიც უშუალო მონაწილეობას იღებდა სტალინგრადის დაცვაში.

ერთ დღეს არმიის სარდალმა ჩისტიაკოვმა სრულიად მოულოდნელად მაცნობა, რომ ჩვენს დივიზიას სტუმრად ეწვეოდნენ ამერიკელი გენერალი და კორესპონდენტი, რომელთაც სურდათ უველაფერი საკუთარი თვალით ენახათ. უცხო სტუმრების ჩამოსვლის ამბავმა, ცოტა არ იყოს, დამაფიქრა, მაინცდამაინც არ მესიამოვნა ასეთი სტუმრები. ვიფიქრე, ისინი მხოლოდ ცნობისმოყვარეობას ჩამოუყვანია აქ, თორემ, აბა როგორი მოკავშირეები არიან, თუკი ბრძოლის ველზე მხარში არ ამოგვიდგებოდნენ. მათი მხარდაჭერა კი ჯერ არ ჩანდა—მეორე ფრონტის გახსნას აგვიანებდნენ. მერე კიდევ, რა დროს სტუმრობაა, ჯერ ხომ, მიუხედავად ჩვენი დიდი წარმატებებისა და უსაზღვრო სიხარულისა, სუფრის გასაშლელად არა გვცალია, ბერლინამდე ჯერ კიდევ გრძელი გზაა, მაგრამ რას ვიზამთ, სტუმარს მაინც დახვედრა უნდა.

ჩვენც შევუდექით სამზადისს; გამოვიძახე ჩემი თანაშემწეები, შტაბის უფროსი, პოლიტნაწილის უფროსი, ჩვენი გაზეთის რედაქტორი მწერალი ჰრაჩია ქოჩარი, სახელმოხვეჭილი ოფიცრები ვლადიმიერ ლომთათიძე, სარქისიანი, ხოფერია, ვერაძე, ჩითახიანი, მინასიანი, აკოფიანი, გამზა ახუნდოვი, ხანჯიანი, გამიდოვი, სამხედრო ექიმი კლარა ხოჭრლავა და განვუცხადე: რომ ხვალ დილით ველოდებით ამერკელ სტუმრებს და საჭიროა შევხვდეთ ისე, როგორც კავკასიელებს შეგვფერის. მათ სახეებზე მაინცდამაინც აღტაცება ვერ შევნიშნე, მივხვდი, რასაც გულში გრძნობდნენ და დავუმატე:

— მტერს ხომ მტრულად დავხვდით, ხოლო თუ ვინმეს მოყვრულად მოსვლა სურს ჩვენთან, ახლა მათ ვუჩვენოთ მოყვრული შეხვედრა, მით უმეტეს, რომ ჩვენ კავკასიელები ვართ.

ქოჩარმა მითხრა:

— ამხანაგო გენერალო, თუ ჩვენთან მოყვრობა და მეგობრობა უნდათ, სად იყვნენ აქამდე, სად იყვნენ მაშინ, როდესაც სისხლიდან ვიცლებოდით. სად იყვნენ, როცა ინგრეოდა და იწვოდა ჩვენი ქალაქები და სოფლები?

— როგორ ფიქრობთ, მეგობრებო, — ეუთხარი მე, — განა ახლა კი იმიტომ მოვიდნენ, რომ მხარში ამოგვიდგნენ? ისინი ცნობისმოყვარეობამ მოიყვანა აქ. უნდათ თავიანთი თვალით ნახონ ყველაფერი, გაიგონ რაშია ჩვენი ძალა და როგორია ბრძოლისუნარიანობა. უნდათ, გვნახონ ჩვენ, დიახ, ჩვენ, მებრძოლები, რომლებმაც საშინელი ომის ქარცეცხლი გამოვიარეთ. რამდენჯერ ვყოფილვართ ჯოჯოხეთურ გაწ-საცდელში, გადაგვიტანია შიმშილი და წყურვილი, რამდენჯერ მომხდარა, რომ დაჭრილნი და სისხლისაგან დაცლილნი, ნაწამებნი, მაინც ვერ მოგვტეხა მტერმა. ამ დიდი გამოცდის შემდეგ მათ სურთ გვნახონ, დაგვაკვირდნენ და შეგვისწავლონ, მართლა ისევ ნორმალურ ადამიანებად დავრჩით თუ არა. ჰოდა, აი, ამხანაგო ქოჩარ, სწორედ ამიტომ ჩვენ მათ უნდა ვაჩვენოთ ეს ტანკებით გადახნული ველები, გადაბრუნებული მიწები, დამტვრეული და დალეწილი მტრის ტექნიკა და ამასთან ერთად სავსებით ხელუხლებელი ნადავლი, რომელიც ხელთ ვიგდეთ. ამის შემდეგ ჩვენ მათ უნდა შევხვდეთ ჩვენებური სტუმართმოყვარული წესით, რათა დარწმუნდნენ, რომ კარგად ვიცით მტერთან დახვედრაც და მოყვრის მიღებაც. ისე უნდა ვეჩვენოთ, რომ დარწმუნდნენ: მათ დაუხმარებლადაც შევძლებთ მტრის მოსპობას. ჩვენ მათი იმედით არც გვიცხოვრია და არც გვიბრძოლია. დავარწმუნოთ ისინი საბჭოთა ადამიანის სიძლიერეში, ვუჩვენოთ, რომ საბჭოთა ადამიანს შეუძლია ყველაფრის ატანა, გარდა თავისუფლების დაკარგვისა.

— თქვენ სავსებით მართალი ხართ, ამხანაგო გენერალო, — მიპასუხა ქოჩარმა, — უნდა ვაჩვენოთ ამერიკელებს, თუ როგორები ვართ ჩვენ.

— დიახ, ქოჩარ, დაე, ნახონ, საკუთარი თვალით ნახონ, რომ საბჭოთა ადამიანი ბრძოლაშიც ისევე მამაცია, როგორც შრომაში. დაე, საკუთარი თვალით ნახონ, რომ აქ ჩვენ—რუსები, უკრაინელები, ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, ბელორუსები, უზბეკები და კიდევ მრავალი სხვანი თანასწორნი, თანატოლნი, ერთი საქმისათვის მებრძოლნი ვართ. აი, სწორედ ამაშია ჩვენი ძალაცა და ჩვენი უძლეველობაც!

ჩვენი მცირე თათბირი მთავრდებოდა. ჰრაჩია ქოჩარს, კლარა ხოჭოლავას და დავით ვერულავას ეუთხარი, დარჩენილიყვნენ. როდესაც ყველანი წავიდნენ, კლარას მივუბრუნდი:

— ხვალ, ალბათ, პურ-მარილს გავმართავთ; აბა შენ იცი, სირცხვილი არ მაქამო. ახლახან საქართველოდან და სომხეთიდან ამანათები რომ მივიღეთ, იქიდან ამოარჩიე და გადაინახე სურსათ-სანოვაგე. კარგ დროს კი მოგვისწრეს ამ ამანათებმა.

— მესმის, ამხანაგო გენერალო, — მითხრა კლარამ, — ყველაფერს მოვახერხებ, ჩვენმა ხალხმა, მართლაც, კარგი საჩუქრები გაძოგვიგზავნა. აბა რას იფიქრებდნენ, რომ აქ ასეთი სტუმრიანობა გვექნებოდა, თორემ ქართულ კაბასაც მოაყოლებდნენ ამ ამანათებს. რა იციან, რომ ხვალ კლარა ამ ჩექმებით და ეპოლეტებით გამოეჭიმება ამერიკელ გენერალს და მის კორესპონდენტს, რომელიც, ალბათ, სენსაციებისათვის ჩამობრძანებულა.

სიხარულით ამივსო გული ქართველი ქალის ამ სიტყვებმა და მეც გავეხუმრე.

— აბა, კლარა, შენ იცი, როგორ მოაწონებ თავს ამერიკელ გენერალს. გოგო, მგონი ბებერი უნდა იყოს ის გენერალი, მაგრამ ვინძლო თვალი ჩაგიკრას, და შენი ნახელავი ხაჭაპურიც მოეწონოს?..

— პირი არ დასწვას ჩემმა გამომცხვარმა ხაჭაპურმა... თვალები ისე ექნება გაშტერებული იმ ბებრუცანას, რომ თვალის ჩაკვრასაც ვერც მოახერხებს.

— აბა, ჩემო კლარა, ახლა საქმეზე ვილაპარაკოთ, მითხარი, როგორ გააწყობ სუფრას.

— იმდენი ამანათია მოსული, რომ რაც კი ამერიკაში ცნობისმოყვარენი არიან, აქ რომ ჩამოიყვანოთ, მაინც ეყოფათ. დარდი ნუ გაქვთ. სუფრა იქნება ინტერნაციონალური. იმასაც კი ვიშოვი, რასაც ყველაზე უფრო მიირთმევენ ამერიკელები.

კლარა და მზარეული ვერულავა წავიდნენ. დავრჩით მე და ქოჩარი.

— ქოჩარ, შენ იმიტომ დაგტოვე, შენს კოლეგასთან მოგიხდება ხვალ შეხვედრა. გენერალი ჩემზე იყოს და კორესპონდენტი კი შენ გაართე.

— იმ კორესპონდენტს, ალბათ, ყველაზე უფრო თქვენთან სურს საუბარი, ამხანაგო გენერალო!

— ეგ არაფერი. მე, რა თქმა უნდა, მზადა ვარ, ყველაფერზე პასუხი გავცე, მხოლოდ შენ უფრო მეტად ლიტერატურაზე, დრამატურ-

გიასა და პოეზიაზე ელაპარაკე. დაე გაიგოს, რომ ჩვენ აქაც კი არ გვავიწყდება არაფერი. გარდა ბრძოლებისა, ჩვენ აქ თავისუფალ დროს კულტურასაც ვეწაფებით. ძალიან ხშირად კონცერტებსაც ვაწყობთ.

— ყველაფერი გასაგებია, ამხანაგო გენერალო. ის სენსაციებს ეძებს და მე კი სინამდვილეს გადავუშალი თვალწინ. ჩვენი სინამდვილე მათთვის, მართლაც, სენსაცია იქნება.

— ვიცი, რომ კარგად გესმის შენი საქმე, ამიტომ კორესპონდენტი შენთვის დამილოცნია. აბა მოვემზადოთ ხვალინდელი შეხვედრისათვის.

უცხო სტუმრები მეორე დღეს გვეწვივნენ (1943 წლის იანვარს). ამერიკელი გენერალი კარგი შესახედაობის, შუა ხანს გადაცილებული კაცი იყო. იგი განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდებოდა ყველაფერს; გამომეტყველებაზე შეატყობდით, იგი მეტისმეტად დაკვირვებული და საღი აზროვნების ადამიანი რომ იყო. კორესპონდენტი კი შედარებით ახალგაზრდა იყო, ისიც კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

მათ შესახვედრად საპატიო ყარაული მოვაწყვე, სტუმრებს პირადად შევეგებე და ჩვეული ცერემონიის შემდეგ, ჩამწკრივებულ საპატიო ყარაულს ჩავუარეთ. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ამერიკელებს მეტად თავისებური მისალმება სცოდნიათ—ასწევენ მაღლა მარჯვენა ხელის მჯიღს და რაღაც უცნაურად შეჰკივლებენ. თურმე ეს გამარჯვების მისალმებას ნიშნავს ძველებური ამერიკული სამხედრო ტრადიციის მიხედვით. სწორედ რამდენჯერმე ასე მიესალმა ამერიკელი გენერალი ჩვენს საპატიო ყარაულს. ასეთი მისალმება ჩვენებს უჩვეულოდ მოეჩვენათ და ვატყობდი, რომ სიცილს ძლივს იკავებდნენ. უხმოდ ვანიშნე, თავი შეეკავებინათ, რომ ამერიკელებს უხერხულად არ ეგრძნოთ თავი. ამის შემდეგ კიდევ რამდენჯერმე დასჭყივლა ამერიკელმა; შემდეგ კი გზა ვუჩვენე ჩვენი შტაბისაკენ. მერე ჩვენს „სასტუმროში“ მივიპატიჟე და ჩემი თანაშემწეები—შტაბის უფროსი, პოლიტგანყოფილების უფროსი, ჩვენი გაზეთის რედაქტორი ჭოჩარი და სხვა ოფიცრები წარმოვუდგინე. ამერიკელს ჩემსკენ ეჭირა თვალი და ვატყობდი, რაღაცის თქმას აპირებდა.

— ხომ არაფერი გნებავთ, ბატონო გენერალო? — მივმართე მას.

— დიახ, თქვენ მიმიხვდით. ყველაზე მეტად მე მაინტერესებს ბრძოლის ველი და გერმანელთა ის საბრძოლო ტექნიკა, რომელიც დავ-

ლად დაგრჩათ. სად შეიძლება ყოველივე ამის ნახვა? ღვთის გულისათვის, გამიწიეთ გიდობა, ბატონო გენერალო. სანამ დავისვენებდე, ერთ საათში მოვიღი და დავათვალიერებ ყველაფერს.

შოფერმა მოწყვეტით დასძრა მანქანა, მე და ამერიკელი გეხერალი გავყევით საფრონტო გზას სტალინგრადის მიდამოებში.

ნახევარი კილომეტრი რომ გავიარეთ, ამერიკელმა გენერალმა ავტომანქანა შეაჩერებინა და გადმოსვლა ინება. გამიკვირდა, აქ რისი ნახვა აინტერესებს-მეთქი. თურმე აქ ახლოს დახოცილი და გაყინული ჰიტლერელი ჯარისკაცები შეენიშნა. იგი უხმოდ მიმოდიოდა ძათ შორის და დახოცილთ აკვირდებოდა. ჩვენც მას გავყევით. ხშირად ჩერდებოდა, აკვირდებოდა დახოცილებს, რომელნიც სულ სხვადასხვაგვარ მდგომარეობაში შეჰგებებოდნენ თავიანთ უკანასკნელ წუთს...

დაახლოებით ერთი საათი იარა ფეხით ამერიკელმა.

მერე ისევ ჩავსხედით მანქანაში და წინ გავწიეთ.

თვალუწვდენელი მინდორი დამტვრეულ-დამსხვრეული ავტომანქანებით, ტანკებით, ქვემეხებით, ნაღმტყორცნებით და თვითმფრინავებით დაფარულიყო; განვაგრძობთ გზას. ამ დალეწილ, ფერფლად-ქცეულ ქალაქში დროდადრო, კანტიკუნტად გაისმოდა სროლის ხმა, უფრო შორს კიდევ ისმის ქვემეხების ყრუ გრიალი. აი აეროდრომსაც მივუახლოვდით.

— განსაცვიფრებელია, წარმოუდგენელია, დაუჯერებელია!—წამდაუწუმ იძახოდა ამერიკელი. კორესპონდენტი კი, რომელსაც ფოტოაპარატი ეჭირა, ხშირად აღბეჭდავდა ფირზე ბრძოლის ველის ამ „პეიზაჟებს“.

აეროდრომზე მრავალი გერმანული თვითმფრინავი ხელუხლებელი იყო. საწვავის უქონლობის გამო ვერ აფრენილიყვნენ და ახლაც ისე იდგნენ, თითქოს განკარგულებას ელიან ასაფრენადო.

— განსაცვიფრებელია, დაუჯერებელია, — იმეორებდა ამერიკელი, — ნეტავი თუ დათვალეთ მაინც? შეიძლება დათვლა?

ავტომანქანა გაჩერდა, გენერალი აკვირდებოდა თვითმფრინავებს. აქ იყო სხვადასხვა სისტემის გამანადგურებლები და ბომბდამშენები. განვაგრძობთ გზას. ახლაც თითქოს საგანგებოდ მწყობრში არიანო, ისე იდგა და ეყარა მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანები, ტანკები, ჯავშნოსნები, მოტოციკლები, ქვემეხები, ტყვიამფრქვევები, ნაღმტყორცნები, ავტომატები, შაშხანები. მათი დათვლა, მართლაც, შეუძლებე-

ჯ. ვ. ღეჩაძე

ნ. ა. მჭელაძე

დ. ბ. ვერულავა

ს. მ. ხოფერია

ლი იყო. თვალი არა სწვდებოდა — თითქოსდა მთელი სამყარო ჰორიზონტამდე სავსე იყო ამ დალეწილი ტექნიკით.

— ნუთუ ამოდენა ტექნიკა ჰიტლერმა იმისათვის აკეთა, რომ აქ რკინის საბადოები შეექმნა?! — თქვა ამერიკელმა.

— ბატონო გენერალო, ჰიტლერმა ხომ ეს ხალხების გასაწყვეტად გააკეთებინა დამონებულ გერმანიას. რაც ამ საბრძოლო ტექნიკის დამზადებაზე შრომა და სახსრები დაიკარგა, კეთილ საქმეს რომ მოხმარებოდა, დღეს გერმანია აყვავებული ქვეყანა იქნებოდა. არც ჩვენი ქალაქები და სოფლები დაინგრეოდა, არც ჩვენი უდანაშაულო სისხლი დაიღვრებოდა. აი, რა ნაყოფი მოჰყვა ჰიტლერის სიგიჟეს. დღეს ყველა გერმანელი ტყვე ამას გაიძახის — რა გვინდოდა აქაო, რა გვაიძულებდაო.

— მართალს ბრძანებთ, ბატონო გენერალო, სრულ ჭეშმარიტებას. ეს გაბოროტებული აფთარი მთელ მსოფლიოს ემუქრებოდა. აქ კი ჩემი თვალით ვხედავ თუ როგორ დაგვირგვინებულა მისი „ბლიც-კრიგი"!

გენერალმა ჰორიზონტს გახედა, მერე ირგვლივ დაიწყო ყურება, დიდხანს ათვალიერებდა მიდამოს, შემდეგ მომიბრუნდა და ძითხრა:

— უკვე თითქმის ექვსი საათია დავდივართ და ვათვალიერებთ ამ დაუჯერებელ, არნახულ სანახაობას. ექვსი თვე რომ იარო, ალბათ, ვერ მოასწრებ ყველაფრის ნახვას. ბატონო გენერალო, დასასვენებლად წავიდეთ!

— თქვენ რომ უბანი ინახულეთ, ეს ძლიერ მცირე ნაწილია მთელი ფრონტისა, ამაში, ალბათ, დამეთანხმებით, ბატონო გენერალო!

— ახლა ეჭვი აღარ მეპარება თქვენს ნათქვამში. მაგრამ მაინც წარმოუდგენელია, დაუჯერებელია!

ჩვენ ისევ შტაბში დავბრუნდით. ამერიკელები მათთვის სპეციალურად მოწყობილ ბინაზე მივიყვანეთ.

დანაყრებისა და დასვენების შემდეგ ამერიკელებმა სურვილი გამოთქვეს ჩვენთან ესაუბრათ. შტაბში მივიწვიეთ ისინი, სადაც მათ მეთაურთა თითქმის მთელი შემადგენლობით დავუხვდით. ისევ გაისმა უცნაური შეკივლება, რომელიც, როგორც უკვე ვთქვი, მისალმებას ნიშნავდა.

ჩვენც ჩვენებური წესით მივესალმეთ. ამერიკელმა მაშინდელი შთაბეჭდილებები გაიხსენა და, ალბათ, მეასეჯერ გამოთქვა განცვიფრება.

— გულახდილად მოგახსენებთ ბატონებო, რომ ვერ წარმოვიდ-

გენღი ვერავითარ შემთხვევებში იმის მეათედსაც კი, რაც დღეს ჩემი თვალით ვნახე. საბჭოთა ქვეყანა, მართლაც, უძლეველი ყოფილა!

ამერიკელი დეტალურად მეკითხებოდა ჩატარებულ ოპერაციებზე. მეც გავუშალე რუკა და ყველაფერი ავუხსენი. გულახდილად უხდა ვაღიარო, რომ გენერალი ძალიან მომზადებული აღმოჩნდა, შევატყვე. რომ ჩვენც კარგი შთაბეჭდილება მოვახდინეთ მასზე. დიდი ხნის მსჯელობის შემდეგ მან მითხრა:

— ბატონო გენერალო, უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამ მცირე საუბრის შემდეგ ბევრი ახალი რამ გავიგე, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ხნოვანებაც რაღაცას ნიშნავს. მაპატიეთ კომპლიმენტისათვის, მაგრამ თქვენ ახალგაზრდა ბრძანდებით, გამოცდილებით და მოქმედებით კი მოხუცი. თქვენ რუსს არა ჰგვეხართ, საიდან ბრძანდებით?

— ეროვნებით ქართველი გახლავართ, — მივუგე მე.

— ოო, ეს საგულისხმოა, თქვენ სტალინის ქვეყნიდან ყოფილხართ. მე ზოგი რამ წამიკითხავს და მსმენია საქართველოსა და ქართველების შესახებ. ჩვენთან სამხედრო კოლეჯებში ასწავლიან ქართულ საბრძოლო ხელოვნებას, კარგადაა ცნობილი ერეკლე მეორის ბრძოლები. მაპატიეთ კადნიერება, მაგრამ მიპასუხეთ, თქვენი წინაპარნი საბრძოლო პირები იყვნენ?

— არა, ბატონო გენერალო, ვუპასუხე მე, — ჩვენი გვარეულობიდან მხოლოდ მე ვარ სამხედრო. ისე კი, ბატონო გენერალო, როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ისეთი მდგომარეობა ჰქონდა წარსულში, ისე ხშირად შემოესეოდნენ ხოლმე მუსულმანური ქვეყნები, რომ გლეხს, რომელიც სამუშაოდ მიდიოდა, თან იარაღიც მიჰქონდა. ალბათ, ჩემი წინაპრებიც ასევე იქცეოდნენ...

— კიდევ ერთი კითხვა—მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა სხვა ომებში, ბატონო გენერალო?

— ფინეთთან ომში.

— ბატონო გენერალო, იმედი მაქვს, ჩვენ ამერიკაშიც შევხვდებით ერთმანეთს. ახლა კი ნება მიბოძეთ, მადლობა გადაგიხადოთ გულთბილი მიღებისათვის და გამოგემშვიდობოთ.

— ბატონო გენერალო, თქვენი ოფიციალური ვიზიტის მიზანი, ალბათ, უკვე განახორციელეთ, მაგრამ მობრძანება თქვენი ნება გახლდათ და წაბრძანება კი ჩვენი. ამდენ ხანს ერთად დავდიოდით, ერთად ვსმჯელობდით და ვბაასობდით. ძალიან სასიამოვნო იყო თქვენთან

შეხვედრა და ბაასი. გთხოვთ, მაგიდას შემოეუსხდეთ და იქ განვაგრძოთ ჩვენი საუბარი.

ამერიკელს სხვა გზა აღარ ჰქონდა, უნდა დაგვთანხმებოდა. ჩვენ წავედით იქვე მახლობლად, სადაც უკვე ყველაფერი მზად იყო და გაშლილი სუფრა გველოდებოდა, რომლის ორგანიზაცია ექიმ კლარა ხოჭოლავას და მზარეულ ვერულავას მივანდე.

მაგიდას რომ მიეუსხედით, ამერიკელს გაკვირვება შევამჩნიე. უნდა გამოგიტყდეთ, რომ მეც არ მოველოდი ასეთ სუფრას, ეს ნამდვილი ჩვენებური საქორწილო სუფრა იყო. დაილოცოს, ქართველო ქალო, შენი მადლიანი ხელი!

ამერიკელმა სასმელებიდან უპირატესობა რომსა და კონიაკს დაუთმო. პირველი სადღეგრძელო სტალინისა და რუზველტის შევთავაზე. ამერიკელმა თანხმობის ნიშნად, როგორც მისალმების დროს სჩვეოდა, ისე შეჰკივლა და გადაჰკრა.

მეორედ ამერიკელი და საბჭოთა ხალხების სადღეგრძელო შევთავაზე. ისევ შეჰკივლა და გადაჰკრა.

— ერთი მითხარით, ბატონო გენერალო, ჩვენ ახლა არაოფიციალურ შეხვედრაზე ვართ, მოდი გულახდილნი ვიყოთ, —იხუმრა თავის მხრივ ამერიკელმა, — საიდან გაჩნდა ეს საჭმელები აქ, ფრონტის წინა ხაზზე? ეს ოჯახში დამზადებულსა ჰგავს,—თქვა ამერიკელმა და კავკასიურ საჭმელებზე — ჩურჩხელებსა და ხმელ ხილზე მიუთითა.

— ბატონო გენერალო, ჩვენი ხალხი გვანებივრებს ასე — საჩუქრებს გვიგზავნიან საქართველოდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ყაზახეთიდან. იქ რომ წამობრძანდეთ, უფრო კარგ პატივსა გცემთ, დაგათვალიერებინებთ ჩვენი წარსულის ძეგლებს, გაჩვენებდით თუ რა შექმნა ხალხმა იმ მოკლე ხანში, მას შემდეგ, რაც რევოლუცია მოეახდინეთ. აქ კი რა გაჩვენოთ--ეს ჭალაჭი, რომელიც მტერმა დაანგრია?! აბა მითხარით, განა ჩვენ სამხედროები იმისათვის ვართ, რომ აუცილებლად ვიომოთ? ნუთუ არ შეიძლება მეგობრულად ცხოვრება? მითხარით, ბატონო გენერალო, რომელ პატიოსან მშრომელს—მუშას, გლეხს თუ ინტელიგენტს უნდა ომი? ვის გაუხარდება დაუხოცონ ახლობლები, აოხრდეს მისი სამშობლო, დაინგრეს და გაპარტახდეს მისი სახლ-კარი? არა, ბატონო გენერალო, ეს არც ერთ ჭკუაზე მყოფ ადამიანს არ უნდა. ომი უნდა იმას, ვისაც არ სურს პატიოსანი შრომით იცხოვროს, ვისაც უნდა სხვა დაიმონოს და მათ ამოსწოვოს სისხლი.

— უკაცრავად, გაწყვეტინებთ. მე ჩემს საკუთარ აზრს გეტყვით: მე ვნახე თუ რა დიდი ტერიტორია დაკარგა საბჭოთა კავშირმა, მე ვნახე დანგრეული ქალაქები და სოფლები. ხალხი, რომელმაც ამდენი რამ დაკარგა, ამდენი სისხლი ღვარა, რომელსაც კიდევ შესწევს ბრძოლის უნარი და მეტიც, შეუძლია მტრის განადგურება—გაიმარჯვებს, არასოდეს არავის დაემონება, ეს ხალხი უძლეველია. მიხარია, რომ ჩვენ ასეთი დიდი ხალხის მოკავშირენი ვართ.

— ბატონო გენერალო, მეორე ფრონტის შესახებ, ხომ ვერაფერს გვეტყვით—როდის აპირებთ მეორე ფრონტის გახსნას?

— სულ მალე. ჩვენ მალე დასავლეთიდან შემოვუტევთ მათ და ბერლინში ერთად ვიზეიმებთ.

— მაშ, თქვენი იმედიც გვექნება, ბატონო გენერალო, — ძივუგე მას და გულში კი გავიფიქრე — კარგი დაბლი დაგვიდგება, თუ თქვენს იმედზე დავრჩით-მეოქი.

სტუმარს მორიგი სასმისი შევთავაზე. საბჭოთა მხედართმთავრებისა და მებრძოლების სადღეგრძელო. ისევ შეჰკივლა და გადაჭკრა.

ჰრაჩია ქოჩარს ხელში ჩაეგდო კორესპონდენტი და მას ებაასებოდა. ეტყობოდა, ქოჩარი თავის მოვალეობას კარგად ასრულებდა, რადგან კორესპონდენტი ხანდახან რაღაცას ინიშნავდა უბის წიგნაკში.

ცოტა ხნის შემდეგ გულთბილად გამოვესალმეთ ერთმანეთს, გენერალმა და კორესპონდენტმა ამერიკაში შეხვედრა აღმითქვეს. მეორე დღეს არმიის სარდალმა ტელეფონით დამირეკა და მითხრა, რომ ამერიკელები ძალიან ნასიამოვნები წავიდნენ თქვენგანო.

**1943 წლის 5 იანვარი.**
**მოქმედი არმია**

ისევ მიწურში ვართ. უკვე ერთი ბოთლი არაყი გამოვცალეთ, სიცივეს რომ გავუძლოთ. გარეთ საშინელი ყინვაა, ოთხ-ხუთ წუთში ცხვირს მოგყინავს თუ ხშირად თოვლით არ დაისრისე. ჩვენს ირგვლივ ხევები, გორაკები გერმანელების გვამებით არის მოფენილი. რა სხვადასხვა დროს წამოსწვევიათ მათ სიკვდილი: აგერ ერთი დამჯდარა, თავი ჩაუქინდრავს და ისე მიჰყინვია მიწას. მეორე პირაღმა

გდია, გაშეშებული ხელები ცისკენ აუპყრია, თითქოს შენდობას ითხოვსო. მაგრამ თვითონ ხომ ბარბაროსულად ეპყრობოდა ჩვენს ბავშვებსა თუ მოხუცებს; განა მაშინ ერთხელ მაინც აუხედავს ზეცისაკენ? განა სინდისის ხმას ერთხელ მაინც უკარნახია მისთვის— შეჩერდი ადამიანო, ღმერთს შეხედე, რას ჩადიხარო! მესამე პირქვე გდია, ისეთი წითურია, თითქოს თავი წითელი საღებავით სავსე ვედროში ჩაუყვიაო. მიუნხენიდან და ჰამბურგიდან წამოსული ეს მძარცველები დონის ტრამალებს დაპყრობას ლამობდნენ, მაგრამ დახეთ, ჩააწყვეს სხვის მიწაში თავიანთი ძვლები. შხამიანმა ჰიტლერულმა პროპაგანდამ დაუხშო მათ აზროვნების უნარი, აქცია ისინი მკვლელებად, დაუკარგა იმის შეგნება, რომ ბარბაროსობისათვის თავზე ხელს არ გადაუსვამდნენ. აგერ კიდევ ერთი გვამიც. ბლინდაჟიდან თავი ფრთხილად გამოუყვია, მაგრამ გულში მოხვედრია ტყვია და იმავე პოზაში ამოხდომია სული. აქაურობა ზღაპრულ გაქვავებულ ქალაქსა ჰგავს. ხალხის გასაწყვეტად, დოვლათის დასატაცებლად მოსულნი თვითონ ქცეულან სიკვდილის ლუკმად. ვინ პატიჟებდა, რატომ შემოიჭრნენ ჩვენს ქვეყანაში? ენით არ აიწერება, რაც აქ ჩაიდინეს. ერთ სოფელში მათ შეკრიბეს ქალიშვილები, გაატიტვლეს, გააუპატიურეს და მერე საშინელ ყინვაში გარეთ გარეკეს. აი, რას სჩადიოდნენ ის ვაჟბატონები, მაგრამ სამაგიეროს მიზღვევამაც არ დაიგვიანა. ჩვენმა მებრძოლებმა იმ დღეებში მტრის რამდენიმე ტყვე შეიპყრეს. გლეხის ქალები ბარებითა და კეტებით თავს დაესხნენ ამ ტყვეებს. სწორედ მათ უამბეს ჩვენს მებრძოლებს ქალიშვილების წამების შესახებ. ნუთუ ასეთი მხეცობის შემდეგ შეიძლება ამ მტარვალების შებრალება?!

დღეს მთელი ორი საათის განმავლობაში ტყვეებს ვესაუბრებოდი. გათოშილნი და შიმშილისაგან ჭანცგამოლეულნი, ლანდებსა გავდნენ, ერთს სახიდან წურწურით ჩამოსდიოდა სიმწრის ოფლი, თვალებიც ამღვრეული ჰქონდა, ეტყობოდა, საგნებსა და ადამიანებს ერთმანეთისაგან ვეღარ არჩევდა, საიქიოდან დაბრუნებულსა ჰგავდა. ჩემს კითხვებზე პასუხს არ იძლეოდა, გაოგნებული მიყურებდა. ამიხსნეს, რომ ის შეშლილი იყო. ტყვეთა შორის ახალგაზრდა ჯარისკაციც ერია, ერთი შეხედვით, თითქოს კეთილი ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებდა და სულ იმის ცდაში იყო, თავი მოეწონებინა ჩემთვის. მან რამდენიმე რუსული სიტყვა იცოდა, მე კი იმდენივე გერმანული, ასე რომ ჩვენ ერთმანეთს ვუგებდით. სამშობლოში მას რომელიღაც რედაქციაში უმუ-

შავნია, ფრონტზე უბრალო ჯარისკაცად წამოუყვანიათ. მას ყურები ცხვირსახოცით ჰქონდა აკრული. ვინ მოსთვლის, რამდენი ადამიანი მოუკლავს ამ კეთილი გარეგნობის ჯარისკაცს?!.

— ნაციონალ-სოციალისტი ხარ? — ვეკითხები.

— არა, არა, — მპასუხობს ის და რუსულად იმეორებს:

„ნეთ“, „ნეთ“. შემდეგ მეუბნება, რომ იცნობს მარქსის წიგნებს, ერნსტ ტელმანიც გაუგონია... ვუმზერ და ვფიქრობ: ვინ იცის, იქნება სწორედ ეს გერმანელია, გუშინ, ჩასაფრებულმა, ტყვიამფრქვევი რომ დაგვიშინა და საუკეთესო ჯარისკაცები დაგვიხოცა.

ჩვენი ჯარის ნაწილები წინ მიიწევენ. სტალინგრადის საალყო რკალი თანდათან ვიწროვდება. გერმანელები გარბიან, ბევრი კი ძაღლებივით იხოცებიან. კიდევ რამდენიმე დღე და მათი სამარცხვინო სიცოცხლეც დასრულდება. ვამაყობ რომ ამ ისტორიული ამბების ერთერთი მონაწილე ვარ. მომავლის ისტორიკოსები ათასობით წიგნს დაწერენ ამ თემაზე, თაობები სიამაყით გაიხსენებენ ჩვენი ხალხის გმირული შემართების მაგალითებს, არასოდეს დავიწყებას არ მიეცემა საბჭოთა ხალხის ეს უმაგალითო თავგანწირვა.

* * *

ჩვენები პირდაპირ ცეცხლის კორიანტელში ხვევენ მტერს. ასეც უნდა იყოს, უფლებამოსილნი ვართ—ჩვენს მიწას ვიცავთ, ვათავისუფლებთ მტრის ურდოსაგან. ამ დიდ ბრძოლაში ჩვენი მებრძოლებიც ეცემიან, ჩვენშიც არის მსხვერპლი. დაე, უკვდავი იყოს მათი ხსოვნა, მათი წმინდა სახელი. ისტორია ოქროს ასოებით აღბეჭდავს შატიანეებში საბჭოთა მებრძოლების გმირობის ამბავს.

იმ დღეს დამწუხრებული ვიყავით, დაიღუპა დივიზიის კომისარი პოლკოვნიკი ალექსანდრე გიორგის-ძე პიჩერსკი. ჩვენს რიგებს გამოაკლდა ადამიანი, რომელიც მზრუნველ მამასავით თავს დასტრიალებდა მებრძოლებს, ის ყველასათვის საყვარელი იყო, ხოლო განსაკუთრებით ჩემთვის ის მარჯვენა ხელი იყო. ეს იყო ბრძოლებში შეუპოვარი ვაჟკაცი, შეუბრალებელი მტრის მიმართ და თან ისეთი კეთილი, რომ იტყვიან, ჭიანჭველას ფეხს არ დაადგამსო; ყველა ანგარიშს ვუწევდით მის მუდამ აზრიან და გონივრულ რჩევა-დარიგებებს. ის ხშირად იგონებდა სამოქალაქო ომისდროინდელ ბრძოლებსა და ამ ნამდვილ ვეტერანს

ჩვენც მუდამ გულისყურით ვუსმენდით. მისი დაკარგვა პირადად ჩემთვის ძალიან მძიმე იყო. ის ჩემი ძმაც იყო და მამაც, თანაშემწეც და მეგობარიც. ის მუდამ ელვის უსწრაფესად გამოჩნდებოდა ხოლმე იქ, სადაც ნაწილები განსაცდელში აღმოჩნდებოდნენ. მის ცხედართან ფიცი დასდო მთელმა შენაერთმა, რომ აიღებდნენ მისგან შაგალითს, იბრძოლებდნენ პირსკისებურად, არ შეარჩენდნენ მტერს მის სისხლს.

## დ ი მ ი ტ რ ო ვ კ ა

კვლავ იმავე მიწურში ვართ. დღესაც ვესაუბრე ტყვე გერმანელებს, ფეხზე ძლივსღა დგანან, აჩრდილები, ნამდვილი აჩრდილები არიან. ქანცგამოლეულნი დალასლასებენ და სიტყვის ამოღებაც კი უჭირთ, წყდებიან შიმშილისა და სიცივისაგან. ნუთუ ოდესმე აპატიებს გერმანელი ხალხი ჰიტლერს ამ უმაგალითო ბოროტმოქმედებას?.. და ეს ბოროტმოქმედება იმდენად საზარელია, მისი შედეგები იმდენად მძიმეა, რომ მრავალი ათეული წლებია საჭირო ამ უბედურების დასავიწყებლად. „რისთვის იყო საჭირო ყოველივე ეს? გიფიქრიათ თუ არა იქვენს მდგომარეობაზე?“ — ვეკითხები ტყვეებს. თარჯიმანი იმეორებს ჩემს კითხვას გერმანულ ენაზე. მაგრამ გერმანელებს ლაპარაკის უნარიც აღარ შესწევთ, სასოწარკვეთით იქნევენ თავს. ერთი მათგანი ამბობს: „ყველაფერი ჩვენი უფროსების ბრალიაო“. მეორე ამბობს: „ჩვენი შეცდომის გასწორება ჩვენ აღარ ძალგვიძს, ჩვენ დაღუპული ადამიანები ვართო“.

ამ ტყვეებს შორის არიან მოღალატეებიც, რომლებიც გერმანულ ფორმაში გამოწყობილნი, ჩვენ გვებრძოდნენ. დაწვრილებით გამოვკითხე, სად და რა პირობებში ჩავარდნენ ისინი ტყვედ მტრის ხელში. ახლა ისინი სწყევლიან თავიანთ გაჩენის დღეს, ნანობენ თავიანთ საქციელს, მაგრამ რაღა დროსია! არიან ისეთებიც, რომლებმაც გერმანელებთან ერთად დალაშქრეს მშობლიური სოფლები, გადასწვეს მამა-პაპეული კერა... აბა რა ფასი აქვს ასეთი ადამიანის სინანულს?!.

დივიზიის უფროსის თანაშემწესთან ერთად გოროხოვი წინა ხაზზე გაემგზავრა, რათა დაზიანებული ავტომანქანები შეეგროვებინა. იქ მტრის ჩასაფრებულ რაზმს წასწყდომიან. გერმანელებს ხუთი ჩვენი

მებრძოლი დაუჭრიათ და ორი მოუკლავთ. ლადო ლომთათიძე და გოროხოვი გადარჩნენ.

დღევანდელმა დღემ კარგი ცნობები მოგვიტანა, ვორონეჟის ფრონტზე ჩვენებს გაურღვევიათ მტრის ხაზი და 50—60 კილომეტრით წინ წასულან. მტერს ბრძოლის ველზე 15 000 მოკლული დაუტოვებია, ჩვენებს ხელთ უგდიათ 600 ტყვე და ბევრი ნადავლი. წინ წასულან ჩვენები ჩრდილოეთ კავკასიაშიც. მტრის აღსასრული ახლოვდება. 5—6 დღეც და ფრონტი სტალინგრადიდან ასეული კილომეტრით დასავლეთისაკენ გადაინაცვლებს.

დღეს ჩემთან მოვიდა უკრაინელი ოფიცერი კლიმენკო. საუბარი ჩამოვარდა ტყვედ წამოყვანილ გერმანელებზე. უეცრად კლიმენკო გაფიცხდა და განაცხადა: ყველა ტყვე უნდა გავანადგუროთ, არც ერთი გერმანელი ცოცხლი არ უნდა დარჩეს ჩვენს მიწა-წყალზეო. ვერაფრით ვერ დავარწმუნე, რომ ის ცდებოდა. როგორც ჩანს, ასეთ საშინელ და საყოველთაო უბედურებაში შურისძიების გრძნობა ადამიანებს საღი განსჯის უნარს ართმევს; დიდხანს ველაპარაკე კლიმენკოს, ვუთხარი, რომ ჩვენი ადამიანები ჰუმანიზმის წმინდა პრინციპებზე არიან აღზრდილნი. ისინი შეუბრალებლად გაანადგურებენ მტერს ბრძოლის ველზე, მაგრამ უმწეო ტყვეზე არასოდეს ხელს არ აღმართავენ. ასე მხოლოდ ჰიტლერელები შეიძლება მოიქცნენ. კლიმენკო შემეკითხა:

— ამიხსენით, პატივცემულო გენერალო, ერთი რამ: აი, უკვე ჩვიდმეტი თვეა ბრძოლის ველზე ვარ, ორჯერ დავიჭერი, ვინ მოსთვლის რამდენჯერ ავდრიან დღეებსა და ღამეებში მინდერად ვგდებულვარ, რაღაც სასწაულით გადავრჩი... მილიონები კი დაიხოცნენ და არც ჩემი ბედისწერაა გამორკვეული. ეს უბედურება გერმანელებმა დაგვმართეს. ჰოდა, აბა განა შეიძლება ყოველივე დაივიწყო. ვთქვათ დავბრუნდი სახლში, დამხვდა დანგრეული ოჯახი, მე კი ამ გერმანელებს ხელი არ ვახლე მხოლოდ იმიტომ, რომ ნაბრძანები მაქვს — ის ტყვეა, არ შეიძლება მოკლაო?!.

ჩემს ვრცელ ახსნა-განმარტებაზე მან ხელი ჩაიქნია.

დღეს სხვა ფრონტიდანაც სასიხარულო ცნობები მოგვივიდა. ღამის სამ საათზე შტაბის მიწურში წავედი, ოვჩინიკოვი გამოვაღვიძე და ახალი ამბები გადავეცი.

სწორედ იმ წუთებში ჩვენთან ერთი ცხრა წლის ბიჭუნა მოიყვანეს. თურმე ადრე ამ ბიჭის სახლში გერმანელები იყვნენ დაბინავებულნი.

ბავშვი ჰკიცხავდა პაპას, მეტად უხეშ და უჯიათ მოხუცს, რომელსაც თურმე გერმანელების მიმართ მაინცადამაინც დიდი სიძულვილი არ გამოუჩენია. მათი სახლის სარდაფში დამალული ყოფილა ერთი საბჭოთა ტანკისტი, რომელსაც ბავშვი, პაპის სურვილის წინააღმდეგ, ყოველდღე უზიდავდა საზრდოს: მაშინ პაპას უთქვამს: რაკი ასე გებრალება ის ტანკისტი, წადი, მასთან ერთად იშიმშილე, შენ ჩემი შვილიშვილი არა ხარო. ბიჭუნა წასულა ტანკისტთან და ოთხი დღე დარჩენილა მასთან. პურს თურმე მეზობლები აწვდიდნენ. ბავშვს დაუნახავს, როგორ აბუჩად იგდებდნენ გერმანელები დედამისს, შეუგროვებია ვაზნები და მიწაში ჩაუფლავს იმ მიზნით, რომ წითელი არმიისათვის დაესვედრებინა და მათი დახმარებით შური ეძია გერმანელებზე.

ღღეს ყველაზე მძიმე შთაბეჭდილება ორი საბჭოთა მებრძოლის უეცარმა სიკვდილმა მოახდინა. ისინი წინა ხაზისაკენ მიემართებოდნენ, მტრის მიმალულმა სნაიპერმა ესროლა მათ. ცოცხლებს მიუსწრეს, ორივეს ცხვირიდან და პირიდან სისხლი სდიოდათ. ხსნა შეუძლებელი იყო.

მძიმეა ყოველივე ამის ხილვა, მაგრამ ჩვენს ადამიანებს ეს ვერ შეაკრთობს, სიკვდილის წინ ერთი წამიც რომ იყოს დარჩენილი, ისიც იმისთვის უნდა გამოიყენო, რომ მტერს პასუხი გასცე, რათა ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა აღარ იხილონ ის, რის მოწამენიც ახლა ვართ.

* * *

გათენებისას რადიომ გვაუწყა, რომ ჩვენი ჯარები ლენინგრადის ფრონტზე წინ წავიდნენ და 14 კილომეტრის სიღრმით გერმანელების პოზიციებში შეიჭრნენ. საბჭოთა არმიამ გაარღვია ლენინგრადის ბლოკადა. ეს სამხედრო ოპერაცია ჩატარდა საბჭოთა კავშირის მარშლების — ვასილევსკისა და გოვოროვის ხელმძღვანელობით.

ყინვა შედარებით ისე აღარ მძვინვარებს, მაგრამ ომი უფრო და უფრო მძაფრი ხდება. მტერმა დიდი ხანია დაჰკარგა ადამიანის სახე და ახლა როგორც სასიკვდილოდ დაჭრილი ნადირი ისე ბორგავს, აწყდება აქეთ-იქით, მტრის ჯარისკაცებს აზრისა და გრძნობის ნატამალი აღარ შერჩენიათ, მათ მხოლოდ მხეცის ინსტიქტებიღა შერჩენიათ და ალბათ, იმასაც ვეღარ გრძნობენ, რომ არ შეიძლება მკვდარი ცხენის გაყინული ლეშის უმად ჭამა. ისინი კი ჭამენ პირუტყვებივით, უგრძნობ-

ლად, ბრმად... და თან წყევლა-კრულვით იხსენიებენ მათ, ვინც მიზეზი გახდა ამ სისხლისმღვრელი ომისა.

პირდაპირ შემაძრწუნებელია, შემზარავია ამ დახოცილთა ცქერა. მტრის ერთი ჯარისკაცი ვნახე, კედელზე მიყრდნობილი გაციებულიყო, თითქოს გამელელებს ზვერავსო. მინდა დღიურში აღვწერო ეს საზარელი სურათები, მაგრამ მიმძიმს, ძნელია ასეთ რამეზე წერა, არ შემიძლია.

ჩვენ შეუბრალებელნი ვართ მტრისადმი, მან დაიმსახურა განადგურებულ იქნას ისე, როგორც სპობენ ცოფიან ძაღლებს, რათა გადაარჩინონ ადამიანები. ჰუმანიზმის ყველაზე მაღალი პრინციპი სწორედ ამ პიტლერელთა მოსპობას მოითხოვს.

ასეთებად აღგვზარდა ჩვენმა სამშობლომ. საბჭოთა ჯარისკაცი თავგამეტებით იბრძოლებს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, მაგრამ უმწეოზე, ტყვეზე ის ხელს არასოდეს არ აღმართავს; აი ახლაც, როგორც უკვე ვამბობდი, ჩემზე შემაძრწუნებელ შთაბეჭდილებას ახდენს გაყინული გვამებით მოფენილი ეს მინდორი. ამასთან დაკავშირებით, მახსენდება ერთი ამბავი: კორეის ომის დროს მე განეკუთვნებით წავიკითხე გაზეთებში: თურმე, როცა ამერიკელი გენერალი მაკარტური კორეაში ჩავიდა, მას უჩვენეს კორეელთა ცხენების უზარმაზარი გროვები. „ეს სანახაობა ახარებს ჩემს ბებერ თვალებს“, — წამოიძახა თურმე მაკარტურმა; როგორც ხედავთ, კომენტარი ზედმეტია.

ჩვენ კი, აბა რა დასამალია, გულგრილად ვერ ვუყურებთ ფრონტის ამ სურათებს. მარტო მე კი არა, ყველა მძიმედ განიცდის მას. სწორედ იმ დღეებში დიმიტროვკაში შევხვდი სუშკოვსა და სარჭისიანს. საშინლად ნერვიულობენ. ომს თავისი მძიმე დაღი დაუმჩნევია ადამიანებზე. ეტყობა, ეს დაღი დიდხანს არ წაიშლება. ასევე სწუხან კლარა ხოჭოლავა და სიმა მარკოვნა, მათაც მობეზრდათ ეს მძიმე ცხოვრება, მაგრამ ეს საჭიროა, აუცილებელი, უამისოდ არ შეიძლება, უამისოდ საფრთხე მოელის იმას, რაც ყველაზე ძვირფასია ადამიანისათვის — საფრთხე მოელის სამშობლოს თავისუფლებას.

ეს რამდენიმე დღეა ყველა იმაზე ლაპარაკობს, რომ ჩვენებს ხელთ ჩაუგდიათ ალყაში მომწყვდეული გერმანელების რადიოგრამა ჰიტლერისადმი.

ჩვენ უკვე სოლივით ვიყავით შეჭრილი მტრის ზურგში, საჭირო იყო მათთვის ალყა შემოგვერტყა. რადიოს საშუალებით დავუკავშირდი არმიის სარდალს ჩისტიაკოვს და მოვახსენე:

— მტერი დემორალიზებულია, ჩვენ მის ღრმა ზურგში ვართ. ნება მომეცით, მივიტანო იერიში კალაჩის მიმართულებით, რათა კალაჩში შევუერთდე მეორე მხრიდან მომავალ ჩვენს ჯარებს და დავამთავროთ რკალის შეკვრა.

— მიიღეთ გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად და იმოქმედეთ!— იყო პასუხი.

გადავწყვიტე კვლავ წინ წაგვეწია, რათა შეევერთებოდი ნაწილებს, რომლებიც მოქმედებდნენ სამხრეთიდან. გერმანელები სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევდნენ. მათ ეშინოდათ ალყაში მომწყვდევისა და არაფერს არ ზოგავდნენ, რათა ჩვენი წინსვლა შეეჩერებინათ. მტრის ძალა გაცილებით ჭარბი იყო. აქ იბრძოდა გერმანელთა ქვეითი კორპუსი, რომელსაც გენერალ-ლეიტენანტი ჰაიცი ხელმძღვანელობდა. ჩვენ ამ კორპუსს დავარტყით ფრთებიდან და კვლავ წინ წავედით. გერმანელები პანიკამ მოიცვა. თითქმის მთელი კორპუსი ვიგდეთ ტყვედ. ტყვედ წამოვიყვანეთ თვითონ გენერალი ჰაიციც. გერმანელთა შტაბის ოფიცერ კოხს წინადადება მივეცით ჰაიცის სახელით რადიოში გამოსულიყო და მიემართა გერმანელი ჯარისათვის, რომ იარაღი დაეყარათ; კოხიც ასე მოიქცა. ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს კალაჩი; და სწორედ აქ შეიკრა ის ისტორიული რკალი, რომელსაც შედეგად მოჰყვა პაულიუსის დაჯგუფების განადგურება. საბჭოთა ნაწილები შეხვდნენ ერთმანეთს.

დადგა ერთიანი დარტყმის ისტორიული დღე — 10 იანვარი. იმ ხანებში მე ზურგიდან დარტყმის ოსტატი შემარქვეს; ამასთან დამავალეს მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი შტაბის ორგანიზაცია. დაიწყო ისევ ცხარე ბრძოლები. კვლავ სოლივით შევიჭერით მტრის ზურგში და გერმანელებს ხელიდან გამოვგლიჯეთ დასახლებული პუნქტები. გადავდიოდით მტრის გვამებზე და წინ მივიწევდით.

მოძმე რუსებთან და უკრაინელებთან ერთად კავკასიელები გააფთრებით ვიბრძოდით, სულ წინ-წინ მივიწევდით. ჩვენი შეჩერება აღარ შეიძლებოდა. ახლა ჩვენ ვიმყოფებოდით იმ ისტორიულ მიდამოებში, სადაც 24—25 წლის წინათ თავი ისახელა ქართველი ხალხის ლეგენდარულმა გმირმა ვასილ კიკვიძემ.

ტყვეების ჯგუფებს ზედიზედ ვგზავნიდით ზურგში. გამხდარნი, ღონემიხდილნი, ყინვისაგან დამზრალნი, ხელფეხგათოშილნი, ისინი ძლივს დადიოდნენ, ადამიანის სახე აღარ შერჩენოდათ. თავზე საბნები ჰქონდათ წამოხურული და მთელი სხეულით ცახცახებდნენ. ნუთუ ეს

ისინი არიან, გუშინ ტრაბახით ქვეყანას რომ იკლებდნენ, აწიოკებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. დღეს ისინი უკვე ლანძღვა-გინებით იხსენიებენ თავიანთ „ფიურერს“ და გაიძახიან:

— ჰიტლერ კაპუტ, კაპუტ!..

* * *

ზამთრის ბურუსიან დღეს სტალინგრადის დანგრეულ შენობათა სილუეტები გაშოჩნდა. ეს ამაღელვებელი წუთი იყო ყველასათვის. მებრძოლები მოწიწებით გაჰყურებდნენ ლეგენდარულ ქალაქს. სტალინგრადი რომ დაინახეთ, ჯარისკაცებს მიემართე:

— აგერ, იქ შური უნდა ვიძიოთ მტერზე—ჩვენი ცოლების, დების, ჩვენი ბავშვების უდანაშაულო სისხლისათვის, წინ მეგობრებო!

„ადოლფ ჰიტლერის სიმაგრე“ ასე უწოდებდნენ გერმანელები დიმიტროვკას, მსხვილ დასახლებულ პუნქტს, რომელიც მდებარეობს შემაღლებულ ადგილას და ყოველი მხრიდან 15—20 კილომეტრის მანძილზე სივრცეს გადაჰყურებს. ასეთი გეოგრაფიული მდებარეობა უკვე ამ სიმაგრის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე ლაპარაკობს. გარდა ამისა, ეს ადგილი გამაგრებული იყო „დოტებითა“ და ძელმიწურებით. აქ იყო აეროდრომი და მიწისქვეშა მაკავშირებელი გზები. გერმანიის მთავარსარდლობა დიმიტროვკას სტალინგრადის გასაღებად თვლიდა.

აქ იყო გერმანიის დაჯგუფებული არმიის საუკეთესო ძალები, სსელები და 113-ე ქვეითი დივიზიის პოლკები, რომლებიც განკუთვნილი იყო ჰიტლერის პირადი დაცვისათვის.

N წითელდროშოვანმა გვარდიულმა სომხურმა დივიზიამ ბრძანება მიიღო დიმიტროვკის სიმაგრეები შეესწავლა. შესწავლის შემდეგ ჩვენ დავრწმუნდით, რომ მტრის ძირითადი კვანძი ნამდვილად აქ იყო.

„ადოლფ ჰიტლერის სიმაგრის“ გარნიზონს ხელმძღვანელობდა სამოცდახუთი წლის გენერალ-პოლკოვნიკი გეიც ვალტერი, რომლის სახელი კარგად იყო ცნობილი N გვარდიული დივიზიისათვის. სამამულო ომის პირველ თვეებში ბევრჯერ გვქონდა ბედნიერება სისხლი გამოგვეშვა გენერალ გეიცის კორპუსიდან, მიუხედავად იმისა, რომ ის მუდამ წინ მოიწევდა და კვალდაკვალ მოგვდევდა. ახლა კი მდგომარეობა შეიცვალა, N წითელდროშოვანი გვარდიული სომხური დივიზია თვითონ უტევდა გენერალ გეიცის კორპუსს. დადგა დრო პირისპირ შეხვედრისა. გენერალი გეიცი საკმაოდ ბებერი მელა იყო. ჯერ ისევ

პირველი მსოფლიო ომის დროს, 1914 წელს ის ხელმძღვანელობდა შენაერთს და იბრძოდა რუსეთის წინააღმდეგ. საბერძნეთში მეორე მსოფლიო ომის დროს ის მონაწილეობდა კრიტის ცნობილ ოპერაციაში; მან, როგორც საზიზღარმა ჯალათმა განსაკუთრებით საფრანგეთში „გამოიჩინა თავი“, ის იყო ჰიტლერის ერთგული და საყვარელი გენერალი.

შევიმუშავეთ დარტყმების გეგმა. ცენტრიდან იერიშის მიტანაზე უარი ვთქვით და ისევ ჩემს გამოცდილ წესს — ფლანგებიდან ზურგში დარტყმას მივმართე. იერიში დავიწყე აღმოსავლეთიდანაც და დასავლეთიდანაც. მარცხნივ მოქმედებდა N შენაერთი, რომელსაც მეთაურობდა გენერალი ჯახუა. აქ უნდა გადაგვეჭრა მოწინააღმდეგის გამოსავალი გზები, რომელიც მას თავის გამაგრებულ პუნქტებთან აკავშირებდა. გენერალმა გეიცმა შემდეგ ზომებს მიმართა: მან ამ მიმართულებით გადმოიყვანა ორი ქვეითი პოლკი და ერთი სატანკო ათასეული, გაძლიერებული არტილერიით. მაგრამ იგი გაება ჩვენს მიერ დაგებულ მახეში. ამის შემდეგ ჩვენ შევუტიეთ დასავლეთიდან, რადგან მთელი მათი ყურადღება ახლა სამხრეთისაკენ იყო მიპყრობილი, ზურგში მოვექეცით და ახლა ჩრდილოეთის მხრიდან დავარტყით. ამ გზით მისი მეორე საყრდენი პუნქტიც დავიკავეთ. სიმაგრე გარშემორტყმული იყო. ახლა ვეღარავის მოატყუებდა ჰებელსის რადიოგრამა, რომელიც იუწყებოდა: „გენერალი გეიცი თავის ადგილზეა. „ადოლფ ჰიტლერის სიმაგრის“ გარნიზონი უძლეველია“.

გამანადგურებელი ბრძოლების შემდეგ, შუაღამისას, დიმიტროვკაში შევიჭერით. გარნიზონს წინადადება მივეცით, დაგვნებებოდა. ზუსტად სამ საათზე პასუხი მივიღეთ: „გენერალი გეიცი არ გნებდებათ, განვაგრძობთ ბრძოლას“. სრულ ხუთ საათზე თავი მოვუყარეთ არტილერიასა და ნაღმმტყორცნებს, გავხსენით გამანადგურებელი ცეცხლი. გათენდა. 8 საათზე სკოლის შენობიდან, სადაც გენერალი გეიცი იმყოფებოდა, გადმოფრინეს თეთრი ზეწარი, რაც მაუწყებელი იყო იმისა, რომ გვნებდებოდნენ. შევწყვიტეთ ცეცხლი. პარლამენტიორი გადმოგვცემს გენერალ გეიცის სიტყვებს:

— მინდა გავიგო გენერალ თავართქილაძის პირობები.

— პირობა მხოლოდ ერთია: დაჰყარეთ იარაღი და მთელი გარნიზონის შემადგენლობით დაგვნებდით.

— გენერალ-პოლკოვნიკი გეიცი გთხოვთ, შეუნარჩუნოთ შტაბი.

— შტაბი მას ახლა უკვე აღარაფრისათვის აღარ ესაჭიროება.

— გენერალი გეიცი გთხოვთ, შეუნარჩუნოთ სამხედრო ფორმა მთელ გარნიზონს.

— გარნიზონი გადადის სამოქალაქო მდგომარეობაში და გადაგზავნილი იქნება ზურგში.

8 საათსა და 5 წუთზე გენერალი გეიცი გამოვიდა თავისი ამალით და მთელი გარნიზონი მწკრივში დააყენა. თვრამეტი ათასი ჯარისკაცი განიარაღებულ იქნა. ნადავლს შორის იყო 89 ასაფრენად გამზადებული თვითმფრინავი.

საუბარი ბლინდაჟში

გენ. გ ე ი ც ი — ბატონო გენერალო, თქვენ, ალბათ, გაგონდებათ ომის პირველი დღეები. თქვენს შენაერთს მაშინ ჩემი ჯარები მოსდევდნენ. იმ დროიდან გიცნობთ. გახსოვთ, როგორ გაიძულებდით უკან დახევას?

გენ. თ ა ვ ა რ თ ქ ი ლ ა ძ ე — ყველაფერი მახსოვს, მაგრამ ომში მთავარია არა ის, რომ უაზროდ შეუტიო მოწინააღმდეგეს, არამედ უნდა აიძულო დაჰყაროს იარაღი.

გენ. გ ე ი ც ი — მე დარწმუნებული ვიყავი ჩვენს გამარჯვებაში, მაგრამ თქვენ ძლიერ ეშმაკურად მოქმედებდით.

გენ. თ ა ვ ა რ თ ქ ი ლ ა ძ ე — კარგი მხედართმთავარი მუდამ ეშმაკურად და გააზრებულად უნდა მოქმედებდეს. გთხოვთ, გამიზიაროთ თქვენი აზრი გერმანიის სამხედრო მდგომარეობის შესახებ.

გენ. გ ე ი ც ი — თქვენი ასეთი დარტყმები სტალინგრადთან მაფიქრებინებს იმას, რომ დროა გავაძლიეროთ გერმანიის საზღვრები. მეორე ასეთი დარტყმა დაანგრევს გერმანიას.

გენ. თ ა ვ ა რ თ ქ ი ლ ა ძ ე — თქვენ სავსებით სწორად აფასებთ სამხედრო მდგომარეობას.

გენ. გ ე ი ც ი — ბატონო გენერალო, დამიტოვეთ პირად სარგებლობაში ავტომანქანა. ეს ფიურერის პირადი საჩუქარია, ჩემი საფრანგეთში ჩატარებული ოპერაციებისათვის. დამიტოვეთ მე იგი ფიურერის მოსაგონებლად.

გენ. თ ა ვ ა რ თ ქ ი ლ ა ძ ე — ჰიტლერს თქვენ თვალით ველარ იხილავთ, მის სამახსოვროდ კი ჩაიწერეთ ავტომანქანის ნომერი.

გენ. გ ე ი ც ი — მაშინ გთხოვთ, დამიტოვოთ იგი დღევანდელი დღის სამახსოვროდ.

გენ. თ ა ვ ა რ თ ქ ი ლ ა ძ ე — დღევანდელი დღის მოსაგონებლად სას-

კოლო წიგნები წაიკითხეთ ამ ომის ისტორიაზე. იქ იქნება ყველა თარიღი სტალინგრადის ოპერაციებისა.

გენ. გ ე ი ც ი — ასეთ შემთხვევაში გთხოვთ, დამიტოვოთ რუკა. იქ აღნიშნული მაქვს ყველაფერი, რაც ახლანდელ ბრძოლებს ეხება

გენ. თ ა ვ ა რ თ ქ ი ლ ა ძ ე — არ შემიძლია, ბატონო გენერალო, თქვენი რუკა დოკუმენტური მასალაა ისტორიისათვის. და ეგეც არ იყოს, ზედ ბერლინია აღნიშნული, რომელსაც ჩვენ მალე ვინახულებთ.

### ჰიტლერის უკანასკნელი ღონისძიება პაულიუსის დაჯგუფების გადასარჩენად

დონიტროვკასთან გერმანელთა ნაწილების განადგურების შემდეგ გერმანელთა დაჯგუფება სტალინგრადთან სრულ ალყაში და გამოუსვლელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ფელდმარშალ პაულიუსმა აცნობა ჰიტლერს მათთვის ამ მეტად მძიმე მდგომარეობის შესახებ და დახმარება სთხოვა, რათა ეხსნა თავისი დივიზიები. რკალი, რომელშიც პაულიუსის დაჯგუფება იყო მოქცეული, თანდათან ვიწროვდებოდა და ის რჩეული 22 დივიზია, რომელიც ერთ დროს ანგრევდა და ანიავებდა სტალინგრადს და მის ახლომახლო მდებარე რაიონებს, ნელ-ნელა, თოვლივით დნებოდა.

ჰიტლერმა უპასუხა პაულიუსს, რომ მას შემუშავებული აქვს გენიალური გეგმა ამ დაჯგუფების ხსნისათვის; უფრო მეტიც, საბჭოთა ჯარების სრული განადგურებისათვის. ჰიტლერის ეს გეგმა შემდეგში მდგომარეობდა: სტალინგრადიდან, სამხრეთ დასავლეთის მიმართულებით პაულიუსი უნდა გადასულიყო კონტრშეტევაზე და შეერთებოდა როსტოვ-კოტელნიკოვის მიმართულებით მოქმედ გერმანელთა დიდ სატანკო ჯგუფებს, რომელსაც მეთაურობდა ფელდმარშალი მანშტეინი. მისი მარშრუტი ასეთი უნდა ყოფილიყო: კოტელნიკოვო—კალაჩი-დონი—სტალინგრადი. ამრიგად, პაულიუსსა და მანტშტეინს ერთდროული დარტყმა უნდა მოეხდინათ, რათა გაერღვიათ რკალი, ალყაში მოემწყვდიათ საბჭოთა ჯარები და შემდეგ გაენადგურებინათ.

მას შემდეგ რაც საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა შეიმუშავა გეგმა გენერალურ შეტევაზე გადასვლის შესახებ, უკვე წინასწარ განსაზღვრული და გათვალისწინებული იყო მტრის მოქმედების ყოველგვარი შესაძლებლობანი. ასე რომ, ამ

შემთხვევაშიც წინასწარ გათვალისწინებული იყო ჰიტლერის ეს მოსალოდნელი საბრძოლო ღონისძიებაც, რომელზედაც გერმანელები დიდ იმედებს ამყარებდნენ.

გერმანელთა ამ საბრძოლო ღონისძიების წინააღმდეგ საბჭოთა ჯავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლობას ასეთი გეგმა ჰქონდა შემუშავებული:

მეორე გვარდიული არმია, გენერალ მალინოვსკის მეთაურობით (ამ არმიაში ერთ-ერთ კორპუსს ხელმძღვანელობდა გენერალი ჩანჩიბაძე) რეზერვიდან გადაყვანილი იყო დონის ფრონტის განკარგულებაში, მას ამოცანად დასახული ჰქონდა გაეძლიერებინა დონის ფრონტი და დაეჩქარებინა გერმანელთა განადგურება სტალინგრადთან.

რაკი ფრონტზე ოპერატიული მდგომარეობა შეიცვალა, და პაულიუსის დასახმარებლად სამხრეთ-დასავლეთიდან სტალინგრადის მიმართულებით წამოვიდა დიდი სატანკო გაერთიანება, მანშტეინის ხელმძღვანელობით, ამიტომ ეს მეორე გვარდიული არმია, გაძლიერებული სატანკო ნაწილებით, არტილერიითა და ცხენოსანთა კორპუსით გადმოსროლილი იქნა მანშტეინის ჯარების შესახვედრად — მას არ უნდა დაეშვა პაულიუსისა და მანშტეინის ჯარების შეერთება.

მალინოვსკისა და მანშტეინის ჯარები ერთმანეთს შეხვდნენ ქალაჩის სამხრეთ რაიონებში; ამ ბრძოლებს ძლიერ მძაფრი ხასიათი ჰქონდა. ეს იყო გერმანელთა უკანასკნელი იმედი; ისინი მეტისმეტი თავგანწირვით იბრძოდნენ, გერმანელები გრძნობდნენ ამ შეხვედრითი ბრძოლების მნიშვნელობას და სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ ჩვენს ჯარებს. სწორედ ამ ბრძოლებში ისახელა თავი გენერალ ჩანჩიბაძის კორპუსმა. რამდენიმე დღის დაძაბული ბრძოლების შემდეგ მტერმა დაიწყო იძულებითი უკანდახევა, თუმცა ნაბრძანები ჰქონდა, არც ერთი მტკაველით უკან არ დაეხია. მტერი უკან იხევდა კატელნიკოვის მიმართულებით. ჰიტლერის იმედი არ გამართლდა.

N გვარდიული სომხური შენაერთი ამ ოპერაციების დროს დიდ საფრთხეში იყო: თუ მანშტეინი მოახერხებდა წინსვლას, ჩვენი დივიზია ალყაში აღმოჩნდებოდა. ამიტომ N შენაერთს, გარდა ძირითადი ამოცანებისა, მოუხდა მოგერიებითი ბრძოლების ჩატარება მანშტეინის შემომტევ ჯარებთან.

დაიწყო ისევ შეტევითი ბრძოლები. შენაერთი წინ ნოვო-ალექსეევსკის მიმართულებით მიიწევდა. დღისითა და ღამით არ წყდებოდა გამძაფრებული ბრძოლები. ამ ხანებში მოვიგერიეთ მტრის ქვეითი ჯარის დიდი დაჯგუფების კონტრშეტევა, რომელიც გაძლიერებული იყო არტილერიითა და ორმოცამდე ტანკით, რომლებსაც უნდოდათ ნოვო-ალექსეევკა—დიმიტროვკის გზაზე გამოსულიყვნენ.

მტერი მოგერიებული და განადგურებული იქნა. ჩვენ მივუახლოვდით ნოვო-ალექსეევკას. ახლა საჭირო იყო მისი ხელში ჩაგდება. ჩვენი დივიზიის უკვე ჩვეული ხერხი გამოვიყენეთ — ფლანგებიდან მტრის ზურგში შევიჭერით და შემდეგ გამანადგურებელი დარტყმა ვაგემეთ ჰიტლერელებს. ნოვო-ალექსეევკა უკვე ჩვენი იყო. ტყვეებს გამუდმებით ზურგში ვგზავნიდით, იმ ბრძოლაში ნადავლის სახით ხელთ ვიგდეთ 15 ზარბაზანი, 25 ნაღმმტყორცნი, 60 ტყვიამფრქვევი და 500 ავტომანქანა.

მთვარიანი და ნათელი ღამე იყო. ყინავდა. შენაერთი განაგრძობდა შეტევით ბრძოლებს, მას ახალი ამოცანა ჰქონდა შემუშავებული. ე. წ. პიტომნიკზე იერიში უნდა მიგვეტანა, დაგვეკავებინა მდ. როსოშკას მარცხენა ნაპირი და მზად ვყოფილიყავით გუმრაკის მიმართულებით შეტევისათვის.

დაძაბული ბრძოლები მიმდინარეობდა ორი დღე-ღამის განმავლობაში. მტერი გრძნობდა, თუ რა სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტებს ჰკარგავდა. ავიღეთ პიტომნიკიც, სადაც მტრის დიდი აეროდრომი იყო მოწყობილი. ხელთ ვიგდეთ 30 ზარბაზანი და ნაღმმტყორცნი, 40 ტყვიამფრქვევი, 100 ავტომანქანა და 120 თვითმფრინავი, რომლებმაც აფრენა ვერ მოასწრეს.

**1943 წლის 20 იანვარი.**
**პ ი ტ ო მ ნ ი კ თ ა ნ**

დილით ადრე გავწიე მოწინავე ხაზისაკენ, საცეცხლე წერტების შესამოწმებლად. თან წავიყვანე პოდპოლკოვნიკი ბელოვი. ჩვენს თვალწინ გულშემზარავი სანახაობა გადაიშალა: ეს იყო დალეწილი ავტო-

მანქანების, დამსხვრეული ქვემეხებისა და ტყვიამფრქვევების უდიდესი ოკეანე. მინდვრები დაფარული იყო გერმანელთა გვამებით, იმდენი რკინა ეყარა ირგვლივ, რომ თოვლიანი მიწა შაავად გამოიცქირებოდა. თოვლში გამოკეთილ ბუნაგებს ათასობით ადამიანები შეფარებოდნენ ბრძოლის მოლოდინში. სიარულის დროს ფეხებში გვედებოდა ადამიანის ხელები, ფეხები; გვამები იმდენი ეყარა, რომ ავტომანქანებს უჭირდათ გვერდის ავლა. არა მგონია, ისტორიას ახსოვდეს ასეთი ხოცვა-ჯლეტა. ხეებიც ამოესებულიყო. მიაბიჯებ ამ მკვდართა სამყოფელში და ჟრუანტელი გივლის. ზარბაზნების ქუხილისაგან და ტყვიამფრქვევების სროლისაგან ჰაერი ზანზარებს, ფერადი შუშხუნები ცის კაბადონზე ერთმანეთს ეხლართებიან.

უეცრად ცაზე ორი გერმანული გამანადგურებელი გამოჩნდა. ჩვენმა საზენიტო არტილერიის ცეცხლმა ცა მთლიანად დაბურა. მალე ერთ გამანადგურებელს ცეცხლი გაუჩნდა, თვითმფრინავი კვამლში გაეხვია და ძირს დაეშვა. როცა მიწაზე დაენარცხა, ვეება ალი ავარდა, მალე ცეცხლი განელდა და ფრთებგაშლილი თვითმფრინავი განგმირულ ძერასავით გამოჩნდა.

იმ დღეს ჩვენს დივიზიას ვილი ბრედელი ესტუმრა. ამაღამ ძლიერი რეპროდუქტორით უნდა ელაპარაკოს გერმანელ ჯარისკაცებს. ხვალ დაიწყება უკანასკნელი გადამწყვეტი შეტევა, რომელიც საბოლოოდ გაანადგურებს მტრის აქ თავმოყრილ ნაწილებს.

ღამეს ნაწილში გავატარებ, ხვალ კი ბრძოლაში უნდა მივიღო მონაწილეობა.

მთვარიანი საღამო დადგა. ზარბაზნების ყუმბარებსა და ფერად შუშხუნებს არემარე უცნაურად გაუნათებიათ. განვაგრძობთ წინსვლას. სოფელ გონჩართან მტრის დიდძა დაჯგუფებამ სასტიკი წინააღმდეგობა გაგვიწია. ერთობ მძიმე პირობებში გვიხდებოდა ბრძოლა. მტერს მეტად გამაგრებული ჰქონდა უბანი და სანგრები, საჭირო გახდა სულ ახლოს მივსულიყავით მტერთან და ხელჩართულ ბრძოლებში ჩავრეულიყავით.

მეთაურები თავს დასტრიალებდნენ მებრძოლებს. ერთთავად წინა ხაზზე მიხდებოდა ტრიალი, რათა საცეცხლე წერტები სწრაფად გადამენაცვლებია; ამით არევ-დარევა შეგვქონდა მტრის ვანლაგებაში. მტერმაც მოახდინა საცეცხლე წერტების გადანაცვლება. ამ დროს საჭირო იყო მეტად სწრაფი და დაკვირვებული მოქმედება. მტერს მალე მოვუძებნეთ სუსტი ადგილი, შევიჭერით მის სანგრებში და გაიმართა

ხელჩართული ბრძოლა. გერმანელები ყოველთვის ერიდებოდნენ ჩვენთან ხელჩართულ ბრძოლებს. ჩვენი მებრძოლების გამოჩენამ მათ რიგებში საშინელი დაბნეულობა გამოიწვია; ჩვენი მებრძოლები კაფავდნენ და ხიშტის წვერებზე აგებდნენ გერმანელებს. ამის შემდეგ რამდენჯერმე მოგვიხდა მტერთან ისევ პირისპირ ხელჩართული შებმა. ოთხი დღის მძაფრი ბრძოლების შემდეგ სოფელი გონჩარი ჩვენი იყო.

დუბოვაია ბალკა

ღამე N ნაწილში გავატარე, ჩამოვუარე სამხედრო დანაყოფებს და მათი საბრძოლო მზადყოფნა შევამოწმე.

მთვარიანი ღამე იყო. დადუმებული, თოვლით დაფარული მინდვრები თითქოს დიდი ქარიშხლის მოლოდინში გაჩუმებულიყვნენ. დიახ, სიმშვიდე იყო; ასეთი სამარისებური დუმილი უფრო მძიმე და აუტანელია მებრძოლისათვის. სწორედ ამ სიწყნარეში ჰკარგავს იგი მოსვენებას, გრძნობს, რომ მტერმა რაღაც მზაკვრული ჩაიფიქრა, მოელის რაღაც უბედურებას, დიდ შემაძრწუნებელ ამბავს. დენთის სუნს მიჩვეული მეომარი ასეთი სიწყნარის დროს მუდამ რაღაც დიდი განსაცდელის მოლოდინშია. სულ სხვაა, როცა ორივე მხრიდან გახურებული სროლაა, მაშინ მებრძოლი უფრო მხიარულადაა, უშიშრად. დღევანდელი სიწყნარეც საბედისწერო ბრძოლის შესავალია, მაგრამ ეს ბრძოლა ჩვენთვის კი არ არის საბედისწერო, არამედ მტრისათვის. გათენებისას დაიწყება ჩვენი ჯარების გრანდიოზული შეტევა ყოველი მხრიდან და ამ შეტევაში შვიდი არმია მიიღებს მონაწილეობას.

ახლა კი სიწყნარეა, მთვარიანი ღამე; მისი მიმქრალი შუქითაა განათებული მთელი მინდორი, დალეწილი და მწყობრიდან გამოსული სამხედრო საჭურველი, თეთრ თოვლზე ყრია ფეხქვეშ გათელილი ტუალეტის წვრილმანები — სავარცხლები, ოდეკოლონის შუშები, წვერის გასაპარსი მოწყობილობანი და კიდევ ვინ მოსთვლის რა. ყველაფერი ეს საფრანგეთიდან და გერმანიიდან აქ ჩამოუტანიათ ავტომანქანებით ოფიცრებისათვის, რომელთა სისხლში მოსვრილი ეპოლეტები აქა-იქაა მიმოფანტული. აგერ პირაღმა გდია მწყობრიდან გამოსული ექვსლულიანი ქვემეხი, დამტვრეული ტანკები, ფრთებდალეწილი თვითმფრინავი, რომელიც მკედარი ქორივითაა მიწაზე გართხმული.

ჩვენი სამხედრო ნაწილის მებრძოლებმა მოწინავე ხაზზე რადიო-

გადაცემა მოაწყეს. აი, თითქმის ცეცხლის ხაზის გასწვრივ დგას ძლიერი რეპროდუქტორი, იგი 150—160 ნაბიჯითაა დაშორებული მტრის პოზიციისაგან. გადაცემას ჩვენ მიწური სანგრებიდან ვაწარმოებდით. დიქტორმა მტრის ნაწილებს პირველად გააცნო ჩვენი სარდლობის ულტიმატუმი გენერალ პაულიუსისადმი, შემდეგ გადასცა ამ უკანასკნელის უარი ულტიმატუმის მიღებაზე, იქვე დასძინა, რომ მთელი პასუხისმგებლობა იმ სისხლისღვრისათვის, რომელიც ახლა დაიწყება, ამიერიდან ეკისრება გერმანელთა სამხედრო სარდლობასო. ვინ მოსთვლის დღეში რამდენი ჯარისკაცი და ოფიცერი იხოცება, — განაგრძობდა დიქტორი, — ერთი ამდენიც ყინვისაგან, შიმშილისა და სიცივისაგან კვდება დონის ტრამალებზე. რად იკლავთ თავს ტყუილუბრალოდ? იქნებ კიდევ გამოადგეთ თქვენს სამშობლოს, თქვენ ხომ გყავთ ცოლ-შვილი; შინ ხომ ბავშვები მიგელითო.

ჩვენ მათ სიმართლეს ვეუბნებოდით. მაგრამ ამ სიმართლისათვის გერმანელი ოფიცრები სროლის განკარგულების მიცემით გვიპასუხებდნენ. ტყვიამფრქვევების ბათქის დროს ჩვენი დიქტორი ჩუმდებოდა, შემდეგ კი ისევ განაგრძობდა. შემდეგ ისევ სროლა... მხოლოდ როცა მუსიკას დავუკრავდით, სროლა უმალვე წყდებოდა, გერმანელები ბოლომდე უსმენდნენ. მაშინ ვიფიქრე, კარგი იქნება, გერმანული ხალხური, ეროვნული მელოდიები გადავცეთ, იქნება იმ ჯარისკაცების გულში სამშობლოზე ნატვრა-ოცნებამ, სამშობლოს სევდამ გაიღვიძოს. მაშინ შეიძლება გონს მოვიდნენ და თავიანთ თავს შეეკითხონ: „რატომ ვაქციეთ ეს ქვეყნიერება ჯოჯოხეთად? ვინ არის ამ ბოროტმოქმედების სულისჩამდგმელი?“... სწორედ დღეს ხელთ ჩამივარდა ძველი გერმანული სიმღერების წიგნი, მასში ნოტებზეა გადატანილი დიდი გოეთეს ლექსები და ხალხური სიმღერები. ჯაზის ხელმძღვანელი აკოფ ხანჯიანი გამოვიძახე და ვუთხარი — ეს წიგნი გამოეყენებინა.

მტრის ჯარისათვის გადაცემის დამთავრების შემდეგ, მოვაწყვეთ გადაცემა ჩვენი ჯარისკაცებისათვის. დიქტორმა წაიკითხა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობები და მებრძოლებს გააცნო თუ რა ხდებოდა ფრონტებზე; ბოლოს მარგანიანმა იმღერა ჯარისკაცების საყვარელი მელოდიები: „პარხომენკო“, „სიმღერა მიწურის შესახებ“ „ამხანაგო, თითოც მოვწიოთ“, ქართული, სომხური და აზერბაიჯანული სიმღერები. პოზიციებზე მყოფი ჯარისკაცები გამოფხიზლდნენ, სიმღერის სიტყვებმა მათ ძალ-ღონე შემატა, მერე სათითაოდ მოდიოდნენ და შე-

კვეთას იძლეოდნენ, ზოგი სიმღერის დროს ცეკვავდა კიდეც; დიდი ხანია, რაც ფრონტზე ვიმყოფები, და მაინც ყოველდღე აქ ადამიანებს ახალ-ახალ თვისებებს ვამჩნევ; ზოგჯერ მგონია, თითქოს ამ ადამიანებისაგან, ჭუჭყში, ყინვა-სიცივეში, საერთოდ, მეტად მძიმე პირობებში რომ არიან, აღარაფერს არ უნდა ელოდე, მაგრამ საკმარისია გული პატარა რაიმეთი გაუთბო და ველარ იცნობ. ეს ჩვენი ჯარისკაცის ლეგენდარული თვისებაა — ზებუნებრივი ამტანიანობა, ჭირსა შიგან გამაგრება.

ვილი ბრედელი წუხელ ჩვენთან აღარ მოსულა; სხვაგან წაეყვანათ. თარჯიმანს სხვა გერმანელი ლიტერატორი მოჰყვა — დოქტორი ჰადერმანი. ის ჩემთან მოიყვანეს სანგრებში, დიდხანს ვესაუბრე ჯარისკაცების თანდასწრებით. საუბრის თემა, რა თქმა უნდა, ომი იყო. მე ძლიერ მაინტერესებდა გერმანელი მწერლის აზრი დღევანდელი მდგომარეობისა და ფაშისტური გერმანიის შესახებ. დოქტორი ჰადერმანი ყველაფერზე ახსნა-განმარტებებს მაძლევდა. მან მითხრა: „პირმოთნეობად არ ჩამომართვათ, მე ბევრჯერ შევხვედრივარ გერმანიაში ქართველ სტუდენტებს და უნდა გულახდილად მოგახსენოთ, რომ მათ ჩემზე მუდამ კარგი შთაბეჭდილება დაუტოვებიათო".

მე მას ველაპარაკე ლიტერატურის შესახებაც და ბოლოს ვუთხარი, რომ გერმანულ ლიტერატურას ქართველები ძლიერ კარგად იცნობენ და პატივისცემით ეპყრობიან, რომ გოეთეს ლექსებს თარგმნიდა ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე, რომ „ფაუსტი" ჩვენ გამოცემული გვაქვს ქართულ ენაზე, ხოლო შილერის „ყაჩაღები" ჩვენ სცენაზე დიდი წარმატებით იდგმებოდა. ჰადერმანი სიამოვნებით მისმენდა, ხოლო როცა ლაპარაკი ნიცშეზე ჩამოვარდა და მე ვუთხარი, რომ ნიცშესაც იცნობენ საქართველოში, მაგრამ ის არ უყვართ, რადგან პატარა ერების მოძულე იყო-მეთქი, დოქტორი შემეკამათა. მან მითხრა:

— მართალია, ნიცშეს ბევრი უხეში მოსაზრება აქვს გამოთქმული, ფაშისტები ამას თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ, მაგრამ მას ჰქონდა საღი აზრებიც.

მაგრამ სანგრებში ლიტერატურულ დისკუსიას ვერ გავმართავდით და ჩვენ კამათი შევწყვიტეთ, ისე, რომ, ცხადია, ვერ შევთანხმდით. ნიცშეზე კამათს თავი დავანებეთ. ჰადერმანმა მითხრა:

— ბერლინში თუ შევხვდით ერთმანეთს, სტუმრად მეწვიეთ.

მეც ჩემი მხრივ მივიპატიჟე — როცა ომს დავამთავრებთ და კაცი-

ჭამიებს ანდერძს ავუგებთ. მაშინ ბერლინში თქვენც გვეწვ-ეთ, იქ ვიქნებით-მეთქი.

ჩემი უკანასკნელი ფრაზა მოისმინა თუ არა თარჯიმანისაგან, დამეთანხმა.

ერთ ხანს გავჩუმდით, მერე ერთად დავათვალიერეთ ღამის მყუდროებაში მიძინებული დონის არემარე, რომელიც მძაფრი ქარიშხლის მოლოდინში იყო.

დილით ბელოვი ვნახე. გულის სისუსტეს უჩივის, ვიცი რისი ბრალიც არის ეს „გულის სისუსტე“. პოდპოლკოვნიკი მეტად გულმოდგინედ დაეწაფება ხოლმე წყეულ ცეცხლიან სითხეს, სიცივეს უჩივის და გახურება უნდა. მკაცრად გავკიცხე იგი. დამეთანხმა და მერე გაჩუმდა.

გათენებისას არტილერიამ და ნაღმმტყორცნებმა ისეთი ჭექა-ქუხილი ატეხეს, გეგონებოდათ, ცა ჩამოქცევას აპირებსო.

ჩვენებს აუღიათ ვალიუკი. რა მძიმე მოგონებებია ამ სახელთან დაკავშირებული! მოგონებები იმ დღეებისა, როცა ჩვენ უკან ვიხევდით.

ახლა კი წინ მივდივართ და გული სიხარულითაა სავსე.

• • •

ღამით გავიგეთ, რომ ჩვენებს სტავროპოლი აუღიათ, მტერი კავკასიიდანაც უკან იხევს. ნეტავი ამაზე კარგი აბა რა ცნობა უნდა მიგვეღო!

დილით წინ წავიწიეთ და გონჩარნაია ხუტორი გავანთავისუფლეთ.

დღეს პოლკში ერთი საინტერესო ამბავი მოხდა. შეტევის დროს ჩვენებმა გერმანელი ჯარისკაცების ერთი ჯგუფი მოიმწყვდიეს. ჯერ ბრძოლა გათავებული არც იყო, როცა სამედიცინო და, სახელად ვერა (გვარი აღარ მახსოვს) წინ გაჭრილიყო, გერმანელების ჯგუფში შეევარდნილიყო და რაღაც გაოგნებით დასხმოდა თავს ერთ გერმანელ ჯარისკაცს. სცემდა მას მესანგრის პატარა ბარით და თან თურმე გიჟივით ყვიროდა: „ეს სერგეისათვის, სერგეისათვის... რომ აწამეთ, რომ დაჩეხეთ!..“ ის იყო გერმანელი აპირებდა ხელი გამოეღო, მაგრამ ბოლოდნელად ვერას ბარი შორს გადაესროლა, მიწაზე დამხობილიყო და გულამოსკვნილი ქვითინი დაეწყო.

ვინ იყო სერგეი მისი — ძმა, სატრფო, თუ ქმარი, არ ვიცი. მაგრამ თურმე ისეთი საშინელი იყო მისი მრისხანება, რომ გერმანელმა ჯა-

რისკაცებმა, ჯერ ისევ იარაღასხმულმა, მას ხელის შებრუნება ვერ გაუბედეს, როცა უმწეო ქალი მათ სახეში სცემდა.

ეს-ეს არის დავბრუნდი კლარა ხოჭოლავას მიწურიდან. ღამის ორი საათია. მთელი სამი საათის განმავლობაში ყურადღებით ეუსმენდი კლარას. რომელიც თავისი მამის მუხრან ხოჭოლავას თავგადასავალს მიამბობდა. რა საოცარი რამ მითხრა კლარამ, ვერ წარმომედგინა, რომ ჩვენი კლარა იქნებოდა ნაცნობი... კარლ კაუცკისა. თურმე თბილისში ყოფნის დროს ის მათ ოჯახსაც სწვევია. კაუცკის მუხლებზე დაუსვამს პატარა კლარა და მიალერსებია. ახლა მიწურში ჰყვება კლარა ამ ამბებს და იცინის. კარგი ადამიანია კლარა, გულწრფელი, კაცთმოყვარე. რა უნდა გაუჭირდეს კაცს, როცა ამ ქვეყნად ასეთი ადამიანები არსებობენ!

* * *

მოვიარე ბრძოლის ველი, ვნახე დიდძალი საბრძოლო ტექნიკა, რომელიც მტერმა დატოვა. თან მახლდა პოლკოვნიკი გოროხოვი. საოცარია, მან ყველაფერი იცის, ერთი შეხედვით სცნობს ყოველ საგანს, თოვლით რომ იყოს წანამქრული, გეტყვის მის მარკას, გეტყვის რომელ ქალაქში დაუმზადებიათ. პირდაპირ ცოცხალი ენციკლოპედიაა.

დღეს ერთმა ტყვე გერმანელმა ჯარისკაცმა თქვა, მე კომუნისტური პარტიის წევრი ვიყავი და ბავარიის ორგანიზაციაში ვმუშაობდიო. ჩვენები შეეჭვდნენ, არ დაუჯერეს და შეეკითხნენ:

— იცნობ თუ არა ვილი ბრედელს?..

გერმანელს გაეხარდა და უპასუხა: ძალიან კარგად ვიცნობო.

— გინდა შეგახვედროთ მას?

— როგორ არა, ეგ ჩემი ოცნებაა!

და აი, ჯარისკაცი ბრედელთან წაიყვანეს. მან შორიდან რომ დაინახა ბრედელი, ხმამაღლა უცნაური ყვირილი დაიწყო. თურმე ბრედელის ლექსს კითხულობდა; ვილიმ იგი უცებ იცნო და ხელგაშლილი წამოვიდა შესაგებებლად. მათ დიდხანს ისაუბრეს. ვინ იცის, რის შესახებ არ იმსჯელეს, მოიგონეს წარსული, დასტიროდნენ თავიანთი ხალხის საბედისწერო დაბნეულობას, რომელმაც ამდენი უბედურება მოუტანა როგორც გერმანიას, ისე მთელ მსოფლიოს.

დღეს რადიომ გამოაცხადა, რომ ჩვენებმა საჩოკი აიღეს. ყოველი ამგვარი ცნობა დიდი სიხარულით მოივლის ხოლმე მთელ ნაწილებს.

... რა მძიმე წუთები განვიცადე: ღამით ფეხი გამიცურდა და სახით მკვდარ გერმანელს დავეცი. მთელი ღამე სახე მიხურდა და საშინელ ტკივილებს ვგრძნობდი.

**მოქმედი არმია.**
**1943 წლის 22—24 იანვარი**

ბრძოლები გუმრაკის მიმართულებით მიმდინარეობს. მტერი სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევს, ძლიერ თავდაცვაზეა გადასული. გერმანელები ისვრიან ყოველი კუთხიდან, ყოველი წერტილიდან — დამტვრეული მანქანებიდან, თვითმფრინავებიდან, ტანკებიდან. 8 საათსა და 30 წუთზე გუმრაკთან მტერი უკვე წელში გატეხილი და განადგურებულია. ხელთ ვიგდეთ დიდძალი დავლა — 50 თვითმფრინავი, 200 ქვემეხი, 3 500 შაშხანა და ავტომატი, 100 ავტომანქანა. დიდძალი საჭურვლის საწყობი, ორთქლმავლები და ვაგონები. ამას გარდა, გავანთავისუფლეთ საბჭოთა სამხედრო ტყვეების დიდი ჯგუფი.

* * *

ბურუსიანი დღე იყო. თბილოდა. თოვლი ისე დამდნარიყო, რომ თექის ჩექმები მთლად დამისველდა. პიტომნიკიდან წინ წავიწიეთ. ისევ მტრის მიერ მიტოვებულ ნადავლით სავსე მინდორზე მივდივართ.

დღეს გერმანელები მრავალრიცხოვან ჯგუფებად გვნებდებიან, მიმძიმს მათი შეხედვა. ადამიანის იერი აღარა აქვთ. ერთი რუმინელიც ურევია მათში, პირდაპირ იშვიათი ეგზემპლარია, ძალზე მაღალია და გამხდარი, თავზე შავი ფაფახი ჩამოუფხატავს, დაბნეულია და სასაცილო. აფსუს, რომ სურათის გადაღება არ შემიძლია! ერთი კუზიანი გერმანელიც დავინახე. არა, კუზიანს ჯარში არ წამოიყვანდნენ, ეს უბედურება, ალბათ, აქ შეემთხვა. თავი მუხლებამდე ჩაუღუნავს, ხანდახან ქვევიდან ამოიხედავს, და, თითქოს საიქიოდან იძახისო, რაღაცასა გვთხოვს. კატის კნავილსა ჰგავს მისი ხმა:

— გენერალ, გენერალ, შპიტალ, შპიტალ!

ვცადე გამეგო, თუ რა სურდა, ძლივს მივხვდი, საავადმყოფოში მოთავსებას ითხოვდა. ამხანაგებმა მუნჯურად მანიშნეს, ეგ საცოდავი

ჰკუაზეა შერყეულიო; მაგრამ მარტო ის როდი იყო ამ დღეში; აგერ მოდიან ფეხებზე საბნებშემოხვეული აჩრდილები, ძლივს მოლასლასებენ, აბუზულ წიწილებსა ჰგვანან, ფეხებზე ტალახი რომ შეახმებათ და ძლივს დაბაჯბაჯებენ. ტყვეების ერთი ჯგუფი თოვლზე მისვენებულა. იდუმალი სიჩუმეა. ჩვენ ერთმანეთს ვუყურებთ, მინდა გამოველაპარაკო მათ, მეასედ ვკითხო თუ რატომ მოხდა ყველაფერი ეს, ვინ არის დამნაშავე, რომ თქვენ ასეთ დღეში ხართ-მეთქი. მაგრამ დუმილი ვამჯობინე, აღარ ღირს ლაპარაკი, აღარ ღირს ხმის ამოღება, უამისოდაც ყველაფერი ნათელია.

— ხომ ყველაფერი გასაგებია! — წამომცდა მაინც.

ისინიც პასუხად რაღაცას ბუტბუტებენ. ერთმა მათგანმა საჩვენებელი თითი მიიდო თავზე და მსუბუქად დაუსტვინა; უნდოდა ეთქვა— „ჰკუა არა გვაქვს, ჩვენივე ჰკუის ბრალიაო".

გასიებული ხელებით, შეშუპებული სახით, ისინი საშინელი შესახედავნი იყვნენ.

მთელი დღე ჯგუფ-ჯგუფად მოერეკებიან ტყვეებს. რუმინელი და გერმანელი ტყვეები ერიდებიან ერთმანეთს, არასოდეს მწყობრში ერთად არ მიდიან, განცალკევდებიან ხოლმე და ისე მისდევენ ერთი მეორეს.

რუმინელები საშინლად ლანძღავდნენ გერმანელებს. რუმინელებმა იციან, რომ მათი თხუთმეტი დივიზია უკვე დაგვნებდა. გერმანელებმა კინალამ ჰკუა დაკარგეს, როცა რუმინელებმა გადაწყვიტეს ბრძოლაზე ხელის აღება. ზურგიდან დაუწყეს გერმანელებმა სროლა თავიანთ მოკავშირეებს, მაგრამ მათ მაინც თავისი გაიტანეს.

ტყვეებს შორის ბევრს უნდა გამოგველაპარაკოს, მაგრამ თარჯიმანი არა გვყავს, რუსული კი არც ერთმა მათგანმა არ იცის. ერთი ჩეხი ახალგაზრდა შემომხვდა, მეტად მომეწონა. როცა მას ვუთხარი — გოტვალდი, სტალინი, ჩერჩილი და რუზველტი — ყველანი ერთად უტევენ ჰიტლერს-მეთქი, ძალიან გაეხარდა.

ერთმა შავგვრემანმა გერმანელმა ჯარისკაცმა მითხრა, რომ ის კომუნისტია, მეტალურგი. რწმენა არ დაჰკარგოდა. ამბობდა — ახლა ამეხილა თვალიო.

საღამოთი ხმები გავრცელდა მტრის ჯარები კაპიტულაციას აპირებენო. ამბობენ, ვითომ მათი სარდლები თვითმფრინავებით გაფრინდნენ და ბრძანება დაუტოვეს ხელქვეითებს — დანებდითო. ჩვენ წინ წავიწიეთ გუმრაკისაკენ. ჩვენი ჯარები მოდიან ქვეითად, ცხენებით, მანქანებით.

დღეს ერთი უსიამოვნო ამბავი მოხდა. პანიკის მიზნით, დივიზიაში ხმა გავრცელდა, ვითომდა მე და ოვჩინიკოვი მოგვკლეს, ხოლო ბელოვი დასჭრეს. ეს ჭორი გაუვრცელებია ერთ უფროს ლეიტენანტს, რომელიც თურმე ფიცით ირწმუნებოდა ჩემი თვალით ვნახე ყველაფერიო.

იმავე საღამოს. გუმრაკის სადგურის მახლობლად მიწურში შევედი. ყველანი ფეხზე წამოიშალნენ, მისასალმებლად გამოიჭიმნენ და პატაკი გადმომცეს. ყველას თვალი გადავავლე. და უეცრად შევამჩნიე, რომ ყველანი იმ უფროს ლეიტენანტს მისჩერებოდნენ, ჩემი სიკვდილის ამბავი რომ გაევრცელებინა. იმდენი საყვედური იყო მათ თვალებში, იმდენად ნაწყენი იყვნენ იმ ხმის გავრცელების გამო, რომ გადმოცემა შეუძლებელია. ერთი ლეიტენანტი მომიახლოვდა და მითხრა:

— ამ ამბავმა საშინელ ხასიათზე დაგვაყენა, მერე ისიც ბრძოლის დროს გავიგეთ, საწყენი საწყენად დარჩებოდა და სულიერადაც დავეცემოდით, მაგრამ ბედზე თქვენ დაგინახეთ ცოცხალი. ამ ლაჩარს კი, — მიმითითა უფროს ლეიტენანტზე, — ვუთხარი, შენთვისაც მოვიცლი, შე ბაღლინჯო, შენა-მეთქი.

გამოირკვა, რომ ჩვენი სიკვდილის ხმა იმ ოფიცერს პროვოკაციის მიზნით გაევრცელებინა. როგორც კი ეს გავიგეთ, რამდენიმე მებრძოლმა პროვოკატორს ქამარი შემოხსნეს და გაიყვანეს. იმ ლეიტენანტს კი, რომელიც ჩემს წინ იდგა და ჩემს პასუხს ელოდა, ვუთხარი:

— იცოდე, მეგობარო, მე თუ მოვკვდები, მოვკვდები თქვენთან ერთად, ბრძოლაში, მაგრამ მაშინაც სულიერად არ უნდა დაეცეთ; პირიქით, ჩემი სიკვდილისათვის შური უნდა იძიოთ!

იმ დღეს სასტიკი ყინვა იყო. დილაადრიან საუზმეზე წავედით. გზაში ცხეირი კინაღამ მომეყინა, თოვლით მოვისრისე.

გავწიე ტრიბუნალისა და პროკურატურის მიწურების საძებნელად. თითქმის სადგურს მივუახლოვდი, მაგრამ ვერ მივაგენი. ქარი თვალებში მაყრიდა ნამქერს. უეცრად ცაზე მტრის ყუმბარმშენები გამოჩნდნენ, თავზე გადაგვიქროლეს და ხუთი ყუმბარა ჩამოაგდეს. მახლობელ ორმოში ჩავიმალე. ერთი ყუმბარა ჩემგან ორმოცდაათი მეტრის დაშორებით გასკდა. მისმა ნატეხებმა ზუზუნით გადამიარეს თავზე.

როგორც იქნა მივაგენი ტრიბუნალის მიწურს. აქ დამხვდა სამხედრო იურისტი, გვარად ფაქტოროვიჩი. საინტერესო ადამიანად მომეჩვენა და დიდხანს ვისაუბრეთ ამ ომზე, ცალკეულ სამხედრო ოპერა-

ციებზე. ამ ლაპარაკში სიტყვას მოჰყვა და ვატერლოო ვახსენე. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა ფაქტოროვიჩმა მკითხა, ვატერლოო რას ნიშნავსო. მე ვუპასუხე — ეს ერთგვარი კიტრის მწნილია, ერთხელ ნაპოლეონმა ჭამა, კუჭი აეშალა და თან გადაჰყვა-მეთქი, ფაქტოროვიჩმა განცვიფრებით შემომხედა, ვერ მიხვდა, ვხუმრობდი თუ სერიოზულად ვლაპარაკობდი, მაგრამ რა მექნა, აბა სხვა რა პასუხი უნდა გამეცა ასეთი ფრიად „გათვითცნობიერებული" სამხედრო იურისტისათვის.

...კიდევ სამი კილომეტრიც და ჩვენი მოწინავე ნაწილები ქალაქში შევლენ.

ჯერ ისევ ნახევრად ბნელა ჩვენს მიწურებში.

ხვალ ან ზეგ ჩვენი ეპოპეა ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდება. ცოტას დავისვენებთ და, ალბათ, სხვა ფრონტის ხაზზე გადავინაცვლებთ.

გარეთ ქარბუქი და თოვლის კორიანტელია.

**მოქმედი არმია.**
**1943 წელი. 26 იანვარი — 2 თებერვალი**

სტალინგრადთან გერმანელთა სამხედრო ძალების დაჯგუფება, რომელიც ოცდაორი რჩეული დივიზიისაგან შედგებოდა, სულ უფრო და უფრო ვიწრო რკალში ექცეოდა. მას ერთი მხრიდან მდ. ვოლგა საზღვრავდა, ხოლო დანარჩენი მხრიდან საბჭოთა სამხედრო ძალები უტევდნენ.

მდინარე ვოლგის ნაპირებთან განლაგებული იყო საბჭოთა არმიის საუკეთესო ნაწილები, კერძოდ N არმია, რომელსაც გენერალი ჩუიკოვი მეთაურობდა.

როგორც ზევითაც აღვნიშნე, სტალინგრადთან გერმანელთა სამხედრო დაჯგუფებას ხელმძღვანელობდა ფელდმარშალი პაულიუსი. მანშტეინის შემოტევის შემდეგ მან ორჯერ სცადა გადასულიყო იერიშზე, გაერღვია ჩვენი რკალი და მანშტეინის ჯარებს შეერთებოდა, მაგრამ მისი ორივე ცდა უშედეგოდ დამთავრდა და იგი იძულებული იყო მხოლოდ მოგერიებითი ბრძოლები ეწარმოებინა. სწორედ ასეთი

მდგომარეობა იყო ფრონტზე, როდესაც ჩვენ სტალინგრადის მისადგომებს ვუახლოვდებოდით.

25 იანვარს არმიის სარდალმა ჩისტიაკოვმა გამომიძახა; იქვე იყო ფრონტის სარდალი გენერალი როკოსოვსკი. ჩისტიაკოვმა ბრძანება გადმომცა, რომლის შინაარსი ასეთი იყო: უნდა გამერღვია გერმანელების თავდაცვის ხაზი.

მტრის ზურგში სოლივით შევჭრილიყავი და N მსროლელ დივიზიას შეერთებოდი, რომელსაც გენერალი როდიმცევი ხელმძღვანელობდა. N დივიზია იყო N არმიის ნაწილში, რომელიც სტალინგრადს იცავდა. როდიმცევთან შეერთების შემდეგ მტრის დაჯგუფება შუაზე გაყოფილი აღმოჩნდებოდა, მას აღარ ეყოლებოდა ერთიანი ხელმძღვანელობა და ჩვენს ნაწილებს გაუადვილდებოდათ მისი განადგურება. მე ბრძანების დამუშავება-შესწავლას შევუდექი. პირველ ყოვლისა, ჩემს სამეთვალყურეო პუნქტზე შევკრიბე პოლკების მეთაურები, დივიზიის არტილერიის უფროსები, გავაცანი მათ ამ ბრძანების შინაარსი. ამოცანა მეტად რთული იყო, საჭირო იყო ყველაფრის წინასწარ განსაზღვრა. მთელი დღის ბჭობის შემდეგ, 26 იანვარს, საღამოს დავიწყეთ მოქმედება. აი რა ღონისძიებები დავსახეთ:

1. გამოვყავით საავანგარდო N ლორის სახელობის პოლკი, გაძლიერებული ნაღმმტყორცნებით. ამ ავანგარდის მოქმედებას პირადად მე ვხელმძღვანელობდი.

2. შენაერთის დანარჩენი ნაწილები, რომლებიც მთავარ ძალას შეადგენენ, ჩვენს უკან მოქმედებდნენ. ხელმძღვანელობა დავალებული ჰქონდა ჩემი დივიზიის პოლკოვნიკ ოვჩინიკოვს.

უნდა გვემოქმედნა ფრთხილად და ჩუმად, თოფის გაუსროლელად, ღრმად უნდა შევპარულიყავით მტრის ზურგში; გათენებისას მოულოდნელად დაგვეერტყა მტრისათვის. ავანგარდს მთავარ ძალებთან გვაკავშირებდა საიდუმლო სიგნალები, რომლითაც უნდა გვეცნობებინა, რომ მტერთან მოგვიხდა პირისპირ შეხლა; ამის შემდეგ მოქმედება უნდა დაეწყო მთელ შენაერთს, ჩემი ხელმძღვანელობით, ადრევე დამუშავებული გეგმის მიხედვით. არტილერიის ნაწილებს ეჭირათ თავიანთი საცეცხლე პოზიციები და მზად იყვნენ. ისინი ელოდნენ ჩვენს სიგნალს — თუ რომელი მიმართულებით რა სიძლიერის ცეცხლი გაეხსნათ.

მოქმედება დავიწყეთ ღამის პირველ საათზე. მივდიოდით იმ მი..

მართულებით, საიდანაც კოცონები მოჩანდნენ; ვიცოდით, რომ ეს იყო როდიმცევის N დივიზიის მებრძოლთა მიერ დანთებული ცეცხლი. მივიწევდით წინ, ჩუმად, მე წინასწარ გავგზავნე მზვერავები, რომელთაც მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა გაესროლათ. ისინი შეიარაღებული იყვნენ დანებით, მათ ჩუმად უნდა დაეხოცათ მცველები და ეჩვენებინათ გზა, თუ სად დაგვეკავებია ადგილები. მზვერავებმა ბრწყინვალედ შეასრულეს თავიანთი დავალება. მათ ბევრი გერმანელი გამოასალმეს წუთისოფელს. დაკავებულ ადგილებში მათ გადასჭრეს მტრის კავშირგაბმულობის ხაზები.

დიდი სიძნელეები გველობებოდა გზაზე: მაინც მივიწევდით წინ. შორს მოჩანდნენ კოცონები, რომლებიც მიმართულებას გვიჩვენებდნენ. როდიმცევის შენაერთს საშუალება არ ჰქონდა, წინ წასულიყო, ვინაიდან ირგვლივ გარშემორტყმული იყო მტრის დიდძალი ჯარით, იქ კი, სადაც კოცონი ენთო, საბჭოთა მებრძოლები მოუთმენლად და სიხარულით გველოდებოდნენ. ისინი ამის შესახებ წინასწარ გაფრთხილებული იყვნენ. ჩვენ მივიწევდით ისევ წინ; საკმარისი იყო ერთი გაუფრთხილებელი ნაბიჯი, რომ დიდი განსაცდელის წინაშე აღმოვჩენილიყავით. მტრის მეტად ჭარბ ძალასთან გვქონდა საქმე. გვამხნევებდა აზრი, რომ ვშველოდით როდიმცევის შენაერთს და ამასთან გერმანელების ამ დიდ დაჯგუფებას ჩუმად და შეუმჩნევლად შუაზე ვჭრიდით. მიზანს ნელ-ნელა ვუახლოვდებოდით. მღელვარება თანდათან მატულობდა. რამდენიმე ნაბიჯი და, გაისმა: შეჩერდით, ვინა ხართ?!

— თავართქილაძის გვარდიაა! — უპასუხა მოწინავემ, — თქვენ კი ვინა ხართ?

— ჩვენ როდიმცევის გვარდიელები ვართ! — იყო პასუხი.

ამ სიტყვების გაგონება და ომახიანი ვაშას ძახილი ერთი იყო. მებრძოლები და მეთაურები ეხვეოდნენ და ჰკოცნიდნენ ერთმანეთს. ბევრს სიხარულის ცრემლიც კი მოადგა თვალზე. გენერალი როდიმცევი გადამეხვია და მონატრებულ ძმასავით გულში ჩამიკრა. დიდებული სანახობა იყო ეს შეხვედრა. ოპერაცია ბრწყინვალედ დამთავრდა. ჩვენ გენერალ როდიმცევის დივიზიას შევუერთდით სტალინგრადის გარეუბანში, შამაის ყორღანთან, ქარხანა „კრასნი ოქტიაბრის“, სიზრანისა და ტექნიკური ქუჩების გზაჯვარედინზე.

მტერი გამოაფხიზლა ჩვენმა ხმამაღალმა ვაშამ და შეძახილმა. უცებ ამოქმედდნენ გერმანელები, მაგრამ უკვე გვიან იყო. ჩვენს მიერ გაკა-

ფულ გზაზე გამაგრდნენ ჩვენი ნაწილები. მტრის დაჯგუფება საბოლოოდ გაიყო შუაზე — ჩრდილო და სამხრეთ ნაწილებად.

ამ ოპერაციას ჩემს მიერ ჩატარებულ ბრძოლათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

მინდა მოვახსენო მკითხველს, რომ მეთაურისათვის ყოველთვის ყველაზე დიდი ბედნიერებაა, როდესაც ის კარგად შეასრულებს დასახულ საბრძოლო ამოცანას, შეასრულებს რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლით.

ხშირად მჭონია შემთხვევა, როდესაც მძიმე განსაცდელში ვყოფილვარ. ძალიან მიძნელდებოდა გამოსავლის მონახვა და ამ დროს შემომჩერებია მთელი ნაწილი. ვგრძნობ, რომ ჩემში ისინი მხსნელს ხედავენ. მიუხედავად ჩემი შინაგანი შეშფოთებისა, სულ სხვა გამომეტყველება მიმიღია და გამიმხნევებია ისინი. აი, ახლაც ვხედავ, თუ როგორი დიდი სიხარული გამოიწვია ამ ოპერაციის ბრწყინვალედ დაგვირგვინებამ მებრძოლებში. მით უმეტეს მიხარია, რომ ამ ოპერაციაში არც ერთი კაცი არ დაგვიკარგავს. ვდგევარ და შევყურებ ამ მხიარულებას, ვგრძნობ, რომ ყელში რაღაც მაწვება, ეს სიხარულია; მე და როდიმცევე შევყურებთ ამ საერთო მხიარულებას და უხმოდ ვგრძნობთ ერთმანეთის იდუმალ გულისძგერას.

ბრძანების თანახმად, 27 იანვარს, უბანი მეზობელ შენაერთს გადავაბარე. 28 იანვარს არმიის სარდალმა ჩისტიაკოვმა მომილოცა ოპერაციის ბრწყინვალედ დამთავრება და დივიზიის მთელ შემადგენლობას მადლობა გამოუცხადა.

ახალი ბრძანება მივიღე — შევუტიოთ მტერს სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით და დავიკავოთ სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, შემდეგ უნდა გამოვიდეთ რკინიგზის ხაზზე, „ნეფტოსინდიკატის“ რაიონში და ავიღოთ იგი. ზუსტად 12 საათსა და 10 წუთზე შეტევა დავიწყეთ, გავანადგურეთ მტერი და დღის ბოლოს ხელთ ვიგდეთ ქარხნის შენობა.

ოცდაცხრა იანვარს დივიზია აწარმოებდა ბრძოლებს ქუჩებში. მტერი სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევდა, ისროდნენ ყოველი კუთხიდან, ყოველი ფანჯრიდან. ნანგრევებში ჩასაფრებული გერმანელები პირდაპირ ტყვიების სეტყვას გვაყრიან. გამარჯვების რწმენა დიდია ჩვენში და ჩვენი შეჩერება შეუძლებელია. დღის ბოლოს ჩვენი იყო შემდე-

გი ქუჩები: ირტიცკაია, რახინსკაია, ყარსკაია; ბოლოს დნეპროსტროევსკის ქუჩაზე გაემაგრდით.

კარგად ვიცოდით ვინ იდგა ჩვენს პირისპირ, ჰიტლერის არმიის რომელი ნაწილები გვებრძოდნენ. ეს იყო ნარჩენები განადგურებული 295-ე, მე-100 ქვეითი დივიზიებისა, მე-60 მოტოდივიზიისა, 68-ე სატანკო პოლკისა, 24-ე სატანკო დივიზიისა, 1 და 2-ე საარტილერიო პოლკებისა, ორი მძიმე ნაღმმტყორცნელთა პოლკისა და პირველი რუმინული ცხენოსანი დივიზიისა.

ოცდაათ იანვარს ჩვენი შენაერთის ნაწილები მთელი დღის განმავლობაში განაგრძობდნენ მტრის განადგურებას და ანთავისუფლებდნენ ქუჩებს; ავიღეთ დნეპროსტროევსკაია, აზოვსკაია, დონეცკაია, შაუმიანის, რესპუბლიკის ქუჩები, სოლნეჩნაია, კომუნისტიჩესკაია. ხელთ ვიგდეთ დიდძალი დავლა. 2 თებერვალს მთლიანად განთავისუფლებული იყო ქალაქი სტალინგრადი; მტერი წელში გავტეხეთ.

## სტალინგრადთან

სტალინგრადის განთავისუფლების შემდეგ მცირეოდენი შესვენების საშუალება მომეცა. მაგრამ აბა რა დაგასვენებს კაცს ასეთი ბრძოლების შემდეგ?! თვალწინ მეხატებოდა განვლილი დღეები და ვიგონებდი იმ უმაგალითო შეტაკების თითქმის ყოველ დეტალს. ანალიზს ვაკეთებდი და ვფიქრობდი, რომ სამამულო ომის ერთი ეტაპი უკვე დამთავრებულია. გავიარეთ მეტად მძიმე, შფოთიანი დღეები.

დღეიდან ახალი ეტაპი იწყება. ახალი ამოცანა დგება ჩვენს წინაშე — ესაა მტრის სრული განადგურება. ამიერიდან იმაზეღა ვფიქრობთ, თუ როდის შევდგამთ ფეხს გერმანიის ტერიტორიაზე. ამ ფიქრებში ისევ განვლილი დღეები დგებიან თვალწინ.

1943 წლის 26 იანვარი ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერ დღედ დარჩება. 1941 წლის 22 ივნისიდან მე ფრონტზე ვიმყოფები, შენაერთის უფროსის თანამდებობაზე. მთელი ამ ხნის განმავლობაში დავდიოდი ალეულიდან ასეულში, პოლკიდან პოლკში. ბევრი მძიმე და მწარე დღეები მინახავს, ბევრი განსაცდელი გამოვიარე ჩემს მებრძოლებთან ერთად ლუცკის, ლვოვის, დონის, პოლტავშჩინის ტრამალებით. მუხლებამდე ვეფლებოდი ხარკოვის ოლქის ტალახებში, ვიხევდით უკან,

მოდიოდნენ ათიათასები, ვწოლილვარ ორმოში თვალებზე ხელაფარებული, რომ ტალახნარევი წუმპისაგან დამეფარა თვალები. გამიელია მტრის ტყვიამფრქვეველების ცეცხლში, ხშირად სასოწარკვეთილებას ვეძლეოდი, მაგრამ გამარჯვების იმედი არასოდეს არ დამიკარგავს. გულწრფელად მინდა გითხრათ, რომ სიკვდილისა არასოდეს მშინებია, არ მშინებია იმიტომ, რომ ვიცი, კაცი ადრე თუ გვიან უნდა მოკვდეს, დაუსრულებული სიცოცხლე არავის არა აქვს მინიჭებული. მაშ სულ ერთი არ არის როდის მოკვდები? ამიტომ უკეთესია ბრძოლის ველზე სამშობლოსათვის დალიო სული. მაგრამ სიკვდილზე უარესია იმაზე ფიქრი, ვაითუ მტრის დამარცხებას ვერ მოვესწრო და ადრე გამოვეს ალმო წუთისოფელსო. ამ ფიქრს უფრო მეტი ტანჯვა-წვალება მოუყენებია ჩემთვის, ვიდრე ფრონტის აუტანელ პირობებს. და დღეს ბედნიერად ვრაცხ თავს, ცოცხალი რომ ვარ.

დილით, ადრე, ჩვენები უკვე ქალაქის გარეუბნებში შედიან N არმიასთან შესაერთებლად. მე შტაბის უფროსს ვუთხარი, წინა ხაზზე მივდივარ-მეთქი. გუმრაკის მიწურიდან გამოვედი და პირდაპირ სტალინგრადისაკენ მიმავალ გზას დავადექი. მთელი გზა გერმანელების გვამებით არის მოფენილი. ქარი გუშინდელივით ბობოქრობს, მაგრამ ისე ვარ აღტაცებული, ისე მივისწრაფი ქალაქისაკენ, როგორც ოდესღაც იერუსალიმში სალოცავად ფანატიკოსი მორწმუნენი მიისწრაფოდნენ. ზოგჯერ ვჩერდები გერმანელების ჯგუფებთან, შეკითხვებს ვაძლევ, ენაებმებათ. მე იმათი არა მესმის-რა და იმათ ჩემი. ავსტრიელები და რუმინელები მხიარულად არიან. ისინი ხანდახან მიესევიან ხოლმე გერმანელებს და უმოწყალოდ სცემენ. ერთ რუმინელს მკლავში ხელი მოვკიდე და ვკითხე:

— რადა სცემ?..

იგი მიმიხვდა და მიპასუხა:

— ნაციონალ-სოციალისტია. „ჰაილ ჰიტლერ!" სულ ეს აკერია პირზე...

ძლიერ მიკვირს, გერმანელები ხელს რომ არ უბრუნებენ რუმინელებს, როცა ისინი სცემენ ხოლმე. თავს იკატუნებენ, ალბათ, იმიტომ, რომ რუმინელები ბევრნი არიან.

გზებზე აუარებელი ჯარი მოდის: მესანგრეები, მეკავშირეები, ნაღმტყორცნელები, ქვეითები და კიდევ ვინ მოსთვლის. ქარი კვლავინდებურად უბერავს, მინდვრებში თოვლის კორიანტელია. მიუხედავად

ასეთი საშინელი ამინდისა, ჩვენი შორსმტყორცნი ზარბაზნები გაშმაგებით ღრიალებენ. განუწყვეტლივ მოედინებიან ტყვეები უწინამძღოლოდ, უბადრაგოდ. ისმის გინება, ხუმრობა, სიცილი მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე. ლეიტენანტს გერმანელების ჯგუფი გაუჩერებია და პურსა და თამბაქოსაც აწვდის. თანაც მუშტებს უღერებს და ეუბნება:

— მე თქვენი დედა ასე და ისე... რა გინდოდათ აქ, რას მოეთრეოდით... ჩვენი დაჩოქება გინდოდათ?.. ვერ მოგართვეს, ვერა!..

შეცბუნებული გერმანელები რაღაცას ლუღლუღებენ, ლეიტენანტს უღიმიან, ყოველ შეგინებაზე — დიახ, დიახო, ზრდილობიანად ეთანხმებიან. ლეიტენანტი კი უფრო აზარტში შედის. თუმცა ვერ იგებს მათ ნათქვამს. მე მივუახლოვდი და შენიშვნა მივეცი, აბა ეგ რა საჭიროა, რასაც თქვენ ჩადიხართ-მეთქი, მშიერს პურს რომ მიაწვდი, ზედ გინება არ უნდა მიაყოლო. ეგ ხომ არმია აღარ არის, ეგ საცოდავი ტყვეების ბრბოა. არ დაგავიწყდეს. რომ შენ საბჭოთა არმიის ოფიცერი ხარ. მართალია, ეგენი მხეცურად იქცეოდნენ, მაგრამ შენ ადამიანი ხარ! დაანებე თავი, შეჭამონ ის ლუკმა, რომელიც შენ გაუწოდე... ხომ ხედავ, როგორი მშივრები არიან. ტყვეობამ ისინი ადამიანად აქცია.

ლეიტენანტმა განცვიფრებით შემომხედა. მიხვდა, რომ სიმართლეს ვეუბნებოდი. დამიჯერა არა იმიტომ, რომ მის წინაშე ჩინით უფროსი იდგა, არამედ იმიტომ, რომ ჩვენს ადამიანს თვით აქაც კი, ამ ჯოჯოხეთში, შერჩა ის მაღალი და წმინდა გრძნობა ადამიანობისა, რომელიც არ გააჩნდათ ნიცშეს იდეებზე აღზრდილ ქერათმიან ტევტონებს.

ლეიტენანტს რომ დავცილდი, მეკავშირე დამეწია და მომახსენა, N ნაწილის ერთი ასეული უკვე სადგურზეაო. მერე ხევში ჩავედი, მაიორ სოროკინის მიწურში; ბელოვი იქ დამხვდა. გამეხარდა მისი დანახვა, აქედან მე და ბელოვმა ერთად განვაგრძეთ გზა სტალინგრადისაკენ.

დღეს ბელოვმა გადმომცა, რომ საღამოს, ბომბარდირების დროს, მოჰკლეს კარაპეტ სარქისიანი. გული დამწყდა. ორი დღის წინ იგი თავის მეგობრებს პატიჟებდა — ომის შემდეგ მეწვიეთო.

მივაბიჯებ ბელოვთან ერთად. გზადაგზა ტყვეებს ვესაუბრები. ორივე უხერხულ მდგომარეობაში ვართ, იმის გამო, რომ თავის დროზე არ შევისწავლეთ გერმანული ენა. წინა ზონაში ვართ, მოწინავე პოზი-

ციებზე, ხეივებიდან ბურუსში გახვეული სანატრელი ქალაქის შენობათა კონტურები მოჩანს. მარჯვენა გარეუბანს ჩვენი ზარბაზანი უმიზნებს, იქ გერმანელები არიან და სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევენ. აი, უკვე შევდივართ ქალაქის გარეუბანში. ავდივართ უვნებლად გადარჩენილ მრავალსართულიან შენობებში. ეს თითქმის დაუჯერებელია. რა ტიტანური ძალით გამკლავებია ყველა უბედურებას ეს ქალაქი, რომ კვლავ შემოუნახავს მრავალსართულიანი შენობები. სტალინგრადის უკან, ზურგში, რაღაც ხაზი ჩანს. ეს მდინარე ვოლგის კალაპოტია. შემოდგომისა და ზამთრის თვეებშიც ხშირად მინახავს იგი, როცა კამიშინისა და სტატოვის მახლობლად ვიმყოფებოდი. ახლა კი ის ყინულს ამოფარებია, მისძინებია რუსეთის დედა-მდინარეს.

აი, უკვე ნახევარ ქალაქს ვხედავ, გული თრთის სიხარულისაგან. არ ვიცი, როგორ მივესალმო მას, ან როგორ გამოვთქვა ჩემი აღტაცება ამ საზეიმო წუთებში. დავიჩოქე, მიწას ვემთხვიე და უცებ, ჩემდაუნებურად თურმე პირჯვარიც გადამიწერია, ამას მაშინ-ღა მივხვდი, როცა ბელოვის გულიანი სიცილი შემომესმა. კარგად მესმის, რომ ჩემი საქციელი სასაცილოა, მაგრამ რა ვქნა, სხვანაირად ვერ მოვქცეულვარ, ახლა ჩემს თავს მორწმუნედ ვთვლი, წმინდანად მიმაჩნია ჩემი სამშობლოს მიწა, მწამს მისი სიმართლე და აი, იგი ამ წუთებში აღმართულია ჩემს თვალწინ, წამებული, მაგრამ გაუტეხელი, ქედმოუხრელი ქალაქის სახით.

განუწყვეტლივ გრიალებენ ზარბაზნები. შტაბის მიწურში ვაფარებ თავს. აქ შემხვდა მაიორი ლოშკოვი, რომელმაც საინტერესო ამბავი გადმომცა: გუმრაკის აღების დროს მას ჭუჩაში შეხვედრია ერთი პატარა გოგონა, ჭუჭყიანი და გათოშილი. მას ხელში პურის პატარა ნაჭერი და მოხარშული ღორის ხორცი სჭერია. გოგონას თურმე დიდის გამომეტყველება ჰქონდა. მაიორს უკითხავს:

— საით მიდიხარ, გოგონი?

გოგონას უგულოდ გაუცია პასუხი:

— არ ვიცი!

— როგორ თუ არ იცი?

— აბა, საიდან უნდა ვიცოდე, რომელ მიწურშიც შემიშვებენ, იქ ვევალ!

— გამომყე, წამოდი ჩემთან, — მიუპატიჟებია მაიორს და თავის მიწურში წაუყვანია.

— რამდენი წლის ხარ? — უკითხავს მაიორს.

— ხუთის... არ ვიცი. . შეიძლება შვიდისაც.

— აქაური ხარ?

— არა.

— აბა, სადაური?

— სტალინგრადელი.

— სად არიან შენი მშობლები?

— ორიე გერმანელებმა მოკლეს. ჯერ დედა, მერე მამა .. წყალსადენს ყუმბარა ესროლეს, ჩემი პაპა იქ მუშაობდა, ისიც მოკლეს... ბებიასთან ერთად წამოვედი აქეთ, ისიც გზაში მოკვდა, ყუმბარის ნამსხვრევი მოხვდა. მე კი გადავრჩი.

— ახლა ვისთან ცხოვრობ?

— მარტო ვარ... პურს თუ ვიშოვი სადმე, გერმანელები მცემენ და ხელიდან მტაცებენ... ამიტომ მეც ეშმაკურად ვიქცევი, ნაშოვნ პურს ღამღამობით ვჭამ, რომ არ დამინახონ. ეგ კი არა, ცოტა პურს ტყვეებსაც ვუნახავდი, ისინი ხომ ჩვენები არიან. იმათაც სცემდენ, ზოგჯერ ხოცავდნენ კიდეც.

მერე მოზრდილი ადამიანივით დაუმატა:

— კიდევ კარგი, ჩვენები მოვიდნენ...

მაიორმა ბავშვი დასაძინებლად დააწვინა. მას მალე ჩაეძინა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ძილში თურმე შეკრთა, წამოხტა, მიიხედ-მოიხედა და ისევ გარინდებამ შეიპყრო. მაიორი შეეკითხა:

— რატომ არ იძინებ?

— ვფიქრობ...

— აბა ახლა საფიქრებელი რაღა გაქვს?

ბავშვმა ამოიოხრა:

— ჰო, მართალია. ჩვენები ხომ მოვიდნენ. მადლობელი ვარ, კარგად მეძინა... მომეცით ჩემი პურის ნატეხი, უნდა წავიდე...

— ჩვენთან დარჩენა არა გსურს?

— რა ვიცი...

და ისევ მათთან დარჩენილა. მგონი ცუდად გადმოგეცით ეს ამბავი. მთავარი ის არის, რომ ექვსი-შვიდი წლის ბავშვი უკვე მოხუცი იყო. იმდენი მწარე დღეები ენახა, იმდენი გადახდენოდა უპატრონოდ დარჩენილს, რომ ახლა ცხოვრებისაგან მოჭანცული ადამიანივით ლაპარაკობდა, და იმის შემყურე კაცი გაოცებას ეძლეოდა, როგორ თავსდებოდა მის პაწია გულში ამოდენა საქვეყნო სევდა.

მაიორ ლოშკოვმა ის ბავშვი იშვილა და გვერდიდან აღარ იშორებდა.

თვითონ ლოშკოვი მეტად საინტერესო პიროვნებაა. მან მიჩვენა ერთი თავისი მეგობრის — ლეიტენანტის დედის წერილები, რომლებსაც დამწუხრებული დედა თავის შვილის მეგობარს უგზავნიდა. ეს წერილები სავსე იყო ადამიანური ფაქიზი გრძნობებით, მაღალი აზრებით; როგორც წერილებიდან ჩანდა, იმ ლეიტენანტის დედა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი იყო, უცხო ენების მცოდნე, დიდად განათლებული ადამიანი. ეს წერილებიდანაც ნათლად ჩანს. ისინი ისეა დაწერილი, გეგონებოდათ, სტეფან ცვეიგის ნაწარმოებებს კითხულობთო; რაოდენი გულწრფელობა იყო ამ წერილებში, რაოდენი ადამიანური ტკივილი!

მაიორი განაგრძობდა: ცხრა დეკემბერს მოწინავე ხაზზე ერთ ლეიტენანტს ვუთხარი: შენი რევოლვერი მომწონს-მეთქი; მიპასუხა: ხვალ გაჩუქებ... თუ ვინიცობაა დღეს მომკლეს, მაშინ ჩემი მცველისაგან მიიღებო. ლეიტენანტი გამშორდა. რამოდენიმე დღის შემდეგ მისმა მცველმა მომიტანა რევოლვერი — ლეიტენანტი მოჰკლეს და სიკვდილის წინ დამიბარა: „—მაქსიმ, ეს რევოლვერი მაიორ ლოშკოვს მიუტანე..მე შევპირდი მას“. თურმე ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები. აი, ხომ ხედავთ, როგორია ფრონტელის სული — რამ გაახსენა ის დაპირება, განა საოცარი და შემაძრწუნებელი არ არის?! მეც აი, ახლა გელაპარაკებით და ხვალ რა ვიცი...

— თუ ღმერთი გწამთ, ასე ნუ ლაპარაკობთ! ოღონდ თქვენ ცოცხალი დარჩით და...

მან გაიცინა და მიპასუხა:

— ომი, ჩემო მეგობარო. ხუმრობა ხომ არ არის. ვაჭარიც კი, რომელიც ყოველ ღამე თავის საწოლზეა მოსვენებული, ისიც კი, კვდება; რატომ არ შეიძლება, რომ ჩვენც ასე შეგვემთხვეს? ერთ სასაცილო ამბავს გეტყვი.

და მიამბო:

თურმე ერთი მდიდარი ვაჭრის შვილი მეზღვაურს შეეკითხა:

— მამაშენიც შენი ხელობის კაცი იყო?

— დიახ, ისიც მეზღვაური იყო, — მიიღო პასუხად.

— სად მოკვდა?

— ზღვაზე, — უპასუხა მეზღვაურმა.

— მაშ შენ არ გეშინია, რომ ზღვაზე ხარ?

ახლა მეზღვაური ეკითხება:

— მამაშენი რაღას აკეთებდა?

— ვაჭარი იყო, არსად არ დადიოდა, სახლში ვაჭრობდა და ყოველღამე თავის საწოლზე იძინებდა.

— სად მოკვდა?

— თავის საწოლზე.

— მაშ შენც არ გეშინია, რომ საწოლზე წვები? — შეუბრუნებია კითხვა მეზღვაურს.

გამეცინა, აბა რაღა უნდა მეთქვა.

ლოშკოვის მიწურში პოლკის ექიმი შემოვიდა. ის გატაცებით ჩაება ჩვენს საუბარში, ლაპარაკი ისევ განვლილ ბრძოლებს ეხებოდა.

ჩვენთვის დღევანდელი დღე ბედნიერი იყო. დღეს გადმოსცეს, რომ ვორონეჟი მთლიანად განთავისუფლებულია და ამასთან მივიღეთ უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანება, რომ ყველა ფრონტზე ჩვენი ჯარები შეტევაზე უნდა გადავიდნენ.

ეს იყო მშვენიერი დღე. მტრის ბომბდამშენები ჩემზე ახლა ვერავითარ შთაბეჭდილებას ვეღარ ახდენდნენ.

ღამის ორი საათია, ყველას ძინავს. მე ვზივარ და ვწერ — დღევანდელი დღის შთაბეჭდილებას აღვნუსხავ.

**სტალინგრადის გარეუბანი.**
**1943 წელი**

გუშინ, ღამით, მიწურში ძალზე აცივდა. ცაზე ბადრი მთვარე მიცურავდა. დაიწყო იანვრის მოწმენდილი ამინდები. ქეჩის ჩექმები დღეს ძლიერ დამისველდა, მცივა და ძილი არ მეკარება. ცოტას წამთვლემს და ისევ თვალებს ვახელ, გადავხედავ ოვჩინიკოვს და ორივეს გვეღიმება. როგორც იყო გათენდა კიდეც. ჩვენს მიწურში საარტილერიო ნაწილის უფროსი შემოვიდა და დაწვრილებით, ციფრების ენაზე მომახსენა თუ რა ზიანი მივაყენეთ მტერს ქალაქ სტალინგრადთან ამ ბოლო დღეებში. შემდეგ სიტყვა ჩამოაგდო ჩვენს ნაწილებთან შეხვედრაზე. გამახსენა როგორ ვეხვევოდით ერთმანეთს მე და გენერალი როდიმცევი; აბა მაშინ ამაზე ფიქრისათვის სად მეცალა და თურმე ამა-

ღელეებელი სურათი ყოფილა; ჯარისკაცები დიდი ხნის უნახავი ძმებივით ეხვეოდნენ ერთმანეთს და თავიანთ თავგადასავალს მოუთხრობდნენ: ჰყვებოდნენ, რა ძნელი გზები განვლეს, ვიდრე ამ ბედნიერ და ბრწყინვალე დღეს მოესწრებოდნენ. ბევრი მათგანი დედა-ვოლგას არ მოშორებია, ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს უკან; მათ ახსოვდათ უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანება: „არც ერთი ნაბიჯი უკან!“ და ეი ისინიც ხუთ თვეს უმკლავღებოდნენ მტერს, სანამ ის საბოლოოდ წელში არ გატეხეს. მტერს მათ გზები ჩაუკეტეს, მოიგერიეს მეღვარი შეტაკებებით, მერე კი გაერთიანებული ძალებით დონის მხრიდან შეუტიეს, გაიარეს კლეცკაია, ვერხნი ბუზინოვკა, ნაბატოვკა, პირკაიოდკა, სოკორევსკა, დმიტროვკა, პიტომნიკი, გონჩარნი და გუმრაკის გავლით აქ მოაღწიეს. ძალზე ძნელი, პირდაპირ ჯოჯოხეთური გზა იყო, ბევრი დაიხოცა, მაგრამ წინსვლა მაინც ვერაფერმა შეაფერხა, ჩვენმა ჯარებმა გმირულად გაიარეს გზა დონიდან ვოლგამდე. დღეანდელი შეხვედრა დიდი ისტორიული მოვლენაა, იგი მარად დარჩება ისტორიის ფურცლებზე და არასოდეს არ წაიშლება.

მეც შემიძლია ვიამაყო, რომ ამ ამბების მონაწილე ვარ, რომ საკუთარი თვალით ვიხილე ყველა ეტაპი ამ გმირული ეპოპეისა, ვამაყობ, რომ ამ გმირებთან ერთად გავიარე მძიმე გზა, რომელიც მოფენილი იყო დახოცილთა გვამებით და აქამდე მოვაღწიე.

დავდივარ და გავყურებ ბრძოლაგადახდილ მიდამოებს. იმდენი ზარბაზანი, მანქანა და სამხედრო საჭურველი დგას აქ, რომ გზის გაქვლევა ძნელდება, დახეთ, როგორი გაბედული გამხდარა კოსტიკოვის კდემამოსილი ქალიშვილი, წინათ სულ რომ მორცხვობდა და ბრეზენტის ჩადრი ჰქონდა სახეზე აფარებული, არავინ დამინახოსო; ახლა აღარ მორცხვობს და შიშველი დგას თოვლსა და ყინვაში. ალბათ, მიმიხვდებით, „კატუშაზე“ ვლაპარაკობ. იგი საბჭოთა ტექნიკის უდიდესი მიღწევაა; მისი აღნაგობა ისე უბრალო და მარტივია, რომ ყველას შეუძლია თქვას, ამას ხომ მეც გავაკეთებდიო. ამ დიდი ომის შემდეგ მართებული იქნება, რომ ერთ დიდ ქალაქში, თუ გინდ სტალინგრადში, დადგან კოსტიკოვის ძეგლი. მისმა პირმშომ, რომელსაც რუსი გოგონას სახელი შეარქვეს, დიდი ისტორიული როლი შეასრულა სტალინგრადის განთავისუფლებაში.

ერთბაშად იწყებენ სროლას ათასობით ზარბაზნები და ათეული „კატუშები“. მიწა ზანზარებს, ინგრევა სახლები, შენობები, სიმაგრე-

ები, რომლებშიც გერმანელები გამაგრებულან და ფელდმარშალ პაულიუსის ბრძანებით წინააღმდეგობას რომ უწევენ ჩვენს ჯარებს. ახლოდან მეტად ლამაზი სანახავია, როცა „კატუშა“ ცეცხლს გახსნის ხოლმე: ორ წყებად დალაგებული რელსებიდან ერთბაშად თექვსმეტი ჭურვი ერთიმეორეს მისდევს და ჰაერში ნაცრისფერი ლენტივით წაგრძელდება ხოლმე. გასროლის დროს არ ჩანს ცეცხლის წითელი ისრები, არც კვამლის ბოლქვი, მხოლოდ ერთი წამის შემდეგ იქ, შორს საზარელი გრიალით, რითმული თანმიმდევრობით ისმის აფეთქების ხმა.

ნაწილში წავედი. ჩემი უბის წიგნი ახალი ეპიზოდებით ივსება. რა საინტერესო ამბებია, მაგრამ ყველაფერს ხომ ვერ ჩაიწერ. ეს ხომ მთელი ეპოპეაა — სტალინგრადის ეპოპეა. რა ამოსწურავს მას! დიახ, ეს სწორედ ასეა. აბა ჰკითხეთ ბატიშჩევს, ხოფერიას, მიაგკოვს, ლომოთათიძეს, ლეიკონს, შავგულიძეს, ხოჭოლავას, ერეანდ ალიხანიანს, არსიანოვსა და სხვებს რა მოხდა ამ სამი დღის მანძილზე. ისინი იმდენ რაიმეს გიამბობენ, რომ ტომები ვერ დაიტევს ამ ამბებს. და სამწუხაროა, რომ ხშირად ვერ აღწერ იმას, რასაც გრძნობ, ვერც გამოსთქვამ, არც დრო და არც ძალა არ გეყოფა. ამიტომ შეიძლება ბევრი ისეთი ეპიზოდი გამოგრჩეს აუწერელი, რომელიც ნამდვილად ყურადღების ღირსია.

დღის თორმეტ საათზე პატარა მიტინგი მოვაწყვეთ. მთელი შენაერთი შეიკრიბა ხევში. უპირველეს ყოვლისა, ოფიცრებსა და ჯარისკაცებს მივესალმე, წარმატებანი მივულოცე და მომავალი გამარჯვებები ვუსურვე. ამის შემდეგ ერთი დღის შესვენება გამოვაცხადე.

სამხედრო კორესპონდენტები, საფრონტო და საარმიო პრესის მუშაკები მე და ჩემს თანმხლებ პირებს გარს გვეხვევიან. ფოტორეპორტიორები ერთ წამს არ ჰკარგავენ უქმად, ცდილობენ, არც ერთი შესაფერისი მომენტი არ გაუშვან ხელიდან. ისინი ხან იჩოქებდნენ, ხან გარს გვივლიდნენ და ასე გადაჰქონდათ კადრები ფოტოფირზე.

მიტინგის შემდეგ მებრძოლები დაიშალნენ, მხიარულებამ მოიცვა მთელი ბანაკი. მე და ოვჩინიკოვი გუმრაკისაკენ გავემგზავრეთ და მოშავალი ოპერაციის გეგმის დამუშავებას შევუდექით. ეს საქმე რომ დავამთავრეთ, გამოვიძახეთ ნაწილის მეთაურები და მათი მოადგილეები. გავაცანით საბრძოლო გეგმა.

თათბირის შემდეგ კვლავ მოვიარე ბრძოლის ველი. რამდენიმე სა-

ათი მოვუნდი ამ საქმეს. ყველა მიწურში ვერ ჩავდიოდი, დრო არ მქონდა.

დღეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ბევრი რამ მიამბეს გერმანელთა ბარბაროსობასა და მხეცობაზე, მიამბეს თუ როგორ აწამებდნენ ისინი მოხუცებს, ბავშვებსა და ქალებს. ერთ ქალს, რომელსაც ძუძუში რძე აღარ ჰქონდა და ბავშვს რეზინის ცარიელი საწოვარათი ამშვიდებდა, გერმანელი ლეიტენანტისათვის საშმლის მონარჩენი ეთხოვა. გერმანელ ოფიცერს დახმარების ნაცვლად წიხლი ჩაეკრა ბავშვისათვის და იქვე მოეკლა. გამწარებული დედა ჭკუაზე შემცდარიყო. ახლაც დაეხეტებოდა სოფელში, ცეკვავდა და გაიძახოდა — დღეს ჩემი ვაჟკაცის ქორწილიაო.

მეორე ადგილას გერმანელებმა თურმე მოითხოვეს სუფრა გაგვიშალეთო. ოჯახში კი საშმლისა და სასმელის ნატამალიც არ იყო. როცა სახლის პატრონმა მათ თავისი მდგომარეობა აუხსნა, გერმანელები გაბრაზდნენ, მოხუცი ცოლ-ქმარი კონდახების ცემით მოკლეს, ამითაც არ დაკმაყოფილდნენ — ტანზე ბენზინი გადაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს. გადაწვეს მათი სახლიც. ცეცხლის დანახვაზე მათი ოფიცერი გამოსულა და უკითხავს, რა მოხდაო. ჯარისკაცებს უპასუხნიათ, ესენი პარტიზანებს მალავდნენო. ოფიცერს უთქვამს, ეგ მიზეზიც რომ ვერ უნახოთ, მაინც გაწყვიტეთ ყველა, ვისაც წაესწრებითო.

რა ენა იტყვის, რა კალამი აღწერს, რაც იქ მოვისმინე. ყველაფერმა ამან მეტად ცუდ ხასიათზე დამაყენა. ერთხელ კიდევ დაველოცე ჩვენი ვაჟკაცების მარჯვენა, რომ საკადრისად გაუსწორდნენ ამ მიხაკისფერ მხეცებს. შტაბში მივბრუნდი. გამოვიძახე ჩემი მოადგილეები პოლიტდარგსა და სამნეო დარგში. ვუბრძანე, რომ ახლავე სამედიცინო დახმარება აღმოეჩინათ მოსახლეობისათვის. ამას გარდა, მიეცათ მათთვის სურსათ-სანოვაგეც. შემდეგ ნაწილების მეთაურებს ვუბრძანე წარმოედგინათ სია იმ ჯარისკაცებისა და ოფიცრებისა, რომელთაც განსაკუთრებით ისახელეს თავი ამ ოპერაციების განხორციელებაში; ყველა ისინი ჯილდოზე წარვადგინეთ.

**1943 წელი, 29 იანვარი**

მთელი დღე სამხედრო ნაწილებში გავატარე, ვესაუბრებოდი ტყვეებს. ქალაქის ცალკეულ კუთხეებში გერმანელები ჯერ კიდევ იბრძვიან;

უმრავლესობამ კი იარაღი დაყარა, ტყვეები უთვალავია. მოდიან და მოდიან, დასასრული აღარ უჩანთ.

ერთ-ერთ შენობაში, სადაც დაჭრილი და ავადმყოფი გერმანელები იწვნენ, მათივე გაუფრთხილებლობის მიზეზით, უეცრად ხანძარი გაჩნდა. ეს ამბავი გვიან გავიგეთ; ამიტომ ყველას გადარჩენა ვეღარ მოვახერხეთ. ერთ პატარა ოთახში მძიმე ავადმყოფებს შიშით გული გახეთქოდათ, ტყვე გერმანელებს მათი გვამები ეზოში გამოჰქონდათ; უცებ შევამჩნიე, რომ ტყვე გერმანელები თავიანთსავე თანამემამულეთა გვამებს ჯიბეებს უჩხრეკდნენ, ძარცვავდნენ, ერთი გერმანელი მომიახლოვდა, რაღაცას ბურდღუნებდა, მერე გვამს მიუახლოვდა, გადააბრუნა და ოქროს ბეჭდიანი თითის მოჭრა დაუპირა. მისმა არაადამიანურმა საქციელმა ჩემზე საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა. თუნდაც ეს ამბავი საკმარისია გერმანელი ჯარისკაცების მთელი მორალის დასახასიათებლად. რაოდენ ზნედაცემული უნდა იყოს ადამიანი, აქამდე რომ მივიდეს?!

ოქროს ბეჭდის ამბავი, და საერთოდ ჰიტლერელთა ეს შემაძრწუნებელი, პირუტყვული სიხარბე, არასოდეს არ დამავიწყდება.

**1943 წელი, 30 იანვარი**

დღეს დავესწარი ტყვე ოფიცრების დაკითხვას. ლამაზი, კარგი შესახედაობის ჭაბუკები იყვნენ. მათ შორის ერთი მაინც განსაკუთრებით სიმპათიური იყო. მაგრამ მე განმაცვიფრა მათმა ჩამორჩენილობამ, გაუნათლებლობამ. მათ მეტად სუსტად იცოდნენ თავიანთი მშობლიური ლიტერატურა. წარმოიდგინეთ, მათ არაფერი იცოდნენ ფაშისტების მიერ გაღმერთებულ ნიცშეს შესახებაც კი. ყველა გულწრფელად ლაპარაკობდა; გულწრფელად აღიარებდნენ თავიანთ დანაშაულს, გარდა ერთი ობერლეიტენანტისა, რომელიც მეტალურგიული ქარხნის მფლობელის შვილი აღმოჩნდა. ის თავისი ნებით წამოსულიყო მოხალისედ. ჩემს შეკითხვაზე — დარწმუნდით თუ არა, რომ ჰიტლერის გეგმა სისულელე და ავადმყოფური ტვინის ფანტაზია იყო-მეთქი, მან ირონიული ღიმილით მიპასუხა:

— გამარჯვება უეჭველად ჩვენი იქნება, მაგრამ ამჟამად ვერაფერს გეტყვით, რადგან საქმის კურსში არა ვარ. — ხოლო შემდეგ დაუმა-

ტა, — მარტო ერთი რამ არა მჯერა ჩვენი პროპაგანდის — რუსეთში ტყვეებს ხოცავენო. მე ახლობელ ადამიანებს ადრეც ვეუბნებოდი, რომ ეგ მართალი არ არის-მეთქი.

ამის პასუხად მე ვუთხარი:

— კაცმა რომ თქვას, ღირსი კი ხართ ასეთი მოპყრობისა, მაგრამ ჩვენ კაცთმოყვარენი ვართ.

როცა თარჯიმანმა ჩემი სიტყვები გადაუთარგმნა, ოფიცერმა თავი ისე გაიქნია, რომ ვერ მიხვდებოდი, მეთანხმებოდა, თუ კვლავ შეკამათებას ლამობდა.

ერთმა ქერა ოფიცერმა თქვა: ვერაფერს ვიტყვი ახლანდელი გერმანიის შესახებ, რადგან ტყვე ვარ და თქვენ შეიძლება იფიქროთ, თითქოს მე სიცოცხლის შენარჩუნებისათვის ვზრუნავ და მეშინია, რომ ეჭვს შეიტანთ ჩემს გულწრფელობაში. ყოველ შემთხვევაში, მე მხოლოდ ერთს ვიტყვი: ომის დამთავრების შემდეგ მე გერმანიაში აღარ ვიცხოვრებ, ჩემი ცოლი არგენტინელია, გადავსახლდები იქ; ჰირსაც წაუღია ჰიტლერიც და მისი ნაბოდვარიც. მანვე ამაყად განაცხადა, რომ მისი პაპა, დედის მხრივ, ფრანგია. იგი ავტომექანიკოსი იყო და გვთხოვა, სამსახურში მიმიღეთო. ის აიყვანეს სამუშაოზე.

ვიყავი ტყვე ჯარისკაცებთანაც. მათ შორის დავინახე გერმანულ ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა უზბეკი. ძალზე სასაცილო იყო ეს შავტუხა ბიჭი ქერათმიან გერმანელებში რომ გარეულიყო.

— აი, ჭოფოღლი, ჰალა აჩნა ბახ. ნაია ბანზანაირ სან, — სიცილით ვუთხარი მას. შემდეგ განკარგულება გავეცი, რომ იგი განსაკუთრებულ რაზმში გაეგზავნათ. დაე, წავიდეს და სისხლით გამოისყიდოს თავისი დიდი ცოდვა სამშობლოს წინაშე.

კარგა დაღამებული იყო, როცა ტყვეების ახალი ჯგუფები მოიყვანეს. კოლონას ბოლო არ უჩანდა, ალბათ, რამდენიმე ათასი კაცი იქნებოდა. ყველას თავები საბნებით ჰქონდათ შეფუთული, ფეხებზე კი ტომრები შემოეხვიათ. სიცივისაგან ცეკვავდნენ. ათასობით ფეხების ბარტყუნი ბოსელში საქონლის ხმაურს მოგაგონებდათ. სლოვაკები გამოუყოფდნენ საერთო კოლონას და ეროვნულ სიმღერას მღეროდნენ. იმათი სიმღერის ჰანგებმა ქართული მელოდიები გამახსენა. მათ სიმღერაში ისმოდა მხიარულებაცა და სევდაც, სამშობლოზე ოცნებაც და მისი ნახვის ნატვრაც. იმავე ღამეს გუმრაკის სადგურში ერთი ხორვატელი ახალგაზრდა მოგვიახლოვდა და გვთხოვა—თქვენს არმიაში მი-

მიღეთ და წინა ხაზზე გამგზავნეთ, მინდა ჰიტლერის წინააღმდეგ ვიბრძოლო, მამაჩემიც პარტიზანად არის ხორვატიაშიო.

დღეს რადიომ გვაცნობა კროპოტკინისა და ნოვი ოსკოლის აღების ამბავი.

**1943 წელი, 31 იანვარი**

დილით, ადრე, საუზმის შემდეგ, სამხედრო შტაბის მიწურში წავედი სამუშაოდ; უნდა გავცნობოდი წინა ხაზიდან მიღებულ ცნობებს, რომლებიც მეზობელი შენაერთების საბრძოლო მოქმედებას ეხებოდა. ოთხ საათამდე ვიმუშავე. ხშირად შემოდიოდნენ პოლკოვნიკი ოვჩინიკოვი და პოლკოვნიკი რუსოვი. ისინი ჩვენი ნაწილებიდან მიღებულ ცნობებს მომახსენებდნენ-ხოლმე. რუსოვი ძალიან საინტერესო ტიპია. იგი მთელი დღეები მიწურიდან არ გამოდის და ათასნაირ სისულელეს როშავს, დილიდან საღამომდე საგმირო საქმეებზე ოცნებობს — ღუპავს თვითმფრინავებს, ანადგურებს მთელ პოლკებს... მაგრამ როგორც კი ბრძოლა დაიწყება, შეკრთება და კუთხეში მიიმალება. გაივლის თუ ცრა საფრთხე, კვლავ კვეხნას იწყებს.

იმ ხანებში ახალი გამოსული იყო ფილმი „გიორგი სააკაძე“. ჰოდა, პოლკოვნიკმაც ამაზე ჩამოაგდო სიტყვა:

— ამხანაგო გენერალო, იცით რასა ვფიქრობ... გიორგი სააკაძის ხმალი რომ მქონდეს, შევიჭრებოდი გერმანელებში და სულ მტვერს ავადენდი. წარმოგიდგენიათ, რა ამბებს დავატრიალებდი?!

მე ვუპასუხე:

— როგორ ფიქრობთ, ჩვენი „კატუშა“ გიორგის ხმალზე უფრო ძლიერი არ არის? ვინ დაგიჭირა, ისწავლე მისი ხმარება და მერე შენ იცი, მოახდინე სასწაულები!

— ეჰ, ასეთი რამეები გერმანელებსაც აქვთ, — მიპასუხა მან.

შევცქერი ამ კაცს და ალი-ბაბას თავგადასავალი მახსენდება. ალი-ბაბაც ხომ გაიძახოდა: „ომში რომ დამარცხება არ იყოს, მთელ ქვეყანას დავიპყრობდიო“. ალბათ, ჩემი ადიუტანტის შინაურებს ჰგონიათ, ჩვენი ივანე ანდრიას ძე დილიდან საღამომდე თოფით ხელში იბრძვისო, სახლში კი ერთი უხეირო ვინმე იყოო.

სადილის შემდეგ არმიის შტაბიდან პროკურორი ფაკტოროვიჩი და

გამომძიებელი ტროფიმოვი დაბრუნდნენ. პირველს წითელი ვარსკვლავის ორდენი მიუღია, მეორეს — მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის“. ფაქტოროვიჩმა მიამბო, თუ როგორ ღელავდა ჯილდოს მიღებისას.

— ამხანაგო გენერალო, წარმოიდგინეთ, არმიის პროკურორმა დამიბარა. მე არაფერი არ ვიცოდი, ჩამოვჯექი მის პირდაპირ და ველოდები. „იცით რისთვის დაგიბარეთ?“ — მეკითხება იგი და წარბებს იჭმუხნის, ღიმილიც კი არ მოსდის. ვუპასუხე — არ ვიცი-მეთქი. ამის შემდეგ მან ხელი გამომიწოდა — მომილოცნია, თქვენ წითელი ვარსკვლავის ორდენით ხართ დაჯილდოვებულიო. ვერ წარმოიდგენთ, რა სიხარულმა მოიცვა ჩემი გული... მერე როცა არმიის სამხედრო საბჭოს წევრმა ორდენი გადმომცა, ხელი ამიკანკალდა, ვშიშობდი, ხელიდან არ გამივარდეს-მეთქი. თვალთ დამიბნელდა, სიხარულისაგან არ ვიცოდი რა მექნა და მათ ყველა სიტყვაზე ვამბობდი—„ვემსახურები საბჭოთა კავშირს!“

ხუთი საათი იქნებოდა, როცა შტაბში მივედი, ყველა იქ დამიხვდა. ოვჩინიკოვმა მომახსენა — მთელი ქალაქი ზეიმობს, ხოლო ტყვეები კვლავ დაუსრულებელ ნაკადად მოდიანო.

ტყვეები მართლაც, ძლიერ ბევრია.

მორიგე მეთაურმა — უფროსმა ლეიტენანტმა ჩითახიანმა მომახსენა, რომ სულ ახლახანს ტყვედ ჩაგვბარდა გენერალი იოსიპ ფონ როდენბურგი, იგი სუშკოვის ნაწილმა შეიპყრო.

და აი შემოიყვანეს გენერალი მთელი მისი შტაბით. გენერალი წინ წამოდგა და მომახსენა თავისი შტაბის ტყვედ ჩაბარების შესახებ. ჩვენ მათ თავაზიანად შევხვდით. გერმანელმა გენერალმა დაკითხვაზე თანხმობა განაცხადა და კვლავ დაუმატა: მთელი ჩემი კორპუსი გბარდებათ ტყვედო. მე რამდენიმე შეკითხვით ამოვწურე ჩვენთვის საინტერესო საკითხები და განკარგულება გავეცი, რათა დაკითხვის შემდეგ, გენერალი თავის შტაბის ოფიცრებთან ერთად არმიის შტაბში გადაეგზავნათ. გამოყოფილი იქნა სათანადო დაცვა. ამის შემდეგ პოლკოვნიკმა რუსოვმა მთხოვა, ნება მომეცი მათ რამდენიმე შეკითხვა მივცეო.

რუსოვი მაინცდამაინც ჭკვიანურ შეკითხვებს ვერ აძლევს, მე მცხვენია და ძალზე უხერხულ მდგომარეობაში ვვარდები. გენერლის თარჯიმანმა რუსული ზედმიწევნით კარგად იცის. იგი გაქნილი და გაიძვერა კაცი ჩანს; ეშვი არ მეპარება, რომ იგი თეთრგვარ-

დიელი ოფიცერია, სამოქალაქო ომის შემდეგ გაქცეული და გვარგამოცვლილი. მეტად თავხედურად უჭირავს თავი. რუსოვი კი მას კამათს უწყებს, ერთი სიტყვით, მგლის თავზე სახარებას კითხულობს. გენერალ-ლეიტენანტი ღიმილით უპასუხებს:

— საუბედუროდ თქვენს კითხვაზე ვერ გიპასუხებთ, მე მხოლოდ ჯარისკაცი ვარ: როცა მიბრძანებენ, ვიბრძვი, დანარჩენი ყველაფერი პოლიტიკოსების საქმეა, ჯარისკაცებს ეგ არ გვეხება.

რუსოვი ნერვიულობს, კვლავ იმეორებს თავის შეკითხვებს და თარჯიმანს აიძულებს, ყველაფერი გენერალ-ლეიტენანტს გადასცეს.

თარჯიმანი ამბობს გენერლის სახელით:

— გენერალმა უკვე გიპასუხათ, თქვენ კი ისევ პოლიტიკაზე გადადიხართ.

— ომი თავისთავად პოლიტიკაა, — პასუხობს რუსოვი.

— ახლა ჩვენ უძლურნი ვართ,—ამბობს თარჯიმანი,—ჩვენ თქვენი ტყვეები ვართ და მეტი არაფერი, რა საჭიროა კამათი!

— ახლა მეტი რა გეთქმით, — პასუხობს რუსოვი.

გერმანელ პოდპოლკოვნიკს თავი ჩაუქინდრავს, ეძინება, გენერალს კი, პირიქით, მაღლა უჭირავს თავი, გულზე დურბინდი ჰკიდია, აქეთ-იქით იყურება, ყველაფერს ისმენს, მაგრამ სიტყვას არ ამბობს.

— თქვენ სტალინგრადთან რას ელოდით? დამარცხებას?! — არ ეშვება რუსოვი.

— ჩვენ რომ ბენზინი გვქონოდა, ასე არ მოხდებოდა, — დასძენს გერმანელი გენერალი, — ბენზინის უქონლობამ დაგვმართა ეს უბედურება!

— ნუთუ ვერა გრძნობთ, რომ თქვენი დამარცხება, თქვენი არმიის უუნარობის ბრალია, მეტი არაფერი, — ეუთხარი მეც.

— ცუდმა ამინდებმა მოგვისწრეს, ბენზინიც არ იყო, აი, ეს არის მიზეზი, — განმეორებით მპასუხობს გენერალი.

— თქვენი დამარცხება თქვენმა დაბნეულობამ და პოლიტიკურმა სიბეცემ გამოიწვია, თქვენ არც კი იცით რისთვის ომობთ.

გნებავთ ვახშამი მივირთვით?

— გმადლობთ, — მიპასუხებს გენერალი.— თუ შეიძლება ყველას მხოლოდ თითო ნაჭერი პური მოგვეცით.

— ვახშამი რატომ არა გსურთ?

გენერალი პოლკოვნიკზე მიმითითებს და ამბობს:

— ამას შვიდი დღეა პური თვალით არ უნახავს.

განკარგულება გავეცი საჭმელი მოეტანათ. საუბარი კვლავ გრძელდებოდა. უკვე ნახევარი საათი გავიდა და ტყვეები მოუთმენლად ელოდებიან საჭმელს.

მე თარჯიმანს მივუჯექი, ხმადაბლა ვლაპარაკობთ; ეს გაიძვერა ერთი წუთითაც არ ივიწყებს, რომ დაქირავებულია და ამიტომ მთელი ყურადღება გენერლისაკენ აქვს მიპყრობილი.

— თქვენ გეტყობათ, ჭკვიანი კაცი ხარ, — ვეუბნები მას, — ნუთუ არასოდეს არ გიფიქრიათ, რატომ ხდება ყველაფერი ეს? ხომ ხედავთ ათასობით დახოცილი გერმანელი ყრია ირგვლივ; ტანში ჟრუანტელი უვლის ადამიანს, ამ სურათს რომ შესცქერის. ნუთუ ეს გინდოდათ?!

იგი იღიმება და მიამიტი, გულუბრყვილო ადამიანივით ამბობს:

— ეგ ყველაფერი გენერლების ბრალია, მათ სურდათ დამსახურება მიეღოთ, ჯვრები, ორდენები. აი, მიზეზიც ეგ გახლავთ.

ამ დროს დაშამ საჭმელი შემოიტანა; ლანგარზე დაუწყვია პური. ერთი ბოთლი არაყი, შემწვარ ხორცი, მჟავე კომბოსტო. ყველანი მისცივდნენ და ხარბად დაიწყეს ჭამა. გენერალი ამბობს:

— რომ იცოდეთ, რა ცუდად იყო ჩვენთან კვების საქმე, რკალშოფინისას ჩვენ ვშიმშილობდით.

— ჩვენ ეგ ვიცოდით!

— გიხაროდათ, არა?

— რასაკვირველია, მაგრამ ჩვენ ხომ არა ვართ დამნაშავე?! — მივუგე მე, — ყველაფერი თქვენ თავს დააბრალეთ.

თარჯიმანის საშუალებით გენერალს ვეკითხები:

— რა აზრისა ხართ თქვენ გერმანიის სატელიტების — რუმინელებისა და იტალიელების შესახებ?

იგი იცინის და პასუხს არ მაძლევს.

— გენერალს არა სურს თავისი აზრი გამოთქვას? — ვეკითხები თარჯიმანს.

— მე სიცილით გავეცი პასუხი, — ამბობს გენერალი და მცირე ხნის შემდეგ უმატებს, — თქვენ კარგად იცოდით მათი ამბავი და ამიტომაც პირველად რუმინელებს შეუტიეთ.

— დიახ, ომში ანგარიშია საჭირო.

ამ დროს გენერალს გამოვუცხადე, რომ პაულიუსი, მთელი თავისი შტაბით, უკვე ტყვედ ჩაგვბარდა.

გენერალი გაკვირვებით შემეკითხა:

— როდის?

— დღეს.

— რა დროს?

— ოთხ საათზე!

გენერალი უეცრად გამხიარულდა, ეს რომ შეიტყო, რაღაც უფრო მსუბუქად იგრძნო თავი. მერე იკითხა:

— მთელი ფრონტის კაპიტულაცია მოაწყო, თუ ქალაქის ცენტრალური და სამხრეთი ნაწილისა?

— ცენტრალური და სამხრეთი ნაწილისა...

— ააა, გასაგებია, ჩრდილოეთ ნაწილში ჩვენი თავდაცვა უფრო ძლიერია.

ვეკითხები, რა აზრისაა გენერალი ჰიტლერის სამხედრო ნიჭის შესახებ. იცის, თუ არა მან, რომ მათი მთავარსარდალი ერთი უმეცარი ეფრეიტორია?!

გენერალი დიპლომატობს, ორჭოფულ პასუხს მაძლევს:

— რომ ვთქვა, ჰიტლერს სტრატეგიული ნიჭი არა აქვს-მეთქი, მაშინ თქვენ იტყვით, მაშ აბა რა არმიაა თქვენი არმია, რომელსაც სათავეში სტრატეგი კი არა, ვიღაც... — სიტყვა ვერ მოძებნა და ასე დაამთავრა — არასტრატეგი უდგასო.

მე კვლავ ვეკითხები:

— ბისმარკმა ხომ დაგიტოვათ ანდერძად რუსეთთან არასოდეს არ იომოთო, რად დაგავიწყდათ მისი დანაბარები?

თარჯიმანი მეუბნება:

— თქვენ ისევ პოლიტიკაზე გადადიხართ.

დაშამ ჩაი შემოიტანა.

გენერალი მოგვმართავს:

— ალბათ, მე პირველი გენერალი ვარ, თქვენ რომ ტყვედ ჩაგივარდით, არა?

— ვარწმუნებთ, რომ არა. ვორონეჟის ფრონტზე შვიდი ახალი დივიზია მოვიმწყვდიეთ, აგრეთვე იტალიელების ალპური კორპუსიც. რომელიც მთლიანად ტყვედ ჩაგვბარდა.

— ეგ ცუდია ჩვენთვის, — ამბობს იგი.

გერმანელები იძინებენ. ქოჩარი და სიტნიკოვი კი ისევ ესაუბრებიან თარჯიმანს, მან ყველაფერი იცის და სწყინს, რომ არაფერს უჯერებენ; როცა მე ვთქვი თარჯიმანზე — დიდი გაიძვერა არის-მეთქი, „იზვესტიის“ კორესპონდენტმა მთხოვა, — ნუ ლანძღავ თარჯიმანს, უხერხულია, მას ხომ რუსული ენა ესმისო.

— ეგ თქვენი საქმე როდია, — მივუგე მე, — ამ საზიზღარს უფლება არა აქვს ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, გულუბრყვილო ბავშვებად ჩაგვთვალოს. რა აქვთ სამდურავი? განა ეგენი ღირსნი არიან ადამიანური მოპყრობისა?! მე მგონია, ადამიანები, რომელთაც თავიანთ წინამძღოლად ვიღაც, ვიგინდარა აირჩიეს, ღირსია ფურთხისაც და გაკიცხვისაც.

— აი, ხომ ხედავთ, — ამბობს თარჯიმანი, — ჩემი არც ერთი სიტყვა არა სჯერათ. ახლა მე რომ ყველაფერზე დაგეთანხმოთ, მაშინ ისევ იტყვით ტყუისო: მართლაც, დაუჯერებელია, რომ ერთ დღეში რწმენა გამოვიცვალო; ამიტომ სჯობს, არ ვიკამათოთ.

— თქვენთან კამათი უკეთესია იარაღით, — უპასუხა ქოჩარმა, — იცოდეთ, რომ თქვენი აქ ყოფნა — ამ კამათის ბოლოა.

თარჯიმანი გაჩუმდა.

სიტნიკოვი მასთან ვითომ „მეგობრული“ ტონით იწყებს ლაპარაკს, კითხულობს გერმანიის არმიისა და საერთოდ ოფიცრების გუნება-განწყობილების შესახებ.

— ეს ომი, აი, აქამდე ამოგვივიდა, — ამბობს თარჯიმანი და ყანყრატოზე წაივლო ხელი, — გერმანელ ჯარისკაცს მარტო ერთი სურვილი-ღა აქვს—რაც შეიძლება მალე დაუბრუნდეს თავის სახლს.

ახლა ლიტერატურაზე ჩამოვარდა ლაპარაკი. თარჯიმანი ამ სფეროშიც დიდად გათვითცნობიერებული აღმოჩნდა. ერიხ მარია რემარკის წიგნების შესახებ მან თქვა: „ეგ უვარგისი და უსარგებლო რომანებია. როგორც ჩვენი, ისე თქვენი ჯარისკაცებისათვის რემარკი საწამლავია. მისი წიგნების მკითხველს თავისი მოვალეობა დაავიწყდება, იარაღს დაყრის და სახლში გაიქცევაო“.

ქოჩარს პირველად უხდება ფაშისტის პირისპირ ჯდომა და ეტყობა ვერ ითმენს, ბრაზობს, მშვიდად ვერ ლაპარაკობს. აშკარად ჩანს, რომ მას, ჩვენ ქოჩარს და აი, იმ ჰიტლერელს, ორივეს დედამიწა ვერ დაიტევს, მესამე გზა კი არ არსებობს. და რახან საკითხი ასე დადგა, ჩვენ უნდა გავანადგუროთ ჰიტლერელები, რომ ჩვენი სიცოცხლე გადავარჩინოთ. და ჩვენ ასეც მოვიქცევით.

ღამის ორ საათზე ჩემს მიწურში ვბრუნდები. დიქტორი აცხადებს სტალინგრადის ცენტრისა და სამხრეთის დაჯგუფებათა ლიკვიდაციის შესახებ, შემდეგ აცხადებს თექვსმეტი გერმანელი გენერლის ტყვედ ჩავარდნის ამბავს. „ჩვენი“ გენერალი N დივიზიის მეთაური იოსიპ ფონ როდენბურგი მათ რიცხვში არ შედის.

ეტყობა საინფორმაციო ბიურომ ჯერ ყველაფერი ზუსტად არ იცის.

რა ბედნიერი ხალხი ვართ, ამ სასიხარულო დღეს მოვესწარით. ცხრაასორმოცდაერთი წლის შემოდგომის და ორმოცდაორი წლის ივნისის დამარცხების დროს რომ ახლანდელი გამარჯვების დეტალები გვცოდნოდა, იმდენად მძიმე არ იქნებოდა ჩვენი მაშინდელი განცდები. ამის შემდეგ რომ მოკვდე კიდეც, არაფერია: ჩომ ვიხილეთ ჩვენს წინაშე წამოჩოქილი მტერი!

ოცი ტყვე გენერალი ფელდმარშალის მეთაურობით?!

დიდება საბჭოთა არმიას!

## სტალინგრადი

დღეს კიდევ ერთი გენერალიც დავატყვევეთ თავისი ამალით. ხანდაზმული კაცია, მეშვიდე სამხედრო კორპუსის სარდალი. გერმანელ გენერლებზე ნადირობაში ბედი გვწყალობს.

გუმრაკიდან ქალაქში ჩავედი აღლუმის საკითხის მოსაგვარებლად. მზვერავებთანაც მივედი. პოლკის მეთაურს ბელოვსა და მის თანაშემწეს — ტიტოვს დიდხანს ვესაუბრე. საინტერესო შემთხვევები გადმომცეს. შემდეგ გამოუძახეს ყველაზე მამაც ბიჭებს, რომლებსაც გვიანობამდე ვესაუბრე. ახლა ერთი დანგრეული სახლის სარდაფში სძინავთ ყველას. მე სანთლის შუქზე ვმუშაობ სხვადასხვა გეგმის შესადგენად, მერე გერმანული მარკის რადიომიმღებით მსუბუქ მუსიკას ვუსმენ; წერა აღარ შემიძლია.

სტალინგრადი დანგრეულია. ბევრი შენობისაგან მარტო ჩონჩხიღაა დარჩენილი. ყველაფერი გაპარტახებულია, მხოლოდ აქა-იქ დგას გაჭვარტლული კედლები; კარ-ფანჯრები, სახურავი — ყველაფერი გამომწვარია.

დილით ადრე გავიღვიძე, ტანში ძლიერ ტკივილებსა ვგრძნობ.

მზვერავებს გამოვემშვიდობე და შტაბის მიწურისაკენ გავწიე. დაღეწილი ქალაქის თავზე რძისფერი ბურუსი გაწოლილიყო. გადაწყვიტე ქუჩების შემოვლა. დიდხანს მარტოდ-მარტო დავეხეტებოდი, ირგვლივ სიცოცხლის ნიშანწყალიც არ იყო. ზოგან, დანგრეულ კედლებს შორის, შეამჩნევდით სამხედრო სამზარეულოს, საიდანაც ბოლი ამოდიოდა. ისე კი, მთელი ქალაქი ნასახლარს უფრო ჰგავდა; გეგონებოდათ, თითქოს რამდენიმე საუკუნის წინ უცხოვრია აქ ხალხს. მერე აყრილა და ეს ნანგრევები ისტორიისათვის დაუტოვებია, რომ შთამომავლობას არ გასჭირებოდა ამ ქალაქის ისტორიის შესწავლაო. მაგრამ არა, მართლა ასე როდია. ქალაქი საშინელი განსაცდელის დღეებში მაინც ცოცხლობდა, იბრძოდა, მტერს არ ნებდებოდა. ამ გმირული სიცოცხლის ნიშანწყალი, მისი სუნთქვა აქ მუდამ იგრძნობოდა და ახლა, ეს ნაწამები გოლიათი კვლავ ურყევად დგას და თავის უამრავ გამარჯვებას ითვლის.

არა, არა ჰგავს სტალინგრადი სასაფლაოს.

დაღლილ-დაქანცული რომ მოვდიოდი ქუჩაზე, ერთ სასიხარულო სურათს წავაწყდი. ერთ-ერთი სახლის სარდაფიდან ორი ბავშვი ამოძვრა ყვავილით ხელში. მათმა ხმაურმა იქაურობა გამოაცოცხლა, თითქოს ზღაპრულ გაქვავებულ ქალაქს რაღაც ჯადოსნური კვერთხი შემოჰკრესო. მივუახლოვდი, გაეცსაუბრე. მამა ფრონტზე ყოფილა; ბავშვებს ეგონათ, რაკი ჩვენებმა გაიმარჯვეს, მამაც დაბრუნდებაო. ასევე ჰგონებია დაძაბუნებულ მოხუც ქალს, რომელსაც სარდაფიდან ამოსვლის ძალ-ღონე არა ჰქონდა და ამიტომ ბავშვები ამოეგზავნა ამბის გასაგებად. ისინი დილიდან საღამომდე კითხულობენ მამას, ეძებენ, მაგრამ ვერ პოულობენ. მესამე დღეა ბავშვები მხიარულობენ—მალე მათი მამაც დაბრუნდება, მართალია ჯერ არა ჩანს, ალბათ, შორს არის, ან საქმე ნებას არ აძლევს. ქალაქის ნახევარი ჯერ ხომ ისევ გერმანელების ხელშია, გარეუბნის ჩრდილოეთ ნაწილში ჯერ ისევ სროლაა...

— იქნებ იცნობთ, ძია, ჩვენს მამიკოს, ვასილ ტროფიმეს ძე ტიხონოვს? პოლიტხელია...

ორივე ბავშვი ხელში ავიყვანე და გადაკკოცნე.

— არა, არ ვიცნობ, ჩემო ძვირფასებო, მაგრამ მოვა, უეჭველად მოვა!

— როდის? ჩქარა მოვა?

— იქნება ცოტა დაიგვიანოს, ნუ ინაღვლებთ.

მხიარულად გარბიან, რომ ეს ამბავი ბებიას ახარონ.

მე კი რაღაც ტკივილი მივლის გულში, სინდისი მჭეჯნის. ვინ იცის, იქნებ მართალს არ ვეუბნები მათ, იქნებ ამ პაწია ბავშვებს მამა ცოცხალი აღარ ჰყავთ. მე ისინი დავაიმედე, მაგრამ რომ არ დაბრუნდეს?! ვინ იცის, სად, რომელ მხარეს ჩააწყო მან თავისი ძვლები ამ ბავშვების დასაცავად, სამშობლოს გადასარჩენად?!

მივაბიჯებ და საკუთარი ოჯახი მაგონდება, თვალწინ მიდგებიან ჩემი ახლობლები, საყვარელი ადამიანები... მე ახლა თითქოს ვხედავ მათ— სხედან რეპროდუქტორთან და უსმენენ. თუ დარდი ისმის ლევიტანის ხმაში, ვიცი, ისინიც დარდობენ; მაგრამ ახლა, საბედნიეროდ, ლევიტანის ხმა მხნედ და საამოდ ჟღერს; რომ ვერ მიუსწრო და ფრაზა მთლიანად ვერ მოისმინო, ხმის საზეიმო ჟღერაზე შეატყობ, რომ ჩვენი ჯარები წინ მიდიან, შეატყობ, რომ დიქტორი რაღაც დიდად სასიხარულო ამბავს ამცნობს მთელ მსოფლიოს.

გზაში ერთი თავმოგლეჯილი გერმანელის გვამს წავადექი. შევჩერდი. გულაღმა ეგდო. ეტყობოდა, თავი ავტომანქანას წაეგლიჯა და, მეორე მხარეს, თეთრ თოვლზე მიეგდო. მკერდზე ეგდო უბის წიგნაკი და რამდენიმე სურათი. თვითონ იყო გადაღებული, ცოლთან და ბავშვებთან ერთად. როგორც თვითონ, ისე ცოლს სასიამოვნო იერი ჰქონდათ, ლამაზად ეცვათ; ბავშვები კი ნამდვილი ანგელოზები იყვნენ. დავცქეროდი სურათს, მერე ცხედარს დავხედე, შორეული რუსეთის მიწაზე რომ ეგდო და ტანში ჟრუანტელმა დამიარა: რა დაგიმალოთ. შემეცოდნენ ეს ადამიანები. „რა დააშავა ამ ოჯახმა?“ — ვფიქრობდი. მაგრამ იქვე მახსენდებოდა გერმანელი ქალების წერილები, ფრონტზე რომ უგზავნიდნენ ქმრებს, აქეზებდნენ მათ, ჩვენი ხალხისადმი სიძულვილს უღვივებდნენ და სრულებით არ ფიქრობდნენ, რომ ჩვენ მათ სამაგიეროს მივუზღავდით; ეგონათ, შერჩებოდათ ყველაფერი, მაგრამ ისტორიამ ასე არ განსაჯა და ახლა, დაე, ყველაფერი თავიანთ თავს დააბრალონ. მაშ რა ეგონათ ბოროტებისათვის მათ თვალებს დაუკლიდნენ? ახია მათზე, რაც თავს დაატყდათ.

გუმრაკისაკენ მიმავალ გზაზე ერთი მაღალი ტანის გერმანელს შევეყარე. ძლივს მიათრევდა საბანშემოხვეულ ფეხებს. ქანცგამოლეული იყო, ეტყობოდა, ამხანაგებს ჩამორჩენოდა და ახლა უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებდა, რომ დასწეოდა. მივედი. ჩემს წინ იდგა სიკვდილის პირას მისული, გამხდარი, გათოშილი, მაგრამ კარგი, ლამაზი შესახედაობის ყმაწვილი. ვინ იცის, თავის ქვეყანაში რომ დარჩენილიყო, ჰიტლერს ძალათი რომ არ გამოეგდო აქეთ, იქნებ დარჩებოდა კეთილ ადამიანად, ისეთად, როგორებიც ჩვენ გაგვაცნეს გერმანელები ლესინგმა და გოეთემ, შილერმა და ჰაინემ. ფაშიზმმა კი ეს ადამიანები აფთრებად, ადამიანთა მოდგმის გაცოფებულ მტრებად აქცია.

გუმრაკში მისელისთანავე ახალ ამბებს მეკითხებიან. ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ ლაპარაკობდნენ — დივიზიას დასასვენებლად გაიყვანენო. ახლა გაუგიათ, რომ ჩვენ N არმიის შემადგენლობიდან გამოვდიოდით და N არმიას ვუერთდებოდით ეს კი საამაყო იყო. N არმიას ხომ ლეგენდარული სახელი ჰქონდა და ვის არ გაუხარდებოდა მის რიგებში ჩარიცხულიყო.

საღამოს მიწურში შევგროვდით. რადიოთი მოვისმინეთ ემელიან იაროსლავსკის სიტყვა. იგი სტალინგრადის ამბებზე ლაპარაკობდა, ეუსმენდით და გვიხაროდა. ამბობდა, საუკუნეებში იცოცხლებს ჩვენი საქმეო.

დღეს გერმანელების ჩრდილოეთის დაჯგუფებაც განადგურებულ იქნა; მტრის ჯარისკაცთა უმეტესობა ტყვედ ჩაგვებარდა... ამ ცნობას ამაღამ საინფორმაციო ბიურო მთელ მსოფლიოს ამცნობს, ალბათ. ტყვე გენერლების გვარებსაც დაასახელებს. ის გენერალი გამახსენდა. მთელი ღამე რომ ვესაუბრებოდი. როგორც უკვე აღვნიშნე, მისი გვარი იყო იოსიპ ფონ როდენბურგი. მისი შტაბის უფროსი იყო პოლკოვნიკი ბრეიგაუპტი, მათთანვე იყო საზენიტო დივიზიის უფროსი პოლკოვნიკი ფონ-გალცი, ხოლო თარჯიმანის გვარი იყო შუიმანი, თუ ამის გერმანელობას დავუჯერებთ.

ცოცხალი თუ გადავრჩი, ალბათ, ამ პერსონებს კიდევ შევხვდები სადმე, თუ არადა ეშმაკებსაც წაუღია იმათი თავი!

## 1943 წელი, 3 თებერვალი, გუმრაკი

დილით ყველანი სტალინგრადში წავედით აღლუმში მონაწილეობის მისაღებად. პოლკოვნიკი რუსოვი ხომ მუდამ იგვიანებს და, ცხადია, ახლაც დაიგვიანა. ჩვენს შენაერთში დიდი მითქმა-მოთქმაა, ყველა ცდილობს იწინასწარმეტყველოს, თუ საით წაგვიყვანენ. ზოგი ამბობს, რომ ჩვენ გადაგვიყვანენ მოსკოვის მიმართულებით, ორიოლის ფრონტზე. მეორენი — ლენინგრადს ასახელებენ. არიან ისეთებიც, რომლებიც ამბობენ, რომ გაგვგზავნიან როსტოვის მხარეს, კრასნოდართან გამაგრებული მტრის გასასადგურებლად. ეს ხმა შეიძლება მართალი იყოს. ჩვენ ხომ უკვე დავეოსტატდით მტრის ჯარების ალყის შემორტყმასა და ლიკვიდაციაში.

დღეს ორი სტატია დაეწერე: ერთი ქუჩებში წარმოებულ ბრძოლებზე და მეორე — ზურგში დარტყმით ფრთებიდან მტრის რკალში პოქცევასა და განადგურებაზე. ორივე წერილი უკანასკნელი ბრძოლების ეპიზოდებს ეხება.

დღეს უსიამოვნება შემხვდა. საყვედური გამოვუცხადე პოლკოვნიკ რუსოვს. ჩემი ცხოვრება, ალბათ, ყველგან ასეთი იქნება; ყველგან უნდა ეებრძოლო უეიცსა და თავხედ ადამიანებს. მათ ყოველთვის ადვილად გამოიცნობთ: უტიფარნი არიან, ცდილობენ თავიანთი არარაობა რაღაც მაღალი ფრაზებით შენიღბონ, თავი ანგელოზად მოგაჩვენონ და გულით შხამი და ბალღამი ატარონ. მათ თვითონ უნარი არ შესწევთ მუშაობისა, სასარგებლო საქმის გაკეთებისა და სხვასაც ხელს უშლიან. ასეთივეა ეს კაციც — ქლესა, ტუტუცი, რეგვენი. და მაინც მიმძიმს, როცა მიხდება ვინმესთვის საყვედურის გამოცხადება. არ მოშწონს აგრეთვე მატლაშიანცი, სულმდაბალი ადამიანია, ბოროტი გულისა, შურიანი, გესლით სავსე. ეს არის მიზეზი, რომ მას ცხოვრებაში მეგობარი არა ჰყოლია და არც ეყოლება. ჩემი სულიერი დასვენება — ჯარისკაცებთან ყოფნაა, მეტადრე იმ დროს, როცა სამხედრო ოპერაციები მიმდინარეობს. ვერ ამიტანია, რომ ეს ადამიანები ჯარისკაცებს გაურბიან. რუსოვი თავის მიწურიდან გარეთ არ გამოდის, მატლაშიანი კი მასალებს ფრონტის შესახებ ზურგში აგროვებს, ან ფრონტზე მაშინ გამოჩნდება, როცა ოპერაციები არ წარმოებს. აი, ესაა მიზეზი მათი ფსიქოლოგიური და სულიერი დაკნინებისა.

დასანანია, პიჩერსკი რომ აღარ არის ჩვენთან. იგი ბრძოლის ველზე დაეცა. ის ნამდვილი ვაჟკაცი იყო. პატიოსანი, გულმართალი. ასეთი ადამიანის დავიწყება შეუძლებელია.

სახლიდან არავითარი ცნობა არა მაქვს, წერილი არ მიმიღია.

დღეს სტალინგრადის გარშემო მტერი სავსებით განადგურებულია და სახლში წერილის გაგზავნის დროც გამოვნახე.

1—2 თებერვალს ჩვენს ნაწილებს კიდევ რვა გენერალი ჩაუგდიათ ხელთ. საინფორმაციო ცნობა სულ 24 გერმანელი გენერლის დატყვევებას იუწყება.

ჩვენს მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს გადაეცათ სტალინის მოლოცვა.

დღეს ახალი არაფერი ყოფილა, მშვიდად ვართ ამ დანგრეულ და გაპარტახებულ სოფელში. ქვემეხების გრიალის შემდეგ პირველად გავიგონეთ ორთქლმავლის ხმა.

გზების სასწრაფო აღდგენა-შეკეთება მიმდინარეობს. თანდათან გამოჩნდა მოსახლეობა, რომელიც მშვიდობიან ცხოვრებას იწყებს.

ათი საათია. უკანასკნელ ცნობებს ველოდები... გვერდით მიწურში შტაბის მუშაკებს მისძინებიათ. მიწურიდან ქოჩარი დავინახე და მოკისმე. აკოფას შესახებ ვკითხე, მითხრა, ხვალ უხდა მოვიდეს, კარგა ჩანია მეც აღარ მინახავსო. მეგონა, ამდენი სისხლი და ხოცვა-ჟლეტა-ის ნერვებზე ცუდად იმოქმედებდა, მაგრამ თურმე ვცდებოდი; უფრო მტკიცე ნერვების ადამიანი გამოდგა. ქოჩარმა მითხრა, ამას წინათ, აკოფა ვიღაც გერმანელის გაციებულ გვამზე ისე იჯდა, როგორც მუხის ჯირკზე სხდებიან და გულგრილად საუბრობდაო. ეგ კარგია, მე კი ვწუხდი, და ის თურმე, კარგად გრძნობს თავს. დილაზე ვინახულებ დაგერმანული ხალხური სიმღერების კრებულს ვაჩუქებ.

**1943 წელი, 4 თებერვალი.**
**ქ. სტალინგრადი — ავიაი.**

დილით დიდხანს ეფიქრობდი ჩვენი შენაერთის ახლო მომავალზე, ველოდებოდი N არმიის სარდლის გენერალ ჩუიკოვის ბრძანებას. შტაბის მუშაკებს უკვე ეღვიძათ და ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. წუხელ საინფორმაციო ბიუროს ახალი, სასიამოვნო ცნობები გაჟღოუცია, ჩვენს ჯარებს აუღიათ კრასნი ლიბანი, კუპინსკი, კუშჩევსკაია, გადუჭ-

რიათ ორიოლ-კურსკის რკინიგზის ხაზი და დაუკავშირებიათ ორი მნიშვნელოვანი სადგური, აუღიათ აგრეთვე რებეჟნოი და პროლეტარსკოე.

ეს გამარჯვებები მეტად სერიოზული და მნიშვნელოვანია. და რაც მთავარია, ეს წარმატებანი შემთხვევითი კი არ არის, არამედ სისტემატური, კანონზომიერი და გეგმაშეწონილი.

ჭოჩარმა აკოფა წარმომიდგინა, ის კარგად და ჯანმრთელად გამოიყურებოდა, თუმცა თვითონ ამბობდა, თავს ცუდად ვგრძნობო. შვიდ დეკემბერს მამისაგან წერილი მიეღო, რომელშიც მოხუცი ჩემზეც იწერებოდა. თურმე აკოფამ იცოდა ყველაფერი გერმანელ გენერლებთან ჩემი შეხვედრების შესახებ. იგი აღფრთოვანებული იყო ჩვენი დივიზიის საბრძოლო საქმეებით.

ექვს საათზე სოფელ ავისში საბჭოთა არმიის გამარჯვების აღსანიშნავი საღამო გავმართეთ. რუსოვს წასვლა არ უნდოდა ამ საღამოზე. მან თქვა: „ახლა ერთ თვეს ვისვენებთ და ასეთ ამბებს ხშირად მოვესწრებითო“. მე არც გამიკვირდა და არც მწყენია, რუსოვმა თავი რომ აარიდა ამ შეხვედრას.

საღამოზე მთელი ოფიცრობა იყო. მეთაურებსაც და მებრძოლებსაც მკერდი ჯილდოებით ჰქონდათ დამშვენებული. აქ შევხვდი ჰოვანეს მოვსესიანს. კავკასიიდან ჩამოსვლის შემდეგ მე ის აღარ მინახავს. ორივემ ძალიან გავიხარეთ. აქვე ვნახე აინაჯიანი, საქო სარქისიანი და სხვები. ძალზე სასიამოვნო იყო ამდენი ბრძოლის შემდეგ ჩვენმა დივიზიამ მეთაურთა ეს ძველი, სახელოვანი კადრები რომ შეინარჩუნა. ამდენი ვაი-ვაგლახისა და ტანჯვა-წამების შემდეგ ცოცხლად დარჩენილმა ამხანაგებმა ძმურად მოიკითხეს ერთმანეთი; მოვიგონეთ ისინიც, ვინც ბრძოლის ველზე დაეცნენ ან დაიჭრნენ და ზურგში იქნენ გაგზავნილი. ხალხი გამხიარულდა. სწორედ ამ დროს მივედი მათთან, ყველას მივესალმე. მოკლე სიტყვით ვაცნობე იმის შესახებ, რომ ჩვენი დივიზია წარდგენილია ლენინისა და წითელი დროშის ორდენებზე, იმ სამხედრო ოპერაციებისათვის, რომლებიც მან უკანასკნელი თვეების მანძილზე ჩაატარა.

ოვჩინიკოვმა გააკეთა მოხსენება დივიზიის მიერ განვლილი სამხედრო გზის შესახებ — კლეცკაიდან სტალინგრადამდე. დივიზიის დაჯილდოების ამბავმა ძალიან დიდი სიხარული გამოიწვია.

საღამოზე აკოფ ხანჯიანის დირიჟორობით უკრავდა ჯაზი. გაიმართა

დიდი კონცერტი. კონცერტის ბოლოს მებრძოლებს განვუცხადე, რომ ოთხი-ხუთი დღის შემდეგ ჩვენი ჯარები ახალ ფრონტზე გადავლენ-მეთქი. განა ახლა ლოდინის დრო არის, როცა მტერი წელში გატეხილია და ყოველ დღეს ახალი სასიხარულო ამბავი მოაქვს!

**1943 წელი, 5 თებერვალი.**
**გუმრაკი**

სოფელ ავისში დაბინავებულ მებრძოლებს გამოვუცხადე აბანოში წასასვლელად მომზადებულიყვნენ. ეს ცნობა მათთვის ძლიერ სასიხარულო იყო, ვინაიდან, როგორც მოგეხსენებათ, ფრონტზე, ომის პირობებში, არც ისე ადვილია ყოველდღე თავს მიხედოს კაცმა.

ომში ადამიანს ისიც უჭირებს საქმეს, რომ ვერსად ტანს ვერ დაიბან, საცვალს ვერ გაირეცხავ, ვერ გამოიცვლი. სუსხიან ზამთარში, თუნდა თბილადაც გეცვას, თუ ჭუჭყიანი ხარ, თავს მაინც ცუდად გრძნობ.

მაგიდაზე ხელნაწერები შევამჩნიე, ის ჰრაჩია ქოჩარის დღიური აღმოჩნდა. აი, რას წერდა იგი:

„აბანოში წასვლის განკარგულებამ გაგვახარა, მაგრამ ეს სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. ნახევარ საათის შემდეგ მოვიდა ახალი ბრძანება და ჩვენ დავიწყეთ მზადება გასამგზავრებლად. ამრიგად, ორი დღის წინ იძახდნენ, ერთ თვეს დავისვენებთო, გუშინ საღამოს გენერალ-მაიორმა გამოაცხადა 4—5 დღეს დავისვენებთო, მაგრამ ყველა ვარაუდი ამაო აღმოჩნდა; დღეს უეცრად ახალი ბრძანება მივიღეთ, მივემგზავრებით, მაგრამ საით, არავინ იცის. ეშელონებით უნდა ჩავიდეთ სადგურ კალუბანში, რომელიც აქედან 45 კილომეტრზე მდებარეობს წუხელ ოვანეს მოვსესიანს ბევრი ვესაუბრე. დილით ბატარეის უფროსის ამბავმა ყველანი შეგვაწუხა. მთვრალს მთელი ღამე ეძლო, მიწური ვერ ეპოვა და ორმოში ჩავარდნილიყო, მერე ახალგაზრდა მებრძოლს არამ ხაჩატურიანს ეპოვა, ორმოდან ამოეყვანა და თავისთან წაეყვანა.

დღეს რადიომ გამოაცხადა, რომ ჩვენს ჯარებს მთელ რიგ ქალაქებსა და სოფლებთან ერთად გაუნთავისუფლებიათ სარაიონო ცენტრი დვორიშინი. მაშასადამე, მიახლოებული ვართ ოლხოვანკა-პრეკლოდ-

Ḷოეს. ესენი ჩვენთვის მშობლიური ადგილებია და მათი განთავისუფლება ჩვენს გულსა და სულს მეტად ახარებს“.

დღიური ფრთხილად დავკეცე და ისევ მაგიდაზე დავდე.

სტალინგრადთან გერმანელების დაჯგუფების განადგურებისა და პაულიუსის კაპიტულაციის გამო გერმანიაში სამი დღე სამგლოვიარო დღეებად იყო გამოცხადებული. ფელდმარშალ პაულიუსის დატყვევების შესახებ ჰებელსის რადიო და პრესა გაცოფებულნი ჰყეფდნენ. მოსთქვამდნენ. ყველაფერი ეს ჩვენს გულს სიხარულით ავსებს. ან კი როგორ შეიძლება არ იმხიარულო, როცა მტერი გლოვობს? დღეს მთელი მსოფლიო ულოცავს სტალინგრადის მამაც დამცველებს, მთელი მსოფლიო გერმანიის საუკეთესო ჯარების განადგურებასა და 24 გენერლის სამარცხვინო ტყვეობაზე ლაპარაკობს. ახლა, ამ წუთებში, მე მინდა ჭაბუკივით შევძახო:

— ისმინეთ, მეც ჯარისკაცი ვარ იმ დიდი საბჭოთა არმიისა, რომელმაც იხსნა მსოფლიო, წამოაჩოქა ფაშისტური ურჩხული, მეც მივიღე მონაწილეობა ამ საქმეში, ხიდისთავში დაბადებულმა და გაზრდილმა კაცმა. მეც ვნახე როგორ დაყარეს იარაღი მანამდე გაამაყებულმა და თავგასულმა გერმანელმა გენერლებმა!..

მე მინდა დავიძახო ყველაფერი ეს ისე ხმამაღლა, რომ ყველამ გაიგოს, მთელმა ქვეყანამ, გაიგონ ჩვენებმაც ჩემს საქართველოში, გაიგოს ჩემმა პატარა ქალიშვილმაც...

ამ წუთებში მავიწყდება ფრონტის ყველა სიმწარე და სიდუხჭირე, მაგიწყდება სუსხიანი ყინვა, მიწურების სინესტე, უძილო ღამეები და ჩვენი მძიმე სულიერი ტანჯვა დროებითი უკანდახევის დღეებში.

მაშ მალე ისევ ფრონტისაკენ! მალე მივიდეთ, რომ კვლავ მონაწილეობა მივიღოთ ბრძოლებში. დაე, ყველა გავლილ უბედურებას, ტანჯვა-წამებას ახალ-ახალი ბრწყინვალე გამარჯვებები მოჰყვეს!

**1943 წელი, 6 თებერვალი.**
**უკანასკნელი საღამო გუმრაკის მიწურში**

ღამით ცნობა მივიღეთ, რომ ჩვენებს იზიუმი, სტარი ოსკოლი, ველიკიე ლუკი და სკოროდნოი, ოლხოვატკოვი აუღიათ. დილით ყველანი კარგ გუნებაზე ვართ. მოვიგონეთ 1941 წლის შემოდგომა, გავიხსენეთ

ისიც, როგორ ვიხვედით უკან ლუცკიდან. გადავწყვიტეთ წერილება მიგვეწერა იქაურ ნაცნობ-მეგობრებისათვის, მაგრამ ვინ იცის, გადარჩენ კი ცოცხლები?!

წუხელივე გაღმოგვცეს ცნობა ულჩანკოს აღების შესახებ. სიხარულს სიხარული ემატება. ბრძოლაში ჩაბმის სურვილიც იზრდება.

დილით ადრე გუდა-ნაბადი უნდა ავიკრათ, ეშელონით გზას უნდა გავუდგეთ. მოუთმენლობა გვიპყრობს. დღემდე სულ იმას ვოცნებობდით, რამდენიმე დღე დაგვესვენა. მაგრამ ახლა, როცა ფრონტიდან 300—400 კილომეტრით ვართ დაშორებული, დასვენებაზე აღარავინ ფიქრობს. ორი წელი ბრძოლებში ვიყავით, გვინახავს კარგიც და ავიც, მეტადრე უკან დახევის დროს. მიუხედავად ამისა, დაღლილობას არა ვგრძნობდით. ახლა, როცა ჩვენი არმია პირდაპირ სასწაულებს ახდენს, დასვენებაზე ფიქრი სამარცხვინოდ გვეჩვენება. სული ფრონტისაკენ ისწრაფვის. გაზაფხულზე დნეპრში უნდა ვიბანაოთ, შევჩენკოს საფლავთან მუხლი უნდა მოვიყაროთ. გერმანელთა მხეცობის კვალი ყველგან აშკარად ჩანს; სწორედ ეს შემზარავი სურათები ბიძგს გვაძლევს კვლავ შეტევაზე გადავიდეთ შურისძიებისათვის. აი თუნდაც ის ამბავი, სუშკოვმა რომ გადმომცა. მან ამიწერა როგორ აწამებდნენ გერმანელები ტყვე საბჭოთა მებრძოლებს. სუშკოვი პირველად გუმრაკში რომ შესულა, მაშინვე სამხედრო ბანაკისაკენ გაქცეულა. ეს ბანაკი, ეკლიანი მავთულით გარსშემოვლებული, ტრიალ მინდორზე ყოფილა. ტყვეები, პატარა-პატარა ჯგუფებად დაყოფილნი, თურმე ორმოებს თხრიდნენ და შიგ ჩადიოდნენ გასათბობად. სხეული საბნებით ქონიათ დაფარული. ჩვენებს ჩაუძახიათ ორმოებში, მაგრამ მათ ისევ გერმანელები ჰგონებიათ და ხმა არ გაუციათ. მერე როცა გაუგიათ, რომ საბჭოთა მებრძოლები არიანო, ამოუძახნიათ:

— ჩვენ რუსები ვართ, ძმებო, გვიშველეთ!

— ორმოებიდან ამოვათრიეთ, — მიამბობდა სუშკოვი, — როცა პირველმა ტყვემ სცადა ორმოდან ამოსვლა და დახმარება ითხოვა, მთელი ტანი ამებურძგნა. კაცს თითქოს საფლავიდან ვიღებდით. საცოდავები, ნამდვილ მიცვალებულებსა ჰგავდნენ, ნახევრად შეშლილებივით გვიყურებდნენ. ორმოებში გვამებიც ეყარა... მაგრამ ყველაზე საშინელება, რაც ჩემი თვალით ვნახე, ეს ზოგიერთ ადგილებზე ხორცმოგლეჯილი გვამები იყო.

სუშკოვს აღელვებისაგან ხმა ჩაუწყდა. თითქოს ახლა იმ საშინელ სურათს ხედავდა, თვალი გაუშტერდა, მერე ძლივს ამოიღო ხმა:

— ეს სანახაობა რომ ვნახე, მეც კინაღამ ჭკუა დავკარგე. როცა ხელთ ვიგდე ის გერმანელები, რომლებმაც ადამიანები აქამდე მიიყვანეს, ჯერ გავატარე იმ წამებულთა ახლოს, ვაჩვენე: აი, რა ჩაიდინეთ თქვენ-მეთქი, მერე შევაჯგუფე. ის ჯალათები და ყუმბარა ჩავაგდე მათ შუა. ტყვედ არ წამოვიყვანე. ტყვედ შეიძლება წამოიყვანო ადამიანი. თორემ აფთარი, საფლავებს რომ თხრის, განა შეიძლება დაინდო?! ამხანაგო გენერალო, თქვენ იქნებ გამამტყუნოთ, — განაგრძობდა სუშკოვი, — რასაკვირველია, უფლება გაქვთ ასეც მოიქცეთ, მაგრამ მე სხვა გზა არა მქონდა, სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი.

მეც თავზარი დამცა ამ ამბავმა და ხმა ვერ ამოვიღე. სუშკოვი კვლავ განაგრძობდა:

— ამხანაგო გენერალო, მე ადრე ვერ წარმომედგინა, თუ კაცს მოვკლავდი. გახსოვთ, ჯერ კიდევ შარშან, ბოლშოე ტროცკოესთან მოხდა ეს ამბავი. მგონი, ერთხელ მოგიყევით კიდეც. თურმე შურისძიების გრძნობა ყველაფერს ჩაადენინებს ადამიანს. მე იქ ვნახე დახოცილი ბავშვები, მათი პაწია ხელ-ფეხი, ტანსაცმლის ნაგლეჯები მიწაში იყო აზელილი, ალბათ, მანქანა თუ გადაატარეს ზედ. ეს რომ დავინახე, გამოვბრუნდი, ბარბაცით მოვდიოდი, რაღაცას ფეხი წამოვკარი და წავიქეცი. დავხედე, თურმე პაწია გოგონას გვამზე დავცემულვარ. იმ დღეს, შეტევაზე რომ გადავედით, გაოგნებული ვიყავი... რამდენიმე კაცი მოვკალი, ერთს პირდაპირ გულში ჩავეცი ხიშტი, მობრუნდა და გაიქცა. გამოვუდექი და კიდევ ერთხელ დავკარი. ხიშტი ძლივს ამოვაძრე. ცხელი სისხლი ხელზე გადამესხა, მერე აღარც მახსოვს რა გავაკეთე. მგონი, მოკვდა კიდეც. როგორ წარმოვიდგენდი ადრე, რომ ასეთ რამეს ჩავიდენდი?! მაგრამ ვისი ბრალია? დაე, მოიმკონ გერმანელებმა, რაც დასთესეს!

ასე დაამთავრა სუშკოვმა თავის ნაამბობი.

რა მეთქმოდა: იგი გულახდილად ლაპარაკობდა. მისი გამტყუნებაც შეიძლებოდა და, რა თქმა უნდა, გამართლებაც.

მტრის მიერ დატყვევებული საბჭოთა მებრძოლების განთავისუფლებამ ძალიან დიდი სიხარული გამოიწვია ჩვენში. აუტანელი ტანჯვა-წამების შემდეგ, იმ საწყლებს ადამიანის სახე აღარც კი შერჩენოდათ. ღონემიხდილები სამკურნალო პუნქტებში უნდა გაგვეგზავნა, მაგრამ მათ არ ისურვეს სამკურნალოდ წასვლა, ჯერ მტერთან ანგარიში უნდა გავასწოროთო. ძლიერ გამიკვირდა, როცა ეს გავიგონე ამ თითქმის მიცვალებულებისაგან. სადღა ჰქონდათ საამისო ძალ-ღონე?! უარი ვუთხარით, მაგრამ არაფერმა გასჭრა. მაშინ დავაკმაყოფილეთ მათი სურვილი. გადავარჩიეთ ნახევრად ჯანმრთელებიც, ე. ი. ისინი, ვისაც ფეხზე დგომა შეეძლო, მათი გაფითრებული სახეები, ღრმად ჩაცვენილი თვალები მეტყველებდნენ, თუ რა ტანჯვა-წამება გადაეტანათ. როგორ შეიძლება ადამიანმა ბრძოლაში გაიყვანოს ისინი? კვლავ ვცდილობთ დავიყოლიოთ, მათ სურვილზე უარი ვათქმევინოთ და ჰოსპიტლებში გავგზავნოთ, ვამშვიდებთ, ვეფერებით, სიტყვას ვაძლევთ, რომ შურს ჩვენ ვიძიებთ მტერზე, მაგრამ ამისი გაგონებაც არ უნდათ. მათ სურთ, პირადად თვითონ გაუსწორონ ანგარიში იმ სს-ელებს, რომელნიც მათ მკვლელებად იყვნენ გამოყოფილნი.

მეტი რაღა გზა გვქონდა, სამედიცინო გადარჩევის შემდეგ ჩვენი ტყვეების ნაწილი ისევ ჩვენს შენაერთში ჩავრიცხეთ. მათი სურვილიც ეს იყო. მე თვალყურს ვადევნებდი მათ მდგომარეობას, რომ რაც შეიძლებოდა ჩქარა გამოჯანსაღებულიყვნენ. მათ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდათ, გაძლიერებული საკვები ულუფა ჰქონდათ დანიშნული. ჰოდა, ველარ ვაკავებდით, სულ საბრძოლველად მიიწევდნენ.

დადგა მათთვის ნანატრი დღეც. დაიწყო მტერზე შეტევა. ყოფილი ტყვეები ყველაზე წინ გაიჭრნენ. თვალს არ ვუჯერებდი და გონება ვერ მომეკრიბა — რამ მისცა გოლიათების ძალა ამ ლანდადქცეულ ადამიანებს? სულ მათკენ მეჭირა თვალი. ოფიცრებიც და ჯარისკაცებიც გაფრთხილებული მყავდა, მათთვის ყურადღება მიექციათ და დახმარებოდნენ, მაგრამ დახეთ, რა მოიმოქმედეს მათ?! გამოეყვნენ ჩვენს მებრძოლებს და ცალკე ჯგუფებად წავიდნენ — დაგვაცათ, ჩვენ ჩვენი ანგარიში გვაქვს მტერთანო. ხიშტებმომარჯვებულნი შეუჩერებლივ მიდიოდნენ, თითქოს მუხლში ქარი ჩაუდგათო. ასე ეკვეთნენ

მტერს. სულ მუსრს ავლებდნენ მათ, ხიშტებზე აგებდნენ და ყველაზე მეტად იმან განმაცვიფრა, რომ გერმანელებს სახელებსაც კი ეძახდნენ. ალბათ, მათი ნაცნობი ჯალათი სს-ელები იყვნენ. გერმანელები საცოდავად გარბოდნენ, მაგრამ სამალავ ადგილს ვეღარ პოულობდნენ. ყველა მხარეს, ბედისწერასავით ხიშტები იყო აღმართული. ყოფილი ტყვეები გამძვინვარებულნი ტრიალებდნენ და დროდადრო ისმოდა: „ეს სერგეისთვის“, „ეს პეტრესთვის“, „ეს ალექსანდრესთვის“ და შემდეგ ტყვიას მიაყოლებდნენ.

ეს მართლაც, შურისძიება იყო. ტყვედნამყოფებმა გერმანული სიტყვებიც იცოდნენ და სს-ელებს გერმანულ ენაზე აგინებდნენ და ლანძღავდნენ. რაღა არ ვნახე ამ ომში, ხოლო ასეთი თავგანწირვა და გამწარება ჯერ არ მენახა!

იერიში ისეთი მძაფრი იყო, რომ გერმანელები უმალ გატყდნენ და ხელები ასწიეს. სასწრაფოდ გავეცი განკარგულება, რომ ტყვეებისთვის არაფერი ევნოთ; მერე მე თვითონ ტყვე გერმანელებთან მივედი და ახლოს დავდექი, ვშიშობდი, რომ ისინიც იქვე არ ამოეჟლიტათ.

ყველაფერი ეს სავსებით გასაგები იყო; მივხვდი, რომ ამოდენა ძალა ამ ტყვეებს მხოლოდ შურისძიების გრძნობამ შემატა. როგორც კი ბრძოლა დამთავრდა, მათ სიარულიც კი უჭირდათ, ფეხზე ვეღარ დგებოდნენ. ახლა კი დრო ვიხელთეთ და ისინი სასწრაფოდ ჰოსპიტლებში გავგზავნეთ.

**1943 წელი, 8 თებერვალი.**
**ხ ა მ ო ფ ა ლ ო ვ კ ა**

შენაერთის ნაწილებმა სადგურ კოტლაბანის რაიონში სოფელ სამოფალოვკას ნანგრევებთან მოიყარეს თავი. ეშელონს ველოდებით. ყველა გარეთ იცდის, ღია ცის ქვეშ; ყინვა ქვას ხეთქავს. ჯარისკაცები წინ და უკან დარბიან, ადგილზე დახტიან, ყველანი შემოკრებილი არიან სამზარეულოს გარშემო და ცხელ კერძს უცდიან, მაგრამ რატომღაც დღეს საჭმლის გაცემა იგვიანებს. როცა ადამიანი მაძღარია, სიცივე ისე ვეღარ ერევა, მშიერებს კი სულ აკანკალებს და რაც არ უნდა თბილად ეცვას, მაინც იყინება.

დღეს საინტერესო ამბის მოწმე ვიყავით. ტყვეობის შემდეგ აქ

ღღეს პირველად შესვდნენ ერთმანეთს გენერალ-პოლკოვნიკი ვალტერ ჰეიცი და გენერალ-ლეიტენანტი იოსიპ ფონ როდენბურგი. ჩვენი თარჯიმანი ბნელ კუთხეში იყო მიმალული, ისე რომ გენერალ-პოლკოვნიკს იგი არ შეუმჩნევია. ჰიტლერის გენერლებმა გაკენწლეს ერთმანეთი. გენერალ-პოლკოვნიკი მივარდა როდენბურგს და ფიცის გამტეხი, მოღალატე უწოდა:

— თქვენ ბოლომდე უნდა გებრძოლათ, ტყვედ არ უნდა ჩავარდნილიყავით... მე თქვენ აქ არ უნდა მენახეთ.

როდენბურგმა ახსნა-განმარტება მისცა, უამბო თუ როგორ მოჰყვა ალყაში და რა გარემოებაში ჩავარდა თავის შტაბის წევრებთან ერთად ტყვედ. ბოლოს დაუმატა:

— მაგრამ თქვენც ხომ აქა გხედავთ, ბატონო გენერალ-პოლკოვნიკო?

კამათმა მძაფრი ხასიათი მიიღო, ერთმანეთს ბევრი ცუდი აკადრეს, კინაღამ დაჭიდებულიყვნენ ერთმანეთი; შევატყვე, რომ მათ ჩხუბსა და აყალმაყალს ბოლო აღარ უჩანდა, ყვინჩილებივით იწევდნენ ერთიმეორეზე ეს ორი დარბაისელი გენერალი. მაშინ მეც ჩავერიე მათ ლაპარაკში, დალოცვილი რუსული არაყი დავალევინე; ჩემი ვარაუდი არ გამართლდა, სასმელმა კი არ დააწყნარა, უფრო გააფიცხა, ახალი ძალით შეუტიეს ერთმანეთს, ლანძღეს და პირში აფურთხეს. რაც შემეძლო ვამშვიდებდი, ვეუბნებოდი, რომ ეს თქვენი ბრალი არ არის, რომ აქომია დამნაშავე, რომ ეს ჩვეულებრივი ამბავია.

ახია მათზე ყველაფერი, მიხარია, როცა ასე გაუბედურებულებსა და გაბოროტებულებს ვხედავ მტრის გენერლებს. ასე მწარედ დასცინებს ცხოვრება ყველას, ვინც უსამართლობას ჩაიდენს. თვითონ ხომ აბუჩად იგდებდნენ ჩვენს ხალხს. დაე, ახლა იწვნიონ, ლანძღონ და თათხონ ერთმანეთი.

საღამო ჟამს პროკურორმა ფაქტოროვიჩმა და სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარემ ანდრეი დონსკოიმ ერთ პატარა მიწურს მიაგნეს და მეც მიმიწვიეს ვახშმად.

რადიო ახალ სასიამოვნო ამბებს იუწყება; ჩვენებს აუღიათ ეისკი, ბატაისკი, ბარვენკო, ბალაკლიცე.

**1948 წელი, 8 თებერვალი**
**(იმავე ადგილზე)**

ისევ ეშელონებს ველოდებით, ხვალ ჩავსხდებით ვაგონებში. გული აღარ მითმენს, მინდა მალე წავიდეთ. ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ იმ დიდი ამბების შემდეგ თითქოს მიყრუებულ პროვინციაში მოვხვდით. დღეს დიდხანს ვისაუბრეთ. ამ იძულებითი მოცლილობის დროს რა თემას არ გადასწვდება კაცი, ახლაც ჯერ მარტო ომზე იყო ლაპარაკი, მერე ბუნების სილამაზეზე გადავედით, მერე ცოლების ხასიათზე და კიდევ ვინ მოსთვლის რაზე!

დღეს ხელში ჩამივარდა პირველი ოფიცერი ქალის, ნადეჟდა დუროვას, პატარა წიგნი. ავტორს მრავალ ბრძოლაში მიუღია მონაწილეობა, მან თავი ისახელა პირველ სამამულო ომში, ბოროდინოს ველზე.

დიდი ინტერესით გადავიკითხე ეს წიგნი.

ბევრი ვიხუმრეთ იმ დიდი ლიტერატურული პერსპექტივების შესახებ, რომლებსაც ანდრეი მამაიან-დონსკოი თავის თავს უსახავს. მას გადაწყვეტილი აქვს ომის შემდეგ დრამატურგობა დაიწყოს. მეტად საინტერესო სიუჟეტები აქვს მოფიქრებული, ამ სიუჟეტებს წარამარა გვიყვება და ჩვენც იძულებული ვართ, მოვუსმინოთ.

— შენს თავს ვფიცავ, — ამბობს იგი, — უნდა დავწერო, მაშ რა ქნა? ეს სიუჟეტები ხომ არ უნდა დაიკარგოს!

ალბათ, უეჭველად დასწერს, და ნეტავი იმ თეატრს, რომლის კარიაც ეს დრამატურგი შეაღებს.

მთელ დღეს მიწურიდან არ გამოვსულვართ არც ერთი.

ოფიცრებიც და მებრძოლებიც ამ თავისუფალ დღეებს სულ ხუმრობაში ატარებენ. ბევრმა თავისებური ოსტატობაც კი გამოიჩინა, რას არ იგონებენ. რომ თანამოსაუბრენი გააცინონ. სიცილიც მალამოა ჯარისკაცისათვის. ნუ გაგიკვირდებათ, რომ ამ ხუმრობათა შორის ბევრი ძალზე გადამლაშებულია, მაგრამ რა ვუყოთ, ფრონტზე ვართ...

ჯარისკაცმა დაე გაიცინოს, მისთვის ეს საჭიროა; უამისოდ აქ ვერ გაძლებს ადამიანი.

ჰოდა, აი ახლაც, რას არ ჰყვებიან. ექიმებს სუმბათიანს და ლოლაძეს მოუგონეს თითქოს ისინი ჩვეულებრივი ქირურგები კი არა, რაღაც ზღაპრული ჯადოქრებია. ომის დროს ყუმბარისაგან ან ნაღმისაგან ხშირად ჯარისკაცი ხან ცხვირს, ხან ყურს, ხან თითსა ჰკარგავს. ისინი

კი ვითომ ორ წუთში მას ხელოვნურ ცხვირს უკეთებენ, მაგრამ ხანდახან შეეშლებათ ხოლმე, კავკასიელს მისთვის დამახასიათებელი დიდი ცხვირის ნაცვლად პაჭუა ცხვირს უკეთებენ; მოდი და მერე ამტკიცე სადაური ხარ!

უცნაური ხალხი ვართ. ვიცინით და ყველაზე დასაღონებელ მომენტშიც კი სამხიარულო მასალას ვპოულობთ. ეს ჯარისკაცის ფსიქოლოგიაა, ასეთმა გართობამ, წეღანაც ვამბობდი, ცხოვრება უნდა შეგვიმსუბუქოს, თორემ უამისოდ ის აუტანელი იქნებოდა.

რაც უნდა ძნელ დღეში იყოს ჩვენი ადამიანი, სულის სიმხნევეს მაინც არა ჰკარგავს. ეს მან დაამტკიცა ბრძოლაშიც, ეს ჩანს აქ ყოველ ნაბიჯზე.

ამას წინათ ჰოსპიტალს ვესტუმრე. კლარა ხოჭოლავა მინდოდა მენახა.

ჯერ ისევ ბნელოდა.

გათენებისას ეზოში ავტობუსი შემოვიდა, გვერდებზე ჩასმული მინები ცარცით ჰქონდა შეღებილი და თეთრ ფონზე წითლად ჯვრები იყო ამოხატული. ძარის სახურავთან მანქანას შეხორცებული ჭრილობის მსგავსად რვა-ცხრა ნატყვიარი აჩნდა, აი ისეთი, ტყვიამფრქვევის გრძელი ჯერი რომ დატოვებს ხოლმე. ეტყობოდა არა ერთხელ იყო მოხვედრილი ფრონტის ვაი-ვაგლახში, არა ერთი შფოთიანი დღე ენახა. შოფერმა მანქანა მოაბრუნა და შენობის შესასვლელთან გააჩერა. მანქანის მძიმე ბორბლების ქვეშ ყინული ლაწალუწით იმტვრეოდა.

მანქანას ეზოში უკვე უცდიდნენ. დილის სუსხისაგან ლოყებატკრეცილი მედიცინის დები, რომელნიც ოეთრი ხალათების ამარა გამოცვივდნენ ეზოში, ერთიმეორეში ირეოდნენ. ერთი ახალმოყვანილ დაჭრილთა დოკუმენტებსა და ნივთებს იბარებდა, სხვებს ავტობუსის კარი გაეღოთ და მანქანის ჭერზე ქანჩებით ჩამოკიდებულ საკაცეებს ნელ-ნელა ხსნიდნენ, ფრთხილად ჩამოჰქონდათ და სხვებს გადასცემდნენ, რომელთაც ისინი ჰოსპიტლის ღია კარებში შეჰქონდათ.

— ნეტავ როდის მორჩებით ლამაზებო, რა ზოზინით ირჯებით, უუხ, თქვენი... — ხმამაღლა დაიძახა მოთმინებადაკარგულმა შოფერმა და ხაკის ახალთ-ახალი თოფრა ისე გადმოაგდო, რომ მედიცინის დას ის ჰაერშივე უნდა დაეჭირა. მაგრამ შოფერმა მანძილი სწორედ ვერ მოზომა. თოფრა მიწაზე პირქვე დაეცა, გაიხსნა და გაყინულ მიწაზე გადმოიფანტა მაუდის მიხაკისფერი ხელთათმანები, სამართებელი, რაღაც

კოვზისებური საგანი, რომელიც ერთი ბოლოდან ნამდვილად კოვზი იყო, ხოლო მეორედან — ჩანგალი, ქაღალდში შეხვეული ძეხვის ორიოდე ნაჭერი და უკვე აღარაფერში საჭირო ძაფი და ნემსი — მთელი ის მარტივი და უბრალო ქონება ჯარისკაცისა, რომელმაც პირიც თვითონ უნდა გაიპარსოს და გახეული ხალათიც თვითონვე დაიკეროს.

მედიცინის დამ ეს ზრუნვითა და სიფრთხილით ნატარები ნივთები ასე უხეშად გაფანტული რომ დაინახა, მწყრალად შეხედა შოფერს და უთხრა:

— ხელი მოგტყდეს, ფრთხილად ვერ მომაწოდე?!

ქალს აღარ გაუგონია და უპასუხა შოფერმა, მაგრამ იმ სიცილმა, რომელიც ბიჭის სიტყვებმა იქ მყოფთა შორის გამოიწვია — ის გააწითლა. მან უფრო აჩქარებით დაიწყო ნივთების შეგროვება, ნაგანის შემთხვევით დარჩენილი ვაზნაც აიღო და როცა ბოლოს ტუჩის გარმონის თხელი ფირფიტა შენიშნა, ღიმილი ვეღარ შეიკავა, ხელში აიღო, გაწმინდა და ღიმილი უმალ ტუჩებზე შეეყინა, ფირფიტა თოფრაში ჩასდო და მედიცინის დებს მიეშველა.

საკაცეზე ოცი-ოცდაერთი წლის ჭაბუკი იწვა. დაჭრილს თვალები დახუჭული ჰქონდა და ძნელი იყო გაგება, ეძინა თუ ცნობა წართმეოდა. ხშირი, აწეწილი წაბლისფერი ქოჩორი უწესრიგოდ ჩამოშლოდა. შუბლზე და საფეთქლთან ოფლის წვეთები ასხდა. ლოყები ჩაცვენოდა და მაგრად მოკუმული ტუჩები უფრო თხელი უჩანდა, ვიდრე ამ ვეება, ძვალმსხვილ ვაჟკაცს შეეფერებოდა. მარცხენა ხელი, მრავალგზის ბანდში შეხვეული, ვეებერთელა თეთრი თათივით იდო საკაცეზე. ამ ადრიან დილით, როცა ირგვლივ ყველაფერი, თვით ფერხორცით სავსე მედიცინის დებიც კი ფერმკრთალნი ჩანდნენ — მას მიწისფერი დასდებოდა.

ყველანი გაჩუმდნენ. წეღან კი რა სიცილ-ხარხარი იყო.

სულ ასეა აქ, ფრონტზე — დარდიცა და მხიარულებაც ერთიმეორის უცებ ცვლის.

საკაცე ფრთხილად ასწიეს და მერე აღარც დაუსვენიათ. პალატაში რომ შეიყვანეს — ისევ გაახილა თვალი და მწოლარე დაჭრილებს გადახედა. ერთნი გამხდარი და გაფითრებული სახით, ჩაცვენილი თვალებით შესცქეროდნენ („ვინ არის, სადაურია ეს ახალმოსული, ეგებ ჩვენი პოლკისაა, ეგებ ჩვენი მიწისა?“ ფიქრობდნენ ისინი), მეორეებს ყურადღებაც არ მიუქცევიათ მისთვის. ვიდრე მას ხდიდნენ, ახ-

ლებს აცმევდნენ, დასაწოლად ამზადებდნენ, პალატაში გაუთავებელი აურზაური იდგა. ერთი ღამენათევი ძილსა ნატრობდა და ლიუმინალს თხოულობდა, მეორეს თაბაშირში ჩადებული ფეხი ცუდად ედო საწოლზე, ორივე ხელით ჩასჭიდებოდა, ადგილიდან ვერ დაეძრა და მედიცინის დას ეძახდა — მიშველეო, მესამეს კიდევ თავისი გაჭირვება აწუხებდა და მედიცინის დებიც დარბოდნენ, აწყნარებდნენ ბავშვებივით მიზეზიან და ჭირვეულ ვაჟკაცებს.

ის იყო დაჭრილი დააწვინეს, რომ მას, სადღაც, პალატის მეორე კუთხიდან გულიანი სიცილ-ხარხარი შემოესმა. გაიხედა: ვიღაც კაცი საწოლზე იჯდა და დაჭრილებს უჩვენებდა როგორ იჭერს ძაღლი ზაფხულის ცხელ დღეებში პირით ბუზებს და კოღოებს. „ძაღლი“ უცებ ვითომ ჩასთვლემდა, თვალებს დახუჭავდა, მერე სწრაფად მოიქნევდა თავს და ჰაერში რაღაცას სტაცებდა პირს. ირგვლივ მყოფნი ხარხარებდნენ. დაჭრილსაც გაეღიმა და ის იყო კიდეც მტკივან ხელში რაღაცამ ჭვალივით გაჰკრა და მთელი სხეულით შეარხია. მან ზეწარი გადაიხადა და ბანდებში შეხვეულ ფეხზე დაიხედა. მერე საღი ხელის გულზე დაჭრილი ხელი დაიდო და მაღლა აწევა სცადა, ვერ დასძრა.

— რაო შვილო, მძიმეა? — მოესმა მას ტკბილად მოღუღუნე ხმა.

აიხედა. ეს ის კაცი იყო, წელან დაჭრილებს რომ აცინებდა. დაჭრილს ხალათი ეცვა, ის დასცქეროდა მწოლარეს და იღიმებოდა. ღიმილი უცნაურად უფართოებდა თვალის გუგებს, შლიდა მის სახეზე ნაოჭებს და მაშინ თითქოს უფრო ახალგაზრდა ჩანდა.

— მტკივა, — შესჩივლა დაჭრილმა.

— გაივლის, მოთმინება უნდა, არ უნდა დაღონდე... — კვლავ გაიღიმა უცნობმა, — აი მეც მხრები ისე შემიხვია ლიუბამ (ლიუბა სწორედ ის მედიცინის და იყო, რომელიც დილით შოფერს ეჩხუბებოდა, ეს პალატა მას ებარა), ისე შემიხვია, თითქოს ხამუტი მაცვია და ქვემეხში ვარ ცხენივით შებმული. მოსართავები კი მაგრადა მაქვს მოჭერილი, ნუკი გამამხელ...

და მერე შეეკითხა:

— რა გვარი ხარ?

დაჭრილის ვინაობა რომ გაიგო, უცნობმა ახლა თავისი თავი გააცნო, პოლკის ნომერი დაუსახელა და ისიც უთხრა, სად იბრძოდა. ჭრილობები თითქმის შეხორცებოდა. ფედორ დანილიჩი ვარო, უთხრა. დიდხანს ესაუბრა. ის იყო სადღაც პალატის ბოლოში ვიღაცამ გუ-

ლისწამლები კვნესა დაიწყო, ფედორმა წარბები შეიჭმუხნა და ღრმა ნაოჭმა ისევ დასერა მისი შუბლი. მაშინვე იმ ბიჭისაკენ წავიდა. ახლა შორიდან ისმოდა მისი რაღაც სიმღერასავით გაგრძელებული ტკბილად მოღუღუნე ხმა. ბიჭს ამშვიდებდა. დაჭრილი კვლავ თავის ფიქრებში წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ მეორე კუთხეში დაიწყო ხმაური, კვლავ გაიხედა. დაინახა: მოხუცი ძიძა და საამოდ საცქერალი, მედიცინის და ლიუბა ერთი დაჭრილი ბიჭის ირგვლივ ფუსფუსებდნენ. ფედორ დანილიჩს ხელში ყავარჯენი ეჭირა, ხოლო მოწყალების და და ძიძა ბიჭს ადგომაში შველოდნენ. ირაკლი უცებ მიხვდა რაშიც იყო საქმე: ეს ოცი წლის ვაჟკაცი ხელახლა იდგამდა ფეხს, ხელახლა სწავლობდა სიარულს, ისე, როგორც ოდესღაც წლინახევრის ასაკში, როცა პირველად ტაატით გაიარა მიწაზე. მთელი პალატა ჩუმად შესცქეროდა. ბიჭი იღიმებოდა. წამოიწია ერთხელ, ვერ გაბედა ადგომა, ეშინოდა... სცადა მეორეჯერ, ისევ გადაწვა ლოგინზე და რაღაც ნეტარებით გაიღიმა:

— ადექი, ბიჭო, ადექი, შვილო, — ეხვეწებოდა ძიძა.

ლიუბამ ბიჭს მკლავი აუწია, კისერზე შემოიდო, მხარში შეუჯდა და გაჯიუტებული ავადმყოფი თითქმის ძალად წამოაყენა.

— უშველე, ფედორ დანილოვიჩ, — დაუძახა ხანში შესულ ჯარისკაცს ვიღაცამ დაჭრილებიდან.

ეტყობოდა, ფედორი ამ საქმეში მოხალისე იყო. როცა ბიჭი კვლავ შიწვა, მან ცალ მუხლზე დაიჩოქა და ჩურჩულით, რომელიც ყველამ გაიგოხა, წარმოსთქვა:

— რა ფაფასუა ყოფილხარ! აბა, მომეცი ხელი, აიწიე, ნუ გეშინია. წამოდექი ბიჭო, ჰეი, შე გლახა შენა!

დაჭრილი წამოდგა, ძიძა და ლიუბა მხრებში ედგნენ. ფედორმა ყავარჯნები გაღაყარა, ბიჭს უკან პერანგში ხელი ჩაჰკიდა და ოთხივენი ტაატით დაიძრნენ, კარებისაკენ გასწიეს.

ბიჭი მიდიოდა და ლერწამივით ქანაობდა, წამდაუწუმ წელში და მუხლებში იღუნებოდა. დაჭრილები იცინოდნენ. შუა ოთახში რომ გაეიდნენ, ყავარჯნები მიაწოდეს, დიდი ამბით გააღეს კარი და ის იყო დერეფანში უნდა გასულიყვნენ, რომ პალატიდან ვიღაცამ დაუყვირა:

— გზა მშვიდობისა! გრძელია გზა, იარეთ, წერილი მოიწერეთ, თუ მოკვდეთ, მაშინვე დეპეშა გამოგვიგზავნეთ.

აი, ასე ადგა კაცი ფეხზე, ხვალ, ალბათ, ძიძის დაუხმარებლადაც გაივლის და ერთ თვეში იქნებ ისევ საომრად წავიდეს.

ნახევარი საათის შემდეგ პალატის კარი ისევ გაიღო. ბიჭი გაოფლიანებული, გაღაჟღაჟებული შემოვიდა, ძიძა და დაი ახლა მხრებში აღარ უღგნენ, ის ყავარჯნებით მოდიოდა და უკან ფედორ დანილიჩი მოსდევდა — მისი პერანგის კალთა ხელით ეჭირა.

კუთხეში, სადაც შედარებით მსუბუქი დაჭრილები იწვნენ, დაბალი ხმით ლაპარაკი ისმოდა. ტკბილად მოღუღუნე ხმაზე ფედორ დანილიჩს ადვილად იცნობდით. რაღაცას ჩიოდა, თანაც ბიჭების სიცილიც ისმოდა. ეტყობოდა ახელებდნენ მას, ბოლოს გარკვევით მოისმა, როგორ უთხრა ვიღაცამ:

— მაშ რა გაღრიალებდა დღეს დილით საოპერაციოში, ხომ არაფერს არ გაჭრიდნენ. მალამოს გადებდნენ, შენ კი იმხელასა ყვიროდი. რომ იქნება შენს ასტრახანშიც ისმოდა.

ირგვლივ ისევ გაიცინეს. მერე მეორე დაჭრილმა თქვა:

— მაგას ყველაზე ძალიან ექიმისა ეშინია. პალატის ჩამოვლისას იმალება, და თუ ექიმმა პალატაში შემოუსწრო და უკან დასახევი გზა აღარ აქვს — ისე წაჰყოფს ცხვირს საბანში, თითქოს აქ არ არიო. შეხვევისა ეშინია ამ ღვთის გლახას, ამასა.

— მაგაზე ნუ იცინით, ბიჭებო! სამაგიეროდ მტრისა არ ეშინია, — თქვა მესამემ, — ერთხელ ხუთ კილომეტრზე ხელში აყვანილი მოჰყავდა თავისი დაჭრილი მეთაური. გერმანელები კვალზე მოსდევდნენ. ეს კი თურმე, ისე მდევარს არ უყურებდა, როგორც ლეიტენანტს დასცქეროდა — არა ვატკინო რაო. ათი იმდენი რომ გამოჰყოლოდა, მაინც არ მიატოვებდა.

— მართალია, ფედორ დანილიჩ? — ჰკითხა ვიღაცამ.

— რაკი ტყუილი არ არის, მაშ მართალი იქნება, ეს ბიჭი ჩვენი პოლკიდან არის, — უპასუხა ფედორმა.

უცებ პალატის კარი გაიღო, მოწყალების დები შემოვიდნენ, საკაცე შემოიტანეს და ახალმოყვანილისკენ გასწიეს. პალატაში სიჩუმე ჩამოვარდა.

— საოპერაციოდ მიჰყავთ, — ოდნავ გასაგონად წაიჩურჩულა ვიღაცამ. ლიუბამ მას მკაცრად გადახედა და თვალებით ანიშნა სიტყვა არ დასძრაო.

* * *

საოპერაციოში სტერილიზატორი უკვე შიშინებდა. ქირურგიც მზად იყო. ის საშუალო ტანის ქალი იყო. როცა მან ჭრილობები გაწმინდა, წყენით შეიშმუხნა წარბები. ოფიცერი დაჭრილი იყო მკერდის არეში და, ალბათ, ფილტვშიც, რადგან სუნთქვა საოცრად შესუსტებული და ხრინწიანი ჰქონდა. დაჭრილს მკერდი გარედანაც დაბეგვილი და დალურჯებული ჰქონდა. მარცხენა ხელიც ძალზე დაზიანებული ჰქონდა; ის თითქმის უიმედო იყო, მაგრამ ექიმმა კარგად იცოდა, რომ ახლა შეკრთომის, ყოყმანისა და უკანდახევის დრო არ იყო. დაჭრილს ქლოროფორმი მისცეს. უკვე მძინარე ეგონათ, როცა ისევ გაახილა თვალი და ჯერ მედიცინის დას შეხედა, რომელსაც მთრთოლვარე ხელში მისი მაჯა ეჭირა, რათა პულსის შეწყვეტის შემთხვევაში დროზე ეცნობებინა ექიმისათვის მოახლოებული სიკვდილის საშიშროება. ყველას პირი აკრული ჰქონდა, თითქოს უმძრახობის პირობა დაუდვიათო. მერე ექიმი დაინახა, მასაც ტუჩები თეთრი ბანდით ჰქონდა ახვეული. მხოლოდ თვალები უჩანდა, რომლებმაც იმედიანად და გამამხნევებლად გაუღიმეს (ასე მოეჩვენა დაჭრილს). როცა ექიმი დარწმუნდა, რომ ქლოროფორმის ნორმალურმა დოზამ დაჭრილი ვერ დააძინა, რაღაც იმედის ნატამალმა გაუელვა გულში, მართალია ჭრილობები ძალიან მძიმეა, მაგრამ არც ეს კაცი ჩანს ადვილი დასამორჩილებელი, ასეთი მაგარი, ნორჩი და სიცოცხლით სავსეა მისი ჭრილობებით დასერილი სხეული.

მერე ბინდი ჩამოეფარა თვალებზე და ლეიტენანტს აღარაფერი გაუგია. გონზე მხოლოდ პალატაში მოვიდა. ნელ-ნელა ერკვეოდა რაღაც ბნელი და ნისლიანი ბურანისაგან. იმ ბურანში უცებ იგრძნო, რომ ვიღაცის ხელი ფათურობდა მის სახეზე, თვალებზე, თმებზე. თვალი ძლივს გაახილა. თავთან ვიღაც ქალი იჯდა, ვერ იცნო. მარტო ეს თბილი, კეთილი შუქით აღსავსე თვალები თითქოს ნაცნობად ეჩვენენ, მაგრამ ვერ გაიხსენა სად ენახა ისინი. დაჭრილმა განძრევა სცადა, მაგრამ ქალმა არ დაანება. უცებ იგრძნო, რომ მთლად ბანდებში გახვეული და მაგრად იყო შეკრული. ექიმმა მის გამოფხიზლებას რომ შეამჩნია, კვლავ გაიფიქრა, რომ იგი უეჭველად გადარჩებოდა. ასე წყნარად როდი იღვიძებენ ადამიანები ნარკოზის შემდეგ: ერთნი როგორც მთვრალი მეეტლეები ისე იგინებიან, მეორენი ისტერიულად იცინიან, მესამენი ტირიან, საწოლიდან წამოხტომას და საცვლების ამარა გაქ-

ცეკას აპირებენ... ეს კი მშვიდად იწვა და ექიმი რწმუნდებოდა, რომ სული ძალიან მაგრად იყო ჩაკირული ამ დაცხრილულ სხეულში და მას ასე ადვილად სიკვდილი ვერ მოერეოდა.

დაჭრილი იწვა და რაღაცას იგონებდა. მას სიზმარივით ახსენდებოდა: მგონი დილას მოიყვანეს აქ, მერე საოპერაციოც გაიხსენა, აი, დგანან ყველანი თეთრ ხალათებში, ყველანი პირახვეულები, და უცებ ეს თვალებიც გაახსენდა. ჰო, ესეც იქ იყო, იმათ შორის. მერე ფანჯრისკენ გაიხედა. მეზობელ სახლის ნანგრევზე მტრედები დაფრინავდნენ, მერე წყნარად დაგროვდნენ და ისე იქნევდნენ თავებს, თითქოს აქეთებთ და მისი ზიდვა ძალიან უჭირთო.

ექიმი კი ახლა მაგიდასთან იჯდა. რაღაცას დიდხანს წერდა „ავადმყოფობის ისტორიაში“. როცა წერა დაამთავრა, კვლავ დაჭრილს მოუბრუნდა და უთხრა:

— ახლა საშიში აღარაფერია, ოღონდ ნუ გაინძრევი.

მერე ექიმმა მოხუცი ქალი მოიხმო და უთხრა:

— ძიძა, დაუჯექი აქ, არ გაინძრეს... ეს ქაღალდები, — და თითით უჩვენა მაგიდაზე დაწყობილ „ავადმყოფის ისტორიაზე“, — ლიუბამ საორდინატოროში წაიღოს.

თვითონ კი წავიდა.

— ძიძა, ვინ იყო ის? — იკითხა დაჭრილმა.

— ეგ ექიმი ხოჭოლავაა, შვილო, კლარა მუხრანის ასული! ძალიან დალოცვილი ხელი აქვს... იცი, რამდენი გადაურჩენია მაგის დანას? მაგასთან ნურაფრისა ნუ გეშინია!

- ხოჭოლავა? მაშ ქართველი ყოფილა?

— შენ თვითონ სადაური ხარ?

- მეც ქართველი ვარ!

ჰოდა, აბა დაიძინე, ჩემო პატარა ბიჭო! ნურაფრის ნუღარ გეშინია! — და მოხუცმა ქალმა ალერსით გადაუსვა დაჭრილს ხელი ქოჩორზე.

ბიჭი მალე მოკეთდა და ღრმა ზურგში გაგზავნეს.

ვინ იცის რამდენი ასეთი ვაჟკაცი გადაურჩენია ამ პატარა ქალის ვაჟკაცურ მარჯვენას!

ისევ ფრონტულ გამძლეობაზე, სიკვდილის არად ჩაგდებაზე, სიმხნევეზე, სიცოცხლის სიყვარულზე მინდა გითხრათ ორიოდე სიტყვა.

აი, რა მიამბო ერთმა ოფიცერმა. ის ჰოსპიტლიდან მოვიდა ჩვენ-

თან, ადრე თურმე დასავლეთის ფრონტებზე იბრძოდა და ახლა ჩვენთან გამოგზავნეს.

მას ისე უყვარდა თავისი წინანდელი მეთაური, პოლკის უფროსი ვიქტორ რომანენკო, რომ მზად იყო დაუსრულებლად ელაპარაკნა მასზე. თურმე რომანენკო ლუკმას ისე არ გატეხდა, ასი გრამი რომ არ გადაეკრა. სადღეგრძელო კი მარტო ერთი იცოდა: „ღმერთმა ქნას, რომ ეს უკანასკნელი არ იყოსო“.

კიდევ ერთი ჩვეულება ჰქონდა მას, — მიამბობდა ოფიცერი და ღიმილი ერეოდა სახეზე, — ცხენით სიარული უყვარდა. შეაკაზმინებდა თავის „ტაიგას“, მერე ათიოდე ცხენოსანს შეჰკრებდა და მარშის დროს ასე მიუძღოდა წინ თავის პოლკს. ძროხაც გვყავდა პოლკში, რომელსაც „გვარდიის ფუძრს“ ეძახდა. პოლკის აღალს ორი ჯორი ჰყავდა, რომელსაც არაბკასა და ანგარას ეძახდნენ. პოლკოვნიკი თავის მოადგილეს ყოველ შეხვედრაზე ეკითხებოდა: არაბკა და ანგარა როგორ არიანო.

პოლკოვნიკის ბან-სანგარში რომ შეხვიდოდით, კარებში თეთრი ბამბურა ლეკვი დაგხვდებოდათ და ფრთხილად უნდა ყოფილიყავით, ფეხი არ დაგედგათ. ლეკვი დაჭრილი იყო, ცალი წინა თათი აკაუჭებული დაჰკონდა და სამფეხზე დახტოდა. სიცოცხლე გაუმწარა რომანენკომ პოლკის ვეტექიმს: მოარჩინეო.

— გადააგდე, რად გინდა, აღარ მორჩება,—ურჩია ექიმმა.

— არაფრის გულისთვის! — შესძახა რომანენკომ, — აბა სცადე, ეგებ უშველო.

და იქამდე არ მოეშვა, ვიდრე ოპერაციაზე არ დაითანხმა: დააწვინეს ლეკვი მაგიდაზე, მოიტანეს ცხელი წყალი, ბანდები, პინცეტები, ლეკვი გააკაევეს. ექიმმა დაჭრილი თათი ხელში დაიჭირა: ბევრი იწკმუტუნა და იყეფა საცოდავმა, კბილებით ხალათზე სწვდა დოსტაქარს. ვეტექიმმა მაინც იპოვნა თათში ნაღმის პატარა ნალეწი, გამოუღო და ფეხი მაგრად შეუხვია. ერთ კვირაში მორჩა ლეკვი და ისევ დახტოდა.

ფრონტზე მაშინ ხანმოკლე მყუდროება იყო და პოლკოვნიკსაც ამიტომ ეცალა. მალე კვლავ ცხარე ბრძოლის დღეებიც დაიწყო, მაგრამ რომანენკო ვერაფერმა შესცვალა. ის ისევ ისეთი მხნე და მხიარული იყო. თვით განსაცდელის წუთებშიც არ ჰკარგავდა ამ სიმხნევეს. ერთხელ პოლკოვნიკმა ბრძანება მიიღო, განსაცდელში მყოფ მეზობელ პოლკს სასწრაფოდ დახმარებოდა. მან დარეკა პირველ ბატალიონში,

რათა მომზადებულიყვნენ და თვითონაც უმალ შესამოწმებლად გაეშურა. როცა ადგილზე მივიდა, პოლკოვნიკმა დაინახა: ხუთი წუთის განმავლობაში ყველაფერი მოემზადებინათ — საჭურველიც, ქვემეხებიც, ხალხიც. ახლა ბრძანებაღა იყო საჭირო. გაუხარდა, მაგრამ უეცრად თითქოს განცვიფრება აღებეჭდა სახეზე, ხელები ფართოდ გაშალა და დაიძახა:

— ეს რა ამბავია ბიჭებო, საჩხუბრად ხომ არ მომზადებულხართ?

ეს სიტყვები მან ისეთი გაოცებით წარმოთქვა, რომ ყველამ გაიცინა. გაიცინეს ბიჭებმაც, ყველამ იცოდა, რომ ეს იყო ქებაც, სიყვარულიც, ალერსიც, ამ თავისებური კაცისა, რომელიც ჯარისკაცებს, როგორც შვილებს, ისე აცილებდა ბრძოლაში.

ჰოდა, აბა ახლა მითხარით, გასტეხს ომი ასეთ კაცს? ცხადია, ვერა.

## დაუვიწყარი შეხვედრები

ვის არ ახსოვს 1942 წლის მძიმე დღეები სტალინგრადთან, როდესაც წყდებოდა ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი, სადაც ჩვენმა ძლევამოსილმა საბჭოთა ჯარებმა უმაგალითო გმირობა გამოიჩინეს. სწორედ სტალინგრადთან განადგურებულ იქნა ფაშისტური გერმანიის რჩეული დივიზიები 320 ათასი კაცის შემადგენლობით. სტალინგრადის ოპერაცია სამხედრო ხელოვნების ერთ-ერთ ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენდა.

სტალინგრადთან 1942 წლის 19 ნოემბერს დაიწყო საბჭოთა ჯარების გადასვლა კონტრიერიშზე. ამ დღიდან დაიწყო პაულიუსის რჩეული დივიზიების განადგურება.

გასულ წელს აღინიშნა ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის 25 წლისთავი. სტალინგრადის ოპერაციის უშუალო მონაწილენი მიგვიწვიეს ქ. ვოლგოგრადში, სადაც თავი მოიყარეს გენერლებმა, ოფიცრებმა, მებრძოლებმა. საქართველოდან წარგზავნილი ვიყავით ყოფილი არტილერიის დივიზიონის ძიების უფროსი სერგო ხოფერია, ამჟამად ლანჩხუთის რაიონის ჩაის ფაბრიკის დირექტორი, ყოფილი 51-ე გვარდიული დივიზიის მესანგრე ათასეულის მეთაური ლაშა ჯავახიშვილი. ამჟამად გორის საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის მთავარი ინჟინერი, და ამ სტრიქონების ავტორი.

შეხვედრა უაღრესად გულთბილი და მეგობრული იყო. ვოლგოგრადში ჩავედით 17 ნოემბერს. საკვირველი დამთხვევაა — ამინდი ზუსტად ისეთივე იყო, როგორც 25 წლის წინათ—ჰქროდა სუსხიანი, ცივი ქარი, ცა მოღრუბლულიყო და ყინავდა.. ჩვენ გავემგზავრეთ იმ რაიონში, სადაც ჩვენი ჯარები კონტრიერიშზე გადავიდნენ. აქ დაიმსხვრა მითი ფაშისტური გერმანიის ჯარების უძლეველობის შესახებ აი ის ადგილებიც: სერაფინოვიჩი, კლეცკაია, კალაჩი, ვოლჟსკი და სხვ.

სტალინგრადის დიდი ბრძოლების მონაწილეთა შესახვედრად უამრავ ხალხს მოეყარა თავი. გზებზე ათასობით ადამიანი გამოდიოდა ჩვენს შესახვედრად, იმართებოდა მიტინგები, გულითადი საუბრები. ისინი მადლობას გვიხდიდნენ იმისათვის, რომ ჩვენ ვიყავით მათი პირველი განმათავისუფლებელი. ყოველივე ამის აღწერა, რა თქმა უნდა, ძნელია; ენით აუწერელია, რასაც იქ ყოფნის შვიდი დღის განმავლობაში ჩვენს მიმართ მადლიერი ხალხი გამოხატავდა. განცდები, მოგონებები, ბრძოლის ეპიზოდები ჩვენს თვალწინ ცოცხლდებოდნენ.

ჩვენი დივიზია იბრძოდა კლეცკაიას რაიონში. მოულოდნელად ველოდი კლეცკაიაში მისვლას. იქ ყოველი ხე, ყოველი ბუჩქი, ყოველი ქვა ახლობელი და ნაცნობია ჩემთვის. 51-ე გვარდიულმა დივიზიამ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, ფრონტის სარდლის, საბჭოთა კავშირის მარშლის როკოსოვსკის დავალებით აქედან დაიწყო მომავალი კონტრშეტევისათვის პლაცდარმის ხელში ჩაგდება. სოფელ პოდპეშინსკში, სადაც განლაგებული იყო ჩვენი დივიზიის სამეთაურო პუნქტი, შევხვდი იმ ადამიანებს, რომელთა ბინაზეც მომიხდა ყოფნა 25 წლის წინათ. მიუხედავად იმისა, რომ ამდენი დრო გავიდა იმ დაუვიწყარი დღიდან, დიასახლისმა მიცნო და სიხარულით შემომძახა: „ნიკოლა! ეს შენა ხარ?!“ და ტირილი დაიწყო. გაცოცხლდა წარსულის სურათები, ბევრი რამ მოვიგონეთ, ბევრი მებრძოლი გავიხსენეთ, ვიგონებდით, თუ რა მძიმე პირობებში გვიხდებოდა ბრძოლა და არსებობა. 25 წელი ისტორიისათვის თვალის ერთი დახამხამებაა, მაგრამ ადამიანი ამ ხნის განმავლობაში ისე იცვლება, შეიძლება ვერც კი იცნო.

სტალინგრადის გმირი სერგო ხოფერია ჩვენს დივიზიაში იბრძოდა. იგი სწორედ კლეცკაიაში დაიჭრა ყუმბარის ნამსხვრევით. ადგილობრივმა რუსმა ქალიშვილმა აღმოუჩინა პირველი დახმარება — შეუხვია ჭრილობა. აი სწორედ ამ ქალმა იცნო სტალინგრადის ყოფილი

დამცველი. რამდენი სიხარულის ცრემლი დაიღვარა მათი შეხვედრის დროს! რა დაგვავიწყებს იმ საბრძოლო დღეების ერთ-ერთ ეპიზოდს: ფაშისტები კლეცკაიადან თავქუდმოგლეჯილნი გარბოდნენ. გაბოროტებულ ჰიტლერელებს ადგილობრივი კომკავშირელი ქალიშვილი ჩაეგდოთ ხელთ და წამებით უნდოდათ მოეკლათ. ეს ათასეულის მეთაურმა, მაიორმა ლაშა ჯავახიშვილმა და მებრძოლმა გიორგი გულორდავამ შეამჩნიეს. ქართველმა ვაჟკაცებმა საკუთარი სიცოცხლე აშკარა საფრთხეში ჩააგდეს, გამოიჩინეს განსაცვიფრებელი ვაჟკაცობა და რუსი ქალიშვილი სიკვდილისაგან იხსნეს, ხოლო ფაშისტები ამოწყვიტეს. ეს უბრალო საბჭოთა გოგონა ახლა ქმარ-შვილის პატრონია, საკუთარი მყუდრო ოჯახი აქვს. სხვებთან ერთად ისიც მოვიდა სტალინგრადის დამცველებთან შესახვედრად. ამ ქალმა ყოფილ მებრძოლთა შორის მაშინვე იცნო ლაშა ჯავახიშვილი. მას არც გიორგი გულორდავა დავიწყებოდა, მოიკითხა. მაგრამ გულორდავა ველარ მოესწრო გერმანელ ფაშისტებზე გამარჯვების ზეიმს. იგი გმირულად დაეცა სტალინგრადის მიწაზე.

სტალინგრადის ბრძოლების ყოფილი მონაწილენი 21 ნოემბერს საღამოს, სოფელ გრიგორევკასთან, მდინარე დონზე გადავდიოდით. აქაც ჩვენს შესახვედრად უამრავ ხალხს მოეყარა თავი. მდინარის მეორე ნაპირზე ბორნით უნდა გადავსულიყავით. ბორნის მექანიკოსი ზაქარია მელნიკოვი გამოგვეცნაურა. ისიც სტალინგრადის ბრძოლების მონაწილე აღმოჩნდა. იგი გულდასმით გვათვალიერებდა, ვიღაცას ეძებდა. მაგრამ ამაოდ. შემდეგ ჩემთან მოვიდა და მკითხა:

— უკაცრავად, ხომ არ იცნობთ ქართველ გენერალ ჯაკიას? იგი 69 გვარდიული დივიზიის მეთაური იყო. სწორედ მისი დივიზიის ასეულის ყოფილი ზემდეგი ვარ.

მე მაშინვე მივხვდი, ვისზეც მეკითხებოდა ყოფილი გვარდიელი ზემდეგი. იგი ჩვენს თანამემამულე გენერალ კირილე ჯახუას ეძებდა. მან ბევრი ილაპარაკა თავის ყოფილ უფროსზე და მთხოვა მოკითხვა გადამეცა კირილესათვის.

22 ნოემბერს ქ. ვოლგოგრადის პიონერთა სასახლეში გაგვიმართეს დიდი შეხვედრა; ახალგაზრდობამ ბევრი ილაპარაკა ჩვენს შესახებ. ყველანი საპატიო პიონერებად აგვირჩიეს. მეორე დღეს ქალაქის აქტივთან ერთად დავათვალიერეთ თავდაცვის სახელმწიფო მუზეუმი, სადაც ასევე გულთბილი შეხვედრა მოგვიწყვეს. ქალაქისა და ოლქის

ხელმძღვანელობამ ყველას სამახსოვრო საჩუქრები გადმოგვცა. მოვინახულეთ გმირთა სასაფლაოები, სადაც მარადიული ცეცხლი ახთია. ვოლჟსკის რაიონის სოფ. გუტერში არასრული საშუალო სკოლის ეზოში დასაფლავებულია ჩვენი თანამემამულე სტალინგრადის დაცვის გმირი გიორგი გულორდავა. მის საფლავზე მოვაბნიეთ გორიდან ჩამოტანილი ქართული მიწა. საფლავი ცოცხალი ყვავილების თაიგულებით შევამკეთ. ადგილობრივმა პიონერებმა კი გმირის საფლავზე შეკრება მოაწყვეს.

აი მთელ მსოფლიოში გახმაურებული მამაის ყორღანი. ამ ოცდახუთი წლის წინათ აქ იბრძოდა ჩემი გვარდიული დივიზია; მაშინ აქ ერთმანეთს შეუერთდნენ ორმოცდამეთერთმეტე და მეცამეტე გვარდიული დივიზიები. სტალინგრადს თავზე მაშინ შავი ღრუბლები ეფარა. სამაგალითოდ იბრძოდა მეცამეტე გვარდიული დივიზიაც, რომელსაც ახალგაზრდა გენერალი როდიმცევი ხელმძღვანელობდა. მას შემდეგ გავიდა 25 წელი, ყოფილი დივიზიის მეთაურები — მე და როდიმცევი ერთმანეთს შევხვედით. რამდენი რამ არ მოვიგონეთ იმ დაუვიწყარი დღეებიდან. მამაის ყორღანი და გარშემო ნაგებობანი არ შეიძლება ადამიანმა აუღელვებლად ნახოს. აქ ხომ ფაქტიურად ჩვენი სამშობლოს ყოფნა-არყოფნის საკითხი გადაწყდა. ეს ადგილები უაღრესად შთამაგონებელი და ბევრისმთქმელია. ის ჩვენი ხალხის გმირული ბრძოლების ამსახველი ადგილია, სტალინგრადის განვლილი ბრძოლების ეჭოა.

სტალინგრადის დამცველი ქართველი მეომრების სახელით ჩვენმა დელეგაციამ გმირ ქალაქში ჩაიტანა საჩუქარი — ქართული ეროვნული სუვენირები, რომლებიც გადაეცათ კლეცკაიას პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციას, თავდაცვის სახელმწიფო მუზეუმსა და ქალაქ ვოლგოგრადის პიონერთა სასახლეს. ყველა საჩუქარს შესაბამისი წარწერები ჰქონდა.

შეხვედრებში გამოსვლის დროს ვოლგოგრადის მცხოვრებლებს საქართველოს ომის ვეტერანთა სახელით მივესალმეთ.

ამ 25 წლის წინათ სტალინგრადი ფერფლად იყო ქცეული, მაგრამ ახლა მას ვეღარ იცნობთ — საბჭოთა ადამიანის გამრჯე მარჯვენას რა არ შეუძლია!!! იგი დღეს ულმაზესი ქალაქია — თავისი ფაბრიკა-ქარხნებით, საცხოვრებელი სახლებით, პროსპექტებით, ბაღებით, სკვერებით, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებით, სტადიო-

ნებით. სტალინგრადი დღეს მშვიდობის ქალაქია. თუ ამ ქალაქის მძიმე ბრძოლების ისტორია არ იცით, იფიქრებთ, რომ აქ არასოდეს ზარბაზანი კი არა, თოფიც კი არ გავარდნილაო. სტალინგრადის დიად ეპოპეაზე მამაის ყორღანი მეტყველებს!

### მეჯინიბის ამბავი

ვინ მოსთვლის, რამდენი კაცი აჰყარა ამ ომმა თავისი კერიღან, მოხეტიალად აქცია. დღეს ერთ მოხუცს შევხვდი.

საკვირველი თავგადასავალი ჰქონია. პირდაპირ, ხელიდან დაძვრენია სიკვდილს, კლანჭებიდან გაქცევია.

აქაური ყოფილა. სოფელიც დამისახელა და რაიონიც, კოლმეურნეობის მეცხენეობის ფერმის გამგე ვიყავიო, მითხრა. ჯერ თავის თავლას აქებდა, ისეთი წესრიგი იყო შიგ, როგორც სკოლაშიო.

— გერმანელები რომ მოახლოვდნენ, — დაიწყო მოხუცმა, — ახლო სოფლებიდან ხალხი შემოგვეხიზნა. პირუტყვიც გაშორეკეს... ის იყო, პირუტყვი უნდა გაგვერეკა აქედან, რომ ხმა მოვიდა — მტერმა გზა უკვე გადაჭრაო.

ჩვენი თავლა ისე იყო გაჭედილი ცხენებით, რომ ნემსი არ ჩაიგდებოდა. შვილებივით მიყვარდნენ ისინი, სიცოცხლეს არ დავზოგავდი იმათ გადასარჩენად.

მარტო მე კი არა, ჩემი მამა-პაპაც ამ საქმეზე იყო გადაგებული. ჩემი წინაპრები ვორონეჟიდან ყოფილან. მამაჩემი მეტყოდა ხოლმე, როცა იქ მეფე პეტრე ალექსეევიჩმა ჰოლანდიური კვიცები გამოგზავნა, შუკავკაში პირველმა ჩვენმა წინაპარმა დაზარდა ბიტიუგებიო. დაილოცოს იმათი ჯიში, ორ ტონანახევარს წაიღებს. არც ბენზინი უნდა და არც მოტორი, ოღონდ იონჯა ბლომად იყოს. არადა, ნამჯითაც იოლად წავა.

ჰოდა, რას ვამბობდი? ჩავკეტე ეს სამასამდე ცხენი აშ თავლაში. ადრე, ომამდე, მახსოვს ასევე ვიჯექი ხოლმე თავლაში, წამთვლემდა ხანდახან და უცებ გამეღვიძებოდა ისევ, — აი, როგორც დედა, შუაღამისას გუმანით რომ მიხვდება, — პატარამ საბანი გადაიხადაო, მეც ისე წამოვედგებოდი, ცხენებს ქვეშ გაშლილ ნამჯას და ხავსს გავუსწო-

რებდი; თუ ჩხუბობდნენ, დავაწყნარებდი, აწყვეტილს თავის სადგომზე დავაბრუნებდი. იმ ღამეს კი სადგომები ვიღას ახსოვდა? ხორხლები მილეწილი იყო, ერთ ადგილზე ორი და სამი იდგა. შევყურებდი და გული დარდით იბარშებოდა, ვფიქრობ, ახლა ეს ამდენი ცხენი რომ მტერს ჩაუგდო ხელში, მერე რად მინდა სიცოცხლე? სადღა უნდა გამოვყო თავი? ცხენი კი არა, ცხელი ტყვიის მეტი არაფერი მემეტებოდა მათთვის... ვფიქრობ ასე. ისე წამიღო ამ სადარდელმა, აღარც ვიცი რა ხდება სოფელში. რა ამბავია, რას აპირებენ, ვფიქრობ და ვერაფერი ვერ მომიფიქრებია.

თავლაში ჩავიკეტე და ისევ ვფიქრობ. საზამრთოდ დაჯავშნული თივა და ქერი დავუყარე, თავლის ახლო იდგა ზვინები. ან კი რაღა დღისათვის შევინახავდი!

უკვე სოფლის ქუჩაზე ცვიოდნენ ნაღმები და ხან ისე ახლოს ღაეცემოდნენ ხოლმე, რომ თავლის კედლები ზანზარებდნენ. შემოფრინდნენ დამფრთხალი ჩიტები თავლაში. ჟღიოდნენ, ცხენებში დაფრიალავდნენ და ფართხალებდნენ. არ ვიცი, რათ დაუწყეს სროლა ამ თავლას, იქნება იმიტომ, მაღლობზე რომ არის აშენებული. თითქოს აფთარი ღაეტაკაო, ისე გამობრდღვნა კედელი, ნალეწმა ეროი კვიცი იქვე ჩაახოჭა, სცადა წამოხტომა პატარამ, მაგრამ სიკვდილმა დაჯაბნა. დაეცა. ისე ეგდო, ძუძუთა კვიცებმა რომ იციან მზვარეში დაძინება, იმათ ხომ ისე სძინავთ, თითქოს მკვდრები არიანო. რამდენიმე დაიჭრა კიდევაც. რაღაც ისეთი საშინელი წივილი დაიწყეს, რომ იმის გაძლება ძნელი იყო. ადამიანი ხომ არ იყო, პირუტყვი იყო, უენო პირუტყვი, მაგრამ იმათ ცრემლსა და ვაებას ვეღარ ვუცქირე, კარები გავაღე და ცხენები გარეთ გამოვრეკე. თითქო გული არ მიუწევთო, თითქო ადამიანებივით გრძნობდნენ ხიფათსო, ნელ-ნელა, სათითაოდ გამოდიოდნენ. მერე პირველებმა რომ გაბედეს, დანარჩენებს ახლა თავლაში ყოფნისა შეეშინდათ, ყველა ერთად მიაწყდა კარებს; ახალგაზრდა ფაშატები ჯგუფად გამოქანდნენ, ეზოში მოისწრაფოდნენ და კარებში ათ-ათი იჭედებოდნენ და რომ ვიწროში უფრო ადვილად გამოსულიყვნენ — ზურგზე გადაეწყოთ თავები ერთიმეორისათვის.

მეც გარეთ გამოვედი. ძალზე უგემური, გაძაღლებული შემოდგომა იყო. სველი ქარი ქროდა და რთვილსა სდებდა. დღისით კოკისპირულად წვიმდა. გადაიღებდა და რაღაც მძიმე, სულისშემხუთველი ბურუსი ჩამოწვებოდა ხოლმე, ქუჩაზე გუბეები იდგა, წვიმიო გაჟღენთილიყო

ჩალის სახურავები, სველი იყო ფიცრული ღობეებიც, ფანჯრებიც შეორთქლილიყო და მინებზე წყალი ცრემლივით, წვეთ-წვეთობით ჩამოდიოდა. ნაღმი რომ დაეცემოდა ხოლმე, ჰაერი ისე ირყეოდა, ფანჯრებს ლეწავდა და ისე მაგრად ჩამობერტყავდა ხოლმე ხის ტოტებს, წვეთები წვიმასავით ცვიოდა მიწაზე.

ირგვლივ ყველაფერი ტიროდა.

— მოდიან! — დაიძახა უცებ ვიღაცამ. ატყდა აურზაური. გავხედე შეც და როცა ქუჩაში სამხედროები დავინახე, ვიცანი, რომ ეს გერმანელები კი არა, ჩვენები, რუსები იყვნენ.

წითელარმიელები შემოვიდნენ სოფელში და გამაგრდნენ.

მიუხედავად საშინელი დაქანცულობისა, მაინც აჩერებდნენ მტერს, სოფელში არ უშვებდნენ.

ვიდრე ისინი ბრძოლაში იყვნენ, მეც გულზე ხელდაკრეფილი არ ვყოფილვარ. საჩემო საქმე გამოვძებნე. რა დიდხანს გაუძლებდნენ ეს ერთი მუჭა მეომრები ამდენ მტერს. ვიფიქრე, ცხენებს ავურჩევ-მეთქი. ჯერ რაც საოფლეები, უნაგირები და მოსართავები მოიძებნებოდა საწყობში და მთელ სოფელში, შევაგროვე, ეზოში დავყარე.

გულით მოვიწადინე, ყველაზე საუკეთესონი ავარჩიე, ნახევარზე მეტი უკვე შეკაზმული მყავდა, როდესაც ბიჭებმა ცხენები მოითხოვეს. ბოლოს სულ გადირიენ ცხენები: ლაგამის პირსა სჭამდნენ გაშმაგებით, ფრთხვინავდნენ და წინა ფეხებსა სცემდნენ მიწაზე. აი, კიდევაც მოასხდნენ მხედრები და ტყისაკენ წავიდნენ. ის იყო მიეფარნენ თვალს, რომ შორით, აი, იმ ქუჩის ბოლოში, გერმანელები გამოჩნდნენ.

ძლივს მოარღვევდნენ ტალახს. ისინი უამრავი იყვნენ. ის იყო შემოვიდნენ და ყვირილით აივსო სოფელი, ყველა განკარგულებას ყვირილით აძლევდნენ თავისიანებსაც კი. გნიასი იდგა, სოფელში ჯერ შეჯგუფდნენ, მერე დაიშალნენ და ეზოებში დაიფანტნენ. მთელ სოფელს მოედვნენ.

ჩემს ქოხში რომ შევედი და თაროებზე თასმის ქამრები, ბრჭყვიალა-ღილებიანი პორტუპეები დავინახე — შემაერჟოლა, აქაც დაბინავებულან, ჩემს ოთახშიც ჩამოსახლებულან. სხედან და ჩაის სვამენ. მთელი სოფელი გადაჩხრიკეს, სადაც გაშლილი ლოგინი დაინახეს, ყველას საბანი გადახადეს, ეგონათ, წითელარმიელებსა მალავენო. ზვინებიც კი ხიშტებით დაჩხვლიტეს. ბოლოს მეზობლისას გერმანელმა კაპიტანმა მძიმედ დაჭრილი ლეიტენანტი იპოვნა. ამბობდნენ კარგად ჰყავდათ

დამალული და მაინც მიაგნესო. კაცი უგრძნობლად ეგდო სისხლის დაკარგვის გამო და როცა გონს მოვიდა, უკვე ტყვე იყო.

დაკითხვას აწარმოებდა გერმანელი კაპიტანი, რომელსაც თარჯიმანი ახლდა.

ის რაც იქ ვნახეთ, ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება. გაგიგონიათ, რომ უიარაღომ, დაჭრილმა, სისხლისაგან დაცლილმა კაცმა კბილებამდე შეიარაღებულ კაცს აჯობოს? ასეთი რამ არ გინახავთ? მეც პირველად ეს იმ დღესა ვნახე.

გერმანელმა რაღაც უთხრა თარჯიმანს. იმანაც გადაუთარგმნა დაჭრილს: ბატონი ოფიცერი ზუსტ ცნობებსა თხოულობდა. პირველ რიგში, მას აინტერესებდა გვარები დივიზიის, პოლკისა და ბატალიონის მეთაურებისა.

— შენ გგონია მე მაგას პასუხს გავცემ, — უთხრა დაჭრილმა თარჯიმანს, — გადაეცი რომ ლაპარაკი არა მსურს.

თარჯიმანმა გადათარგმნა.

— უთხარი ყველაფერი თქვას... მაგისთვის უკეთესია, — გადასცა მან ტყვეს თარჯიმნის საშუალებით.

დაჭრილი სდუმდა.

— ბატონი ოფიცერი ბრძანებს, — განაგრძო თარჯიმანმა, — თუ ახლავე არ ილაპარაკებ, დაგხვრეტს, აქვე, ამ ოთახში... ჩემივე ხელით გაგათავებო!

— ეს მომკლავს? ეს? — წამოიძახა დაჭრილმა და თვალით კაპიტანზე აჩვენა, — გადაეცი, რომ ვერ მომკლავს! უთხარი, რომ მე მაგის დედა... გადაუთარგმნე... და ოფიცერს სახეში შეაფურთხა.

ის საწყალი ჯერ აწამეს, მერე ჩამოახრჩეს.

სიკვდილი გაშოროს, შვილო, ღმერთმა, დღეგრძელი იყავ, მაგრამ თუ როდესმე ომში ის ტიალი წამოგეწევათ, ნეტავი ასეთი სიკვდილით მოკვდეთ! განა ასეთი სიკვდილი სიკვდილია?!

ის ღამე ისე გავტეხე, თვალი ვერ მოვხუჭე, და განა მარტო მე? მთელმა სოფელმა თეთრად გაათენა ის ღამე.

ის იყო თენდებოდა, როცა სოფელში გერმანელთა სატრანსპორტო ასეული შემოვიდა.

გერმანელთა ცხენები ტალახში ფეხებს ძლივს მოათრევდნენ.

ხან ერთი ცხენი დაუვარდებოდათ, ხან მეორე... თქვენ ჩემზე უკეთ

იცით, ქეციან ცხენს არმიაში ვინ გააჩერებს და ძალზე გამიკვირდა, როცა იმათ სატრანსპორტო ასეულში ქეციანი ცხენები შევამჩნიე.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, თურმე გადაწყვიტეს ცხენები აქ შეეცვალათ. და კითხვა-კითხვით მომაგნეს. მიბრძანეს ცხენები ამერჩია; ერთი საათის მერე ფელდფებელი მოვა და ჩაიბარებსო...

გამოვბრუნდი და ცხენების შეგროვება დავიწყე.

როგორც მოგახსენეთ, ცხენის არჩევასა და ცნობაში, კვეხნით არ ვიტყვი, ბადალი არა მყავდა. იმდენი ღამე სახლში არ გამითენებია. რამდენიც თავლაში. ახლა კი სწორედ ავადმყოფები, უხეიროები, დავარდნილები, თუ სადმე მოიძებნებოდნენ, ისინი ავურჩიე. ერთი წაბლა ჭაკი იყო, გულის წასვლა იცოდა, ისიც იმათ მივაყოლე, ბოლოს ერთი ბრმა ცხენიც შევურიე. ამასობაში დავინახე ფელდფებელი მოდის თავლისაკენ.

ძალზე მაღალი კაცი იყო.

შეხედა, იქ ოხერმა, ცხენებს და არც ერთი არ მოუვიდა თვალში.

— ეს რა არის? — მიყვირა იმ ცხენის დანახვაზე, რომელსაც შუბლზე ამომწვარი ჰქონდა. — ეს ხომ ავადმყოფია, ყურებიც ჩამოყრილი აქვს.

იმავე წუთს შეეჭვდა და წარმოიდგინეთ, ჯერ წლოვანების გასაგებად კბილები დაუსინჯა ცხენებს, მერე იმისი შემოწმებაც კი დაიწყო. ბრმები ხომ არ არიანო. ბრმა მარტო ერთი იყო. ის კი ყოველ ცხენს თვალის წინ ხელს აუქნევდა, — ხედავს თუ არაო. ბოლოს ბრმასაც მიადგა. მიხვდა, რომ ვატყუებდი. ბრაზმორეული მომიბრუნდა. ხელში აღვირი ეჭირა, სახეზე გადამკრა, ავენთე, გუშინდელი მოკლული ბიჭი გამახსენდა, ის დაჭრილი იყო და მტერს არ აპატია, მე რად უნდა ვაპატიო-მეთქი. მიწაზე რკინის ფიწალი ეგდო, ვტაცე ხელი და საფეთქელში დავარტყი, წაიქცა, ერთი-ორჯერ გაიქნია ფეხი და სული დალია.

მაგრამ აი, საცაა მოიკითხავენ, მოვლენ, სად დავმალო?..

უცებ ელვასავით გამირბინა ფიქრმა: ზვინები იქვე ახლოს იყო. ავიღე თივა და მკვდარს დავაყარე, ჯერჯერობით დამარხულია და მერე ვნახოთ. გამოვბრუნდი. თავლას მოვშორდი, ვიფიქრე ახლა ტყისკენ გავიქცევი-მეთქი, მაგრამ ქუჩაზე ჩემსკენ გერმანელები მოდიოდნენ.

სულ ახლოს მოვიდნენ, აბა რას იფიქრებდნენ, რომ აქვე, თივის ქვეშ იმათი ფელდფებელი ეგდო. მერე გამცილდნენ და წავიდნენ.

უიცოდი ჩქარა მოიკითხავდნენ დაკარგულს... ჩემი აქ ყოფნა აღარ შეიძლებოდა, ამიტომ ტყეს მივეცი თავი... აქამდე ვპარტიზანობდი, ახლა კი დავბრუნდი...

და ის კვლავ, მწარედ ჩაფიქრდა.

* * *

ნეტავი როდის წავალთ ფრონტზე, რგინიგზა გვაფერხებს, მას უძნელდება ნორმალური მუშაობა, მასაც ხომ დიდი ზიანი მიაყენა მტერმა.

ჩვენებს უკვე აუღიათ კურსკი, ზუევი, კარაჩი.

— სანამ ჩვენ ფრონტზე წავალთ, სხვა ნაწილები უკვე კიევში შევლენ, — ამბობენ ამხანაგები.

დღეს დიდი ქარბუქი და კორიანტელია, ჩვენი მიწურის სანათური ქარმა ნამქერით ამოავსო.

**1943 წელი, 10 თებერვალი**
**იმავე ადგილზე**

ყოველდღე მიმოდიან ეშელონები, ჩვენი კი ჯერ არა ჩანს.

თბილი, სასიამოვნო დღეა.

მივედი ბელოვის ნაწილში, მიწურში სტუმრები გვეწვივნენ, ვხუმრობთ, ვსაუბრობთ, დროს ვატარებთ.

ჩვენი ჯარები ყველგან დიდ წარმატებებს აღწევენ, ჩვენ კი ღრმა ზურგში ვართ.

**1943 წელი, 11 თებერვალი**

ჩვენებს აუღიათ მელჩანკოვი, ლიბკინი, ბელგოროდი. ნაცნობი ადგილებია. რამდენი სისხლი დაიღვარა ამ მიდამოებში, ნეტავი თუ ცოცხლები არიან ჩვენი იქაური ნაცნობები. როგორც კი საველე ფოსტა მუშაობას დაიწყებს, უმალ წერილებს მივწერ ბელგოროდელ მეგობრებს.

მაგიდაზე ისევ ქოჩარის დღიურს წავაწყდი:

„ბიჭებს რაღაც გაუგიათ ჩემი კავკასიაში დაბრუნების შესახებ, თითქოს გენერალს ეთქვას. თუ ასეა, არასასიამოვნო ამბავია, რადგან სულ სამი თვეა, რაც იქიდან ჩამოვედი და ისევ იქით? კავკასიაში წასვლა უფრო აკოფასთვისაა უპრიანი; რამდენი ხანია სწუხს, დაბრუნება უნდა! მე გენერალს უნდა ვთხოვო, რომ ჩემს მაგივრად ის გაგზავნოს. გუშინ შემთხვევით გავიგე აკოფას ავადმყოფობა. სანახავად წავედი. ავტომანქანაში იწვა. ღუმელი განუწყვეტლივ ენთო, მაგრამ მას მაინც სციოდა. სიცხისაგან ბოდავდა, ექიმ ქალებს მკვახე სიტყვებს ეუბნებოდა. რომ დამინახა, ცოტა დაწყნარდა და მომმართა:

— ქოჩოჯან, მოხვედი? ვკვდები, ჩემო ძვირფასო! ველარ ვეღირსები ჩემი თათევიკას და საყვარელი მამის ნახვას...

ჯერ გავუწყერი; მერე გული გავუკეთე, გავამხნევე; მაგრამ მისმა ნახვამ ჩემზე მეტად მძიმე შთაბეჭდილება დასტოვა. ძალიან გამხდარა, გაფითრებულა, მთლად გაყვითლებულა, გული დამეწვა, იმას რომ ვუყურებდი.

— დავკარგე, ჩემო საყვარელო ქოჩო, ყველაზე უფრო ძვირფასი რამ — ჯანმრთელობა. გავიგე, შვებულებას მაძლევენ, რომ ერევანში წავიდე. წავალ, უკანასკნელად მაინც ვინახულებ ჩემს იქაურ მეგობრებს.

ტიმა მარკოვნამ, კლარა ხოჭოლავამ და მე ბევრი ველაპარაკეთ, დავარიგეთ; მისი მდგომარეობა რომ უფრო შეგვემსუბუქებინა, ერთ პატარა ბინაზე გადავიყვანეთ, სადაც სხვა ავადმყოფებიც იყვნენ, კუთხეში მოვათავსეთ. მშვიდად დაეძინა. შვებულება რომ არ მისცენ, ეს ამბავი ცუდად იმოქმედებს მასზე. როგორ უხაროდა, მკერდი მედლებით და ორდენებით რომ ჰქონდა დამშვენებული, ოცნებობდა ახალ-ახალ ჯილდოებზე, რომ ერევანში დაბრუნებულს ქუჩაში ამაყად გაევლო.

დღეს გამოაცხადეს, ვაგონების დატვირთვა უნდა დაიწყოსო. მანქანებით მიგვიყვანეს სადგურში, ეშელონი მაინც არა ჩანს. მანქანები იქ დავტოვეთ, ჩვენ კი ისევ მიწურისაკენ გავეშურეთ.

ჩემი ბედნიერება ისაა, რომ ფიზიკურად ჯანმრთელი ვარ.

დღეს საჭმელებზე ატყდა კამათი: სომხები სომხურ საჭმელებს აქე-

ბენ, რუსები — რუსულს და თვითეული მათგანი ღრმად არის დარწმუნებული, რომ ის აბსოლუტურად მართალია.

რადიომ გამოაცხადა კრასნოდარის, შახტის, ვოროშილოვგრადისა და კრასნოარმეისკის აღების შესახებ. საქმე კარგად მიდის.

ამბობენ, ჩვენ ელეცკისაკენ მივდივართო“.

**1943 წელი, 14 თებერვალი.**
**ვაგონი ფრონტისაკენ**

დაიწყო ეშელონების დატვირთვა. ეს დიდი სამუშაოა. ღამის თორმეტ საათზე ოვჩინიკოვი და გოროხოვი დაბრუნდნენ, მაგრამ მალე ისევ სადგურში წავიდნენ, ეშინოდათ მატარებელმა არ გაგვასწროსო. მეც გამაღვიძეს. მე ვუთხარი, რომ მთელი ღამე სადგურში ღამისთევა არ არის მიზანშეწონილი, რადგან მატარებელი ხვალამდე არ გავა-მეთქი. ისინი მაინც წავიდნენ. მე დავრჩი ჩემს მიწურში, თავისუფლად გავშიმე ფეხები და ამ თხუთმეტი-ოცი დღის განმავლობაში პირველად გემრიელად გამოვიძინე. დილით წავედი ოვჩინიკოვთან. ის მუსიკოსებს ელოდებოდა, რომლებსაც მისთვის მატარებლის გასვლის დრო უნდა ეცნობებიათ. ისინი კი ჯერ არ დაბრუნებულან სადგურიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ მატარებლის გასვლის დრო ჯერ კიდევ ვერ შეიტყვეს. რვა საათზე მეც წავედი სადგურში. იქ ყველა მილოცავდა საბრძოლველად გამგზავრებას.

დიდხანს ვსეირნობდით სადგურში და ვსაუბრობდით. აქ შევხვდი მაიორ ლომთათიძეს. გუშინ ხელი მოვაწერეთ მის დაჯილდოებას. მაიორი მხიარულად იყო.

შემხვდა ქოჩარიც. ვუთხარი, რომ მე წავიკითხე მისი ჩანაწერები, რომელიც მომეწონა. ის დამპირდა, რომ მგზავრობის დროს დანარჩენსაც წამაკითხებდა. დანიშნულ ადგილზე ჩასვლის შემდეგ ქოჩარი მოვიდა და გამახსენა თავისი დღიურის შესახებ. მართალი გითხრათ, მივიწყებულიც მქონდა, მაგრამ ვიცოდი მგზავრობა ექნებოდა აღწერილი და გამოვართვი წასაკითხად. აი, რას წერდა ქოჩარი თავის დღიურში:

„მატარებელი ხუთის ნახევარზე დაიძრა. სამგზავრო ვაგონის კედლები საბნებით ამოვქოლეთ, ყველა ფარდალალა ადგილი დავხურეთ, ღუმელიც მოვაწყეთ, რომ არ გავყინულიყავით. თბილა. დღესაც ცხელი საჭმელი მოგვიტანეს.

გზაში მხიარულად ვართ. მე, ორეხოვი, კოვალოვი, ორლოვი, გოროხოვი, პოლიტმუშაკები და ჩვენი არმიელები სიმღერით მივდივართ. სიცივისაგან ჩახლეჩილი ხმით ვმღერი აზერბაიჯანულ, სომხურ, ქართულ და თურქულ სიმღერებს.

შაშტაღიანცი მოღუშულია, ერთ კუთხეში მიმჯდარა და სდუმს: ორი თვეა არ ველაპარაკები, პირს არ ვუჩვენებ, მეტად უბადრუკი სულის ადამიანია. ასე იცნობს მას ყველა.

ვაგონში ყველას სძინავს. მხოლოდ იბრაგიმ მამედოვს ღვიძავს. ის მორიგეა. ღუმელი განუწყვეტლივ გუგუნებს. გზაში ქვანახშირი ავიღეთ, რამდენიმე დღე გვეყოფა. მაგიდაზე კარბიტის ლამპა ანთია, გვერდით რადიომიმღები დგას. კლავამაც დაიძინა. თვრამეტი წლის ამ უმანკო გოგონამ რჩევა-დარიგება მთხოვა თუ როგორ მოიქცეს შეყვარებულ ბიჭთან, რომელთანაც გაბუტულია. მას ჩემი ხუმრობა მოსწონს. ვწერ და ველოდები საინფორმაციო ბიუროს ცნობას. კრასნოდარისა და ნოვოჩერკასკის აღების შემდეგ საინტერესო ამბები უნდა მომხდარიყო.

დღეს შნაიდმანი ვნახე. მან მითხრა, დავიდოვს „ოგონიოკში“ შენი ნარკვევი წაუკითხავს და ძალიან მოსწონებია. აღარ მახსოვს, რომელ ნარკვევზეა ლაპარაკი.

ჯიბიდან ამოვიღე გამხმარი ორცხობილა და ღრღნა დავუწყე. ისევ ველოდები საინფორმაციო ცნობას. ძილი არ მეკარება.

ნეტავ რას აკეთებენ ახლა ასმიკა და მერი, ასო და არუსა. სძინავთ, თუ იმათაც ძილი არ ეკარებათ? მელოდებიან, თუ უკვე დაღუპული ვგონივარ.

* * *

ღამის 11 საათი და 19 წუთია. თხუთმეტი წუთის წინ გადმომცეს, რომ სამხრეთის ფრონტზე ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს როსტოვი, სამხრეთ-დასავლეთის ფრონტებზე კი — ვოროშილოვგრადი და კრასნი სულინი.

ვზივარ და ვფიქრობ ჩემი მერის შესახებ. ალბათ, ის თავის ბებიასთან წევს და სძინავს იმ დროს, როცა მე ასეთ საინტერესო ამბებს ვუსმენ. მხიარულებამ ამიტაცა, მატარებლიდან გადმოვხტი, ვაგონებს ჩავუარე და რაც ძალა და ღონე მქონდა ვყვიროდი: გაიგეთ ამხანაგებო! როსტოვი უკვე ჩვენია!

ვაგონებში ბევრს ეძინა, მე ვუბრახუნებდი და იმავე სიტყვებს ვიმეორებდი.

დღევანდელი დღე ყველაზე ბედნიერია ჩემთვის. მივდივართ ჩრდილოეთ კავკასიისაკენ და აქეთ რა გინდ განაპირა მხარესაც არ უნდა ვიყო, ჩემი სომხეთი მაინც ახლოა.

ღამე მშვიდობისა, ხალხო! მშვიდად და წყნარად იძინე, ჩემო გოგონა, შენ აბა რას წარმოიდგენ, თუ რა დიდი ბედნიერება მომანიჭა ამ ღამემ. შენი და შენისთანების მზე არ ჩაქრება, თქვენი ვარსკვლავები მუდამ გაბრწყინებული იქნებიან ჩვენი ცის კაბადონზე!

* * *

მატარებელი მიდის თოვლით დაფარულ ტრიალ მინდვრებზე, შორიდან ხან ქარის წისქვილების ბორბლები, ხან კი რუსული ხუტორები მოჩანს.

მოსაბეზრებლად ნელა მიიზლაზნება დრო, მართალია ჩვენს ვაგონში მხიარულებაა, მაგრამ მე მაინც მოწყენილი ვარ.

დღეს პირველი ნაწილის ვაგონს ვესტუმრე. პართევიც იქ იყო. ცოტა ხანს ვისაუბრეთ, ვიკამათეთ პოლიტიკურ საკითხებზე. პართევმა საკითხს გადაუხვია და ზღაპრების მოყოლა დაიწყო. მისი სიტყვით, ვიღაც გერმანელს გამოუქვეყნებია წიგნი. ავტორი ეყრდნობა რა ფრენელოგიას, თურმე ამბობს, რომ ჩინელების და იაპონელების ყველა ხელმძღვანელი ევროპული ჩამომავლობის არიანო. იგივე ავტორი თურმე იმპერიალისტების მსოფლმხედველობის საკითხებსაც ისევ თავის ქალის მოყვანილობის თეორიით აშუქებს. მომწყინდა სისულელეების მოსმენა და გარეთ გავედი.

სამკითხველოდან რამდენიმე წიგნი წამოვიღე წასაკითხავად. საღამოთი ვიყავი ვაგონ-კლუბში. ჯაზი უკრავდა. მე, კოვალიოვმა და ორლოვმა აკოფას ვთხოვეთ ვიოლინოზე დაეკრა. როგორც კი დაიწყო, ყველანი გაჩუმდნენ, მერე კი აჰყვნენ. აკოფამ შესწყვიტა. დაიწყეს გუნდური სიმღერა.

— მშვენიერი საღამოა, — ვუთხარი აკოფას, — ეს დღეც არასოდეს არ დაგვავიწყდება...

— დიახ, — დამიდასტურა მან.

ვაგონის შუაში ღუმელი დგას, ჩვენ მის გარშემო დავსხედით. ცეცხლის შუქზე ქალებსაც და ბიჭებსაც პირისახე უბრწყინავთ. მშვენიერი სურათია, რაღაც რომანტიკული ოცნებებით სავსე.

ჭერზე ჰკიდია მეშახტეთა ფარანი, რომელიც მონოტონურად ქანაობს. ვაგონში სიმღერა, ლაპარაკი, ხმაური ერთმანეთშია არეული.

როცა ჩვენს ვაგონში დავბრუნდი, იქ დამხვდნენ ღივიზიის უფროსი და პოლიტხელი. მათ ვთხოვე განკარგულება გაეცათ რათა ვაგონში კონცერტი ჩაგვეტარებინა, თხოვნა შემისრულეს. მოვიდნენ მაგარინი, ოლგა, ენგელი და გრიგორიანი. საღამომ მხიარულად ჩაიარა. კარგი იყო გრიგორიანის რეპერტუარი: „ანაქარლინა“, „ეევგენი ონეგინი“ და სხვ.

სასიამოვნოდ მღერის ოლგა. თუმცა უკვე ოცი წლისაა, მაგრამ მეტისმეტად მშიშარა და გულუბრყვილოა.

გუშინ გავიარეთ არჩად-ფროლოვის სადგურში. ომის პერიოდში მეოთხედ მიხდება ამ სადგურზე გავლა. პირველად ფეხით გავიარეთ, რადგან მტერი ყველა სადგურს ბომბავდა. ფროლოვი მაშინ ნახევრადდანგრეული იყო, ჩვენ უკან ვიხედვით ბუტარლინოვსკიდან. სადგური ცეცხლის კვამლში იყო გახვეული. მეორედ გავიარეთ, როცა კლეცკაიადან ერევანში მივდიოდით. მაშინ სადგური ავტომანქანით გავიარეთ. ფროლოვის სადგური მთლად განადგურებული იყო. მესამედ ამ სადგურით გავიარეთ, როცა ერევნიდან ვბრუნდებოდი. აქაურობას ისევ ბომბავდნენ. სადგურზე კი სამხედრო მატარებელი იდგა და გასვლას აპირებდა. უეცრად ხანგრძლივი სიგნალი მისცა და დაიძრა კიდეც. ყველა საცხოვრებელი შენობა, ყველა სავაჭრო ნანგრევებად არის ქცეული, მიუხედავად ამისა, ცხოვრება ნელ-ნელა მკვდრეთით დგება, სადგური მატარებელს ღებულობს და ისტუმრებს. ჩვენც მიგვიღო და მალე გაგვისტუმრა. სადგურის ახლოს ქალები რძესა და ნამცხვრებს ყიდიან. მტერი კარგა მანძილზეა დაშორებული ამ სადგურს“.

ქოჩარის დღიური გადავდე და ფიქრებში წასულმა მეც განვლილი დღეები მოვიგონე...

**1943 წელი, 16 თებერვალი**
**სადგური ნაროდნოე**

მატარებელი გაჩერებულია. სულგანაბული ვუსმენთ რადიოს.

— ვაშა! ხარკოვი უკვე ჩვენია! — გაისმა აქეთ-იქიდან.

ხარკოვი... მაგონდება 1941 წლის ოქტომბერი. წვიმიანი, ტალახიანი, კოშმარული დღეები. მახსოვს, როგორ საცოდავად გამოიყურებოდა იმ დღეს მშვენიერი ქალაქი. თუ ცოცხალი დავრჩი, ხარკოვს კიდევ

ვნახავ, უეჭველად ცოცხალი გადავრჩები, ცუდ ვარსკვლავზე არ ვჩანვარ დაბადებული.

დადგა სამაგიეროს მიზღვევის ჟამი. გერმანია თავის გატეხილ ხერხემალს ვეღარ გაიმთელებს, მან ბოლომდე უნდა აგოს პასუხი.

სასიხარულო ამბავი ვაგონიდან ვაგონში გადადის. ყველა აღფრთოვანებულია. როცა ვაგონ-კლუბში შევედი, აკოფას და დემენტიევს ეღვიძათ და სამხედრო მარშებს აყღერებდნენ.

სხვა რა ქნან: ყველა თავისებურად გამოხატავს ამ სიხარულს.

ჩვენს ვაგონში რუსოვი და კოვალიოვი დამსვდნენ. ისინიც ჩვენი ჯარების ახალ გამარჯვებაზე ლაპარაკობდნენ. მაგრამ რუსოვი რაღაც უცნაურ თეორიას აყენებს. იგი ამბობს, რომ ამიერიდან ომის ბედს მარტოდმარტო ახალი იარაღის გამომგონებლები გადასწყვეტენო. რატომ მარტოდმარტო-მეთქი ვკითხე, პიჩერსკიმ ასე მითხრაო. მე ვიცი, რომ პიჩერსკი ასე არ ეტყოდა, ის ჭკვიანი და სერიოზული კაცი იყო, მაგრამ ის აღარ არის და მოდი ახლა გადაარწმუნე რუსოვი. მაინც ვცდილობ, ვეუბნები, რომ ომში არანაკლები მნიშვნელობა აქვს მორალურ ფაქტორს. მაინც ვერ დავარწმუნე რუსოვი რომ ცდებოდა, ცალმხრივად აყენებდა საკითხს.

— ჩვენ ვიმარჯვებთ იმიტომ, რომ ყველაზე მოწინავე ტექნიკა გვაქვს და რომ მართალნი ვართ. ჩვენი საქმე წმინდაა და ეს იცის მთელმა მსოფლიომ, ეს იცის ყოველმა ჯარისკაცმა, ყოველმა პარტიზანმა; ამ სიმართლეშია ჩვენი ქვეყნის უძლეველობა, — ვუთხარი რუსოვს და მასთან კამათიც ამით დავამთავრე. გაჩუმდა, აღარაფერი უთქვამს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამ ჩემს სიტყვებს ახლა სხვაგან თვითონ გაიმეორებს და თავის აზრად გაასაღებს. ასეთი კაცი გახლაეთ ეს პოლკოვნიკი. რას იზამ, ნათქვამია, კაცია და გუნებაო!

* * *

გათენდა ჩვიდმეტი თებერვლის დილა. ამ დილამ მოულოდნელი სიურპრიზი მოგვიტანა: ჩვენს მზარეულს, დათიკო ვერულავას ხაში მოუმზადებია. ყველას ძალიან მოგვეწონა და არა მარტო ქართველებსა და სომხებს, არამედ ოვჩინიკოვსაც, გოროხოვსაც; ლომთათიძე, ჭოჩარი, აკოფა, არამა და მე ვარწმუნებთ რუსებს, რომ ეს საჭმელი კი არა გასტრონომიული ხელოვნების სასწაულია. მოდი და ნუ დაგვიჯერებენ — ასეთი ძლიერი არგუმენტი გვაქვს ხელთ!

დღეს საღამოს ფრონტის სარდლის როკოსოვსკის წარმომადგენელმა ჩამაბარა ბრძანება ჩვენი შემდგომი მოქმედების შესახებ. მასში ნათქვამია, რომ ჩვენი შენაერთი ამიერიდან შედის N გვარდიის არმიაში, რომელსაც ჩისტიაკოვი მეთაურობს. ჩვენ ეს ძალიან გაგვეხარდა.

დარჩენილი დრო საუბარში გავატარეთ. ნინომ გვიამბო აკოფასთან თავისი ქორწინების ამბავი. ის თურმე გათხოვდა რამდენიმე დღით ადრე ომის დაწყებამდე, ფრონტზე ახალი შეუღლებულები დაცილდნენ ერთიმეორეს და მერე ისევ შეხვდნენ. მეტად საინტერესო ამბავია. ყველაფერი მე ეს ადრეც მქონდა გაგონილი, ექიმმა ლიანამ და ჰაიკა გრიგორიანმა მიამბეს.

მეორე დღეს ჩვენმა შენაერთმა ლაშქრობა დაიწყო. დილით, ადრე, ელეცის სადგურთან ახლომდებარე დაბაში გავედი. შორიდანვე ათიოდე ეკლესიის გუმბათი მოჩანდა. ახლოს მივედი, დავრწმუნდი, რომ დაბა მთლიანად გაპარტახებულია, სამოქალაქო ტანსაცმელში თითქმის არავინ შეგეხვედრია. სავაჭრო მაღაზიები გამოცარიელებულია. ერთ სავაჭროში მოხუცი კაცი თუნუქის ჭიქებს ყიდის. ჯარისკაცებმა დასცინეს. მოხუცს ეწყინა.

— ნეტავ რა ნახეთ სასაცილო... ერთი მეცა მკითხეთ. ამ ჭიქიდან ცხელ წყალს მაინც დალევს კაცი ამ ყიამათ სიცივეში!

მაგრამ განა იმ მოხუცს ან მის ჭიქებს დასცინოდნენ. ეტყობა სიბერე, მართლაც, ვეღარ უგებს სიჭაბუკეს.

ქალაქში ტყვე გერმანელთა ერთ ჯგუფს შევხვდით. რა ნაცნობი სახეებია! ქუჩაზე გამვლელმა ვიღაც ქალმა წამოიძახა:

— ისევ აქ ბრძანებულან. მე კი მეგონა, მათ სახეებს ვეღარ ვნახავდი!

მეორემ უპასუხა:

— ჭირმა წაიღოს, ვისაც მაგათი სიფათი მოენატროს.

ირგვლივ გაიცინეს. გერმანელები რაღაცნაირად აიბუზნენ ამ სიცილზე. რა დრო დაუდგათ. სიცილისაც კი ეშინიათ. გუშინ კი მსოფლიოს დამპყრობლებად თვლიდნენ თავს და მათ ქედმაღლობას არა ჰქონდა არავითარი საზღვარი.

ღამე სადგურის მახლობლად მდებარე ერთ დანგრეულ სახლში გავატარეთ. ფანჯრები საბნებით ამოვქოლეთ. მე და ოჩვინიკოვი ღამის ცვდიადში ფანჯრიდან გავცქეროდით სადგურს. სიბნელეში მოჩანდა

დანგრეული შენობების სილუეტები. ავტომანქანები სინათლით და საყვირით გზას უქცევდნენ ერთმანეთს. ჩვენ მეორე სართულზე ავედით და იქიდან ვუცქეროდით ქალაქს. მე ვუთხარი:

— ხედავ, ღამით არც კი ეტყობა, რომ ქალაქი თითქმის აღარ არსებობს. აბა რას შეიტყობ. სადგურში მატარებლის საყვირის ხმა ისმის, ავტომანქანების ფარები ბრწყინავენ. დღისით ნახავ და ნანგრევების მეტი არაფერია.

მან მიპასუხა:

— ხალხი ღონიერია. მალე წამოდგება ფეხზე, ქალაქსაც წამოაყენებს. ნახე დღეს, გერმანელის დანახვაზე იცინიან. გუშინ კი მათ დანახვაზე სისხლის ცრემლებით ტიროდნენ.

ფოსტიდან ბარათები გავგზავნე თბილისსა და გურიაში.

**1943 წელი, 20 თებერვალი**
**ელეც — უსპენკა.**
**გ ზ ა ზ ე**

მთელ ღამეს ბენზინს ველოდებით, დილით მოგვიტანეს, ავტომანქანებში ჩავსხედით და უსპენკისაკენ გავწიეთ.

უსპენკა ფრონტთან ახლოა.

საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. ორ საათზე ყველა მანქანას ბენზინი გაუთავდა, ადგილზე მისვლამდე კი დარჩენილი იყო სულ ერთი კილომეტრი. კუზნეცოვი და მატლაშიანი სდუმდნენ. ქარიშხალმა გზებიც წანამქრა, გოროხოვი და მინასიანი სოფელში წავიდნენ, მე შტაბში დავრჩი, ავტომანქანაში. გუშინდელი სადილის შემდეგ ლუკმა აღარ აგვიღია ხელში, მშივრები ვართ. მუდამ მარჯვე ვერულავამ აქაც თავი გამოიჩინა, ნახევარი ცხვარი წამოუღია და მანქანაში მწვადის სასიამოვნო სუნი დატრიალდა. აქვე ჩემი მსუბუქი მანქანაა გაჩერებული; იმის აკუმულატორს ჩვენი მიმღები შევუერთეთ და მუსიკას ვისმენთ.

ღამის თერთმეტი საათია. მანქანაში თბილა, მიუხედავად იმისა, რომ გარეთ სასტიკი ქარბუქი და კორიანტელია. სწორედ ახლა საინფორმაციო ბიურომ გადმოსცა, რომ სამხრეთ დასავლეთის ფრონტის ჯარებმა პავლოგრადი და კრასნოგრადი აიღეს. ჩვენ კი ჯერ ფრონტზეც ვერ მივსულვართ.

თორმეტ საათზე უკვე ყველას ძინავს; ბერლინს ვუსმენ, ვერაფერს

ვიგებ. მხოლოდ ხმა მაინტერესებს. გერმანელი დიქტორის ხმა ძალზე მისუსტებულია. რიხიანად ვეღარ ღრიალებს, როგორც შარშან. გასაგებიც არის. აბა რა სასიხარულო ამბავი იმას აქვს გადასაცემი?! — მათი ჯარები უკან იხევენ და ბუნების სტიქიაც კი გზას უღობავს მათ. ტალღას ვცვლი. მოსკოვს ვუსმენ, როგორი აღფრთოვანება ისმის ლევიტანის ხმაში. დიდება ჩვენს არმიას, მის სახელოვან დროშებს!

გარეთ კვლავ კორიანტელია... ვზივარ და ისე ვთვლემ. მე უკვე კარგა ხანია შევეჩვიე ყოველნაირ მდგომარეობაში ძილს. სიარულის დროსაც კი შემიძლია წავთვლიმო. და ახლა მინდა ამ ქარიშხლიან ღამეს მშვიდობა ვუსურვო მსოფლიოს ყველა პატიოსან ადამიანს.

**1043 წელი, 21 თებერვალი**
**კ უ ნ ა ჩ ი**

დღეს დილით მივიღეთ ბრძანება ვიმოქმედოთ ლივინსკის რაიონის სოფელ კუნაჩში. მთელი დღის განმავლობაში ხუთი კილომეტრი გავიარეთ. კორიანტელი გზას გვიკეტავს, მანქანებს ხელით მიაგორებენ მებრძოლები. ასეთი ბუქი და კორიანტელი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს. მთელი არე-მარე თოვლნარევ ბუქშია გახვეული. ავტომანქანები რომ არ გვქონოდა, გზა-კვალს დავკარგავდით. საღამო ჟამს ქარიშხალი ჩადგა, მზემაც გამოაჭყიტა, მაგრამ ნახევარი საათის შემდეგ ისევ ატყდა ადრინდელი ჯოჯოხეთი და მთელი არე-მარე კვლავ თოვლში გაეხვია. კუნაჩი ხევის ორივე ნაპირზეა გაშენებული. პატარა ლამაზი სოფელია, სოფლის შუაგულში ერთი დიდი ეკლესია დგას. შტაბი ამ ეკლესიის მახლობლად, სკოლის დარბაზში მოვათავსეთ.

22 თებერვალს ქარიშხალი ისევ მძვინვარებს.

ამაღამ ველოდებით მთავარსარდლის ბრძანების გადმოცემას საბჭოთა არმიის ოცდახუთი წლისთავის შესრულების გამო.

ხვალ ორდენებსა და მედლებს მივიღებთ.

**1043 წელი, 23 თებერვალი**
**კ უ ნ ა ჩ ი**

მშვენიერი მოწმენდილი ღამეა, თოვლი დნება, გაზაფხულის სასიამოვნო ამინდია. შტაბში საღამოთი დავბრუნდი. მოწმენდილ ცაზე, დასავლეთის მხარეს მთვარე გამოჩნდა, მკრთალი ნათელი მოჰფინა ეკ-

ლესიის მრავალ გუმბათს. ერთ წამს შევჩერდი და ამ სურათს მოხიბლული შევცქეროდი. სიწყნარეში უფრო გრძნობ ბუნებისა და ქვეყნის სილამაზეს. რატომღაც მოწყენილი ვარ, ვერ გამიგია, რა მაწუხებს, მგონი ის, რომ მომბეზრდა უსაქმოდ ყოფნა.

დღეს ოვჩინიკოვს სწორედ ამაზე ველაპარაკე, ვუთხარი, რომ მეც არ ვიცი რა მემართება-მეთქი.

განა ვერ ვხვდები რაც მემართება! როგორც ყველაფერს ამ ქვეყნად, ფრონტსაც შეჩვევა სცოდნია. სტალინგრადის ცხარე დღეების, იმ გაუთავებელი ცეცხლის გრიგალის შემდეგ განა ადვილია ასე უცებ შეეჩვიო წყნარ, მთვარიან ღამეს? ექიმ ლომთათიძეს შევჩივლე და მან ყველაფერი ეს ჩემი გადაღლილობით ახსნა... არა, რა დროს დაღლაზე ფიქრია. მტერი ხერხემალშია გატეხილი, ახლა ჩვენები მას დასავლეთისაკენ მიერეკებიან და მეც მინდა ჩვენს მებრძოლებთან ვიყო, რომლებიც ამ ისტორიულ მისიას ასრულებენ.

27 თებერვალს, დილით ქოჩარი გამოვიძახე. ვუთხარი, რომ სტალინგრადის ისტორიული ბრძოლების აღსანიშნავად დელეგაციას ვგზავნით კავკასიაში. დელეგაციამ უნდა გააცნოს ამიერკავკასიის ხალხებს საბჭოთა არმიის დიადი გამარჯვების ისტორია. დელეგაციის შემადგენლობაში შევლენ სომხები, ქართველები, აზერბაიჯანელები, ებრაელები, ხოლო ხელმძღვანელად თქვენ უნდა იყოთ-მეთქი; ქოჩარი სიამოვნებით დამთანხმდა. გადავწყვიტეთ დელეგატებად ორდენოსნები გავგზავნა, ის მებრძოლები, რომლებიც დაჯილდოებულნი იყვნენ გვარდიის სამკერდე ნიშნებითა და მედლებით „სტალინგრადის დაცვისათვის“.

კაპიტანი ქოჩარი აღაფრთოვანა ამ იდეამ. დავავალე მებრძოლთა სახელით შეედგინა წერილი კავკასიის ხალხებისადმი, რომელშიც აღწერილი იქნებოდა ბრძოლების მთელი სურათი. ბოლოს გავაფრთხილე, რომ რამდენიმე დღეში მოუხდებოდა წასვლა.

ქოჩარმა მთხოვა დელეგაციის შემადგენლობაში უეჭველად შემეყვანა აკოფ ხანჯიანი. ჯერ ვყოყმანობდი, მაგრამ მისი ახსნა-განმარტების შემდეგ ვუპასუხე:

— კარგი, წაიყვანე. მხოლოდ შენი დღიური მომეცი გასართობად, როცა შენს საქმეებს მორჩები.

• • •

ყკითხულობ ქოჩარის დღიურს:

„დღეს წინასწარ მოსამზადებელ მუშაობას ვაწარმოებდი. გადავათვალიერე დაჯილდოებულთა სიები. ამოვარჩიე ისეთები, რომელთა წაყვანა სასურველი იქნებოდა. მაგრამ როგორ გინდა აარჩიო: სომხებიც კარგი ბიჭები არიან და ქართველებიც, აზერბაიჯანელებიც და რუსებიც. აკოფამ და მე წინასწარ წარმოვიდგინეთ, თუ როგორი შეხვედრა გვექნებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში. ძალზე გატაცებული ვართ ამ საქმით. აკოფა ოცნებობს იმ წუთებზე, როცა ერევნის სადგურში მოუწყობენ შეხვედრას. აქ ყველა ნაცნობ-მეგობრები იქნებიან. მათ შორის იქნება ერთი, რომელსაც არ ვიცი რა ვუთხრა: მომიახლოვდება ჩემი პატარა ბიჭუნა და მეტყვის: „აკოფ, მამიკო“. ამ ბავშვის ლაპარაკი მე ჯერ არ მსმენია, და როცა მოვისმენ, არ ვიცი, რა დამემართება — განცვიფრდები თუ ჰკუაზე შევიშლები. როცა ფრონტზე წამოვედი, ბიჭუნა ერთი წლისაც არ იყო, არ ლაპარაკობდა. მე მხოლოდ მისი ტირილი მახსოვს. დელეგაციაში ჩემი ყოფნა ბევრს გააკვირვებს. ზოგი წამოიძახებს კიდეც:

— ვაჰ, ჩვენი აკოფა ჩამოსულა!

დღეს უკვე პირველი მარტია. დილითვე საქოს შევხვდი, წავუკითხე ჩემი შედგენილი პროექტი ამიერკავკასიაში დელეგაციის გამგზავრების შესახებ. ერთად ვითათბირეთ და დეტალები დავაზუსტეთ. დელეგაციის წევრთა რიცხვი ათი კაცით განვსაზღვრეთ. საჭიროდ მივიჩნიეთ წინასწარ დეპეშების გაგზავნა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, რომ ორგანიზებულად მოეწყოს ჩვენთან შეხვედრები. დელეგაციის წევრები მხიარულად არიან. პროექტში შევიტანე, რომ დელეგაციაში უეჭველად შევიდეს პოლიტსამმართველოს წარმომადგენელი.

საქოს რომ დავცილდი, ფატეჟს გავემგზავრეთ; იგი კურსკიდან ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს. რედაქციის სამარგო ატომანჭანას უკან ბუქსირით მოსდევს პოლიტსამმართველოს მსუბუქი მანქანა. საშინელი ტალახია. მანქანები ძლივს მიიზლაზნებიან. დილით ადრე გამოვედით და შუაღამემდე ასი კილომეტრი ძლივს გავიარეთ. ღამე პატარა სოფელ კაზანკაში გავათარეთ, საიდანაც გერმანელები 30 იანვარს გაქცეულიყვნენ. მალე დაბა ლივნიც გავიარეთ.

რომელიღაც სოფლის ერთ დაცარიელებულ სახლს შევიდი სული შევეხიზნეთ. იატაკზე ჯარისკაცებისათვის თივა იყო გაშლილი. დღა-

სახლისს ვთხოვეთ, რომ ჩვენი კონცენტრატები მოეხარშა. ღუმელი თივით აანთო და დაიწყო კერძის გაკეთება. დიასახლისი რატომღაც მეტად ტანმორჩილი მეჩვენებოდა, თუმცა სიბნელეში ძლივს ვხედავდი. ის თავის საქმით იყო გართული და ყურადღებას არ გვაქცევდა. როგორც კი წყალი ადუღდა, ქვაბი გამოსწია, რომ ბურღული ჩაეყარა, წყალი დაიღვარა. კონოვალოვსა და ორლოვს გაეცინათ. ქალმა წყნარად და სერიოზულად შენიშნა.

— აბა რა გაცინებთ... თქვენი საქმე კი ცუდად არის.

ეს სიტყვები ქალმა ისე თქვა, რომ ყველა გავინაბეთ. გამოირკვა, რომ ბურღული მიმწვარიყო.

ბიჭებმა უარესად გადაიხარხარეს, უჰ, დავღუპულვართ, რაღა გეშველებაო. ქალი ხელს უცნაურად იქნევდა ჰაერში.

— ხელი დაგეწვათ, დიასახლისო? — შეეკითხა კოვალიოვი. ის ჩუმად იყო, პასუხს არ იძლეოდა. კოვალიოვმა გაუმეორა შეკითხვა. ქალმა უგულოდ უპასუხა:

— კარგი, ვთქვათ, დამეწვა, მერე რა?

სადილი მაინც მოამზადა და მოგვიტანა. საბძლიდან ჭრაქი გამოიტანა და იმის შუქზეღა შევამჩნიეთ, რომ დიასახლისი ახალგაზრდა ფერმკრთალი გოგონა იყო, ასე თხუთმეტი წლისაც ძლივს იქნებოდა. მაგრამ როგორ ნაადრევად დაებერებინა გამოვლილ სიმწარეს. გოგონა დონბასელი იყო, დედასთან ერთად გამოქცეული.

— რითი ცხოვრობთ? — შევეკითხე მე.

პასუხი უგულოდ მომცა:

— მეც არ ვიცი რითი ვცხოვრობთ; კი არ ვკვდებით და სხვა არაფერი ვიცი.

ყველას გული დასწვა მისმა პასუხმა. მხიარული განწყობილება უცებ სადღაც გაჰქრა.

3 მარტს ფატეჟისაკენ გავუდექით გზას. გუშინ საღამოს შემდეგ მშივრები ვართ. გზებზე თოვლჭყაპია. დღეს კვლავ ამოიჭრა ქარიშხალი, ყველა გზა ჩაკეტა. ფატეჟამდე კიდევ ოცდაათი კილომეტრია. ავტომანქანები გაჩერდნენ. წინ ვეღარ მიდიან, გზა არ არის. სასურსათო ბაზას მოწყვეტილნი ვართ და საჭმელი აღარაფერი გვაქვს. შიმშილისაგან თავი მტკივა, ოცდაოთხი საათი არაფერი მიჭამია. მანქანაში თბილა, გარეთ კი კვლავ ქარბუქი ბობოქრობს.

**1943 წელი, 8 მარტი. ღამე.**
**დერლო ფატეჟის რაიონი**

ავტომანქანა ადგილიდან ვერ დაძრულა. ახლო-მახლო სოფლებიდან ქალები და ბაბუკები მოვიდნენ გზის გასაწმენდად. ბევრი იწვალეს, მაგრამ უშედეგოდ. გადათოვლილ გზებს ქარბუქი ისევ თოვლით ავსებდა.

მანქანაში გასათბობად რამდენიმე ქალი შემოვიყვანეთ. ამათგან ერთს, ელიზავეტა ნიკიფოროვნას ვთხოვეთ, სახლში წაგვიყვანე და რამე გვაჭამეო. ამის საფასურში ერთ წყვილ ჩექმას შევპირდით.

ახლა იმ ქალის სახლში ვსხედვართ. ელიზავეტა კარტოფილსა წვავს. სასიამოვნო სუნია. კუთხეში ორი გოგონა თამაშობს, ერთი ათი წლისა, მეორე ოთხისა; ვეხუმრები, ისინი სიცილით იგუდებიან.

კიდევ რამდენიმე წუთი და კარტოფილი მზად იქნება.

**1948 წელი, 4 მარტი**

დილით დავბრუნდით მანქანასთან, ისევ ქარბუქი; გაშმაგებით უბერავს; კოვალიოვი, კუზნეცოვი და ორლოვი სოფლიდან არ მოსულან. მანქანაში ველოდები გამოდარებას. ქალები და ბიჭები გამალებით მუშაობდენ გზების გასაწმენდად. მათ პური მოუტანიათ ჩვენთვის.

მალე სოფელში წასულებიც დაბრუნდნენ.

კოვალიოვმა მიამბო: მაღტაშიანცმა თავის დღიურში საინტერესო მოსაზრებანი ჩაწერა ბუნებაზე. აი ერთი მათგანი: ფიზიკისა და ქიმიის კანონების მიხედვით, ჩვენ ინჟინრები თოვლს რომ მტვრად აქცევდნენ, მოძრაობაში ხელი აღარ შეგვეშლებოდაო. კოვალიოვს უთქვამს — ეგ სულელი და უვიცი ადამიანის მსჯელობააო, ამაზე დიდი ჩხუბი ატეხილა.

დღეს რადიომიმღები ავამოქმედეთ. გავიგეთ, რომ ჩვენებს რჟევი აუღიათ.

ყველაზე მეტად ის მაწუხებს, რომ დღეები გადის და ჩვენი დელეგაციის გაგზავნა ფერხდება.

ალბათ, მარტის თხუთმეტამდე გავალთ“.

**1943 წელი, 11 მარტი.**
**ი ა ს ე ნ ს კ ი**

დღეს დავამთავრე ამიერკავკასიის ხალხებისადმი მიძღვნილი მიმართვა. დელეგატების სიაც შედგენილია.

თორმეტი კილომეტრი თოვლჭყაპში თექის ჩექმებით გავიარეთ, უკან მოვიტოვეთ ფლოროვკა, უსპენსკი, კრასნი კლინი. ფეხები წყლითა მქონდა სავსე. გზაში მტრის ბომბდამშენები განუწყვეტლივ თავს ესხმოდნენ შენაერთის ნაწილებს. ოვჩინიკოვთან ერთად ქვემეხების ცეცხლში მოვხვდით. შორსმსროლელი ზარბაზნებით მტერი გზებს ბომბავდა. რამდენიმე ყუმბარა ჩვენგან სულ ახლოს გასკდა.

**1943 წელი, 12 მარტი**

დღეს მტერმა გაძლიერებული ბომბარდირება დაიწყო. ჩვენი ქოხის ახლოს რამდენიმე ყუმბარა ჩამოვარდა, ფანჯრები ჩაიმტვრა, ჩვენც მიწა გადმოგვაყარა. მე და ოვჩინიკოვი პირქვე ვეყარეთ. ბომბარდირებამ მთელ დღეს გასტანა, ბევრჯერ გამაფრთხილეს — გამოესულიყავი, მაგრამ გავკერპდი და არ გამოვედი. ბედისწერა არა მწამს, მაგრამ რატომღაც მჯერა, არ მოვკვდები.

ბინდისას ბომბარდირება შეწყდა. შენაერთი ახალი მარშრუტით ლაშქრობს. მეც შტაბის ავტომანქანას უნდა გაეყვე.

**სოფ. კასილოვი, ფატეჟის რაიონი**

16 მარტი. დელეგაციის შემადგენლობა საბოლოოდ ასეთია: ქოჩარი (ხელმძღვანელი), სარქისიანი, ყავრიშვილი, ბოგვერაძე, ხოფერია, მინასიანი, აკოფიანი, ახმედოვი და აბასოვი. მიუხედავად იმისა, რომ ქოჩარს შევპირდი აკოფ ხანჯიანის სიაში შეტანას, მაინც ვერ მოვახერხეთ. საწყალი აკოფა ძალზე მოწყენილია.

* * *

დღეს გავიგეთ, რომ მტერს ხარკოვი ისევ აუღია. ამ ამბავმა არასასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა, ბევრმა მოიწყინა, მაგრამ მე

ვფიქრობ, რომ ასეთი დროებითი შეფერხებანი საბჭოთა არმიის ბრწყინვალე გამარჯვებას ნირს ვერ შეუცვლის.

ზემოთაც ვამბობდი, სტალინგრადთან ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ მოგვიხდა იძულებითი შესვენება, თითქმის მთელ თვეს უმოქმედოდ ვიყავით; ამ უმოქმედობამ შეგვაწუხა და ბრძოლისაკენ მივისწრაფოდით. როდესაც გზაში მიმავალნი ვგებულობდით საბჭოთა არმიის ახალ-ახალ გამარჯვებებს, უსაზღვრო სიხარულით ვივსებოდით, მაგრამ უცნაური გრძნობა გვქონდა აკვიატებული, რომ ჩვენი კუთვნილი წილი გამარჯვებისა, ჩვენვე უნდა მოგვეპოვებინა, და რომ ეს ასე არ ხდებოდა, ხანდახან ცუდ განწყობილებაზე ვდგებოდით.

ახლა კვლავ ბრძოლისაკენ მივისწრაფვით. აღარ ვგრძნობთ დაღლილობას, რადგან მტერთან ანგარიშია გასასწორებელი.

ჩვენმა შენაერთმა სტალინგრადში დიდი სახელი მოიხვეჭა; მის სახელს ყველა პატივისცემით და სიყვარულით იხსენიებდა. და ახლა, როცა ჩვენი დივიზიის შევსება ხდებოდა, მებრძოლთა დიდი რაოდენობა მოაწყდა შენაერთს, ყველა დიდ სურვილს გამოთქვამდა სახელმოხვეჭილ დივიზიაში ჩარიცხულიყვნენ, პირობას იძლეოდნენ, რომ არ შებღალავდნენ მის სახელს,.

ახალი მებრძოლებისათვის იარაღის გადაცემა საზეიმო ვითარებაში მიმდინარეობდა. მებრძოლები ეხვეოდნენ, ჰკოცნიდნენ, ეცნობოდნენ ერთმანეთს. უცებ გავიფიქრე, ამ შევსებისა და გადაჯგუფების დროს მოდი რუსოვსაც გამოვცვლი-მეთქი, მაგრამ შემდეგ თავი შევიკავე ამ გადაწყვეტილებისაგან. ვიფიქრე, რომ ჩემი გლახა სჯობს, ისევ ჩემთან დარჩეს, თორემ სხვაგან რომ მივიდეს, იტყვიან ნუთუ ასეთები ჰყავდათ N შენაერთშიო.

მალე ოვჩინიკოვმა მომახსენა, შენაერთი სრულიად შევსებულიაო. და თან დაუმატა, რომ შევსებულია ისეთი ხალხით, რომელთაც თვითონ გამოთქვეს ჩვენს შენაერთში ჩარიცხვის სურვილიო. ბრძანება გავეცი, რომ მთელი შენაერთი გამოეყვანა და მწყობრში დაეყენებინათ. გამოვედი მწყობრის წინ, მივესალმე მთელ შემადგენლობას და კიდევ ერთხელ მივულოცე პირად შემადგენლობას და მთელ შენაერთს მნიშვნელოვანი ოპერაციების ბრწყინვალედ დაგვირგვინება. შემდეგ ახალმოსულთა მისამართით განვაცხადე, თუ რა დამსახურება მიუძღვის ჩვენს შენაერთს, გავაცანი მოკლედ თუ რა ისტორიული წარსული აქვს მას, თუ რა ტრადიციების მატარებელია იგი. ვუთხარი, რომ ვერავის ვაპატიებთ მისი სახელის შებღალვას, და ამიტომ

ყოველი ახალმოსული კარგად უნდა გრძნობდეს მთელ პასუხისმგებლობას, რომელსაც შენაერთის მაღალი სახელი აკისრებთ მათ. ბოლოს ვუსურვე მომავალი გამარჯვებები ბრძოლებში, რომელიც ჯერ კიდევ წინ გველო.

მებრძოლებმა შეჰფიცეს ერთმანეთს, რომ წმინდად დაიცავენ თავიანთ საბრძოლო დროშას. ყველას აინტერესებდა თუ რომელი მიმართულებით მოუხდებოდა შენაერთს ბრძოლების წარმოება.

და აი, მივიღეთ ბრძანება, რომ გავსულიყავით ფატეჟიდან იმ რაიონში, სადაც მოგერიებით ბრძოლებს აწარმოებდა საბჭოთა პარტიზანთა დიდი დაჯგუფება; ჩვენ უნდა მივშველებოდით მას და გვეწარმოებინა მოგერიებითი ბრძოლები, ამასთან შეტევისათვის უნდა მოვმზადებულიყავით. ადგილზე მისვლის შემდეგ ისევ მივიღე ახალი ბრძანება, რომ უბანი ისევ პარტიზანული დაჯგუფებისათვის გადამეცა და სასწრაფოდ გამოვცხადებულიყავი არმიის სარდალთან. ჩვენ ისევ მე-6 არმიაში ვირიცხებოდით, რომელიც თავის მხრივ შედიოდა ცენტრალურ ფრონტში, რომელსაც როკოსოვსკი მეთაურობდა. არმიის სარდალი ჩისტიაკოვი გულთბილად შემხვდა, გადამეხვია და მითხრა, რომ ჩვენი შენაერთი მის არმიაში შედიოდა. ეს გადაჯგუფება იმით იყო გამოწვეული, რომ მტრისათვის ჩვენი გზა-კვალი უცნობი ყოფილიყო.

მტერმა ამ მიდამოებში თავი მოუყარა დიდძალ ჯარებს; მათ სურდათ ეწარმოებინათ შეტევითი ბრძოლები ბელგოროდის მიმართულებით, აეღოთ ბელგოროდი, შემდეგ იერიში მიეტანათ კურსკზე, აეღოთ ისიც და იქ გამაგრებულიყვნენ. შემდეგ კი ორი მხრიდან აპირებდნენ შეტევითი ბრძოლების დაწყებას — კურსკიდან და ორიოლიდან. ამით სურდათ შეექმნათ რკალი: ხარკოვი — ბელგოროდი — კურსკი — ორიოლი. ამ რკალში უნდა მოემწყვდია ჩვენი სამხედრო ძალები და ალყაში მოქცეული ჩვენი ნაწილები გაენადგურებინა. ამით უნდოდათ გადაეხადათ ჩვენთვის სტალინგრადის სამაგიერო. ამის შემდეგ სურდათ გეზი მოსკოვისაკენ აეღოთ.

მტერმა იცოდა რომელი დივიზიები იბრძოდნენ სტალინგრადთან, მათ შორის, ალბათ, გაგონილი ჰქონდათ ჩვენი გვარდიული შენაერთის სახელიც და ცდილობდა გაეგო, თუ რა მიმართულებით იქნებოდა გადაყვანილი სტალინგრადის დივიზიები. ამიტომ გერმანელების ავიაცია ცდილობდა აღმოეჩინა და გაენადგურებინა ჩვენი შენაერთები.

ყოველივე ეს გადმომცა არმიის სარდალმა ჩისტიაკოვმა და ახალი საბრძოლო ამოცანა მომცა: გვემოქმედნა ფატეჟიდან კურსკის მიმართულებით, უნდა წავსულიყავით ფორსირებული მარშით. წინა ხაზზე და შუაში უნდა ემოქმედნა ჩვენს შენაერთს, ფლანგებზე გასაძლიერებლად და დასახმარებლად მეზობელი შენაერთები მოქმედებდნენ. ერთმანეთთან განუწყვეტელი კავშირი გვქონდა. გზადაგზა უნდა შემოგვეერთებინა საბჭოთა ნაწილები, რომელნიც არაორგანიზებულად იხევდნენ უკან. თუ მტერი კურსკში მიგვასწრებდა, ყოველი ღონე უნდა გვეხმარა და გაგვენთავისუფლებინა ეს ქალაქი, შემდეგ კი იერიში მიგვეტანა ბელგოროდის მიმართულებით და იქიდან ხარკოვზე წავსულიყავით.

ბრძანების მიღებისთანავე არმიის სარდალს გაჰოვემშვიდობე. შესვენების დრო აღარ იყო. შევადგინე საბრძოლო გეგმა და დავიწყეთ იერიში კურსკის მიმართულებით. გათენებისას, ბრძანების თანახმად, კურსკთან უნდა ვყოფილიყავით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გერმანელებს დაზვერვის საქმე კარგად ჰქონდათ დაყენებული. ისინი, ალბათ, მიხვდნენ როგორი იყო ჩვენი საბრძოლო ამოცანა. ამიტომ, როგორც კი დავიწყეთ ფატეჟიდან იერიში, მტრის ავიაცია თავს დაგვესხა. ისინი ცდილობდნენ შეეჩერებინათ ჩვენი წინსვლა და თვითონ გაბატონებულიყვნენ ბელგოროდ — კურსკის მიმართულებით. მათი ავიაცია გამუდმებით ბომბავდა ჩვენს შენაერთს. გავეცი განკარგულება, რომ შენაერთის ნაწილები გაშლილიყვნენ და ასე გაშლილი ფრონტით მცირე ჯგუფად წასულიყვნენ წინ. ასეც მოვიქეცით, მაგრამ მტრის ავიაცია თავის წამოწევის საშუალებას არ გვაძლევდა, ჩვენ მცირე ჯგუფებით მაინც მივიწევდით წინ. აქ შეჩერება ხომ დამარცხებას ნიშნავდა.

ბოლოს შევძელით და შენაერთი ისეთი გაშლილი ფრონტით წავიდა წინ, რომ მტერი ზიანს ვეღარ გვაყენებდა და ვერც ჩვენს წინსვლას აჩერებდა.

გათენებისას კურსკში მივედით. მტერს ჯერ ვერ მოეღწია აქამდე. ჩვენს მოძრაობას ფრონტისა და არმიის სარდლები გამუდმებით ადევნებდნენ თვალყურს და მეც ვაძლევდი ცნობებს ჩვენი მდგომარეობის შესახებ.

— შეუჩერებლივ მივდივართ ბელგოროდის მიმართულებით! — მოვახსენე ფრონტისა და არმიის სარდლებს.

— იმოქმედეთ, არ გაწყვიტოთ კავშირი ჩვენთან და ფლანგებთან. როგორც კი შეხვდებით მტერს, რათაც არ უნდა დაგიჯდეთ, უნდა შეაჩეროთ, უნდა შეაჩეროთ, გესმით?! — ასეთია ბრძანება!

კვლავ ბელგოროდის მიმართულებით მივდივართ. ვჩქარობთ, მტერს რომ შევხვდეთ. ვაფრინეთ მზვერავები, მივიღეთ ცნობა, რომ ბელგოროდიდან კურსკის მიმართულებით მიდის მტრის დიდი შენაერთი, გაძლიერებული არტილერიით. აშკარა იყო, მტრის ჭარბ ძალასთან გვქონდა საქმე. ეს ამბავი არმიის სარდალს ვაცნობე. ისიც მოვახსენე, რომ საჭირო იყო ჩვენი თვითმფრინავები დაგვხმარებოდნენ, რათა საჰაერო ბრძოლა გაემართა მტრის ავიაციისათვის.

ისევ წინ მივიწევთ. მტერი კი მოდის ხარკოვ — კურსკის გზატკეცილით. აი, კიდეც გამოჩნდა იგი. უკვე შორიდან შევამჩნიეთ გერმანული ტანკები.

ახლა არ შეიძლება არც ერთი წუთით დაყოვნება, საჭიროა ბრძოლისათვის სწრაფად მომზადება, საცეცხლე წერტების შერჩევა. არც ერთი ნაბიჯი უკან, აქ უნდა გავუმაგრდეთ მტერს. უნდა შევაჩეროთ. სიცოცხლის ფასად რომ დაგვიჯდეს.

უკვე გამოჩნდნენ მტრის თვითმფრინავები და დაიწყეს ჩვენი დაბომბვა. ამ ამბავმა ნირი ვერ შეუშალა ჩვენს საბრძოლო მზადებას. სწორედ ამ დროს ჩვენი ავიაციაც ჩაება საჰაერო ბრძოლაში. საშინელი ბრძოლა დაიწყო ცაში. ჩვენი მფრინავები ვაჟკაცურად იგერიებდნენ ჰაერში მტრის სვავებს, რომ ჩვენ უფრო თავისუფლად გვებრძოლა ხმელეთზე. მტერი უკვე ახლოვდებოდა. კვლავ შევამოწმე საცეცხლე წერტები, ვუბრძანე არტილერიის უფროსს მტრის ტანკებისათვის ცეცხლგამჩენი ყუმბარები დაეშინა. დაიქუხეს ჩვენმა ქვემეხებმა და მტრის მეწინავე ტანკები ცეცხლის ალში გაეხვივნენ.

მტრის ჯარი გაიშალა, ტანკებმა ფართო ფრონტით დაიწყეს შეტევა. ჩვენც უცებ გადავაჯგუფეთ საცეცხლე წერტები და გამანადგურებელი ცეცხლი უფრო გავაძლიერეთ. მალე გერმანელებმაც გაიხსნეს ცეცხლი და საშინელი გრუხუნი ატყდა. მტრის ჯავშნოსან-სატანკო და საავტომობილო ნაწილები, ქვეითი ჯარის დახმარებით, ცდილობდნენ წინ წამოსვლას, მაგრამ ამაოდ. მეტად მარჯვედ მოქმედებდნენ ჩვენი ნაღმმტყორცნებიც და ტყვიამფრქვეველებიც. მტერი მიხვდა, რომ ვერ გაგვტეხდა, თუმცა თავისი სიჭარბის იმედი ისევ ჰქონდა, ამიტომ წარამარა გაჰყვიროდნენ, რომ დაგვნებდით, აზრი არა აქვს წინააღმდე-

გობის გაწევასო. ამ მუქარაზე პასუხს გერმანელებს ჩვენი ქვემეხები აძლევდნენ.

გერმანელებმა უკვე იცოდნენ, რომ ჩვენ სტალინგრადელები ვიყავით. ამიტომ უფრო გააფთრებით იბრძოდნენ. გადაგიხდით სტალინგრადის სამაგიეროსო, ბაქიბუქობდნენ. ყველაფერი ეს ლიტონ სიტყვად რჩებოდა. რამდენჯერ არ სცადეს წინ წამოსვლა გერმანელებმა, მაგრამ მუდამ ჩაეფუშათ განზრახვა. ყურთასმენა აღარ არის. მაღლა თვითმფრინავები ღრიალებენ, ცას აბნელებენ, დაბლა მიწა გმინავს აფეთქებათა ცეცხლისაგან, მიწაში არეული ლითონი დუღს და დნება. არც გერმანელები ზოგავენ თავს და არც ჩვენი ჯარისკაცები. მართლაც, სამკვდრო-სასიცოცხლო დუელია გაჩართული; დალეწილი გერმანული ჯავშნოსნების სანაცვლოდ ახლები გამოჰყავთ. მტრის ქვეითიც მოდის და მოდის, აღარ ილევა. მტერი გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვენ. მაგრამ ჩვენს ჯარისკაცებს მტკიცედ ახსოვთ ფრონტის სარდლის ბრძანება: არც ერთი ნაბიჯი უკან, გამაგრდით, გაუძელით!

— არც ერთი ნაბიჯი უკან, გამაგრდით, ვაჟკაცებო! — გადავძახე ჩვენს მეომრებს. მაგრამ, აი, კვლავ მტრის ახალი და ახალი ძალები ებმებიან ბრძოლაში. საჭიროა რაღაცის მოფიქრება. მტერი უნდა გავტეხოთ.

— წინ მეგობრებო! — გავეცი ბრძანება და იერიშზე გადავედით. ეს კი მოულოდნელი იყო გერმანელებისათვის. როგორ წარმოიდგენდნენ ისინი, რომ ჩვენ თავდაცვას არ დავჯერდებოდით და შეტევას დავიწყებდით. ჩვენთვის კი ეს სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო — ბორისოვკა და ტამაროვკა უნდა აგვეღო. ეს ხომ მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტები იყო. ჩვენმა მოულოდნელმა იერიშმა მტერი დააბნია.

— წინ. შეუჩერებლივ, გმირებო! — გავძახოდი მებრძოლებს და მივუთითებდი, თუ საით უნდა წასულიყვნენ.

— წინ, სამშობლოსათვის! — გუგუნებდა გამწნევებულ მებრძოლთა ხმა. მალე ბორისოვკა და ტამაროვკა ჩვენი იყო. ახლა იქიდან გავხსენით ცეცხლი. მტერი გონს მოვიდა და შემოგვიტია, მაგრამ ჩვენი ნაწილები გმირულად იცავდნენ თავიანთ პოზიციებს. სამი დღე-ღამე მიმდინარეობდა ბრძოლები. არავის თვალი არ მოუხუჭავს და არც ღუმა ჩაუდვია პირში.

ასე ამაოდ ჩაიარა ჰიტლერელების ბაქიობამ. მათი რადიო ხომ გად-

მოსცემდა და გვეუბნებოდა — სტალინგრადელებო, გადაგიხდით სამაგიეროსო. ვერ გადაგვიხადეს, თვითონ მიიმტვრიეს ცხვირი ჩვენს ზღუდეებზე. მტერმა ძალიან დიდი მატერიალური ზარალი განიცადა და ბოლოს იქადრა უკან დახევა. ჩვენ გადავწყვიტეთ გავდევნებოდით უკანდახეულებს. არმიის სარდალს დავუკავშირდი.

— არც ერთი ნაბიჯი არც წინ და არც უკან. გამაგრდით და აწარმოეთ მოგერიებითი ბრძოლები. დაწვრილებით შემდეგ შეგატყობინებთ. ახლა კი მომილოცავს გამარჯვება

ჩვენ გამაგრებული ვიყავით ბელგოროდის მახლობლად—ბორისოვკასა და ტამაროვკაში.

სტალინგრადის გმირები ახალ გამარჯვებას ზეიმობდნენ. ჩარკოვზეც წავალთ, არ გვინდა დასკენებაო, გაიძახოდნენ მებრძოლები. ვიწახულე დატყვევებული გერმანელი ჯარისკაცები. მაო მითხრეს: როდესაც გავიგეთ, რომ საქმე გვქონდა სტალინგრადელებთან, შიშის ზარი დაგვეცა. ოფიცრები იარაღით გვემუქრებოდნენ. ერთმა ოფიცერმა კი, რომელიც ტყვეთა შორის იყო, მითხრა -- სტალინგრადელები, მართლაც, გაუტეხელნი ყოფილხართო.

## გამარჯვების ვარსკვლავი აღმოცდა

სუსხიანი ზამთარი დაიჭირა. უხვი თოვლი და ყინვა საგრძნობლად აძნელებდა ჯარების თავისუფალ მანევრირებას. სანგრებით გადათხრილ რუსეთის უნაპირო ველებზე ქარბუქი მძვინვარებდა. ქვეყანას დიდი გასაჭირი ადგა. 16 თვის სისხლისმღვრელი ომის განმავლობაში მტერმა საკმაოდ ღრმად შესძლო აღმოსავლეთისაკენ შემოჭრა. ჯერ კიდევ ნოემბრის დამდეგს, როცა ყინულის ჯავშანმა შუა რუსეთის მდინარეებიც კი დაჰფარა, მთელი კარელია-ფინეთის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, ბელორუსიის, უკრაინისა და რუსეთის ოლქები მტრის ხელში იყო. საბჭოთა ჯარები უზარმაზარ ფრონტზე იბრძოდნენ. ფრონტი 4500 კილომეტრს აღწევდა და თეთრი ზღვიდან კავკასიის მისადგომებამდე იყო გადაჭიმული. ალყაშემორტყმული ლენინგრადი შიმშილობდა. მტერმა ღრმა პლაცდარმები გაიჩინა დემიანსკის, რჟევისა და ვიაზმის რაიონებში. მოსკოვის მისადგომთან თავი მოუყარა აუარებელ ცოცხალ ძალას და საბრძოლო ტექნიკას. დაეცა ორიოლი და ვორონეჟი. მტრის მეწინავე დივიზიები ვოლგას მიადგნენ. სტალინგრადის რაიონში სისხლისმღვრელი ბრძოლები გაჩაღდა. კავკასიას საფრთხე ემუქრებოდა...

გარეგნულად, იმის მიხედვით თუ როგორ ტერიტორიულ წარმატებებს მიაღწიეს გერმანელებმა და როგორი დანაკლისი განიცადა საბჭოთა კავშირმა, გეგონებოდათ, ბრძოლის ბედი გადაწყვეტილი იყო, რომ საბჭოთა კავშირს ძალა გამოელია და უახლოეს დროში გერმანელები მიაღწევენ საბოლოო გამარჯვებას.

შემოდგომის ერთ სუსხიან დილას, 1942 წლის 19 ნოემბერს, შუა დონის ნაპირებზე სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ათასობით ქვემეხმა იგრიალა. კანონადა დიდხანს არ შეწყვეტილა. ქვემეხების გრიალმა ქვეყანას ამცნო, რომ დაიწყო ახალი ერა მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში — საბჭოთა ჯარების გენერალური კონტრშეტევა

გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. გერმანელთა ნაცარტუტად ქცეული სიმაგრეები ახალგათხრილ საფლავებს დაემსგავსა. გაყინულ სივრცეში ცეცხლი და ლითონი გამეფდა. მზე ახალი ამოსული იყო, როცა არტილერიამ ცეცხლი მტრის ზურგში გადაიტანა და თავის ქვეით ჯარს, რომელიც ჯავშან-სატანკო შენაერთების კვალდაკვალ წამოიმართა, ხელ-ფეხი გაუხსნა.

შეტევა დაიწყეს სამხრეთ-დასავლეთის, დონისა და სტალინგრადის ფრონტების ჯარებმა. მძაფრი ბრძოლები ხუთი დღე-ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა. 23 ნოემბერს, იქ, სადაც დღეს გაშენებულია ვოლგა-დონის ლენინის სახელობის არხი, ალყა შემოარტყეს გერმანელთა 330-ათასიან არმიას, რომელსაც ფელდმარშალი პაულუსი სარდლობდა.

ამ ხნის მანძილზე ბრძოლები არც სხვა ფრონტებზე შეწყვეტილა. თეთრი ზღვიდან შავ ზღვამდე საბჭოთა ჯარები ყოველდღიურად ავიწროებდნენ მტერს, სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევდნენ. მტერი იქანცებოდა. თანდათან ძნელდებოდა საბჭოთა ჯარების შეტევის შეჩერება.

24 ნოემბერს რჟევის დასავლეთით ველიკიე ლუკის რაიონში შეტევაზე გადავიდნენ კალინინის ფრონტის ჯარები. 16 დეკემბერს ვორონეჟისა და ჩრდილო-დასავლეთის ფრონტების ჯარებმა შუა დონზე ფართო შეტევითი ოპერაცია გაშალეს. 22 დეკემბერს შეტევაზე გადასულ კალინინის, ვორონეჟის, ჩრდილო-დასავლეთის, დონისა და სტალინგრადის ფრონტებს შეუერთდნენ ამიერკავკასიის ფრონტის ჯარები და ჩრდილოეთ კავკასიისა და სტავროპოლის განთავისუფლება დაიწყეს.

1943 წლის 12 იანვარს ლენინგრადის და ვოლხოვის ფრონტების ჯარებმა შეუტიეს მტერს ორივე მხრიდან ლადოგის ტბის სამხრეთით. ექვსი დღის შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ ეს შეტევა ლენინგრადის ბლოკადის გარღვევით დაგვირგვინდა. გმირი ქალაქი, რომელმაც ომის მთელი საშინელება გადაიტანა, კვლავ „დიდ მიწას“ დაუკავშირდა.

ლენინგრადისა და ვოლხოვის ფრონტის ჯარების შეტევის მეორე დღეს, 13 იანვარს, ვორონეჟის ფრონტის ჯარებმა დაიწყეს ოსტროგორჟსკ-როსოშის ოპერაცია. ათი დღის თავზე მათ ბრიანსკის ფრონტის ჯარებმა აუბეს მხარი. გაიშალა ვორონეჟ-კასტორნოეს ოპერაცია.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო დღითიდღე ახალ და ახალ სასიხარულო ცნობებს აწვდის მშობელ ხალხს. უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანებით მადლობა ეცხადება ნაწილებსა და შენაერთებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჩვენი მიწაწყლიდან მტრის განდევნის საქმეში.

1942 წლის ნოემბერსა და დეკემბერში უკვე განთავისუფლებული იყო იმიერკავკასიის, დონის, სტავროპოლისა და ყუბანის ათასობით ქალაქი, სოფელი და სტანიცა. იანვარში მტერმა დატოვა ველიკიე ლუკი, ელისტა, მოზდოკი, ნალჩიკი, კუპიანსკი, მინვოდი, ჟელეზნოვოდსკი, კისლოვოდსკი, პიატიგორსკი, გეორგიევსკი, როსოში, მილეროვო, შლისელბურგი, ოსტროგორჟსკი, სტავროპოლი, ბელოვოდსკი, არმავირი, ვორონეჟი, კასტორნოე, ტიხორეცკი, მაიკოპი; თებერვალში კი სტალინგრადი, ბატაისკი, ეისკი, კურსკი, კრასნოდარი, ნოვოჩერკასკი, დონის როსტოვი, ლუგანსკი, ხარკოვი, ბელგოროდი.

4 თვისა და 20 დღის განმავლობაში საბჭოთა ჯარებმა დასავლეთისაკენ 600—700 კილომეტრით წაიწიეს და მტერს გამოსტაცეს მთელი ჩრდილო კავკასია, სტავროპოლის მხარე, ყუბანი, ვორონეჟის, კურსკის, სტალინგრადის და როსტოვის ოლქები. ბრძოლის ველზე სამარე ჰპოვა მტრის ასთორმეტმა დივიზიამ. საბჭოთა ჯარებმა ნადავლის სახით ხელთ იგდეს მტრის აუარებელი ტექნიკა და საბრძოლო საჭურველი. მრავალმა დივიზიამ საფუძვლიანად შეცვალა მდგომარეობა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე.

ყველა ის წარმატება, რასაც ვერმაჩელ ფაშისტთა ჯარებმა 1942 წლის ზაფხულის შეტევის შედეგად მიაღწიეს, მთლიანად გაქარწყლდა. საბჭოთა ჯარებმა შორს გადალახეს ის საზღვრები, რომლებიც მათ ეკავათ, სანამ გერმანელები იერიშზე გამოვიდოდნენ 1942 წლის ზაფხულში.

მიუხედავად ყოველივე ამისა, გადამწყვეტი და მთავარი საბჭოთა ჯარების ტერიტორიული მიღწევები როდი იყო. რაც მთავარია, გერმანელებმა ჩვენი არმიის იერიშზე გადასვლის შედეგად დიდი დანაკლისი განიცადეს ცოცხალი ძალისა და საბრძოლო ტექნიკის მხრივ. ამას გარდა, ფაშისტურ მთავარსარდლობას ჩვენი ჯარების იერიშმა ხელიდან გამოგლიჯა ინიციატივა: სამუდამოდ დამარხა გერმანული არმიის უძლეველობის მითი; გამოუსწორებელი განსეთქილება შეიტანა ფაშისტური გერმანიის მოკავშირეების ბანაკში და მონობისაგან დახ-

სნის იმედი ჩაუნერგა დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ აფრიკის დამონებულ ხალხებს. 1943 წლის ზამთრის კამპანიამ დასაბამი მისცა ძირითად გარდატეხას მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში.

ვერაგი მტრის ძლევის სიხარულმა და დიდ წარმატებათა მოლოდინმა ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში კიდევ უფრო გააქაჯა საბჭოთა ადამიანები. საბჭოთა ჩურგის მშრომელები — მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია — უდიდესი ენთუზიაზმით და შეუპოვრობით მუშაობდნენ ქარხნებში, ფაბრიკებში, მაღაროებში, საკოლმეურნეო მინდვრებსა და რკინიგზებზე, საწარმოებსა და დაწესებულებებში.

მშობელი ქვეყნის და თავისუფლების ერთგული საბჭოთა ხალხი თავის არმიას უკლებლივ ამარაგებდა ყველაფრით, რაც კი საჭირო იყო ვერაგ მტერზე გამარჯვების მისაღწევად.

თუ ყველაზე დაძაბული ბრძოლის დღეებში მოსკოვთან 1942 წელს ყოველ ათას საბჭოთა მეომარზე მხოლოდ ხუთი ქვემეხი და ნაღმტყორცნი მოდიოდა, სტალინგრადის კონტრშეტევისას ქვემეხებისა და ნაღმტყორცნების რიცხვმა ყოველ ათას მეომარზე თხუთმეტს მიაღწია. საბჭოთა წარმოებამ განსაკუთრებით გაზარდა საბრძოლო თვითმფრინავების, ტანკებისა და საჭურველის გამოშვება.

ბევრი რამ შესძლებია სამშობლოსა და თავისუფლების დაუცხრომელ სიყვარულს! ამა ამ გრძნობას სხვა რომელი გრძნობა შეედრება!

1942 წლის დამლევს და 1943 წლის დამდეგს ტამბოვის ოლქის კოლმეურნეების ინიციატივით მთელი მშრომელები შეუდგნენ თანხის შეგროვებას ქვემეხების, ტანკების, თვითმფრინავებისა და საბრძოლო ხომალდების შესაძენად. ტამბოვის ოლქის მშრომელებმა ერთი თვის განმავლობაში მოაგროვეს და სატანკო კოლონის „ტამბოველი კოლმეურნის“ გამოსაშვებად სახელმწიფო ბანკში 40 მილიონი მანეთი შეიტანეს.

ტამბოველ მშრომელთა წამოწყებას მხარი დაუჭირეს საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის მშრომელებმა. 1942 წლის 9 დეკემბრიდან 1943 წლის 31 მარტამდე ჩვენი ქვეყნის მოსახლეობამ თავდაცვის ფონდში 7 მილიარდი მანეთი, მრავალი ძვირფასი ნივთი და სოფლის მეურნეობის პროდუქტი შეიტანა.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების გამარჯვებების ამბავმა გადალახა ფრონტის ხაზი და შეურიგებელი წინააღმდეგობის ძალა შემატა

იმ მილიონობით საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც მტრის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე იყვნენ დარჩენილი. რაც უფრო წინ მიიწევდნენ ჩვენი ჯარები, მტრის ზურგში მით უფრო მეტი პარტიზანული რაზმები და არალეგალური ორგანიზაციები ჩნდებოდა. მტრის ზურგი პარტიზანული ომის ხანძარმა მოიცვა. ამ ხანძრის ჩასაქრობად გერმანელთა სარდლობა იძულებული გახდა ფრონტიდან ღრმა ზურგში გადაესროლა დიდი ძალები და ამით, უნებლიეთ, საბჭოთა ჯარების ძლევამოსილი წინსვლა გააიოლა. 1943 წლის შემოდგომაზე გერმანელმა ფაშისტებმა ფრონტიდან მოხსნეს და პარტიზანების წინააღმდეგ საბრძოლველად გადაიყვანეს პოლიციის 144 ათასეული, 27 ლეგიონი, 8 ქვეითი პოლკი, ესესელთა 10 საბადრაგო და დამსჯელი დივიზია, საბადრაგო კორპუსი, 72 სპეციალური ნაწილი და 20-მდე ქვეითი დივიზია. პარტიზანული ომის ხანძარი უფრო მეტი სიძლერით აგიზგიზდა. მარტო ნახევარი წლის განმავლობაში პარტიზანებმა მტრის სამი ათასი ეშელონი გადააგდეს ლიანდაგიდან, ააფეთქეს სამი ათას ხუთასამდე რკინიგზისა და საავტომობილო გზის ხიდი, გაახადგურეს 15 ათასამდე მსუბუქი და სატვირთო მანქანა, ააფეთქეს 900-მდე საბრძოლო მასალით და იარაღით სავსე საწყობი, 1200-მდე ტანკი, 467 თვითმფრინავი და 378 ქვემეხი.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე გერმანელ დამპყრობლებს ფეხქვეშ ძიწა ეწოდათ.

ჩვენი ჯარების გამარჯვებამ სტალინგრადთან და 1942 —43 წლების ზამთრის კამპანიაში აამოძრავა ევროპის დამონებული ხალხები. ათასობით პოლონელი, ჩეხი, ფრანგი, იუგოსლაველი, ბულგარელი, ბერძენი, ალბანელი, ბელგიელი, ჰოლანდიელი დაირაზმა საბოლოო ომის გადასახდელად გერმანულ ფაშიზმთან.

ხალხთა განმათავისუფლებელი არმია, რომელიც შექმნილი იყო საბერძნეთში 1943 წლის ზაფხულისათვის, თავის რიგებში 70 ათას ჯარისკაცს ითვლიდა; ამ არმიამ სისხლისმღვრელი ბრძოლებით გაათავისუფლა თავისი ქვეყნის ერთი მესამედი.

1943 წლიდან მთელ ბულგარეთს მოედო პარტიზანული მოძრაობა. პარტიზანულ მოძრაობას ბულგარეთის კომუნისტური პარტია ედგა სათავეში. მარტო 10 თვის მანძილზე ბულგარეთში, თვით გერმანელთა სარდლობის მონაცემების მიხედვით, ჩადენილ იქნა 1615 საბოტაჟისა და დივერსიის აქტი.

განსაკუთრებით გაძლიერდა გერმანელების წინააღმდეგ მოძრაობა და შეიარაღებული ბრძოლა პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, იუგოსლავიასა და საფრანგეთში. ოკუპირებულ ევროპაში, ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის დაპყრობილ ტერიტორიაზე, გერმანელების მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა.

გერმანელი ფაშისტების არმიის დიდმა წარუმატებლობამ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე 1942—43 წლის ზამთარში მძაფრი გავლენა მოახდინა გერმანელი ხალხის მორალურ მდგომარეობაზე და ფაშისტური გერმანიის მომხრე ქვეყნებზე.

„გლოვის კვირეულმა", რომელიც ჰიტლერმა სტალინგრადთან დახოცილი გერმანელების მოსაგონებლად გამოაცხადა, კი არ გაამხნევა გერმანელი ხალხი, პირიქით, ნათლად უჩვენა მას საით მიექანება ჰიტლერიზმი და რა მოელის ხვალ გერმანიას.

საკუთარ მთავრობათა მიერ მოტყუებული იტალიის, ფინეთის, უნგრეთის, რუმინეთის ხალხები მიხვდნენ, რომ ომს უბედურების მეტი არაფერი მოაქვს, რომ ამდენი მსხვერპლი და სახელმწიფო ეკონომიკის დაძაბულობა ამაოა, რომ ჰიტლერიზმის დამარცხება გარდაუვალია და რომ ფაშიზმის მძორი მათაც დაასამარებს.

მომავლის წინაშე შიშმა და ძრწოლამ შეიპყრო ჰიტლერიზმის ბანაკი. მთელი კაცობრიობა დაძაბული ყურადღებით ადევნებდა თვალს ბრძოლების მიმდინარეობას საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე.

რა მოხდება შემდეგ? როგორ განვითარდება მოვლენები? შესძლებს თუ არა საბჭოთა არმია ინიციატივის შენარჩუნებას და იერიშის გაგრძელებას, თუ გერმანელი ფაშისტები სულს მოითქვამენ, აღიდგენენ ძველ ბრძოლისუნარიანობას და კვლავ გაეშურებიან აღმოსავლეთისაკენ?

ეს კითხვები აღელვებდა მთელ კაცობრიობას.

### ორი გეგმა, ორი სტრატეგია

სამხრეთში დაწყებულ გრანდიოზულ შეტევას გაზაფხულის უგზოობა დაერთო. მდინარეებში ყინული დაიძრა. თოვლი გალხვა. სამხრეთ რუსეთის გზები შავი ტალახით აიზილა.

გაზაფხულის პირველმა სითბომ შეაფერხა ჩვენი ჯარების წინსვლა. სამი თვე განუწყვეტლივ უტევდნენ ჩვენი ჯარები ღრმად ჩასაწგრებულ

მტერს. ფრონტის სამხრეთ უბანზე 700 კილომეტრზე მეტი გაიარეს, გავიდნენ კურსკის, ბელგოროდის, ხარკოვისა და როსტოვის დასავლეთ რაიონებში.

ჰიტლერულმა სარდლობამ ისარგებლა საბჭოთა ჯარების შეტევის დროებითი შენელებით და ძალთა გადაჯგუფება მოახდინა.

1943 წლის 19 თებერვალს გერმანელებმა კონტრიერიში წამოიწყეს ხარკოვთან, 4 მარტს კი ბელგოროდთან. სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. საბჭოთა ჯარებმა დატოვეს ხარკოვი და ბელგოროდი. გერმანელებს ფრთები შეესხათ. მაგრამ მათი სიხარული ნაადრევი იყო: ჩვენი ჯარები საიმედოდ გამაგრდნენ ჩრდილო დონეცზე და სუმზე. მტრის შემდგომი წინსვლის გზა გადაჭრილი იყო. ფრონტის სამხრეთ უბანზე ხელახლა შენელდა საბრძოლო მოქმედება. 1943 წლის მარტის შუა რიცხვებში ასევე შენელდა ბრძოლა ფრონტის ცენტრალურ უბანზეც. მეომარი მხარეები ახალი ოპერაციების მზადებას შეუდგნენ.

ფრონტის ხაზმა ამ დროისათვის შორს, დასავლეთისაკენ გადაიწია. იგი თითქმის სწორ ხაზად იყო გადაჭიმული ლენინგრადიდან ტაგანროგამდე. მხოლოდ ერთგან — კურსკის რაიონებში საბჭოთა ჯარები ღრმად შეიჭრნენ მოწინააღმდეგის განლაგებაში და შექმნეს ეგრეთწოდებული „კურსკის შვერილი". ფრონტის ხაზი ამ შვერილზე უზარმაზარი რკალით გადიოდა ზმიევკის, ტაგინის, სევსკის, რილსკის, სუმისა და ბელგოროდის რაიონებში.

კურსკის შვერილის სიგანე საფუძველთან 200 კილომეტრს ჭარბობდა, წვერი 150 კილომეტრამდე იყო, ხოლო სიღრმე კი 200 კილომეტრამდე ჰქონდა. კურსკის შვერილი, რომელიც სივრცით ინგლისის ნახევარ ტერიტორიას უდრიდა, წარმოადგენდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე.

ამ შვერილის დაკავებით საბჭოთა ჯარებმა შუაზე გაწყვიტეს მტრის ფრონტი და სამხრეთის უბანი ცენტრალურისაგან განაცალკევეს. ჩვენი ჯარების მუქარა ორმხრივი იყო: ერთი მხრივ ისინი ემუქრებოდნენ გერმანელთა არმიის ჯგუფ „ცენტრს", რომელსაც ფრონტი ეკავა ველიკიე ლუკიდან კურსკის დასავლეთ რაიონამდე და არმიის ჯგუფს „სამხრეთს", რომელიც განლაგებული იყო სუმიდან აზოვის ზღვის ნაპირებამდე. კურსკის შვერილიდან საბჭოთა ჯარებს შეეძლოთ წარმატებით განეხორციელებინათ ოპერაციები ჩრდილო-დასავლე-

თისაკენ, გერმანელთა არმიის ჯგუფის „ცენტრის“ ზურგში, დასავლეთისაკენ და სამხრეთ-დასავლეთისაკენ ან სამხრეთისაკენ — არმიის ჯგუფის „სამხრეთის“ ზურგში.

ჩვენი ჯარების მიერ კურსკის შვერილის ფლობას თავისი უარყოფითი მხარეც გააჩნდა: უკეთუ გერმანელები შესძლებდნენ ორი ძლიერი პლაცდარმის შენარჩუნებას ჩრდილოეთით — ორიოლის და სამხრეთით — ბელგოროდ-ხარკოვის ხაზზე, ამ პლაცდარმებიდან გერმანელ-ფაშისტთა ჯარებს შესაძლებლობა ეძლეოდათ ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან, უმოკლესი გზით, დაერტყათ კურსკის შვერილის ზურგში და გარს შემორტყმოდნენ იქ მყოფ ცენტრალურ და ვორონეჟის ფრონტების საბჭოთა ჯარებს.

1942—43 წლის ზამთრის კამპანიის დამთავრების შემდეგ საბჭოთა უმაღლესი მთავარსარდლობა თავდაპირველად ცენტრალური და ვორონეჟის ფრონტების ძალებით აპირებდა გომელისა და ხარკოვის საიერიშო ოპერაციების მომზადებას, რათა ამ ოპერაციის მსვლელობის დროს მდინარე დნეპრი გადაელახა და ხელსაყრელი პირობები შეექმნათ დონბასისა და ბელორუსიის გასათავისუფლებლად, მაგრამ ამ ოპერაციების მომზადებამდე საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის ცენტრში გარემოება მკვეთრად შეიცვალა: გერმანელთა სარდლობამ დაიწყო ჯარების ძლიერი დაჯგუფებების თავმოყრა ორიოლისა და ბელგოროდ-ხარკოვის პლაცდარმების რაიონებში. როგორც დაზვერვა იტყობინებოდა, 1943 წლის მარტის დამლევს გერმანელთა სარდლობამ ორიოლის, ბელგოროდისა და ხარკოვის რაიონში თავი მოუყარა 40-მდე ქვეით, 20-მდე სატანკო, ერთ მოტორიზებულ და ერთ ცხენოსან დივიზიებს. ამას გარდა, ხარკოვის რაიონში და ცოტა უფრო სამხრეთით, კონცენტრირებული იყო გერმანელ ფაშისტთა არმიის მთავარი დამრტყმელი ძალები — სს-ის სატანკო დივიზიები: „დიდი გერმანია“, „ადოლფ ჰიტლერი“, „მკვდარი თავი“, „ვიკინგი“ და „რეიხი“. დაზვერვა იმასაც იტყობინებოდა, რომ მტრის ძალები განლაგებული იყო სრულიად არათანაბრად: მე-15—17 ქვეითი და მე-7—8 სატანკო დივიზიები ცენტრალური ფრონტის წინ, ორიოლის პლაცდარმზე იდგნენ; მე-12—13 ქვეითი და მე-4 სატანკო დივიზიები — ვორონეჟის ფრონტის წინ, ბელგოროდის პლაცდარმზე; მე-7—9 ქვეითი და მე-9 სატანკო დივიზიები, მათ შორის სს-ის 6 დივიზია, — სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის წინ, ხარკოვის რაიონში.

ცხადზე უცხადესი იყო: მტერი თავდაცვისათვის კი არა, შეტევაზე გადმოსასვლელად ემზადებოდა. საბჭოთა კავშირის უმაღლესი მთავარსარდლობის წინაშე ფრიად რთული ამოცანა წამოიჭრა: საჭირო იყო მტრის ჩანაფიქრის, ნამდვილი ზრახვების გამომჟღავნება. მხოლოდ და მხოლოდ ამის შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი 1943 წლის საზაფხულო კამპანიის ზუსტი გეგმის შემუშავება. ომისშემდგომ პერიოდში, როდესაც დიდი სამამულო ომი ისტორიად იქცა და ყველაფერი გამოაშკარავდა, ამ ამოცანის ამოხსნა მარტივად გამოიყურება; მაგრამ იმ დროს, როდესაც მტრის განზრახვის შესახებ მხოლოდ არასრული და კუდმოკვეცილი ცნობები გვქონდა, ამ ამოცანის სწორად გადაჭრა დიდ ნიჭსა და მოკლენებში ღრმად გარკვევის უნარს მოითხოვდა.

ნუ დაგავიწყდებათ, რომ საბჭოთა არმიას ამ დროისათვის უკვე საკმაოდ გააჩნდა ძალები არა მარტო მტრის იერიშის ჩასაშლელად, არამედ იერიშზე გადასასვლელადაც. ყველა საიმედო მონაცემების საფუძველზე საბჭოთა მთავარსარდლობამ შეიმუშავა ჯარების მოქმედების გეგმა 1943 წლის საგაზაფხულო-საზაფხულო კამპანიისათვის.

ამ გეგმით ნაგულისხმევი იყო, რომ მტერი შეტევაზე გადმოვიღოდა კურსკის შვერილის წინააღმდეგ და მთავარ დარტყმას მისი საფუძვლისკენ მიმართავდა — სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან. დარტყმის მიზანი ცენტრალური ვორონეჟის ფრონტის ჯარების ალყის შემორტყმა, განადგურება, შემდეგ აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით შეტევაზე გადასვლა უნდა ყოფილიყო. ყოველივე ამის შესაბამისად მთავარსარდლობამ გადაწყვიტა, რომ შეტევის დაწყება მტრის ჯარების თავმოყრის ჩასაფუშად არ იქნებოდა მიზანშეწონილი.

ცენტრალურ და ვორონეჟის ფრონტებს ებრძანათ გადაესულიყვნენ გაძლიერებულ თავდაცვაზე, მოგერიებითს ბრძოლებში მოექანცათ მტერი და მხოლოდ ამის შემდეგ დაეწყოთ იერიში. დასავლეთისა და ბრიანსკის ფრონტები მტერზე შეტევას ორიოლის მიმართულებით მოამზადებდნენ.

მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ, განსაკუთრებით კი ყოფილ გერმანელ ფაშისტთა არმიის საარქივო მასალების შესწავლამ და აგრეთვე გამოჩენილ ჰიტლერელ ხელმძღვანელთა ომის შემდგომმა გამონათქვამებმა დაადასტურეს, რომ ეს გეგმა ყველაზე სრულფასოვ-

ნად პასუხობდა შექმნილი მდგომარეობის კონკრეტულ პირობებს და უზრუნველყოფდა მცირე დანაკარგით მტრის ძლიერი დაჯგუფების განადგურებას.

სტალინგრადთან სასტიკად დამარცხებამ, შემდეგ კი ფრონტის სამხრეთ უბანზე გაშლილმა ოპერაციამ ჰიტლერული სარდლობა საგონებელში ჩააგდო.

„1943 წლის გაზაფხულმა, — წერდა თავის წიგნში „დაკარგული გამარჯვება" ჰიტლერული არმიის ჯგუფის „სამხრეთის" ყოფილი სარდალი ფელდმარშალი მანშტეინი, — გერმანელი მთავარსარდლობა მძიმე ამოცანის წინაშე დააყენა. ჩვენს მიერ ჩატარებულ ორ კამპანიას არ მოჰყვა საბჭოთა კავშირის განადგურება. შორს გამიზნული შეტევის განსახორციელებლად, რასაც ჩვენ წინა წლებში ვაკეთებდით, ძალები უკვე აღარ გვყოფნიდა. რუსები გვჯობნიდნენ. ეჰ, ალბათ, მაშინვე უნდა მიგეემართა თავდაცვისათვის".

ამავე დროს გერმანელ მთავარსარდლობასაც და ფელდმარშალ მანშტეინსაც კარგად ესმოდათ, რომ თავდაცვაზე გადასვლა 1943 წელს გერმანიისათვის გარდუვალ კრახს მოასწავებდა. ფელდმარშალ მანშტეინის აზრით, თავდაცვითი სტრატეგია გერმანიის არმიისათვის ორი მიზეზით იყო მიუღებელი:

პირველყოვლისა, რუსებს „შეეძლოთ მოცდა, საკუთარი დაჯგუფების გაძლიერება და ლოდინი მანამდე, სანამ მათი მოკავშირეები მეორე ფრონტს გახსნიდნენ კონტინენტზე. ასეთი ლოდინის სტრატეგია არ გამორიცხავდა რამდენიმე დარტყმის მოყენებას მცირე ძალებით, რათა რუსებს, ერთი მხრივ, თავიანთი პრესტიჟიც შეენარჩუნებინათ და, მეორე მხრივ, გერმანელთა ძალებიც დაებანდებინათ აღმოსავლეთის ფრონტზე. გერმანელებისათვის სწორედ ეს იქნებოდა ყველაზე უფრო სავალალო. ომის ამგვარად წარმართვა ჩვენ იქამდე მიგვიყვანდა, რომ უმოქმედოდ უნდა ვმდგარიყავით თავდაცვაში, შემდეგ კი გაცილებით ძლიერი მტრის წინააღმდეგ ორ ფრონტზე მოგვიხდებოდა ბრძოლა. ამ მიზეზით თავდაცვა, რაღაც პოზიციური ომის მაგვარი, ჩვენთვის მიუღებელი იყო. მეორე მოსაზრება, რომელიც თავდაცვითი ტაქტიკის წინააღმდეგ გვიბიძგებდა, ის უბრალო ფაქტი იყო, რომ საამისოდ ჩვენ არ გვყოფნიდა აღმოსავლეთის ფრონტზე განლაგებული დივიზიები.

შავი ზღვიდან ყინულოვან ოკეანემდე გადაჭიმული ფრონტის ხაზი

ძალზე დიდი გახლდათ. შექმნილი ვითარება საბჭოთა მთავარსარდლობას საშუალებას აძლევდა შეტევაზე გადმოსულიყო ერთ ან რამდენიმე უბანზე და გაერღვია ჩვენი ფრონტი, უკეთუ ჩვენ თავდაცვას და მხოლოდ თავდაცვას ვიკმარებდით. ამის შემდეგ მტერი გარს შემოერტყმოდა ფრონტის სტაბილურ უბნებს, გადაგვიჭრიდა უკან დასახევ გზას. 1944 წელმა გვიჩვენა იმის საკმაო მაგალითი, თუ სადამდე მივყავდით უძრავი ფრონტის შენარჩუნების ცდას".

## გადამწყვეტი ბრძოლების წინა დღე

დადგა 1943 წლის აპრილი. გაზაფხულის მზემ თოვლი დაადნო. შუა რუსეთის მთელ გაშლილ ველზე და მარცხენა ნაპირის უკრაინაში აღვივდა ყორნის ფრთასავით შავი, ნაყოფიერი მიწა. ატალახდა გზები, წყლით აივსნენ უამრავი ხევები და ღელეები, ადიდდნენ და გადმოვიდნენ ნაპირებიდან მდინარეები და ნაკადულები. შავი, წებოვანი ტალახი ფეხზე ბორკილად ედებოდა ცხენსაც და კაცსაც. უგზოობამ შებოჭა ყველაფერი. მაგრამ ვერც წყალდიდობამ, ვერც გაზაფხულის სიხარულმა ვერ შეაჩერა ულმობელი ომის სვლა. დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ევროპის ცენტრიდან საბჭოთა კავშირისაკენ ერთიმეორეზე მოექანებოდნენ სამხედრო ეშელონები, თავს იყრიდნენ რკინიგზის მაგისტრალებში ბრიანსკთან, ორიოლთან, სუმთან, ბელგოროდთან, ხარკოვთან. ათიათასობით ადამიანს, ათასობით ქვემეხს, ნაღმმტყორცნს, ტყვიამფრქვევს, ტანკს, თვითმფრინავს უყრიდა თავს გერმანელთა სარდლობა ამ რაიონებში. ფაშისტური გერმანიის მრეწველობა შეუჩერებლად ზრდიდა სამხედრო წარმოებას და აგზავნიდა არმიაში უამრავ იარაღსა და სამხედრო ტექნიკას. იმ რაიონებში, სადაც ოპერაციები გაშალა ე. წ. „ციტადელმა", გროვდებოდა საბრძოლო მასალების, სამხედრო აჭურვილობისა და საწვავის უამრავი მარაგი.

გერმანელ ფაშისტთა შენაერთების და ნაწილების შტაბებში საბოლოოდ ამუშავებდნენ და აზუსტებდნენ შეტევის გეგმებს, აკომპლექტებდნენ და წვრთნიდნენ ჯარებს. დღითიდღე აფართოებდა სამხედრო მოქმედებას ფაშისტთა ავიაცია, თავს ესხმოდა ჩვენს ზურგს, საბჭოთა ჯარების კომუნიკაციას და საბრძოლო განლაგებას.

განსაკუთრებული გააფთრებით დაბომბეს რკინიგზის კვანძები კურსკის, კასტორნოის, ელეცის, ვალუიკის რაიონებში. ამგვარი გულმოდგინებით გერმანელთა სარდლობას არც ერთი შეტევა არ მოუმზადებია.

ე. წ. „ციტადელის“ ოპერაციის მომზადებასთან ერთად გერმანელთა სარდლობა გადამწყვეტი ზომების მიღებას შეუდგა საბჭოთა პარტიზანების წინააღმდეგ. პარტიზანული მოძრაობა სერიოზულ სიძნელეებს უქმნიდა გერმანელებს მთელ დაკყრობილ ტერიტორიაზე. პარტიზანულმა ომმა გრანდიოზული მასშტაბი მიიღო. დღე ერთი იყო და ათობით ეშელონი ვარდებოდა ლიანდაგიდან, ფეთქდებოდა ხიდები, ირღვეოდა რკინიგზის მოძრაობა.

საბჭოთა პარტიზანები განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდნენ ბრიანსკის ტყეებში, გერმანელთა ორიოლის დაჯგუფების ზურგში.

1943 წლის გაზაფხულზე გერმანელთა სარდლობამ ბრიანსკის ტყეებში გადმოისროლა არა მარტო პოლიციელთა ნაწილები და შენაერთები, არამედ საველე ჯარებიც არტილერიით, ტანკებითა და ავიაციით, დიდძალი ჯარითა და სამხედრო ტექნიკით. გერმანელებმა ცეცხლის ალყა შემოარტყეს ბრიანსკის ტყეებს და ცდილობდნენ საბოლოოდ გაენადგურებინათ საბჭოთა პატრიოტები. მთელი აპრილის განმავლობაში პარტიზანები გააფთრებით იბრძოდნენ. ისინი მოწყვეტილი იყვნენ „დიდ მიწას“, აკლდათ სურსათი, იარაღი, ტანსაცმელი, მაგრამ გმირი პარტიზანები მამაცურად იცავდნენ თავს, ახერხებდნენ ძალების ფიცხლად გადაჯგუფებას და თვითონვე გადადიოდნენ შეტევაზე. მიუხედავად ამისა, აპრილის დამლევს გერმანელებმა მაინც შესძლეს პარტიზანთა რაზმების დაქუცმაცება, ალყა შემოარტყეს ყოველ მცირე ჯგუფს და განადგურების საფრთხის წინაშე დააყენეს. ალყაშემორტყმული პარტიზანები ბრძა ბედისწერას როდი დანებდნენ — ალყიდან ბრძოლით გამოვიდნენ, ძალები შეინარჩუნეს და სხვა უფრო უშიშარი ადგილი მოძებნეს გერმანელთა ჯარების ღრმა ზურგში ახალი ხანძრის გასაჩაღებლად.

იმ დროს, როდესაც გერმანელ ფაშისტთა ჯარები კურსკზე საიერიშოდ ემზადებოდნენ, საბჭოთა მთავარსარდლობა საიმედოდ ამაგრებდა კურსკის შვერილის მისადგომებს.

აპრილსა და მაისში კურსკის შვერილზე უჩვეულო გამოცოცხლება სუფევდა. დღისით ველები უსიცოცხლო ჩანდა, მაგრამ როგორც კი

ჩამოწვებოდა ღამის ბინდი, ყველაფერი ამოძრავდებოდა. ზურგიდან ფრონტისაკენ მოიჩქაროდნენ საბარგო ავტომანქანები, საწვერები, ოთხთვალები. მოჰქონდათ ყუმბარები, ნაღმები, ხელყუმბარები, ვაზნები, საწვავი, სურსათი. რკინიგზის სადგურებში სცლიდნენ სამხედრო ტექნიკით, სასროლი მასალითა და საწვავით დატვირთულ ეშელონებს.

დაძაბული მუშაობა იყო გაჩაღებული თავდაცვის ზღვარზე — ითხრებოდა თხრილები, ბლინდაჟები, გასასვლელი გზები, თავშესაფრები. აწყობდნენ სასროლო პოზიციებს, სამეთაურო და დასაყრდენ პუნქტებს, თავშესაფრებს საბრძოლო მასალისათვის, საწვავისათვის, მანქანებისათვის და სურსათისათვის.

ღამის წყვდიადში უხმოდ მიდიოდნენ მესანგრეები და აწყობდნენ ტანკსაწინააღმდეგო და ქვეითი ჯარების საწინააღმდეგო ნაღმებს, დგამდნენ მავთულხლართებს.

შეუმჩნეველი, მხოლოდ მათთვის ნაცნობი გზებით მოიჩქაროდნენ მეკავშირეები, დგამდნენ და ნაღმავდნენ უამრავ მავთულის ზოლებს. ყოველღამ გადიოდნენ წინა ხაზზე მზვერავები და დილით უკან დაბრუნებულებს თან მოჰყავდათ ტყვეები და მოჰქონდათ სულ ახალ-ახალი ცნობები მტრის შესახებ.

ღამით ცაში მოტორთა შეუწყვეტელი გუგუნი ისმოდა. ღოღიალა „კუკურუზნიკები", „ოგოროდნიკები", „სტრეკოზები", — ასე ეძახდნენ მოფერებით ფრონტზე „უ-2"-ს, — ათასობით ბომბს ჰყრიდნენ ფაშისტების პოზიციებზე და მტერი გამუდმებულ შიშსა და ძრწოლვაში ჰყავდათ. ხშირად თვითმფრინავ „უ-2"-ის უჩუმარ ჩიქჩიქს ახშობდა მძიმე ბომბდამშენთა მძლავრი გუგუნი. ისინი მიემართებოდნენ მტრის ღრმა ზურგში და იქ, სადგურებში და რკინიგზის გადასარბენებზე ბომბავდნენ მტრის ეშელონებს, სასიკვდილო ტვირთს აყრიდნენ სამხედრო ობიექტებს. ასე თავდებოდა მოკლე ღამე და კურსკის ველებზე კვლავ სიწყნარე სუფევდა.

სულ მალე კურსკის რკალის მთელი ნახევარწრე გაშემორტყმული იყო თავდაცვითი ზოლების კომპლექსით, ძირითადი და სათადარიგო პოზიციებით, ტანკსაწინააღმდეგო და ქვეითი ჯარების საწინააღმდეგო დაბრკოლებებით, სამეთაურო და სათვალთვალო პუნქტებით, ჯარისა და სამხედრო ტექნიკის დასაცავი თავსაფარებით. ყველაზე უფრო მყარი თავდაცვა იმ ადგილებში იქმნებოდა, სადაც მტრის მთავარ დარტყმას მოელოდნენ. ეს იყო ორიოლ-კურსკისა და ბელგო-

რომის ჩრდილო-დასავლეთი მიმართულება. მთელი თავდაცვის სისტემა შენდებოდა, პირველ ყოვლისა, როგორც ტანკსაწინააღმდეგო, რომელიც გაუმაგრდებოდა მტრის ჯავშნოსანი ტექნიკის დარტყმის ძალას. მტრის ტანკების წინააღმდეგ გამოყოფილი იყო არტილერია, ტანკები, ავიაცია, მსროლელები — ტანკების გამანადგურებელნი; ეწყობოდა დანაღმული მინდვრები, სურპრიზები...

მარტო ცენტრალური და ვორონეჟის ფრონტის ჯარებმა მტრის შეტევის მოსაგერიებლად 12 მილიონი მეტრის სიგრძე თხრილები და გასასვლელები გათხარეს. ყველა ეს თხრილი და გასასვლელი ერთ ხაზზე რომ გავჭიმოთ, ღრმა არხი მთელი ევროპისა და აზიის კონტინენტს გადასერავდა ატლანტიის ოკეანედან წყნარ ოკეანემდე. შრომა, რომელიც კურსკის შეერილის მიწურების მოწყობაში დაიხარჯა, შესაძლებლობას მოგვცემდა გაგვეთხარა თითქმის ორი ათასი კილომეტრის სიგრძის სანაოსნო არხი.

სასწრაფო თავდაცვის მომზადებასთან ერთად საბჭოთა ჯარები შეუდგნენ ყოველმხრივ სამხედრო მომზადებას. თავიანთ შეტევაში, რომელიც ის იყო უნდა დაეწყოთ, გერმანელები დიდ იმედს ამყარებდნენ ახალი ჯავშნოსანი ტექნიკის — „ვეფხვების“, „ფერდინანდების“ და „ავაზების“ მასირებულ და მოულოდნელ გამოყენებაზე. ამ სამხედრო ტექნიკის ნიმუშები ჩვენმა ჯარისკაცებმა ხელთ იგდეს ხარკოვთან ბრძოლების დროს 1943 წლის თებერვალში. უმაღლესი მთავარსარდლობის საგანგებო ბრძანებით დაუყოვნებლივ მოეწყო მტრის ახალი ტანკების სამხედრო თვისებების შესწავლა. პოლიგონებსა და სამხედრო-მეცნიერულ ორგანიზაციებში ტარდებოდა „ვეფხვების“, „ავაზებისა“ და „ფერდინანდების“ ფართო და ყოველმხრივი გამოცდა, რამაც საშუალება მოგვცა გამოგვემჟღავნებინა მათი სუსტი მხარეები. ამ ცდების მონაცემების საფუძველზე მოეწყო სწორედ ტანკსაწინააღმდეგო ბრძოლის საბჭოთა საშუალებანი. საბჭოთა მეომრებმა ყველაფერი იცოდნენ გერმანელების ახალი ტიპის ტანკების შესახებ. მცირე დროის განმავლობაში ყველა რიგითმა ჯარისკაცმა გაიგო, რას წარმოადგენდა მტრის ახალი ჯავშნოსანი ტექნიკა. თვითეულმა მათგანმა შეითვისა „ვეფხვების“, „ფერდინანდებისა“ და „ავაზების“ წინააღმდეგ ინდივიდუალური და ჯგუფური ბრძოლის „საიდუმლოებანი“.

მცირე დროში ცენტრალური და ვორონეჟის ფრონტის ჯარებმა შექმნეს მძლავრი თავდაცვა და მოემზადნენ გერმანელ ფაშისტთა ჯარე-

ბის დამრტყმელი დაჯგუფებების მოსაგერიებლად. ამავე დროს დასავლეთისა და ბრიანსკის ფრონტის ჯარებმა დაიწყეს მზადება მტრის ორიოლის პლაცდარმის წინააღმდეგ შეტევისათვის.

ორიოლის პლაცდარმი წარმოადგენდა შვერილს, რომელიც შეჭრილი იყო საბჭოთა ჯარების განლაგებაში ტულასა და კურსკს შორის. იგი შეიქმნა 1942—43 წლის ზამთარში საბჭოთა არმიის შეტევითი ოპერაციების შედეგად, ორიოლის შვერილის მწვერვალი წვდებოდა ქალაქებს: მცენსკს, ნოვოსილსა და მალოარხანგელსკს, მისი ფუძე კი ეყრდნობოდა რკინიგზის ხაზს — კიროვი, ბრიანსკი, ლვოვი.

1941—42 წლის ზამთარში კონტრიერიშზე გადასულმა ჩვენმა ჯარებმა გერმანელები სასტიკად დაამარცხეს მოსკოვთან და გააფთრებული ბრძოლებით ორიოლისა და ბრიანსკის მისადგომებს მიაღწიეს. ორიოლი და ბრიანსკი მნიშვნელოვანი საწარმოო ცენტრები და რკინიგზის საკვანძო სადგურებია. მათ შენარჩუნებას გერმანელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. 1941— 42 წლის ზამთრის მიწურულს გერმანელთა სარდლობამ აქ მნიშვნელოვანი რეზერვები გადმოიყვანა და საბჭოთა ჯარების წინსვლა შეაჩერა. კიროვ-მცენსკის ხაზზე ფრონტი დიდი ხნით სტაბილური გახდა. ასე შეიქმნა ორიოლის პლაცდარმის ჩრდილოეთი მხარე, აღმოსავლეთი და სამხრეთი მხარეები კი შეიქმნა უკვე მოხსენებული ზამთრის შეტევის შედეგად.

ორიოლის პლაცდარმს გერმანელ ფაშისტთა სარდლობის გეგმებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. თავდაპირველად გერმანელებს განზრახული ჰქონდათ ეს პლაცდარმი დამრტყმელი დაჯგუფებების თავმოსაყრელად გამოეყენებინათ, რათა აქედან რკინიგზის და საავტომობილო მაგისტრალის — ორიოლ, ტულა, მოსკოვის გასწვრივ კვლავ დაეწყოთ შეტევა საბჭოთა კავშირის დედაქალაქზე. ამ ვარიანტის განხორციელებით მტერი სამხრეთიდან მიადგებოდა მოსკოვს. გზატკეცილების ფართო ქსელი და ვაკე ადგილმდებარეობა ხელს შეუწყობდა ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების ეფექტურ მოქმედებას.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა ჯარებმა კურსკის შვერილი შექმნეს, ორიოლის პლაცდარმმა უფრო დიდი მნიშვნელობა მიიღო. ორიოლის შვერილი გადმოწოლილი იყო კურსკის შვერილზე და საბჭოთა ჯარებს დასავლეთისაკენ წინსვლის გზას უღობავდა. ორიოლის პლაცდარმზე გაბატონებულ გერმანელებს საშუალება ჰქონდათ მუდამ ფრონტიდან დარტყმის საფრთხის ქვეშ ჰყოლოდათ საბჭოთა ჯარები

კურსკის შვერილის რაიონში. ეს მათ კიდეც მოიმოქმედეს 1943 წლის **ზაფხულში.**

ორიოლის პლაცდარმის თავდაცვა მზადდებოდა თითქმის 2 წლის განმავლობაში. გერმანელებმა აქ ძალისძალად მორეკეს ათასობით საბჭოთა ადამიანი და პლაცდარმი რთული სისტემის სხვადასხვა თავდაცვითი ნაგებობით გაამაგრეს. სიმაგრის საფუძველს შეადგენდა ძლიერი თავდაცვითი ზოლები, რომლებიც ეშელონებად იყვნენ განლაგებულნი დიდ სიღრმეზე.

მტრის მთავარი თავდაცვითი ზოლის სიღრმე 5—7 კილომეტრი იყო. ეს ზოლი დასაყრდენი პუნქტების სისტემისა და ე. წ. „წინააღმდეგობის კვანძებისაგან" შედგებოდა. ყოველივე ამას ერთიმეორესთან აკავშირებდა თხრილებისა და გასასვლელების ფართოდ დატოტვილი ქსელი. პლაცდარმის ნახევარწრის წინახაზზე იყო სამი, ალაგ-ალაგ კი ოთხი თხრილი, რომლებშიც კაცს მთელი სიმაღლით შეეძლო გავლა-გამოვლა.

წინა ხაზთან და თავდაცვის სიღრმეში გაჭიმული იყო მავთულის ღობეები ერთ ან ორ რიგად. ამას გარდა, შექმნილი იყო მრავალი ტანკსაწინააღმდეგო და ცოცხალი ძალის საწინააღმდეგო დანაღმული ველები. წინა ხაზის ყველა მისადგომს ტყვიამფრქვევების, ატრიალერიისა და ნაღმმტყორცნების ცეცხლი ფარავდა. მთავარ მიმართულებებზე გამართული იყო მიწაში ღრმად ჩასმული რკინა-ბეტონის ნაგებობანი— საცეცხლე წერტები. ირგვლივი თავდაცვის უნარი ყველა საცეცხლე წერტისა და პოზიციის ძირითად პირობას წარმოადგენდა. თავდაცვის სიღრმეში გერმანელებმა გააშენეს შუალედი და ზურგის ზღვრები, რომლებზეც განლაგებული იყო ეშელონები და რეზერვები. ყველაზე უფრო ძლიერი თავდაცვითი ზღვრები მომზადებული იყო მდინარეთა ნაპირებზე.

ორიოლის პლაცდარმის ტერიტორიაზე გერმანელებმა შექმნეს აეროდრომებისა და თვითმფრინავის დასაშვები მოედნების ფართო ქსელი. თავმოყრილი იყო მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა დიდი მარაგი. გაკეთდა ახალი გზები...

ორიოლის პლაცდარმს გერმანელთა მეორე სატანკო არმია იცავდა. გადამწყვეტი ბრძოლების დროს მას ესმარებოდა მე-9 არმია, რომლის შემადგენლობაში იყო არა მარტო ქვეითი ჯარები, არამედ დიდძალი სატანკო დივიზიებიც, რომლებმაც შემდგომში გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს ჩვენს შემტევ ქვეგანაყოფებს.

მტრის ორიოლის დაჯგუფების განადგურება და მისი ძლიერი პლაცდარმის ლიკვიდირება დასავლეთის, ბრიანსკისა და ცენტრალურ ფრონტებს დაევალა. ორიოლის პლაცდარმის ლიკვიდირებით საბჭოთა სარდლობას განზრახული ჰქონდა სამივე მხრიდან დაძგერებოდა ორიოლს, გაეთიშა მტრის ჯარების დაჯგუფება ერთიმეორისაგან იზოლირებულ ნაწილებად და ცალ-ცალკე გაენადგურებინა ისინი.

ამ გეგმის განსახორციელებლად შეიქმნა დამრტყმელი დაჯგუფებები:

მდინარეების ჟიზდერის და რესეტის შეერთების რაიონში ორიოლის პლაცდარმს ჩრდილო-დასავლეთიდან შეუტევდა დასავლეთის ფრონტის გაძლიერებული მე-11 გვარდიის არმია.

პლაცდარმის ჩრდილო ნაწილში კი ქალაქ ბოლხოვის ჩრდილო-აღმოსავლეთით შეტევას განახორციელებდა ბრიანსკის ფრონტის გაძლიერებული 61-ე არმია, ხოლო პლაცდარმის აღმოსავლეთი ნაწილი ქალაქ ორიოლის აღმოსავლეთით უნდა დაეკავებინა ბრიანსკის ფრონტის მე-3 და 63-ე არმიებს.

ამგვარად, მტერს ხელიდან ეცლებოდა შესაძლებლობა გამოეყენებინა თავისი რეზერვები საბჭოთა ჯარების დარტყმების მოსაგერიებლად. დაჰკრა მტრის ორიოლის დაჯგუფების განადგურების საათმა.

უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანების თანახმად საბჭოთა ჯარები ჯერ კიდევ 1943 წლის აპრილში შეუდგნენ ორიოლის პლაცდარმის იერიშის მომზადებას.

ამ მომზადების დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მტრის შესწავლას. წინა ხაზის მახლობლად მოწყობილი იყო ათასობით სათვალთვალო პუნქტი. ჩვენს მეთვალთვალეებს უმნიშვნელო მოძრაობაც კი არ გამოეპარებოდათ მტრის ბანაკში, ხოლო რისი შემჩნევაც ვერ ხერხდებოდა მიწის ზედა სათვალთვალო პუნქტების საშუალებით, აქ დაუფასებელ როლს ასრულებდა ავიადაზვერვა.

ღამღამობით მზვერავებს ტყვეები მოჰყავდათ, ყოველღამ ნახულობდნენ და ინიშნავდნენ დანაღმულ მინდვრებს, აზუსტებდნენ მტრის განლაგებასა და თავდაცვის მდგომარეობას. დღითიდღე შტაბის რუკებზე სულ ნათლად და ნათლად იკვეთებოდა მტრის დაჯგუფება და თავდაცვის სისტემა.

შეტევის წინ ჩვენს არმიაში და შენაერთში ჯარების დაძაბული სამხედრო მეცადინეობა დაიწყო. მაისისა და ივნისის განმავლობაში სპე-

ციალურ სასწავლო ველებზე, რომლებიც მტრის თავდაცვის მსგავსად იყო მოწყობილი, ჯარები პრაქტიკულად სწავლობდნენ შეტევითი ბრძოლის სხვადასხვა წესს, სწავლობდნენ მტრის თავდაცვაზე იერიშის მიტანას, კონტრიერიშების მოგერიებას, ხელში ჩაგდებული ზღუდეების გამაგრებას, მდინარეების გადალახვას, ბრძოლის წარმართვას ქალაქებში, მსხვილ დასახლებულ პუნქტებში, ტყეებსა და გაშლილ ადგილებზე.

ჯარების მომზადებასთან ერთად გროვდებოდა შეტევისათვის აუცილებელი ყველა მატერიალურ-ტექნიკური საშუალება. ღამღამობით რკინიგზითა და ავტომანქანებით ფრონტისაკენ განუწყვეტლად მოედინებოდა საბრძოლო მასალები, საწვავი, ტანსაცმელი, სურსათი, სამხედრო აღჭურვილობა...

ასე რომ. კურსკის ბრძოლის მომზადება არ შემოფარგლულა მარტო კურსკის შვერილის ძლიერი თავდაცვის შექმნით; ის შეიცავდა სხვადასხვა ღონისძიებათა რთულ კომპლექსს, როგორც თავდაცვისათვის, ასევე შეტევისათვისაც.

1943 წლის აპრილის დამლევს ცენტრალური და ვორონეჟის ფრონტის ჯარებმა ძირითადად დაამთავრეს თავდაცვის ორგანიზაცია. 2 მაისს უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკმა გააფრთხილა სამივე ხსენებული ფრონტის სარდალი. რომ მტერი მოკლე ხანში გადმოვა შეტევაზე. საბჭოთა ჯარები მოყვანილ იქნა საბრძოლო მზადყოფნაში, მაგრამ გავიდა ერთი დღე-ღამე, მეორე, მესამე, გერმანელები კი არ იწყებდნენ შეტევას.

რა მოხდა?

18 აპრილს „სამხრეთის“ დაჯგუფების სარდალი ფელდმარშალი მანშტეინი სპეციალური წერილით არწმუნებდა ჰიტლერს, რომ რაც შეიძლება ჩქარა დაეწყოთ კურსკზე შეტევა და უმტკიცებდა, რომ კურსკთან გამარჯვება აანაზღაურებს ყველა დამარცხებას ფრონტის სხვა უბნებზე. მაგრამ, წინააღმდეგ ფელდმარშლის რწმენისა, ჰიტლერს და მის გარშემო მყოფ პირთ ეჭვი ეპარებოდათ კურსკთან გამარჯვებაში. მიუხედავად იმისა, რომ ოპერაცია „ციტადელის“ მომზადება გულმოდგინედ ჩატარდა და თითქმის ყველაფერი უკვე მზად იყო. მთელი აპრილის განმავლობაში გერმანელთა მთავარსარდლობა ყოყმანმა შეიპყრო — ღირდა თუ არა ამ ოპერაციის წამოწყება? თვით

ყველაზე დიდ ოპტიმისტებსაც კი ჯერ ვერ განელებოდათ სტალინგრადის გაუგონარი ხოცვა-ჟლეტის ცოცხალი შთაბეჭდილებანი.

1943 წლის 4 მაისს ჰიტლერმა მიუხენში მოიწვია სპეციალური სამხედრო თათბირი ოპერაცია „ციტადელის“ შესახებ. თათბირს დაესწრო გენერალური შტაბის უფროსი გენერალი ცეიტცლერი, სატანკო ჯარების მთავარი ინსპექტორი გენერალი გუდერიანი, შტაბის უფროსი ეშონევი, „ცენტრის“ და „სამხრეთის“ დაჯგუფების სარდლები ფელდმარშალი კლიუგე და ფელდმარშალი მანშტეინი, არმიის მეთაურები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ „ციტადელის“ ოპერაციაში და გერმანელ ფაშისტთა არმიის ძალაი თანამდებობის პირნი.

მთავარი მოხსენება კურსკის შვერილის მდგომარეობისა და „ციტადელის“ ოპერაციის შესახებ გააკეთა გერმანელთა მე-9 არმიის სარდალმა გენერალ-პოლკოვნიკმა ფონ მოდელმა. მოდელი აღნიშნავდა, რომ საბჭოთა ჯარებმა კურსკის შვერილზე შექმნეს ძლიერ გამაგრებული თავდაცვა, სადაც უხვადაა გამოყენებული ახალი ტანკსაწინააღმდეგო საშუალებანი. ამ ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებს ძალუძთ წარმატებით გაართვან თავი გერმანელების ახალ ჯავშანსატანკო ტექნიკის მასირებულ შეტევებსაც კი. ოპერაცია „ციტადელის“ მარცხის შიშით მომხსენებელმა ისე შორს შესტოპა, რომ გულახდილად განაცხადა:

„მტერი იმედს ჩვენს შეტევაზე ამყარებს. წარმატების მისაღწევად სხვა ტაქტიკას უნდა მივმართოთ. იქნებ სჯობდეს, სულაც უარი ვთქვათ ამ შეტევაზე?“

ფელდმარშალ მანშტეინის გადმოცემით, მოდელის მოხსენებამ ჰიტლერზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ჰიტლერი შიშობდა, კურსკის შვერილის იერიში გაჭიანურდა და ვაითუ საბჭოთა ჯარების ალყის შემორტყმა ვეღარ მოვახერხოთო. არ კმაროდა ძალა, განსაკუთრებით ტანკები. საბჭოთა თავდაცვის გასარღვევად გაცილებით მეტი სატანკო დივიზიები იყო საჭირო. ჰიტლერმა განკარგულება გასცა ოპერაცია „ციტადელის“ ჩასატარებლად განკუთვნილი სატანკო დივიზიების დიდი ნაწილი 10 ივნისისათვის კურსკის რაიონში გადმოესროლათ. იქვე უნდა დაჯგუფებულიყო „ვეფხვების“, „ავაზების“ საკმაო რაოდენობა და „ფერდინანდების“ განსაკუთრებული ბატალიონი.

ამას გარდა, ჰიტლერმა ბრძანება გასცა, გაესქელებინათ ტანკების და საიერიშო ქვემეხების ჯავშანი ზედ დამატებითი ეკრანების მიმაგრებით.

ყოველივე ამან ოპერაცია „ციტადელის" მომზადების კადის გაგრძელება მოითხოვა.

ფელდმარშლები მანშტეინი და კლიუგე, აგრეთვე სამხედრო საჰაერო ძალთა შტაბის და გენერალური შტაბის უფროსები გამოვიდნენ ოპერაცია „ციტადელის" შეყოვნების წინააღმდეგ.

საწინააღმდეგო მოსაზრებათა პასუხად ჰიტლერმა განაცხადა, შექმნილ გარემოებას კიდევ ავწონ-დავწონიო. ამით დამთავრდა თათბირი, რომელსაც არ გამოუტანია განსაზღვრული გადაწყვეტილება.

11 მაისს გამოვიდა გერმანიის რაიხკანცლერის ბრძანება. ამ ბრძანების საფუძველზე ოპერაცია „ციტადელი" ივნისის შუა რიცხვებისათვის გადაიდო. დაიწყო უამრავი ტანკებისა და საიერიშო ქვემეხების გადატანა კურსკის რაიონში. გერმანელ ფაშისტთა ჯარები არც ივნისის შუა რიცხვებში აღმოჩნდნენ მზად შეტევის დასაწყებად. გერმანიის მრეწველობა, მიუხედავად იმისა, რომ მისი სამხედრო პოტენციალი მაქსიმალურ დონეზე იდგა, ვერ ასწრებდა ტანკების საჭირო რაოდენობის დროზე გამოშვებას. ჯავშანსატანკო ძალების რიცხვი, რომელიც განკუთვნილი იყო ოპერაცია „ციტადელის" ჩასატარებლად, მხოლოდ ივლისში გაორკეცდა.

იმ დროისათვის ოპერაცია „ციტადელის" ჩასატარებლად თვითეულ ქვეით დივიზიაში 12500 ჯარისკაცი და ოფიცერი, 190-მდე ქვემეხი და ნაღმმტყორცნი ირიცხებოდა. ამგვარი დივიზია ყველა დივიზიის ორ მესამედს შეადგენდა, დანარჩენ მესამედს ჰყავდა 1657 კაცი და შეიარაღებული იყო 160-მდე ქვემეხით და ნაღმმტყორცნით.

სატანკო დივიზიების დიდი რიცხვი, მათ შორის სს-ის სატანკო დივიზიებიც 1600 ჯარისკაცს და ოფიცერს ითვლიდა. თვითეული მათგანი შეიარაღებული იყო 290 ტანკით და თვითმავალი ქვემეხით. ჭარბად იყვნენ დაკომპლექტებული სს-ის სატანკო დივიზიები: „მკვდარი თავი", „ადოლფ ჰიტლერი", „რეიხი", აგრეთვე 1-ლი, მე-3, მე-4, მე-8, მე-9, მე- 11,მე მე-18, მე-19, მე-20 სატანკო დივიზიები. ასევე ჭარბად იყვნენ დაკომპლექტებული მე-6, მე-7, 31-ე, 78-ე, 86-ე, 167-ე, 168-ე 198-ე, 216-ე, 292-ე 320-ე და 332-ე ქვეითი დივიზიები.

1 ივლისს ჰიტლერმა თავის ბანაკში, აღმოსავლეთ პრუსიაში, გა-

მოიძახა ყველა დაჯგუფების სარდალი; არმიებისა და სახმელეთო ჯარების კორპუსების და სამხედრო-საჰაერო ძალების მეთაურები. აღმოსავლეთ პრუსიაში გამართულ ამ თათბირზე ჰიტლერი გამოვიდა ვრცელი მოხსენებით, რომელშიც შეეხო ომის შემდგომ პერსპექტივებს. რაიხკანცლერი ამტკიცებდა, რომ ოპერაცია „ციტადელის“ გადადებამ გერმანელებს დიდი უპირატესობა მისცა, რადგან დამრტყმელმა დაჯგუფებებმა მიიღეს მნიშვნელოვანი შეკვეთა, განსაკუთრებით კი ცოცხალი ძალისა და საბრძოლო ტექნიკის მხრივ და აწ მათ შეეძლებათ არა მარტო შემუსრონ საბჭოთა ჯარების თავდაცვა, არამედ ისეთი ზიანიც მიაყენონ, რომლის შემდეგაც საბჭოთა არმია სულს ვერასოდეს ვეღარ მოითქვამს.

ჰიტლერი არცთუ ისე სახიფათოდ თვლიდა გერმანიის მდგომარეობას. გერმანიისათვის 1936, 1938, 1939 და 1940 წლები უფრო სახიფათო იყო და ოპერაცია „ციტადელი“ ახლა საბოლოოდ გაუხსნის მას გზას ძლევამოსილ გამარჯვებისაკენ. ჰიტლერი საგანგებოდ შეჩერდა საბჭოთა კავშირის ხალხთა დამოუკიდებლობის საკითხზე. მან განაცხადა, რომ გერმანიამ აღარ უნდა მისცეს დამოუკიდებლობისა და სხვა კეთილდღეობის პირობა საბჭოთა კავშირის ხალხებს, რადგან ეს ცუდად მოქმედებს გერმანელ ჯარისკაცთა საბრძოლო სულისკვეთებაზე. გერმანელმა ჯარისკაცებმა უნდა იცოდნენ, რომ ისინი სისხლს ღვრიან არა სხვისი ინტერესების გულისათვის, არამედ თავისთვის, თავისი შვილებისა და შვილიშვილებისათვის.

ამ თათბირზე ჰიტლერმა ბრძანა, გადამწყვეტი შეტევა კურსკის შვერილზე 1943 წლის 5 ივლისს გამთენიისას დაეწყოთ.

2 ივლისს, აღმოსავლეთ პრუსიაში გამართული თათბირის მეორე დღეს, ცენტრალური და ვორონეჟის ფრონტების სარდლებმა მიიღეს უმაღლესი მთავარსარდლობის სპეციალური დეპეშა, რომელშიც ეწერა, რომ მტრის შეტევა კურსკის შვერილზე მოსალოდნელი იყო 3 და 6 ივლისს შუა. დეპეშის მიღებისთანავე საბჭოთა ჯარებმა მტრის ჯეროვანი დახვედრის უკანასკნელი თადარიგი გასწიეს. ყველამ თავისი ადგილი დაიკავა. მტრის მხარე მიჩუმდა. ეს ჰგავდა ბუნების წამიერ გარინდებას დიდი ქარიშხლის წინ.

ორიოლის სამხრეთ რაიონებში და ბელგოროდის დასავლეთით ღამითაც კი შეწყდა ჯარებისა და საბრძოლო ტექნიკის ჩვეულებრივი მოძრაობა.

სულ სხვა მდგომარეობა იყო ხარკოვის სამხრეთით — დონბასის გზებზე. აქ წინ და უკან დაიარებოდნენ ტანკები, საბარგო საწევრები, ავტომანქანები, ოთხთვალები. იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს კურსკის რკალიდან ყველაფერი დაიძრა და დონბასისაკენ გაეშურა.

ჩვენი ნაწილებისა და შენაერთების მეთაურები აშკარად ხედავდნენ, რომ მტერი მოტყუებას ცდილობდა: შენიღბული მანევრის საშუალებით მას განზრახული ჰქონდა შეენელებინა ჩვენი ჯარების ყურადღება შეტევის მთავარ უბანზე და ამით მოეპოვებინა პირველი მოულოდნელი დარტყმის უპირატესობა. გერმახელებმა სხვა ფანდსაც მიმართეს: რადიოთი წამდაუწუმ აცხადებდნენ, რომ „სამხრეთის" არმიის ჯგუფის სარდალი ფელდმარშალი მანშტეინი ბუქარესტში იყო ვიზიტით. იქ თითქოს ანტონესკუსათვის ოქროს ნიშანი უნდა გადაეცა ყირიმის კამპანიის წარმატებით ჩატარების გამო.

ჩვენი ნაწილები და შენაერთები ყოველ წუთს და ყოველ წამს ელოდებოდნენ მტრის იერიშზე გადმოსვლას ორიოლის და ბელგოროდის მხრიდან.

ფელდმარშალი მანშტეინი 3 ივლისს დილით გადაფრინდა ბუქარესტში, მაგრამ იმავე საღამოს დაბრუნდა და სპეციალური მატარებლით ოპერატიულ ჯგუფთან ერთად მაშინვე ფრონტზე გაემგზავრა; სპეციალურმა მატარებელმა ბელგოროდისაკენ აიღო გეზი. ორიოლის შტაბითურთ მიუახლოვდა ფრონტის მეორე დამრტყმელთა ჯგუფის მეთაური გენერალ-პოლკოვნიკი მოდელიც. 4 ივლისს, ღამით, ორიოლისა და ბელგოროდის დამრტყმელმა დაჯგუფებებმა დაიწყეს საწყისი მდგომარეობის დაკავება კურსკზე შეტევის განსახორციელებლად. იმავე ღამეს ბელგოროდის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენს მხარეზე გადმოვიდა მტრის ჯარისკაცი, ეროვნებით სლოვაკი, რომელმაც გვამცნო, რომ გერმანელები მოემზადნენ შეტევაზე გადმოსასვლელად კურსკის მიმართულებით.

4 ივლისს ღამე კაშკაშა მთვარე ამოვიდა. მოსარკულ ცაზე წვრილი ვარსკვლავები ციმციმებდნენ. ეს უკანასკნელი წყნარი ღამე იყო კურსკის შვერილზე. აუჩქარებლად დგებოდა განთიადი. ოდნავი ბურუსი გადაეფარა მდუმარე კელებს. ირგვლივ უშფოთველი სიმშვიდე სუფევდა. ჩვენს წინა ხაზზე შეიცვალნენ მორიგე ქვეგანაყოფები. სამზარეულოებმა ცხელი საჭმელი მოიტანეს პოზიციაზე. მზე მაღლა და მაღლა იწევდა. ბურუსი გაიფანტა. დადგა ნამდვილი გაზაფხულის ცხე-

ლი, მზიანი დღე. სადღაც მაღლა, ძალზე შორს, ღრუბელი გაჩნდა. მინდვრებს ჩრდილი დაადგა.

დრო გამტანჯველად მიიზლაზნებოდა. მეთაურები და მეთვალთვალენი ერთ წამსაც არ აშორებდნენ თვალს მტრის მოძრაობას. მსროლელები, მეტყვიამფრქვევები, არტილერისტები, ნაღმმტყორცნები გაინაბნენ თავიანთ ადგილებზე. სმენაგამახვილებული რადისტები ყურს უგდებდნენ მდუმარე ეთერს. საბჭოთა პოზიციებზე უკვე ყველაფერი მზად იყო მტრის დასახვედრად. მაგრამ საათი საათს მისდევდა, მტრის ბანაკში კი კვლავ სიჩუმე სუფევდა. წყნარად ჩაიარა სადილმა და კვლავ დაიწყო დაძაბული მოლოდინი.

და უცებ 15 საათსა და 55 წუთზე სადღაც ბელგოროდის დასავლეთით საავიაციო მოტორების ოდნავ გასაგონი გუგუნი მოისმა. იმწამსვე გაიცა ბრძანება: „ჰაერი". მეზენიტეებმა შემოატრიალეს ზარბაზნები და ტყვიამფრქვევები, აეროდრომებზე აგუგუნდნენ ავიაგამანადგურებლები, ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ სამეთაურო და სათვალთვალო პუნქტები...

16 საათზე ბუტოვის, სტრელეცკოესა და იახონტოვის რაიონში ღრუბლებიდან გამოცურდა მტრის 90 ბომბდამშენი და 35 ავიაგამანადგურებელი. დაიქუხა პირველმა საზენიტო ზარბაზანმა. აეროდრომებიდან ნავარდით აფრინდნენ საბჭოთა ავიაგამანადგურებლები.

მტრის ბომბდამშენებმა წრე შემოფარგლეს და საბრძოლო დაცვის პოზიციებს დაატყდნენ თავს. ათი წუთის განმავლობაში პოზიციების ამ ვიწრო ზოლზე 2500 ბომბი ჩამოაგდეს. ბომბდამშენები ჯერ კიდევ იქვე ტრიალებდნენ, როცა 16 საათსა და 10 წუთზე ბუტოვის, დრაგუნსკოის, იახონტოვის რაიონებში მტრის ქვემეხები და ნაღმმტყორცნები აყეფდნენ. ჭურვები საბრძოლო დაცვის პოზიციებს ეცემოდა. ტანკებს ბევრი აღარ დაუხანებიათ: სანამ საარტილერიო სროლის გრუხუნი იქაურობას აყრუებდა, კვამლში გამოჩნდნენ ტანკები. იარაღმომარჯვებული ქვეითი ჯარი კვალდაკვალ მოჰყვებოდა მათ. მტერს ჩვენი შენაერთის საბრძოლო დაცვის, არტილერიისა და 71-ე და 72-ე ქვეითი დივიზიების მასირებული ცეცხლი დახვდა. გააფთრებული ბრძოლა გაჩაღდა. ჩვენი ჯარების თვითეულ მციერვიცხოვან გარნიზონს მტერმა სამჯერ მეტი ძალა დაუპირისპირა. გვარდიის 71-ე მსროლელი დივიზიის ორი ასეულის წინააღმდეგ ნოვოგორიანსკისა და გერცოვკის რაიონში ხუთამდე ათასეული და 30 ტანკი წამოვიდა.

ჩვენი საბრძოლო დაცვის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება ორი ქვეითი და სს-ის სატანკო დივიზიის „მკვდარი თავის“ ნაწილები. მათ იერიშს ძლიერი ცეცხლით მხარს უჭერდა არტილერია და ნაღმმტყორცნები, ჰაერში კი ერთიმეორეზე ჩნდებოდნენ ბომბდამშენთა ახალ-ახალი ძალები. 16 საათიდან 20 საათამდე ჩვენი შენაერთის საბრძოლო დაცვის პოზიციებს 400-ზე მეტი თვითმფრინავი ბომბავდა.

მიუხედავად იმისა, რომ მტერი ძალიან ძლიერი იყო, დაცვის მეომრები არ შემკრთალან და თავგანწირულად ჩაებნენ უთანასწორო ბრძოლაში. მათ დახმარებას უწევდა არტილერია და ნაღმმტყორცნები, რომლებიც თავდაცვის მთავარ ზოლზე იდგნენ. საბჭოთა ავიაგამანადგურებლები მოსვენებას არ აძლევდნენ თავდამსხმელ ბომბდამშენებს. მტრის პირველი იერიში მოგერიებულ იქნა. როგორც ჰაერიდან, ასევე ხმელეთზე გერმანელებმა კვლავ განაახლეს იერიში. დაბოლოს, მტრის რიცხობრივმა უპირატესობამ თავისი გაიტანა, გერმანელებმა მოახერხეს ჩვენი ნაწილების საბრძოლო დაცვის პოზიციებს მიახლოებოდნენ ბუტოვის რაიონში. 16 საათსა და 55 წუთზე 5 ტანკი სოფლის სამხრეთ უბანში შეიჭრა.

არტილერიამ მაინც მოახერხა შემოჭრილი ტანკების განადგურება, მტრის დანარჩენი ძალები კი უკუგდებულ იქნა. მტერმა მძიმე გასაჭირში ჩააგდო ჩვენი შენაერთის ერთ-ერთი ათასეული სტრელეცკოე-იახონტოვის ზღვარზე. ათასობით ყუმბარამ და ნაღმმა დაჰფარა გვარდიელთა პოზიციები. ავიაბომბებმა გადათხარა იქაურობა. ფაშისტთა ტანკები და ქვეითი ჯარი სამი მხრიდან ეკვეთა გმირ ათასეულს. ერთმანეთს მოწყვეტილი გვარდიელები მედგრად იგერიებდნენ მტრის იერიშებს. სანგრები ჩაინგრა და სანახევროდ მიწით ამოივსო. ტყვიის წვიმა და ცეცხლის გენია წამითაც არ წყდებოდა. ცოცხლად დარჩენილი გვარდიელები წარბს მაინც არ იხრიდნენ. მათ ყველა ფერიში მოიგერიეს. გვარდიის უფროსი სერჟანტი ხოფერია საჭერ მოჰყვა მიწის ქვეშ, მაგრამ სამჯერვე ამოვიდა და ხელის ტყვიამფრქვევით გაანადგურა 20-ზე მეტი გერმანელი. მტერი არ ცხრებოდა. ახლა ტანკები წამოვიდნენ ბრძოლის ბედის შესატრიალებლად. მაშინ პოლკის პარტორგი გვარდიის კაპიტანი ნიკოლოზ საგულიშვილი, რომელიც ათასეულში იმყოფებოდა, ტანკგამანადგურებლებს ჩაუდგა სათავეში. მეომრებმა ახლო მოუშვეს ტანკები და, როდესაც რეაქტიული ნაღმმტყორცნების ბათქმა დაიგრიალა, დამიზნებული ცეცხლი

გახსნეს, 11 ტანკს იისფერი ალი მოედო. ეკიპაჟები ამაოდ ცდილობდნენ თავის გადარჩენას. ჯერ კიდევ უკნებელი 9 ტანკი კვლავ წინ მოიწევდა. სამჯერ დაიჭრა გვარდიის კაპიტანი საგულიშვილი, მაგრამ ბრძოლის ველი მაინც არ მიუტოვებია — ტანკგამანადგურებლების ხელმძღვანელობას განაგრძობდა.

უდიდესი დანაკლისის მიუხედავად, გერმანელები თავზეხელაღებულ წინსვლას განაგრძობდნენ. მათ შესძლეს ერთ უბანზე ჩვენს თხრილში შემოჭრა. ათასეულის მეთაურის თანაშემწემ გვარდიის კაპიტანმა საგულიშვილმა მოაგროვა მებრძოლთა ჯგუფი და გერმანელები თხრილიდან ამოყარა. მტერმა ხრიკს მიმართა, ფლანგებს შემოუარა და ზურგში შეიჭრა. დაუყოვნებლივ გადაჯგუფდნენ ჩვენი ქვეგანაყოფები, ირგელივი თავდაცვა დაიკავეს. მომხდურ მტერს დაუხვდა მუსრავდა გვარდიის უფროსი სერჟანტის მიხეილ კალოტიშვილის ტყვიამფრქვევი. მტერმა ოცზე მეტი ტანკი და რამდენიმე ასეული ჯარისკაცი დაკარგა. გერმანელებმა ვერ გასტეხეს უშიშარი გვარდიელები და იძულებული გახდნენ იერიში შეეჩერებინათ.

სოფელ ბუტოვის რაიონში მტერს გმირულად ებრძოდა 67-ე გვარდიის მსროლელი დივიზიის 199-ე პოლკის მეომართა ჯგუფი უფროს ლეიტენანტ ალექსი სტარიჩკოვის მეთაურობით.

გვარდიის უმცროსმა ლეიტენანტმა ბესარიონ სამხარაძემ ტანკსაწინააღმდეგო იარაღით ფაშისტური ორი ტანკი დასწვა, ერთი კი ააფეთქა. რიგითი გვარდიელი ბელოვი ორჯერ დაიჭრა, მაგრამ თავის ხელის ტყვიამფრქვევს მაინც არ მოსცილებია და 30-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაანადგურა.

გვარდიელებმა პირნათლად შეასრულეს თავიანთი მეთაურის ბრძანება: „არც ერთი ნაბიჯი უკან!“ ცოცხალი მხოლოდ რამდენიმე კაცი დარჩა. ეს უკანასკნელნი შვიდ საათზე მეტ ხანს ებრძოდნენ გერმანელთა მთელ ბატალიონს. არც ერთი არ შემდრკალა უთასანწორო ბრძოლაში, არც ერთს არ მიუტოვებია დასაცავად მინდობილი უბანი.

ნაშუადღევის 4 საათიდან მოკიდებული დაღამებამდე მტრის ორი ქვეითი პოლკი და ერთი სატანკო დივიზია უტევდა ჩვენი შენაერთის საბრძოლო დაცვას. მტერმა მხოლოდ რამდენიმე უბანზე მოაღწია წინა ხაზამდე, სადაც შეჩერებულ იქნენ თავდაცვის მოვარი ზოლის ცეცხლით.

მომდევნო დღეს—5 ივლისს ჩვენს ფრონტზე მყუდროება დამყარ-

და; მაგრამ, როგორც კი შებინდდა, ბელგოროდისა და ტომაროვკას რაიონში, მტრის განლაგების სიღრმეში, ტანკები და ავტომობილები ავუგუნდნენ. ეს იმას მოასწავებდა, რომ მტრის ბელგოროდ-ხარკოვის დამრტყმელი ჯგუფის მთავარმა ძალებმა შეტევის ზღუდეზე გადმოსვლა დაიწყეს.

ორიოლ-კურსკის მიმართულებით 4 ივლისის საღამოსაც საოცარი სიწყნარე სუფევდა. მაგრამ ცრუ და ვერაგული იყო ეს სიჩუმე. ჯერ კიდევ წინა ღამით მტრის ცხრა ქვეითმა პოლკმა და ერთმა სატანკო დივიზიამ დაიკავა საწყისი მდგომარეობა შეტევაზე გადმოსასვლელად. ჩასაფრებული ჯარი შეტევის დაწყების ნიშანს ელოდებოდა.

4 ივლისს, 22 საათზე, ჩვენი შენაერთის ფრონტის მზვერავთა ჯგუფს, რომელსაც კაპიტანი გრიგოლ სვანიძე ხელმძღვანელობდა. მტრის განლაგებაში შეჭრა და ახალი ცნობების მოტანა დაევალა. სოფელ ტაგინოს სამხრეთით მზვერავებმა შენიშნეს 17 გერმანელი მესანგრე, რომლებიც გასასვლელს აკეთებდნენ დანაღმულ ველებზე. მზვერავებმა სროლა აუტეხეს მესანგრეებს. ხანმოკლე ბრძოლაში 14 მესანგრე იქვე დაეცა, ორმა გაქცევა მოასწრო, ერთი კი ტყვედ იგდეს. ტყვემ აღიარა, რომ გერმანელ ფაშისტთა ჯარები საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფებიან და 5 ივლისს, 2 საათზე ევროპის დროით, გადამწყვეტ შეტევაზე გადმოვლენ კურსკისა და ბელგოროდის მიმართულებით.

მტრის მთავარი ძალების შეტევაზე გადმოსვლამდე რამდენიმე საათიღა დარჩა. ჩვენი შენაერთის სარდლობამ მტრის შეტევის ჩაშლის მიზნით კონტრმომზადებას მიმართა.

22 საათსა და 30 წუთზე ვორონეჟის ფრონტის მე-6 და მე-7 გვარდიის არმიის სამეთაურო პუნქტებიდან ბნელ ცაში ავარდა ათიოდე ფერადი რაკეტა. ეს იყო ნიშანი, რომლის კვალდაკვალ 600-ზე მეტი ქვემეხი აგრიალდა. ქვემეხების ჭუხილს მძიმე ტყვიამფრქვევებმაც აუბეს მხარი. იმ ადგილას, სადაც შეტევაზე გადმოსასვლელი მტრის ჯარი და ტექნიკა იყო მოგროვილი, ნამდვილი კოცონი დაინთო. მაგრამ კოცონიც არის და კოცონიც! ზღვრული დაძაბულობით ურტყამდა ჩვენი არტილერია და ნაღმმტყორცნები, კაკანებდნენ ტყვიამფრქვევები, ავტომატები, ყოველი სახეობის იარაღი. ეს ჯოჯოხეთური სროლა ხუთ წუთს გაგრძელდა.

5 ივლისს, 2 საათსა და 10 წუთზე, კონტრმომზადება დაიწყეს

ცენტრალური ფრონტის არტილერიამ და ნაღმმტყორცნებმა. საათნახევრის განმავლობაში ურტყამდნენ ისინი გერმანელთა მე-9 არმიის ჯარებს, რომლებმაც გამოსავალი მდგომარეობა შეტევისათვის ორიოლ — კურსკის მიმართულებით დაიკავეს.

ჩვენი შენაერთის კონტრმომზადებამ თავზარი დასცა გერმანელებს. მტერს დიდი ზიანი მოუვიდა. მარტო ცენტრალური ფრონტის კონტრმომზადების შედეგად განადგურებულ იქნა 90-მდე ბატარეა და 60-მდე სათვალთვალო პუნქტი, აფეთქდა საბრძოლო მასალისა და საწვავის 6 საწყობი. განსაკუთრებით დიდი დანაკლისი განიცადეს გერმანელებმა ცოცხალი ძალის მხრივ. მტერი საიერიშოდ იყო დაჯგუფებული, ამიტომ საბჭოთა არტილერიისა და ნაღმმტყორცნების თვითეულ დარტყმას მწყობრიდან ათობით ადამიანი გამოჰყავდა.

ჯარების კონტრმომზადებამ მთლად დამლუპველად იმოქმედა მტრის მორალურ მდგომარეობაზე. გერმანელი ჯარისკაცები თვალნათლივ დარწმუნდნენ, რომ კურსკის შვერილზე შეტევის განზრახვა გამჟღავნებულია, მოულოდნელი თავდასხმა ჩაშლილია და ახლა საგანგებოდ მომზადებულ მტერთან მოუხდებათ შეხვედრა. ბევრმა ჯარისკაცმა და ოფიცერმა ჩვენი კონტრმომზადება გაიგო, როგორც ახალი შეტევის დასაწყისი. თავდაპირველად ხომ ასე მოხდა სტალინგრადში-აც...

„რუსებმა მოგვასწრეს, — ფიქრობდნენ და ლაპარაკობდნენ გერმანელი ჯარისკაცები და ოფიცრები. — ახლა ჩვენ სადღა გვაქვს შეტევის თავი, თვით ისინი გადმოვლენ შეტევაზე".

ჯარი ღელავდა. ძნელი იყო მისი დამშვიდება. ქვეგანაყოფებში ჰიტლერის სპეციალური ბრძანება წაიკითხეს. ჰიტლერი კურსკის მომავალი შეტევის მონაწილე ჯარისკაცებსა და ოფიცრებს მიმართავდა: „კოლოსალურმა დარტყმამ, რომელიც დღეს დილით დაატყდება თავს საბჭოთა ჯარებს, საბოლოოდ უნდა მოუღოს მათ ბოლო... გახსოვდეთ, რომ თქვენს დარტყმებზეა დამოკიდებული ყველაფერი!"

5 ივლისს, განთიადისას, გერმანელ ფაშისტთა დამრტყმელი დაჯგუფებები შეტევაზე გადმოვიდნენ კურსკის სამხრეთით და ჩრდილოეთით. დაიწყო ლეგენდალური ბრძოლა, რომელიც შემდგომ „კურსკის ბრძოლის" სახელით შევიდა ისტორიაში.

ბელგოროდის რაიონში ექვსმა სატანკო ქვეგანაყოფმა უეცრად მიიტანა იერიში გერმანელებზე, რომლებიც მდინარე სეევრნი

დონეცის გადასასვლელს იცავდნენ. ტანკისტებმა თავდაცვის წინააღმდეგობა გასტეხეს და მტერს უკან დაახევინეს. ლეიტენანტი ღლონტი, მექანიკოსი-წამყვანი სერჟანტი პოპოვი და ლეიტენანტი პუტინცევი პირველნი მიადგნენ გადასასვლელს, მოსპეს გერმანელთა 2 თვითმავალი ზარბაზანი და ჩვენი ქვეითი ქვეგანაყოფების მისვლამდე შეინარჩუნეს გადასასვლელი.

### კურსკთან და ბელგოროდთან

გერმანელთა ჯარების სტალინგრადის დაჯგუფების განადგურების შემდეგ, 1942 წლის ზამთარში, ჩვენი კორპუსი სტალინგრადიდან ელეცამდე რკინიგზით მივიდა, შემდეგ კი ქვეითად განაგრძო შეტევა. ელეცი — ორიოლი — ბელგოროდი — ასეთი იყო შეტევის მარშრუტი. ზამთრის მძიმე პირობებში დივიზიები 50—60 კილომეტრს გადიოდნენ დღე-ღამეში. მიმოსვლის საშუალებანი საკმარისი არ იყო. ჯარისკაცები იძულებული იყვნენ ზურგით ეტარებინათ მთელი სამხედრო აღჭურვილობა. ჩვენმა ჯარებმა მარშით გაიარეს 750 კილომეტრი.

1943 წლის 24 მარტს შენაერთი კურსკის ოლქის ტამაროვკა — იაკოვლევო — ლუჩკი — ტეტერივინოს მიჯნაზე გამაგრდა. ახლოვდებოდა მრისხანე დღეები. გერმანელები ზაფხულის „გენერალურ შეტევას“ ამზადებდნენ კურსკ — ბელგოროდის უბნებზე.

ჩვენი შენაერთი მრავალეროვანი იყო; აქ საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ერის შვილებს მოეყარათ თავი. იყვნენ რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები. ყოველი ჯარისკაცი და ოფიცერი ერთი მისწრაფებით ცხოვრობდა — ებრძოლა ისე, როგორც სტალინგრადში და მოეახლოვებინა ვერაგ მტერზე საბოლოო გამარჯვება. სტალინგრადში სამარცხვინოდ დამარცხების შემდეგ, გერმანელები, რა თქმა უნდა, რევანშზე ოცნებობდნენ. და აი, დადგა საამისო დრო. შუა რუსეთის ტრამალებში ხანგრძლივი მარშის შემდეგ აქ, კურსკთან, ჩვენ და გერმანელები ხელახლა აღმოვჩნდით ერთმანეთის პირისპირ. ჩვენი შენაერთის წინააღმდეგ ჰიტლერმა თავისი რჩეული ნაწილები გადმოისროლა. სისხლისმღვრელმა ბრძოლამ ხელახლა გაამტყუნა რაიხკანცლერის იმედი — მისი რჩეული ნაწილები აქაც დამარცხდნენ.

ახლა მაგონდება ჩემი მაშინდელი თანამებრძოლნი, რომლებიც მხარში უდგნენ ერთმანეთს და უშკნობი დიდებით მოსავდნენ შეჩაერთის საბრძოლო დროშებს. მაგონდება მამაცი გენერალი ვასილ ჯახუა, სამშობლოსათვის თავდადებული პოლკოვნიკი ნიკოლოზ კალაძე, პოდპოლკოვნიკი ლადი ლომთაძე, სახელოვანი ქართველი ქალი მაიორი კლარა ხოშოლავა, მაიორი რევაზ ლოლაძე, კაპიტნები ვლადიმერ ბრეგვაძე და გიგო მაჭავარიანი, უფროსი ლეიტენანტები ვახტანგ თავართქილაძე, დავით ვერულავა. შალვა იოსელიანი და დავით აბაშიძე, უშიშარი მეომრები კობა ივანიძე, შოთა დევიძე და გრიგოლ სვანიძე.

იმ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების შემდეგ დიდმა დრომ განვლო. სამწუხაროდ, ყველა მეომრის სახელი აღარ მახსოვს. ჩვენს გვერდში იბრძოდნენ შეუდრეკელი ვაჟკაცები: ხოფერია, დუმბაძე, გალოგრე, ბერიძე, ყავრიშვილი, საგინაშვილი, ხანჯიანი, ქოჩარი, ჩითახიანი, სარქისიანი, მინასიანი, ოვანესიანი, რაჩი, გევორქიანი, პეტროსიანი, ავჩინკოვი, გოროხოვი, რუსოვი, გინიჩენკო, სუშკოვი, ბელოვი, კრავჩენკო და მრავალი სხვა.

დიდი სამამულო ომის დაწყების დღიდან ოცდაერთმა თვემ გაიარა. ჰიტლერულმა არმიამ გამანადგურებელი დარტყმები იგემა. ასიათასობით ოკუპანტმა დატოვა ძვლები ჩრდილოეთ კავკასიაში, დონის ველებზე, სტალინგრადთან, ვორონეჟთან, ლენინგრადთან.

1943 წლის 5 ივლისს გერმანელ ფაშისტთა ჯარები შეტევაზე გადმოვიდნენ. ჰიტლერულმა საოლდლობამ ფრონტის ვიწრო უბანზე უზარმაზარი ძალის კონცენტრირება მოახდინა. მან აქ თავი მოუყარა 17 სატანკო, 3 მოტორიზებულ, 16 ქვეით დივიზიას და ათასობით ოვითმფრინავს. აქვე დაჯგუფდა ყველა სახის არტილერია და ნაღმტყორცნები. აქ, კურსკის რკალზე, გერმანელებმა პირველად და მასობრივად გამოიყენეს საომარი ტექნიკის ყველა სიახლე: „ფერდინანდები“, „ვეფხვები“, „ავაზები“.

5 ივლისს ჩვენი შეჩაერთის საბრძოლო განლაგების წინააღმდეგ ორი სატანკო და ამდენივე ქვეითი დივიზია დაიძრა. შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ გერმანელებმა მოახერხეს ჩვენი თავდაცვის პირველი ეშელონის შეჩიწროება. ღამის განმავლობაში უროჩიშე სმოროდინის რაიონში მტერმა თავისი მთავარი ძალები — სამი სატანკო და ორი ქვეითი დივიზია დააგროვა.

6 ივლისს დილით 250—270 თვითმფრინავის დახმარებით მთავარ

ძალები შეტევაზე გადმოვიდნენ. მტრის დარტყმა შეეხო 154-ე და 156-ე პოლკებს.

ხსენებულმა პოლკებმა მედგარი წინააღმდეგობა გასწიეს. დაღამებისას მტერი ფრონტის წინა ხაზს მოაწვა, მაგრამ სულ მალე შეჩერებულ იქნა. გერმანელებმა დიდი ზარალი ნახეს ყოველ მხრივ. ცოტა ხნის შემდეგ დაიწყო ჩვენი შეტევა, რომელმაც ისტორიულ გამარჯვებამდე მიგვიყვანა.

მარადიული დიდება ხედათ წილად მამაც არტილერისტებს: პოლკოვნიკ უგლოვსკისა და სერჟანტ ხოფერიას. ქვემეხის საცეცხლე პოზიციას მტრის ტანკეები მოადგნენ. ქვემეხების ირგვლივ ყველაფერი დუღდა მტრის ყუმბარების აფეთქებისაგან. ქვემეხთან ერთადერთი ცოცხალი ადამიანი იყო -- მემიზნე სტარცევი. დაჭრილი და სისხლისაგან დაცლილი სტარცევი სროლას განაგრძობდა. ერთიმეორეზე ფეთქდებოდნენ მოწინააღმდეგის მანქანები. ამ შეუპოვარმა მეომარმა 6 ტანკი ააფეთქა. ასევე გმირულად დახვდნენ მტერს ზემდეგი ბარსაგიანი და სერჟანტი ხოფერია, დუმბაძე და ტოტმანინი.

ფაშისტების 9 ტანკი იწვოდა ქვემეხის ირგვლივ, სადაც გმირულად დაეცა მამაცი არტილერისტი ალექსანდრე სტარცევი. მტერს ძვირად დაუჯდა გვარდიელ-არტილერისტის სიკვდილი. ალექსანდრე სტარცევსა და საარტილერიო პოლკის შეთაურს გვარდიის მაიორ უგლოვსკის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ.

გმირის სახელი მოიხვეჭა აგრეთვე მეტყვიამფრქვეველ სერჟანტმა სამხარაძემ, რომელმაც ბრძოლის პირველ დღეებში 100-ზე მეტ გერმანელს გაავლო მუსრი.

საბჭოთა ჯარების შეტევის დაწყებისთანავე, 3 აგვისტოს, ჩვენმა შენაერთმა წარმატებით გაარღვია გერმანელების თავდაცვა პრირეჩნოკაზაცკის და კურსკის ოლქის ტაშაროვსკის რაიონში. გზადაგზა სამარე ჰპოვეს მტრის რჩეულმა დივიზიებმა „ადოლფ ჰიტლერმა“, „დას რაიხმა“ და „მკვდარმა თავმა“. დასავლეთისაკენ შეტევა გრძელდებოდა. მარტო 3 აგვისტოს ბრძოლაში შენაერთის ნაწილებმა გაჟლიტეს მტრის ათასამდე ოფიცერი და ჯარისკაცი, ხელთ იგდეს 53 ქვემეხი, 54 ტყვიამფრქვევი, 43 ავტომანქანა და სხვა მრავალი დავლა.

დაიწყო დამარცხებული მტრის ძლევამოსილი დევნა. ჩვენი შენაერთი 6 აგვისტოს გამოვიდა ბორისოვკა-კრაკოვის გზაზე. 8 აგვისტოს ღამით განთავისუფლებულ იქნა ქალაქი ზოლოჩევი. ჩვენი ქვეგანა-

ჯოფები დასაბლებულ პუნქტებსა და ხუტორ მაკარიხაში შეიდნენ. მაკარიხაში სელთ ეიგდეთ მტრის საწყობები. საწყობები სავსე აღმოჩნდა სურსათითა და სამხედრო ქონებით. ჩვენი შემდგომი შეტევის მარშრუტი ქალაქი პოლტავა იყო. პოლტავის მისადგომებზე საარაკო გმირობა გამოიჩინეს საბჭოთა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა ზაორ (ახლა პოლკოვნიკი) ბელოვის მეთაურობით. მე-6 გვარდიის არმიის სარდაფიმა გენერალ-პოლკოვნიკმა ჩისტიაკოვმა მწყობრის წინაშე გადაკოცნა მაიორი ბელოვი და კრასნოკუტსკის რაიონში ოპერაციის ბრწყინვალედ ჩატარება მიულოცა. ბელოვის პოლკის თითქმის ყველა მეომარი მთავრობამ ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა. მათ შორის იყვნენ ქართველი ვაჟკაცები: ლოლაძე, ხოფერია, მაჭავარიანი, დუმბაძე, ხოჭოლავა, ღომთათიძე, აბაშიძე და მრავალი სხვა.

კურსკთან გერმანელების განადგურებას სამამულო ომის შემდგომ მსვლელობაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

კურსკთან საბჭოთა ჯარების გამარჯვებამ გერმანელ ფაშისტთა არმია კატასტროფის წინაშე დააყენა და დასაბამი მისცა ზაფხულის მძლავრ შეტევას, რომელიც 2000 კილომეტრზე გაიშალა ღნეპრისა და სოჟის სათავეიდან ნოვოროსიისკამდე.

სტალინგრადისა და კურსკის ბრძოლებმა საბოლოოდ დაადასტურა, რომ ჩვენი არმია ყველაზე მძლავრ და გაკაჟებულ თანამედროვე არმიად იქცა და რომ მას შეეძლო და კიდეც უნდა გაეთავისუფლებინა გერმანელი ფაშისტების მიერ დაპყრობილი საბჭოთა მიწა.

**კ ო ნ ტ რ ი ე რ ი შ ი**
**მოქმედი არმია, ორიოლ-კურსკის მიმართულება.**
**12 ივლისი**

გერმანელები იერიშზე მოდიოდნენ ჰვავის ყანაში. ჰვავს ქარი აბიბინებდა. აქა-იქ, თავთავებს ზემოთ ,ნაცრისფერი მუზარადები მოჩანდა. ჰიტლერელები განუწყვეტლივ აკაკანებდნენ ავტომატებს. ჩვენმა ჯარისკაცებმა აცალეს მტერს მოახლოება. როდესაც ჩვენსა და გერმანელებს შორის ორმოციოდე მეტრი დარჩა, ლეიტენანტმა სამხარაძემ ბრძანება გასცა და ფლანგებზე ტყვიამფრქვეველები ამოქმედდნენ. მოჩანდა როგორ ჩაწვნენ ჰვავში გერმანელები და ხოხვით წამოვიდნენ სანგრებისაკენ. ცოტაც და ისინი კვლავ წამოდგნენ. წინ გამოექანენ, მაგრამ ისევ მიიმალნენ ხშირ თავთავებში.

კონტრიერიშის წამოსაწყებად ხელსაყრელი წუთი დადგა. ლეიტენანტ სამხარაძის ბრძანებით ოცეულები სანგრებიდან ამოხტნენ და მტრის შესახვედრად გაექანენ. ხელჩართულ ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა ამ ზღუდის შენარჩუნების ბედი. ლეიტენანტი სამხარაძე წინ იყო. ხელჩართული ბრძოლა ჯერ მარჯვენა ფლანგზე გაჩაღდა. ჰიტლერელებმა ვერ გაუძლეს კონტრდარტყმას და ბრძოლით უკანდახევა იწყეს.

— მომყევით! — შესძახა ლეიტენანტმა და პირველი გაექანა უკანდახეულ გერმანელთა ჯგუფის შესამუსრავად.

სრულიად მოულოდნელად სამხარაძეს გზა გადაუჭრა რამდენიმე ჰიტლერელმა, რომლებიც იქვე, ხევიდან, ამოძვრნენ. ამ დროს ბრძოლამ მარცხნივ გადაინაცვლა, მტრის სანგრებს მიუახლოვდა და ლეიტენანტი მარტოდმარტო აღმოჩნდა ჰიტლერელთა მთელი ჯგუფის წინაშე.

სამხარაძემ ერთხელ კიდევ მოიხედა. ჭავაში გერმანელ ჯარისკაცთა გვამები ეყარა, ახლომახლო ხელყუმბარები იყო მიმოფანტული. ლეიტენანტმა ხელი წამოავლო გრანატებს და, როდესაც ჰიტლერელები მოახლოვდნენ, „ჯიბის არტილერია" ააფეთქა. პირველ წუთებში, გრანატების აფეთქების შემდეგ ავარდნილი სქელი კვამლის გამო, სამხარაძემ ვერ გაარჩია, რა ხდებოდა წინ — იქ, სადაც ზღუდე ხევისაკენ ეშვებოდა; მაგრამ, როდესაც კვამლი გაიფანტა, დაინახა, რომ სამი გერმანელი სისხლში ცურავდა, ორი კი მარჯვნიდან უპირებდა შემოვლას. ლეიტენანტი განზე გადგა. სადღაც მის უკან ავტომატმა ამოიდგა ენა. სამხარაძე მაშინვე მიხვდა: მეთაურის დასახმარებლად მოისწრაფოდნენ მისი ქვეგანაყოფის ჯარისკაცები.

— აქეთ, ამხანაგებო, აქეთ! — დაიძახა სამხარაძემ და გულმოცემულმა კიდევ ესროლა ჰიტლერელებს დარჩენილი ორი გრანატი.

— ამხანაგო ლეიტენანტო! — ჭოშინით მოირბინა პირველი ოცეულის მეთაურის მეკავშირემ, — ჩვენები გერმანელების სანგრებში არიან. ტყის პირას მტრის ტანკები გამოჩნდა!

— გერმანელთა სანგრებში? მაშასადამე ახალ მიჯნაზე? — თვალები გაუბრწყინდა სამხარაძეს. — ყოჩაღ, ბიჭებო!

ამ სიტყვებით მეთაური სანგრებისაკენ გაექანა. საიდანაც ის-ის იყო ჰიტლერელები ამოერეკათ.

„წართმეულ ზღუდეზე საჭიროა დაუყოვნებლივ მოვაწყოთ თავდაცვა!“ — გაიფიქრა ლეიტენანტმა სამხარაძემ.

ტყიდან გერმანელების სამი ტანკი გამოვიდა. სამხარაძის ოცეულები ახალი პოზიციებიდან უშენდნენ უკანდახეულ მტერს. იმისდა მიხედვით, თუ როგორ სწრაფად და შეწყობილად მოქმედებდნენ ჯარისკაცები, სამხარაძე მიხვდა, რომ ახალი ზღუდე მტკიცედ, საფუძვლიანად იყო დაკავებული. ლეიტენანტი ივითონაც მიუწვა ტანკსაწინააღმდეგო თოფს. მეთაურის თოფმა იჭექა. ამას ჯავშანმსხვრეველთა სროლა მოჰყვა. მტრის ორი მანქანა ცეცხლში გაეხვია. როდესაც მტრის მესამე ტანკმა უკან დაიხია და მოწინააღმდეგეს ზურგი უჩვენა, ლეიტენანტმა კმაყოფილებით დაჰკრა ბეჭებზე ხელი მის გვერდით მწოლ მებრძოლს და უთხრა:

—აი, ხომ ხედავ, რა საქმე გავაკეთეთ! ახლა ამ ზღუდიდან ერთი ნაბიჯითაც არ დავიხევთ უკან! ხომ მართალია, ბიჭებო?

— მართალია, ამხანაგო ლეიტენანტო! — დაიძახეს ახლო მყოფებმა.

ღამდებოდა. იწურებოდა ივილისის კიდევ ერთი საბრძოლო დღე, რომელმაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა საბჭოთა იარაღის ძლევამოსილება!

**„ვეფხვების“ კოლონის განადგურება მოქმედი არმია, ბელგოროდის მიმართულება, 13 ივლისი.**

ვიწრო უბანზე, ძლიერი საარტილერიო მომზადების შემდეგ. გერმანელებმა იერიშზე გამოუშვეს მძიმე ტანკების „ვეფხვების“ კოლონა. კოლონას გზა უნდა გაეწმინდა ქვეითი ჯარისათვის, რომელიც უკან მოჰყვებოდა.

გერმანელთა მანქანებს პრძოლა გაუმართეს ჩვენი შენაერთის ჯავშანმსხვრეველებმა, არტილერისტებმა და ტანკისტებმა. კოროცინის ოცეულის ჯავშანმსხვრეველებმა მაშინვე დააზიანეს და ცეცხლს მისცეს მტრის 7 ტანკი. გაცხარებული ბრძოლის დროს ოცეულის მეთაური მძიმედ დაიჭრა, იმწამსვე გაისმა ჯარისკაც კირიჩენკოს ხმა:

— ამხანაგებო, წინ!

ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა. რამდენიმე წუთის განმავლობა-

ში ჯავშანმსხვრეველმა კირიჩენკომ კიდევ დააზიანა ფაშისტთა 2 მძიმე ტანკი, ხოლო მესამე მანქანას — „ვეფხვს“ ზარბაზანი გაუფუჭა. მტერს ძლიერ ურტყამდნენ აგრეთვე უფროს ლეიტენანტ მარკოვისა და ლეიტენანტ ლეშჩენკოს არტილერისტები. მათ დააზიანეს 2 ტანკი. ხოლო ორს ცეცხლი გაუჩინეს და ეკიპაჟიანად გადაბუგეს. ამავე დროს ბრძოლაში ჩაებნენ ტანკისტები. სივაჩევისა და დიმიტრიევის ეკიპაჟებმა პირველებმა მოიპოვეს გამარჯვება. ამ ბრძოლის შემდეგ გერმანელთა დაზიანებული და განადგურებული ტანკების საერთო რიცხვმა 30-ს მიაღწია. გმირულად იბრძოდა სამამულო ომის ორდენის კავალერის გვარდიელ ტიხომიროვის ეკიპაჟი.

ზარალმა დააბნია და შეაძრწუნა გერმანელები. მათი შეტევა ჩაიფუშა. უვნებლად გადარჩენილებმა პირი იბრუნეს და ბრძოლის ველიდან გაქცევით უშველეს თავს.

ბელგოროდის მიმართულებით მოწინააღმდეგემ რამდენიმე იერიში მოიტანა ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალებით, მაგრამ ყველგან შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდა და იძულებული გახდა კვლავ უკან დაეხია. ცალკეულ უბნებზე ჩვენმა ფლანგმა მტერს კონტრდარტყმები აგება და მოწინააღმდეგე განდევნა რამდენიმე დასახლებული პუნქტიდან. ამ დასახლებული პუნქტებისათვის ბრძოლაში გერმანელებმა 2 ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს. ჯავშანმსხვრეველთა ქვეგანაყოფებმა, რომელსაც გვარდიის უფროსი ლეიტენანტი გაბუევსი მეთაურობდა, ღამით მტრის ზურგში შეაღწია. როდესაც გერმანელთა ტანკები და ქვეითი ჯარი იერიშზე გადმოვიდნენ, ვაბუევსის ჯარისკაცებმა უეცრად სროლა ატეხეს ზურგიდან. ჯავშანმსხვრეველებმა დაწვეს მტრის 12 ტანკი, 10 ავტომანქანა და გაჟლიტეს 200-მდე ჰიტლერელი. გერმანელებმა ტანკებისა და მოტოქვეითი ჯარის ახალი ძალები გამოიყვანეს და ცდილობდნენ გაეტეხათ ჩვენი ჯარების წინააღმდეგობა. ამ იერიშების მსვლელობაში ჰიტლერელებმა მძიმე ზარალი განიცადეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ასეულმა, რომელსაც ლეიტენანტი სამხარაძე ედგა სათავეში, გერმანელთა ქვეითი ჯარის ორი ბატალიონის იერიში მოიგერია; ისინი ტანკების მხარდაჭერით გვიტევდნენ. ასეულმა თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით მოჰკვეთა გერმანელთა ქვეითი ჯარი ტანკებს და 300-ზე მეტი ჰიტლერელი გამოასალმა წუთისოფელს. მტრის შემოჭრილი ტანკები ნაღმიან ველს წააწყდნენ. ეს კიდევ არაფერი! ისედაც ხა-

ფანგში გაბმულ ტანკებს იქვე პიუსწორო ჩვენი ატრილერიის ცეცხლმა. 17 ტანკიდან მხოლოდ სამმა გააღწია საშველობოს, დანარჩენი 14 კოცონად ენთო ბრძოლის ველზე.

## შეტევა გრძელდება

ჩვენი შენაერთის გააფთრებული ბრძოლები ხარკოვის აღმოსავლეთით არც დღისით დამცხრალა და არც ღამით. მოწინააღმდეგეს დღითიდღე ახალი და ახალი რეზერვები გადმოჰყავდა სხვა ფრონტედან და ღრმა ზურგიდან.

ბრძოლებში თანდათან ებმებოდნენ დიდი სატანკო შენაერთები. ერთ უბანზე მტერმა რამდენიმე ათეული ტანკი გამოიყვანა. გვარდიელებმა 30-ზე მეტი მანქანა მოსპეს. დედა-სამშობლო არასოდეს არ დაივიწყებს გმირი ტანკისტების — ლოსევის, დორონკინისა და ბურკოვის საგმირო საქმეებს.

დილააღრიანად ტანკისტებმა ბრძანება მიიღეს — ქვეით ჯართან ერთად იერიში მიეტანათ ღრმად ჩასანგრებულ მტერზე. პირველი, როგორც ყოველთვის, იერიშზე გადავიდა კომკავშირელ ლოსევის ტანკი. ზარბაზნისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლით იკაფავდნენ გზას სამშობლოსათვის თავდადებული მეომრები.

გერმანელებმა აამოქმედეს მთელი თავიანთი ტანკსაწინააღმდეგო საშუალებანი, მაგრამ ჩვენი გმირები მაინც დაჟინებულად მიიწევდნენ წინ. გზადაგზა მათ მოსპეს მტრის 2 ზარბაზანი და უკვე ემზადებოდნენ მესამის გასასრესად, რომ გერმანელთა ერთ-ერთმა ყუმბარამ დააზიანა ტანკის სავალი ნაწილი. მანქანა გაჩერდა. გერმანელები გარს შემოერტყნენ ტანკს და ყოველნაირად შეეცადნენ ცოცხლად ჩაეგდოთ ხელთ მისი ეკიპაჟი. ლოსევმა გადაწყვიტა თავისი შენაერთის არტილერიის ცეცხლი გამოეწვია.

— დამიშინეთ! — გადასცა მან რადიოთი.

ათობით ჰიტლერელი გაწყდა ტანკის გარშემო. არტილერიის მოულოდნელი ცეცხლი მუსრს ავლებდა ყოველივე ცოცხალს. ვინც გადარჩა, თხრილებში მიიმალა და თვალს ფხიზლად ადევნებდა დაზიანებულ მანქანას. თერთმეტ საათს გრძელდებოდა საბჭოთა ტანკის ეკიპაჟის ეს უთანასწორო შებმა მრავალრიცხოვან მტერთან. ტან-

კისტები დაუცხრომლად ისროდნენ, სპობდნენ მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალას და საცეცხლე წერტებს, ხოლო როცა დაღამდა და ეკიპაჟს ყველა ვაზნა გამოელია, ფაშისტები გათამამდნენ და წინ გამოძვრნენ.

— რუსო, დაგვნებდი! — ყვიროდნენ ისინი.

ტანკისტები სდუმდნენ.

ჰიტლერელები ტანკზე ახოხდნენ და ლიუკის ჩამტვრევა დაიწყეს. ტანკისტების მდგომარეობა გართულდა. ყველა გზა მოჭრილი იყო. ან ტყვეობა, ან ნებაყოფლობითი სიკვდილი — გმირი ტანკისტებისათვის არჩევანი არ არსებობდა.

ლოსევმა თავის მეთაურს რადიოგრამა გადასცა „ფაშისტები ტანკზე არიან. მოვკვდებით სამშობლოსათვის, საბჭოთა არმიის ჯარისკაცის მეომრულ ღირსებას არ შევარცხვენთ. მშვიდობით! ლოსევი, დორონკინი, ბურკოვი“.

როცა გერმანელებმა რის ვაივაგლახით გააღეს ლიუკი, ტანკის შიგნით აფეთქება გაისმა. ტანკის ეკიპაჟი ერთადერთმა გრანატმა განგმირა სწორედ მაშინ, როცა გერმანელებს ეგონათ, ახლა სადღა წაგვივლენო. ასე დაამთავრა გმირული სიცოცხლე სამმა გმირმა. სამარადისო დიდება მათ!

მეორე დღეს ოფიცერ კაცუს ქვეგანაყოფმა სასტიკად იძია შური ფაშისტებზე: ბრძოლის ველი მტრის ასობით ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამით აავსო.

**გაბედული დაზვერვა**

**მოქმედი არმია, ხარკოვის აღმოსავლეთით.**

**8 აგვისტო**

ერთი სოფლის მისადგომებზე ჩვენი ქვეგანაყოფი ჰიტლერელთა ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა. შეტევის გასაძლიერებლად აუცილებელი იყო მტრის საცეცხლე წერტების გამომჟღავნება და მათი დაუყოვნებლივ ჩახშობა. მზვერავები ვიდრინსკის მეთაურობით მიუახლოვდნენ მტრის თავდაცვას და ხევში გერმანელთა რამდენიმე დაზიანებული ტანკი აღმოაჩინეს. მალე ამ ადგილის თავზე გამოჩნდნენ მტრის ბომბდამშენები, შემდეგ კი მზვერავებმა დაინახეს ჰაერში ატყორცნილი თეთრი მაშხალა. მაშხალა, რასაკვირველია, პირო-

ბითი ნიშანი იყო. პირობითი ნიშნის საშუალებით გერმანელები თავიანთ მფრინავებს აფრთხილებდნენ — აქ დაბომბვა საჭირო არ არის, ხევში ჩვენი მანქანებიაო.

ერთ-ერთ ტანკში ვიდრინსკიმ საშაშხანე დამბაჩა და რამდენიმე თეთრი მაშხალის ვაზნა იპოვნა. ბევრი აღარ უფიქრია, დამბაჩაში ვაზნა შეაცურა და სწორედ მტრის წინა კიდის მიმართულებით გაისროლა.

გერმანელმა მფრინავებმა ჰაერში დაკიდებული ოთხი მაშხალა მიზნის მაჩვენებლად მიიღეს, გაიშალნენ და ბომბები დააყარეს თავიანთ პოზიციებს.

სანამ ფაშისტთა ბომბდამშენები თავიანთი თავდაცვის წინა კიდეს ბომბავდნენ, მზვერავებმა ხევ-ხევ წინ წაიწიეს და გერმანელების სავსებით ვარგისი ტანკი იპოვეს. მყისვე მომწიფდა გაბედული გადაწყვეტილება: განეგრძოთ დაზვერვა გერმანელთა ტანკით.

ერთ-ერთმა მზვერავმა, საფაროვმა, მშვენიერად იცოდა მანქანის ტარება და ამავე დროს ჩინებული არტილერისტიც იყო. არც სხვები იყვნენ მთლად უბირი სალხი. გერმანული იარაღის ხმარება, ზარბაზანი იქნებოდა თუ ტყვიამფრქვევი, ყველას ემარჯვებოდა. ამრიგად, ეკიპაჟმა სწრაფად დაიკავა მიჩნეული ადგილები და ტანკმაც პირდაპირ დასახლებული პუნქტისაკენ აიღო გეზი.

როგორც მოსალოდნელი იყო, გერმანელებმა თავიანთ ტანკს არ ესროლეს. მანქანამ მშვიდობიანად გაიარა სანგრების ხაზი. მოშაროვმა, რომელიც მეთვალთვალის როლს ასრულებდა, სქემაზე აღნიშნა მტრის საცეცხლე წერტების განლაგება და თვითმავალი ზარბაზნების სადგომი ადგილი. ახლა ჰიტლერელთა სატყვიამფრქვევო ბუდეებს და ტანკსაწინააღმდეგო ბატარეებს ეძებდნენ. მზვერავებმა შესაფერისი ადგილი აირჩიეს და სროლა ატეხეს. მხოლოდ ახლა გამოერკვნენ ფაშისტები. ატყდა გააფთრებული საპასუხო სროლა. მზვერავებსაც ეს უნდოდათ. საფაროვმა სწრაფად ჩაიწერა სატყვიამფრქვევო ბუდეებისა და ტანკსაწინააღმდეგო ბატარეების აღგილსამყოფელი, საჭეს მიუჯდა დ მანქანა მთელი სისწრაფით ხევისკენ გააქანა.

მალე მზვერავებმა ფრონტის ხაზი გადასჭრეს და თავიანთი ქვეგანაყოფის პოზიციებზე გამოვიდნენ. მაგრამ აქ კი საგონებელში ჩაეყარდნენ მამაცი მზვერავები: როგორღა აეშორებინათ თავიანთი არტილერისტებისა და ჯავშანმსხვრეველების ცეცხლი? სხვა გამოსავალი არ იყო — ერთ-ერთმა მზვერავმა ტანკს ლიუკი ახადა და ზედ თეთრი

ბაირაღი დაამაგრა. საბჭოთა არტილერიის მეთვალთვალეებმა უმალვე შენიშნეს თეთრი ბაირაღი. ამან მზვერავები გადაარჩინა უცილობელ დაღუპვას. არტილერისტებმა მანქანა ახლოს მიუშვეს. როგორ განცვიფრდნენ ჯარისკაცები და ოფიცრები, როდესაც ტანკიდან ჩვენი მზვერავები ამოვიდნენ.

მზვერავების მიერ შეგროვილმა ცნობებმა სარდლობას დაუფასებელი დახმარება გაუწია. ამ მონაცემების საფუძველზე სასწრაფოდ შედგა ელვისებური დარტყმის გეგმა და მალე გერმანელები განდევნილ იქნენ დასახლებული პუნქტებიდან.

## გერმანელთა საზაფხულო შემოტევის ჩაშლა

5 ივლისს ორიოლის სამხრეთით და ბელგოროდის ჩრდილოეთით მდებარე რაიონებიდან კურსკის მიმართულებით გერმანელთა შემოტევა დაიწყო. ჩვენმა ჯარებმა არა მარტო უკუაგდეს მტერი და სავსებით აღადგინეს მდგომარეობა, არამედ კიდეც გაარღვიეს მტრის თავდაცვა და წინ წაიწიეს ორიოლისაკენ 15—25 კილომეტრით.

ბრძოლაში, რომელმაც 18 დღე-ღამეს გასტანა, მტერმა მოკლულთა სახით დაჰკარგა 70 000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. დაზიანდა და მოისპო მტრის 2900 ტანკი, 19 თვითმავალი ქვემეხი, 344 საველე ქვემეხი, 1392 თვითმფრინავი და 5000-ზე მეტი ავტომანქანა.

1943 წლის 24 ივლისს საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლესმა მთავარსარდლობამ საბრძოლო ოპერაციების ხელმძღვანელთ და ჯარებს მიულოცა გერმანელთა საზაფხულო შემოტევის ლიკვიდაციის წარმატებით დამთავრება. ყველა ჯარისკაცს, მეთაურსა და პოლიტმუშაკს მადლობა გამოეცხადა ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გერმანელთა შემოტევის სრულ ჩაშლას უდიდესი პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. გამტყუნდა ფაშისტური პროპაგანდის კიდევ ერთი მკვეხარა განცხადება იმის შესახებ, რომ ზაფხულში გერმანელები მუდამ წარმატებას აღწევენ, საბჭოთა ჯარები კი იძულებულ არიან უკან დაიხიონო.

1943 წლის ივლისის შემოტევის განსახორციელებლად ფაშისტუ-

რი ჯარების სარდლობა დიდხანს და საფუძვლიანად ემზადებოდა. სტალინგრადთან ნაგემი გაუგონარი დამარცხების შემდეგ გერმანელები აცხადებდნენ ადამიანთა და ქვეყნის მატერიალური რესურსების ეგრეთწოდებულ ტოტალურ მობილიზაციას.

მთელი დამონებული ევროპა კაცთმოძულე ფაშისტებმა ჰიტლერის სამხედრო მანქანის სამსახურში ჩააყენეს. საბჭოთა მრეწველობა ანახლებდა და დღითიდღე აუმჯობესებდა გერმანიის საომარ ტექნიკას. გამოუშვეს ახალი ტიპის მძიმე ტანკები „ტ-6“ და „ვეფხვი“. მძიმე თვითმავალი ქვემეხები „ფერდინანდის“ ტიპისა და საავიაციო ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით აღჭურვილი მოპიკირე ბომბდამშენები. მთელი მეცადინეობა მიმართული იყო იმ უდიდესი ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც გერმანელ ფაშისტთა არმიებს მოუვიდათ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. ჰიტლერელებს იმედი ჰქონდათ, რომ ზაფხულში კვლავ შესძლებდნენ შეტევის წამოწყებას და რევანშის აღებას.

შემოტევისათვის მზადება ჯერ კიდევ ადრიან გაზაფხულზე დაიწყო. კურსკის მიმართულებით გერმანელებმა თავი მოუყარეს ძრავალრიცხოვან ჯარებს და დიდძალ საომარ ტექნიკას. შემოტევაში 32 დივიზია მონაწილეობდა. მათ შორის 17 სატანკო დივიზია იყო. გერმანიის სარდლობას ფანატიკურად სჯეროდა თავისი გარდუვალი წარმატებისა.

ბრძანებაში, რომელიც ჯარისკაცებს 4 ივლისს საღამოთი და 5 ივლისს დილაადრიან წაუკითხეს, ჰიტლერი წერდა, რომ იწყება „უკანასკნელი, გადამწყვეტი ბრძოლა“.

ცეცხლისა და ლითონის ნიაღვარი დაატყდა თავს ჩვენს ჯარებს, რომლებიც კურსკის მიმართულებით თავდაცვაში იმყოფებოდნენ. როგორც შემდეგ ტყვედ ჩავარდნილი გერმანელი ოფიცრების არა ერთმა ჩვენებამ გამოარკვია, ჰიტლერელებმა შემოტევის პირველ დღეს უფრო მეტი საომარი მასალა დახარჯეს, ვიდრე პოლონეთის მთელი კამპანიის განმავლობაში. შემოტევის პირველი სამი დღის მანძილზე გერმანიის არტილერიამ დახარჯა უფრო მეტი ყუმბარა, ვიდრე მთელი საფრანგეთის წამოსაჩოქებლად დასჭირდა.

შემოტევა მაინც ჩაიშალა, თუ გერმანელებმა ჯერ-იქ შესძლეს სოლივით შემოჭრა ჩვენს თავდაცვაში, ყოველი ნაბიჯის გამოვლა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის დიდი ზარალის ფასად დაუჯდათ.

შემოტევის ჩაშლა იმდენად აშკარა გახდა, რომ გებელსის უწყების ფაშისტმა ცრუპენტელებმა ბრძოლის წამოწყება საბჭოთა ჯარებს მიაწერეს. ჰიტლერის მთავარი ბანაკის ამ ყალთაბანდურმა ფანდმა ცხადჰყო, თუ რა დიდი დაბნეულობა შეიტანა ფაშისტურ სარდლობაში ახალმა მძიმე დამარცხებამ.

რით აიხსნება გერმანელთა შემოტევის ჩაშლა?

მთავარი მიზეზი ისაა, რომ საბჭოთა უმაღლესი მთავარსარდლობის გამჭრიახობის მეოხებით ჩვენი არმია საკმაოდ მომზადებული აღმოჩნდა არამარტო შემოტევის მოსაგერიებლად, არამედ მძლავრი კონტრდარტყმებისათვისაც. საბრძოლო ვითარებიდან საკმაოდ გამოირიცხა უეცარი თავდასხმის ელემენტი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა გერმანელთა წინანდელ შეტევითს ოპერაციებში. საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა ღირსეული დახვედრა მოუწყვეს დაუპატიჟებელ სტუმრებს.

როგორ დაიწყო ბრძოლა? როდესაც გერმანელებმა წინა კიდეს დაუშინეს არტილერიის და ნაღმმტყორცნების გრიგალისებური ცეცხლი, ჩვენს სანგრებში იმყოფებოდნენ მხოლოდ მეორადხარისხოვანი და მორიგე მეტყვიამფრქვეველთა გუნდები. ბრძოლის დანარჩენი მონაწილენი საიმედოდ იყვნენ თავშეფარებული ბლინდაჟებში.

გერმანელებმა ვერავითარი ხრიკით ვერ მოეხარხეს ბომბდამშენი ავიაციის, არტილერიისა და ნაღმმტყორცნების ცეცხლქვეშ გამოტყუებინათ ჩვენი მებრძოლები. როგორც კი საარტილერიო მომზადება შეწყდა და ისინი ნამდვილ იერიშზე წამოვიდნენ, თავდაცვის წინა კიდე, რომელიც აქამდე სიცოცხლის ნიშანწყალსაც არ ამჟღავნებდა, ასობით ტყვიამფრქვევის, ქვემეხის, ნაღმმტყორცნისა და ტანკსაწინააღმდეგო თოფის გამანადგურებელი ცეცხლით შეხვდა მტერს.

ერთ-ერთი ჩვენი პოლკის უბანზე გერმანელებმა 1500—1600 თვითმფრინავგაფრენა მოახდინეს. მტრის ბომბდამშენები განუწყვეტლივ პატრიარებდნენ ლეგიონის საბრძოლო წყებებზე. ბომბდამშენების თავდასხმის შემდეგ ფაშისტთა ტანკები წამოვიდნენ. 150-ზე მეტმა ტანკმა თექვსმეტჯერ მოიტანა იერიში პოლკის სხვადასხვა უბანზე. პოლკი კლდესავით იდგა. უკან ერთი ნაბიჯითაც არ დაუხევია.

წარმატება იმითაც გახდა შესაძლებელი, რომ ჯარისკაცებმა ისწავლეს თავიანთი იარაღის სრულყოფილად ხმარება, ხოლო მეთაურებმა—ქვეგანაყოფთა მართვა. ამ ნაწილის ჯავშანმსხვრეველმა იუპლენკოვმა

ტანსაწინააღმდეგო თოფით გერმანელთა ექვსი ტანკი დააზიანა და ერთი თვითმფრინავი „იუ-88“ ჩამოაგდო. უმცროსმა სერჟანტმა დუმბაძემ ოთხი ტანკი გამოიყვანა მწყობრიდან. მსგავსი მაგალითები უთვალავია.

გერმანელები თავს იმართლებდნენ, ბრძოლაში რჩეულ ჯარებს წავაწყდითო. ნამდვილად კი არავითარ „რჩეულ ჯართან“ მათ საქმე არ ჰქონიათ. ამგვარივე რჩეული იყო ბრძოლაში გაკაჟებული ყველა საბჭოთა პოლკი, ყველა საბჭოთა დივიზია...

საგულისხმო და აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ომის წარმოება მარტო ქვეითი ჯარის უნარიან მოქმედებაზე როდი იყო დამოკიდებული. მტრის ტანკებთან ბრძოლაში უდიდეს როლს თამაშობდა არტილერია. საარტილერიო ცეცხლის სიზუსტე, მისი უნარიანი მართვა შეუვალი პოზიციური თავდაცვის აუცილებელი პირობა იყო. ეს ჭეშმარიტება კარგად შეითვისეს საბჭოთა არტილერისტებმა. მამაცობისა და გამბედაობის სასწაულებს ახდენდნენ ჩვენი ტანკისტები. უკვდავი სახელი მოიხვეჭა ლეიტენანტ კიკნაძის გმირულმა ეკიპაჟმა. უფროსი ტანკისტმა მოახერხა კიკნაძის ტანკის კოშკურის გახვრეტა და შემდეგ ცეცხლის წაკიდებაც: ლეიტენანტმა და მისმა მამაცმა თანამებრძოლებმა გადაწყვიტეს დაღუპულიყვნენ, მაგრამ ფაშისტთა „ვეფხვი“ თავიანთი ქვეითი ჯარის საბრძოლო წყებებში არ შემოეშვათ. კიკნაძემ ცეცხლმოდებული ტანკი აძგერა მტრის ტანკს და გატარნა იგი.

ყველა ჩვენი გამარჯვება ფრონტის წინა ხაზზე ჩვენივე ზურგის დაუღალავი შრომით იყო განსაზღვრული. ზურგი ყოველდღიურად ამარაგებდა ფრონტს ახალი, გაუმჯობესებული საბრძოლო ტექნიკით; თანამედროვე ომში მარტო სიმამაცით შორს ვერ წახვალ. სიმამაცესთან ერთად საჭიროა პირველხარისხოვანი საბრძოლო ტექნიკა, რომლის ბრძოლისუნარიანობა მტრის საბრძოლო ტექნიკას არ უნდა ჩამოუვარდებოდეს.

საბჭოთა ტანკი „კვ“ სიმძლავრით ტოლს არ უგდებდა გერმანულ „ვეფხვს“, ხოლო მანევრულობით სჯობდა კიდეც. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ტანკი „ტ-34“.

საბჭოთა ქარხნებმა გამოუშვეს საუცხოო ოვითმავალი მძიმე ქვემეხი, რომელიც ღირსეულ მეტოქეობას უწევდა გერმანელთა „ფერდინანდს“. მაიორ სანკოვსკის ნაწილის ერთ-ერთი ასეთი ქვემეხით

გერმანელთა შემოტევის პირველ დღეს მოსპობილ იქნა „ვეფხვის“ ტიპის მტრის ათზე მეტი ტანკი.

ამგვარად, ჩვენი თავდაცვა გერმანელთა შემოტევაზე ძლიერი აღმოჩნდა, ხოლო შემდეგ დაწყებული საბჭოთა ჯარების შეტევა — მტრის თავდაცვაზე ძლიერი.

ასეთია ძირითადი მიზეზები, რომლებმაც განსაზღვრა სრული ჩაშლა გერმანელების მიერ 1943 წლის 5 ივლისს დაწყებული შეტევისა. ამ შეტევაზე, როგორც ცნობილია, ჰიტლერი დიდ იმედებს ამყარებდა. მტერმა ერთხელ კიდევ იგემა გამანადგურებელი ძალა საბჭოთა არმიის დარტყმებისა.

წინ ჯერ ბევრი მკაცრი გამოცდა, მძიმე და გააფთრებული ბრძოლა მოგველოდა.

საბჭოთა ჯარებმა არათუ ჩაშალეს გერმანელთა საზაფხულო შემოტევა, არამედ თვითონ გადავიდნენ გადამწყვეტ შეტევაზე მტრის ჯარების დაჯგუფებათა წინააღმდეგ, რომლებიც განადგურებულ იქნენ ორიოლის შვერილსა და ბელგოროდის რაიონში და მძიმე დამარცხება აგემეს მოწინააღმდეგეს.

ორიოლ-ბელგოროდში ყოფნის 22 თვის განმავლობაში გერმანელებმა ორიოლის პლაცდარმი მძლავრ გამაგრებულ რაიონად გადააქციეს. შეჰქმნეს აქ ღრმად ეშელონირებული ნაგებობანი, რომლებიც წყლის მრავალრიცხოვან ზღუდეებს ეყრდნობოდნენ. მტრის პრესამ და რადიომ ორიოლი გერმანული თავდაცვის ურყევობის სიმბოლოდ გამოაცხადეს. ორიოლის ჩრდილოეთით, აღმოსავლეთითა და სამხრეთით განლაგებული საბჭოთა ჯარები 12 ივლისს გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდნენ. ფაშისტურ ჯარებს, რომლებიც ორიოლის შვერილს იცავდნენ, გერმანელთა სარდლობამ უბრძანა ერთი ნაბიჯითაც არ დაეხიათ უკან, ებრძოლათ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე.

ორიოლ — ბელგოროდის რაიონში განუწყვეტლივ მოდიოდა მაშველი ძალა გერმანიიდან, სწრაფად გადმოჰყავდათ ჯარები საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის სხვა უბნებიდან. კოკისპირული წვიმა იყო. გზები გაფუჭდა, მიუხედავად ამისა, ჩვენი მეომრები მაინც სძლევდნენ მტრის მედგარ წინააღმდეგობას და განუხრელად მიიწევდნენ წინ. გერმანელთა ფრონტი მთელ სიღრმეზე გაირღვა. 5 აგვისტოს, ქუჩებში გამართული გააფთრებული ბრძოლების შემდეგ, გერმანელებმა ორიოლი დატოვეს.

ბელგოროდის მიმართულებით ჩვენი ჯარების შეტევა 4 აგვისტოს დაიწყო. მტერი აქაც შედრკა. მალე ბელგოროდი ჩვენს ხელთ აღმოჩნდა.

ორიოლ-ბელგოროდის ბრძოლაში 120 ათასი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი დასამარდა; განადგურდა 4605 ტანკი, 1623 ქვემეხი, 11 ათასი ავტომანქანა და 2492 თვითმფრინავი; 521 ტანკი, 875 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 1521 ტყვიამფრქვევი; 325 საწყობი შემტევ ჯარებს უვნებლად ჩაუვარდათ ხელთ. 12418 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი ტყვედ დანებდა მეომრებს.

ამრიგად, საბჭოთა არმიამ ზედმიწევნითი სიზუსტით განახორციელა უმაღლესი მთავარსარდლობის მიერ დასახული გეგმა და ერთი თვის ბრძოლის განმავლობაში ლიკვიდაცია უყო გერმანელთა შემოტევას კურსკზე, დიდი დამარცხება აგემა გერმანელ ფაშისტთა ჯარების დაჯგუფებას, გაანადგურა მტრის ორიოლის პლაცდარმი და გერმანელი დამპყრობლებისაგან გაათავისუფლა ორიოლი და ბელგოროდი.

### ნეველ — ნოვოსოკოლნიკის რაიონის ბრძოლებში

1943 წლის სექტემბრის დამლევს ჩვენი შენაერთის ცხოვრებაში ბრძოლების ახალი მძიმე ეტაპი დაიწყო. შენაერთი რკინიგზით გადავიდა პოლტავიდან კალინინის ოლქის სადგურ საბლაგოს რაიონში. საბლაგოდან ნეველამდე 200 კილომეტრია. ეს მანძილი ფეხით გავიარეთ. ნეველის მიმართულებით ბრძოლას ბევრი სიძნელე ახლდა. აქაურობა ჭაობითაა დაფარული. ირგვლივ უღრანი ტყეებია. ალაგ თხელ და ღრმა ტბებს, რომლებიც ყოველ ნაბიჯზე გვხვდებოდა, ვერც კი დაითვლის კაცი. ცუდი, თითქმის გაუვალი გზები დიდად აძნელებს ტანკების, თვითმავალი და მძიმე საველე ქვემეხების გამოყენებას. ნეველის რაიონში გერმანელებს საკმაოდ ძლიერი თავდაცვა ჰქონდათ მოწყობილი.

შენაერთი მალე ჩაება ბრძოლაში. ქალაქ ნეველის იერიშით ჩვენმა ნაწილებმა გერმანელთა დიდი ძალა მიიზიდეს და ამით შესაძლებლობა მისცეს გენერალ ბაგრამიანს მტრისაოვის გამოეგლიჯა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორია.

ზემოთაც ვამბობდით: ნეველის რაიონის რელიეფური თავისებუ-

რება დიდ დაბრკოლებას უქმნიდა ჩვენი ჯარების შეტევის განხორციელებას. ქალაქს ჭაობიანი ადგილები ერტყა გარს. ჭაობები ალაგ-ალაგ გაუვალი იყო, ტყეებსა და ხევხუვებს ნუღარ იკითხავთ! ქალაქში სხვადასხვა მხრიდან შედის რამდენიმე რკინიგზა და გზატკეცილი. რკინიგზებსაც და გზატკეცილებსაც გერმანელთა დიდი ძალები იცავდნენ. სწორედ ამ მიზეზის გამო თითქმის შეუძლებელი იყო შეტევის წარმართვა რკინიგზებისა და გზატკეცილების გასწვრივ. ნეველის გარშემო მდებარე დანარჩენი ადგილები სავსებით გაუვალია. ნეველის რაიონში გერმანელებს დიდძალი თავდაცვითი ნაგებობები აეგოთ, ყველა გზა და მისასვლელი მჭიდროდ დაეღობათ. ჭაობებსა და ტბებს შუა მოთავსებული ყოველი მცირე მაღლობიც კი გამაგრებული დაგვიხვდა. სოფლები და პაწაწინა დაბა-ქალაქები მტერს წინააღმდეგობის მძლავრ კვანძებად გადაექცია.

გერმანელთა სარდლობას ნეველის რაიონის თავდაცვა მიუვალად მიაჩნდა. შემტევმა ნაწილებმა შესძლეს მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევა 25 კილომეტრის მანძილზე. მეორე დღეს გარღვევის სიღრმემაც 25 კილომეტრს მიაღწია. კარგად მოფიქრებული დარტყმების შედეგად ჩვენი შენაერთი შეტევის მეორე დღეს. დაღამებისას, შევიდა ნეველში.

ოპერაციის წარმატება მთავარი დარტყმის მიმართულების მარჯვედ შერჩევამ განსაზღვრა. სარდლობისათვის ცხადი გახდა, რომ რკინიგზებისა და გზატკეცილების გაყოლებით შეტევის წარმართვა შეუძლებელი იყო, რადგან ერთსაც და მეორესაც მოწინააღმდეგის დიდი ძალები იცავდა. მაშასადამე, დარტყმა უნდა მიგვეყენებინა რომელიმე სხვა მიმართულებით. ამ მიზნით სარდლობამ აირჩია რაიონი, რომელიც სრულიად გაუვალი იყო — ჭაობების, ტბებისა და ტყეების რაიონი. გერმანელებმა იცოდნენ, რას წარმოადგენდა ეს ადგილები და ამიტომ თავს უშიშრად გრძნობდნენ. შეტევა დაიწყო. ჩვენი ნაწილები ზედიზედ სპობდნენ გერმანელთა წინააღმდეგობის კვარძებს და ბრძოლის დაწყების უკვე მეორე დღეს ნეველში შეიჭრნენ. ნეველის გარნიზონი აუწერელმა პანიკამ მოიცვა. ჩვენი ჯარების ასე უეცრად ქუჩებში გამოჩენა, ალბათ, სავსებით მოულოდნელი იყო.

ნეველში პირველნი შევიდნენ პოლკოვნიკი ბელოვი, სვანიძე, ბერიძე, პეტროსიანი, ქოჩარი და გენერალ-მაიორ კალაძის გვარდიელები. მსროლელმა ნაწილებმა, სატანკო ქვეგანაყოფებთან ერთად,

გადამწყვეტი იერიში მიიტანეს რამდენიმე ცალკეულ დასაყრდენ პუნქტებზე ნეველის მისადგომებთან, დაიკავეს მოწინააღმდეგის პირველი სანგარი და აქედან მეორეში გადაინაცვლეს.

ოფიცერ ბერიძის ჯარისკაცებმა სწრაფად ამოყარეს ფაშისტები სანგრებიდან და ძელმიწურ-საცეცხლე წერტებიდან. მალე მაღლობზე წითელი დროშა აფრიალდა. რამაც კიდევ უფრო გააძლიერა შეტევის გზნება. წინ წასულ ქვეით ჯარს კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ არტილერისტები და ერთიმეორეზე ანგრევდნენ მტრის სიმაგრეებს. მარტო უფროს სერჟანტ ხოფერიას ქვემეხის გუნდმა რამდენიმე წუთის განმავლობაში მოსპო მტრის ათამდე ძელმიწური-საცეცხლე წერტი. მოულოდნელი და სწრაფი შეტევის შედეგად მტრის თავდაცვა გარღვეულ იქნა. სწორედ ამ გარღვეულ ადგილას გაიარეს ლიხმანისა და საღირაშვილის ტანკისტებმა. ტანკებს გენერალ-მაიორ მიხაილოვის ქვეითები მისდევდნენ.

როცა საბჭოთა ტანკებმა ცეცხლი გაახსნეს, ნეველის ქუჩებზე მტრის მრავალმა ჯარისკაცმა მიატოვა თავისი პოზიცია, იარაღი დაყარა და გაიქცა. ცალკეულ უბნებზე გერმანელები მაინც შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდნენ. ჩანს იმედოვნებდნენ, როგორმე იერშს მოვიგერიებთო. იმედი არ გაუმართლდათ. მტრის წინააღმდეგობის ბუდეები სწრაფად ჩაჩუმდნენ. მოწინააღმდეგემ დიდი ზარალი ნახა და უკან დაიხია. რამდენიმე ხნის შემდეგ ჰიტლერელებმა შეაწესრიგეს თავიანთი ქვეგანაყოფები და ზედიზედ მოიტანეს სამი გაძლიერებული კონტრიერიში. ამ კონტრიერიშებს თან ახლდა არტილერიის მძლავრი ცეცხლი. მოწინააღმდეგის ყველა ცდა — ხელახლა დაეკავებინა ქალაქი — სრული მარცხით დამთავრდა.

ჩვენმა ჯარებმა შეტევა განაგრძეს და სულ მალე 24 დასახლებული პუნქტი დაიკავეს. მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოუვიდა.

გერმანელებმა ყუმბარებით ჩაამტვრიეს ტბაზე ყინული და ამით უკან დასახევი გზა მოუჭრეს ჩვენს მეომრებს. მაგრამ ჩვენი მეომრები არც აპირებდნენ უკან დახევას, თუმცა ხედავდნენ, რომ მათი მდგომარეობა არცთუ ისე სახარბიელო იყო.

ამ ბრძოლებში სიმამაცე გამოიჩინეს 122-ე საარტილერიო პოლკის მეშვიდე ბატარეის არტილერისტებმა. არტილერისტები პირდაპირი დამიზნებით ანადგურებდნენ მტრის საცეცხლე წერტებს და არ აძლევდნენ გერმანელებს სანგრებიდან თავის ამოყოფის საშუალებას.

ნეველთან ბრძოლებში საარაკო გმირობა გამოიჩინა გვარდიის უფ
როსმა ლეიტენანტმა ტოლსტუხომ. ბრძოლის ყველაზე მძიმე წუ
თებში ტოლსტუხოს არა ერთხელ წაუყვანია იერიშზე გვარდიელებ
და იქ, სადაც საეჭვო ხდებოდა გამარჯვება, გაუმარჯვია.

16 დეკემბერი იყო. უფროს ლეიტენანტ ტოლსტუხოს საიერიშო
ასეული ნეველის რაიონის სოფელ ჩერტოვოს მახლობლად იდგა. ჩვენ
არტილერია მოწინააღმდეგის თავდაცვის წინა ხაზს ურტყამდა. რო
დესაც საარტილერიო მომზადება დამთავრდა, ტოლსტუხო პირველ
წამოიმართა და შეძახილით — „სამშობლოსათვის წინ!“ — იერიშზე
გაიყოლია ასეულის მეომრები. მტერი შეუპოვარ წინააღმდეგობას გვი
წევდა, არა ერთხელ გადმოდიოდა კონტრიერიშზე. მოკლეს მეორე
ოცეულის მეთაური, შემდეგ სხვებიც გამოვიდნენ მწყობრიდან. ტოლ
სტუხო დაჭრილი იყო. თავში ნაღმის ნამსხვრევი მოხვდა. ბრძოლის
ველი მაინც არ მიუტოვებია. ასეული წინ წაიყვანა, გერმანელები სან
გრებიდან ამოყარა, რითაც პირნათლად შეასრულა ქვეგანაყოფის წი
ნაშე მდგარი ამოცანა და მტკიცედ გამაგრდა დაკავებულ ზღვარზე.

არ გაუვლია ცოტა ხანს, იგივე ნეველის რაიონის სოფელ კელიკის
თან გააფთრებული ბრძოლა დაიწყო. ბრძოლა მიმდინარეობდა ერთ
ერთი გამაგრებული სიმაღლის დასაპყრობად. ფაშისტები არ თმობდ
ნენ სიმაღლეს. წამდაუწუმ გადმოდიოდნენ კონტრიერიშზე. სიმაღლე
რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში.

ფიცხელი ბრძოლის დროს მტერმა მოცელა დაზგის ტყვიამფრქვე
ვის მთელი გუნდი. გერმანელმა მეავტომატეებმა დრო იხელთეს
და წინ გამოექანენ. უფროსმა ლეიტენანტმა ტოლსტუხომ, რომე
ლიც თავის გმირ ჯარისკაცებს გვერდით ედგა, სწრაფად შეაფასა მდგო
მარეობა, მივარდა დაზგის ტყვიამფრქვევს და სროლა გააჩაღა. ამ
ბრძოლაში პირადად ტოლსტუხომ 18 გერმანელი გამოასალმა წუთი
სოფელს. კონტრიერიში ჩაიშალა, მტერმა უკან დაიხია.

ერთ-ერთ მომდევნო ბრძოლაში ტოლსტუხო მძიმედ დაიჭრა. ნაღ
მის ვეება ნამსხვრევს მისთვის გულმკერდი შეუნგრია.

— ბიჭებო! — დაიძახა გმირმა ოფიცერმა სამუდამოდ თვალს
დახუჭვის წინ, — არ დაინდოთ ეგ ყაჩაღები, მუსრი გაავლეთ!

ეს იყო ტოლსტუხოს უკანასკნელი სიტყვები. ერთგულმა თანამებ
რძოლებმა იქვე მიაბარეს მიწას თავიანთი მამაცი მეთაური.

გადიოდა თვეები. შენაერთი კვლავინდებური თავგანწირვით იბრძოდა. დიდი და მცირე ოვანის ტბების რაიონში მტრის თავდაცვა გატყდა. ჩვენი ნაწილების ძლევამოსილ N წინსვლას შედეგად მოჰყვა მრავალი დასახლებული პუნქტის განთავისუფლება. განთავისუფლებულ დასახლებულ პუნქტებს შორის იყო რკინიგზის რამდენიმე სადგური ნეველ — ნოვოსოკოლნიკის ხაზზე.

1944 წლის გაზაფხულზე შენაერთმა თავდაცვა დაიკავა იდრიცის რაიონში. იდრიცი ნეველის დასავლეთითაა, ერთი დღის სავალზე. აპრილის დამლევამდე აქ ვიდექით. წინ წასულ მზვერავებს დროდადრო მოენეები მოჰყავდათ. ერთი თვის განმავლობაში 9 მოენე მოიყვანეს. თავის მხრივ, გერმანელებიც ცდილობდნენ მოენის ხელში ჩაგდებას, მაგრამ ამაოდ.

20 ივნისს სილოტინსკის ცნობილი გარღვევა დაიწყო. მეომართა საბრძოლო აღტყინებამ და სამხედრო ხელოვნების სრულყოფამ უზრუნველყო ჩვენი წარმატება. შენაერთმა ბრძოლებით გაიარა 250 კილომეტრი და გზადაგზა ლახავდა მტრის მძლავრ ეშელონირებულ თავდაცვას. ამ ოპერაციაში ჩვენი ჯარები გარს შემოერტყნენ გერმანელთა ვიტებსკის დაჯგუფებას, რისთვისაც შენაერთს მიენიჭა „ვიტებსკის“ სახელწოდება. გადალახულ იქნა წყლის 4 დაბრკოლება, მათ შორის წყალსავსე მდინარე — დასავლეთი დვინა.

მდინარის მეორე ნაპირზე გერმახელებს ძნელად მისადგომი სიმაგრეები აეშენებინათ. ოფიცერმა გუსევმა გადაწყვიტა შეუჩერებლივ გადაელახა მდინარე და მეომრებითურთ პირველმა შესცურა წყალში. ტალღები ჰფარავდა ტივტივას, რომელიც ნაჭრარევად იყო გაკეთებული ლაბადაკარვისა და ფიჩხისაგან, მაგრამ გუსევი მაინც მიცურავდა. მამაც მეთაურს კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ ათეულის მეთაური კონოვალოვი და სერჟანტი სამხარაძე, მეავტომატეები ოშჩულინი და მაკეევი. როგორც კი ნაპირს მიაღწიეს, მეომრები გაცხარებულ ბრძოლაში ჩაებნენ. მამაცურად და თავდადებულად იბრძოდნენ გვარდიელები. არამც და არამც არ თმობდნენ დაკავებულ პლაცდარმს.

სანამ გუსევი გაღმა ნაპირზე იბრძოდა, გამოღმა დარჩენილმა მე-2 ოცეულის მეთაურმა გვარდიის უმცროსმა ლეიტენანტმა წესტაკოვმა

ცეცხლით უზრუნველყო ასეულის დანარჩენი ნაწილების მდინარეზე გადაყვანა. ჩვენი მეომრები დიდ თავდადებასა და გამჭრიახობას იჩენდნენ. მაგალითად, ოფიცერმა არქიპ შესტაკოვმა გერმანელთა მსხვილყალიბიანი ტყვიამფრქვევების გრიგალისებურ ცეცხლში გადასცურა განიერი და ჩქარი მდინარე. გაღმა ნაპირზე კბილით გაიტანა გრძელი მავთული, რომლის აქეთა ბოლო მაშველი რაზმებით დატვირთულ ტივტივებზე იყო გამობმული. არქიპ შესტაკოვს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. გერმანელებმა ვერ გაუძლეს შეტევას, ჩვენი ქვეგანაყოფები კი სულმოუთქმელად მისდევდნენ უკან დახეულ მტერს.

მამაცთა მცირე ჯგუფით უმცროსი ლეიტენანტი ალექსანდრე გრიგორიევი სამი საათის განმავლობაში უმკლავდებოდა კონტრშეტევაზე გადმოსულ მტერს. მდინარის გაღმა ნაპირზე დაკავებული პლაცდარმი მაინც არ დათმო. საინტერესოა ამ ჯგუფის მდინარეზე გადასვლის ამბავი. როგორც კი დილით დასაველეთ დვინის გაღმა ნაპირი გამოიკვეთა, გვარდიის ზემდეგმა საბჭოთა კავშირის გმირმა იზგუდ აიტიკოვმა მიმართა კომკავშირელ მეომრებს:

— ვის სურს პირველმა გადაცუროს მდინარე?

მსურველი ბევრი აღმოჩნდა. არჩეულ იქნა 5 უშიშარი მეომარი. მათ შორის თვით იზგუდ აიტიკოვი იყო. მტრის ძლიერი ცეცხლის მიუხედავად, მამაცებმა მდინარე გადასცურეს.. მტერი შედრკა, როცა თავით ფეხებამდე სველი საბჭოთა მეომრები თავის სანგარში დაინახა.

ამით ისარგებლა ჩვენმა ათეულმა და სახელდახელო საშუალებით დაიწყო მდინარის გადალახვა.

დასავლეთ დვინის გადალახვის დროს გამართულ ბრძოლებში ჩვენი შენაერთის ბევრმა გვარდიელმა ისახელა თავი. მათ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭა. მრავალი მათგანი ვერ მოესწრო მტერზე გამარჯვების ნანატრ დღეს. მაგრამ უშიშარ მეომართა სახელები სამუდამოდ დარჩება ჩვენი ჯარისკაცების, სერჟანტების, ოფიცრებისა და მთელი საბჭოთა ხალხის გულში. მათი სახელი, მათი უკვდავი საქმე, როგორც საბრძოლო დროშა, გვარდიელებს შთააგონებს ახალ გამარჯვებებს, ახალ თავგანწირვას საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

რუსეთის უძველესი ქალაქის --- პოლოცკის განთავისუფლება ერთერთი ბრწყინვალე ფურცელია ჩვენი შენაერთის ისტორიაში.

ჩვენმა პოლკებმა მტკიცე დარტყმით გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვის გარე სარტყელი. ბრძოლა ქალაქის სამხრეთ ნაწილში გაჩაღდა. პოლოცკი ქალაქი როდიღა იყო. უწინდელი მრავალსართულიანი შენობების ნაცვლად აქ მხოლოდ ნანგრევები ბოლავდნენ ფერფლსა და მტვერში. მაგრამ, წარმოიდგინეთ, მტერი იმ ნანგრევებსაც არ თმობდა. მას კვლავაც სჭირდებოდა ქალაქი, როგორც მნიშვნელოვანი კომუნიკაციის კვანძი, როგორც ზღვარი, რომელიც ფარავდა მისი დაჯგუფების ფრთას. გერმანელები ყოველნაირად ცდილობდნენ როგორმე შეენარჩუნებინათ პოლოცკი.

დიდი მსხვერპლი დასჭირდა თვითეული სახლის, თვითეული ფარღულის განთავისუფლებას. ხუთ საათს გასტანა ბრძოლამ. დაბოლოს, გერმანელთა მრავალრიცხოვანი გარნიზონი პოლოცკის სამხრეთ ნაწილში მოემწყვდა. დასაღუპად განწირულ ჯარისკაცებს ერთი გზაღა ჰქონდათ ხსნილი — უკან, მდინარის მხარეს... გარნიზონის დიდმა ნაწილმა გაქცევით უშველა თავს, ნაწილი დასავლეთ დვინაში დაიხრჩო. გერმანელებს ვერც ტერიტორიულმა უპირატესობამ უშველა და ვერც გონივრულად ორგანიზებულმა საცეცხლე სისტემამ. დასავლეთ დვინის მაღალ ნაპირზე ხელისა და დაზგის ტყვიამფრქვეველების ფარული მოედნები იყო გამართული. ქვის შენობების სარდაფები მტერს ხანგრძლივ საცეცხლე წერტებად ექცია. ზედა სართულებში, ყოველ ფანჯარასთან და სხვენებში მეავტომატეები ისხდნენ. უფრო ზევით, იქვე ჩასაფრებულიყვნენ ცეცხლმტყორცნელებიც. თითქოს არავითარ ძალას არ შეეძლო გაეღრღვია ცეცხლის ეს ფარდა. ერთადერთი, რაც ვერ მოასწრეს გერმანელებმა, ხის ხიდის აფეთქება იყო, თუმცა ხიდის ასაფეთქებლად ყველაფერი უკვე მზად ჰქონდათ.

ჩვენი ჯარების ელვისებურმა იერიშმა ჩაშალა მათი განზრახვა. მოიერიშეებმა მსწრაფლ გადასჭრეს ელექტროსადგურები, რომელსაც მუხტი უნდა მიეწოდებინა ხიდის ბურჯებში დატანებული ნაღმებისათვის. გერმანელებმა ხშირი სროლა გააჩაღეს. ხიდზე გადასასვლელი გზა გადაღობილი იყო მთავარი ძალებისათვის. ჩვენი მოიერიშეების

მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელიც პირველი გადავიდა გაღმა, მოწყდა მთავარ ძალებს. ამ ჯგუფს, რომელიც 23 მამაცი მეომრისაგან შედგებოდა, გვარდიის ლეიტენანტი სვანიძე ედგა სათავეში. ჯგუფმა რამდენჯერმე ჩააქრო ხიდზე გაჩენილი ხანძარი, რომელიც გერმანელთა ყუმბარების აფეთქებით იყო გამოწვეული. სვანიძის არწივებმა მალე ხელთ იგდეს ქვის შენობა მდინარის ჩრდილო ნაპირზე, აქედან კი ვერავითარმა ძალამ — ვერც არტილერიამ, ვერც ტანკებმა, ვერც ტყვიამფრქვეველებმა ვერ შესძლო მათი გამორეკვა. ბევრი მედესანტე დაეცა გმირული სიკვდილით, პლაცდარმი კი მაინც მიუწვდომელი იყო მტრისათვის. გერმანელებმა დასტოვეს ქალაქის ცენტრალური ნაწილი. პოლოცკის თავზე წითელი დროშა აფრიალდა. ჩვენი შენაერთის პოლკებს მიენიჭა სახელწოდება „პოლოცკი“.

1944 წლის ზაფხულის განმავლობაში ჩვენი შენაერთი განუწყვეტლივ იბრძოდა; გამალებული სდევნიდა მტერს, ახდენდა მრავალკილომეტრიან მარშ-მანევრს, გარს უვლიდა მტრის დაჯგუფებებს, სწყვეტდა მისი თავდაცვის მძლავრ კვანძებს.

დადგა შემოდგომა. 5 ოქტომბერს, განთიადისას, ჩვენი შენაერთის ნაწილები ფარულად ჩასაფრდნენ მდინარე ვენტის გასწვრივ.

ძლიერი არტმომზადების შემდეგ პოლკები შეტევაზე გადავიდნენ. შეტევის პირველსავე დღეს უკან დარჩა მდინარე ვენტა. სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა ლიტვის ქალაქ ტრიშკაიასთან. აი, რა გვიამბო ამ ბრძოლის შესახებ ერთ-ერთი ასეულის მეთაურმა გვარდიის უფროსმა ლეიტენანტმა ვ. სამხარაძემ: — დილით, 6 ოქტომბერს, ჭაობებში დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ, ასეული ტყის პირას გავიდა. აქედან კარგად მოჩანდა ქ. ტრიშკაის სამხრეთი უბნები. ტყის პირას ტრიალი მინდორი იწლებოდა. მინდორი თავდებოდა სიმაღლეებით, რომლებიც ჭკვიანურად გამოეყენებინათ გერმანელებს ხანგრძლივი თავდაცვის მოსაწყობად. მე და ათასეულის მეთაური გვარდიის მაიორი კოვალჩუკი დაუყოვნებლივ გავედით ადგილმდებარეობის დასაზვერად. დაბლობი, რომელიც სიმაღლეების წინ იყო გაშლილი, კარგს არას გვიქადდა, მოხერხებული მისასვლელი გზა კი არსაით ჩანდა. საყოყმანო დროც არა გვქონდა. ამიტომ გაშლილ ადგილზე შეტევის დაწყება ვარჩიეთ. იმ სიმაღლის წინ, რომელიც ჩემს ასეულს უნდა აეღო, სამ რიგად იყო გაჭიმული ეკლიანი მავთულხლართები. სიმაღლეს გარშემო უვლიდა ორი დაკლაკნილი თხრილი. მწვერვალზე ორი პატარა სახლი იდგა.

ერთ-ერთ მათგანში ტყვიამფრქვევი მოვიპოვებინათ, მეორეში — გრანატმტყორცნი.

სიმაღლეზე გამაგრებულ გერმანელებს ჩვენი სამზადისი შეუმჩნეველი დარჩათ. ისიც კი ვერ შეამჩნიეს, ჭაობებში უკვე-უკვლოდ სიარულის შემდეგ უკვე ტყის პირსაც რომ მოვაღწიეთ. სანამ აქამდე მოვიდოდით, გზაში ბევრი გაჭირვება გადაგვხდა. გზები არ იყო. ყოველი ნაბიჯის გადაგმაზე მუხლამდე ჭაობში ვეფლებოდით. მძიმე სამხედრო ტექნიკას თრევა არ უნდოდა? არტილერია ჩამოგვრჩა. ქვეითები უფრო მსუბუქად ვიყავით და აკი იმიტომაც გავასწარით არტილერისტებს. გერმანელებს უგზოობის იმედი ჰქონდათ. ვინ იფიქრებდა, თუ ასე მალე წავადგებოდით თავს, მაგრამ ჩვენი მდგომარეობა მაინც სახარბიელო იყო. ბრძოლის ბედს განა მარტო სისწრაფისა და მოულოდნელობის ფაქტორი წყვეტს?! უარტილერიოდ, მძლავრი საცეცხლე საშუალებების გარეშე აბა რა უნდა გექნა?! დრო კი არ ითმენდა. სხვა გზა არ იკო, ისევ მოულოდნელ დარტყმას უნდა დავყრდნობოდით. მე ოცეულის მეთაურები გამოვიძახე და საბრძოლო ამოცანა მივეცი. ამ ამოცანის მიხედვით ორი ოცეული იწყებდა შეტევას, მესამე ოცეული კი ათასეულის მეთაურის რეზერვში რჩებოდა.

დღის 12 სათზე თითქოს მიწიდან ამოძვრნენ ჩვენი ასეულები. მარჯვნივ და მარცხნივ სხვა ქვეგანაყოფებიც გადავიდნენ შეტევაზე. იარაღმოღერებული მეომრები სირბილით მიადგნენ მტერს. სიმაღლიდან ტყვიამფრქვევებისა და შაშხანების ცეცხლი დაგვიშინეს. მე ასეულს კვალდაკვალ მივყვებოდი და გზადაგზა თვალს ვადევნებდი ოცეულთა გადაადგილებას. და აი, დადგა წუთი, რომლისაც მეშინოდა — ჩემმა მსროლელებმა ვერ გაუძლეს მტრის ცეცხლს და ჩაწვნენ. მეკავშირე გალიკინთან ერთად მე დაუყოვნებლივ მივუახლოვდი ჩაწოლილ წყებას.

— მომყევით, წინ, ამხანაგებო! — დავიყვირე, ზეზე წამოვვარდი და თხრილისაკენ გავიქეცი. უკან აღარ მომიხედია, ანდა ამ ცეცხლის კორიანტელში სადღა იყო უკან მოხედვის დრო?! მალე ჩემი ორივე ოცეულით მტრის სანგრებს ვეკვეთე. გერმანელებმა არ მიიღეს ხელჩართული ბრძოლა, ნაჩქარევად და უწესრიგოდ გადავიდნენ მეორე თხრილში.

ტყვიამფრქვევ-ავტომატების ცეცხლი გაძლიერდა. გერმანელები

ახლა მეორე თხრილიდან გვიშენდნენ, განსაკუთრებით კი პატარა სახლებიდან. ერთი მხრივ, შეყოვნება არ შეიძლებოდა, მაგრამ, მეორე მხრივ, წინსვლაც უაზრობა იყო. ოცეულთა მაგიერ წინ სამი მეომარი გავგზავნე და ვუბრძანე — მოესპოთ მტრის საცეცხლე წერტები. სროლასა და მტვერში სამეული შეუმჩნეველად შეიჭრა მტრის განლაგებაში. აი, სახლებსაც მიაღწიეს. წუთიც და, სროლა შეწყდა, სანგარში ერთერთმა სამთაგანმა მოირბინა და სასიხარულო ამბავი მოიტანა, გრანატმსროლელი მოკლულია, მეტყვიამფრქვეველი კი გაიქცაო.

კვლავ საბრძოლო ბრძანება, და იერიში განახლდა. შევიჭერით მეორე თხრილში. მტერმა მარჯვენა მხარეს დაიხია. დაიწყო გააფთრებული ბრძოლა ხელის გრანატებით. გათენებისას, როგორც იქნა, დავძლიეთ მტრის გააფთრებული წინააღმდეგობა. ასზე მეტი ფაშისტი ჯარისკაცი და ოფიცერი გავჟლიტეთ ამ ბრძოლაში. სიმაღლე ჩვენს ხელში გადმოვიდა. ამ ერთი სიმაღლის დაკავებას სხვა სიმაღლეების აღებაც მოჰყვა. ქალაქ ტრიშკაისაკენ გზა უკვე ხსნილი იყო, რადგან უკან დახეულ მტერს ფეხის მოსაკიდებელი ადგილი უკვე აღარსად ჰქონდა. მალე ამ სიმაღლეების ბედი ეწია თვით ქალაქ ტრიშკაისაც. ტრიშკაი გერმანელთა თავდაცვის მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი იყო. შემოდგომის ბრძოლებში თავის გამოჩენის გამო ჩვენი ორი ლეგიონი მთავრობამ ორდენებით დააჯილდოვა. ერთმა წითელი დროშის ორდენი მიიმაგრა გვარდიულ დროშას, მეორემ კი — კუტუზოვისა. ამით აღინიშნა განადგურება გერმანელთა იმ დაჯგუფებისა, რომელიც აღმოსავლეთ პრუსიის მისადგომებს იცავდა.

სულ მალე შენაერთმა, ფრონტის სხვა ჯარებთან ერთად, მოახდინა ცნობილი ნახტომი ბალტიის ზღვისპირისაკენ. გერმანელთა 30-ზე მეტი დივიზია მოსწყდა აღმოსავლეთ პრუსიას და შემტევი საბჭოთა ჯარების გარემოცვაში მოექცა. ახლა ჩვენს ამოცანას შეადგენდა — დაგვეუძლურებინა მტერი, გაგვენადგურებინა მისი ტექნიკა და ცოცხალი ძალა. არ მიგვეცა საშუალება ზურგიდან გადმოეყვანა თუნდაც ერთი დივიზია.

კურლანდია, სადაც ჩვენ იმხანად გვიხდებოდა ბრძოლა, ტყიანი, ძალზე ჭაობიანი ადგილია. გზები არ უდგება. ამავე დროს, ყოველ ნაბიჯზე აღმართულან საკომანდო სიმაღლეები. გერმანელებს ყველა სიმაღლე გამოყენებული ჰქონდათ ხანგრძლივი თავდაცვის მოსაწყო-

ბად. არ იყო ისეთი საინჟინრო ნაგებობა, რომელიც გერმანელებს იქ არ აეგოთ.

კურლანდიის ალყაში მტრის რჩეული ძალები მოემწყვდა. აქ იყვნენ ისინი, ვინც შესძლო „დემიანსკის ტომრიდან“ გამოსვლა, აქ იმყოფებოდნენ ის თავზე ხელაღებული გერმანელებიც, რომელთაც თავის დროზე ბლოკადის მარწუხები მოუჭირეს ლენინის ქალაქს, „სს“ დივიზიები, „მკვდარი თავი“ და სხვები. მტერი ზღვასთან შეჯგუფდა და გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მაგრამ გერმანელებს ჯერ კიდევ გააჩნდათ დიდი ძალები, ჯერ კიდევ ჰქონდათ საბრძოლო მასალის უზარმაზარი მარაგი, ჯერ კიდევ შეეძლო სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა. მტერი დღეში 8—10 კონტრშეტევას იწყებდა. მოტოქვეითი ჯარი და თვითმავალი ქვემეხები მოსვენებას არ გვაძლევდნენ. იმ ზამთარს კურლანდიაში დიდი უგზოობა იყო. ჩვენი მეომრები განა მარტო იბრძოდნენ?! გაჰყავდათ გზები, ზურგით მიჰქონდათ საბრძოლო საჭურვლით სავსე მძიმე ყუთები.

მაგრამ ვერავითარმა დაბრკოლებამ — ვერც უგზოობამ, ვერც მტრის ღრმა ეშელონირებულმა თავდაცვამ, ვერც უახლოესი ზურგის დაბომბვამ ვერ შეაჩერა გვარდიელების მისწრაფება გერმანელებისაგან გაეთავისუფლებინათ საყვარელი სამშობლოს მიწა.

გვიან საღამოს გვარდიის ზემდეგმა კორობკოვმა მიიღო საბრძოლო ამოცანა: მებრძოლთა ჯგუფით დაეკავებინა საავტომობილო გზა და ხუტორიდან გერმანელები განედევნა. კორობკოვმა შეარჩია გაბედული, უშიშარი მეომრები: დრემკოვი, ხოფერია, საღირაშვილი, გალოგრე, მალოფეევი, პუნდიჩი, მატვეიჩუკი, გავენკო, შჩერბაკი და კონოვალოვი.

კაპიტან სვანიძის მიერ გაგზავნილმა დაზვერვამ გერმანელების ძელმიწური აღმოაჩინა, რომელიც ხუტორის მისადგომებს იცავდა. ძელმიწურის ახლოს დაზვერვამ ქვემეხი და საბრძოლო მასალა შეამჩნია. კორობკოვს იმწამსვე დაებადა გაბედული აზრი. შემოვლითი გზით მან ტყის პირას გამოიყვანა თავისი ჯგუფი. გვარდიის ეფრეიტორს დრემკოვს, რომელიც საარტილერიო საქმეს იცნობდა, კორობკოვმა უბრძანა ქვემეხი გაეტანა და სროლა აეტეხა ძელმიწურის მიმართულებით. პირველივე ჭურვით დრემკოვმა შეანგრია მტრის ძელმიწურის სათოფური. ამის შემდეგ მეომრები „ვაშას“ ძახილით ხუტორში შეცვივდნენ. მთელი ხმით ალაპარაკდა მეომარ გავენკოს ტყვიამფრქვე-

ვი. ცეცხლმოდებული ვირთხებივით დარბოდნენ ხუტორში დაბნეული გერმანელები, გვარდიელები კი დაუნდობლად ჟლეტდნენ მათ. თვით კორობკოვმა ათი ფაშისტი გამოასალმა წუთისოფელს. სულ ნახევარ საათს გასტანა ბრძოლამ. რვა მამაცმა ვაჟკაცმა სამოცამდე ფაშისტს დაუბნელა მზე. საბრძოლო ამოცანა ბრწყინვალედ იქნა შესრულებული.

ყოველდღე მჭიდროვდებოდა რკინის რკალი გერმანიის ჯარების ბალტიისპირა დაჯგუფების ირგვლივ. თავიანთ ქვეყანას ათასობით კილომეტრით მოწყვეტილი გერმანელები, რომლებმაც უზარმაზარი დანაკლისი განიცადეს ზღვასა და ხმელეთზე, გუმანით გრძნობდნენ, რომ ალსასრული უკვე ახლოს იყო. განწირულნი სასტიკ წინააღმდეგობას ეწეოდნენ. თხრიდნენ ახალ და ახალ სანგრებს, აშენებდნენ ახალ და ახალ საინჟინრო ნაგებობებს. ყოველ ხუტორს, ყოველ სიმაღლეს, ყოველ ტყეს შუალედ ზღუდეებად, გამაგრებულ საცეცხლე წერტებად და წინააღმდეგობის კვანძებად აქცევდნენ. გერმანელთა ბანდები იმედოვნებდნენ აქ მოეთქვათ სული. მაგრამ ამაოდ. ჩვენი მეომრები გამუდმებით ამსხვრევდნენ მტრის სასტიკ წინააღმდეგობას. ახლოვდებოდა ფაშიზმის პირისაგან მიწისა აღგვის ჟამი.

ტყეში ბრძოლის დროს გვარდიის სერჟანტ კეხელაშვილის ტყვიამფრქვევის გუნდი მტრის ძელმიწურს წააწყდა, რომლის ამბრაზურაშიც დაზგის ტყვიამფრქვევი კაკანებდა. გუნდის მეთაურმა უბრძანა თავის მეტყვიამფრქვევეს მტრის ყურადღება მიეზიდა, თვითონ კი შემოვლითი გზით მიუახლოვდა ძელმიწურს და ტანკსაწინააღმდეგო გრანატა სტყორცნა. ძელმიწური დაინგრა, გვარდიელების გზაზე დაბრკოლება მოცილებულ იქნა. გერმანელები ხშირ-ხშირად გადმოღიოდნენ კონტრშეტევაზე. მათი მოგერიების დროს გვარდიელები დიდ ნებისყოფას და გამძლეობას იჩენდნენ. აი, ერთი მრავალთაგანი მაგალითი.

მეტყვიამფრქვევე ივანე დონიჩმა დაინახა როგორ მოფორთხავდნენ ფაშისტები. ყოველ წუთს ისინი სულ ახლო და ახლო იყვნენ ჩვენს პოზიციებთან. გამოცდილმა მეომარმა გადაწყვიტა აუცილებლად გაენადგურებინა მტერი. მან მოუშვა გერმანელები ძალიან ახლო მანძილზე და მიბრჯნით დაუწყო სროლა. გერმანელები, რომლებიც ცოცხალი გადარჩნენ, მაშინვე გაშორდნენ იქაურობას.

ასეთ შეუწყვეტელ მძიმე ბრძოლებში გავიდა ზამთარი და დადგა 1945 წლის გაზაფხული.

ერთ დღეს კაპიტან სვანიძის მზვერავები მოხერხებულად შეიპარნენ მტრის ზურგში და ზუსტად გამოარკვიეს საცეცხლე წერტების განლაგება. დაზვერვის დროს მზვერავები მტრის ჯგუფს გადაეყარნენ. ხანმოკლე ბრძოლაში გერმანელებმა ზარალი ნახეს და უკან დაიხიეს, გვარდიელი მზვერავები კი უკლებლივ დაბრუნდნენ პოლკში. თან წამოყვანილმა ტყვემ ობერ-ლეიტენანტმა ვოლფგანგ რიხტერმა განაცხადა, რომ ის ამა წლის მთელ გაზაფხულსა და ზაფხულზე ქალაქ კელნში იმყოფებოდა, სადაც მისი ნაწილი — მე-16 სათადარიგო ათასეული იდგა. ფრონტზე მაისის დამლევს მოსწეოდა წამოსვლა. სახელდახელოდ შეიარაღებული ათასეული ფრონტის ხაზზე გამოსვლისთანავე ბრძოლაში ჩაბმულიყო, ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, რომლებმაც კელნიდან აქამდე ამხელა გზა გამოიარეს, დასვენებაც ვერ მოესწროთ, თვით ობერ-ლეიტენანტი სამჯერ ყოფილიყო ფრონტზე ნამყოფი, სამჯერვე დაეჭრათ. გამოტყდა, ესესელთა პარტიის წევრი ვარ და ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის ფიურერმა პირველი ხარისხის რკინის ჯვრით დამაჯილდოვაო. ჰოსპიტლიდან გამოწერის შემდეგ „გმირს“ რამდენიმე დღე გერმანიაში გაეტარებინა. ზურგში მძიმე განწყობილება სუფევსო. ბევრს გული გაუტყდა და ჩვენი საქმე უკვე წაგებულად მიაჩნიაო. რიხტერსაც შევეკითხეთ, თუ რას ფიქრობდა ომის ბედზე. მან კატეგორიულად განაცხადა, რომ თვითონაც იზიარებს თავისი ხალხის აზრს, რომ გერმანია კატასტროფის წინაშე დგას.

მეორე ტყვემ — 75-ე ქვეითი დივიზიის ეფრეიტორმა ჰოზეფ ბიულესმა გვამცნო, რომ დივიზიას, სადაც ის მსახურობს, თავდაცვა უკავია ქალაქ პოლოცკის რაიონში. დარწმუნებული ვიყავით, რომ იქ მოგვიხდებოდა დაზამთრება; ბლინდაჟები ავაგეთ, — თქვა ეფრეიტორმა, — უკან დახევა მოულოდნელი იყო არა მარტო ჯარისკაცებისათვის, არამედ თვით ოფიცრებისთვისო. ყველას ძალზე გაკვირვებოდა, როდესაც საბჭოთა ჯარების მიერ ფრონტის გარღვევის ამბავი შეეტყოთ. ამ თავზარდამცემ ამბავს დიდი არევ-დარევა გამოეწვია. ასეულის მეთაურს ობერ-ლეიტენანტ ფონ-ბერგენს თავი მოეკლა...

ჩვენ გვიჩვენეს ჩანაწერი, რომლითაც გერმანიისა და რუმინეთის სარდლობამ ჩრდილოეთ რუმინეთის მოსახლეობას მიმართა. ჩანაწერს სათაურად ჰქონდა „სერეტისათვის!“ ფურცელში კვლავ განმეორებული იყო სულელური ზღაპარი იმის შესახებ, რომ „მაღალი სტრატეგიული მოსაზრებებით“ გერმანელ-რუმინელთა ჯარები პრუტის ხაზიდან გადმოდიან და სამხრეთისაკენ, მდინარე სერეტს გამოღმა იხევენ, „რომლის აქეთაც სარდლობამ უკანასკნელ დღეებში შექმნა თავდაცვის მტკიცე, უაღრესად მძლავრი ხაზი, სრულიად საიმედო, რათა მოიგერიოს ყოველი საბჭოთა თავდასხმა და თავიდან აგვაშოროს მათი შემოჭრა უფრო ღრმად, რუმინეთის სასიცოცხლო ცენტრებისაკენ“.

ჩანაწერი ურჩევდა რუმინელებს: „წამოდით პრუტისპირა რაიონებიდან, მიატოვეთ და მოსპეთ სახლები, წამოიყვანეთ პირუტყვი და წამოიღეთ ქონება მდინარე სერეტს გამოღმა“. გერმანელებს ჯერ კიდევ სულელურად სჯეროდათ, რომ მდინარე სერეტი ჩვენთვის ყოვლად გადაულახავი ზღუდე იყო. ვინ იცის, შეიძლება არც კი სჯეროდათ იმისა, რასაც თვითონვე ამბობდნენ, მაგრამ რას იზამ, ნათქვამია: წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო. ისე კი ერთი რამ, მართლაც, ანგარიშგასაწევი იყო: უკანასკნელ დროს სერეტის მარჯვენა ნაპირზე გერმანია-რუმინეთის სარდლობამ სწრაფი ტემპით იწყო თავდაცვის ხაზის აგება, თხრილების, სანგრების, ბლინდაჟების აშენება, შესაძლო გადასასვლელთა ყველა უბნის ძელმიწური საცეცხლე წერტებით გადაღობვა, მდინარის მისადგომების დანაღმვა და სხვ. მოსახლეობამ იცოდა ყოველივე ეს, ვინაიდან ათიათასობით კაცი და ქალი სასწრაფოდ იქნა მობილიზებული სერეტზე სამუშაოდ. მიუხედავად ყოველივე ამისა, გერმანია-რუმინეთის სარდლობის საგიტაციო ფურცლებმა ბევრი მაინც ვერ მოატყუა. ძირითადი მოსახლეობა სერეტს გაღმა არ წასულა. ისინი კი, ვინც წავიდა, ახლა შუაგზიდან ბრუნდებოდნენ უკან თავიანთ დაბებსა და სოფლებში.

მტრის სარდლობის საagიტაციო ფურცელი სწორედ იმ წუთებში გამახსენდა, როდესაც უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლის შემადგენლობაშიაც ჩემი კორპუსი იბრძოდა, ფართო უბანზე შეუჩერებლივ გადააბიჯა სერეტს და რუმინეთის ნაპირზე შეჰქმნა რამდენიმე პლაცდარმი; შემდეგ ეს პლაცდარმები თანდათანობით გადაიქცნეს

ფრონტის მთლიან ხაზად რამდენიმე ათეული კილომეტრის სიგრძეზე.

მდინარე სერეტის გადალახვა სწრაფი, მძლავრი და უეცარი დარტყმის, აგრეთვე სამხედრო მომზადების საუკეთესო ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს.

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა დაიკავეს ქალაქი ბოტოშანი და, ამრიგად, ხელთ იგდეს სერეტისაკენ მიმავალი ორი გზა. მოძრავი ნაწილების სწრაფი შემოვლითი მანევრით აღებულ იქნა ქალაქი და რკინიგზის კვანძი დოროხოი. მაშასადამე, ჩვენს ხელთ გადმოვიღა კიდევ ორი გზატკეცილი. ორივე ეს გზატკეცილი მდინარისპირა ველზე გადის. ჩვენი ჯარები შეუსვენებლივ, ისე რომ ერთი წუთითაც არ შეუსუსტებიათ შეტევა, სამხრეთით, მდინარისაკენ, გაეშურნენ. დივიზიებისა და პოლკების მეთაურებმა კარგად იცოდნენ, რომ სერეტისაკენ მიმავალი გზა ხშირფოთლოვან ტყეებსა და ბორცვებიან ადგილებში მიიკლაკნება და თუ დოროხოიდან და ბოტოშანიდან განდევნილ გერმანელ-რუმინელთა ჯარებს საშუალება მიეცემოდათ გონს მოსულიყვნენ, ისინი დაიკავებდნენ მდინარისაკენ მიმავალ გზებს, შეაკავებდნენ ჩვენს შეტევას და ამ დროის განმავლობაში გამაგრებოდნენ სერეტის ბისადგომებსა და მდინარის გაღმა ნაპირზე.

მთავარი ძალების ავანგარდში სასწრაფოდ გაგზავნილ იქნენ ქვეგანაყოფები, რომლებიც ტყეებსა და ბორცვებზე უნდა ჩასაფრებულიყვნენ და საჭიროების შემთხვევაში ზურგიდან და ფრთებზე დაერტყათ უკანასკნელ გერმანელ-რუმინელთა ჯარებისათვის. ბოლოს, ტყვიამფრქვეველებით გაძლიერებული მეავტომატეთა დიდი ჯგუფები შემოსავლელი გზებით გავგზავნეთ ავანგარდის კვალდაკვალ. მათაც ისევე, როგორც ავანგარდს, ნაბრძანები ჰქონდათ შეძლებისამებრ არ ჩაბმულიყვნენ ბრძოლაში, სწრაფად წასულიყვნენ მდინარისაკენ და ხელთ ეგდოთ გადასასვლელი საშუალებანი.

ამრიგად, შეტევითი მოძრაობა სერეტისაკენ სამ ძირითად შტოდ დაიყო. შტოები ერთმანეთთან შეთანხმებით მოქმედებდნენ და ხელს უწყობდნენ საერთო წინსვლას. ტყეების პირას მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებთან გერმანელ-რუმინელთა ჯარებმა ქვეითებისა და არტილერიის ძლიერი საფარი ნაწილები დააყენეს და ცდილობდნენ შეეჩერებინათ ჩვენი შეტევა. სწორედ აქ შეასრულა თავისი როლი შემოსავლელი გზებით გაგზავნილმა მზვერავთა ჯგუფმა გრიგოლ სვანიძის მეთაურობით. მეავტომატეთა ჯგუფებმა, რომლებმაც უღრანი ტყეებით

იარეს და წინ გაუსწრეს გერმანელებსა და რუმინელებს, ტყეებიდანვე დაარტყეს ზურგში ჩასაფრებულ მტერს, ამოჟლიტეს მათი მნიშვნელოვანი ნაწილი, დანარჩენები გააქციეს და ჩვენს შემტევ ჯარებს გზა გაუკაფეს სერეტისაკენ.

გერმანელ-რუმინელთა მთავარმა ძალებმა ერთხელ კიდევ სცადეს ჩვენი შეტევის შეფერხება. ამასობაში მეავტომატე და მესანგრე მოძრავი ჯგუფები, რომლებიც წინ იყვნენ გაგზავნილნი და ტყის ბილიკებით მიდიოდნენ, უკანდახეული მტრის ჯარების ზურგში გამოჩნდნენ. მათ გვერდი აუარეს დიდ სოფლებს, გადასჭრეს ბოტოშანი—ჩერნოვიცის გზატკეცილი, დანაღმეს სერეტის ქვიშიანი ნაპირი და უეცრად დაატყდნენ თავს გერმანელ-რუმინელთა მესანგრე ნაწილებს ბუჩაჩის, ვარფუ-კამპულიუსის გადასასვლელებზე და მთელ რიგ სხვა დასახლებულ პუნქტებთან. რამდენიმე გადასასვლელზე თითქმის ერთდროულად გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა და ვინაიდან უკანდახეულ გერმანელთა და რუმინელთა მთავარი ძალები ამ დროს ჯერ კიდევ არ იყვნენ სერეტთან მისულნი, ჩვენმა მეწინავე რაზმებმა სწრაფად ჩაიგდეს ხელში ბორნები, ბარკასები, ნავები და მაშინვე იწყეს მდინარეში გადასვლა. ზუსტად ორი საათის შემდეგ ისინი უკვე სერეტს გაღმა იყვნენ და მტკიცედ ეკავათ რამდენიმე ხიდისწინა პლაცდარმი.

უკანდახეული მტრის ზურგში გადასასვლელების დაკავებამ, თოფტყვიამფრქვეველებისა და ავტომატების ხშირმა სროლამ, რომელიც მდინარის მხრიდან მოისმოდა, ერთბაშად დასცა გერმანელ-რუმინელთა ჯარების საბრძოლო სულისკვეთება, რის გამოც მათი უკანდახევა უწესრიგო გაქცევად გადაიქცა, ჩვენი შეტევა კი — ნამდვილ დევნად. პანიკით მოცული გერმანელები და რუმინელები მდინარისაკენ იხევდნენ, სტოვებდნენ იარაღს, საზიდრებს, საჭურველს...

ასეთი ოსტატური დარტყმით ზუსტად ორი საათის ბრძოლის განმავლობაში ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს სერეტის გადასასვლელები. ხელში ჩაგდებული გადასასვლელი საშუალებებით იწყეს მდინარის გადალახვა და შეუჩერებლივი წინსვლა სერეტისა და სუჩავის ხეობაში.

სუჩავის უნაყოფიერესი ხეობა, სადაც ყველაფერს უკვე სამხრეთისა და გაზაფხულის იერი დაჰკრავდა, ახლა ბრძოლის ასპარეზად იქცა. სერეტის ხაზი, რომელსაც გერმანელ-რუმინელთა სარდლობა რეკლამას უკეთებდა, როგორც „მძლავრ, სრულიად საიმედო“ ზღუდეს, ჩვენი შენაერთის შემტევმა ჯარებმა რამდენიმე საათში გადალახეს.

„სერეტის ხაზის“ დაცემამ და ჩვენმა ელვისებურმა წინსვლამ მდინარე სუჩავის ხეობაში გული გაუტეხა მოწინააღმდეგეს. ჩვენმა ნაწილებმა, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი სერეტი და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები, გადასჭრეს ჩერნოვიცი-სუჩავის გზატკეცილი და ჩერნოვიციდან რუმინეთის შიგნით მომავალი რკინიგზა. ყოველივე ამან მეტისმეტად გაუუარესა მდგომარეობა რუმინელ-გერმანელთა დაჯგუფებას, რომელიც იასში იცავდა თავს.

კვლავ ცოტა ხანიც და უკან დარჩა წყლის კიდევ ერთი ზღუდე, რომელზედაც მოწინააღმდეგე შეჩერებას ვარაუდობდა — მდინარე სუჩავა. დაკავებული იქნა ქალაქები: რედეუცი, სოლკა, სუჩავა და ფელტიჩენი; რკინიგზის კვანძები: დერძენეშტი, ვერეშტი, დოლგასკა, პაშკალი და ათობით სხვა დასახლებული პუნქტი. შემტევნი თითქმის ზედ მიადგნენ ქალაქ იასს.

### რუმინეთის სიღრმეში

დღედაღამ მივდივართ დროთა ვითარებისაგან დახავსებული და მობრეცილი ქვის ჯვრების ახლოს; ვხვდებით ჩამოფლეთილ, ჭუჭყიან ბავშვებსა და მოხუცებს. ერთნიც და მეორენიც ყოველ ცისმარე დღე შუკებში დგანან და მოთმინებით ადევნებენ თვალყურს გზის ცხოვრებას. მიდიან საბჭოთა ჯარები. მიდიან ტანკები და თვითმავალი ზარბაზნები, მიდიან მძლავრი საწევრები და ჰაუბიცებს მიათრევენ, ჭოთქოთებენ ბრეზენტით დახურული „სტუდებერკები“, მიჰქრიან გაკრიალებული „ემკები“, მიაბიჯებენ ავტომატებით, შაშხანებით, ტყვიამფრქვეველებით, ნაღმსატყორცნებით, ტანკსაწინააღმდეგო თოფებით შეიარაღებული ქვეითი ჯარის ასეულები, ბატალიონები და პოლკები, მიდიან სამხრეთისაკენ, მიდიან დასავლეთისაკენ — სულ უფრო და უფრო შორს რუმინეთის სიღრმეში. ქვეითი ჯარის შესახვედრად კი ამავე გზებით ჩვენს მზვერავ-მეავტომატეებს მოჰყავთ ტყვეები: რუმინელები, გერმანელები, რუმინელები, გერმანელები... და თანაც აუცილებლად ცალ-ცალკე. ტყვედ ჩავარდნილი რუმინელების პირველი შეძახილი ეს არის — გერმანელებში ნუ შეგვრევთ, ცალკე გვამყოფეთ, ცალკე გვაჭამეთ, ცალკე წაგვიყვანეთო.

...მიაბიჯებენ ჩვენი მებრძოლები რუმინეთში. გზადაგზა ათვალიე-

რებენ ქვეყანას და ბევრი რამ უკვირთ. აი ცარიელი სოფელი. ქოხები ღიაა. ავეჯი და საოჯახო ინვენტარი მიმობნეულია. ეზოებში არც პირუტყვი ჩანს, არც ფრინველი. მაშასადამე, გერმანელებმა უკანდახევისას სოფელი გაძარცვეს, ფრინველი დახოცეს, პირუტყვი და ადამიანები წინ გაირეკეს. იქვე, მეზობელ სოფელში, ყველაფერი რიგზეა. ჰიტლერელებს ვერ მოუსწრიათ შავბნელი საქმის გაკეთება. საბჭოთა ჯარისკაცებს არ უფრთხის მოსახლეობა. საღამო ჟამია. რუმინელი გლეხის ქალები თხებსა და ძროხებს წველიან ეზოებში. მათ იციან—რუსები არ მოითხოვენ რძეს, კვერცხს, არ იპარავენ ფრინველს, ნივთებს. ჩვენი მებრძოლები ესაუბრებიან მათ. ძნელია რაიმე გააგებინო კაცს, როცა მისი ენა არ იცი და არც იმან იცის შენი ენა. მოსულნი და დამხვდურნი მაინც დაჟინებით ცდილობენ საუბრის გაბმას, ოღონდ ხელებით, მინიშნებით.

გერმანელი ჯარისკაცი უცხო ქვეყანაში მიდის, როგორც ოკუპანტი, დამპყრობი, მძარცველი; ჩვენი ჯარისკაცი კი მიდის, როგორც გამათავისუფლებელი, უდიდესი, ძლიერი ქვეყნის მეომარი, რომელიც დაუნდობლად სდევნის მტერს, მაგრამ მშვიდობიან მოსახლეობას არ ერჩის. სრულიად შემთხვევით ყური მოვკარი დაჭრილი საბჭოთა მეომრის სიტყვებს რუმინეთზე:

— ღარიბი ქვეყანაა. ჩვენში მიდიხარ—აქ ქარხანაა, იქ მტს-ია, მინდვრებში ტრაქტორებია. ამათ არავითარი ასეთი რამ არა აქვთ. ას კილომეტრს ისე გაივლი, ერთ ხეირიან ქალაქს ვერ ნახავ. არც ქარხნები აქვთ. მარტო წყლის წისქვილები ვნახე. მთელი ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთი ტრაქტორი ვნახე და ამბობენ, ისიც ვიღაც ბოიარინისა არისო.

### იერიშები „სტუდებეკერებით“

ჩვეულებრივ სატრანსპორტო „სტუდებეკერებს“ არა აქვთ სპეციალური მოწყობილობა ტყვიამფრქვეველებისა და ტანკსაწინააღმდეგო თოფების დასადგმელად. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ქვეითებმა მაინც გამოიყენეს ეს მანქანა. „სტუდებეკერები“ მოიერიშე ქვეით ჯართან ერთად დიდი სისწრაფით შეიჭრებოდნენ ხოლმე უკანდახეული გერმანელების კოლონიებში, სრესდნენ მტრის ჯარისკაცებს. მანქანის ძარაზე

აშენდრებული მეავტომატენი ტყვიას უშენდნენ გაქცეულ მტერს, შემდეგ კი ჩამოქვეითდებოდნენ და ისე ამთავრებდნენ მტრის ნაშთების განადგურებას.

„სტუდებეკერებით“ იერიშზე მიდიან არა მარტო ქვეითები, არამედ არტილერისტებიც. რუმინეთის სოფელ სუჩავაში გერმანელებმა საფარი მოაწყეს. გზა მტრის ტყვიამფრქვევებმა და მეავტომატეებმა გადაღობეს, სოფლის სახლებს შუა კი არტილერიის პოზიციები იყო მოწყობილი.

გრეჩისაკენ მიმავალ გზაზე ტანკსაწინააღმდეგო არტპოლკის დაზვერვამ მტრის საფარი აღმოაჩინა. პოლკს წინ გვარდიის კაპიტან ბერიძის ბატარეა მიუძღოდა. ბატარეა ხუთ მძლავრ „სტუდებეკერში“ იყო მოთავსებული. მეთაურმა გადაწყვიტა მთელი სისწრაფით გასხლტომოდა მტრის საფარს, შეჭრილიყო გრეჩიში, იქ ქვემეხები განელაგებინა და გარნიზონისათვის დაერტყა.

მოწინააღმდეგის ჯარისკაცებმა, რომლებიც ჩასაფრებული იყვნენ, დაინახეს მთელი სისწრაფით მომავალი „სტუდებეკერები“, დაიბნენ და სროლა ასტეხეს, მაგრამ გვიანღა იყო: მანქანებმა უკვე გაიარეს საფარი და ახლა შორს, ზურგში მიჰქროდნენ. სოფელში შეჭრისთანავე შოფრებმა მანქანები სახლებს მოაფარეს, ბატარეის მომსახურე პერსონალმა სწრაფად მოამზადა ქვემეხები ბრძოლის გასამართავად, იქ მეომრებმა კი ვინც ქვემეხებთან არ იდგა, ავტომატები მოიმარჯვეს.

ხანმოკლე ბრძოლაში ბერიძის ბატარეამ ერთ ასეულამდე გერმანელი მოსპო და ხელთ იგდო მდიდარი დაცლა: 2 ორასათმილიმეტრიანი ქვემეხი, 4 საზენიტო ზარბაზანი, მრავალი ტყვიამფრქვევი, ავტომატი და შაშხანა.

### სიკვდილის ბანაკი ვიტებსკში

ვიტებსკის მახლობლად, ქალაქიდან 2 კილომეტრის დაშორებით, გერმანელებმა 1941 წლის დამდეგს მოაწყეს ე. წ. საკონცენტრაციო ბანაკი. თუ რა ხდებოდა იქ, ზუსტად არავინ იცოდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩვენმა ნაწილებმა გაათავისუფლეს ვიტებსკი, ნათელი გახდა გერმანელთა მთელი ბოროტმოქმედება: „საკონცენტრაციო ბანაკად“ წოდებული ადგილი თურმე სიკვდილის ბანაკი ყოფილა

ბანაკის მშენებლობა 1941 წლის ზამთარში დაიწყო. ძირითად სა-

მუშაო ძალად სამხედრო ტყვეებს იყენებდნენ. 1942 წლის მაისში აქ უკვე აგებული იყო 40 ათასი კაცის მოსათავსებელი ფარდულები და საგანგებო დანიშნულების მქონე დამხმარე შენობები. მთელი ტერიტორია, რომელიც გარს ერტყმოდა ნაგებობეს, ეკლიანი მავთულით შემოღობეს. თავდაპირველად ამ ადგილს ოფიციალურად „ესესელთა ჯარების ვიტებსკის საკონცენტრაციო ბანაკს“ უწოდებდნენ. შემდეგ, არაოფიციალურ დოკუმენტებში და სიტყვიერად გერმანელებმა მას „ფერნიგტუნგლერი“ შეარქვეს.

„სიკვდილის ბანაკში“ გერმანელები ევროპის ყველა ოკუპირებული ქვეყნიდან მოერეკებოდნენ უდანაშაულო ადამიანებს. იმ დოკუმენტების მიხედვით, რაც ბანაკში იქნა ნაპოვნი, დადგენილია, რომ აქ იყვნენ პოლონელები, რუსები, უკრაინელები, ებრაელები, ჩეხები, სლოვაკები, ბერძნები, სერბიელები, იტალიელები, ფრანგები, ჰოლანდიელები, უნგრელები, ნორვეგიელები, შვეიცარიელები, ჩინელები, ზანგები და თვით თურქებიც კი. ხელმის გზატკეცილზე თითქმის ყოველდღიურად მოჰყავდათ მრავალათასიანი კოლონები. ბანაკში მოხვედრილთაგან უკან ვერავინ გამოდიოდა. ყველა დაპატიმრებულს ჟლეტდნენ. გერმანელები იყენებდნენ მსხვერპლის მოსპობის სხვადასხვანაირ ხერხებს: დახვრეტას, სახრჩობელას, აირებით გაგუდვას, დაწვას და სხვა.

ბანაკში შეყვანის წინ გერმანელები პატიმრებს კარანტინში ათავსებდნენ. იქვე ათავსებდნენ ყველა სამხედრო ტყვესაც.

რა იყო კარანტინი? კარანტინი ის ბანაკები იყო, სადაც ტუბერკულოზის გამოაშკარავებული ფორმით დაავადებულნი იმყოფებოდნენ.

ასეთი სამკვირიანი „კარანტინის“ გავლის შემდეგ ადამიანები აეად ხდებოდნენ. 1943 წლის მხოლოდ მარტში ბანაკის ადმინისტრაციის ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით ტუბერკულოზმა 1654 კაცი იმსხვერპლა.

სახრჩობელა ერთ-ერთი ძირითადი საშუალება იყო, რომელსაც ფართოდ იყენებდნენ გერმანელები ადამიანთა დასახოცავად. სპეციალურად აგებული კარავიც კი არსებობდა, რომელშიც გრძელ ძელზე 8 მარყუჟი ეკიდა. გერმანელები გუდავდნენ ადამიანებს გაზის საკანში. ეს საკანი წარმოადგენს კვადრატულ შენობას, რომლის სიმაღლე ოდნავ აღემატება ორ მეტრს. საერთო ზომა დაახლოებით 6×6 მეტრია. ფოლადის კარი ჰერმეტულად კეტავს შენობის შესასვლელს. საკნის

კედლები, ჭერი და იატაკი ბეტონით არის გაკეთებული. გერმანელები ბეტონის ამ საფლავში ერთდროულად 250-ზე მეტ კაცს შეიკავებდნენ ხოლმე. ყველა მათგანს აშიშვლებდნენ და ერთიმეორესთან მჭიდროდ აყენებდნენ. კარის დაკეტვისა და მისი კედლების თიხით შელესვის შემდეგ აირწინაღებით აღჭურვილი სპეციალური რაზმი, საგანგებოდ ჩაშენებული მილების საშუალებით, საკანში ჰყრიდა ნივთიერება „ციკლონს“, რომელიც კრისტალებისაგან შედგებოდა. როდესაც ეს კრისტალები შეუერთდებოდა ჰაერის ჟანგბადს, გამოიყოფოდა მომწამვლელი ნივთიერება. ჩვენებათა მიხედვით, ჯანსაღი ადამიანის გაგუდვა ორი წუთიდან ათ წუთამდე გრძელდებოდა. გერმანელები ყოველნაირად ცდილობდნენ მიეჩქმალათ თავიანთი ბოროტმოქმედება და ღამღამობით საიდუმლოდ სწვავდნენ დახრჩობილ და მოკლულ ადამიანთა გვამებს.

1943 წლის შემოდგომამდე გაზის საკნის მახლობლად კრემატორიუმი იყო მოწყობილი; მაგრამ კრემატორიუმი ვერ აკმაყოფილებდა გერმანელ ჯალათებს მცირე გამტარუნარიანობის გამო. ჰიტლერელმა კაციჭამიებმა სხვა ადგილას ააგეს ახალი, უფრო გაუმჯობესებული კრემატორიუმი. ძველ კრემატორიუმში დღე-ღამის განმავლობაში 150-მდე გვამს სწვავდნენ; ახალი კრემატორიუმი, რომელიც აგებული იყო ყველაზე უფრო ცეცხლგამძლე აგურისაგან და რომელიც ავითარებდა 1500 გრადუსზე მეტ ტემპერატურას, დღე-ღამის განმავლობაში დაახლოებით 1400 გვამს სწვავდა.

მოწმეთა და ვიტებსკში მცხოვრებთა ჩვენებით, ამ შენობის მაღალი მილი დღე-ღამე ბოლავდა. კრემატორიუმი არასოდეს არ სწყვეტდა მუშაობას. იმ დღეებში, როცა ბანაკში მორეკავდნენ ადამიანთა განსაკუთრებით დიდ პარტიებს, გერმანელები მასობრივ დახვრეტას აწყობდნენ. მოწმეები აცხადებენ, რომ 1943 წლის 3 ნოემბერს ჰიტლერელებმა ნამდვილი სასაკლაო გამართეს. დილით ბანაკს ყველა მხრიდან ძლიერი დაცვა შემოარტყეს. ხელმის გზატკეცილიდან გამოემართა ადამიანთა დაუსრულებელი კოლონა. მგზავრობით დაქანცულ და შიმშილით განაწამებ ადამიანებს ბანაკის ჭიშკარში შესვლისთანავე ხვრეტდნენ. ტყვიამფრქვევებსა და ავტომატების განუწყვეტელ კაკანს მსუბუქი მუსიკით ახშობდნენ, რომელსაც გადასცემდნენ მძლავრი რადიორეპროდუქტორებით. ამ დღეს ახალი კრემატორიუმის მახლობლად 18 ათასი კაცი—მამაკაცები, ქალები და ბავშვები დახვრიტეს.

იმ ანგარიშში, რომელიც ყოველდღიურად იგზავნებოდა ბანაკიდან, 3 ნოემბერს გერმანელმა მოხელემ ჩაწერა: „არსებითი განსხვავება დაპატიმრებულთა რაოდენობაში იმით აიხსნება, რომ 13 ათასი კაცი ლიკვიდირებულია ჩვეულებრივი წესით“.

ადამიანი, რომელიც ბანაკში მოხვდებოდა, ყოველ წუთს და ყოველ ვითარებაში შეეძლო მოეკლა გერმანელთა ადმინისტრაციის ყველა წარმომადგენელს. მას, ვინც შიმშილისა და აუტანელი მუშაობის გამო დაეცემოდა, იქვე, ადგილზევე ხვრეტდნენ. გერმანელი პოლიციელები „თავს ირთობდნენ“ იმით, რომ აწამებდნენ დაპატიმრებულთ, ხვრეტდნენ, ახრჩობდნენ წყლით სავსე აუზში.

სრული მასალა ვიტებსკის ბანაკში დაღუპულ ადამიანთა რაოდენობის შესახებ ჯერ კიდევ არ არის ნაპოვნი. გერმანელთა იმ დოკუმენტებიდან, რომლებიც ხელში ჩავიგდეთ, აგრეთვე გადარჩენილ პატიმართა და მოწმეთა ჩვენებიდან ნათელი ხდება, რომ აქ ასეულ ათასობით ადამიანი დაიღუპა.

დაღუპულ ადამიანთა უდიდეს რაოდენობას მოწმობს აგრეთვე თვით ბანაკი, რომელიც მოკლულთა ტანსაცმლით და პირადი ნივთებით არის პირამდე სავსე. ამ ტანსაცმელსა და ნივთებს გერმანელები ახარისხებდნენ და იყენებდნენ.

კაცობრიობისათვის დიდი ხანია ცნობილია ჰიტლერელთა მხეცური ბუნება, მაგრამ ვიტებსკში მათ გადააჭარბეს ყველაფერ იმას, რაც აქამდე ჩაედინათ.

### ბრძოლა რუმინეთის დედაქალაქისათვის

შეტევამ რუმინეთის ტერიტორიაზე ერთხელ კიდევ ცხადყო საბჭოთა იარაღის ძალა, გენერლებისა და ოფიცრების სამხედრო ოსტატობა, მებრძოლების გულადობა, ამტანობა და მამაცობა. ჩვენმა შენაერთმა, რომელიც იმ დროს არმიის გენერალ მალინოვსკის ჯარების შემადგენლობაში იბრძოდა, გააფთრებული ბრძოლების შედეგად დაიკავა რუმინეთის ნავთის მრეწველობის უდიდესი ცენტრი — ქალაქი პლოეშტი.

პლოეშტისათვის ბრძოლები დაიწყო ბუზეუს ვაკეზე, მდინარე ბუზეუს ბასეინში, რომელსაც სათავე ტრანსილვანიის ალპებში აქვს. მტერი შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდა. იმ გზატკეცილზე, რო-

მელიც ქალაქ ბუზეუს პლოეშტთან აერთებს, სასტიკი ბრძოლები გაჩაღდა. ტანკების, ქვეითი ჯარისა და არტილერიის შეთანხმებული დარტყმებით მოწინააღმდეგის ღრმად ეშელონირებული თავდაცვა შეირყა. ქალაქი ბუზეუ ჩვენს ხელში გადმოვიდა. მოკლენები ჩქარი ტემპებით ვითარდებოდა. ჩვენი შენაერთის ნაწილებმა 30 კილომეტრით წაიწიეს წინ და ქალაქი მიზილი დაიკავეს. საბჭოთა ქვეყნის სხვა ერის შვილებთან ერთად თავი ისახელეს ქართველმა მეომრებმა: დ. შებაძემ, ბერიძემ, იოსელიანმა, ვ. თავართქილაძემ, ივანიძემ, ვერუვამ და სხვებმა. რაც უფრო მივიწევდით რუმინეთის ნავთის მრეწველობის ცენტრისაკენ, გერმანელები მით უფრო აძლიერებდნენ წინააღმდეგობას. პლოეშტის მისადგომებზე მტერი ახალ თავდაცვით ნაგებობებს აშენებდა და თავს უყრიდა დიდძალ არტილერიას. ვერმანელებმა მაინც მოახერხეს ჩვენი ქვეითი ჯარის, არტილერიისა და ტანკების შეჩერება. ჩვენი ნაწილები ბრძოლით შეიჭრნენ რუმინეთის ნავთის მრეწველობის ძირითად ცენტრში — პლოეშტში.

2 სექტემბერს ჩვენი შენაერთის პოლკმა ახალი დიდი გამარჯვება მოიპოვა: სწრაფი შეტევის შედეგად გაანადგურეს გერმანელთა ჯარების დაჯგუფება პლოეშტის რაიონში, პლოეშტის სამხრეთით, ქალაქ ბუქარესტში შევიდნენ და ამით მოსპეს საფრთხე, რომელიც გერმანელების მხრივ ჩრდილოეთიდან მოელოდა რუმინეთის ქალაქებს.

ბუქარესტი რუმინეთის ყველაზე დიდი ქალაქია. იგი მდებარეობს იმ დიდმნიშვნელოვანი რკინიგზებისა და გზატკეცილების ცენტრში, რომლებიც რუმინეთს დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან, დუნაისთან და შავ ზღვასთან აერთებს. ბუქარესტი არა მარტო პოლიტიკური და ადმინისტრატიული ცენტრია რუმინეთისა, არამედ სავაჭრო და ამავე დროს საფინანსო ცენტრიც.

ომის კვალი ქალაქში ყოველ ნაბიჯზე ჩანდა. ბევრი შენობა დანგრეულია, ბულვარებსა და მოედნებზე გაკეთებულია ბლინდაჟები მცხოვრებთა თავშესაფარებლად საჰაერო განგაშის დროს. ქუჩებში შეხვდებით მათხოვრებს, რომლებიც მოწყალებას ითხოვენ. რუმინეთი ნავთის ქვეყანაა, მაგრამ ნავთის დუქანთან ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე — ბრატიანუს ბულვარზე, გრძელი რიგი დგას. ბუქარესტს ემჩნევა გერმანელთა დიდი ხნით ყოფნის დაღი. თუმცა დაწესებულებათა და სავაჭრო საწარმოთა შენობების ბევრი აბრა რუმინულ ენაზეა

დაწერილი, გერმანელთა საამებლად თუ შიშით, წარწერები გაკეთებულია გერმანული გუთური შრიფტით.

ქალაქის მოსახლეობა ბეჯითად ადევნებდა თვალყურს გერმანიის დივიზიების განადგურებას რუმინეთის დედაქალაქის მისადგომებთან.

განთიადისას, როდესაც ჩვენი შენაერთის ნაწილებმა ბუქარესტში შესვლა იწყეს, მთელი მოსახლეობა ქუჩებში გამოვიდა. სამხედრო კოლონათა მოძრაობის მარშრუტზე ქუჩები სავსე იყო ხალხით.

ქალაქის ჩრდილოეთ უბანში, კოლენტინის გზატკეცილზე, ჯარის ნაწილების თავში გამოჩნდა ავტომობილი ამფიბიების კოლონა. ღია ავტომობილებში ისხდნენ მზისა და ქარისაგან გარუჯული საბჭოთა ოფიცრები და ჯარისკაცები, რომლებმაც რუმინეთის ტერიტორიაზე ბრძოლით გაიარეს ასობით კილომეტრი. ფრონტის გზების თეთრი მტვერი სქლად დასდებოდა მანქანებს, ავტომატებს, მეომართა ტანსაცმელსა და სახეებს. კოლონას კაპიტან ბერიძის მანქანა მოუძღოდა. ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, რომლებიც რუმინეთის ტერიტორიაზე გერმანელთა ნაწილებს ანადგურებდნენ, მთელი კვირეების განმავლობაში ერთი დღე არ დაუსვენიათ. მუდამ ბრძოლებში, მუდამ ლაშქრობაში იყვნენ.

ამფიბიების შემდეგ დაუსრულებელ ქარავნად მოდიოდნენ საბჭოთა მოტოციკლისტები. მოტოციკლისტთა ნაკადები განუწყვეტლად აგუგუნებდნენ კლაქსონებს და ქუჩებს ავსებდნენ. კოლონის თავი უკვე დიდი ხანია მოსახვევს მიეფარა, ხოლო ბოლო კიდევ არ ჩანს. ეს მოტოციკლისტები, რომლებიც საბჭოთა არმიის მოძრავ რაზმებს შეადგენდნენ, დაუღალავად სდევნიდნენ გერმანელთა ჯარების განადგურებულ და დაჭუცმაცებულ რაზმებს.

გზატკეცილზე გამოჩნდა არტილერისტების კოლონა. რუმინელებს უნახავთ გერმანიის სხვადასხვა ტექნიკა: ბუქარესტში იდგნენ გერმანიის მრავალრიცხოვანი ნაწილები, მათ შორის მოტორიზებული ჯარებიც; მაგრამ იმას, რასაც ახლა დედაქალაქის მცხოვრებნი ხედავდნენ, არ შეიძლება არ გადაეჭარბებინა ყველა წარმოდგენისათვის სამხედრო ტექნიკის ძლიერებაზე.

ტრაქტორ-საწევრების უკან მძიმედ რახრახებდნენ შორსმსროლელი ქვემეხები, რომელთა სიმძიმის ქვეშაც ქვაფენილი იზნიქებოდა. თეთრი მტვრით დაფარული ტანკების ჯავშანზე მეავტომატეთა დესანტები ისხდნენ.

ტანკების შემდეგ ჯავშანტრანსპორტიორები, ჯავშნიანი ავტომობილები, ტანკეტები, შემდეგ კი კვლავ მძიმე ტანკები მოდიოდნენ...

**ბუქარესტის მიდამოებში**

მონასტრის კოშკი, საიდანაც რამდენიმე საათის წინ ვუყურებდით ბრძოლას ბუქარესტის მიდამოებში, ამჟამად უკვე მიტოვებულია. მივყვებით განთავისუფლებულ ქუჩებს. ყველგან ბრძოლის კვალი ჩანს. სადგური; აქ მტერი გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევდა. სადგურისპირა ლამაზი დაბის შენობები დანგრეულია. რელსები გადმობრუნებულია. გზა მიიკლაკნება ყუმბარებისაგან ამოთხრილ ორმოებს შორის. ტელეგრაფის ბოძები წაქცეულია. მივდივართ პირდაპირ დახლართულ მავთულებზე. ხშირად მოჩანს დაფები, რომლებზეც ვკითხულობთ: „განაღმულია“. იქვე მიწერილია მესანგრის გვარი, ვინც ეს მიდამო გააუვნებლა მტრის ნაღმებისაგან, ერთი წლის წინათაც ვხვდებოდეთ დაფებს, რომლებზედაც იგივე გვარი ეწერა: ვხვდებოდით ბელგოროდში, პოლტავაში, ვიტებსკში; ვხვდებოდით რუმინული მიწის პირველ კილომეტრზეც; აი, რუსი მესანგრე გზას წმენდს რუმინეთის დედაქალაქისაკენ. მის მაჩვენებლებს ჩვენ მშვიდად და მტკიცედ მივყვებით ბუქარესტისაკენ.

ბუქარესტში განიერი ქუჩებია. აყუდებულან მრავალსართულიანი სახლები, რომლებსაც ფანჯრის ერთი მინაც აღარ შერჩენია. ამ სახლების წინ ქვაფენილზე მიჰქრიან ქვემეხები, ავტომანქანები. ტროტუარებზე ჩვენი ქვეითები და რუმინეთის პირველი შენაერთის ჯარისკაცები მიდიან.

ტანკისტებმა გზა გაუკაფეს ქვეით ჯარს. ბუქარესტის ჩრდილოეთ უბნებიდან ისმის ქვემეხების სროლის ხმა. სასაფლაოს ქვიტკირის კედელს უკან გერმანელები კვლავ განაგრძობენ წინააღმდეგობას. იქ მათ ზედ კედელთან მიუყენებიათ თავიანთი „ვეფხვები“ და „ავაზები“ და შიგ გამოტეხილი ამბრაზურებიდან ისვრიან. მტერზე იერიში მიაქვთ სვანიძისა და სამხარაძის გვარდიელ ეკიპაჟებს. რკინიგზის სადგურ ბუქარესტის დაკავების შემდეგ აქეთ მოისწრაფიან გვარდიის მაიორ ბერიძის ქვეგანაყოფები.

15 სექტემბრის ადრიანი დილაა. ციცა. ჭირხლს დაუფარავს შენობათა სახურავები. მრავალსართულიანი შენობების წინ და პატარ-პა-

ტარა სახლების ჭიშკრებთან ჯგუფ-ჯგუფად იყრიან თავს ბუქარესტის მცხოვრებნი. ამჟამად ქუჩებში სროლა აღარ არის. მოსახლეობა სარდაფებიდან ამოვიდა. ბედნიერი ადამიანები აღტაცებით ესალმებიან თავიანთ განმათავისუფლებელთ. მამაკაცები, ქალები, ბავშვები მიდიან ქვეითებთან, არტილერისტებთან, ტანკისტებთან, გარს ეხვევიან მათ, სხაპასხუპით აყრიან კითხვებს, ცდილობენ მოუთხრონ გერმანელთა უღელქვეშ შავბნელი ცხოვრების ამბავი.

რაძიმინის ქუჩაზე ქალაქელთა ერთ ჯგუფთან ვჩერდებით. ესენი № 25 სახლის მცხოვრებნი არიან. მათ დაღლილი და ტანჯული შესახედაობა აქვთ. ორი კვირის განმავლობაში სარდაფებიდან არ ამოსულან. ემალებოდნენ იძულებითს ევაკუაციას. ბუქარესტში მთელ უკანასკნელ თვეს წყალი არ ყოფილა. წყალსადენი არ მუშაობდა, არ იყო სინათლე, ჰიტლერელები დაუნდობლად უსწორდებოდნენ ბუქარესტის გარეუბნის მცხოვრებლებს. სხვები გვიამბობენ, თუ როგორ იქერდნენ გერმანელები ქუჩებში სრულიად უდანაშაულო მოქალაქეებს და სიკვდილით სჯიდნენ მათ. სადგურის მახლობლად, რკინიგზის სიდთან, ჩვენ გვიჩვენეს ადგილი, სადაც ათი ჭაბუკი დაეხვრიტათ. ვნახეთ კედელი, რომელთანაც ჰიტლერელებმა 100-ზე მეტი კაცი დაასჯეს სიკვდილით. ადამიანებს თვალებს უხვევდნენ, პირში ჩვარს სჩრიდნენ და კედელთან აყენებდნენ. ესენი იყვნენ გერმანელების მიერ სასიკვდილოდ განწირული მძევლები.

ჩვენს წინ არის განიერი, ოდესღაც ლამაზი ქუჩა. ამ ქუჩაზეც ბევრი სახლი დაუნგრევიათ ჰიტლერელებს. ჩვენმა ჯარებმა სულზე მიუსწრეს ბუქარესტს. რუმინეთის დედაქალაქს აუცილებლად გადაბუგვა და დანგრევა ემუქრებოდა. უწესრიგოდ უკან დახეულმა მტერმა მაინც მოასწრო რამდენიმე დიდი სახლის აფეთქება და მიწასთან გასწორება. ტრამვაის მავთულები ფაშისტებმა შვიდი კვირის წინათ მოხსნეს და გერმანიაში გაგზავნეს, ტრამვაის ვაგონები კი დასწვეს.

ბუქარესტი ქარხნების ქალაქია. ამ ქარხნების პროდუქცია და მთელი მოწყობილობა ფაშისტებმა გერმანიის გზას გაუყენეს. დაცარიელებული ქარხნები მძვინვარე ხანძარმა შთანთქა.

გადავდივართ ერთ-ერთ დიდ და ლამაზ ქუჩაზე. წინა კვარტალებში ჯერ კიდევ ბრძოლაა. ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით ჩვენი ქვეითების პოზიციებს. ბუქარესტის განაპირა უბნებიდან გერმანელთა არტილერია ისვრის.

აგერ, ცენტრის ერთ-ერთი სახლის კედელზე რუმინეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის მანიფესტია გაკრული. იქვე კიდავთ პლაკატებს და ლოზუნგებს, რომლებიც მიესალმებიან ბუქარესტის განმათავისუფლებლებს — საბჭოთა არმიასა და რუმინული შინაეთის ნაწილებს.

განთავისუფლებული ბუქარესტის მოსახლეობა, მიუხედავად ფრონტის სიახლოვისა, ნორმალურ ცხოვრებას ეწაფება. ასლომასლო ღაბებიდან და სოფლებიდან ყოველდღე ბრუნდება ასობით და ათასობით მცხოვრები, რომლებიც გერმანელ ოკუპანტებს ემალებოდნენ და ფაშისტურ მონობაში გარეკვას გადაურჩნენ.

ასობით რუმინელმა მოგვმართა თხოვნით, რუმინეთის ჯარის რიგებში მიგვიღეთო.

ბუქარესტის ერთ-ერთი ქარხნის ზეინკალმა განაცხადა: „ჩვენ იმედით ვუცქეროდით აღმოსავლეთს და ველოდებოდით საბჭოთა არმიის მოსვლას. როცა მე საკუთარი თვალით ვნახე რუმინელი ჯარისკაცები, რომლებიც რუსებთან ხელიხელჩაკიდებულნი მოდიოდნენ, უდიდესი სიხარული განვიცადე“.

ბუქარესტის მცხოვრებმა გვიამბო: „გერმანელ სამხედრო ხელისუფალთ სურდათ ბუქარესტის 10 ათასი მცხოვრები მოერეკათ სიმაგრეთა მშენებლობაზე. მოსახლეობამ ჩაფუშა ჰიტლერელთა ეს გეგმა. სამუშაოზე არც ერთი რუმინელი არ გამოსულა. ახლა, გერმანელთა განდევნის შემდეგ, ჩვენ მხურვალედ გვსურს ვიმუშაოთ რამდენიც საჭიროა, რათა დავეხმაროთ საბჭოთა არმიას და მოვაახლოოთ დღე, როცა რუმინეთი მთლიანად განთავისუფლებული იქნება გერმანელი დამპყრობლებისაგან“.

ბევრი გაჭირვება და ტანჯვა განიცადეს ბუქარესტის მცხოვრებლებმა ოკუპაციის პერიოდში. მრავალი თვის მანძილზე მოსახლეობა შიმშილობდა. ბუქარესტის განთავისუფლების პირველი დღეებიდანვე საბჭოთა არმიის სარდლობამ მოსახლეობას დახმარება გაუწია სურსათსანოვაგით მომარაგების საქმეში. პირველ რიგში სურსათი მიეცა ობოლ ბავშვთა სახლს. ბუქარესტის მცხოვრებთ დაურიგდათ ფქვილი, ბრინჯი, ორცხობილა, ხორცის კონსერვები, კონცენტრატები, შაქარი, შედედებული რძე და სხვა პროდუქტები. მადლიერი მოსახლეობა თვალცრემლიანი უხდიდა მადლობას საბჭოთა არმიის წარმომადგენ-

ლებს და რუმინეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტს ზრუნვისა და დახმარებისათვის.

ბუქარესტში მუშაობა განაახლეს რკინიგზელთა, ტრამვაელთა და მასწავლებელთა პროფკავშირებმა.

ბუქარესტის მოსახლეობამ აღფრთოვანებული შეხვედრა მოუწყო ჩვენს შენაერთს. ბუქარესტის ქუჩებში გამართული ბრძოლების დროს მოსახლეობა თავდადებით გვეხმარებოდა. რუმინელი ქალიშვილები და ქალები საარტილერიო ცეცხლში საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში აგდებდნენ და ბრძოლის ველიდან გამოჰყავდათ დაჭრილი საბჭოთა მეომრები. გერმანელ დამპყრობთაგან ბუქარესტის გათავისუფლების შემდეგ მცხოვრებნი სტუმრად ეპატიჟებოდნენ ჩვენს ჯარისკაცებსა და მეთაურებს. მოსახლეობა ცდილობდა სიტყვით თუ საქმით გამოეხატა თავისი მადლობა ძლევამოსილ საბჭოთა არმიისადმი. ბევრი რამ საზარელი ამბავი შევიტყვეთ ჩვენი სასურველი მასპინძლებისაგან. დახვრეტის მუქარით ჰიტლერელები კატორღაში მიერეკებოდნენ ბუქარესტის მოსახლეობის საუკეთესო ნაწილს. დიდი საფრთხის ფასად ბევრმა რუმინელმა მოახერხა დამალვოდა ჯალათებს და მშობლიურ მიწაზე დალოდებოდა საბჭოთა არმიის მოსვლას. იმ დღეებში შესაფერი მხედრული პატივით დავკრძალეთ მამაცთა სიკვდილით დაღუპული მებრძოლები. ათასობით ადგილობრივი მცხოვრები იღებდა მონაწილეობას სამგლოვიარო პროცესიაში. რუმინელებმა ყვავილებით შეამკეს გმირთა საფლავები.

ბრძოლა არ ცხრებოდა არც დღისით, არც ღამით. გერმანელები სასოწარკვეთით გვიწევდნენ წინააღმდეგობას, თავგამოდებით ებღაუჭებოდნენ ყოველ პოზიციას. ჩვენი ჯარები ტეხდნენ მტრის თავდაცვას და მოწინააღმდეგეს ზედიზედ ამარცხებდნენ. მტერს დიდი ზარალი მოსდიოდა. ქვეითი ჯარის ასეულებში ჯარისკაცთა რაოდენობა 30—40 კაცამდე შემცირდა. სატანკო დივიზიის „გერმან გერინგის" მე-3 დივიზიის საშტაბო ბატარეის რადისტმა ერინ-ფრიდ მეხელმა დაკითხვაზე განაცხადა:

„ჩვენი დივიზია სულ უფრო და უფრო იცლებოდა სისხლისაგან. დივიზიის მეთაურმა პოდპოლკოვნიკმა შტოლფერმა სპეციალური მოხსენებით მიმართა რაიხსმარშალ გერინგს, რომელიც შეფობას უწევდა დივიზიას. გერინგმა პოდპოლკოვნიკს აცნობა, დივიზიამ უკანასკნელ ჯარისკაცამდე უნდა იბრძოლოსო".

მტრის თავდაცვა გატეხილ იქნა. საბჭოთა ქვეითები მოწინააღმდეგის პოზიციების გარღვევაში შეიჭრნენ და სპობდნენ მტრის გადარჩენილ საცეცხლე წერტებს. ზედიზედ ვიკავებდით დასახლებულ პუნქტებს. ბუქარესტის ჯერ კიდევ აუღებელი რაიონების თავზე აქტიურად მოქმედებდა ჩვენი ავიაცია. მოიერიშეები და ბომბდამშენები დიდად გვეხმარებოდნენ მტრის განადგურებაში.

უკრაინის მეორე ფრონტის ჯარების შეტევამ რუმინეთის ტერიტორიაზე ერთხელ კიდევ დაამტკიცა საბჭოთა იარაღის ძალა.

### წინ, ევროპის შუაგულისაკენ!

12 სექტემბერს კორპუსი, რომელსაც მე ვმეთაურობდი, ფართო ფრონტით მიადგა მდინარე დუნაის ჩრდილოეთ ნაპირს. ამავე დროს არიერგარდის ნაწილები განაგრძობდნენ დაკავებული ტერიტორიის გაწმენდას გერმანელთა ჯარების დაქსაქსული ჯგუფებისაგან. ქალაქ სლობოზიის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა ტყვედ წამოიყვანეს 1500 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ იგდეს დიდძალი საჭურველი და სამხედრო მასალა.

რამდენიმე დღის შემდეგ გადავლახეთ ტრანსილვანიის ალპები და გერმანელ დამპყრობთაგან გავათავისუფლეთ ქალაქი ბრაშოვი. რუმინეთის ეს ქალაქი კომუნიკაციების დიდმნიშვნელოვანი კვანძია. აქ თავს იყრის რკინიგზის ოთხი შტო და ხუთი გზატკეცილი. ბრაშოვის ბრძოლაში თავი ისახელა ქვეგანაყოფის მეთაურმა კაპიტანმა დუმბაძემ.

რუმინეთის მიწაზე საბჭოთა მეომრების გვერდით იბრძოდნენ თვით რუმინელები, რაც დიდად გვიწყობდა ხელს მარჯვე გზებისა და ბილიკების შერჩევაში; რუკა ყოველთვის ვერ გაგიწევს ცოცხალი მეგზურის და თანამებრძოლის მაგივრობას.

ტრანსილვანიის ალპების გადალახვის შემდეგ ქალაქს ქალაქზე ვიკავებდით. მტრის წინააღმდეგობა დიდი იყო. არიერგარდის ნაწილები გათავისუფლებულ ტერიტორიაზე, ტყეებში იშერდნენ რაღაცა მანქანებით გადარჩენილ ჰიტლერელებს. დაშერილებს შორის აღმოჩნდნენ გერმანელთა 376-ე ქვეითი დივიზიის 673-ე პოლკის მეთაური პოლკოვნიკი შულცი, გერმანელთა 76-ე ქვეითი დივიზიის 226-ე პოლკის მეთაური პოლკოვნიკი პლაგემანი და მრავალი სხვა მაღალი თანამდებობის მქონე ოფიცერი.

სექტემბრის შუა რიცხვებში დაეცა ქალაქ არადის გარნიზონი. არადი რკინიგზისა და გზატკეცილების მნიშვნელოვანი კვანძია. აქ, ერთი მხრივ, გზები მიემართებიან იუგოსლავიისაკენ, მეორე მხრივ, კი უნგრეთისაკენ. მოკლედ რომ ვთქვათ, არადი უნგრეთისა და იუგოსლავიის წინაკარია, რომლის დაკავების შემდეგ ჩვენს ჯარებს გზა გაეხსნათ ევროპის სამხრეთ რაიონებისაკენ.

სულ მალე რუმინეთი უკან დარჩა და ჩვენ უნგრეთში შევაბიჯეთ. იქ ჩემი კორპუსის მეზობლად იბრძოდა საბელგანთქმული ქართველი გენერალი კირილე ჯახუა. ასე თანდათანობით უახლოვდებოდა ფრონტი მტრის ბუნაგს — გერმანიის საზღვრებს.

### ბუდაპეშტის ბრძოლა

ცხრა დეკემბერს შორიდან დავინახეთ უნგრეთის დედაქალაქის წვეტიანი კოშკები. თავდაცვის ამ რაიონში, ისევე როგორც სხვაგან, გერმანელებს გამძლე მიწისქვეშა სიმაგრეები აეგოთ. ქალაქის აღმოსავლეთ მისადგომებთან რამდენიმე ათეული კილომეტრი სიგრძის სრული პროფილის სანგარი იყო გათხრილი. ასობით ძელმავთული საცეცხლე წერტი მტერს სათანადოდ აღეჭურვა საბრძოლო ტექნიკით. ამას გარდა, პოზიციებისაკენ მიმავალი გზა გადაღობილი იყო ფართო დანაღმული ველებით, ზღუდეებს კი გერმანელთა რჩეული ქვეითი ჯარი და სატანკო ნაწილები იცავდნენ.

საბჭოთა ჯარების შეტევა მძლავრი საარტილერიო მომზადებით დაიწყო. ასობით ქვემეხმა გერმანელებს თავს დაატეხა გრიგალისებური ცეცხლი. ცეცხლის ტალღას კვალდაკვალ მიჰყვა იერიშზე გადასული ქვეითი ჯარი. ჩვენმა ნაწილებმა გააძლიერეს დარტყმები და ფართო ფრონტზე გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა. მიუხედავად წვიმებისა და გაუვალი ტალახისა, ქვეითები, არტილერისტები და ნაღმტყორცნელები ბრძოლით მიიწევდნენ წინ, სდევნიდნენ და სპობდნენ მტერს. სატანკო და საკავალერიო ნაწილები დაიბნენ. მოწინააღმდეგემ სასწრაფოდ გამოიყენა გარღვევის რაიონში სარეზერვო, სატანკო და ქვეითი ჯარის ნაწილები.

განსაკუთრებით გააფთრებული ბრძოლები მოხდა ქალაქ ვაცის მიდამოებში. ქალაქი ვაცი — გერმანელთა თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტი — ჩრდილოეთიდან იფარავდა ბუდაპეშტის მისადგო-

მებს. საბჭოთა ტანკისტებმა გატეხეს მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა და ქალაქს ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან შემოუარეს. ტანკებს მალე ქვეითი ჯარის ნაწილები მიეშველნენ. სწრაფი შეტევის შედეგად მოწინააღმდეგის გარნიზონი შედრკა. ორიოდე საათიც და, ქალაქი ვაცი ჩვენს ხელში გადმოვიდა. ვაცი დუნაიზე მდებარეობს, უნგრეთის დედაქალაქის ჩრდილოეთით, ბუდაპეშტიდან 25 კილომეტრის მანძილზე.

მეორე მხრივ, ჩვენი დივიზიები, რომლებიც ჩრდილოეთის მიმართულებით უტევდნენ, მიადგნენ უნგრეთის საზღვარს ჩეხოსლოვაკიასთან და უნგრეთის ქალაქი ბალაშადიარმატი დაიკავეს. მოწინააღმდეგეს უდიდესი ზარალი მოუვიდა. ბრძოლის ველი გერმანელთა დამსხვრეული და მიტოვებული ტექნიკით დაიფარა. 2 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი ტყვედ დანებდა შემტევთ.

ბუდაპეშტის ჩრდილოეთით მზვერავებმა და მესანგრეებმა მდინარე დუნაიზე ღამით გადასასვლელი მოაწყვეს. ჰიტლერელებმა, რომლებსაც მოუმზადებელთ მივუსწარით, განგაში მხოლოდ მაშინ ატეხეს, როცა რამდენიმე საბჭოთა ბატალიონი უკვე გამაგრდა მდინარის დასავლეთ ნაპირზე. მოწინააღმდეგემ სასწრაფოდ გამოიყვანა ტანკები და თვითმავალი ქვემეხები და გააფთრებული კონტრიერიშით გვიპასუხა. ქვეითებმა და არტილერისტებმა მოიგერიეს გერმანელთა ყველა კონტრიერიში და უზრუნველყვეს დუნაიზე მთავარი ძალების გადასვლა.

საბჭოთა ნაწილებმა, რომლებმაც ხელთ იგდეს პლაცდარმი, გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა, განავითარეს წარმატება და დუნაის ნაპირის გასწვრივ მოქმედ ჯარებს შეუერთდნენ. გერმანელებმა დატოვეს რკინიგზის სადგური საზბალომბატი, რომელიც 18 კილომეტრზე მდებარეობს ბუდაპეშტის სამხრეთით.

ბუდაპეშტის ჩრდილოეთით შეტევა გრძელდებოდა. კორპუსის ერთმა ნაწილმა დასახლებული პუნქტები — ერხალომი და გონტი დაიკავა, რომლებიც მდინარე იპელის მარცხენა ნაპირზეა გაშენებული. გერმანელები რამდენჯერმე გადმოვიდნენ კონტრიერიშზე, მაგრამ კვლავ უკან დაიხიეს.

გააფთრებული ბრძოლები გაჩაღდა ბუდაპეშტის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ჩვენმა ნაწილებმა მრავალი საინჟინრო დაბრკოლება გადალახეს და 10 დეკემბერს დილით ქალაქ გედელში — გერმანელთა ძლიერ გამაგრებულ დასაყრდენ პუნქტში შევიდნენ, რომელიც ბუდა-

პეშტის მისადგომებს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან იფარავდა. გედელის გარნიზონი მთლიანად განადგურდა. მარტო ქალაქის მისადგომებზე მოწინააღმდეგემ თავისი ჯარისკაცებისა და ოფიცრების 150-ზე მეტი გვამი და 48 დაზიანებული და დამწვარი ტანკი დატოვა.

ქალაქ ბალაშადიარმატის აღმოსავლეთით საბჭოთა ნაწილებმა გადალახეს რამდენიმე პატარა მდინარე და მოწინააღმდეგე ლოციდან და რიმოციდან განდევნეს. ამ დასახლებული პუნქტებისათვის ბრძოლას ორ ასეულზე მეტი ჰიტლერელი და ერთი საარტილერიო ბატარეა შეეწირა.

მტერი თანდათან აძლიერებდა წინააღმდეგობას. გერმანიის სარდლობამ სხვა ფრონტებიდან გადმოისროლა სატანკო ნაწილები, რათა როგორმე გაემაგრებინა ბუდაპეშტის მისადგომები. ბუდაპეშტის მოსახლეობა მთლიანად გამორეკეს საინჟინრო ნაგებობების მოსაწყობად. ქუჩებში ფილაქანი აყარეს და გამალებით აგებდნენ ბარიკადებს. თითქმის არ დარჩენილა არც ერთი შენობა, რომელიც არ გაემაგრებინათ საინჟინრო თვალსაზრისით. ჰიტლერი ბუდაპეშტის ბრძოლით რევანშის აღებას აპირებდა.

სწორედ ამხანად ჩვენი თანამემამულის გენერალ ჯახუას ნაწილებმა ბრძოლით გაიარეს უნგრეთი და ავსტრიის ტერიტორიაზე შეიჭრნენ.

ომის ბედი დიდი ხანია გადაწყვეტილი იყო. გერმანიის სამხედრო მანქანის მზე ჯერ კიდევ სტალინგრადის მიუვალ ბჭეებთან ჩაესვენა, მაგრამ ჰიტლერი კვლავ იმედოვნებდა და ომში ახალი და ახალი სამხედრო ძალები გამოჰყავდა. ეს იყო ფაშისტური დიქტატურის აგონია. ჰიტლერის გერმანია სიკვდილს ებრძოდა. დასავლეთის ფრონტიდან ზედიზედ გადმოჰყავდათ დივიზიები, რათა როგორმე შეენელებინათ საბჭოთა ჯარების ფორსირებული წინსვლა. ჩვენს წინააღმდეგ ომში ჰიტლერელებმა პოლიციელთა ნაწილები და ქვეგანაყოფებიც კი გამოიყვანეს. ყოველივე ამაო იყო. ისტორიის ბორბალს ახლა ვერავითარი ძალა ვეღარ შეაბრუნებდა.

მთელი ევროპის კონტინენტზე ქარბუქი მძვინვარებდა. ბუნებრივი დაბრკოლებანი დიდად აძნელებდნენ ჩვენი ჯარების შეუფერხებელ წინსვლას. განსაკუთრებით გაუჭირდათ გენერალ ჯახუას ნაწილებს. ხან წვიმა, ხან თოვლჭყაპი, ჭაობები, ტალახი — ყველაფერი წინ აღუდგა შემტევთ. ამას თუ ზედ დავუმატებთ სასიკვდილოდ განწირული მტრის გააფთრებულ წინააღმდეგობას, ადვილად მივხვდით, რა ძვი-

რად უჯდებოდა ჩვენს ჯარს მტრის საბოლოო შემუსვრა მისსავე ბუნაგში. მთელი ადგილმდებარეობა დანაღმული იყო. მუდამ წინმავალ მესანგრეებს დიდი ჯაფა ადგათ.

გერმანიის სარდლობის ფიქრით საბჭოთა ჯარების შემოტევა ქ. ბუდაპეშტზე ჩრდილოეთიდან უნდა დაწყებულიყო. ამის გამო ქალაქის ჩრდილოეთ რაიონში მტერმა დიდძალ ჯარსა და საომარ ტექნიკას მოუყარა თავი. ბუდაპეშტის სამხრეთით შემტევი ნაწილებისათვის დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა ბალატონის ტბა და სიმაგრეთა ზოლი „მარგარიტა“. როგორც ერთს, ისე მეორეს ჰიტლერული არმიისა და არტილერიის რჩეული ნაწილები იცავდნენ.

დაიწყო ორმხრივი სამზადისი. საბჭოთა ჯარები თანდათან მჭიდრო რკალად ერტყმებოდნენ უნგრეთის მრავალტანჯულ დედაქალაქს. თითქმის ყოველ მხრივ გადავჭერით მიწაში ღრმად ჩასანგრებული მტრის სასიცოცხლო კომუნიკაციები.

ბუდაპეშტის მახლობლად, დებრეცენში, სიწყნარე სუფევდა. ისმოდა, როგორ ეცემოდა მიწაზე ზემოდან ჩამოვარდნილი ფიქვის ტოტი. დილაადრიან განახლდა კორპუსის შტაბში მომსვლელთა მიღება. მოდიოდნენ გერმანელთა ტყვეობიდან დახსნილი ადამიანები, რომლებიც კურსკში, ბელგოროდში, ხარკოვში, ორიოლში დაბრუნებას ითხოვდნენ. წამებული ადამიანები გვიჩვენებდნენ დაჩირქებულ წყლულებს, ნაიარევსა და სხვა. ყველა მათგანი ნახევრად შიშველი და მშიერი იყო. შემოვიდა 9 წლის გოგონა, ხელში პატარა ბავშვი ეჭირა. ორივე ფეხშიშველი იყო. მდინარე შეშუპის ნაპირები კი წინა ღამით ყინულმა დაჰფარა. მესაზღვრე, რომელიც ეხმარებოდა გერმანული კატორღიდან გათავისუფლებულ საბჭოთა ადამიანებს, ხშირად გადიოდა გარეთ და იქ დიდხანს ეწეოდა თამბაქოს. ძნელი იყო იმის დანახვა და გაგონება, რაც მის თვალწინ ხდებოდა. ზოგიერთი ტყვეთაგანი ძლივს ასწრებდა თავისი ვინაობის გამჟღავნებას — იქვე ვარდებოდა მაგიდასთან ან იჩოქებდა, რათა არ წაქცეულიყო. იმ დღეს ერთი საზარელი ამბის მოწმე გავხდით. შტაბში ტანსაცმელშემოგლეჯილი შუახანს გადაცილებული კაცი მოვიდა. გამომეტყველება არეული ჰქონდა. სიტყვებს ხეირიანად ვერ აბამდა ერთმანეთზე. ძლივს გაგვაგებინა, რომ გვარტომობით რუსი იყო. მთელი სიცოცხლე ბელგოროდში გაეტარებინა. თავისი ვინაობაც თქვა — პავლე ივანეს ძე კამოვი ვარო. ბელგოროდში მშვენიერი ოჯახი ჰქონოდა. სწორედ ომის

წინ ცოლი მოკვდომოდა. დარჩენოდა ორი მცირეწლოვანი ბავშვი — ვასია და ტომა. როდესაც ბელგოროდი გერმანელებს აეღოთ და სხვებთან ერთად კამოვიც ტყვედ წაეყვანათ, არეულობაში ვასას შვილები დაჰკარგოდა. აბა რა უნდა ექნა უმწეო ტყვეს, როგორღა ეპოვნა დაკარგული შვილები?! უნგრეთში, გზაზე გადაჰყროდა ორ უპატრონო ბავშვს, ბიჭსა და გოგონას. ეშვილა ბავშვები და მათთვის თავისი შვილების სახელები შეერქვა. ვასია და ტომა თან ახლდნენ მამობილს და საცოდავად იბუზებოდნენ. არც ერთი არ იქნებოდა თორმეტზე მეტი წლისა. დავეხმარეთ, რასაკვირველია, როგორც შეგვეძლო. ის ღამე კამოვმა და მისმა შვილობილებმა უნგრელი გლეხის სახლში გაათიეს. იმავე სახლში ღამის გასათევად შესულა ორი საბჭოთა ჯარისკაცი. ჯარისკაცებს წყალი დაულევიათ, იატაკზე მიწოლილან და მაშინვე დასძინებიათ.

დილით მებრძოლები ამდგარან, გამომშვიდობებიან მასპინძელს და ის იყო ჭოხიდან გადიოდნენ, როცა პატარა გოგონას გულისგამგმირავ ყვირილს შეუძრაეს იქაურობა:

— მამილო! მამა! ჩემი მამა!

გოგონა მივარდნია ჯარისკაცს და ყელზე მოხვევია.

ხარკოვის ოლქის კომაროვოს სლობოდის მცხოვრები, ამჯერად კი ჯარისკაცი პეტრე ზუბკოვი ტიროდა, ეხვეოდა და ჰკოცნიდა თავის შვილებს. შვილები მას დაღუპული ეგონა, ისინი კი ფაშისტებს გერმანიაში გაერეკათ დედასთან ერთად.

სახეგაბრწყინებულმა ზუბკოვმა აიყვანა ხელში მიშა და ნინა და ასე მიდიოდა უნგრეთის ქალაქის ქუჩაში. წინ მიმავალთ კოჭლობით მიჰყვებოდა უბედური კამოვი.

უეცრად მიშამ ხელი წაავლო მამის მკერდზე მიმაგრებულ ორდენს და თითქოს ახლა გაახსენდაო, თქვა:

— მამილო, ჩემი დედა გერმანელებმა მოჰკლეს!

ზუბკოვმა კიდევ უფრო მაგრად ჩაიხუტა შვილი და გაიხედა დასავლეთისაკენ, საიდანაც ჩვენი ქვემეხების გრიალი მოისმოდა.

ფრონტზე სიწყნარე იყო. სახმელეთო ჯარები სიცოცხლის ნიშან-წყალსაც არ ამჟღავნებდნენ. ბრძოლის მთელი ასპარეზი ჯერჯერობით შორსმსროლელ არტილერიასა და ავიაციას დაეთმო.

ღამის მსუბუქ ბომბდამშენებს უძნელდებოდათ ფრენა კარპატის მთებსა და ტრანსილვანიის ალპებში. კარგა მაღლა უნდა ეფრინათ, რა-

თა მთის მწვერვალებს არ დასჯახებოდნენ. უნგრეთის ვაკეზე ფრენა გაცილებით უფრო რთული აღმოჩნდა. აქაურ ვაკეზე ძალიან ცოტაა მკვეთრად გამოკვეთილი ორიენტირი, ცოტაა დიდი სოფლები. სამაგიეროდ ძალზე ბევრია პატარა ხუტორი და მემამულის კარმიდამო. ყველა ისინი ახლო-ახლო არიან ერთმანეთთან და ფრენის დროს მაღლიდან კაცს ეჩვენება თითქოს ძირს დიდი დასახლებული პუნქტი იყოს გადაჭიმული ათობით კილომეტრზე. ტბებსა და ჭაობებს ნაპირები გადმოულახავთ და უდიდესი სიერცეები დაუფარავთ. ყოველივე ეს დიდ სიძნელეს ჰქმნის ორიენტირების დროს. მიუხედავად ამისა, ბომბდამშენები ყოველღამ ადიან ცაში, თავს დასტრიალებენ გერმანელთა ჯარების წინა კიდესა და მახლობელ ზურგს, ერთი წუთითაც არ ასვენებენ მათ.

ერთ-ერთ საბჭოთა თვითმფრინავს, რომელიც საბრძოლო დავალებას ასრულებდა, საზენიტო ქვემეხთა ძლიერი ცეცხლი დაუშინა მოწინააღმდეგემ. ყუმბარები მანქანის ირგვლივ სკდებოდა. ამ დროს მეორე ბომბდამშენი, რომელიც კაპიტან სამკოვს მიჰყავდა, 400 მეტრ სიმაღლეზე ჩამოვიდა და სროლა აუტეხა მტრის საზენიტო ზარბაზანს. ავტომატურმა საზენიტო ზარბაზანმა სროლა შეწყვიტა. ჩვენმა მფრინავებმა წარმატებით შეასრულეს დავალება. მათ იმ ღამეს სამ-სამი, ოთხ-ოთხი საბრძოლო გაფრენა მოახდინეს.

ღამით განსაკუთრებით ძნელია შენიღბული მტრის პოვნა. ამ პირობებში ბომბდამშენებს დიდ სამსახურს უწევს პირველი, ყველაზე გამოცდილი ეკიპაჟი, რომელიც წინ მიფრინავს ხოლმე.

ერთ დღეს დაზვერვამ ცნობა მოიტანა, რომ მახლობელ სოფელში შეჩერდა მტრის დიდი ავტოკოლონა, რომელიც მოწინააღმდეგის ბუდაპეშტის დაჯგუფების დასახმარებლად მიდიოდა. საჭირო იყო ამ ავტოკოლონის განადგურება. ავდარი აფერხებდა საშუალო და მძიმე ბომბდამშენთა გაფრენას. ავდარს მაინც არავინ შეპუებია: მანქანაში თვით ავიანაწილის მეთაური ჩაჯდა და თავისი ესკადრილიით ზედ დასახლებულ პუნქტთან მიფრინდა. დაბლა, ღრუბლებში, ავტომანქანების ფარნები ანათებდნენ. მოწინააღმდეგეს, რა თქმა უნდა, არ ეგონა, რომ ასეთ ამიდწში ჩვენი თვითმფრინავები გამოჩნდებოდნენ. ნაწილის მეთაურმა მოტორი მიაჩუმა, უხმაუროდ დაეშვა ღრუბლებს ქვემოთ და შუაგულ ავტოკოლონაში ჩამოყარა ბომბები. გაჩნდა ხანძარი, გაისმა აფეთქების ხმები. თავზარდაცემულმა გერმანელებმა საზენიტო ქვემეხების უწესრიგო სროლა ატეხეს, მაგრამ მფრინავმა

დავალება შეასრულა და მშვიდობით დაბრუნდა თავის აეროდრომზე. ამის შემდეგ ხანძრის კერებს უახლოვდებოდნენ სხვა მფრინავები და ზუსტად ბომბავდნენ კარგად განათებულ სამიზნოს. მტრის კოლონა განადგურდა.

ვეებერთელა წყლის სივრცის ცენტრში, პაწაწინა კუნძულზე, მოწყობილი იყო სასიგნალო პოსტი. ჩვენმა ქვეითებმა რადიოთი აცნობეს აეროდრომს პოსტის განლაგების ადგილი. თვითმფრინავები ზედიზედ გაემართნენ ფრონტის ხაზისაკენ. გზაზე ისინი გარკვევით ხედავდნენ სიგნალებს. იმ ღამეს ჩვენმა თვითმფრინავებმა ასამდე საბრძოლო გაფრენა მოახდინეს. მათ ზუსტად დააყარეს ბომბები მტრის წინააღმდეგობის კვანძს და უვნებლად დაბრუნდნენ თავიანთ აეროდრომზე.

ერთ-ერთი გზატკეცილით უკან იხევდა მოწინააღმდეგის დიდი კოლონა. ჩვენი ავიანაწილები ამ დროს საბრძოლო გაფრენიდან ბრუნდებოდნენ. მეწინავე თვითმფრინავის შტურმანმა დაინახა გერმანელთა გრძელი აღალი, რომელიც რამდენიმე კილომეტრზე იყო გაჭიმული, თვითმფრინავი მიაბრუნა და აღალს ტყვიამფრქვევის ცეცხლი დაუშინა. ღამის ბომბდამშენის მარჯვე ჯერებმა ცეცხლი წაუკიდეს ავტომანქანებს, ერთიმეორეზე გადაყირავდა საზიდრები. ღამის განმავლობაში ავტომობილების ეს კოლონა რამდენჯერმე დაბომბეს ჩვენმა თვითმფრინავებმა.

ერთ-ერთი შენაერთის ჯარებმა, რომლებმაც დილით დაიკავეს ეს გზატკეცილი, დამსხვრეული და დამწვარი ტანკების გროვაში მტრის ჯარისკაცთა და ოფიცერთა მრავალი გვამი ნახეს.

23 დეკემბერს ჩვენმა ნაწილებმა გაარღვიეს ძლიერ გამაგრებული თავდაცვა ბუდაპეშტის ჩრდილო-დასავლეთით და ქალაქის გარეუბანში შეიჭრნენ. ფრონტის სხვა უბანზე, ბუდაპეშტის სამხრეთ-დასავლეთით შეტევას ავითარებდნენ გენერალ ჯახუას ნაწილები. ამ გამპობი დარტყმების შედეგად მოწინააღმდეგე ფლანგიდან შემოვლის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა და იძულებული გახდა დაეტოვებინა თავდაცვისათვის ხელსაყრელი მთიანი ზღუდეები — სეგედ-უიხელის მაგისტრალისა და მდინარე გერინადის დასავლეთ ნაპირის გასწვრივ.

ვინაიდან შეტევის ტემპი სეგედის ჩრდილოეთით არ ნელდებოდა და მოწინააღმდეგემ ვერ მოასწრო შემდეგ ზღუდეზე გამაგრება, უნგრეთის სამხრეთ-დასავლეთით ზოგიერთ უბანზე ჩვენი ნაწილები ზღუ-

დესთან მტრის ნაწილებზე უფრო ადრე მიეიდნენ. ქალაქ სეგედის ჩრდილოეთით მდებარე რაიონში ასეთი ეპიზოდი მოხდა:

ჩვენმა მებრძოლებმა ტყვედ წამოიყვანეს გერმანელთა ერთ-ერთი დივიზიის მეკავშირე. მეკავშირეს ბრძანება მიჰქონდა უნგრელ მესანგრეთა ათასეულში, რომელიც მოქმედებდა როგორც მსროლელი ქვეგანაყოფი. ათასეულს წინადადება ეძლეოდა ბრძოლით დაეპყრა უკან ჩეხოსლოვაკიის მიმართულებით და დაეფარა ძირითადი გზები. ის პუნქტი, საითაც მეკავშირე მიიჩქაროდა, ჩვენმა ჯარებმა დილაადრიან დაიკავეს, ხოლო გზა, რომელიც უნგრელ მესანგრეთა ათასეულს უნდა დაეცვა, ჩვენს ხელთ იყო.

ეს მაგალითი უაღრესად ნიშანდობლივია თანამედროვე შეტევითი ბრძოლის დასახასიათებლად. შემტევნი გაბედული შემოვლითი მანევრებით ართმევდნენ მოწინააღმდეგეს მთებში თავდაცვის უპირატესობას. უფრო მეტიც, ეს უპირატესობა თავდამცველთა წინააღმდეგ მოქმედებს, დამღუპველი ხდება მათთვის. ჩვენი ნაწილების დარტყმებით უკანდახევისას მტერი ცდილობს ააფეთქოს ხიდები, დანაღმოს იმ მდინარისა და არხის მისადგომები, რომლებიც გზას უღობავენ ჩვენს მეომრებს. მაგრამ იგი ამას ყოველთვის როდი ახერხებს. მთელ რიგ ადგილებში ჩვენმა შემტევმა ქვეგანაყოფებმა ხიდები სწორედ იმ დროს დაიკავეს, როდესაც მტრის მესანგრეები მათ აფეთქებას აპირებდნენ.

ჩვენი შენაერთის ერთ-ერთი ქვეგანაყოფის მეთაურმა კაპიტანმა ლობჯანიძემ შეიტყო, რომ გერმანელებმა ასაფეთქებლად მოამზადეს სამი ხიდი, რომლებიც მისი ქვეგანაყოფის გზაზე მდებარეობდნენ. ლობჯანიძემ წაიყვანა მესანგრეთა ჯგუფი და ხიდების რაიონში ჩასაფრდა. მესანგრეები სქელ ნისლში შეუმჩნეველად მიუახლოვდნენ ხიდებს და უეცრად დაესხნენ თავს მათ მცველებს. გერმანელები გაიქცნენ.

ლობჯანიძის მესანგრეები მაშინვე შეუდგნენ ხიდების განაღმვას. მათ ეს მუშაობა მაშინაც კი არ შეუწყვეტიათ, როდესაც მოწინააღმდეგემ ხიდებს ძლიერი სროლა აუტეხა. საქმის მოთავების შემდეგ მესანგრეებმა თავდაცვა დაიკავეს და მტერს ქვეითი ჯარის მისვლამდე უმკლავდებოდნენ. ასე გადარჩა ხიდები აფეთქებას.

განსაკუთრებით შეუპოვარი ბრძოლები გაჩაღდა ბუდაპეშტის გარეუბნებში, სადაც საბჭოთა ჯარები დასაყრდენიდან აქეთარებდნენ შეტევას და შუაზე ჰკვეთდნენ მტრის კომუნიკაციებს. მოწინააღმდე-

გემ ახალი ნაწილები მოიშველია და ცდილობდა რადაც არ უნდა დასჯდომოდა შეეჩერებინა ჩვენი ჯარების წინსვლა. გერმანიის სარდლობამ ამ რაიონში გადმოისროლა საგანგებოდ შედგენილი ჯგუფი, რომელსაც მრავალი ტანკი და ჯავშანტრანსპორტიორი ახლდა.

ჩვენმა ჯარებმა გასტეხეს მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა და გერმანელებისაგან გაწმინდეს მთიან-ტყიანი რაიონი მდინარე დუნაის მისასვლელებში. გერმანელებმა მთის კალთებზე დასაყრდენი პუნქტები მოაწყეს და ძლიერი ცეცხლით სცადეს შეეჩერებინათ ჩვენი ნაწილების შეტევა. ჩვენმა ჯარებმა გაანადგურეს მტრის თავდაცვის კვანძები, ბრძოლებით წაიწიეს წინ 20 კილომეტრზე და მდინარე დუნაის მიადგნენ, რომელსაც უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის საზღვარი მიჰყვება. გერმანელთა დაქსაქსული ჯგუფები მდინარესთან მიმწყვდეული აღმოჩნდა. მალე აქედან ამბის წამღებიც აღარავინ გაუშვიათ. ქალაქ სეგედში უნგრეთ—ჩეხოსლოვაკიის საზღვრის ახლოს, გერმანელთა მესამე სატანკო დივიზიის ნაწილები კონტრშეტევაზე გადმოვიდნენ. გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლა, რომლის დროსაც ცალკეული დასახლებული პუნქტები ხელიდან ხელში გადადიოდა. ჩვენი ტანკისტები, არტილერისტები და ქვეითები წარმატებით იგერიებდნენ ჰიტლერელთა კონტრიერიშებს და მძიმე ზარალს აყენებდნენ მათ. ერთი დღის ბრძოლაში დაზიანებულ და მოსპობილ იქნა გერმანელთა 36 ტანკი და 19 ჯავშანტრანსპორტიორი ქვემეხიანად. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის ასობით გვამი.

ბუდაპეშტის სამხრეთ-დასავლეთით კვლავ გმირულად იბრძოდნენ გენერალ ჯახუას ნაწილები. მათ დაიკავეს ქალაქი პაკში და ახლა ჩრდილოეთის მიმართულებით დაარტყეს მტერს. სულ მალე ქ. სეგედიც დაეცა. ამით გადაიჭრა რკინიგზის უკანასკნელი მაგისტრალი, რომელიც ბუდაპეშტიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიემართება. მოწინააღმდეგე ტანკების, თვითმავალი ქვემეხებისა და მოტოქვეითი ჯარის გააფთრებული კონტრიერიშებით ცდილობდა უკუეგდო ჩვენი ნაწილები, მაგრამ ჰიტლერელთა ყველა კონტრიერიში მარცხით დამთავრდა. ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით წაიწიეს წინ და დაიკავეს დასახლებული პუნქტი, რომელიც 10 კილომეტრზე მდებაროებს ქალაქ ბუდაპეშტის აღმოსავლეთით. სხვა ნაწილები, რომლებიც აღმოსავლეთის მიმართულებით უტევდნენ, დაბა ბუდაკესში შეიჭრენ და დაიკავეს იგი. უკანდახეულ მოწინააღმდეგეს უდიდესი ზარალი მოუვიდა ადამიანებისა

და ტექნიკის მხრივ. არასრული ცნობებით, ერთი დღის განმავლობაში 2 ათასზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაწყდა ბრძოლის ველზე. საბჭოთა ავიაციას განუწყვეტელი იერიშები მიჰქონდა მოწინააღმდეგის ჯარებზე. ჩვენმა მფრინავებმა მოსპეს გერმანელთა 20-მდე ტანკი და 390-ზე მეტი ავტომანქანა და საზიდარი. უნგრეთის დედაქალაქის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ქვეითი მეომრები უსაზღვრო მამაცობასა და გმირობას იჩენდნენ. გვარდიის კაპიტანმა ლობჯანიძემ გააფთრებულ ხელჩართულ შეტაკებაში 40 ჰიტლერელი დახოცა და 15 ტყვედ წამოიყვანა. მებრძოლები — სამხარაძე, სობოლი, ლისი, კობა ივანიძე მოწინააღმდეგის სანგრებში შეიჭრნენ, გაჟლიტეს 13 გერმანელი და 15 ტყვედ წამოიყვანეს. ჯავშანმსხვრეველებმა გვარდიის უმცროსმა სერჟანტმა კომაროვმა და გვარდიის რიგითმა ჯარისკაცმა პეტრინმა მტრის კონტრიერიშის მოგერიებისას გერმანელთა 4 ტანკი დასწვეს; ქვემეხის მეთაურმა ზემდეგმა ბილოშვილმა მოწინააღმდეგის 2 ტანკი დაამსხვრია; მეტყვიამფრქვეველ მაკარენკომ მარჯვე ცეცხლით ჰიტლერელთა ჯგუფი მოსპო. როდესაც ვაზნები გაუთავდა, მამაცმა მეომარმა ავტომატს წამოავლო ხელი და კიდევ 10 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გამოასალმა წუთისოფელს.

ბუდაპეშტის გარნიზონი ალყის მარწუხებში იყო მოქცეული. ჩვენს ნაწილებს იერიში მიჰქონდათ ჰიტლერელთა დასაყრდენ პუნქტებზე და ამით კიდევ უფრო ავიწროვებდნენ გარემოცვის რკალს დუნაის აღმოსავლეთ ნაპირზე. მოწინააღმდეგემ გარეუბნის თორმეტი დაბა დასტოვა, მათ შორის ბუდაკესი, რომელიც ხუთი კილომეტრითაა დაშორებული უნგრეთის დედაქალაქს. ბრძოლის ველი ჰიტლერელთა გვამებით, დალეწილი საჭურველითა და ტექნიკით აივსო.

მოწინააღმდეგის ნაწილები, რომლებიც გარშემორტყმული არიან მოიან-ტყიან ადგილში ბუდაპეშტის აღმოსავლეთით, ძალის მთელი დაძაბვით ცდილობდნენ დასავლეთისაკენ გაჭრას. ერთ უბანზე გერმანელთა ქვეითი ჯარის ათასეულები ტანკების საფარქვეშ კონტრიერიშზე გადმოვიდნენ. ჰიტლერელებს მაშინვე დააცხრა არტილერიისა და ნაღმმტყორცნების გრიგალისებური ცეცხლი. სხვა უბანზე მოწინააღმდეგის ორმა ასეულმა თეთრი ალამი აღმართა სანგარზე, იარაღი დაჰყარა და ტყვედ დაგვნებდა.

დადგა ნანატრი წუთი. დასავლეთ ნაწილში შეიჭრნენ და ბრძოლა

გააჩაღეს ქალაქის ქუჩებში. ბუდაპეშტის ყოველი ქუჩა ბარიკადებით, ტანკსაწინააღმდეგო დაბრკოლებებით და ქვეითი ჯარის საწინააღმდეგო მავთულხლართებით იყო გადაღობილი. ყველა კუთხის ქვიტკირის შენობა და სარდაფები ხანგრძლივ საცეცხლე წერტებად გადაექციათ. ყოველ ფანჯარაში ტყვიამფრქვევი კაკანებდა, ნაღმსატყორცნი ოხრავდა, ტანკსაწინააღმდეგო არტილერია გრგვინავდა თავისებური მჭახე ხმით. ჩვენი მეომრები მოიერიშე რაზმებად მოქმედებდნენ, გარს ერტყმოდნენ გერმანელთა წინააღმდეგობის კვანძებს და სპობდნენ მათ გარნიზონებს. ქუჩები და ეზოები ჰიტლერელთა გვამებით, დამსხვრეული და მათ მიერ მიტოვებული იარაღით აივსო. ერთ-ერთი ნაწილის ქვეგანაყოფებს, რომლებიც ქალაქის ბაღში შეიჭრნენ, მტერი საზენიტო არტილერიის ცეცხლით შეხვდა. ლეიტენანტ ხრამოვის მეომრებმა თავიანთი საარტილერიო და სანაღმმტყორცნო ცეცხლის საფარქვეშ ალყა შემოარტყეს გერმანელთა საცეცხლე პოზიციებს და ხანმოკლე შეტაკების დროს ამოწყვიტეს მოწინააღმდეგის არტილერისტები.

ბუდაპეშტის ჩრდილოეთით ტყიან რაიონში გარშემორტყმული გერმანელთა ნაწილები უშედეგოდ ცდილობდნენ დასავლეთისაკენ გაჭრას. ერთ-ერთ უბანზე გერმანელთა ქვეითი ჯარის დაქსაქსული ჯგუფები არა ერთხელ გადმოვიდნენ კონტრიერიშზე. მათ ტანკები და არტილერიაც ეხმარებოდა. საბჭოთა მეომრებმა გაანადგურეს მტრის რაზმები და განაგრძეს ალყის შევიწროება. დღის განმავლობაში ბრძოლის ველზე დაეცა მოწინააღმდეგის 600-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, დაიწვა 10 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. გარდა ამისა, მტერმა ბრძოლის ველზე დატოვა 15 ქვემეხი, 11 ჯავშანტრანსპორტიორი, 5 სატანკო მოტორი, 2 საწყობი და 115 სარკინიგზო ვაგონი სხვადასხვა ტვირთიანად.

### ბუდაპეშტის ქუჩებში

ჩვენი შენაერთის ჯარები გენერალ ჯახუას შენაერთთან ერთად დღისითა და ღამით ეწევიან ბრძოლებს ბუდაპეშტში მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფების მოსასპობად.

ჩვენმა ქვეგანაყოფებმა უკან მოიტოვეს მრავალი საინჟინრო ნაგე-

ბობა, სიმაგრეთა სრული სისტემა. ტანკსაშიშ მიმართულებებზე გერმანელებს ტანკსაწინააღმდეგო თხრილები ამოეთხარათ. სადაც ეს მოუხერხებელი იყო. რკინა-ბეტონისა და ხის ბოძგინტები ჩაესოთ. დედაქალაქის ყოველი უბანი წინააღმდეგობის კვანძად იყო გადაქცეული, კუთხის ქვიტკირის შენობები კი ხანგრძლივ საცეცხლე წერტებად.

გერმანელთა და უნგრელთა ბუდაპეშტის გარნიზონს თავისი ანგარიში ჰქონდა. მას როგორმე უნდა მოეგო დრო, ამოფარებოდა თავდაცვის მრავალრიცხოვან ხაზებს და ებრძოლა მანამდე, სანამ გერმანელთა სარდლობის მიერ შეპირებული მაშველი ჯარები გარედან არ გაარღვევდნენ გარემოცვის რკალს და საბჭოთა ჯარების შესამუსრავად ქალაქში არ შემოზღვავდებოდნენ. მაგრამ მტერი ანგარიშში მოტყუვდა. საბჭოთა სარდლობამ ზედმიწევნითი სიზუსტით გაითვალისწინა ალყაშემორტყმულ ქალაქში ბრძოლის ყოველი წვრილმანი. ალყას ორი მხარე ჰქონდა: შიგნითა და გარეთა. პირველი მათგანი დღითიდღე ვიწროვდებოდა და სახრჩობელის თოკის მარყუჟივით უჭერდა ყელში ბუდაპეშტის გარნიზონს, მეორე კი უსაზღვროდ ფართოვდებოდა და მტრის მაშველ ჯარებს ქალაქთან მიახლოების ყოველ საშუალებას უსპობდა

შემტევ ნაწილებში ბლომად იყვნენ ქალაქის ქუჩებში ბრძოლის ნამდვილი ოსტატები, ქვეითები თუ არტილერისტები, მზვერავები თუ მესანგრეები. მამაცი არტილერისტები ღია პოზიციებზე წაწეული თავიანთი ზარბაზნების ცეცხლით ამსხვრევდნენ მტრის წინააღმდეგობის კვანძებს. ქვეითები ნაღმმტყორცნელებთან და გრანატმტყორცნელებთან ერთად ყოველ წუთს ფუშავენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარის მრავალგზის ცდას — როგორმე გაუსხლტეს ალყას, გაიჭრას და ცოცხალი თავი გაიტანოს გარშემორტყმული ქალაქიდან.

შებინდებისას ოფიცერ ლებედევის ჯარისკაცებმა ბრძოლა გააჩაღეს ერთ-ერთი უბნის დასაკავებლად. მოწინააღმდეგის თავდაცვა ამ უბანზე მეტად ძლიერი იყო. 30-ზე მეტი ტყეიამფრქვევი ჩაესაფრებინათ ახლომახლო სახლებში. შეტევა უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ჰიტლერელები გააფთრებულ წინააღმდეგობას ეწეოდნენ. ამ დროს ჰაერში გამოჩნდნენ ღამის ბომბდამშენები. ბომბდამშენები დაბლა დაეშვნენ და მონაწილეობა მიიღეს მტრის პოზიციების იერიშში. გაისმა პირველი აფეთქება, გაჩნდა ხანძრები. ლებედევის ჯარისკაცები ზედიზედ იკავებდნენ სახლებს და მალე მთელი უბანი გაათავისუფლეს.

5 იანვარს გერმანელებმა, რომლებიც ბუდაპეშტში შემოჭრას ლამობდნენ ალყაშემორტყმული დაჯგუფების დასახმარებლად, თავი მოუყარეს ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდ ძალებს და შეტევაზე გადმოვიდნენ კომარნის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონიდან. ფრონტის შედარებით ვიწრო უბანზე მოწინააღმდეგემ კონტრიერიშზე ერთდროულად გადმოიყვანა 150-ზე მეტი ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, რომლებიც იფარავდნენ გერმანელთა ქვეითი ჯარის დიდი ძალების შემოტევას. უდიდესი მსხვერპლის ფასად გერმანელებმა შესძლეს რამდენადმე შეეკვეთებინთ საბჭოთა ქვეგანაყოფი. ჩვენმა ჯარებმა—არტილერისტებმა, ტანკისტებმა, თვითმავალი ქვემეხების მომსახურე პერსონალმა, ჯავშანმსხვრეველებმა, ქვეითებმა — ბრძოლების მსვლელობაში განსაკუთრებული სიმტკიცე, მოსაზრებულობა და მამაცობა გამოიჩინეს.

ერთი პატარა დაბის მახლობლად მომხდარი დაძაბული სატანკო ბრძოლის დროს ჩვენმა ტანკისტებმა დააზიანეს მტრის ორი ჯავშნიანი მანქანა და თავიანთი ქვემეხებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლით შეაჩერეს ჰიტლერელთა ქვეითების შემოტევა, სწორედ ამ დროს ზურგიდან გამოქანდა გერმანელთა 16 ტანკი და ორი ჯავშანტრანსპორტიორი, რომელთაც ქვეითი ჯარის ახალი სამარქაფო ძალა მოსდევდა. მოწინააღმდეგის მანქანები გზადაგზა ცეცხლის გენიას აფრქვევდნენ და ჩვენს საბრძოლო წყებებზე მოიწევდნენ. მტრის ტანკებმა და ჯავშანტრანსპორტიორებმა ჯიქურ ჩაუქროლეს ჩვენს ორ ქვემეხს. საბჭოთა არტილერისტებმა სწრაფად მიაბრუნეს ქვემეხები და გერმანელთა ტანკებს ზურგში დაუშინეს. გვარდიის უფროს სერჟანტ ხოფერიას გუნდმა მტერს პირველმა აუტეხა სროლა. გერმანელებმა საპასუხო სროლა ატეხეს. ხოფერიას გუნდის პოზიციის მახლობლად აფეთქებულმა გერმანელთა ყუმბარამ მწყობრიდან გამოიყვანა გუნდის თითქმის ყველა წევრი. დარჩნენ ორნი. უვნებლად გადარჩენილმა ხოფერიამ და შალოვმა რამდენიმე წუთის განმავლობაში მიბრჯნითი სროლით მოწინააღმდეგის სამი ტანკი დააზიანეს.

მეორე ქვემეხის მემიზნემ გვარდიის უმცროსმა სერჟანტმა პეტრე მოიჩენკომ ცეცხლი წაუკიდა მტრის კიდევ ორ ტანკს.

მოწინააღმდეგის რიგებში არევ-დარევა დაიწყო — გერმანელთა ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები უკან გაბრუნდნენ; მაგრამ ჩვენი არტილერისტები ამით არ დამშვიდებულან — კვლავ ესროდნენ

მტერს. მემიზნე პავლოვმა ცეცხლი წაუკიდა ჯავშანტრანსპორტიორს, ხოლო ხოფერიამ მწყობრიდან გამოიყვანა კიდევ ერთი ტანკი.

მთელი ეს ხანმოკლე, დაძაბული ბრძოლა დატრიალდა ჩვენი ქვეითების თვალწინ, რომლებიც ავტომატების ჯერით ჟლეტდნენ მტრის დაზიანებული ტანკებიდან ამომძვრალ ეკიპაჟებს. ბრძოლის ველზე გერმანელთა ათი ცეცხლმოკიდებული ტანკი და ერთი ჯავშანტრანსპორტიორი დარჩა.

თავიანთი ჯარების შემოტევას გერმანელები მბარს უჭერდნენ ჰაერიდან დარტყმებით. ჩვენი საბრძოლო წყებების თავზე ხშირად ჩნდებოდნენ 15-დან 50-მდე თვითმფრინავისაგან შემდგარი ჯგუფები. მტრის ავიაციის თავდასხმათა მოგერიებაში მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო მეზენიტეები, არამედ ქვეითებიც, რომლებიც ჯგუფურ ცეცხლს უშენდნენ გერმანელთა თვითმფრინავებს. გარდა გაფთრებული სახმელეთო ბრძოლებისა, მძვინვარე ბრძოლები წარმოებდა ჰაერშიც. ჩვენმა ჯარებმა მტერს დიდი ზარალი მიაყენეს და ბუდაპეშტის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე რაიონში წარმატებით მოიგერიეს მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების მრავალი იერიში. დღის განმავლობაში ჩვენს ხელთ გადმოვიდა ქალაქის 65 უბანი. დაიწვა ან დაზიანდა გერმანელთა 9 ტანკი და 12 ჯავშანტრანსპორტიორი. ჰიტლერელებმა დასტოვეს ავიამოტორთა ქარხანა „მესერშმიდტი“, რადიოქარხანა და მრავალი სხვა საწარმო. ბრძოლების ადგილები — მოედნები და ეზოები — მოფენილი იყო გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა გვამებით. მარტო ერთმა გვარდიულმა ნაწილმა დღის განმავლობაში 400-მდე ჰიტლერელი გაჟლიტა და ხელთ იგდო 2 თვითმავალი ქვემეხი, 4 ჯავშანტრანსპორტიორი, 33 ტყვიამფრქვევი, 2 რადიოსადგური და საომარი მასალის 2 საწყობი. სხვა ნაწილმა ქალაქის ორმოცი უბანი დაიკავა, ამასთან მოსპო გერმანელთა ერთ ბატალიონზე მეტი ქვეითი ჯარი. ამ ნაწილის მეომრებმა ხელთ იგდეს 7 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 12 ტყვიამფრქვევი და 6 ნაღმმტყორცნი. მოიერიშე ჯგუფები გარს შემოერტყნენ ორ დიდ შენობას, რომლებშიც ჰიტლერელები ჩასაფრებულიყვნენ. გააფთრებული ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგემ იარაღი დაჰყარა. ტყვედ დაგვნებდა 130 გერმანელი მეავტომატე.

ბუდაპეშტის ჩრდილო-დასავლეთით მოწინააღმდეგე დიდძალ ჯარს უყრიდა თავს და მიუხედავად აურაცხელი ზარალისა, ხშირი იერიშე-

ბით ქალაქისაკენ გამოჭრას ლამობდა. სხვა გზა არც იყო: როგორმე უნდა დაეხსნათ ალყაშემორტყმული გარნიზონი, დუნაის დასაველეთ ნაპირზე, დილაადრიან, ორი ქვეითი და ესესელთა სატანკო დივიზია „მკვდარი თავი“ იერიშზე გადმოვიდნენ. გაჩაღდა შეუპოვარი ბრძოლა. არტილერისტები და ჯავშანმსხვრეველები მძლავრი ცეცხლით შეხვდნენ გერმანელთა ქვეით ჯარსა და მეავტომატეთა დესანტს. ბრძოლამ ხუთ საათზე მეტხანს გასტანა. ჰიტლერელებს უდიდესი ზარალი მოუვიდათ. დამარცხებულნი იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. დაღამებისას მოწინააღმდეგემ ბრძოლაში გამოიყენა ტანკები და თვითმავალი ქვემეხები და იერიში განაახლა. ქვეითი ჯარი კვალდაკვალ მიჰყვებოდა საომარ მანქანებს. ჩვენი ქვეითები საფარებიდან გამოცვივდნენ და მტრის ქვეითებს ეკვეთნენ. გაჩაღდა ხელჩართული შეტაკება. ჩვენმა ნაწილებმა გაუძლეს მოწინააღმდეგის რიცხობრივად ჭარბი ძალების მოწოლას და მოიგერიეს იერიშები.

უფროს ლეიტენანტ ლატკოვის საარტილერიო ბატარეამ მოწინააღმდეგის იერიშის მოგერიებისას დააზიანა თვითმავალი ქვემეხი, მოსპო 3 ტყვიამფრქვევი და 40-დე ჰიტლერელი. გვარდიის უფროსმა სერჟანტმა ჩერნოტამ, მემიზნემ გვარდიის სერჟანტმა ზიმჩენკომ და მესაკეტემ ეფრეიტორმა სვიტროშ დააზიანეს გერმანელთა თვითმავალი ქვემეხი. მეომართა ჯგუფმა, რომელსაც სერჟანტი კალინინი მეთაურობდა ღამით შეაღწია მოწინააღმდეგის განლაგებაში და თავს დაესხა ჰიტლერელთა ქვეგანაყოფს. მამაცმა მეომრებმა 30 გერმანელი გაჟლიტეს, ტყვეც წამოიყვანეს და თავიანთი ნაწილის განლაგებაში დაბრუნდნენ.

19 იანვარს გააფთრებული ბრძოლები მოხდა ქალაქის ცენტრალური ნაწილის ერთ ქუჩაზე. მოწინააღმდეგე გამაგრდა ქვიტკირის დიდ შენობაში და მსხვილი ყალიბის ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების ცეცხლით აფერხებდა ჩვენი ქვეგანაყოფების წინსვლას. გვარდიის უფროს ლეიტენანტ ასტახოვის მეომართა ჯგუფმა იერიში მიიტანა კუთხის სახლზე, რომელიც გერმანელებს ხანგრძლივ საცეცხლე წერტად გადაექციათ. არტილერისტებმა ქვემეხები ღია პოზიციებზე წამოსწიეს, ჩაახშეს მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტები და ქვეითებს სახლში შეჭრის საშუალება მისცეს. გვარდიელებმა, რომლებიც ზედიზედ წმენდნენ სართულებს, გაჟლიტეს ამ სახლში მყოფი გერმანელი მეტყვიამფრქვევეები და მეავტომატეები. გერმანელთა თავდაცვის კვან-

ბის ხელში ჩაგდებით უმცროს ლეიტენანტ ასტახოვის ქვეგანაყოფმა უკანდასახევი გზა მოუჭრა მოწინააღმდეგის მეორე ჯგუფს.

გააფთრებული ბრძოლები გრძელდებოდა ბუდაპეშტის ჩრდილო-დასავლეთით. დილით, ძლიერი საარტილერიო მომზადების შემდეგ, მოწინააღმდეგემ განაახლა იერიშები ესტერგომ-ბუდაპეშტის მაგისტრალის რაიონში. გერმანელებმა ვიწრო უბანზე ბრძოლაში გამოიყვანეს ტანკების დიდი ძალები და ვარაუდობენ მასირებული დარტყმით გადაეთელათ ჩვენი ჯარები და უნგრეთის დედაქალაქისაკენ გაჭრილიყვნენ. ჩვენმა არტილერისტებმა და ტანკისტებმა ამჯერადაც გაუძლეს მტრის შემოტევას.

ბრძოლა არც ბუდაპეშტის დასავლეთით ცხრებოდა. ამ რაიონში გერმანელებს ორი მიმართულებით მოჰქონდათ იერიშები. ჩვენმა ნაწილებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის ყველა იერიში. ბუდაპეშტის ჩრდილო-აღმოსავლეთით ბრძოლების მსვლელობაში გერმანელებს განსაკუთრებით მძიმე ზარალი მოუვიდათ. მარტო ერთი დღის განმავლობაში მოწინააღმდეგემ დაჰკარგა 90 ტანკი და 12 ჯავშანტრანსპორტიორი. ჯარისკაცთა და ოფიცერთა მრავალი გვამი დარჩა ბრძოლის ველზე.

ამავე დღეს, 1945 წლის 3 იანვარს, ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს მთავარი იპოდრომი, რომელიც გერმანელებს აეროდრომად გამოეყენებინათ. შემტევნი რკინიგზის ხაზს დაჰყვნენ და მალე პარკ ნეპლიგეტთან აღმოჩნდნენ. მოწინააღმდეგემ კონტრიერიშებზე გადმოიყვანა ტანკები და თვითმავალი ქვემეხები. მოიერიშე ჯგუფები პარკში შეიჭრნენ. იქ ხიშტის ძალამ გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. გერმანელებმა უკან მოუხედავად მოჰკურცხლეს დუნაის ნაპირისაკენ. მოიერიშე ჯგუფები კვალდაკვალ მისდევდნენ თავგზააბნეულ მტერს.

გათენდა 10 იანვრის სუსხიანი დილა.

ჰაიშტარის ქუჩაზე ტრამვაის ვაგონი გადაბრუნებულა. სამუხრუჭე ბაქნის უკნიდან ამოჩრილა გერმანელთა ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზნის ლულა. ზარბაზანი, რასაკვირველია, დამსხვრეულია. საფეხურზე გადაკიდებულა გერმანელი ობერ-ლეიტენანტი, რომელსაც სახე ცისკენ მიუშვერია. ესეც მკვდარია, რასაკვირველია. როგორც ჩანს, ჰაერის ტალღამ გერმანელი ზურგით მიაჯახა საფეხურს და ხერხემალი გადაუმტვრია.

ეს ამ რამდენიმე წუთის წინ მოხდა. მაგრამ ჩვენმა ქვემეხმა,

რომელმაც აქ ყუმბარა სტყორცნა. უკვე გადაისაცვლა წინ. ახლა ის ქვემეხი ყუმბარებს უფრო შორს ისვრის, სადღაც კუთხეს იქით...

მოლურჯო კურტკიანი გაუთრებული გერმანელი, რომელიც როგორღაც გადაურჩა გერმანელი ობერ-ლეიტენანტის გამგმირავი ყუმბარის აფეთქებას, კუდამოძუებული გაექანა კუთხის სახლის სარდაფისაკენ და იქ დაიმალა, მაგრამ უმალვე შეიპყრეს. შეშინებული გერმანელი უცებ ვერ მიხვდა, რას ეკითხებოდნენ.

– იცნობთ ამ ოფიცერს?

— ვიცნობ, — მოისაზრა ბოლოს ჰიტლერელმა და უცბად ლაპარაკის მადა გაეხსნა. — ორი წლის განმავლობაში მაგის ხელქვეითი ვიყავი. ცუდი მეთაური იყო.

— რა ერქვა?

— კურტ ოფენბახი.

— რით იყო ცუდი მეთაური?

— ყოველდღე მცემდა.

— რკინის ჯვარი როდის მიიღო?

— 1943 წელს... — გერმანელი მკვდრის მკერდზე მიმაგრებულ რკინის ჯვარს დააშტერდა, — 1943 წელს ობერ-ლეიტენანტი ბელგოროდში იბრძოდა.

თურმე ეს არამზადა ბელგოროდში იბრძოდა, ახლა კი აქ, ბუდაპეშტის ქუჩაში, ტრამვაის საფეხურზე დაცემულა და სული თავისი ფიურერისათვის მიუბარებია.

ეს ეპიზოდი მეტად საგულისხმო გვეჩვენა. გარშემო ჰიტლერელთა გვამები ეყარა, ჰიტლერელებისა, რომლებიც ყოფილან სტალინგრადში, სევასტოპოლში, პარიზში...

ერთ-ერთი ქვეგანაყოფის მეთაურის, კაპიტან დეკალოს მოიერიშე ჯგუფის მეომრები ქვიტკირის სქელ კედლებში შენგრეული ნაპრალებით სახლებში შეიჭრნენ, იქ იერიში მიიტანეს ბინებზე, ბინებიდან კი სროლა აუტეხეს ქუჩების შესაყარს, სადაც გერმანელებს ბარიკადები აღემართათ. გერმანელები არ მოელოდნენ ამ უეცარ ცეცხლს. უცებ ვერც გამოერკვნენ, ტყვიის წვიმა საიდან მოდიოდა. სასწრაფოდ უკან დაიხიეს და შენობებს შეაფარეს თავი. მაგრამ, როგორც კი კაპიტან დეკალოს მოიერიშეები ბარიკადს გადაღმა გამოჩნდნენ, მომიჯნავე ქუჩიდან გრიალით გამოვარდა გერმანელთა ორი ტანკი და ხუთი

ჯავშანტრანსპორტიორი. მეთაურმა გასცა ბრძანება „მოამზადეთ გრანატები!“

მოპირდაპირე სახლის სადარბაზო შესასვლელიდან სერჟანტმა ხოტერიამ ტუსი გამოაყოფინა ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანს და სანამ მტრის მანქანები ზარბაზანს შენიშნავდნენ, სულმოუთქმელი სროლა გაჩაღა. პირველი ტანკი აბოლდა და გაჩერდა. გაჩერდა ორი ჯავშანტრანსპორტიორიც.

მოიერიშე ჯგუფის მეომრებმა მტრის შეყოვნებით ისარგებლეს. საფრებიდან ამოხტნენ და ჯავშანტრანსპორტიორებიდან ამომძვრალ ფაშისტებს გრანატები დააყარეს. ვინც გადარჩა, გაიქცა, მაგრამ მათ გზადაგზა ეწეოდა მეავტომატეების ცეცხლი. სწორედ ამ დროს რიგითმა მებრძოლმა საფაროვმა, რომელიც გადაბრუნებულ კიოსკს იყო ამოფარებული, დაბგის ტყვიამფრქვევით ცეცხლი გაუხსნა მესამე ჯავშანტრანსპორტიორს. ვიდრე მტრის მანქანის მძღოლი ცეცხლის ზონიდან გაყვანის მიზნით მანქანას მიაბრუნებდა, შიგ შეყუჟული მესანგრეები ასფალტზე გადმოხტნენ და იერიში მიიტანეს მოიერიშე ჯგუფის საფარზე. თვით საფაროვი მძიმედ დაიჭრა, მაგრამ სროლას მაინც ქველავინდებურად განაგრძობდა. ორი თუ სამი ჰიტლერელი სარდაფში ჩაძვრა. იქ ხან ერთ ფანჯარასთან მიირბენდნენ და ხან მეორესთან, გრანატებს აყრიდნენ თავდაცვაზე გადასულ მოიერიშეთ. ოცეულის მეთაურმა უმცროსმა ლეიტენანტმა ბოგვერაძემ დაინახა, რომ გერმანელები კაპიტან ბერიძეს უახლოვდებოდნენ, გაექანა და გზა გადაუჭრა მათ სწორედ იმ წუთს, როცა ერთმა ჰიტლერელმა კაპიტანს გრანატა ესროლა და თავისი სხეულით დაფარა მეთაური. გრანატა აფეთქდა, ბერიძე უვნებლად გადარჩა. როგორღაც გადარჩა მამაცი ოფიცერი ბოგვერაძეც.

როცა გერმანელთა კონტრიერიში მოგერიებულ იქნა, ტყვიაწამლის ბოლით გამურულმა მებრძოლებმა დაინახეს, რომ მეტყვიამფრქვევე საფაროვი, რომელიც უკანასკნელ წუთამდე იბრძოდა, მძიმე ჭრილობისაგან მომკვდარიყო, მაგრამ მკვდარსაც მაგრად ეჭირა ტყვიამფრქვევის სახელური!

ასე იბრძოდნენ ჩვენი მეომრები ბუდაპეშტის ქუჩებში. სახლები, უბნები, ქუჩები, რაიონები ზედიზედ თავისუფლდებოდა. თანდათანობით ვიწროვდებოდა ალყა გერმანელთა დაჯგუფების გარშემო. ქალაქის რაიონები — კაპოსტაშმედიესი, უიპეშტი, რაკოშპალოტა, პალოტა-

უფალე, პეშტუიხელი, კიშპეშტი, კოშუტფალვა; დიდი საქარხნო რაიონი ჩეპელი და კუნძული ობუდაი გემსაშენებიანად უკვე ჩვენს ხელთ იყო.

გვარდიული ქვეგანაყოფები, რომლებიც წინა დღეს ცენტრალურ პარკ კარბოლიგეტში შეიჭრნენ, წარმატებით მიიწევდნენ წინ. 10 იანვარს დილით გვარდიელებმა შემოუარეს ნადის ტბას, მთლიანად გაწმინდეს მტრისაგან პარკი და ბრძოლა დუნაის ნაპირებზე გააჩაღეს.

## დივიზიის ვაჟიშვილი

მტერმა დაბომბა ნოვი ოსკოლი, სტარი ოსკოლი და კორაჩი. ისმოდა ქალების გულშემზარავი კივილი, ბავშვები ტიროდნენ. ბღავილით გარბოდა პირუტყვი. ვინ მოსთვლის, რამდენი სახლი დაინგრა, რამდენი მშვიდობიანი მცხოვრები მოჰყვა ნანგრევებში. გავყურებდით ამ აუწერელ უბედურებას და თვალები ცრემლით გვეესებოდა.

მძვინვარე 1942 წელი იყო. ჩვენი ჯარები უკან იხევდნენ.

— არ შეგარჩენთ, თქვე კაციჭამიებო! — მეათასედ ვიმეორებდით გულში. — დადგება დრო, როდესაც სამსჯავროს წინაშე წარსდგებით და პასუხს აგებთ მთელი მსოფლიოს წინაშე ამგვარი არაადამიანური საქციელის გამო! რას ერჩით მშვიდობიან მოსახლეობას, რად ისვრით ხელებს უმანკო ბავშვების სისხლში, ნუთუ მშობლები არ გყავთ, ნუთუ თქვენთვის ადამიანური სიტყვა არავის უთქვამს? ნუთუ დედა არ მოგფერებიათ? მაგრამ არა, თქვენ ადამიანები არა ხართ. თქვენ არც კი იცით, რა არის კეთილი და ბოროტი, არ იცით სიბრალულიც თქვენ, ორფეხა მხეცებმა, არ იცით, რა არის გრძნობა, რომელსაც ადამიანურ ენაზე სიბრალული ეწოდება. ჰკლაკნ უიარაღო ადამიანებს, ქალებს, კაცებს, ბავშვებსაც არ ინდობთ. მოვა დრო და გაგასწორებთ ანგარიშს, შურს ვიძიებთ, არაფერს შეგარჩენთ!

ჯერ კი უკან ვიხევდით, მიაბიჯებდნენ ქანცგამოლეული ქვეითები, ტაატით მიიზლაზნებოდა აღალი. სულ ბოლოს მოდიოდა საარტილერიო პოლკი, რომელსაც პოდპოლკოვნიკი უგლოვსკი მეთაურობდა. უკან ვიხევდით და მტრისადმი სიძულვილით უფრო მეტად ივსებოდა გული.

ჯარისკაცებმა გვიან შენიშნეს: საარტილერიო პოლკს ჭოლოკით მოსდევდა ფეხშიშველა, ტანსაცმელშემოხეული შვიდი-რვა წლის ცისფერთვალება ბიჭუნა.

— ძია, ძია, ნუ დამტოვებთ, წამიყვანეთ!

— ბიჭუნი, წადი დედასთან, — უთხრეს ბავშვს ჯარისკაცებმა, — ალბათ, დაგეძებს, შენ კი აქ სად წამოსულხარ? წადი შინ!

— არა, ძია, სად წავიდე, ჩვენი სახლი დაიწვა, მეზობლებიც გადასწვეს. ძია, ამიყვანე ზარბაზანზე, აღარ შემიძლია სირბილი.

მებრძოლმა შეატყო, ბიჭუნას მართლაც უჭირდა სიარული, აიყვანა და დასვა ლაფეტზე იმ განზრახვით, რომ გამოეკითხა სადაურია და შემდეგ მშობლებისათვის ჩაებარებინა.

ბავშვს საშინელი დაღლილობა ეტყობოდა. აჩქარებით სუნთქავდა, სახე გაფითრებული ჰქონდა.

მებრძოლმა პატარას წყალი დაალევინა, სისხლი მოწმინდა, მუხლიც შეუხვია და როდესაც შეატყო, მოსულიერდა, დამშვიდდა.

— ბიჭუნი, აქეთ რად მოდიხარ? ჩვენ უნდა ვიომოთ, შენ კი...

— არა, არსად არ წავალ! — ისევ ატირდა ბავშვი. ხმამ პოლკის მეთაურის ყურამდე მიაღწია. პოლკოვნიკი წამსვე მიბრუნდა.

— ვისია ეს ბავშვი?

— არ ვიცით, ამხანაგო პოლკოვნიკო, გზაზე დაგვეწია.

— სადაური ხარ, ბიჭუნი? — პოლკის მეთაური ახლა მტირალ ყმაწვილს მიუბრუნდა.

— კორაჩიდან.

— რა გქვია?

— ვალია.

— რამდენი წლისა ხარ?

— რვა წლის.

— მერე აქ რა გინდა, ბიჭო?

ბიჭუნამ თავი ჩაღუნა და მკაცრ ძიას აღარაფერი უპასუხა.

— დედ-მამა სადა გყავს?

— მამაჩემი ომშია, — ბიჭმა თავი ასწია, პოლკოვნიკს შეხედა და თვალებში სიამაყის ნაპერწკალმა გაუელვა, — კაპიტანია მამაჩემი!

შემოჯარულ ჯარისკაცებს ღიმილი მოერიათ. გაეღიმა პოლკოვნიკსაც.

— დედა?

— დედა არ ვიცი. დამეკარგა.

— დაგეკარგა?! როდის?

— გუშინ, როდესაც ბომბარდირება დაიწყო.

— იმ ბომბარდირების შემდეგ აღარ გინახავს დედა?

— არა, ველოდე, ველოდე და აღარ დაბრუნდა. მთელ ღამეს ვუცდიდი. სახლში მარტო ვიყავი. მერე, როცა არ მოვიდა, მამის სურათი ამოვიღე ალბომიდან და უბეში შევინახე, მარტო რომ არ ვყოფილიყავი. არც დილას მოვიდა დედა. მერე გერმანელებმა დაბომბვა დაიწყეს და მე მეზობლებთან გავიქეცი. მათი სახლებიც ინგრეოდა და იწვოდა. გამოვიქეცი ისევ ჩვენს სახლში. მასაც ცეცხლი წაჰკიდებოდა. მინდოდა შიგნით შევსულიყავი, მაგრამ იქვე ბომბი ჩამოვარდა, მუხლში ქვა მომხვდა და დავეცი. მგონი ჩამეძინა. როცა გამეღვიძა, დავინახე, რომ ჩვენი სახლი აღარ იყო.

ბავშვს ცრემლები მოადგა და ატირდა.

— მე ახლავე მოვალ, ბიჭუნი, ნუ გეშინია, — უთხრა მას უგლოვსკიმ და იქიდან პირდაპირ ჩემთან მოვიდა.

თხუთმეტი წუთის შემდეგ ბავშვი მოიყვანეს.

— რა გვარი ხარ, ბიჭუნი? — ვკითხე პატარას.

— ზინჩენკო.

— დედაშენს რა ჰქვია.

— მარია ვასილის ასული ზინჩენკო.

— მამას?

— მიხეილ ვასილის ძე ზინჩენკო.

— აბა, ჩემო ვალენტინ, მითხარი, ახლა რას ფიქრობ, ჩვენთან რატომ მოხვედი?

— მამა უნდა ვიპოვნო. მე და მამა მერე დედას ერთად მოვძებნით. მამა ომშია და თქვენც ხომ მეომრები ხართ. ომში რომ წამოგყვებით, იქ მამაჩემსაც შევხვდები. აი, მამა, — და უბიდან ბავშვმა სურათი ამოიღო.

სურათს დავხედე.

— მერე, არ გეშინია ომის?

— არა, ძია, მე უკვე შეჩვეული ვარ სროლასა და ბომბარდირებას, სრულიადაც არ მეშინია.

ადიუტანტს გამოვუძახე და ვუთხარი, მე და ვალენტინს გვშია და საჭმელი გვაჭამე-მეთქი.

ბავშვი ხელში ავიყვანე, კარგა ხანს თვალებში ვუყურებდი.

— ჩემო ვალიკო, მე და შენ ერთად მოვძებნით შენს მამიკოს. როდესაც ვიპოვნით, იმასაც აქ, ჩვენთან წამოვიყვანთ და ერთად ვიო-

მებთ. მხოლოდ, სანამ შენს მამას ვიპოვნიდეთ, მე ვიქნები შენი მამა, თანახმა ხარ?

— ძალიან კარგი, ამხანაგო გენერალო, — მითხრა გახარებულმა ბიჭმა და კისერზე ხელები მომხვია.

საჭმელი შემოიტანეს. არა მშიოდა, მაგრამ ბავშვს რომ უხერხულობა არ ეგრძნო და თამამად ყოფილიყო, მეც ჭამა დავიწყე. საცოდავ ბიჭს ძალიან მოშივნოდა. როცა დანაყრდა, თავი ჩაქინდრა. შევატყე, ეძინებოდა.

— ახლა დაიძინე, — ვცადე მოფერება, — დაისვენე და როდესაც გამოიღვიძებ, ახალ ტანსაცმელს მოგცემენ. როგორი ტანსაცმელი გირჩევნია, სამოქალაქო თუ სამხედრო?

— მე ხომ თქვენთან ერთად უნდა ვიბრძოლო, ამხანაგო გენერალო! რა თქმა უნდა, სამხედრო.

— ჰო, სულ დამავიწყდა, შენ ხომ ჩემი შვილი იქნები და სამსახურშიც ჩემი პირადი მოადგილე.

ვალენტინს ეს წინადადება ძლიერ მოეწონა.

— გალიფე შარვალს დიდი ჯიბეები უნდა ჰქონდეს, არ დაგავიწყუდეთ, — მითხრა მან.

— არა, ყველაფერი ისე იქნება, როგორც ნამდვილ მებრძოლს შეეფერება.

ვალია დასაძინებლად გავუშვი და მაშინვე განკარგულება გავეცი, მისთვის კოხტა სამხედრო ფორმის ტანსაცმელი შეეკერათ. ამ ამბავში რომ ვიყავი, კარაქში დივიზიის კომისარმა პოლკოვნიკმა პიჩერსკიმ შემოიხედა.

— შეიძლება, ამხანაგო გენერალო?

— მოდი, მოდი, გიორგი. ალბათ, გაიგებდი, რომ ჩვენს შენაერთს ვაჟიშვილი შეეძინა.

— დიახ, ნიკოლოზ ტარიელის ძევ, სწორედ ამიტომ გეახელით, მაინტერესებს მაგ ბავშვის ამბავი.

— ცნობები მეტად მცირეა. მამა ჰყავს, დედა კი არავინ იცის, ცოცხალია თუ მკვდარი.

— რაკილა ასეა, მოდი, ჩვენ ავიყვანოთ, აღვზარდოთ, ვუპატრონოთ. მინდა, ნამდვილი მამობა გავუწიო, თუ თქვენც ნებას მომცემთ...

— კარგი ადამიანი ბრძანდებით, გიორგი ნიკოლოზის ძევ, მთელ დივიზიას უყვარხართ. ეჭვი არ მეპარება, თქვენ ნამდვილ მამობას

გაუწევთ ბიჭუნას. თქვენ ყველა მებრძოლს მამობრივი მზრუნველობით დასტრიალებთ თავს და, რა თქმა უნდა, მასაც ყურადღებას არ მოაკლებთ...

ცოტა ხანს შევჩერდი. არ ვიცოდი, როგორ მეთქვა პიჩერსკისათვის, რომ ბიჭი მე ვიშვილე; თანაც უხერხული იყო. ისე გამოდიოდა, თითქოს საქმე მოსწრებაზე იყო — მე დავასწარი ყველას. ბოლოს ამოვიღე ვალენტინის მამის სურათი და პიჩერსკის გავუწოდე.

— აი, ეს კაპიტანი არის მაგ ბავშვის მამა. სურათი ბიჭს თან წამოუღია, როცა მათი სახლი იწვოდა. ესაა მთელი მისი ქონება. ბიჭი ჩვენთან იმ განზრახვითაა მოსული, რომ მამა იპოვოს. მეც შევპირდი, მოგაძებნინებ-მეთქი. ისიც ვუთხარი — სანამ ვიპოვიდეთ, შენი მამა მე ვიქნები-მეთქი. წარმოიდგინე, ჩემს მოადგილეობასაც კი დავპირდი. გაეხარდა, მართლა დაიჯერა. ავტომანქანაში ჩავსვამ და ვატარებ. ხომ იცი, ავტომანქანები როგორ უყვართ ბავშვებს. ჩემი შოფერი სერგეი კარგი ბიჭია და ამიერიდან სულ იმასთან იქნება. იქ უფრო გაერთობა და არ მოიწყენს. ჰოდა, გიორგი ნიკოლოზის ძევ, თქვენც იყავით მისი მამა, როგორც მე. ვალია მთელი დივიზიის შვილობილი იქნება.

პიჩერსკი დაფიქრდა და მცირე დუმილის შემდეგ მითხრა:

— ვინ იცის, იქნებ დედ-მამა აღარცა ჰყავს ცოცხალი. ბავშვმა საჭიროა ისწავლოს, განათლება მიიღოს, შემდეგ დაოჯახდება. მანამდე პატრონობა და ხელის შეწყობა უნდა. მე ომის შემდეგ შინ წავიყვან, ჩემი ნამდვილი შვილი იქნება, მესამე შვილი. საცოდაო ბავშვი! მაგრამ უგლოვსკის რა პასუხს გასცემთ, ამხანაგო გენერალო, ისიც ხომ გაიძახის ბავშვი მე ვიპოვნე პირველად და მე უნდა ვიშვილოვო.

— გიორგი ნიკოლოზის ძევ! ვინ იცის, სად და როდის გამოჩნდებიან ამ ბავშვის დედა და მამა. იმათ ისიც ეყოფათ უბედურებად, რომ მხოლოდ ნასახლარი დარჩათ და ერთმანეთიც დაკარგეს. ბავშვი ჩვენს ხელთაა. ახლა აღარაფერს გავუშვირვებთ. რაც შეეხება მის მოშავალს, ამაზეც ვიფიქრე. დღეიდანვე დავუნიშნავთ მასწავლებელს. ისწავლის, როგორც სკოლაში. განა ცოტა მასწავლებლები გვყავს? უგლოვსკისაც ვეტყვი, ისიც იყოს მისი მამა, ისე კი, პირველობა მე მეკუთვნის, ჩვენ უკვე მოვილაპარაკეთ და შევთანხმდით. თქვენც

იყავით მამები, ჩემო გიორგი ნიკოლოზის ძევ, მხოლოდ პირველი მამა მე ვიქნები.

გიორგის გაეღიმა. მის ღიმილში კეთილშობილება და სათნოება გამოსჭვიოდა. მართლაც, კარგი და საყვარელი კაცი იყო პიჩერსკი.

— მაშ კარგი, ასე იყოს, ამხანაგო გენერალო, რა გაეწყობა.

ამ დროს სადღაც შორს ყრუ გრუხუნი გაისმა. ხმაური თანდათან ახლოვდებოდა. ჰაერში მტრის თვითმფრინავები გამოჩნდნენ და დაბომბვა დაიწყეს.

— ყველა თავ-თავის ადგილზე! მეზენიტეები მოემზადონ! — გავეცი განკარგულება. მერე სასწრაფოდ გამოვედი შტაბიდან და იქით გავწიე, სადაც ვალენტინი მეგულებოდა.

ბავშვს ეძინა. ძილში შფოთავდა. ეტყობოდა, ავი სიზმარი აწუხებდა.

მითხრეს სიცხე აქვსო. ექიმი გამოეძახათ და ელოდებოდნენ.

— ჩუმად, არ გააღვიძოთ, — ვუთხარი იქ მყოფთ, თუმცა რა სიჩუმეზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როდესაც მტრის თვითმფრინავები თავს დაგვტრიალებდნენ. სულ ახლოს გრუხუნით სკდებოდა ბომბები. საკვირველი იყო, რომ ბავშვს არ ეღვიძებოდა. უცებ ხელით შეეხე ბიჭის შუბლს. როგორც ჩანდა, საცოდავი შეჩვეული იყო ამისთანა ორომტრიალში ძილს.

ამასობაში ექიმიც შემოვიდა. კლარა ხოჭოლავა იყო. კლარას პიჩერსკი და უგლოვსკი შემოჰყვნენ.

— კლარა, შენ გენაცვალე, ნახე ერთი, ამ ბავშვს ცუდი ხომ არაფერი სჭირს! — მივმართე მას.

ექიმმა ბავშვს შუბლზე ხელი დაადო, მაჯა გაუსინჯა.

— პულსი ცოტა აჩქარებულია, სიცხე გავუზომოთ, — თქვა და თერმომეტრი გაუკეთა, — ნიკოლოზ ტარიელის ძევ, მე კაცებზე უფრო კარგად მოვუვლი ბავშვს.

— აჰა, ესღა მაკლდა! ამდენი მამების შემდეგ ვალიას დედაც გამოუჩნდა, — ჩავურთე მე, — ყური დამიგდე, ჩემო კლარა! ვინ გიშლის მაგის მოვლასა და ყურადღებას, მაგრამ ბავშვი ჩვენთან დარჩება. ყველა ვიქნებით პატრონი, ვალენტინი ყველას შვილი იქნება. შენთან ცოდვაა. უნდა უყუროს ავადმყოფებს, დაჭრილებს, ეს კი ბავშვზე ცუდად იმოქმედებს. მან ისედაც ბევრი საშინელება ნახა.

— მართალი ხართ, ამხანაგო გენერალო, — ჩაერია საუბარში პი-

ჩერსკი, — ბავშვს კი არა, მე მიჭირს ხოლმე ამდენი უბედურების ცქერა. ნუ გეშინიათ, ქლარა, ვალიას არ მოვაწყენთ, არც არას მოვაკლებთ, თქვენი მადლიანი ხელიც კარგად დაეტყობა ბავშვს.

თერმომეტრმა 37,5 გრადუსი აჩვენა.

ბავშვი ექიმს ჩავაბარე და ვთხოვე, ყველა ზომა მიეღო ბიჭუნას ჩქარა გამოსაჯანსაღებლად.

ბომბარდირება ის იყო დამთავრდა.

როგორც კი გარეთ გამოვედით, ქოჩარი შეგვხვდა, მოგვესალმა, აღარ მომცილდა. შევატყე, რაღაც ჰქონდა სათქმელი. ქოჩარს მხარზე ხელი დავადე და ვუთხარი:

— ქოჩარ, გატყობ, მგონი შენც გინდა მამა იყო ამ ბავშვისა. კარგი, იყავი, მაგრამ მე პირველი მამა ვარ, მეორე პიჩერსკია, მესამე უგლოვსკი, ახლა შენ იანგარიშე მერამდენე იქნები.

— სწორად მიმიხვდით, ამხანაგო გენერალო. მე ლიტერატორი ვარ... მწერალი... მე ბიჭუნას ბევრ რამეს მოვუყვები, ლექსებს ვასწავლი. ჩემთან არასოდეს არ მოიწყენს. გვერდიდან არ მოვიშორებ.

— ჰო, მესმის, ჩემო ქოჩარ, — შევაწყვეტინე მე. — აკი გითხარი, შენ თვითონ გამოარკვიე, მერამდენე მამა იქნები მისი და შენი ზრუნვაც შენი მამობის ნომერს შეუთავსე.

— მაშ მეც ვიქნები ამ ბავშვის აღმზრდელი. ვასწავლი, რა არის ბოროტი და რა არის კეთილი.

— წარმოიდგინე, ქოჩარ, ვალიკომ უკვე იცის, რა არის ბოროტება. უკვე იცის, სახლი ვინ დაუნგრია, ვინ დატოვა უპატრონოდ, ვინ მოაშორა დედ-მამას. ეს კარგად იცის. ისიც იცის, რა არის სიკეთე. ეს სიკეთე აქ, ჩვენთან ნახა.

— ამხანაგო გენერალო, ამ ბავშვზე მთელი წიგნის დაწერა შეიძლება.

ჩემს შოფერს, სერგეი ალიევს, უკვე გაეგო, რომ მე ვალენტინი დავნიშნე ჩემს მოადგილედ მსუბუქ ავტომანქანაში. მითხრეს, სერგეიმ ვერ ამოხსნა ამ თანამდებობის საიდუმლოება და არ იცის, როგორ მოექცეს ვალენტინსო. ბევრი ვიცინე, როდესაც ეს ამბავი გავიგე.

შტაბში დავბრუნდი. საბრძოლო ამოცანას ველოდი; უკან დახევის ბრძანება მივიღეთ.

სერგეიმ ბოლოს და ბოლოს გაიგო, რა სამხედრო თანამდებობა ეჭირა ვალენტინს. ის მგზავრობის დროს უნდა ყოფილიყო მსუბუქ მან-

ჭანაში ჩემს გვერდით. სერგეი და ვალენტინი უახლოესი მეგობრები გახდნენ. თავისუფალ დროს სერგეი ბიჭუნას მანქანის ნაწილებს ასწავლიდა, სერგეის ისე შეუყვარდა ჩემი „მოადგილე“, როგორც კი მარტო დამინახავდა, მაშინვე შემეკითხებოდა:

— ვალენტინი რატომ არ მოდის, ამხანაგო გენერალო, შეუძლოდ ხომ არ არის? ჭოჩარი და ის მასწავლებელი დაღლიან მაგ ბავშვს. ზედმეტი სწავლა არაფერი საჭიროა. ჩემთან იყოს, ისა სჯობია. ტანად პატარაა, მაგრამ, როცა წამოიზრდება, ისეთი შოფერი დადგება, უკეთესი აღარ შეიძლება. ძალიან ჭკვიანი და ნიჭიერი ბიჭია. ფუ, რა ვუთხრა იმას, ვინც ეგ უპატრონოდ დატოვა.

— სერგეი, ეგ ბიჭი ახლა უპატრონოდ აღარ არის, ჩვენ ვპატრონობთ.

— მართალი ხართ, ამხანაგო გენერალო. ჩვენ ვის დავუთმობთ მაგას, მაგრამ თქვენს მაგივრად მე რომ მეპოვნა, რა დასამალია, არავის მიცემდი, ჩემი შვილიც იქნებოდა და ძმაც.

— ვთქვათ, დედამისი გამოჩნდეს და მოითხოვოს ვალენტინი?

— რას ქვია მოითხოვოს? ცოცხალი თავით არავის დავანებებ!

ერთხელ მზარეულმა დათიკო ვერულავამ მითხრა:

— ცრემლებს ვერ ვიკავებ ამ ბავშვის დანახვაზე. რა ჭკვიანი და თავაზიანი ბიჭია ეგ გასაზრდელი. საჭმელს მუდამ ცალკე ეუმზადებ. მეუბნება, მეც ქვაბუნათი მომეცი, როგორც ჯარისკაცებსო.

— დათიკო, ბავშვი არ გაანებივრო მაგ უადგილო მოფერებით. გეცოდებათ და ყველაფერს უთმობთ, ეგრე არ ვარგა. თუ რაიმე საძრახისს შენიშნავ, შემჩნევა მიეცი. ასე ჯობია, უფრო კარგი კაცი დადგება.

— რას ბრძანებთ, ამხანაგო გენერალო, რისთვის უნდა მივცე შენიშვნა, რას აშავებს; პირიქით, ძალიან ჭკვიანი და საყვარელი ბიჭია. ამას წინათ, დილით ადრე, სანამ გაიღვიძებდა, ლოგინთან ნამცხვრები დავუწყვე. თურმე მანამ არ ეჭამა, სანამ არ გაეგო, ვინ დაუწყო საჩუქრები. როცა გაეგო, მოვიდა, მადლობა გადამიხადა და მითხრა, ამას გავანაწილებო, ცოტა მე, ცოტა ჩემს გენერალს, ცოტა სერგოს, ცოტა კლარა დეიდას, ჭოჩარს, ჩემს მასწავლებელს, პიჩერსკის და უგლოვსკისო. მე ვუთხარი, ყველაფერი შენია, რადგან ყველაზე პატარა ხარ-მეთქი. ნეტავი მაგისთანა შვილი ჭომცა, მეტი არაფერი მინდა. ამხანაგო გენერალო, როგორ უხდება ეს სამხედრო ტანსაც-

შელი. ჰო, მართლა, ამას წინათ იცით რა მითხრა? ჩემს გენერალს უნდა ვთხოვო, წოდება მომიმატოსო. ჩემი სამხრეები სულ ცარიელიაო. ახლა უნდა ვთხოვო, ზედ ავტომობილი და ტყვიამფრქვევი გამომიხატონო. რატომ, რაღა მაინცდამაინც ავტომობილი და ტყვიამფრქვევი-მეთქი. იმიტომ, რომ ავტომობილიც და ტყვიამფრქვევიც ძალიან გამოსადეგია ომშიო.

— კიდევ ვიმეორებ, დათიკო, თუ მაგ ბავშვისთვის კარგი გინდა, ნუ გაანებივრებ.

უნდა გამოგიტყდეთ, ძალიან მეშინოდა, ბავშვისთვის ხასიათი არ წაეხდინათ, ყველას ნამეტნავად უყვარდა, ყველა გადაჭარბებულად ეფერებოდა.

მე პირიქით, ხანდახან მეტად მკაცრად ვაჩვენებდი ხოლმე თავს, მკაცრად ვთხოვდი ანგარიშს მთელი დღის შესახებ, გაკვეთილებსაც გამოვკითხავდი, ლექსებსაც, რომლებსაც ქოჩარი ასწავლიდა. ბოლოს ხელში ავიყვანდი, შუბლზე ვაკოცებდი და დასაძინებლად გავუშვებდი.

დრო გადიოდა. ვალიკო იზრდებოდა. ჯერ ძლიერ პატარა იყო. ყველა ცდილობდა მისთვის რაიმე ესიამოვნებინა, ყველა ეთამაშებოდა. მასწავლებელი განცვიფრებული იყო ბავშვის მუყაითობით და მონდომებით. ვალენტინი უცებ ითვისებდა ყველაფერს და ყველაზე მეტ დროს კითხვას უთმობდა. ხშირად მეტყოდნენ ხოლმე, არ ვარგა ბავშვის ამდენი კითხვაო. თავის ასაკთან შედარებით, გაცილებით მეტი იცოდა.

ვალენტინი უფრო ხშირად ჩემთან იყო. ზოგჯერ ავტომანქანაში იჯდა და სერგეის ესაუბრებოდა. ერთხელ, როდესაც შტაბში თათბირი გვქონდა, გერმანელთა თვითმფრინავები დაგვეხსნენ თავს. დაიწყო ბომბარდირება. მართალია, შტაბი შენიღბული იყო, მაგრამ ავტომანქანა, რომელშიც ვალია იჯდა, გარეთ იდგა. შესამჩნევ ადგილას. მტერი ხომ მუდამ ნადირობდა მსუბუქ ავტომანქანებზე. ამჯერად მანქანაში იმყოფებოდნენ ვალენტინი და სერგეი ალიევი. უცებ გამახსენდა მანქანა. თოფნაკრავივით გამოვვარდი გარეთ. იქ, სადაც მანქანა იდგა, ბომბი ჩამოვარდნილიყო და დიდი ორმო ამოეთხარა. თავზარი დამეცა. ესღა წამოვიძახე:

— ბავშვი რა იქნა, ბავშვი?!

მიუხედავად იმისა, რომ მტერი დაბომბვას განაგრძობდა, პიჩერსკი შეშლილივით გამოვარდა გარეთ და ყვირილი მორთო.

დახე გაოცებას: ვალია სწორედ ამ დროს დავინახეთ ორივემ—ჩვენსკენ მორბოდა. ხანდახან წაწვებოდა ხოლმე. ყუმბარის ნამსხვრევებს ერიდებოდა. გავეჭანე, მივირბინე, გულში ჩავიკარი და მასთან ერთად ისევ მიწურისაკენ გამოვიქეცი. როდესაც უკან მოვიხედე, დავინახე, ბავშვს სერგეი და სხვა მებრძოლები მოსდევდნენ ყვირილით: ვალენტინ, ნუ მირბიხარ, დაწექი, ორმოში ჩაწექი, არ ადგეო. ბოლოს, როდესაც კვლავ სიწყნარე ჩამოვარდა, ყველაფერი გამოირკვა: ბომბარდირების დაწყებისას შოფერს მანქანაში სძინებოდა, ვალენტინი კი საჭესთან მჯდარა. ბიჭს სწრაფად მოუსაზრებია, რომ მტერი აუცილებლად თავს დააცხრებოდა მსუბუქ ავტომანქანას, უცებ გადაუწყვეტია მიწურში ჩვენთან გამოქცევა, მაგრამ შემდეგ უფიქრია, მანქანა რატომ უნდა გაანადგურონო. სანამ სერგეი საჭესთან გადმოჯდომას მოასწრებდა, ვალენტინს უცებ ჩაურთავს მოტორი და მანქანა ტყის პირისაკენ წაუყვანია. კიდევ კარგი, ბავშვმა მოასწრო და მანქანა ხეებს ქვეშ შეაფარა. ბომბი სწორედ იქ დავარდნილიყო, სადაც მანქანა იდგა. ვალენტინმა მანქანაც გადაარჩინა, საკუთარი თავიც და სერგეიც.

ბავშვმა ყველაფერი მიამბო, ის კი დამიმალა, სერგეის ეძინა და მანქანა მე წავიყვანეო. ცოტა ხნის შემდეგ სერგეი მოვიდა და პატიება მთხოვა. ვალენტინი ჩუმად ანიშნებდა: გაჩერდი, გენერალმა არაფერი იცისო. სერგეი გაოცდა და უფრო დაიჭინა:

— არა, ამხანაგო გენერალო, დამნაშავე მე ვარ. დამეძინა და ვალია რომ არ ყოფილიყო, ვეღარ მოვასწრებდი მანქანის დაძვრას. ასლა არც ჩემი და არც მანქანის ბურტყული არ იქნებოდა. მე ჩემს გადარჩენას ვალიას უნდა ვუმადლოდე.

მინდოდა დამესაჯა სერგეი, მაგრამ ვალენტინისა და პიჩერსკის თხოვნით ვაპატიე.

— სერგეის რომ არ ესწავლებინა ვალენტინისათვის მანქანის მართვა, ბიჭი ამას ვერ მოახერხებდა და ამიტომ ვაპატიოთო.

ვალენტინი მაინც ბუზღუნებდა, მე რა შუაში ვარო, ძია სერგეიმ გადაარჩინა მანქანაო.

— დღეიდან იცოდე, ვალიკო, როცა ასეთი შემთხვევა იქნება, იმ წამსვე ჩემსკენ გამოიქეცი.

— მანქანა რომ დაიღუპოს? — წამოიძახა ბავშვმა.

— არა უშავს, ჩემო ვალიკო, მანქანებს ბევრს ვიშოვით, მაგრამ დივიზიის ვაჟიშვილს რომ რაიმე მოუვიდეს, სადღა ვიშოვით შენს შემცვლელს?..

ბავშვმა თავი ჩაღუნა, ცუდ გუნებაზე იყო. არც ჩვენ ვიყავით კარგ გუნებაზე — რამდენიმე მებრძოლი ემსხვერპლა ბომბარდირებას.

ერთხელ საკომანდო პუნქტზე ვიდექი და ოპერაციას ვხელმძღვანელობდი. ჩემს გვერდით იდგა არმიის სარდალი გენერალი ივანე მიხეილის ძე ჩისტიაკოვი. გენერალმა იქვე, საკომანდო პუნქტზე, ბავშვი შენიშნა და, როდესაც მის სამხრეებზე ავტომანქანა და ტყვიამფრქვევი დაინახა, გაეცინა. ოპერაციის დამთავრებამდე ჩისტიაკოვს ბავშვის შესახებ არაფერი უკითხავს, შემდეგ კი, როდესაც ბრძოლა დამთავრდა, ვალენტინს ჰკითხა:

— შენ, ბიჭიკო, ვინა ხარ?!

— მე ჩემი გენერლის თანაშემწე ვარ ავტომანქანის ტარების დარგში.

სარდალმა ასეთ პასუხზე გულიანად გადაიხარხარა და ბავშვს უთხრა:

— შენ გეტყობა დიდი გამოცდილება უნდა გქონდეს ბრძოლის, რომ არ გეშინია.

— ეშინია მხოლოდ იმას, ვისაც გამარჯვებისა არ სჯერა, მე და ჩემი გენერალი ერთად ვიბრძვით, გავიმარჯვებთ კიდეც. დამაცადეთ, ცოტა წამოვიზარდო, ჩემს გენერალს მოვეხმარები საბრძოლო ამოცანის გადაწყვეტაში.

ჩისტიაკოვი გაკვირვებული უყურებდა და ესაუბრებოდა ბავშვს. შემდეგ ბავშვის ამბავი გამომკითხა. მეც ყველაფერი ვუამბე. მისმენდა ჩისტიაკოვი და ვატყობდი, რომ ხშირად თვალებზე ცრემლი მოადგებოდა ხოლმე. ამბავი ბოლომდე რომ მოისმინა, მითხრა:

— ნიკოლოზ ტარიელის ძევ, ნუთუ ვინმე შეედრება საბჭოთა ადამიანს? როგორი სიკეთე დაგითესიათ!

— ვერ წარმოიდგენთ, ივან მიხეილის ძევ, როგორ უყვართ ვალიკო ჩვენს დივიზიაში. ანდა როგორ არ უნდა უყვარდეთ, დივიზიის ვაჟიშვილია!

— ნიკოლოზ ტარიელის ძევ, მოდი, დავაწინაუროთ თქვენი ვალიკო, არმიის ვაჟიშვილობა ვუბოძოთ.

არმიის სარდალს, ისიც იმისთანა კეთილ კაცს, როგორიც გენერალი ჩისტიაკოვია, უარს როგორ შევკადრებდი, მაგრამ გუნება კი უცებ წამიხდა.

— არა, ბავშვის წართმევა კი არ მინდა, — უმალვე მომიგო ჩისტიაკოვმა,—მე მხოლოდ მინდა, ჩემთანაც იყოს... ხომ იცი, ელენე აქ არის. ამას წინათ მესამე ჯილდოზე წარადგინეს. როდესაც მივულოცე, მითხრა — მე კი არ უნდა ვოცნობდე, ბავშვებს უნდა ვზრდიდეო.

სარდალი თავის მეუღლეზე ლაპარაკობდა. ელენე მოხალისედ წამოვიდა ომში. ჯერ ქმართან ერთად იბრძოდა, შემდეგ სხვა ნაწილში მოხვდა.

ვალენტინი მოღუშული უსმენდა ჩვენს საუბარს. როდესაც სარდალი წავიდა, ვალიკოს მივუბრუნდი და ვკითხე:

— ვალიკო, ბიჭო, რად მოიწყინე? დღეს სასტიკად დავამარცხეთ მტერი. ჩვენი მხრიდან მსხვერპლი არც ყოფილა, შენ კი ისე დაღონებულხარ, თითქოს დავმარცხებულიყოთ.

— არა, ამხანაგო გენერალო, მე სხვა რამ მადარდებს. თქვენ ხომ შემპირდით, რომ ერთად ვიბრძოლებთ და ჩემს დედ-მამას მომაძებნინებთ. თუ დედ-მამა ვიპოვე, მათაც აქ მოვიყვან, რომ მუდამ ერთად ვიყოთ, თქვენც ხომ ჩემი მამა ხართ...

ამ ხნის განმავლობაში ბავშვი ისე შეგვეჩვია, უჩვენოდ ყოფნა ვეღარ წარმოედგინა. არც მე შემეძლო დაშორება. მტკიცედ გადავწყვიტე, ომის შემდეგ შინ წამეყვანა. ჩემს ქალიშვილთან ერთად გაიზრდება და ჩემი ვაჟიშვილი იქნება-მეთქი, ბევრჯერ ვიფიქრე, საქართველოში გამეგზავნა, რათა მისთვის ომის საფრთხე ამეცილებინა, მაგრამ ვალენტინი აქედან წასვლის სასტიკი წინააღმდეგი იყო. მეუბნებოდა, ერთად უნდა ვიომოთ, ერთად უნდა გავიმარჯვოთო. მერე კი, როცა ომი დამთავრდება, მეც წამოვალ თქვენთან, სამხედრო სკოლაში ვისწავლი და თქვენსავით გენერალი გავხდებიო. მერე ორივე გენერალი ვიქნებით და სულ ერთად ვიომებთო.

— ჩემო ვალიკო, განა იმისათვის უნდა გახდე გენერალი, რომ ერთად ვიომოთ? არა, ჩემო ბიჭიკო, ომი აღარ არის საჭირო. ახლა ჩვენ გავსრესთ მტერს და მთელ მსოფლიოს დავანახვებთ, რა საშიშია ცეცხლთან თამაში.

ვალიკო მოუთმენლად ელოდა სტალინგრადის ოპერაციის დამთავრებას. სულ იმაზე ოცნებობდა, როგორ ჩაუდგებოდა სათავეში დი-

ვიზიას, რომელიც გამარჯვების აღლუმში მიიღებდა მონაწილეობას.

სწორედ იმ ხანად არმიის სარდალმა გამომიძახა. შიკრიკისთვის დაებარებინა, ვალენტინიც თან წამოიყვანეო. ეს უკანასკნელი წინადადება, რა დასამალია, არ მესიამოვნა.

საბრძოლო ამოცანის დასახვის შემდეგ ჩისტიაკოვმა ხელი გამომდო და მეორე ოთახში გამიყვანა. იქ მისი მეუღლე ელენე იყო. ძალიან გამეხარდა მისი ნახვა. გამეხარდა, რომ ჯანმრთელად და უვნებლად ვხედავდი. მამაცი ოფიცერი ქალის მკერდს ჯილდოები ამშვენებდა. ამჟამად ელენე ისევ ჩვენს არმიაში გადმოეყვანათ.

მაგიდას მივუსხედით, ბაასი ჯერ ვალენტინს შეეხო, რომელიც გარეთ, სერგეისთან იყო მანქანაში და იქიდან არ გადმოდიოდა.

— აკი გთხოვეთ, ნიკოლოზ ტარიელის ძევ. ვალენტინი თან წამოგეყვანათ.

— აქ გახლავთ, ამხანაგო სარდალო, მხოლოდ თქვენთან არ შემომყვა, მანქანაშია, მძღოლთან.

სარდალმა ადიუტანტს უთხრა, ბავშვი შემოეყვანათ. ადიუტანტი მარტო დაბრუნდა და გენერალს მოახსენა:

— არაფრით არ გადმოდის მანქანიდან. კიდეც მოვეფერე, ტკბილეულსაც შევპირდი, მაგრამ ვერაფერი ვერ მოუხერხე. შოფერმაც სთხოვა, მაგრამ მასაც არაფერი გამოუვიდა.

— ახლა მე ეცდი და ვნახოთ, თუ არ გამომყვება, — თქვა ელენემ და გავიდა. მეც უკან გაეყევი.

ქალის დანახვაზე ბავშვი თითქოს მოლბა, მაგრამ თავი დახარა და ხმა არ ამოუღია. ელენე მოეფერა. ბავშვი მანაც ვერ დაიყოლია.

— წამო, ვალიკო, როგორ არა გრცხვენია. რას იტყვიან, როგორი გაუგონარი ბიჭუნა ყოლიაო.

ამ სიტყვებზე ვალიკომ ხელი ჩამჭიდა და უხმოდ გამომყვა, თან სერგეის უცქეროდა, თითქოს ეუბნებოდა — შენ მაინც მიშველეო. ოთახში შესვლისთანავე სარდალი გულთბილად შეეგება ბიჭუნას, ხელში აიტაცა და შუბლზე აკოცა. ვალიკო თვალს არ ამორებდა.

— რა კარგი ბიჭია, რა ლამაზი, რა წესიერი, — ამბობდა ცრემლმორეული ელენე და ვალენტინს ნამცხვარსა და ტკბილეულს სთავაზობდა.

— ივანე მიხეილის ძევ, ვალიკოს უნდა, სტალინგრადის განთა-

ვისუფლების შემდეგ აღლუმში მიიღოს მონაწილეობა. ჩვენი დივიზიის წინ უნდა დავაყენოთ.

— კარგია, კარგი, მხოლოდ მე უფრო მეტს გავაკეთებდი, არმიის წინ დავაყენებდი. ასე უფრო კარგი არ იქნება, ვალენტინ?

ბავშვმა მე მომაპყრო აცრემლებული თვალები.

— მხოლოდ ჯერ უნდა გაგაცნოთ ჩვენი არმია, — განაგრძობდა სარდალი, — ამიტომ, ჩემო ბიჭუნი, დარჩი ჩვენთან რამდენიმე დღით.

თითქოს ამას ელოდაო, ბავშვმა თავი ვეღარ შეიკავა. მოვიდა ჩემთან, გულში ჩამეკრა და ტირილი დაიწყო. მე ვეფერებოდი და ვამშვიდებდი:

— როგორ არა გრცხვენია, რა გატირებს, განა სულ ვშორდებით ერთმანეთს. რამდენიმე დღე იქნები დეიდასთან და აი, ამ ძიასთან. ესეც შენი გენერალი იქნება.

— არ მინდა, მე ჩემი გენერალი მინდა!

— ვალენტინ, ნუთუ ჩემი არა გჯერა, მე ხომ გითხარი, რომ რამდენიმე დღეში ისევ წაგიყვან. ახლა დარჩი მათთან.

ჩემი წასვლის დროც ახლოვდებოდა. ვალენტინი თითქოს შეურიგდა ბედს. უფრო ელენეს ალერსმა მოხიბლა. გამოვემშვიდობე და დივიზიაში დავბრუნდი, სადაც ყველა გაკვირვებული დამხვდა. ალბათ, ფიქრობდნენ, მარტო რატომ დავბრუნდა გენერალიო. მეც ვერ გამეგო, რატომ დავბრუნდი მარტო. ხათრი ვეღარ გავუტეხე ელენეს...

გავიდა ორი დღე. ვალიკოსი არაფერი ისმოდა. მთელი დივიზია დაღონებული იყო. ყველა ისე მიყურებდა, თითქოს ვალიკოს წასვლა ჩემი ბრალი ყოფილიყო. მაგრამ ერთი ჩემს გულშიც ჩაეხედათ! ამ ფიქრებში ვიყავი, როცა ტელეფონის ზარის წკრიალი მოისმა. უხალისოდ ავიღე ყურმილი.

— ნიკოლოზ ტარიელის ძევ! სერგეი გამოგზავნეთ, ჩემს მანქანაში არ ჯდება, სერგეის გარდა მე არავინ მინდა, სხვა ვერავინ მიმიყვანს ჩემს გენერალთანო. თქვენი წასვლის შემდეგ ბავშვს ენა ვერ ამოვადგმევინეთ, რა არ ვცადეთ, რა გართობა არ მოვიგონეთ, მაგრამ ვერაფერი მოეუხერხეთ, არც ჭამს, არც სვამს. დღისით სულ მოღუშულია და ხმას არ იღებს; დღეს დილით ვნახეთ, რომ მისი ბალიში ცრემლებით იყო სველი. ძალიან მგრძნობიარე ბავშვი ყოფილა. ვეღარ ვუყურებ მის ტანჯვას. ელენემ მირჩია, ისევ თქვენთან გამომეგზავნა.

— ახლავე გამოვგზავნი შოფერს, ივანე მიხეილის ძეს!

გახარებულმა დავუძახე სერგეის და ყველაფერი ეუთხარი. აქამდე ცხვირჩამოშვებული სერგეი უცებ გამოცოცხლდა, სახე გაუბრწყინდა და სირბილით წავიდა:

ვალიკო მალე ისევ ჩემთან გაჩნდა.

მძიმე ბრძოლები განვვლეთ. მტერს ახალ-ახალი დამარცხებები ვაგემეთ. ვალიკო ყოველივე აძის მოწმე იყო. ერთხელ, როდესაც შევსება მივიღეთ, შენაერთში მოვიდა ერთი მებრძოლი, რომელიც ვალენტინის ბიძა — დედის ძმა აღმოჩნდა. გაკვირვებული მივარდა ბაუშვს, გადაეხვია და კოცნა დაუწყო.

— ჩემო ბიჭუნა, ჩემო ვალია, საიდან სადაო, როგორ მობვდი აქ. ჩემო ძვირფასო?! — გაიძახოდა ჯარისკაცი.

ვალიკომ ყველაფერი უამბო და უთხრა, რომ აქ მას ახალი მამა ჰყავს, რომ ჩვენ ერთად ვეძებთ მის მშობლებს და როცა მოვნახავთ, მერე სულ ერთად ვიქნებით.

ვალენტინის ბიძამ იცოდა, სად იყო ბავშვის დედა, მხოლოდ მამის შესახებ არაფერი ცნობა აღარ ჰქონდა. მან წერილის საშუალებით აცნობა თავის დას — ბიჭი უკვე ვიპოვნეო.

ჩვენი შენაერთი იმხანად კურსკის მიდამოებში იბრძოდა, მაგრამ განა მარტო იბრძოდა? არა, ეს სიტყვა მეტად მცირეა იმ განწყობილების გამოსახატავად, რასაც განიკდიდა თვითეული ჩვენგანი. ჯერ ერთი, უსაზღვრო იყო აღტკინება და სიამაყე იმ აუწერელი ხიფათითა და საშიშროებით აღსავსე დიდი ბრძოლების გამო, რომლებიც ჩვენ უკან მოვიტოვეთ და რომელთა შედეგად დავაჩოქეთ უზომოდ ძლიერი და მუხანათი მტერი; ხოლო მეორე, რაც ათრობდა და აჯადოებდა ყველას, ეს იყო კურსკის მიდამოების სილამაზე. რა შეედრება მაისივნისში კურსკის მიდამოებს! მიუხედავად ომისა, მიუხედავად იმ დიდი ზარალისა, რომელიც მტერმა ჩვენს ქვეყანას მოუტანა, აქ ყოველ ჩხრივ იგრძნობოდა შუა რუსეთის ბუნებრივი სილამაზის დამატყვევებელი ელფერი, რომელმაც შთაგონების ცეცხლით აღაგზნო მთელი წყება შესანიშნავი მხატვრებისა. ვასნეცოვის აფირუზებული ძელოები და უძირო ლურჯი ტბები, ლევიტანის არყის ხის ხეივნები და მოლივლივე პურის ყანები, შიშკინის სახომალდე ფიჭვები და ბუმბერაზი მუხები... ყველაფერი სიცოცხლისა და სილამაზის დაუცხრომლობისაკენ ეძახდა კაცის გულს კურსკის მიდამოებში. ჭლიავისფრად და-

ბინდული საღამოები და ბადრი მთვარით გაკაშკაშებული ღამეები ხომ პირდაპირ სამოთხეზე გაგონილ ზღაპრებს მოაგონებდა ადამიანს. აქაური იადონები ყრუსა და ბრმასაც კი აგრძნობინებდნენ ხელთუქმნელ ბედნიერებასა და სიტკბოებას.

არ მახსოვს იყო თუ არა მაშინ შექმნილი სოლოვიოვ-სედოის გულისამაჩუყებელი სიმღერა ბულბულზე, რომელთაც ჩვენი სახელოვანი კომპოზიტორი მიმართავს ლირიკული თხოვნით — არ შეაწუხონ ბრძოლებით დაღლილი ჯარისკაცები გულში ჩამწვდომი სიმღერებით. თუ იყო და ამის შესახებ თუ იცოდნენ გერმანელმა ფაშისტებმა, ამით მაინც არ შეიძლება აიხსნას მტრის არაჩვეულებრივი თვინიერება, რომელსაც იგი მაის-ივნისში იჩენდა კურსკის შვერილზე. არც ის იყო მაინცდამაინც საგულისხმო, რომ ფაშისტ ბარბაროსებს სტალინგრადის ბრძოლებისა და შემდეგ სტალინგრადის ალყაში ხოცვა-ჟლეტის შედეგად ჰკუა ესწავლოთ და მშვიდობიანობა მონატრებოდათ. მე, პირადად, ყოველთვის ვხელმძღვანელობდი სიფრთხილის წესით: თუ მტერი წყნარადაა, მაშასადამე, ნახტომს ამზადებს! ამიტომ შეუნელებლად ვაფრთხილებდი ნაწილების მეთაურებს, მოსვენება არ მიეცათ მტრისათვის და გაძლიერებით ეწარმოებინათ საბრძოლო განლაგების გამაგრება. მეც ხშირად გავდიოდი თავდაცვის ზღუდეების დასათვალიერებლად.

არც დღისით, არც ღამით ვალიკოს გვერდიდან არ ვიშორებდი. არც მას მიუწევდა გული სადმე სხვაგან. მუდამ ჩემს გვერდით იჯდა, სათვალთვალო პუნქტზე ვიყავი თუ შტაბში, რუკასთან. მართალი გითხრათ, მეც ძალიან შევეჩვიე ბავშვს. უიმისოდ ყოფნა ვეღარც კი წარმომედგინა. ჩემში იბადებოდა რაღაც დიდი და უძლეველი გრძნობა ბავშვისადმი, თავგანწირულებასა და შეგნებულ მოვალეობაზე უფრო უსაზღვრო. ვგრძნობდი ამას და საკუთარი თავისათვის ვერ მეპატიებინა, როგორ ადვილად დავთანხმდი დამეტოვებინა ჩემი ვალიკო არმიის სარდალ ჩისტიაკოვთან და მის მეუღლესთან. მართალია. მაშინ ბევრი ვიყოყმანე, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, ვალიკო მაინც დავტოვე იქ, სადაც ბავშვს სრულებითაც არ უნდოდა ყოფნა. კიდევ კარგი, კმაყოფილებით ვფიქრობდი ახლა, თვითონ ბავშვმა რომ ვერ გაძლო სხვაგან, გულმა ისევ აქეთ გამოუწია, თორემ რა მეშველებოდა, ხომ სამუდამოდ დავკარგავდი საყვარელ ბიჭუნას!

ათასი აზრი მიტრიალებდა თავში ვალიკოს ბედის გადამკიდეს. ხან

რა ხიფათი მეჩვენებოდა და ხან რა, ხიფათი კი ყოველ ნაბიჯზე ემუქრებოდა ბავშვის სიცოცხლეს. საღი გონება ბიუნას აქედან გასტუმრებას მოითხოვდა. რა ვუყოთ, ის რომ უარზეა. განა ანგარიშგასაწევია მცირეწლოვანი ბალღის ახირება? კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანს. ვინ იცის, ხვალ რა მოგველის. ეგეც არ იყოს, ბრმა ტყვია ყოველთვის მშიერი მგელივით დაეხეტება ფრონტისპირა მინდვრებში!

ბავშვის ბედზე ფიქრმა იქამდე მიმიყვანა, რომ მოსვენება მეკარგებოდა, თუ სადმე ჩემს თვალწინ არ ტრიალებდა. ძალზე ეჭვიანი და უნდო გავხდი. მეჩვენებოდა, რომ ჩემსავით ვერავინ გაუფრთხილდებოდა ვალიკოს სიცოცხლეს. ამიტომ ვერავის ვანდობდი; საჭმელი რომ საჭმელია, იმასაც კი ჩემი თანდასწრებით და ჩემი ხელით ვაჭმევდი! წარმოიდგინეთ, ბიძამისის დანახვაც კი ნერვებს მიშლიდა. დიდად არ მეპიტნავებოდა მისი გადაჭარბებული მზრუნველობა. ისე, არც იმდენად თავაზიანი კაცი იყო. მეშინოდა, ბიუნას ცუდი არაფერი გააგონოს-მეთქი.

ბრძოლის დასაწყებად ვემზადებოდით. მე ხშირად მიხდებოდა თავდაცვის წინა ხაზზე გასვლა ადგილმდებარეობის დასაზვერად. ვალიკო ყოველთვის აიჩემებდა ხოლმე, თან წამიყვანეო. აბა როგორ წავიყვანდი?! ფრონტის წინა ხაზზე, მოგეხსენებათ, გულის გადასაყოლებელი და მით უმეტეს საბავშვო არაფერია! ვეპარებოდი. ასე ძოხდა ივნისის ერთ საღამოსაც. წინა ხაზიდან ვბრუნდებოდი. კარგ გუნებაზე ვიყავი: წინაღამინდელი დაზვერვის მიხედვით მტერი თითქოს უკან დახევის ნიშნებს ამჟღავნებდა. ღღისითაც ჩანდა: თავდაცვის ხლუდეების გამაგრებას თავი ანებეს. ამას ისიც დაერთო, რომ აქა-იქ ფრიცებმა სანგრებს ზემოთ დიდი ასოებით დაწერილი პლაკატები გამოუფინეს ჩვენს მებრძოლებს — ივან, მოდი, დავძმობილდეთ, სანამ ცივურერი უკან დახევას გვიბრძანებდესო.

მოვედი თუ არა, ვალიკო მოვიკითხე და დათიკო ვერულავას დავუძახე, სადილის თადარიგს შედგომოდა. ელდა მეცა: ვალიკო ლოგინში იწვა. ჯერ ადრე იყო. რა დროს დაწოლაა-მეთქი! — წამოვიძახე და ბავშვს მივევარდი. შუბლი ცხელი ჰქონდა, ზედ ოფლის ხვითქი გადასდიოდა.

— ვინ იყო ბავშვთან? — ვუყვირე ვერულავას.

— ბიძამისი, ამხანაგო გენერალო, მთელი შეკვრა ხაშხაში მოუტანა. ძალიან გაეხარდა ვალიკოს.

დათიკოს ამ უზრუნველმა პასუხმა სულ გამაცეცხლა.

— რის ბიძა, რა ხაშხაში! ბავშვი თვალსა და ხელს შუა მოგიწამლეს და ვერაფერი შეამჩნიე?!

მაშინვე ტელეფონს დავწვდი და კლარა ხოჭოლავა დავიბარე.

როცა ღოგინთან მივბრუნდი, შევამჩნიე, ბავშვს რაღაც ყავისფერი ნამცეცები ჰქონდა ტუჩებზე. მეუცხოვა, ეს რა უნდა იყოს, თოფის წამალი ხომ არ აპამეს-მეთქი. შარვლის ჯიბეები გამობერილი მეჩვენა. გავსინჯე — რაღაც მომწვანო ჩალისფერი ნაყოფით იყო სავსე.

შემოვიდა დათიკო ვერულავა და მისთვის ჩვეულ უზრუნველ კილოზე მეუბნება:

— ამხანაგო გენერალო, რა გიკვირთ, ეს ხაშხაშია.

— კაცო, შენ ხომ არ გადარეულხარ! ხაშხაში ნარკოზია, როგორ შეიძლება ბავშვისთვის ხაშხაშის მიცემა?!

მალე კლარაც მოვიდა. ვალიკო გასინჯა და დამაიმედა:

— ბავშვს არა უშავს რა, ეს საკვები ხაშხაშია. ეტყობა, ცოტა მეტი ჭამა და ამის გამო ძილი მოერია, ნუ სწუხართ, ამხანაგო გენერალო, გამოიძინებს და კარგად გახდება.

— შენს პირს შაქარი, ჩემო კლარა! მე შემეშინდა, მეგონა, ბავშვი მოწამლული იყო.

— არა, ამხანაგო გენერალო. ეს ის ხაშხაში როდია, რომელსაც ნარკოტიკები ხმარობენ. ამით ღვეზელებს აცხობენ, პურზეც აყრიან სილამაზისა და განსაკუთრებული გემოს მისაცემად, — ამიხსნა კლარამ, თან ღიმილს ძლივს იკავებდა, ალბათ, ძალიან სასაცილო ვიყავი.

მეც გამახსენდა, რომ მინახავს ასეთი ხაშხაშით დაწინწკლული პურები და მივხვდი, ჩემი შიში, მართლაც, უსაფუძვლო იყო.

— რა ვიცი, ჩემო კლარა, — მოვყევი თავის მართლებას, — ამ ბავშვს აქ იმდენი ხიფათი ემუქრება...

— დიახ, ამხანაგო გენერალო, — კლარამ სცადა არ შეემჩნია ჩემი უხერხული მდგომარეობა, — ომის დროს ყველაზე დიდ საფრთხეში სწორედ ბავშვები არიან. გაიგებდით, ალბათ, ჰიტლერს ახალი ბრძანება გამოუცია: ოც წელს არ დავთმობ უკრაინას და ყველა ბავშვს, რომელიც ოცი წლის შემდეგ შესაძლოა საბჭოთა მეომარი გახდეს და ზურგში დამარტყას, ახლავე მოვკვეთ მარჯვენასო. არ მიგიღიათ ეს ცნობა?

— არა. პირველად მესმის!

— ბრძანება დღეს დილით დაურიგდა ჯარებს. ჰრაჩიას დაუძახეთ. ის მოგახსენებთ დაწვრილებით ყველაფერს.

მაშინვე ტელეფონის ყურმილი ავიღე და ჭოჭარს გამოეუძახე. ათიოდე წუთის შემდეგ მოირბინა.

— რას მიბრძანებთ, ამხანაგო გენერალო?

— შენ რაღაც საიდუმლო გცოდნია ბავშვების შესახებ.

— კურსკის შვერილზე, რილსკთან, გენერალ ჩერნიახოვსკის მზვერავებს გერმანელი გენერალი ჩაუგდიათ ხელში. თან დიდძალი დოკუმენტური მასალები წამოუღიათ მათ შორის ყოფილა ბრძანებაც, სადაც ჰიტლერი მოითხოვს ოკუპირებულ მიწაზე მარჯვენა მოსჭრან ყველა ბიჭუნას.

— კი, მაგრამ შენ ვინ გითხრა ეგ ამბავი?

— ყველაფერს ბედი უნდა, ამხანაგო გენერალო. დღეს დილით ილია ერენბურგი გვეწვია რედაქციაში, ეს ამბავი მან გაიგო. სწორედ გენერალ ჩერნიახოვსკის არმიიდან გამოიარა, ვერ გავაჩერეთ. მოსკოვში მიემგზავრებოდა. ამხანაგო გენერალო, თუ ნებას მომცემთ, მოგახსენებთ, რომ ილია გრიგოლის ძეს ბენზინი შემოკლებოდა. ჩვენ მივეცით. ისე გაბალისდა, რომ ზოგიერთი წვრილმანიც გვიამბრა: ის გერმანელი გენერალი თქვენს თანამემამულეს გაქარწყლებულ ბერძენს ფისატიდს დაუტყვევებია. ასე რომ, მაღარიჩი თქვენზეა.

გახარებულმა მაშინვე გავძახე დათიკო ვერულავას:

— აბა, ჩქარა, მოგვიტანე, რაც მანდ გაქვს, არაყი მოაყოლე, ას-ასი გრამი სულზე! — მერე ჰრაჩიასა და კლარას მივუბრუნდი: — რახან მაღარიჩზე მიდგა საქმე, მოდი ერთად ვისადილოთ!

აზრები ნელ-ნელა დალაგდნენ. გარკვევით წარმოვიდგინე, როგორ იქცეოდა მტერი უკან დახევისას. დალაწეროს ეშმაკმა, რატომ აქამდე ვერ მივხვდი! მოწინააღმდეგე დაჟინებით ცდილობდა ჩვენი სიფხიზლის მოდუნებას და შეტევითი განწყობილების დაჩლუნგებას. ჩვენ კურსკის შვერილის მარცხენა ფლანგი გვიკავია. ეტყობა, ჩუმად დარტყმას გვიმზადებენ, რათა უეცრად დარტყმის მომენტით ისარგებლონ! ჰმ, მეომრები!

ერთი საათის შემდეგ ბრძანება გადავეცი, საარტილერიო და სანაღმტყორცნო ბატარეებს მძლავრი ცეცხლით გადაეხნათ ის მიდამოები, სადაც ფრიცებმა პლაკატები გამოჭიმეს.

მალე ისეთი გუგუნი და ჭექა-ქუხილი ატყდა, რომ ვალიკოსაც კი გამოეღვიძა.

ბავშვმა თვალები მოიფშვნიტა თუ არა, მაშინვე მე მომვარდა:

— რა მოხდა, ამხანაგო გენერალო, ბრძოლა იწყება? სერგეის ვეტყვი ახლავე მანქანა მოამზადოს!

— არა, ჩემო ვალიკო, — დავუყვავე ბავშვს, — მანქანა ჯერ არ გვჭირდება, ფაშისტებს ცოტა გვერდებს ვუზელთ არტილერიით.

ბიჭი გაინაბა და სროლას ყური მიუგდო. იმ წუთას ძალიან ლამაზი იყო. უნებურად კაციჭამია ჰიტლერის ბარბაროსული ბრძანება გამახსენდა. განა ამის შემდეგ დასანდობია რომელიმე მისი ხელქვეითი?

არამზადა ფაშისტები ჯიუტად დუმდნენ. ერთი გასროლითაც არ პასუხობდნენ ჩვენს ცეცხლს. აშკარა იყო, მტერი ეშმაკობდა, აქაოდა, ომის გუნებაზე არა ვარო. ამან კინაღამ შეაცდინა ზოგიერთი მეთაური. აიჩემეს, ფრიცებმა, ალბათ, ჩვენს დაუკითხავად აიკრეს გუდანაბადი და კუდამოძუებულებმა მოჰკურცხლესო. ოფიცრებმა დამიწყეს ტელეფონით ნებართვის გამოთხოვნა. მიმტკიცებდნენ, ტყვიაწამლის უმიზნოდ ხარჯვას რა აზრი აქვს, შეტევაზე გადავალთ და მოვსინჯავთ — იქნებ მტერი უკვე გაქცეულია და ჩვენ ცარიელ სანგრებს ეუშენთო.

რა თქმა უნდა, ამის ნება არავის მივეცი. დილიდან შუადღემდე თვითონ ვუთვალთვალებდი მტერს. არა, ფრიცები არსად წასულან. პირიქით, მომრავლდნენ კიდეც. საიდანღაც მაშველი ძალა მოუვიდათ. განსაკუთრებით საეჭვო იყო ტყიანი და ოღრო-ჩოღრო ადგილები. იქიდან ხანგამოშვებით მუხლუხების ღრჭიალი და მოტორების გუგუნი ისმოდა. სადღაც ლითონი თუ მიწა ბრწყინავდა, ამიტომ დღისით ყველას ავუკრძალე თავდაცვის ზღუდის იქით გასვლა. პოლკების მეთაურებს ნება დავრთე, ღამით მოეწყოთ ბრძოლით დაზვერვა.

ამდენ სროლასა და ალიაქოთში საღამო შეუმჩნეველად წამოგვეპარა. ღამის დადგომა თვით მტერმა შეგვახსენა. ალბათ, ეგონათ, ასე ხანგრძლივი საარტილერიო მომზადების შემდეგ ჩვენი ჯარები უეჭველად შეტევაზე გადავიდოდნენ და, რათა თავდასხმა მათთვის მოულოდნელი არ ყოფილიყო, ჰაერში მანათობელი შუშხუნების განუწყვეტელი აშვება დაიწყეს. შუშხუნები ათასფრად კიაფობდნენ მთელს წინა ხაზზე. მალე არმიის სათვალთვალო პუნქტმაც შეამჩნია მტრის ეს გამოცოცხ-

ლება. არმიის სარდლის ტელეფონმა დარეკა. ყურმილი ავიღე და ხმაზე გენერალი ჩისტიაკოვი ვიცანი.

— რა ამბავია მანდ, ნიკოლოზ ტარიელის ძევ? ჯერ მთელი დღე ისროდით, ახლა მეტისმეტად გაჩირაღდნებული ხართ რაღაც...

— დიდი არაფერი, ივანე მიხეილის ძევ, — ვუპასუხე, — ჩემმა გვარდიელებმა ფრიცებს ქორწილი გაუმართეს. ეს-ესაა კარნავალი დაიწყო.

გენერალმა ჩისტიაკოვმა გაიცინა და მიპასუხა:

— კარგია, რა ჯობს მხიარულებას. ზემოდან ცნობა მოვიდა, ამ დღეებში მოსალოდნელია მტრის დიდი გამოხტომაო.

— ჩვენ მზად კართ, ამხანაგო გენერალო, თუ ცხვირს გამოჰყოფენ, აქ დავხვდებით!

— მადლობა გადაეცით ყველას. იმედს გამოვთქვამ, გაამართლებთ სარდლობის დავალებას: არც ერთი ნაბიჯი უკან! ამაღამ და ხვალ დიდძალ კოლოფსა და ყოველგვარ პაპიროსს მოგაწოდებთ!

„კოლოფები“ და „პაპიროსები“ სატანკო და საარტილერიო ნაწილებს ნიშნავდა.

მთელი ღამე ძილი არ მომკარებია. ან კი რა დროს ძილი იყო! რუკას არ ვშორდებოდი. მინდოდა წინასწარ მცოდნოდა რას აპირებდა მტერი.

ჩვენი თავდაცვა განლაგებული იყო ბელგოროდის მისადგომებთან. ეს იყო კურსკის შვერილის მარცხენა ფლანგი. მარჯვენა ფლანგი ქალაქ ორიოლის მიდამოებს სწვდებოდა. სწორედ ფლანგებს შუა იდო კურსკი.

გენერალ ჩერნიახოვსკის არმია უზარმაზარ სოლად შეიჭრა მტრის განლაგებაში. სოლის მახვილი წვეტი ქალაქ რილსკის მისადგომებს შეეხო.

ახალგაზრდა გენერალმა ჩერნიახოვსკიმ ამ ომში ბევრ გამოცდილ ფაშისტ გენერალს გადააყარა თავზე ნაცარი. ჯერ იყო და ომის პირველ წელს გუდერიანი შეარცხვინა შაულიაისთან და ბალტიისპირეთში, მერე, 1942 წელს, გზა გადაუჭრა გოლვიტცერს ვორონეჟთან და ჩაფუშა ჰიტლერელების იმედი ზურგიდან შემოევლოთ მოსკოვისათვის. როდესაც ჩვენი ჯარები სტალინგრადის ქვაბში ხარშავდნენ ფაშისტთა 300 ათასიან არმიას, გენერალმა ჩერნიახოვსკიმ მოულოდნელად გაარღვია მტრის თავდაცვა სელიავნოესთან და ძლევამოსილი დარტყმებით ზე-

დიზედ გაათავისუფლა კასტორნოე, სოვეტსკი, შჩიგრი, კურსკი, ლკოვი და რილსკს შიადგა გონივრულად მოფიქრებული და ოსტატურად ჩატარებული ბრძოლების ამ ჯაჭვმა ჩერნიახოვსკი უნიშიერეს საბჭოთა სარდლობის რიგში ჩააყენა.

განთქმული გენერლის ფელდმარშალ პაულიუსის ტყვედ ჩავარდნის შემდეგ ჰიტლერი სამაგიეროს გადახდაზე ოცნებობდა, ოცნებობდა ხელთ ეგდო ჩერნიახოვსკი და ამით თავისი შეიარაღებული ძალებისათვის მოეწმინდა პაულიუსის დატყვევებით მიყენებული სამარცხვინო ლაქა.

კურსკის მომავალ ბრძოლაში ჩერნიახოვსკისა და მისი არმიის როლი განუზომელი იყო. ეს მტერმაც კარგად იცოდა. ყოველი ზომა უნდა მიგველო, რათა მოწინააღმდეგეს სოლის შუაზე გაწყვეტა და რილსკის მისადგომებთან განლაგებული ნაწილების გარშემორტყმა ვერ მოეხერხებინა. ბევრი რამ იყო დამოკიდებული ფლანგების სიმტკიცეზე. ჩემს დივიზიას კი, სხვა შენაერთებთან ერთად, სწორედ ერთ-ერთი ფლანგი ეჭირა.

ფიქრებიდან ვალიკომ გამომიყვანა. ის ახლოს მოსულიყო და თითქოს, მართლაც, რამეს არჩევდა, რუკას ჩაჰკირკიტებდა.

— რატომ არ გძინავს? — ალერსიანად ვკითხე ბავშვს და თავზე ხელი გადავუსვი.

— არ შეიძლება, — მომიგო მან.

კინაღამ გამეცინა. რა არ შეიძლება-მეთქი ხელახლა ვკითხე. თქვენი მარტო დატოვებაო, მიპასუხა. ახლა თქვენი მარტო დატოვება ჩემი მხრივ ღალატს ნიშნავსო.

მოდი და ნუ გაგეცინებოდა, მაგრამ ვალიკოს ისეთი სერიოზული სახე ჰქონდა და იმგვარი ერთგულებით შემომყურებდა, რომ გაცინების მაგიერ მეც მოვიშმუხნე. საათს დავხედე. თორმეტი სრულდებოდა. მალე ბრძოლით დაზვერვა უნდა დაგვეწყო.

გაისმა ტელეფონის გაბმული ზუზუნი. მილი ავიღე. ნებას ითხოვდნენ, გავიდეთ დაზვერვაზე თუ არაო. ნება დავრთე და ტელეფონი გამოვთიშე. მალე ამოქმედდა არტილერია. ქვემეხების ხმის გაგონებისთანავე არტილერიის უფროსი გამოვიძახე. მოსვლისთანავე საცეცხლე პოზიციების შეცვლა ვურჩიე. რადგანაც მტერი ხმას არ იღებდა, შესაძლოა სწორედ ამ დროს ჩაენიშნა ჩვენი საცეცხლე წერტები.

— ყველაფერი რიგზეა, ამხანაგო გენერალო. განკარგულება უკვე გაცემულია, — მიპასუხა არტილერიის უფროსმა.

— ჩემო ბიჭიკო, — მივუბრუნდი მერე ვალიკოს, როდესაც არტილერიის უფროსმა კარი გაიხურა, — შენი ძილის დროა. დაწექი ახლა, გიბრძანებ! ხომ იცი, რა არის ბრძანება?

— ვიცი. ამხანაგო გენერალო, ბრძანება არის ის, რასაც განმეორება და აუცილებლად შესრულება უნდა! — სწრაფად მიპასუხა ბავშვმა.

— მაშ გაიმეორე ჩემი ბრძანება და შეუდექი შესრულებას!

— არის, ღავიძინო!

— ღამე მშვიდობისა!

— ღამე მშვიდობისა, ამხანაგო გენერალო!

ის იყო ბავშვი დასაძინებლად დაწვა, რომ შორს, წინა ხაზზე, უეცრად ბათქაბუთქი ატყდა. ეს მტრის ქვემეხები და ნაღმმტყორცნები ამოქმედდნენ. ალბათ, შეამჩნიეს ჩვენი მზვერავები. მალე ძოტოციკლის ჭახჭახიც მომესმა. გარეთ გამოვედი. დაბნეული სატანკო ნაწილის მეკავშირე ოფიცერი მოსულიყო. შორიდან ყრუდ ისმოდა მძიმე ტანკებისა და თვითმავალი ქვემეხების მუხლუხების ღრჭიალი და ჯახაჯუხი. დამხმარე ნაწილები მთელი ღამის განმავლობაში მოედინებოდნენ და სასწრაფოდ იკავებდნენ პოზიციებს. განლაგდა არტილერია, ქვეითი ჯარი, გვარდიული ნაღმმტყორცნები, რომელთაც იშვიათად „კატიუშებს“ ეძახდნენ. რაც უფრო მეტი და მეტი დამხმარე ნაწილები მოდიოდა და რაც უფრო ძნელი ხდებოდა მათთვის ჩვენს განლაგებაში თავისუფალი ადგილის გამონახვა, მით უფრო ცხადი ხდებოდა ამოცანა, რომელსაც მტერი ისახავდა და რომელიც ჩვენ უნდა ჩაგვეფუშა.

ამასობაში გათენდა კიდეც. ტყუილი როდია რუსული ანდაზა „ღამე — საღამოზე ბრძენიაო“.

დილით ტყვეები მოიყვანეს შტაბში. მათი მოყვანის წინ სარდლობას საიდუმლო ცნობა მომივიდა. ტყვეებმა დაკითხვაზე დაადასტურეს ის, რაც საიდუმლო ცნობაში ეწერა: მტერს ორიოლის ფლანგის წინ 3 ათასი ტანკი, 10 ათასი ზარბაზანი, 17 სატანკო, 3 მოტორიზებული და 18 მსროლელი დივიზია დაეყენებინა. გერმანელები სამი თვის განმავლობაში მალავდნენ ამ საიდუმლოებას. კურსკის რეკანში, რომელსაც ფაშისტები ამზადებდნენ, შორს იყო გამიზნული: გადამწყვეტი გა-

მარჯვების მოპოვების შემდეგ ჰიტლერელებს შეტევა უნდა განეგითარებინათ და უეცარი დარტყმით მოსკოვი უნდა აეღოთ.

მტერი, ცხადია, ამას ვერ შესძლებდა, მაგრამ წინ მძიმე ბრძოლა გველოდა. მე ისევ ვალიკო გამახსენდა. როგორ გინდა გაუშვა ბავშვი ასეთ დროს? აქედან საქართველომდე დიდი მანძილია. ჰაერში ფაშისტი პირატები დაძრწიან. არც ერთ ეშელონს დაუბომბავად არ უშვებენ. ირგვლივ დაძაბული ვითარებაა. ორი ვეება არმია სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახებისათვის ემზადება. ყოველი მხრიდან წინა ხაზისაკენ მოისწრაფვიან მაშველი ძალები — ტანკები, ქვემეხები, სამხედრო საჭურველი, ყველაფერი, რაც საჭიროა დიდი ბრძოლის გადასახდელად.

განა შემეძლო ამგვარ ვითარებაში ბავშვი სადმე გამეშვა?!

მალე ცნობა მოვიდა — ზურგის გზებზე ჩვეულებრივი მარეგულირებლების გვერდით გაჩნდა გამანადგურებელ ბატალიონთა ბადრაგები. მათი დანიშნულება იყო დაეკავებინათ ყველაფერი, რაც კი ფრონტისაკენ მოდიოდა.

მალე გაცხარებული ბრძოლა გაჩაღდა, დღე და ღამ ცეცხლი ცეცხლს ებრძოდა. მტერი მიხვდა, რომ მისი კუკუმალულობია გამოაშკარავებული იყო. ჩვენდა ბედად, გერმანელები, როგორც ყველგან და ყველაფერში, აქაც პედანტური გეგმით მოქმედებდნენ — უცდიდნენ სწორედ იმ საათსა და წუთს, როცა უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანებისამებრ საერთო შეტევა უნდა დაწყებულიყო. ჩვენ ამით ვსარგებლობდით და სულმოუთქმელად ვურტყამდით მტერს. ყუმბარები, ნაღმები, ავიაბომბები და ტყვიაწამალი არ გვეზოგებოდა.

სათვალთვალო პუნქტი რამდენჯერმე გამოვიცვალეთ. ვალიკო გეერდიდან არ მშორდებოდა. 4 ივლისს სათვალთვალო პუნქტზე ერთ-ერ უშველებელი ახმახი ფრიცი მოათრიეს. თავპირი დაბეჟილი ჰქონდა, გაძალიანებოდა მზვერავებს. ჭკუაზე ავტომატის კონდახით მოეყვანათ. ობერ-ლეიტენანტი იყო. როგორც კი მიხვდა, გენერალთან მოვხვდიო, გაიჭიმა და საჩივრით მომმართა:

— მე გერმანიის არმიის ოფიცერი ვარ. თქვენმა ჯარისკაცებმა შეურაცხყოფა მომაყენეს.

ამ ვაუბატონს ჯიბეში უნახეს ჰიტლერის ახალი ბრძანება, ფიურერი თავის მეომრებს არწმუნებდა, კომუნისტებს კოლოსალურ დარტყმას მივაყენებ და ურჩობას გადავაჩვევო.

— ამიტომ ჭრიდით ბავშვებს ხელებს, არა? — ვკითხე შეურაცხყოფილ ობერ-ლეიტენანტს.

— არა, ბატონო გენერალო, მე არ ვჭრიდი, მე ხომ ინფანტერიის ოფიცერი გახლავართ და არა გესტაპოსი... — არ დააყოვნა მან პასუხი და ისე დაიკლაკნა, რომ შეგეზიზღებოდათ, მერე ხვეწნა დამიწყო. შემიბრალეთ, ბატონო გენერალო, მე თვითონაც მყავს პატარა ბავშვებიო, მარწმუნებდა და თან ვალიკოს მისჩერებოდა, — ამაზე პატარა გოგონა მყავს, შემიბრალეთ, ნუ მომკლავთო.

— შენი ბედი, ხელში ჩაგვივარდი, — ვუთხარი პასუხად, — შენთვის ომი დამთავრებულია. ჩვენ ფაშისტები არა ვართ — ტყვეებს არ ვხვრეტავთ.

იმ ღამეს გავიგეთ: მტერს უზარმაზარი ძალა მოეზღვავებინა შეტევაზე გადმოსასვლელად. შუაღამისას დაიწყო კურსკის შვერილზე განლაგებული მთელი არტილერიისა და ნაღმმტყორცნების ნამდვილად ვულკანური ცეცხლი, რომელიც ორიოლისა და ბელგოროდის ფლანგებისაკენ იყო მიმართული. დედამიწა ზანზარებდა. ჰაერი გაჟღენთილი იყო ვოლფრამისა და დენთის მძაფრი სუნით.

საოცარია ადამიანის ბუნება. ირგვლივ ჯოჯოხეთური ცეცხლი ბრიალებდა. ნაცარტუტად ქცეულიყო აურაცხელი იარაღი და ტექნიკა. ყოველივე ცოცხალს სპობდა ულმობელი მარსის მრისხანება, მე კი დივიზიის მართვაში ყურებამდე ჩაყურყუმალავებულს წამითაც არ მავიწყდებოდა, რომ ჩემს გვერდით იყო ბავშვი, რომლის სიკვდილ-სიცოცხლე მე მებარა.

ამბობენ, არისტოტელემ ურჩია თურმე ალექსანდრე მაკედონელს ისევე, როგორც შვილდს ხანგამოშვებით უნდა მოეშვას ლარი, ადამიანის ნერვებსაც ესაჭიროება ძლიერი დაძაბვის შემდეგ დასვენება. ვალიკოზე წამიერი ფიქრი ჩემთვის შვილდის ლარის მოშვება იყო.

5 ივლისს მტერმა ერთბაშად აამოქმედა ყველაფერი, რაც კი გააჩნდა. ასობით მძიმე ტანკი გამოვიდა საფარიდან. ტანკები ბრდღვინავდნენ და მრისხანე ცეცხლს აფრქვევდნენ. დაიძრნენ სწრაფმავალი ჯავშნიანი ურჩხულები — „ავაზები“, აყეფდნენ „ვერდინანდები“. ფრონტის წინა ხაზის გასწვრივ გაყოლებული მავთულხლართების ასაფეთქებლად მტერმა ხმელეთის უცნაური ტორპედოები გამოუშვა. ტანკებს, ჯავშნოსნებს, თვითმავალ ქვემეხებს ჰიანჭველებივით შემოეხვივნენ შნაპსით შეზარხოშებული ქვეითი ურდოები.

მტერმა მარწუხები მოუჭირა ჩვენს ფლანგებს. ერთი შავი ნიაღვარი ბელგოროდ-ობოიანის შარაგზის გასწვრივ წამოვიდა, მეორე დიდი სოლი ცოტა უკანა სამხრეთით გაჩნდა.

ჰასუხად ჩვენც ავამოქმედეთ ყველაფერი, რაც კი მომზადებული გვქონდა. ყოველი ბუჩქი და ბორცვი ყუმბარებს ისროდა. ყოველი გზა, ბილიკი თუ გაუვალი ჭანჭრობი ფაშისტების ტანკების მოახლოებისთანავე ფეთქდებოდა. მიდამო ხანძარმა მოიცვა. უზარმაზარი ცეცხლის ენები სერავდა ზეცას, სწვავდა ტყესა თუ ტრამალს. ვერმანელთა ტანკების მოგლეჯილი კოშკურები ნაფოტებივით ცვიოდა ჰაერში. გადაბუგულ მიწას საშინელი წივილითა და ზათქით ენარცხებოდნენ ალბოდებული თვითმფრინავები. თვითმფრინავის დაეარდნის თუ ტანკის აფეთქების შემდეგ უზარმაზარ სვეტებად იმართებოდა ყომრალი ბოლი.

— არც ერთი ნაბიჯი უკან! — ეს იყო გვარდიელების დევიზი. — არც ერთი ნაბიჯი უკან!

გამახსენდა საბრძოლო წესდების მეტად მნიშვნელოვანი მუხლი: „მსროლელი ნაწილი არ უნდა უფრთხოდეს მტრის გარემოცვაში მოხვედრას". არავითარი დაქსაქსვა! ირგელივი თავდაცვით და კონტრიერიშით უნდა გაირღვეს მტრის ალყა, ერთობლივი დარტყმითა და მანევრით უნდა გაანადგუროს მოწინააღმდეგე!

მიუხედავად იმისა, რომ მტერი ექვს-შვიდ კილომეტრზე შემოიჭრა განლაგებაში, თავგანწირული ბრძოლა დღე და ღამე გრძელდებოდა. არავითარი პანიკა, არავითარი დაბნეულობა! ბევრგან ზედმეტი გახურების გამო ქვემეხების ლულები დასკდა. ბევრმა ნაღმმტყორცნელმა სროლის დროს ხელები დაიფუფქა გავარვარებული ნაღმმტყორცნის პირდაპირი დამიზნებით.

სათვალთვალო პუნქტი ხელახლა გამოვიცვალე. ბრძოლის განმავლობაში რამდენიმე ყუმბარა და ნაღმი აფეთქდა ჩვენს თავზე, მეტად ახლო გაგვიზუზუნა ნამსხვრევებმა, მაგრამ რაღაც განგებით არც მე, არც ვალიკოს არაფერი მოგვეწია. ახლა კი ვნანობდი, ვალიკო რომ გვერდით მყავდა. რა თავს ვიტკივებდი, ვერ გავგზავნე ბავშვი, სანამ დრო იყო, საქართველოში!

მაკვირვებდა ბავშვის უშიშრობა.

— ვალიკო, — ვუთხარი ერთხელ სიცილით, — შენ ღღეიდან ვალერიან მიხეილის ძე უნდა დაგიძახო. დიდ სიმამაცეს იჩენ, ჩემო ძმაო, არც გეშინია და არც არაფერი. თუ ყველაფერი კეთილად დაბოლოვდა, უთუოდ უნდა დაგაჯილდოვო.

ჩემმა სიტყვებმა ბავშვი ძალიან გაახარა. ისე კი თითქოს არც შემომჩნევინა. ბოლოს შოფერს გაუმეღავნა საიდუმლო:

— ძია სერგეი, ამხანაგმა გენერალმა მე უნდა დამაჯილდოოს, ხომ კარგი იქნება?

— მაშ ცუდი რად იქნება! — მიუგო ალიევმა.

ამ დროს სათვალთვალო პუნქტზე საიდანღაც პოლკოვნიკი პიჩერსკი გაჩნდა და ვალიკოს გასაგონად მკითხა:

— რასა იქს ჩვენი დიეზიის ვაჟიშვილი? გვარდიელები კითხულობენ — ხომ არ შეაწუხა ფრიცების ბრახაბრუხმაო?

— არა, არა, გიორგი ნიკოლოზის ძევ. ვაჟკაცურად იბრძოდა. შეგიძლიათ გადასცეთ, ვისაც აინტერესებს — ჯილდოზე უნდა წარვადგინო.

— ოჰო, ეგ კარგი აზრია. როგორ გაეხარდებათ უგლოვსკის ბიჭებს! — თქვა პიჩერსკიმ და პოლკოვნიკის გამოსაძახებლად შაშინვე ყურმილი აიღო.

ამ დროს ჩვენი გმირის გაბმული ღრიალი მოგვესმა. ვერც კი შევამჩნიეთ როდის გაგვეპარა, მაშინვე ამოვხტი სათვალთვალო პუნქტიდან. მეგონა, ბავშვს რაღაც მოუვიდა: გამიკვირდა, როცა ვალიკო იქვე დავინახე, სანგარში იჯდა და ზლუქუნებდა.

— რა მოგივიდა, ბიჭო?! — მივვარდი ბავშვს.

— არ მინდა, დედასთან არ მინდა, — უფრო აღრიალდა ვალიკო, — ჩემმა დედამ მამას უღალატა...

ვერაფერი გავიგე. ბავშვი ხელში ავიყვანე და დაწყნარება დავუწყე. ვერაფერს გავხდი. ბიჭი ისევ გაბმით ტიროდა. სანგართან სერვეი ალიევს მოვკარი თვალი და ხელი დავუქნიე.

— შენ ხომ არ იცი, რა მოუვიდა ამას?

— ვიცი, ამხანაგო გენერალო, ცუდად არის საქმე!

— თქვი, რა მოხდა?!

— ძალიან გლახა ამბავი.

— არ ითქმის? თქვი, ჩქარა, რას იღეჭები!

— სულ იმ დოყლაპიას ბრალი კია...

— ვისი, რა ბრალი?!

— აი, ჩვენი ვალიკოს ბიძია ვარო, რომ იძახის.

— რაო, კიდევ ხომ არ მოუტანა ხაშხაში!

— ხაშხაში კი არა... დედამისისთვის წერილი მიუწერია.

— მერე?

— მოვიდა.

— ვინ?

— ვინ და დედამისი. თან ვიღაც კაცი ახლავს. დაუჭინიათ, ბავშვი უნდა წავიყვანოთო. აბა სად უნდა წაიყვანონ, ამხანაგო გენერალო, ცოცხალი თავით არ დავანებებ, წაეიდნენ და მიჩივლონ, სადაც უნდათ!

სახტად დავრჩი. მართალი გითხრათ, ამ ცხარე ბრძოლების დროს დაუპატიჟებელი სტუმრების მისაღებად მზად არ ვიყავი. ბოლოს აზრი მოვიკრიბე და სერგეი დავტუქსე:

— ჩუ, ნუ ყვირი! რა გაყვირებს! წადი და მოიყვანე ჩემთან ისინი!

— კი, მაგრამ, ამხანაგო გენერალო, გაატანთ ბავშვს?

— ხმა გაკმინდე! ამ წუთში აქ მომგვარე დედამისი!

სერგეი ზანტად გაბრუნდა. მალე მოიყვანა ვიღაც გამოპრანჭული ქალი, რომელსაც დაბალ-დაბალი უფროსი ლეიტენანტი ახლდა. გარდა უფროსი ლეიტენანტისა, ქალს გამანადგურებელი ბატალიონის ორი მეაეტომატე მოჰყვა.

ქალმა და უფროსმა ლეიტენანტმა მოსალმებაც ძლივს მოასწრეს, რომ ჩემს და მათ შორის ერთ-ერთი მეავტომატე ჩადგა.

— ამხანაგო გენერალო, ეს პირები ჩვენ დავაკავეთ, რადგან საეჭვოდ არიან დაინტერესებული სამხედრო საიდუმლოების გაგებით. სმერშში მიგვყავდა, მაგრამ თქვენმა შოფერმა აქ მოგვაყვანინა.

— ვინა ბრძანდებით? — შევეკითხე მოსულთ.

ქალმა ტუჩების აპრუწვით მიპასუხა:

— ნუთუ ვერ მიმამსგავსეთ! მე ხომ ვალენტინის დედა ვარ — მარიამ ვასილის ასული ზინჩენკო.

ესა თქვა და ნათქვამის დასადასტურებლად მოწმობა გამომიწოდა. მოწმობაში ეწერა, რომ „წარმომდგენი ამისა“ ნამდვილად არის „სამხედრო ვაჭრობის“ სასადილოს მუშაკი.

ახლა მე თანდათან უნდა შევჩვეოდი აზრს, რომ ვალიკო უკვე აღარ იყო ჩვენი, იგი ეკუთვნოდა ამ ქალს. მე მეგონა, ქალი ახლავე ჩაავლებდა ბავშვს ხელს და დაუყოვნებლივ წაიყვანდა, ისე რომ მადლობის თქმაც კი დაავიწყდებოდა. ასე არ მომხდარა, ქალი იდგა და, თუმცა თვალს ვარიდებდი, დაჟინებულად მიღიმოდა.

— თქვენ ვიღა ბრძანდებით? — ვკითხე მის მხლებელს.

— ნიკოლოზ ტარიელის ძევ, — საქციელწამხდარი უფროსი ლეი-

ტენანტის მაგიერ ქალმა მიპასუხა. — ეს გახლავთ ჩემი... ანდ ვთქვათ...

ახლა უფროს ლეიტენანტს მივუბრუნდი.

— საინტენდანტო სამსახურის უფროსი ლეიტენანტი ზარიანოვი გახლავართ, ამხანაგო გვარდიის გენერალო! — მიპასუხა კაცმა.

ოფიცრის მოწმობა გამოვართვი და გავსინჯე. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. სხვა რაღა გზა მქონდა — გამანადგურებელი ბატალიონის მეავტომატეები დავითხოვე. ვუთხარი, ჩემი სტუმრები არიან-მეთქი. ამის შემდეგ ორივე მიწურში შევიწვიე. იქ უფრო უშიშრად შეიძლებოდა საუბრის გაგრძელება. არ ვიცი, რა შთაბეჭდილება მოახდინა უფროს ლეიტენანტზე ჩემმა წინადადებამ, ვალიას დედა კი ჩინებულ გუნებაზე დადგა; შემაქო, ძალიან თავაზიანი ბრძანებულხართ, ხიკოლოზ ტარიელის ძევ, თქვენნაირი თავაზიანი მამაკაცები ძალიან მომწონსო.

ქალის უადგილო ყბედობამ ცოტა არ იყოს გამაბრაზა, მაგრამ თავი შევიკავე, რადგან ჩემს წინაშე, ავი იყო თუ კარგი, ვალიკოს დედა იდგა. მხოლოდ ეს წავილუღლუღე:

— საიდან იცით ჩემი სახელი და მამის სახელი?

— როგორ თუ საიდან ნიკოლოზ ტარიელის ძევ! ჩემმა ძმამ, ესე იგი, ვალიკოს ბიძამ მოიწერა. დიახ, დიახ. მე ისიც ვიცი, ჩემს ვალიას რომ ვალიკოს ეძახით. ძმამ ყველაფერი მომწერა. რა ხანია თქვენს ნახვაზე ვოცნებობ!

სწორედ ამ დროს ჩვენი განლაგების თავზე მტრის რამდენიმე თვითმფრინავი დაეშვა და ბომბები გადმოჰყარა. ატყდა ყურისწამღები გრიალი. მე მაშინვე ბავშვი მოვიკითხე. ვალიკო ახლომახლო აღარსად ჩანდა. დავუძახე. არ მიპასუხა. ბოლოს დათიკო კერულავას მივაკითხე:

— მანდ ხომ არ შემოსულა ვალიკო?

— აქ გახლავთ, ამხანაგო გენერალო, ყუთებს უკან დაიმალა და ტირის!

შემეცოდა ბავშვი. ყუთებთან მივედი.

— რა მოგივიდა, შენ ხომ გმირი ხარ და ჯილდოზე უნდა წარგადგინო! გამო, დედა ნახე, განა არ გენატრება?

— ჭირივით მძულს მოღალატეები... მამას უღალატა... — სლუკუნებდა ბავშვი.

— ხომ ხედავთ, ბიჭი თქვენზე გაჯავრებულია... — ვუთხარი ქალს,

როცა უკან დავბრუნდი, — როგორ მოვიქცეთ? თქვენ დედა ხართ. მაგრამ...

თქვენც არ მომიკვდეთ: ჩემს სიტყვებს ქალზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. მიეხვდი, ამაოდ შევაყარე ცერცვი კედელს. ქალმა ჯიბიდან მომცრო სარკე ამოიღო, პომადა მოიმარჯვა და წასმას შეუდგა.

— თქვენი ქმარი ხომ კაპიტანია, — დავიწყე ისევ მე, — ფრონტზე იბრძვის. განა ასე უნდა ოჯახის ერთგულება?!

— აი, როგორი ყოფილხართ, ნიკოლოზ ტარიელის ძევ! ისე მსჯელობთ, თითქოს ყველაფერი იცოდეთ. დიახ, ჩემი ქმარი სამშობლოს სამსხვერპლოზე დაეცა. ახლა რაო, საფლავში ჩაყოლასაც ხომ არ მიბრძანებთ! გაგიგონიათ „სულელ კაზაკთა სიმღერა“? იმ სიმღერაში სასიკვდილოდ დაჭრილი მეომარი მოთქვამს: ცოლი რომ გაიგებს, დაჯავრიანდება, მაგრამ ჩემს ამხანაგს გაჰყვება და მალეც დამივიწყებსო. აი, თუ გინდა, სინამდვილე! ომია. ომი ყველა ცოდვას ჩამოწერს!

ამ ქალის მსჯელობამ აღმაშფოთა, მაგრამ შეძლებისდაგვარი სიმშვიდით მივმართე:

— იცით რა? ნუ დამძრახავთ, თუ კარგი სტუმართმოყვარეობა ვერ გაგიწიეთ. თვითონ ხედავთ, აქ ბრძოლაში ხელს გვიშლით. წაბრძანდით უკან, სოფელში, ამაღამ კარგად მოიფიქრეთ, როგორ წაიყვანოთ ბავშვი. აქ ყოველ ნაბიჯზე საფრთხე მოელის, თორემ, რა დასამალია, არ გაგატანდით. ის სიმღერა კი, რომელიც მოქმედების იდეალად გაგიხდიათ, მეტად მჩატე და სახუმაროა. ნახვამდის! კარგად ბრძანდებოდეთ!

ამ სიტყვებით დაუპატიჟებელ სტუმრებს ზურგი შევაქციე და რუკას მივუჯექი. როცა წავიდნენ, თავისუფლად ამოვისუნთქე. ბრძოლა თავისი გზით მიდიოდა. წამდაუწუმ რეკავდა საველე ტელეფონი. რეკავდნენ პოლკებიდან, კორპუსიდან, არმიიდან...

დათიკო ვერულავას უკმაყოფილო ბუზღუნი შემომესმა:

— ამხანაგო გენერალო, რამდენჯერ უნდა ვთქვა, ისაუზმეთ მაინც თუ გაპარსვა არ გინდათ... აგერ შუადღე წამოვიდა. ახლა რომ არმიის სარდალი მოვიდეს, ვიცი, ყველაფერი მე დამბრალდება.

— ნუ ბუზღუნებ, არმიის სარდალს შენთვის სცხელა სწორედ!

— სულ ერთია, უნდა ისაუზმოთ. ეს ბრძოლა იქნებ ერთ კვირას

გაგრძელდეს, მშიერი კაცი ჯარისკაცად არ ვარგა, გენერლად კი მით უმეტეს!

ჩემი დათიკო სუკოროვის ცნობილ კამერდინერ პროხორს არ ჩამოუვარდებოდა მოვალეობის დაკისრებული ერთგულებით, ალბათ, რამდენჯერმე მითხრა. ისაუზმეო. მაგრამ გართული ვყავი და ვერ გავიგონე.

— კარგი, ჯანდაბას შენი თავი.— მიეუგდე გაბრაზებულმა.— პოლტა, ჩქარა! ბიჭი სად არის?

— სერგეისთან დაიმალა, მანქანაში. ეშინია. დედას არ გამაყოლონო.

— ასეა საქმე? გაიქეცი, მოიყვანე!

— მიირთვით, მან უკვე ისადილა. წასელით კი წავალ. მაგრამ არ წამომყვება.

— არ წამოგყვება? უთხარი, გიცდის-თქო!

კარგა ხანს ვუცადე. არც დათიკო გამოჩნდა, არც ვალიკო.

სწორედ ამ დროს მიწურში პოლკოვნიკი პიჩერსკი შემოვიდა. საქმეზე მოლაპარაკების შემდეგ სუფრას ერთად შემოვუსხედით. გამეხუმრა, რა ხანია დალაქი გეძებსო.

თვალი ერთთავად კარებისაკენ მეჭირა.

— ელი ვისმეს? — მკითხა პოლკოვნიკმა და თვითონაც კარისაკენ გაიხედა.

— ვერულავა გავგზავნე ერთგან. აქამდე უხდა მოსულიყო.

— ბიჭი რა უყავი?

— სწორედ მის მოსაყვანად გავგზავნე.

— ბავშვმა არაფერი მოიწიოს.

— მეც მაგას არ ვჯარობ. ჩემს მანქანაში ზის რა ხანია.

— იქ რა უნდა?

— დედას ემალება, არ წამიყვანოსო.

— დედას?! — გაიკვირვა პიჩერსკიმ.

— არ გაგიგიათ? დედამისი მოვიდა.

— საიდან, როგორ?!

— მოვიდა. საიდან და როგორ ეგ კი არ ვიცი.

— კიდევ კარგი, ცოცხალი გადარჩენილა. თუ მატყუებთ... — უცებ დაეჭვდა პოლკოვნიკი და თვალი თვალში გამიყარა.

— რა მოსატყუარი ესაა, — მიუგე დაღვრემილმა, — ბაღშვს ითხოვს, უნდა წავიყვანოო.

— თუ აგრეა საქმე, წაიყვანოს. ბავშვისთვისაც უკეთესი იქნება. დედისთვისაც და ჩვენთვისაც.

— რაღაც თქვენი კილო არ მომწონს დღეს.

— ჩემი კილო? ბოდიშს ვიხდი, ამხანაგო გენერალო, არ მესმის, რაზე მეუბნებით.

— ასე უცებ რომ გაღაწყვიტეთ დივიზიის ვაჟიშვილის ბედი.

— ჩვენ ჩვენს გრძნობებზე მაღლა უნდა დავდგეთ, ნიკოლოზ ტარიელის ძევ, ბავშვი აქ საფრთხეშია. კიდევ კარგი, დედა გამოუჩნდა. წაიყვანს, მოუვლის. იქ სკოლაში ისწავლის ბავშვი...

ეს აზრი მეც მომეწონა. მართლაც, სანამ დივიზია ფრონტზეა, ბიჭუნას შეეძლება დრო არ დაკარგოს და სწავლას დაეწაფოს. პოლკოვნიკს დიდი მადლობა გადავუხადე რჩევისათვის, ოღონდ ეჭვი დამებადა, დაიჯერებდა კი ჯიუტი ბიჭი ჩვენს რჩევას? ჩემი ეჭვი მაშინვე ხმამაღლა გამოვთქვი.

— როგორმე უნდა დავარწმუნოთ, — სერიოზულად თქვა პოლკოვნიკმა, — დედას აუცილებლად უნდა გაჰყვეს.

— ამ საქმეში თქვენც უნდა დამეხმაროთ.

— რითაც შემეძლება, მზად გახლავართ!

— მაშ, დამიცადეთ, ბავშვს ახლავე მოვიყვან.

პოლკოვნიკი, რასაკვირველია, თვითონ აპირებდა ბიჭის მოსაძებნად წასვლას, მაგრამ მე არ გავუშვი და თვითონ გამოვედი გარეთ. ვალიკო მანქანაში იჯდა. ვერულავა, ალბათ, მეასეჯერ ეხვეწებოდა წამოდი, უშენოდ გენერალს ვერ დავენახვებიო, მაგრამ ნამტირალევი ბავშვი ჯიუტად ჩაჰფრენოდა მანქანის საჭეს და ადგილიდან არ იძვროდა. ჩემს დანახვაზე დაირცხვინა. თავჩაღუნულმა საჭეს ხელი შეუშვა. მე მოვეფერე და ვუთხარი:

— ვალიკო, არა გრცხვენია, ბიჭო? ასე უნდა მიატოვო მამობილი? ხომ იცი, შვილივით მიყვარხარ. სად დაიკარგე? წამო, მანქანას სერგეიც უყარაულებს!

— თუ არ გამაყოლებ დედას... — ამოისლუკუნა ბავშვმა.

მე ვითომც გავჯავრდი, შევუტიე:

— სად ხედავ აქ დედას! მეომარი ხარ თუ გუდურა?! აგერ საბრძოლო ჯილდოზე უნდა წარგადგინო კაცი, მტრის არ გეშინია და დედას გაურბიხარ? წამოდი ჩქარა, გიბრძანებ!

ეს რომ ვუთხარი, გამოვბრუნდი და ჩქარი ნაბიჯით მიწურისაკენ გავეშართე. დარწმუნებული ვიყავი, ბიჭი თუმცა უხალისოდ, მაგრამ მაინც მომდევდა უკან. გულმა არ გამიძლო, სანამ მიწურთან მივიდოდი, შევჩერდი და მოვიხედე. ვალიკო, მართლაც, გადმოსულიყო მანქანიდან და მოდიოდა. მიწურში შემოსულ ნამტირალევ ბავშვს პოლკოვნიკი პიჩერსკი ალერსიანად შეხვდა, მუხლზე დაისვა და საუბარი გაუბა. მე ვითომც გულმოსული ვიყავი და ყურადღებას არ ვაქცევდი მათ. ბავშვი მოუსვენრად იყო, ალბათ, ნახევარიც არ გაუგონია, რაც პოლკოვნიკმა უთხრა. ჯერჯერობით ყველაფერი კარგად გამოგვივიდა: ბავშვი გავლენის მარწუხებში მოვაქციეთ.

— ამხანაგი გენერალი მართლა მემდურის? — ბოლოს გაბედა და ჩურჩულით ჰკითხა ვალიკომ პოლკოვნიკს.

— გენერალი? — პიჩერსკიმ თვალი ჩამიკრა. — ნიკოლოზ ტარიელის ძევ, მართლა ემდურით ვალიკოს?

— მან უნდა იცოდეს, რომ ჯიუტი ბავშვი არ მიყვარს, მით უმეტეს მეომარი, — ჩავილაპარაკე, უკან კი არ მიმიხედავს, რადგან მეშინოდა, ვაითუ თავი ვერ შევიკავო და გამეღიმოს-მეთქი.

— ვალიკო, გენერალთან როგორმე შეგარიგებ, ოღონდ უნდა დაუჯერო, რასაც გიბრძანებს. აი, ხომ ხედავ, მე პოლკოვნიკი ვარ და მის ბრძანებას ყოველთვის ვემორჩილები. შენ ახლა სასწავლებლად გაგზავნით. ისწავლი და მალე გენერალი გახდები. ხომ, ამხანაგო გენერალო?

— თუ ისწავლის, კი.

— ისწავლის, როგორ არ ისწავლის, სწავლას წინ რა უდგას!

— თუ აგრეა, მე მაგას დაჯილდოებას ვუპირებდი და დავაჯილდოებ კიდეც.

— ეკუთვნის, ამხანაგო გენერალო, ალალია ეგ ჯილდო ამაზე. გახსოვთ, თქვენი მძინარა შოფერი და მანქანა რომ გადაარჩინა?

— აბა ადექი! — ვუბრძანე ბიჭუნას და გამოვიჭიმე. პოლკოვნიკიც ადგა.

— ბრძოლაში გამოჩენილი სიმამაცისა და უშიშროების გამო, რისი წყალობითაც სიკვდილს გადაურჩა დივიზიის მეთაურის შოფერი სერგეი, რიგით ჯარისკაცს ზინჩენკოს მიენიჭოს ეფრეიტორის სამხედრო წოდება და გადაეცეს გვარდიელის სამკერდე ნიშანი. გთხოვთ გადასცეთ, პოლკოვნიკო პიჩერსკი!

პიჩერსკი აფუსფუსდა, სასწრაფოდ მოიხსნა გვარდიელის სამკერდე ნიშანი და მღელვარებისაგან მთლად ალეწილ ბიჭუნას გულზე დაუბნია.

როდესაც დაჯილდოების ცერემონიალი გათავდა, გვარდიის ეფრეიტორთან მხედრული ნაბიჯით მივედი და ხელი მაგრად ჩამოვართვი.

იმ ღამეს თვალი არ მომიხუჭავს. გამწვავებული საბრძოლო მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. მტერს სურდა ესარგებლა ღამით და თავისი გაეტანა. თუმცა რაღა ღამე იყო! წამდაუწუმ დაფრინავდნენ მტრის საჰაერო პირატები. გადმოკიდებდნენ პარაშუტებზე გაკაშკაშებულ ფარნებს და ირგვლივ ყველაფერი დღეზე ნათლად ჩანდა. ზევიდან სეტყვასავით ცვიოდა ბომბები, ყუმბარები და ნაღმები. ქვევით ყოველი ფეხის გადადგმაზე დამწვარ-დაგლეჯილი, ჯართად ქცეული ტანკები, თვითმავალი ქვემეხები და სხვა ტექნიკა ეყარა. სხვები ჯერ კიდევ დაბობღავდნენ, ბრდღვნიდნენ მიწას, ცეცხლის ფრქვევით და გამაყრუებელი ხროტინით მოჰქროდნენ წინ, რათა ცეცხლისთვის მიეცათ თავი, აბრიალებულიყვნენ და ბოლოს ჰექა-ქუხილის მსგავსი გრგვინვით გამსკდარიყვნენ.

მეკავშირე ოფიცრებს ზედიზედ მოჰქონდათ ახალ-ახალი ცნობები. ტელეფონის კავშირი წამდაუწუმ წყდებოდა და ხელახლა ერთდებოდა თავგამოდებული მეკავშირეების წყალობით. რამდენჯერმე დარეკა კორპუსის შტაბმა, დარეკეს არმიიდანაც. ყველა წუხდა ჩემი დივიზიის გამოუვალი მდგომარეობის გამო. უკვირდათ კიდეც, როგორ ვუძლებდით მტრის ასეთ ჯოჯოხეთურ დაწოლას. მოწინააღმდეგეს უკვე წაელეკა ფლანგებზე განლაგებული ნაწილები და ღრმად შეჭრილიყო ჩვენს ზურგში. ამოცანა მივიღე — შეუპოვრად მეწარმოებინა ირგვლივი თავდაცვა და ადგილიდან ფეხი არ მომეცვალა, სანამ არმიის და ფრონტის სხვა შენაერთები ჩვენს მარჯვნივ და მარცხნივ მოთარეშე მტრის დივიზიებს არ დაახურდავებდნენ.

მთელი ღამე გაილია გაშმაგებულ ბრძოლებში. ბევრმა სამარადისოდ დახუჭა თვალი, ბევრი დაიჭრა და დასახიჩრდა სამუდამოდ. სადღაც, ალბათ, დილა იყო, სადღაც მზეც ამოვიდა, მაგრამ ჩვენს საბრძოლო განლაგებაში, არც წინ, არც ფლანგებზე, არც უკან — სოფელ კოლონტაევის მიდამოებთან არაფერი არ ჩანდა. იდგა რაღაც განუჭვრეტელი ყავისფერი ბუღი, დენთის ნამწვისა და მჭვარტლის ნისლი. ამ ბუნდოვან კვამლსა და თქორში კვლავინდებურად გრძელდებოდა

გააფთრებული რკენა, ოხრავდნენ ლულები, დაჭრილი მხეცებივით ღმუოდნენ მტრის საბრძოლო მანქანები, არაადამიანურად ბღაოდნენ დამწვარ-დასახიჩრებულნი, მაგრამ მაინც სულთმობრძავი ჰიტლერელი ლანდსკნეხტები.

ნაშუადღევს, როცა ბრძოლის ცეცხლი ცოტა მინელდა, ძალზე გამაკვირვა ვალიკოს დედის დანახვამ. ქალი ამჯერად მარტო მოვიდა.

— ხომ დარწმუნდით, რა საფრთხეშია აქ თქვენი შვილი?

— საფრთხე დიდია, მაგრამ, სამაგიეროდ, თქვენი სიყვარული იფარავს.

— ტყვიის ან ნაღმის წინააღმდეგ, მოგეხსენებათ, სიყვარული ვერაფერი ჯავშანია. რას აპირებთ, წაიყვანთ?

— ჩემს შვილს, როგორც ვიცი, თქვენ ძალიან უყვარხართ და დარჩენა სურს. ხომ ხედავთ, ამის გამო მე არც კი მეკარება. ამიტომ გადავწყვიტე მეც აქ დავრჩე!

„ეს რა თავნება ვინმეა, — გავიფიქრე. — მგონი, ბავშვზე უფრო კერპი ეს არის!“

მაშინვე მოვიღუშე და ქალს მტკიცედ ვუთხარი:

— თქვენ გეტყობათ, სრულიად არ გაფიქრებთ დედის ძოვალეობა. ჩვენ აქ საკამათოდ არა გვცალია. ბავშვი უნდა წაიყვანოთ ზურგში, თანაც დაუყოვნებლივ და იზრუნოთ მის სწორად აღზრდაზე. ჩვენმა შენაერთმა ვალია იშვილა. როგორც შეგვეძლო, აქამდე ვუვლიდით. მაგრამ უფლება არა გვაქვს გამუდმებით ვიყოლიოთ ბავშვი სიკვდილის საფრთხეში. გესმით ეს? ახლა კეთილი ინებეთ და წაიყვანეთ ზურგში. მიაბარეთ სკოლაში და აღზარდეთ ღირსეულად, აბის პირობა უნდა მოგვცეთ, რადგან ბავშვის ბედით მთელი შენაერთია დაინტერესებული! ხომ ასეა, გიორგი ნიკოლოზის ძევ? — მივმართე პიჩერსკის, რომელიც აქამდე ჩუმად უგდებდა ყურს ჩვენს საუბარს.

— დიახ, დიახ, გენერალი სავსებით მართალია, მარიამ ვასილის ასულო, — დამიმოწმა პოლკოვნიკმა, — ბავშვი დაუყოვნებლივ უნდა წაიყვანოთ აქედან, სადმე ღრმა ზურგში.

— კარგი! — წამოიძახა რჩევა-დარიგებით ილაჯგაწყვეტილმა ქალმა, — მაჩვენეთ ჩემი ბავშვი, ძვირფასო კომისარო. ის უკეთ გადაწყვეტს, წავიდეთ აქედან თუ არა!

მაშინვე დათიკო ვერულავა გავგზავნე ბავშვის მოსაყვანად. რამდენიმე წუთის შემდეგ მიწურში ბიჭუნა შემოიტუზა. მკერდზე გვარ-

დიელის ნიშანი უბრწყინავდა, რომელიც ერთი შეხედვით ძლიერ წააგავს წითელი დროშის ორდენს, სამხრეებზე კი ეფრეიტორის ლენტი ჰქონდა დაკერებული.

— დედას მიესალმეთ, ამხანაგო გვარდიის ეფრეიტორო! — ოფიციალურად, როგორც ნამდვილ მეომარს, ისე მივმართე ბავშვს.

ბიჭი კართან იდგა და დედის მისალმების მაგიერ მიწას ჩაჰყურებდა.

— აი, ხომ ხედავთ, ხომ ხედავთ! — ნიშნის მოგებით წამოიძახა ქალმა.

მე დედის სიტყვებს ყურადღება არ მივაქციე და ბიჭუნას დავემუქრე: თუ ის ღირსეულად არ ატარებს ნაბოძებ საბრძოლო წარმატების ნიშანს და ამით ჩირქს მოსცხებს მშობლიურ შენაერთს, შეიძლება სასჯელი და დაქვეითება მიიღოს.

— კი მაგრამ, ძვირფასო გენერალო, — ქალმა სწორედ იმ დროს გამაწყვეტინა სიტყვა, როცა საქმის წარმატებით დაგვირგვინებას თითქმის აღარაფერი უკლდა, — მთელი ხალხი მტერს ებრძვის, მთელი არმია ფრონტზეა და ჩვენ — კაპიტნის ქვრივი და წარჩინებული გვარდიის ეფრეიტორი განა აქ უფრო მეტ სარგებლობას არ მოვუტანთ სამშობლოს? აქ წყდება ქვეყნის ბედი. აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი!

ამ გაუთავებელ დავა-მტკიცებაში რომ ვიყავით, ირგვლივ, ცხადია, ბრძოლის ცეცხლი გიზგიზებდა. კივილით დაძრწოდნენ მოპიკრე ბომბდამშენები და მათ შესახვედრად აფრენილი ჩვენი ავიაგამანადგურებლები. არტილერია და ნაღმმტყორცნები ცეცხლს ანთხევდნენ, გუგუნებდნენ და ადგილიდან ადგილზე გადადიოდნენ მრისხანე საბრძოლო მანქანები. ყვიროდა, ღრიალებდა, იჭრებოდა და კვდებოდა ათასობით მეომარი. ყველაფერი ეს ხდებოდა იქვე, სათვალთვალო პუნქტის შორიახლო, სადაც დივიზიის ვაჟიშვილის მომავალ ბედ-იღბალს ეწყვეტდით.

ბოლოს, როგორც იქნა, გავტეხეთ ქარაფშუტა ქალის სიჯიუტე.

ის იყო სერგეი უნდა გამომეძახა მათ გასამგზავრებლად, რომ უცებ მოტოციკლის ხმა გაისმა. მოტოციკლის დადუმება და სათვალთვალო პუნქტზე მეკავშირე ოფიცრის შემოვარდნა ერთი იყო.

— ამხანაგო გენერალო, მარჯვენა და მარცხენა ფლანგებზე შემოჭრილმა მტრის ჯარებმა სატანკო და მოტომექანიზებულმა ძალებმა გადაჭრეს ჩვენი კომუნიკაციები, შენაერთი ალყაშემორტყმულია!

აბჯრამა ცნობამ ყველაფერი ყალყზე დააყენა. აღარ შეიძლებოდა ბავშვისა და დედის გამგზავრებაზე ოცნება. მთავარი ახლა ის იყო, როგორ გაგვერღვია ალყა და სამშვიდობოს გავსულიყავით. დაუყოვნებლივ მივიღე ყველა გადაუდებელი ღონისძიება. პოლკებს ვუბრძანე, წამითაც არ შეენელებინათ ირგვლივი თავდაცვა.

ცეცხლი კიდევ უფრო გაძლიერდა. ბრძოლა გამწვავდა.

ყოველ საბრძოლო ვითარებაში მანევრისა და ურთიერთმოქმედების წარმატებით წარმოება უნდა ეყრდნობოდეს დაზვერვის აწყობილ და შეუნელებლ მუშაობას. ამიტომ ერთხელ კიდევ გავაფრთხილე მზვერავი ქვეგანაყოფები, არ აჰყოლოდნენ მაცდუნებელ ნადირობას „ფრიცებზე" და თანამიმღევრობით ემუშავნათ გარემოცვის ყოველ უბანზე მტრის შესასწავლად და მის განზრახვათა წინასწარ გამოსაცნობად.

ერთი რამ აშკარა იყო: რახან მტერმა უარყო პირვანდელი გეგმა. რახან იძულებული გახდა უარი ეთქვა ორიოლისა და ბელგოროდის მაიწუხების შეერთებაზე კურსკის რაიონში, მთელი ფრონტის ჯარების ალყა მიეშვა და მარტო ჩემი შენაერთის დაბრიყვება მოინდომა, ჩვენ, ცხადია, კარგი არაფერი გველოდა. ეს იცოდა ყველამ, ყოველმა ჯარისკაცმა და ოფიცერმა.

უბედურებას, რომელიც თავს დაგვატყდა, ნათელი მხარეც გააჩნდა: რადგანაც მტრის ალყაში მარტო ჩვენი შენაერთი მოექცა, სხვა შენაერთებს ხელები გახსნილი ჰქონდათ და შეეძლოთ ელვისებური დარტყმებით გარედან მოგვხმარებოდნენ. ცხადია, ამგვარი მანევრის შესაძლებლობა მტერსაც ჩინებულად მოეხსენებოდა და ის დაუყოვნებლივ შეეცდებოდა შენაერთის დაქუცმაცებას და ამით ანგარიშსწორების დაჩქარებას.

პოლკებმა ჩემი სასწრაფო ბრძანება მიიღეს -- გამაგრებულიყვნენ და არამც და არამც არ დაეშვათ ჩვენს განლაგებაში მტრის ნაწილების ან ქვეგანაყოფების შემოჭრა. ვარაუდი სწორი აღმოჩნდა. იმავე საღამოს რადისტებმა დაიჭირეს მტრის რადიოგრამა, რომლის მიხედვით გენერლები ღამით აპირებდნენ შენაერთის მთავარი ძალების შუაზე გაყოფას და დაქუცმაცებას. მალე არმიის სარდლის დაშიფრული რადიოგრამა მოვიდა. ჩვენი საბრძოლო ამოცანა იყო, მტრის რაც შეიძლება მეტი ყურადღება მიგვეჯაჭვა.

ისევე დაიწყო უამრავ მცირე პარაშუტებზე ჩამოკიდებული მთვარე-

ებით გაჩირაღდნებული ღამე... ირგვლივ ჯოჯოხეთური ბრძოლა ატყდა და გამაყრუებელი სროლა გამეფდა. მტერს, როგორც ნავარაუდევი იყო, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, სურდა ჩვენი გაკვნეტა. გერმანელებმა არ დაზოგეს არც „სამეფო ვეფხვები“, არც სახმელეთო ტორპედები, მეტად მაგარი კბილები და ბრჭყალები გამოაჩინეს, მაგრამ გვარდია რისი გვარდიაა, თუ სალ კლდესავით არ დახვდება მოზღვავებულ მტერს.

ფაშისტების ყოველი ცდა, დაექუცმაცებინათ ჩვენი ნაწილები, მათი ტექნიკის დაუზოგავი მსხვრევით და ცოცხალი ძალის ულმობელი ჟლეტით მთავრდებოდა. მთელი ღამე თვალმოუხუჭავად ვმართავდი ბრძოლას. ვალიკო არ მომშორებია. დედამისიც იქვე იჯდა, მიწურის კუთხეში. მტრის მოპიკირე ბომბდამშენებმა რამდენჯერმე გადმოგვაყარეს ბომბები, მაგრამ რაღაც განგებით პირდაპირი მოხვედრა აგვცდა. ზოგი ჭირი მარგებელია. იმ ღამეს ბავშვის გამო გადატანილი მღელვარება დილით სიამოვნებად მექცა: კაპიტანის ქვრივმა გადაჭრით მითხრა, ბავშვის აქ დატოვება შეუძლებელია და ახლავე გამატანეთო. ძნელზე ძნელი იყო ამ წინადადების შესრულება. როგორ გამეშვა ან დედა ან შვილი, როცა ყოველი მხრიდან გაცოფებულ გერმანელთა ალყის რკინის მარწუხებში ვიყავით მოქცეული. ვინ უწყოდა, როდის გავარღვევდით ალყას და კვლავ როდის დავუკავშირდებოდით გარე სამყაროს?..

— მარიამ ვასილის ასულო, — საყვედურით მივმართე ქალს, — თქვენ უცნაურად იქცევით. როცა შესაძლო იყო გამგზავრება, ჯიუტობდით და სრულიადაც არ აპირებდით ფეხის მოცვლას. ახლა კი, როცა ამაზე ფიქრიც კი ტყუილად დროს დაკარგვაა, აგიჩემებიათ უნდა წავიდეთ. სად წახვალთ? ფაშისტების ტანკებქვეშ გაჭყლეტა ხომ არ გსურთ?

— როგორ, ნიკოლოზ ტარიელის ძევ, აქ ხომ უარესი დღე მოგველის! იქით ცდა მაინც შეიძლება, იქნებ გავუსხლტეთ როგორმე დედა-შვილი, თხრილ-თხრილ გავყვებით, შეუმჩნევლად.

— არა! — მოვუჭერი მტკიცედ. — დღისით შეუძლებელია თქვენი წასვლა. დაიცადეთ საღამომდე. ვნახოთ, როგორ იქნება საქმე.

— არ შემიძლია, არასგზით არ შემიძლია! — გაჯიუტდა ქალი.

— იცით რა? — ვუთხარი განგებ მკაცრი ტონით. — აქ პანიკას ნუ ატეხთ!..

— არ მჯერა, რომ არ შეიძლებოდეს ჩვენი წასვლა. თქვენ გაშვება არ გინდათ, თორემ ყველაფერი შეგიძლიათ!

— არ გესმით რას ამბობთ, მარიამ ვასილის ასულო!

— დავალებ ჩემს ბავშვს ხელს და წავალ, მორჩა და გათავდა!

დავუძახე კლარა ხოჭოლავას და ეუთხარი, წაეყვანა მარიამ ვასილის ასული, დაეწყნარებინა და რაიმე საქმე მიეცა, სანამ ალყას გავარღვევდით და შესაძლებლობა მოგვეცემოდა დედა-შვილის გამგზავრებისა. კლარას გაეხარდა ქალის დანახვა.

ლაზარეთში ჭრილობების შეხვევას ვერ აუდიოდნენ, თანაც დაჭრილების ევაკუაცია შეუძლებელი იყო. როგორც კი კლარა ხოჭოლავა წავიდა და მარიამ ვასილის ასულიც თან გაიყოლია, აქამდე გაჩუმებულმა ვალიკომ ენა ამოიდგა:

— ფუ, რა მშიშარაა! ნეტავი არ მარცხვენდეს...

— ვიზე ამბობ მაგას?! — ვკითხე ბავშვს ისე, თითქოს მართლა ვერ გავიგე, ვიზე ამბობდა.

— ვიზე და დედაჩემზე! — ტუჩები აიპრუწა ბიჭმა.

— იცი რას გეტყვი, ჩემო ბიჭიკო? შენ ახლა გვარდიელი ხარ, ხომ აგრეა?

— გვარდიის ეფრეიტორი! — ამაყად მითხრა ვალიკომ.

— ძალიან კარგი! რახან გვარდიის ეფრეიტორი ხარ, მოიქეცი ისე, როგორც შეგფერის. გვარდიელს ორი რამ არ შეჰფერის — სამშობლოს ღალატი და მშობლებზე აუგის ლაპარაკი, გასაგებია?

— გასაგებია, ამხანაგო გენერალო! — უყოყმანოდ დამეთანხმა ვალიკო.

— აბა, შენ იცი, ამის შემდეგ დედის აუგს ნულარ იტყვი, დედა უნდა გიყვარდეს, დარიგება გაუგონო და შრომაში შეეშველო.

ამ დროს პოლკოვნიკი პიჩერსკი მოვიდა და ამბავი მოიტანა, მარჯვენა ფლანგზე დიდძალი ტანკი დააგროვა მტერმა და ჩვენს ნაწილებს ავიწროვებსო. მაშინვე გავეცანი მდგომარეობას და შექმნილი ვითარება დაშიფრული რადიოგრამით სარდალს ვაცნობე. მალე მთავარსარდლობის რეზერვის არტილერიამ დიდი დარტყმა აგემა მტრის ადგილსამყოფელს, რაც, რა თქმა უნდა, ჩვენთვის დიდი დახმარება იყო. ამის შემდეგ ჩვენმა ნაწილებმა კონტრშეტევებით დაუწყეს კორტნა მტერს. გაბოროტებული ფაშისტები ისევ აბორგდნენ, ისევ დაიწყეს შემოტევები, მაგრამ უკვე აღარ გააჩნდათ ის ყოყლოჩინობა,

რომლითაც წინადღეებში იყვნენ აღჭურვილნი. ახლა თავებდახრილნი და ჰიტლერის გინება გაახშირეს ტყვედ ჩავარდნილმა გერმანელმა ჯარისკაცებმა. უკვე ნადაგი ეცლებოდა მათ ბრმა რწმენას ფიურერის ღმერთკაცობასა და ფაშისტური იარაღის უძლეველობაში.

განუწყვეტელ ბრძოლებს ველარ გაუძლო სისხლისაგან დაცლილმა და წამოჩოქებულმა მტერმა. არაფერი აღარ შეელოდა მათ წამხდარ საქმეს. ამაო იყო „სამეფო ვეფხვების“, „ავაზებისა“ და „ფერდინანდების“ ფრონტის სხვადასხვა უბნებზე ასობით გამოყვანა. არც ყბადაღებული სახმელეთო ტორპედები აშინებდა საბჭოთა მეომრებს, არც გებელსის ნალაყბევი ელექტრო-ტყვიამფრქვეველები და არც სხვა რამ.

გამოვედით თუ არა გარემოცვიდან, მაშინვე დავუძახე პიჩერსკის, უგლოვსკის, კლარა ხოჭოლავას, ჰრაჩია ქოჩარს, სერგეი ალიევს, დათიკო ვერულავას, მათთან ერთად სხვებსაც და ვუთხარი:

— დროა გამოვეთხოვოთ დივიზიის ვაჟიშვილსა და დედამისს დროებით მაინც, რადგან ხვალ უკვე გვიან იქნება.

გამოთხოვების დროს მარიამ ვასილის ასული ისევ გაჯიუტდა:

— ახლა მე ყველაფერს შევეჩვიე აქ, დაჭრილ გვარდიელებსაც დასავით შევუყვარდი, სადღა წავიდე? რატომ წავიდე? არსადაც არ წავალთ მე და ჩემი გვარდიის ეფრეიტორი, ჩვენ იქა ვართ, სადაც უნდა ვიყოთ!

— როგორ გეკადრებათ, მარიამ ვასილის ასულო, — მივაძახე ქალს მაშინვე, — თქვენ დივიზიის ვაჟიშვილის დედა ხართ, მისი აღმზრდელი, გიბრძანებთ, ამ წუთში შეუდგეთ დედის მოვალეობის შესრულებას!

სანამ ქალი პასუხს მოასწრებდა, პოლკოვნიკმა პიჩერსკიმაც შემაწია ორიოდე სიტყვა. გულზე მომეშვა. გადავკოცნე ჩემი შვილობილი და, მიუხედავად დათიკოს ბუზღუნისა, კლარას ცრემლებისა და სერგეის ოჩნობისა, ჩავსვი მანქანაში. მალე მარიამ ვასილის ასულიც იქვე მოვათავსეთ და ორთავეს კეთილი მგზავრობა ვუსურვეთ.

— სერგეი, ბელგოროდის მიმართულებით გვეძიე! — ვუთხარი მანქანის დაძვრის წინ შოფერს.

დაგვენანა, ძალიან დაგვენანა ბიჭი, მაგრამ რას ვიზამდით, როცა თავს ზევით ძალა არ იყო. კიდევ კარგი, მშვიდობით ვისტუმრებდით. ყოველ ჩვენგანს ჰყავდა შინ შვილი ან პატარა და-ძმა. ამიტომ ვა-

ლიკოს სახით ყველა თავის ახლობელსა და სასურველ არსებას ხედავდა.

ვალიკო ყველას დააკლდა თვალში, მაგრამ დრო ყველაფერს ასწორებს. მალე ჩვენ შეტევაზე გადავედით, გავათავისუფლეთ ბელგოროდი და შევუდექით ფაშისტების განადგურებას პოლტავის მიდამოებში.

გავიდა რამდენიმე წელი. შეწყდა ზარბაზნების ჭექა-ქუხილი. დიდი სამამულო ომი ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა. კეთილი საქმე როდი იკარგება. თუნდაც ნაცარი გადააყარო, ქვემოდან ნაღვერდალივით შემოგანათებს. ...და აი, ამ სტრიქონების ავტორს წერილი მოუვიდა ბელგოროდიდან. წერილს ხელს აწერდა ვალერი ზინჩენკო — ჩვენი გვარდიის ეფრეიტორი, ჩვენი დივიზიის ვაჟიშვილი ვალიკო. ჭაბუკი დიდ მადლობას უძღვნიდა მშობლიური შენაერთის მეომრებს ყველა იმ სიკეთის გამო, რაც მათ დიდი სამამულო ომის წლებში სამშობლოსათვის და, კერძოდ, ვალერი ზინჩენკოსათვის გაუკეთებიათ. ვალერი იწერებოდა, რომ მისი მამა — კაპიტანი მიხეილ ვასილის ძე ზინჩენკო — არ დაღუპულა. მამაცმა ოფიცერმა ღირსეულად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე და ოჯახს გამარჯვებული დაუბრუნდა. როგორც ეტყობა, დივიზიიდან გამგზავრების შემდეგ მარიამ ვასილის ასულიც სერიოზულად მოჰკიდებია დედობრივი მოვალეობის შესრულებას და შვილის თვალში კვლავ ამაღლებულა. ახლა ვალერი ზინჩენკო ქალაქ ბელგოროდის ერთ-ერთი ღირსეული მოქალაქეა.

Николай Тариэлович Габартхиладзе

**Были такие дни**

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5.
1968

რედაქტორი ქ. თავაძე
მხატვარი ო. მესხი
მხატვრული რედაქტორი გ. ქუთათელაძე
ტექნიკური რედაქტორი ნ. ქაეთარაძე
კორექტორი ც. ნიკურაძე

გადაეცა წარმოებას 23/VII-68 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/XI-68 წ.
ქაღ. ზომა 60×84¹/₁₆.
ნაბეჭდი თაბახი 18.75
საღრ.-საგამომც. თაბახი 15,51.
ტირაჟი 10.000 შეკვ. 9109.

ფასი 76 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის, 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის
სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 5,
ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, № 11.

Типография № 5 Главполиграфпрома Государственного комитета
Совета Министров Грузинской ССР по печати,
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 11.